

ლადო ჭანტურია

სამოქალაქო სამართლის  
ზოგადი ნაწილი

სახელმძღვანელო

გამომცემლობა „სამართალი“

თბილისი 2011

შე, იგულისხმება სამოქალაქო კოდექსი. თავი ავარიდე ასევე ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ შემოკლებებს სამოქალაქო კოდექსის მუხლების გამოყენებისას. როგორც ჩემი გამოცდილება აჩვენებს, ქართულ ენას არ უხდება ისეთი შემოკლებები, როგორიცაა „სკ“ ან „სსკ“, თუმცა მათზე მთლიანად უარის თქმა ალბათ გაჭირდება. სამოქალაქო კოდექსის კომენტარების ციტირებისას ჯერ მითითებულია შესაბამისი მუხლის ავტორის გვარი დახრილი შრიფტით, ხოლო შემდეგ წიგნის სახელწოდება, ტომი, მუხლი და გვერდის ნომერი.

სახელმძღვანელოს ამ პირველ გამოცემაში თავი შევიკავე ისეთი პირადი არაქონებრივი უფლების, როგორიცაა პატივისა და ღირსების დაცვა, ცალკე და ღრმა განხილვისაგან, რასაც მომდევნო გამოცემისას ვაპირებ. მომავალ გამოცემაში ასევე სამართლებრივ ურთიერთობებს მივუძღვნი ცალკე პარაგრაფს, რითაც ბატონ თედო ნინიძის სურვილსაც შევასრულებ.

იმედი მაქვს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის შესწავლაში ქართველ სტუდენტებს დახმარებას გაუწევს. გარდა ამისა, ვეცდები მკითხველის შენიშვნები და სურვილები მომავალ გამოცემებში გავითვალისწინო.

ლადო ჭანტურია

თბილისი, კილი,  
2011 წლის სექტემბერი

წინათქმა ..... III

ნაწილი პირველი. შესავალი დებულებანი  
თავი პირველი. სამოქალაქო სამართლის ცნება და მნიშვნელობა

§1. სამოქალაქო სამართლის ცნება და  
აღვლი სამართლის სისტემაში ..... 1

I. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო ..... 1

1. კერძო და საჯარო სამართალი ..... 1

2. სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფერო ..... 3

ა. პირთა თანასწორობა ..... 4

ბ. კერძო ურთიერთობები ..... 4

გ. ქონებრივი ურთიერთობები ..... 4

დ. საოჯახო ურთიერთობები ..... 6

ე. პირადი ურთიერთობები ..... 6

II. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრობლემა ..... 7

1. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა ..... 7

2. ინტერესების თეორია ..... 9

3. სუბორდინაციის თეორია ..... 10

4. სუბიექტების თეორია ..... 11

5. სპეციალური სამართლის თეორია ..... 12

III. კერძო სამართლის სისტემა ..... 14

IV. საჯარო სამართლის სისტემა ..... 17

§ 2. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია და  
განვითარება საქართველოში ..... 19

I. როგორ იქმნებოდა სამოქალაქო კოდექსი ..... 19

II. სამოქალაქო კოდექსის გავლენა  
სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე ..... 23

III. სამოქალაქო სამართლის გავლენა	
კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე.....	28
IV. ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში .....	32
1. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი .....	33
2. გირაუნობის სამართალი .....	34
3. არაკომერციული იურიდიული პირები .....	36
4. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა .....	38
5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.....	39
§ 3. სამოქალაქო სამართლის წყაროები.....	40
I. კანონი, როგორც სამართლის წყარო.....	41
1. კანონის ცნება.....	41
2. კოდექსი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი.....	42
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა .....	43
ა. ზოგადი ნაწილის აუცილებლობის შესახებ.....	44
ბ. ზოგადი ნაწილის სახეები.....	46
გ. გამოწვევები ზოგადი ნაწილის ზოგადი ხასიათიდან..	48
4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა სახეები .....	49
ა. იმპერატიული (ius cogens) და დისპოზიციური ნორმები (ius dispositium) .....	49
ბ. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი და განუსაზღვრელი ნორმები.....	55
II. ჩვეულებანი.....	57
III. სამოქალაქო ნორმის მოქმედება .....	59
1. მოქმედება დროსა და სივრცეში.....	59
2. სამართლის ნორმათა კოლიზია.....	62
§ 4. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი.....	64
I. ცნება და მნიშვნელობა.....	64

1. კანონთა განმარტების აუცილებლობა .....	64
2. სამოსამართლო სამართლის ცნება.....	65
II. კანონთა განმარტების (ინტერპრეტაციის) თავისებურებანი .....	67
1. კანონთა განმარტების მიზანი.....	67
2. კანონთა განმარტების პრინციპები.....	69
III. ობიექტურობის პრობლემა სამოსამართლო სამართალში .....	70
IV. სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები.....	72
V. სამოსამართლო სამართლის გავლენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე.....	73
1. პირადი არაქონებრივი უფლებები .....	74
2. ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.....	74
3. Culpa in Contrahendo .....	75
4. პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევები .....	76
5. კანონისა და სამართლის ანალოგია .....	76
VI. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოსამართლო სამართლის პრობლემა.....	79
<b>§ 5. კერძო სამართლის საფუძვლები.....</b>	<b>82</b>
I. კონსტიტუციური საფუძვლები.....	82
1. კონსტიტუციური ნორმები და კერძო სამართალი .....	82
2. კონსტიტუციური ნორმებისა და ღირებულებების მოქმედება კერძო სამართალში.....	83
II. კერძოსამართლებრივი საფუძვლები .....	85
1. ადამიანის, როგორც თავისუფალი პიროვნების, აღიარება.....	85
ა. თავისუფლების გამოვლინება კერძო სამართალში.....	85
ბ. თავისუფლება და კეთილსინდისიერება .....	86
გ. თავისუფლების შეზღუდვა კერძო სამართალში.....	86
დ. დელიქტი და ხელშეკრულება .....	88
2. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება.....	90

ა. კერძო ავტონომიის ცნება და შინაარსი.....	90
ბ. ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.....	93
გ. ანდერძის თავისუფლება.....	94
დ. კერძო ავტონომიის ფარგლები.....	94
3. კერძო საკუთრება.....	96

**თავი მეორე.**

**სამოქალაქო უფლება და მისი განხორციელების წინაპირობები**

§ 6. სამოქალაქო უფლების ცნება და სახეები.....	98
§ 7. სამოქალაქო უფლებათა შეძენა, გადაცემა და შეწყვეტა.....	102
I. უფლებათა შეძენა.....	102
II. უფლებათა შეწყვეტა.....	104
§ 8. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები.....	106
I. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან.....	106
II. უფლების კეთილსინდისიერად და მართლზომიერად განხორციელების ვალდებულება.....	107
III. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა.....	108
IV. თვითგასამართლების დაუშვებლობა უფლების განხორციელებისას.....	110
1. აუცილებელი მოგერიება.....	111
2. უკიდურესი აუცილებლობა.....	113
3. თვითდაზმარება.....	114

§ 9. ვადები და ხანდაზმულობა.....	117
I. ვადების ცნება და მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვისთვის.....	117
II. ხანდაზმულობა და მისი გამოყენების პირობები.....	120
1. ხანდაზმულობის ცნება, საგანი და მიზნები.....	120
2. ხანდაზმულობის ვადა და მისი დაწყება.....	122
3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება და შეწყვეტა.....	125
4. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები.....	127

**თავი მესამე.**

**სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდика**

§ 10. სუბსუმცია და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.....	130
---	-----

§ 11. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმება.....	134
---	-----

**თავი მეოთხე.**

**სამოქალაქო სამართლის ობიექტები**

§ 12. სამოქალაქო სამართლის ობიექტების ცნება და სახეები.....	138
I. ცნება და ზოგადი დახასიათება.....	138
II. მატერიალური ქონებრივი სიკეთე - ნივთები.....	140
1. ნივთების ნორმატიული ცნება.....	140
2. უძრავი ნივთები.....	145
3. მოძრავი ნივთები.....	146
4. ნივთების სხვაგვარი კლასიფიკაცია.....	147
5. ნივთების ურთიერთკავშირი – შემადგენელი ნაწილები და საკუთვნიებელი.....	149
ა. ნივთის შემადგენელი ნაწილი.....	150
ბ. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი.....	151
გ. საკუთვნიებელი.....	152

III. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე –	
უფლებები და მოთხოვნები.....	154
1. უფლებები.....	155
2. მოთხოვნები.....	156
IV. ნაყოფი, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტი.....	156
§ 13. ქონება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში.....	158
§ 14. საწარმოს ცნება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში.....	161
I. საწარმო როგორც ნასყიდობის ობიექტი.....	162
II. საწარმო როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საგანი.....	164

### ნაწილი მეორე.

პირები სამოქალაქო სამართალში - სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

#### თავი მეხუთე. ფიზიკური პირები

§ 15. უფლებაუნარიანობა და მისი წარმოშობა.....	167
I. ცნება და ზოგადი დახასიათება.....	167
II. ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა.....	168
III. შესაძლო უთანასწორობა	
უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას.....	171
1. მოქალაქეობა და უფლებაუნარიანობა.....	172
2. პოლიტიკური შეხედულებები და უფლებაუნარიანობა.....	172
3. სქესის მნიშვნელობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას.....	173
IV. უფლებაუნარიანობა და უფლება.....	175
V. უფლებაუნარიანობის დასასრული.....	176



§ 16. ქმედუნარიანობა.....	179
I. ცნება .....	179
1. ქმედუნარიანობა ასაკის მიხედვით.....	180
2. ჯანმრთელობა და ქმედუნარიანობა.....	181
3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა .....	182
II. ქმედუნარობა.....	184
III. შეზღუდული ქმედუნარიანობა.....	185
IV. დელიქტუნარიანობა.....	187
§ 17. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება.....	189
I. პრეზუმფციის როლი სამოქალაქო სამართალში .....	189
II. გარდაცვლილად გამოცხადება .....	190
III. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.....	193
§ 18. პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებები.....	195
I. სახელი .....	195
1. სამოქალაქო სახელი .....	195
2. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება.....	199
ა. სახელი როგორც პირადი არაქონებრივი უფლება.....	199
ბ. სახელი როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.....	200
გ. სახელი და სამოქალაქო ბრუნვა .....	200
3. სახელის შექმნის საფუძვლები.....	203
4. სახელის შეცვლის სამართლებრივი შედეგები .....	205
II. საცხოვრებელი ადგილი .....	205
1. ცნება და დახასიათება.....	205
2. საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა.....	207
3. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.....	209
4. არჩევითი საცხოვრებელი ადგილი .....	210

5. კანონით საცხოვრებელი ადგილი.....	211
6. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება.....	212
7. საცხოვრებელი ადგილის კონკრეტული გამოვლინებები.....	213

**თავი მეექვსე. იურიდიული პირები**

<b>§ 19. ცნება და ნიშნები.....</b>	<b>215</b>
I. იურიდიული პირის ცნება.....	215
II. იურიდიული პირის ნიშნები.....	217
1. იურიდიული პირი, როგორც ორგანიზებული წარმონაქმნი...218	
2. განსაზღვრული მიზანი.....	219
3. საქმიანობის ვადა.....	219
4. საკუთარი ქონება.....	220
5. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა.....	221
6. საკუთარი სახელი.....	221
7. სახელმწიფო რეგისტრაცია.....	222
8. საკანონმდებლო ლეგიტიმაცია.....	223
<b>§ 20. თეორიები იურიდიული პირის შესახებ.....</b>	<b>224</b>
I. ფიქციის თეორია.....	224
II. რეალური კავშირის თეორია.....	227
III. მიზნობრივი ქონების თეორია.....	228
IV. იურიდიული პირის შესახებ თეორიების გავრცელება.....	228
<b>§ 21. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა.....</b>	<b>230</b>
I. კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობა.....	230
II. საჯარო სამართლის იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობა.....	234

§ 22. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა და იურიდიული პირის წარმოშობა.....	237
§ 23. იურიდიული პირის სახეები.....	242
I. ზოგადი დებულებანი .....	242
II. კერძო სამართლის იურიდიული პირები.....	244
III. საჯარო სამართლის იურიდიული პირები .....	246
§ 24. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები .....	252
I. ზოგადი დებულებანი .....	252
II. დაფუძნება.....	253
1. სახელწოდება.....	254
2. იურიდიული მისამართი.....	255
3. საქმიანობის მიზანი .....	256
4. პირადი მონაცემები და მონაცემები იურიდიული პირის ორგანოების შესახებ .....	257
5. სადამფუძნებლო დოკუმენტების ფორმა .....	258
III. რეგისტრაცია და რეგისტრის სისწორის პრეზუმფცია.....	259
1. რეგისტრაციის კონსტიტუტიური მნიშვნელობა .....	259
2. რეგისტრის მონაცემთა საჯაროობა. მათი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია .....	260
3. რეგისტრაციის გაუქმება .....	262
III. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა .....	263
IV. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება .....	265
V. არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა.....	266
§ 25. კომერციული იურიდიული პირები.....	269

თავი მეშვიდე.

არაიურიდიული პირი გაერთიანებები სამოქალაქო სამართალში

§ 26. არაიურიდიული პირი კორპორაციები.....	278
I. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა).....	278
1. გამოყენების სფერო .....	278
2. ცნება.....	280
3. ამხანაგობის ხელშეკრულება.....	281
ა. შესატანი .....	282
ბ. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.....	283
გ. შემოსავლების განაწილება და შიდა პასუხისმგებლობა.....	284
დ. უარი და ამხანაგობიდან გასვლა.....	285
4. კანონის იმპერატიული წესები.....	285
II. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) .....	286
1. ცნება და გამოყენების სფერო .....	286
2. ქონება და პასუხისმგებლობა.....	287
3. განსხვავება ამხანაგობისაგან.....	288

ნაწილი მესამე. გარიგებანი

თავი მერვე. მოძღვრება გარიგებებზე

§ 27. ცნება და მნიშვნელობა.....	290
I. ზოგადი დებულებანი .....	290
1. გარიგება და კერძო ავტონომია .....	290
2. გარიგება როგორც კერძო სამართლის უზოგადესი ცნება.....	292
3. გარიგება როგორც ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.....	294
4. გარიგების განსხვავება სხვა მსგავსი ქმედებებისგან.....	296
§ 28. გარიგების სახეები.....	298

I. ცალმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები.....	298
1. ცალმხრივი გარიგებები.....	298
2. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები.....	302
II. ვალდებულებითი, სანიეთო (ქონებრივი), საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივი გარიგებები.....	306
III. მავალდებულებელი და განკარგვითი .....	307
IV. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები.....	310
V. სასყიდლიანი (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო)გარიგებანი.....	314
VI. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია.....	315

**§ 29. ნების გამოვლენა და მისი განმარტება..... 316**

I. ნების გამოვლენის ცნება და მნიშვნელობა.....	316
II. ნების გამოვლენის განმარტების ცნება და მნიშვნელობა.....	320
III. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობა განმარტებისას.....	325
IV. ნების გამოვლენები, რომლებიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი.....	327
V. ანდერძის განმარტების თავისებურებანი.....	328
VI. კანონის ნორმათა როლი ბუნდოვანი ნების გამოვლენის განმარტებისას.....	329
VII. დუმილი და სხვა კონკლუდენტური მოქმედებები, როგორც ნების გამოვლენა.....	331

**§ 30. გარიგების ფორმა..... 335**

I. გარიგების ფორმის ცნება .....	335
1. გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი.....	335
2. გარიგების ფორმის ფუნქციები.....	336
II. გარიგების ფორმის სახეები.....	339
1. ზეპირი ფორმა .....	339

2. კანონით განსაზღვრული წერილობითი ფორმა.....	340
ა. ხელმოწერა, როგორც წერილობითი ფორმა.....	340
ბ. ბლანკეტური ხელმოწერა.....	342
3. გარიგებით განსაზღვრული წერილობითი ფორმა.....	344
4. გარიგების სანოტარო ფორმა.....	344
5. ენა, როგორც გარიგების გამოხატვის ფორმა.....	346
6. სხვა ფორმები.....	347
III. გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები.....	348
§ 31. დაუშვებელი გარიგებები.....	351
I. კანონსაწინააღმდეგო გარიგებები.....	351
II. ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებები.....	354
III. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები.....	357
§ 32. მოძღვრება ნების ნაკლის შესახებ.....	360
I. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ანუ კანონის გვერდის ახვევით დადებული გარიგებანი.....	361
II. არასერიოზულად განხორციელებული ნების გამოვლენა.....	364
III. შეცდომით დადებული გარიგებები.....	365
1. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში.....	367
2. შეცდომა გარიგების შინაარსში.....	368
3. შეცდომა გარიგების საფუძვლებში.....	369
4. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში.....	370
5. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში.....	371
6. შეცდომა უფლებაში.....	372
7. შეცდომა მოტივში.....	373
8. შეცდომის გამო გარიგების შეცილების წინაპირობები.....	374

IV. მოტყუებით დადებული გარიგებანი.....	376
1. ცნება და გამოყენების წინაპირობები .....	376
2. შეცილების პირობები.....	379
V. იძულებით დადებული გარიგებანი.....	380
<b>§ 33. იურიდიული ძალის არმქონე გარიგებანი.....</b>	<b>385</b>
I. ბათილი გარიგებანი .....	385
1. ზოგადი მიმოხილვა.....	385
2. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი.....	386
3. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი .....	389
4. მერყევად ბათილი გარიგებანი.....	392
II. საცილო გარიგებანი.....	393
1. ცნება და მნიშვნელობა.....	393
2. შეცილება, როგორც ცალმხრივი გარიგება.....	394
3. შეცილების სამართლებრივი შედეგები .....	398
4. ფარდობითად ბათილი გარიგება.....	399
III. ბათილი გარიგების კონვერსია.....	399
<b>§ 34. თანხმობა გარიგებებში.....</b>	<b>401</b>
I. ცნება და გამოყენების წინაპირობები.....	401
II. თანხმობა როგორც გარიგება.....	403
III. თანხმობის ფორმები.....	406
1. ნებართვა .....	406
2. მოწონება.....	407
IV. განკარგვები, რომლებიც საჭიროებენ თანხმობას .....	408
<b>§ 35. პირობითი გარიგებანი.....</b>	<b>410</b>
I. ცნება და ზოგადი დახასიათება.....	410
1. ზოგადი მიმოხილვა.....	410
2. პირობათა სახეები.....	412

3. პირობა და წინაპირობა .....	415
4. პირობის ნამდვილობა.....	416
II. ვადები პირობით გარიგებებში .....	419

**თავი მეცხრე. წარმომადგენლობა**

§ 36. წარმომადგენლობა გარიგებებში.....	421
I. ცნება და დახასიათება.....	421
II. წარმომადგენლობის სოციალური ფუნქცია .....	422
III. წარმომადგენლობის განსხვავება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან .....	427
IV. ინტერესთა თანაფარდობა წარმომადგენლობისას.....	429
V. წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობები .....	430
1. წარმომადგენლობის დასაშვებობა .....	430
2. ნების გამოხატვა წარმოდგენილი პირის სახელით .....	431
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა .....	432
VI. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.....	433
VII. ინტერესთა კონფლიქტი, ე.წ. თვითკონტრაპირების აკრძალვა.....	435
VIII. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე .....	436
ლიტერატურა.....	439
საძიებელი.....	459



# ნაწილი პირველი შესავალი დებულებანი

## თავი პირველი სამოქალაქო სამართლის ცნება და მნიშვნელობა

### §1. სამოქალაქო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში

#### I. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო

##### 1. კერძო და საჯარო სამართალი

კონტინენტური ევროპის სამართალი, რომელსაც ქართული სამართალიც განეკუთვნება,<sup>1</sup> სამართალს ორ ნაწილად ჰყოფს – კერძო და საჯარო სამართლად.<sup>2</sup>

სამართლის ის ნაწილი, რომელიც კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, იწოდება **კერძო სამართლად**. ამ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს პირთა თავისუფალი ნების გამოვლენა და სხვა

<sup>1</sup> კონტინენტური ევროპის სამართალში ქართული სამართლის ადგილის შესახებ ნახეთ: ჯორენაძე სერგო, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, წიგნში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994, ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005 წ. ასევე საყურადღებოა მისივე „სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში“, ჟურნალი „სამართალი“, 1996 №5-6, გვ. 54-61 და ა.შ.

<sup>2</sup> ამ დაყოფისა და საჯარო თუ კერძო სამართლის გამოჯენის თეორიების შესახებ ნახეთ: ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ., 1997 წ. გვ. 40-47 (შემდგომში: ჭანტურია, შესავალი..).

პირებთან ურთიერთობის დამყარების სურვილი. ამ მოვლენას კერძო ავტონომია ეწოდება და იგი საკუთრების უფლებასთან ერთად კერძო სამართლის ფუნდამენტს წარმოადგენს. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მაგალითებია ნასყიდობა, ჩუქება, ქირავნობა და სხვა მათი მსგავსი ხელშეკრულებები, დაქორწინება, ანდერძი და ა.შ. ამგვარი ურთიერთობები ცხოვრებაში ბევრია და, მიუხედავად იმისა, კანონი მათ ითვალისწინებს თუ არა, ისინი არსებობენ და მილიონობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანამდევნი არიან.

სამართლის მეორე ნაწილი ისეთ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლებიც არა კერძო ავტონომიის საფუძველზე წარმოიშობა, არამედ სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელებისას პირთა სუბორდინაციული დაქვემდებარების ნიადაგზე. ამ ურთიერთობის წარმოშობა უმთავრესად დამოკიდებულია ერთი პირის, როგორც წესი, სახელმწიფოს ან მისი ორგანოების ნებაზე. სამართლის ამ ნაწილს საჯარო სამართალი ჰქვია. იგი სახელმწიფოსათვის აუცილებელ ურთიერთობებში სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მონაწილეობის წინაპირობებსა თუ წესებს განსაზღვრავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის სახელმწიფოსთვის დაწერილი (შექმნილი) სამართალი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო და მისი ორგანოები ქვეყნის კონსტიტუციითა თუ სხვა კანონებით დაკისრებულ მოვალეობებს აღასრულებენ. სამშენებლო ნებართვებისა თუ სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიების გაცემა, სამართალდამრღვევი პირის დაკავება, ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება და ა.შ. საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების მაგალითებია.

ზემოთ აღნიშნული განსხვავება კერძო და საჯარო სამართალს შორის, მართალია, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კერძო სამართალში არ არსებობს სუბორდინაციული ურთიერთობები, მაგალითად, საკორპორაციო სამართალში ურთიერთობა კორპორაციის პარტნიორებსა და მართვის ორგანოებს შორის ანდა საოჯახო სამართალში ურთიერთობა შვილებსა და მშობლებს შო-

რის და ა.შ. საჯარო სამართალშიც გვხვდება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები. მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულებები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ანდა ხელშეკრულებები ცალკეულ სამინისტროებსა თუ რეგიონებს შორის.

მართალია, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად კონტინენტური ევროპის სამართლის მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება,<sup>3</sup> ის პოზიტიურ-სამართლებრივ ინსტიტუტს არ წარმოადგენს<sup>4</sup> და უფრო მეცნიერულ კატეგორიად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, ამ დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს და კანონმდებელი ცდილობს ცალკეული კანონების შემუშავებისას ტრადიციის ერთგული დარჩეს და მას ანგარიში გაუწიოს.

## 2. სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფერო

სამოქალაქო სამართლის ცნება და მისი რეგულირების სფერო ზოგადად განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლში, რომლის თანახმად სამოქალაქო სამართალი „აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.

ბუნებრივია, რომ სამოქალაქო სამართლისა და მისი რეგულირების საგნის სამოქალაქო კოდექსისეული დეფინიცია არ არის ამომწურავი და ყოვლის მომცველი, მაგრამ იგი შეიცავს უმნიშვნელოვანეს დებულებებს, რომლებიც კერძო სამართლის და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის ბუნებას განსაზღვრავენ.

<sup>3</sup> ამგვარ დაყოფას არ იცნობს საერთო სამართლის, ე.ი. ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემა. ასევე არ იცნობდა მას საბჭოთა სამართალი. თუ საერთო სამართლის შემთხვევაში ეს პრეცედენტული სამართლის ტრადიციებს უკავშირდება და ამ ტრადიციებით აიხსნება, საბჭოთა სამართლის მიდგომას საფუძველად ეძღო კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც არაფერს კერძოს არ ცნობდა.

<sup>4</sup> პოზიტიურ-სამართლებრივი ნიშნავს სამართლით, კანონით დადგენილ ქცევის წესებს.

### ა. პირთა თანასწორობა

სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობები პირთა თანასწორობაზე უნდა იყოს დამყარებული. პირველ რიგში აქ საუბარია ნების თავისუფალი გამოვლენისა და ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობაზე. თუ ურთიერთობის წარმოშობა ერთი პირის ბრძანებით ან მისი დიქტატით ხდება, მაშინ სამოქალაქო სამართალი ამ ურთიერთობას ვერ მოაწესრიგებს. პირთა თანასწორობა არსებითად კერძო ავტონომიის სინონიმია.

### ბ. კერძო ურთიერთობები

სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს კერძო ხასიათის ურთიერთობებს. ფართო გაგებით, კანონით მოწესრიგებული ურთიერთობები ყოველთვის გულისხმობს სახელმწიფოს ინტერესს ამ ურთიერთობათა მიმართ და ამ თვალსაზრისით მათი მიჩნევა „კერძოდ“ შეიძლება საეჭვოდ მოგვეჩვენოს. მაგალითად, მშობლების მოვალეობა იზრუნონ შვილებზე და მათ ნორმალურ აღზრდაზე შეუძლებელია მხოლოდ კერძო ხასიათის ურთიერთობად ჩაითვალოს. კანონს ამით მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ სამოქალაქო კოდექსი კერძოსამართლებრივ, ე.ი. კერძო პირებს, ინდივიდებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამ დებულებით კოდექსი გაემიჯნა საჯარო სამართალს და აქცენტი გააკეთა კერძო ავტონომიაზე. სამოქალაქო სამართალი – ეს არის კერძო პირთა ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო მონაწილეობს ამ ურთიერთობებში, ის ითვლება კერძო პირად და პოლიტიკური სუვერენის უფლებამოსილებებს საჯარო სამართალში ტოვებს.

### გ. ქონებრივი ურთიერთობები

სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების უმეტესობა ქონებრივი ხასიათისაა. ეს ურთიერთობები წარმოიშობა

ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, ქონებრივი სიკეთე მატერიალურია თუ არამატერიალური. ქონებრივი ურთიერთობები წარმოიშობა საჯარო სამართალშიც, მაგალითად, სახელმწიფოს საბიუჯეტო ურთიერთობები, მაგრამ მათ სამოქალაქო სამართლის საგნად კვალიფიკაციისთვის აკლიათ ზემოთ უკვე განხილული კერძო ხასიათი და პირთა თანასწორუფლებიანობა. და პირიქით, თუკი სახელმწიფო იყენებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ წესებსა და ურთიერთობათა სტანდარტებს, მაშინ, მიუხედავად სახელმწიფოს მონაწილეობისა, ეს ურთიერთობები იქნება კერძოსამართლებრივი. მაგალითად, სახელმწიფო, რომელიც ავტომატურად იძენს სამსახურებრივ ავტომანქანას, დებს ჩვეულებრივ ნასყიდობის ხელშეკრულებას ისევე, როგორც ამას გააკეთებდა ნებისმიერი კერძო პირი. მაგრამ სახელმწიფოს მიერ ამ ავტომანქანის შეძენის გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენს საჯარო სამართალს და მასზე სამოქალაქო კოდექსის ნორმები არ ვრცელდება.<sup>5</sup> ანალოგიურად უნდა შევაფასოთ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული ურთიერთობებიც. გადაწყვეტილება პრივატიზაციის შესახებ და ამ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა წარმოადგენს საჯარო სამართალს, მაშინ როცა ამ ქონების მიყიდვა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებით ფორმდება.<sup>6</sup>

<sup>5</sup> ეს ურთიერთობები რეგულირდება კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც საჯარო სამართლის კანონს წარმოადგენს.

<sup>6</sup> პრივატიზაციის ხელშეკრულების შეფასებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ამ შეფასებისას სასამართლო ეყრდნობოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტში მოცემული „ადმინისტრაციული გარიგების“ დეფინიციას, რომელიც არ ეოფილა უდავო. სასამართლოს აზრით პრივატიზაციის ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებას და სახელშეკრულებო დავა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა განეხილა: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 10 ოქტომბრის №3კ/332-01 და №3კ/554-01 განჩინებები. ამ განჩინებათა კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე დავით*, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002, გვ. 160-161.

## დ. საოჯახო ურთიერთობები

პირველი მუხლი ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო კოდექსი საოჯახო ურთიერთობებსაც აწესრიგებს. თავისი ბუნებით საოჯახო ურთიერთობები შეიძლება იყოს პირადიც და ქონებრივიც.<sup>7</sup> ამიტომ მათი ცალკე გამოყოფა შესაძლოა უცნაურადაც კი ჩანდეს.<sup>8</sup> მაგრამ ამით კოდექსმა საგანგებოდ გაამაზვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ საქართველომ დაარღვია 70 წლიანი საბჭოთა ტრადიცია საოჯახო სამართლის ცალკე საკანონმდებლო რეგულირებისა და იგი სამოქალაქო კოდექსს „დაუბრუნა“, როგორც ეს მიღებულია ტრადიციული სამოქალაქო კოდიფიკაციის ქვეყნებში.<sup>9</sup>

## ე. პირადი ურთიერთობები

სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობათა ჩამონათვალი სრულდება პირადი ურთიერთობებით.<sup>10</sup> მათში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება სახელის, პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და ა.შ. დაცვა. პირად ურთიერთობებს განეკუთვნება

<sup>7</sup> შენგელია რომან, საოჯახო სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, 1999; ჩიკვაშვილი შალვა, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 1999.

<sup>8</sup> მაკალითაძე, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში, რომელიც იუსტინიანეს ინსტიტუციების მიხედვით არის აგებული, პირველი წიგნი ეძღვნება საოჯახო სამართალს. ანალოგიურად არის ეს ყველა იმ სამოქალაქო კოდექსში, რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის გავლენით იქნა შემუშავებული.

<sup>9</sup> ნახეთ: ზოდუე, ევროპული კერძო სამართლის რეკვიზიტა საქართველოში, ასევე *Knieper Rolf, Chanturia Lado, Schramm Hans-Joachim*, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV, Berlin, 2010, S. 53 ff. (შემდგომში – *Knieper/Chanturia/Schramm*, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien)

<sup>10</sup> ლიტერატურაში არის მოსაზრება „პირადი უფლებების“ „პიროვნული უფლებებით“ შეცვლის თაობაზე. მაგრამ ვიდრე სამოქალაქო კოდექსი და სხვა კანონები „პირად უფლებებს“ განამტკიცებენ, მიზანშეწონილია ამ ტერმინის გამოყენება. ნებისმიერ ტერმინს შეიძლება მოეძებნოს ალტერნატივა, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მათ, რომლებიც კანონმდებლობაშია გათვალისწინებული. სხვა-ნაირად ამას შეიძლება სამართალგამოყენების პრაქტიკაში ტერმინოლოგიური გაუგებრობები მოჰყვეს. ნახეთ ამასთან დაკავშირებით: *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 წ., გვ. 131-133.

ავტორობის უფლებებიდან წარმოშობილი ურთიერთობებიც.

პირველი მუხლით გათვალისწინებულ ჩამონათვალს აქვს მხოლოდ საორიენტაციო ფუნქცია და, ცხადია, ის არ არის ამომწურავი, მაგრამ შეიცავს ყველა იმ მახასიათებელს, რითაც სამოქალაქო სამართალი და, საერთოდ, კერძო სამართალი განსხვავდება საჯარო სამართლისაგან. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია.<sup>11</sup>

## II. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრობლემა

### 1. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა

მართალია, იურიდიული მეცნიერება აღიარებს სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად, მაგრამ ერთმანეთისგან მათი გამიჯვნა ზოგიერთ სირთულესთან მაინც არის დაკავშირებული. პირველ რიგში ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ კერძო და საჯარო სამართალი არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულნი.

მრავალი ინსტიტუტი, რომელიც ადრე კერძო სამართალს განეკუთვნებოდა, შეცვლილი საზოგადოებრივი და ისტორიული პირობების კვალობაზე საჯარო შინაარსით შეივსო, რამაც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიწვია მათი გადასვლა საჯარო სამართალში. მაგალითად, იურიდიული პირის ცნება ისტორიულად კერძო სამართალში წარმოიშვა, მაგრამ დღეს ის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით საჯარო სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტიცაა.

კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის საკითხი არ არის მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის. მას მრავალი განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, განსაკუთრებით, საპროცე-

<sup>11</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა ურთიერთობათა დეტალურ ჩამონათვალზე, რომელსაც შეიცავს დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და თანაც შეიცავს ზოგიერთ უზუსტობას, რომელთაც პრაქტიკაში შეიძლება პრობლემები შექმნან.

სო სამართალში საქმეთა განსჯადობის გადაწყვეტისას. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ორ საკითხში ვლინდება: ა) რომელი სამართლის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში; ბ) რომელმა სასამართლომ (სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულმა) უნდა განიხილოს აღნიშნული დავა.<sup>12</sup> რთული საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში მეორე საკითხის გადაწყვეტა ხშირად რთულდება. ამიტომ სამოსამართლო სამართალიც განსხვავებულად უდგება ამ საკითხების დარეგულირებას. მაგალითად, წლების მანძილზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივად მისაჩვენად საკმარისად თვლიდა სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მონაწილეობას, რაც იმას იწვევდა, რომ სამოქალაქო დავებიც კი, თუკი მასში სახელმწიფო მონაწილეობდა, ადმინისტრაციულ სასამართლოს უნდა განეხილა. ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2005 წლის 25 ივნისს შეტანილი ცვლილებებით ეს მიდგომა შეიცვალა: ამჯერად მნიშვნელოვანია ის, თუ რა უფლებამოსილებებით მონაწილეობს სახელმწიფო ურთიერთობებში – თუკი საჯარო ფუნქციებს ახორციელებს, მაშინ დავა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა განიხილოს.<sup>13</sup> ამით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა მიენიჭა არა ამ ურთიერთობის მონაწილეებს (მაგალითად, სახელმწიფოს), არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას.

კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა განსხვავებული თეორიების წარმოშობის საფუძველი გახდა. მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ინტერესების, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორიები.

<sup>12</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ საქართველოში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

<sup>13</sup> პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი სახელმწიფო დებს ადმინისტრაციულ გარიგებას, მაშინ აქედან წარმოშობილი დავა უნდა განიხილოს ადმინისტრაციულმა სასამართლომ: [http://www.matsnc.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=16270](http://www.matsnc.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=16270)



## 2. ინტერესების თეორია

ინტერესების თეორიის მიხედვით, გამიჯენისათვის გადამწყვეტია ის, თუ ვისი ინტერესები სარგებლობს უპირატესობით სამართლებრივი რეგულირებისას: კერძო პირთა თუ საჯარო. ეს თეორია არ არის უდავო, რამეთუ, არცთუ იშვიათად კერძო სამართალი იცავს არა მხოლოდ კერძო პირთა, არამედ, იმავდროულად, საჯარო ინტერესებსაც, მაგალითად, მართლმსაჯულების, სამართლებრივი ურთიერთობების ადვილად გამოცნობისა და განსაზღვრის ინტერესებს (საჯარო რეესტრი, გარიგებათა ფორმის დაცვის ნორმები), სოციალური დაცვის ინტერესებს შრომის სამართალში და ა.შ. თავის მხრივ, არც საჯარო სამართალი შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით. ხშირად იგი კერძო პირთა ინტერესების დაცვასაც ემსახურება. ამ ინტერესების უზრუნველყოფისათვის ინდივიდებს აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლება.

ინტერესების თეორიის კრიტიკისას ხშირად უთითებენ შემდეგ გარემოებებზე: პირველი, მართალია, სახელმწიფო ორგანოები მოქმედებენ საჯარო ინტერესებისათვის, მაგრამ ხშირად საჯარო სამართლის ინსტიტუტებთან ერთად ისინი კერძო სამართლის ინსტიტუტებსაც იყენებენ, რისი უფლება მათ აქვთ, თუმცა ისინი ამით საჯარო ინტერესებსაც უზრუნველყოფენ. მეორე, კერძო პირებსაც შეუძლიათ კერძო სამართლის ფორმების გამოყენებით საჯარო ინტერესები დაიცვან. მაგალითად, ბევრი საქველმოქმედო ორგანიზაცია გაფორმებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით (მაგალითად, ფონდები), მაგრამ ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას და პრივილეგიებითაც სარგებლობს (უწინარეს ყოვლისა, საგადასახადო შეღავათები). მესამე, საჯარო სამართლებრივი ნორმები შეიძლება ასევე კერძო ინტერესებს ემსახურებოდეს.<sup>14</sup>

<sup>14</sup> ამ კრიტიკის მიმოხილვა ნახეთ: ჭანტურია, შესავალი, გვ. 40-47.

### 3. სუბორდინაციის თეორია

სუბორდინაციის თეორია, ინტერესების თეორიისაგან განსხვავებით, გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში და ლიტერატურაში მას ბევრი მომხრე ჰყავს. მის თანახმად, საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაქვემდებარება ურთიერთობებში, მაშინ როცა კერძო სამართალი აწესრიგებს თანასწორუფლებიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. არსებითად ეს შეხედულება სწორია, მაგრამ სუბორდინაციის თეორიაც ვერ ასახავს სრულყოფილად კერძო და საჯარო სამართალს შორის განსხვავების არსს.

მხარეთა თანასწორობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის გაფორმების სამართლებრივი საშუალება ხელშეკრულებაა. იგი მოითხოვს ყველა მონაწილის თანხმობას. ამ ურთიერთობებში შეუძლებელია, რომ ერთმა მხარემ მეორეს (ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე) რაიმე ვალდებულება დააკისროს ან უფლებები შეუზღუდოს. ურთიერთდაქვემდებარების ურთიერთობებში ეს შესაძლებელია. სახელმწიფო აკისრებს ცალკეულ პირებს საგადასახადო ვალდებულებებს, მიუხედავად მათი თანხმობისა. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ზღუდავს, მაგალითად, მიწის მესაკუთრის უფლებებს. ამგვარი ურთიერთდაქვემდებარება შესაძლებელია კერძო სამართალშიც (მაგალითად, როცა კერძო საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოების წესდებას საწესდებო კაპიტალში შესატანის გაზრდის თაობაზე). ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ურთიერთობებში არასრულწლოვანს შეიძლება შეეზღუდოს განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა. ურთიერთდაქვემდებარების ხასიათს ატარებს, გარკვეულწილად, ურთიერთობა მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის იმ აზრით, რომ მას (ე.ი. მესაკუთრეს) ცალმხრივი აქტით შეუძლია აღკვეთოს სარგებლობა (170-ე მუხლი). თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საჯარო სამართალშიც შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობები, კერძოდ, ხელშეკრულების გზით. ასე, მაგალითად, კლასიკური საერთაშორისო სამართალი (რომელიც

საჯარო სამართლის ნაწილია) თავდაპირველად წარმოიშვა როგორც თანასწორუფლებიან სუბიექტთა სამართალი.

აქედან გამომდინარე, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთდაქვემდებარება, მართალია, კერძო და საჯარო სამართლის მნიშვნელოვან თავისებურებებს გამოხატავენ, მაგრამ არ არიან საკმარისი იმის დასადგენად, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნება ესა თუ ის ურთიერთობა: კერძო თუ საჯარო სამართალს.

სუბორდინაციის თეორიის მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება ისიც, რომ იგი საერთოდ იგნორირებას უკეთებს **საჯარო სახელშეკრულებო სამართალს**. თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალში, განსაკუთრებით კი, მმართველობის ორგანოების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებები მოქალაქეებთან. ამ დროს შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, ეს ურთიერთობები საჯარო სამართალს მიეკუთვნება თუ – კერძოს. სუბორდინაციის თეორიას მთელი ურთიერთობები, არსებითად, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობებამდე დაჰყავს. ამის შედეგად, იგი ყურადღების გარეშე ტოვებს მთელ **საორგანიზაციო სამართალს** – ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის პროცესს. უეჭველია, რომ ისინი საჯარო სამართალს განეკუთვნებიან, მაგრამ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ხასიათი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული.<sup>15</sup>

#### 4. სუბიექტების თეორია

სუბიექტების თეორიის თანახმად, სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად საფუძვლად უდევს ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი, უფრო ზუსტად ის, თუ რა უფლებამოსილება აქვს ურთიერთობის მონაწილეს. თუკი ურთიერთობაში

<sup>15</sup> ორგანიზაციის თეორიის შესახებ ნახეთ: ბრეკვაძე ლაშა, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, „მერიდიანი“, 2010 წ. გვ. 9-65.

ერთი მხარე გამოდის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლად, ეს არის საჯარო სამართალი, და პირიქით, თუ საჯარო ორგანო (მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია) ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო პირი, მაშინ საქმე გვაქვს კერძო სამართალთან. მაგალითად, ადგილობრივი მმართველობის ორგანო ყიდულობს მიწის ნაკვეთს ან იღებს სესხს. ეს ურთიერთობა მიეკუთვნება კერძო სამართალს, ვინაიდან სახელმწიფო ორგანო ამ შემთხვევაში არ არის საჯარო ხელისუფლების სუბიექტი. თუ ორი სხვადასხვა მმართველობის ორგანო ერთმანეთთან დებს ხელშეკრულებას, რომელიც მიმართულია მათი საჯარო ამოცანების შესრულებისკენ, ეს ხელშეკრულება მიეკუთვნება საჯარო სამართალს.

ამგვარად, სუბიექტების თეორია გამიჯვნისათვის გადამწყვეტად მიიჩნევა იმას, თუ რა ფუნქცია აქვს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს და რა ამოცანას აღასრულებს იგი ამ ურთიერთობებში.

ვფიქრობ, სუბიექტების თეორია სწორად ხსნის კერძო და საჯარო სამართალს შორის განსხვავების ხასიათსა და შინაარსს. მთავარია არა ინტერესი (რომლის გამიჯვნა ხშირად რთულია), არა სუბორდინაცია (რომლის გარკვევა ასევე ძნელია), არამედ ის ფუნქცია, რომლის მატარებლად გამოდის სუბიექტი სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, სახელმწიფო ორგანო, რომელიც ავტომანქანას იძენს, არაფრით განსხვავდება ავტომანქანის შემძენი მოქალაქისგან. მაგრამ სახელმწიფო, რომელიც ექსპროპრიაციის გზით ართმევს მოქალაქეს საკუთრებას, ვერ განიხილება კერძო სამართლის სუბიექტად და, ცხადია, ამ დროს წარმოშობილ დავას სამოქალაქო სასამართლო ვერ განიხილავს.

## 5. სპეციალური სამართლის თეორია

სუბიექტების თეორიიდან განვითარდა ე.წ. სპეციალური სა-

მართლის თეორია,<sup>16</sup> რომლის თანახმად საჯარო სამართალი არის სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი ყველასათვის. სახელმწიფო იყენებს კერძო სამართალს, როგორც ზოგად სამართალს, თუ აუცილებელი არ არის საჯარო სამართლის, როგორც სპეციალური სამართლის, გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ საჯარო სამართალი არ კრძალავს, სახელმწიფოს შეუძლია იყოს მეწარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ზოგადი კერძო სამართალი, ე.ი. იმ შემთხვევებშიც, როცა სახელმწიფო საჯარო ამოცანებს ასრულებს, შეუძლია მას კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების გამოყენება, თუ საჯარო სამართალი პირდაპირ არ კრძალავს ამგვარ მოქმედებას. ამ კონცეფციას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით“.<sup>17</sup> საჯარო სამართალი არის სახელმწიფოს სპეციალური სამართალი, კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი.<sup>17</sup>

ფაქტობრივად სპეციალური სამართლის თეორიით მოხდა სუბიექტების თეორიის მოდიფიცირება და იგი გაბატონებულ მოსაზრებად იქცა. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო არაფრით განსხვავდება სხვა სუბიექტებისაგან. იგი ჩვეულებრივი მეწარმეა. ამიტომ ეს ურთიერთობები კერძო სამართლით რეგულირდება. საჯარო ურთიერთობებში სახელმწიფო საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელია და აქ მოქმედებს საჯარო სამართლის ნორმები,

<sup>16</sup> მაგალითად გერმანულ საბროცესო სამართალში, *Liike Wolfgang, Zivilprozessrecht, 9. Aufl. Beck, München, 2006, Rn. 52* (შემდგომში - *Liike, Zivilprozessrecht*).

<sup>17</sup> გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ამ საკითხზე ნახეთ: *Liike, Zivilprozessrecht, Rn. 52*.

3. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ე.ი. გადაწყვეტია ის, თუ რა ფუნქციით არიან სუბიექტები ამ ურთიერთობებში აღჭურვილნი (სუბიექტების თეორია) და მოითხოვს თუ არა ეს საჯაროსამართლებრივ რეგულირებას (სპეციალური სამართლის თეორია). იგივე თეორიას განამტკიცებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.<sup>18</sup>

### III. კერძო სამართლის სისტემა

სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ნაწილია. მაგრამ კერძო სამართალი არ ამოიწურება მხოლოდ სამოქალაქო სამართლით.

კერძო სამართლის შიგნით უნდა განვასხვავოთ სამოქალაქო სამართალი, როგორც **ზოგადი კერძო სამართალი**,<sup>19</sup> და კერძო სამართლის **სპეციალური დარგები**<sup>20</sup>. ადრე ცნებები „სამოქალაქო სამართალი“ და „კერძო სამართალი“ სინონიმებად იხმარებოდა. დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი პროცესების განვითარების შედეგად, ჩამოყალიბდა სამართლის სპეციალური დარგები. ამის გამო დღეს სამოქალაქო სამართალს მიიჩნევენ ზოგად კერძო სამართლად სპეციალური კერძო სამართლის მიმართ.<sup>21</sup>

<sup>18</sup> ნახეთ: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი.

<sup>19</sup> დებულება, რომ სამოქალაქო სამართალი ზოგად კერძო სამართალს წარმოადგენს, განმტკიცებულია ასევე უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკაში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეებზე (შემდგომში - სუსგ სამოქ.), 1/2008, გვ. 20.

<sup>20</sup> დარგის ცნება აქ გამოიყენება უფრო ფართო გაგებით, ვიდრე ეს საბჭოთა სამართალში იყო აღიარებული. მასში იგულისხმება ნორმათა ერთობლიობა, რომელიც სამართლის ინსტიტუტზე უფრო მეტია და აქვს პრეტენზია ცალკე განიხილებოდეს. სამართლის სისტემის დარგებად დაყოფის საკითხი ცალკე პრობლემაა და აქ მას არ შეეხება.

<sup>21</sup> სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 20. ეს მოსაზრება, რომელიც განმტკიცებულია გერმანულ სამართალში, სამართლიანად იქნა გადმოტანილი ქართულ სამართალში. მის სამართლებრივ საფუძველს იძლევა როგორც სამოქალაქო კოდექსი, ისე კერძო სამართლის სხვა კანონები. ამიტომ უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, რომელიც შრომის დავების მიმართ სამოქალაქო კოდექსის დებულებების გამოყენებას ეხება,

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული ნორმები და ინსტიტუტები არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრივ სამოქალაქო სამართლით და ვრცელდება კერძო სამართლის სხვა დარგებზეც. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა გარიგებანი, ვადები და ხანდაზმულობა, იურიდიული პირები, გამოიყენება საკორპორაციო სამართალშიც.

კერძო სამართლის სპეციალურ დარგებს განეკუთვნება: მეწარმეთა,<sup>22</sup> ინტელექტუალური საკუთრების,<sup>23</sup> შრომისა<sup>24</sup> და საკორპორაციო სამართალი.<sup>25</sup>

კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია საკორპორაციო სამართალი.<sup>26</sup> იგი არის პირთა კერძოსამართლებრივი გაერთიანებების მომწესრიგებელ სამართლის ნორმათა ერთობლიობა. ეს გაერთიანებები შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული ისე არაიურიდიული პირები, მაგალითად, არარეგისტრირებული კავშირი ან ამხანაგობა.

საავტორო, საპატენტო და მათი მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ასევე შეადგენენ სპეციალური კერძო

---

მართებულია. გერმანულ სამართალში ამასთან დაკავშირებით ნახეთ: *Rüthers Bernd, Stadler Astrid, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., Beck, München, 2009, Rn. 2 ff.* (შემდგომში - *Rüthers/Stadler, Allgemeiner Teil des BGB*)

<sup>22</sup> *ქოქრაშვილი ქეთევან*, სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2001 წ.

<sup>23</sup> *მაშუკაშვილი დავით*, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, „სანი“, 2003 წ., *ჯორბენაძე სანდრო*, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, „სამართალი“, 1998 წ.

<sup>24</sup> *კახაძე მაყვალა*, შრომის სამართალი, წიგნში ქართული სამართლის საფუძვლები, თბილისი, „მერიდიანი“, 2001 წ. გვ. 264-310.

<sup>25</sup> *ჭანტურია ლადო*, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 32-55. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

<sup>26</sup> *ბურდული ირაკლი*, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, „მერიდიანი“, 2010 წ., *ლაზარაშვილი ლალი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2003 წ., *შენგელია ეკატერინე*, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, „მერიდიანი“, 2002 წ. და ა.შ.

სამართლის ნაწილებს. საავტორო სამართალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისა და მიღებისას მთლიანად შევიდა მასში ცალკე წიგნად, მაგრამ მოგვიანებით მიღებულ იქნა კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ<sup>27</sup> და საავტორო სამართალი სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა. ასევე ცალკე კანონებით არის მოწესრიგებული ინტელექტუალური საკუთრების მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი – **სამრეწველო საკუთრება**.<sup>28</sup>

**შრომის სამართალი**, რომელიც ისტორიულად სამოქალაქო სამართლის ნაწილი იყო, სოციალური განვითარების შედეგად ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. თავდაპირველად შრომითი ურთიერთობები ნარდობის ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. დღეს ამ სფეროს ცალკე კანონი – შრომის კოდექსი აწესრიგებს, თუმცა სახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობების მიმართ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სახელშეკრულებო სამართლის ნორმები მთლიანად გამოიყენება.<sup>29</sup> ეს დებულება კიდევ უფრო გამყარდა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით.<sup>30</sup>

კერძო სამართლის ნაწილია ასევე **გაკოტრების სამართალი**. გაკოტრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები საქართველოში მოწესრიგებულია კანონით გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ.<sup>31</sup>

**საერთაშორისო კერძო სამართალი** მოწესრიგებული ურთიერთობები ასევე კერძოსამართლებრივია და ამიტომაც განეკუთვნება კერძო სამართალს.<sup>32</sup>

<sup>27</sup> *ძაშუკაშვილი დავით, შენგელია რომან, გაბუნია დავით, ზრუსტალი ვალერი, ჯორბენაძე სანდრო*, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003

<sup>28</sup> *ძაშუკაშვილი დავით*, სამრეწველო საკუთრება, კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, II, თბილისი, „უფლება“, 1998 წ

<sup>29</sup> შრომის კოდექსი პირდაპირ უთითებს ამგვარ კავშირზე პირველი მუხლის მეორე ნაწილში.

<sup>30</sup> სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 20.

<sup>31</sup> ამის თაობაზე ნახეთ: *მიგრიაული როინ*, შესავალი გაკოტრების სამართალში. დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006 წ.

<sup>32</sup> ნახეთ: *ლილუაშვილი თენგიზ*, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, „ჯი-



სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ბირთვია. იგი განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც ყველა სხვა კერძოსამართლებრივ დარგში გამოიყენება. მათ რიგს განეკუთვნება პირები, გარიგებები, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება, საკუთრების შექმნა, უფლებები მიწის ნაკვეთზე და ა.შ.

#### IV. საჯარო სამართლის სისტემა

საჯარო სამართალს განეკუთვნება: სახელმწიფო, კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო, სისხლისა და საპროცესო სამართალი.<sup>33</sup> ამ დარგებში მქლავდება საჯარო სამართლის უმთავრესი პრინციპი - სუბორდინაცია.

საჯარო სამართლის დარგებიდან მოცულობითა და საზოგადოებაში შესრულებული როლით, სახელმწიფო სამართლის შემდეგ, განსაკუთრებული ადგილი უკავია ადმინისტრაციულ სამართალს, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს შეადგენს: საპოლიციო, საპასპორტო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, გარემოს დაცვის, საგზაო, კომუნალური, სამოხელეო სამართალი და ა.შ. აქვე შემოდის საჯარო ეკონომიკური სამართალიც.

საგადასახადო სამართალი საჯარო სამართლის სპეციალური დარგია. ფართო გაგებით, იგი შეიძლება ადმინისტრაციული სამართლის ნაწილად ჩაითვალოს. ის განსაზღვრავს მოქალაქეთა საგადასახადო ვალდებულებებს და სახელმწიფოს საგადასახადო უფლებების განხორციელების საკითხებს. საგადასახადო სამართლისაგან განსხვავებით, საფინანსო სამართალი აწესრიგებს გადასახადთა განაწილებას, საბიუჯეტო სამართალი კი - გადასახადების გამოყენებას. საგადასახადო სამართლის ძირითადი პრინციპია ურთიერთდაქვემდებარება.

სიაი“, 2001 წ., გამყრელიძე სულხან, საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, პირველი წიგნი, თბილისი, 2000 წ., გაბისონია ზვიად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2006 წ.

<sup>33</sup> არც საჯარო სამართლის დარგების ეს ჩამონათვალია ამომწურავი.

საჯარო სამართალს მიეკუთვნება აგრეთვე **სისხლის სამართალიც**. იგი არეგულირებს სახელმწიფოს რეპრესიული უფლებების წარმოშობას (მატერიალური სისხლის სამართალი) და მის განხორციელებას (ფორმალური სისხლის სამართალი: **სისხლის სამართლის პროცესი**). სისხლის სამართლის კუთვნილებას საჯარო სამართლისადმი ის განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ე.წ. დასჯის მონოპოლია, ბრალდების მონოპოლია კი - მხოლოდ პროკურატურას.

**სასამართლო წყობილებისა და საპროცესო სამართალიც საჯარო სამართალია**. მართლმსაჯულება სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლოების მეშვეობით ხორციელდება. მათი სისტემა და ორგანიზაცია ნაწილობრივ კონსტიტუციითაა განსაზღვრული, ნაწილობრივ კი სპეციალური კანონებით, მაგალითად, კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ან კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. აქედან გამომდინარე, თუკი სამოქალაქო სამართალი კერძო სამართალია, სამოქალაქო საპროცესო სამართალი - საჯარო სამართალს განეკუთვნება.<sup>34</sup>

საჯარო სამართლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **საერთაშორისო სამართალს**.

დაბოლოს, საჯარო სამართლის ნაწილია **საეკლესიო სამართალი**. იგი არის სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ეკლესიასა და მის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

<sup>34</sup> *ძლიერიშვილი ზურაბ*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, წიგნში: ქართული სამართლის საფუძვლები, 2000 წ. გვ. 187-224.

## § 2. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია და განვითარება საქართველოში

### I. როგორ იქმნებოდა სამოქალაქო კოდექსი

1997 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი.<sup>35</sup> საქართველოს ისტორიისთვის ამ უპრეცედენტო მოვლენას წინ მრავალი წლის თავდადებული შრომა უძღოდა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, იუსტიციის სამინისტროს დიდი მხარდაჭერით მიმდინარეობდა და პარლამენტში ერთწლიანი გულმოდგინე განხილვის შედეგად დასრულდა.<sup>36</sup> საქართველომ თავის ისტორიაში პირველად მიიღო სამოქალაქო კანონი, რომელიც დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ცივილისტიკის მიღწევებს იზიარებდა და კერძო საკუთრებასა თუ ხელშეკრულების თავისუფლებაზე დაფუძნებული ახალი საზოგადოების სამართლებრივ ფუნდამენტს განამტკიცებდა.

სამოქალაქო კოდექსის პროექტზე მომუშავე იურისტებისთვის სამოქალაქო კოდექსი არ იყო მხოლოდ კანონი. იგი მიიჩნეოდა იმ ახალი ეპოქის დასაწყისად, რომელზეც მრავალი თაობის ქართველი იურისტები ოცნებობდნენ.<sup>37</sup> კოდექსი უნდა ყოფილიყო ის ხიდი, რომელსაც საქართველო დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან უნდა დაეკავშირებინა და რომლითაც განვითარებული

<sup>35</sup> პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1.

<sup>36</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორია ნახეთ: ზოიძე ბესარიონ, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-1, გვ. 86-114; მისივე „ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში“, და „სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში“ ჟურნალი „სამართალი“, 1996 №5-6, გვ. 54-61.

<sup>37</sup> ჯორბენაძე სერგო, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. წიგნში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994. გვ. 139.

სამართლებრივი კულტურა საქართველოშიც უნდა შემოსულიყო, რაც მნიშვნელოვანწილად მოხდა კიდეც.<sup>38</sup> დღეს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველო დასავლური ორიენტაციის ქვეყანაა.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც კერძო საკუთრებას, სამეწარმეო საქმიანობისა და ხელშეკრულების თავისუფლებას აღიარებს. შემთხვევით არ უწოდებენ მას ეკონომიკური ცხოვრების კონსტიტუციასაც. თუმცა მისი დანიშნულება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრების მოწყობა. ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ 1991 წელს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა, შეიქმნა სამოქალაქო კოდექსის შემუშავებელი სამთავრობო კომისია. მას ყოველთვის წყალობდა ბედი, რადგან ყველა იუსტიციის მინისტრი, რომელიც საქართველოს იმ წლებში ჰყავდა, ერთხმად და უდავოდ აღიარებდა სამოქალაქო კოდექსის გამორჩეულად დიდ მნიშვნელობას ქვეყნისთვის.<sup>39</sup>

სამოქალაქო კოდექსის შექმნის აუცილებლობა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც იქნა დანახული. ამ საქმეში ინიციატივა რუსეთმა აიღო ხელში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში შექმნილმა კერძო სამართლის ცენტრმა პროფესორ ალექსანდრე მაკოვსკის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა დსთ-ის მოდელურ

<sup>38</sup> ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან დღემდე მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება დასავლეთის ქვეყნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანია.

<sup>39</sup> სამოქალაქო კოდექსის შემუშავებელ კომისიას იუსტიციის სამ მინისტრთან მოუწია მუშაობა: *ჯონი ხეკურიანი, კოტე კემულარია, თელო ნინიძე*. მუშაობა კოდექსზე დაიწყო *ჯონი ხეკურიანის* და დასრულდა *თელო ნინიძის* მინისტრობის დროს. ამ უკანასკნელმა წარადგინა 1996 წელს სამოქალაქო კოდექსის საბოლოო პროექტი ჯერ მთავრობაში, ხოლო შემდეგ კი – პარლამენტში. ბატონი თელო იხსენებდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის *ელუარდ შევარდნაძის* რეაქციას, როცა იუსტიციის მინისტრმა მას წარუდგინა დაახლოებით 600-გვერდიანი სამოქალაქო კოდექსი. „ამით ალბათ საბოლოოდ დავემშვიდობეთ საბჭოთა სამართალს“ – იყო *შევარდნაძის* შეფასება.

სამოქალაქო კოდექსზე. ამ კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის თაობაზე მიწვევა საქართველომაც მიიღო.<sup>40</sup>

იმავე პერიოდში ჩაყარა საფუძველი გერმანულ კოლეგებთან თანამშრომლობას, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს დიდი მეგობარი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი როლფ კნიპერი.<sup>41</sup> ამ თანამშრომლობის შედეგად საქართველოში პრაქტიკულად შეიქმნა და განვითარდა ახალი სამართალი.<sup>42</sup>

არჩევანი უნდა გაკეთებულიყო დსთ-ის მოდელური კოდექსის შემუშავებულ ვერსიაში მონაწილეობასა, რომელშიც უმთავრესად საბჭოთა ცივილისტები შედიოდნენ, და გერმანელებთან თანამშრომლობას შორის, რომლებიც კლასიკური სამოქალაქო სამართლის ქვეყნის ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი. გადამწყვეტი სიტყვა ამ არჩევანში თქვა სერგო ჯორბენაძემ. მისი არჩევანი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სწორი იყო.<sup>43</sup>

<sup>40</sup> გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მრავლად იყვნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე მეცნიერები, რომლებიც სწორედ დსთ-ის მოდელური კოდექსის მიღებას უჭერდნენ მხარს. ამ დისკუსიის თაობაზე ნახეთ: *Лето Чаштурия, Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. Пути к новому праву. Материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. Берлин, 1998. С. 35-47*; მისივე *Преобразование законодотворческого хаоса - важная задача правовой реформы. Материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. Берлин, 1998. С. 157-158.*

<sup>41</sup> როლფ კნიპერს არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კანონების მიღებაში მიუძღვის დიდი წვლილი. განუზომელია მისი დამსახურება იმაში, რომ ქართველ ახალგაზრდა იურისტებს გერმანიაში განათლების შესაძლებლობა მიეცათ. ამ ღვაწლისთვის იგი ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა (პირველი იურისტი საპატიო დოქტორი), ხოლო მოგვიანებით კი - საქართველოს საპატიო მოქალაქე (2001 წელს).

<sup>42</sup> გერმანელი იურისტების მოღვაწეობა საქართველოში უდავოდ იმსახურებს ცალკე გამოკვლევას. ამის გაკეთება ქართველი იურისტების საპატიო მოვალეობასაც კი წარმოადგენს. იმედი მაქვს, რომ ეს ასეც მოხდება.

<sup>43</sup> ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ საბჭოთა სამართლის რელიქტები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ გაუქმდა, დღემდე დისკუსიების საგანია მრავალ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ, საკუთრების ფორმები, ოპერატიული მართველობისა და სრული სამეურნეო გამგებლობის დრომოჭმული ინსტიტუტები, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად, იურიდიული პირების დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და ა.შ.

ქართულ ენაზე შედგენილი სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნაწილები, რომლებიც კომისიის წევრების მიერ იყო მომზადებული, ითარგმნა გერმანულად. ამ ტექსტის ექსპერტიზის საფუძველზე გერმანელი კოლეგების მიერ შემუშავდა კოდექსის ახალი ვარიანტი, რომლის თითოეულ წინადადებასა და მუხლზე ოთხი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა მუშაობა. ეს იყო ურთულესი შრომა, რომელსაც კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ მრავალი ინსტიტუტი ქართული სამართლისთვის ჯერ კიდევ უცხო იყო. ასევე მოუმზადებელი იყო ამ ინსტიტუტებისთვის ქართული იურიდიული ენა. ამ სირთულეების კვალი დღეს უფრო იგრძნობა, ვიდრე მაშინ. ეს ბუნებრივიცაა: განვლილი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა ქართული კერძო სამართალი. სამართლის მეცნიერებამ და სასამართლო პრაქტიკამ მრავალი ისეთი პრობლემა და მოვლენა გამოიტანა სააშკარაოზე, რომელზეც მაშინ კოდექსის ავტორებს არც შეეძლოთ ფეიქრათ. ქართველ ცივილისტთა რიგები გამდიდრდა ახალი, უცხოეთში განათლებამიღებული მეცნიერებით, რომელთა პრეტენზიები კოდექსის ცალკეული ადგილების მიმართ არც თუ იშვიათად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. სამართლის მეცნიერების ამოცანაც სწორედ იმაშია, რომ დაინახოს და კრიტიკულად შეაფასოს სამართლის ნორმები, შესთავაზოს მათი სრულყოფის გზები და ა.შ. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი არის იმ ეპოქის ქმნილება, რომელშიც იგი ყალიბდებოდა და ამიტომაც ბუნებრივად ატარებს ეპოქის ნაკლსაც და ღირსებასაც. ერთი რამ ნათლად უნდა ითქვას: **სამოქალაქო კოდექსი არ დაწერილა როგორც გარდამავალი ეპოქის კანონი. იგი იქმნებოდა როგორც კანონი, რომელმაც მრავალ ათწლეულს უნდა გაუძლოს. მისთვის უცხოა ე.წ. კონიუნქტურული ნორმები, რომლებიც კონკრეტული პარტიკულარული მიზნების მისაღწევად მიიღება ხოლმე და კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ.** ეს კოდექსის უდავო დამსახურებაა და იგი მომავალშიც უნდა შენარჩუნდეს.<sup>44</sup>

<sup>44</sup> ამის გამო არ დგას დღის წესრიგში იმის აუცილებლობა, რომ სამოქალაქო კოდექსი გათავისუფლდეს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ისეთი რელიქტებისგან,

კოდექსის პროექტის ტექსტზე მუშაობა გაგრძელდა პარლამენტში.<sup>45</sup> ერთი წლის განმავლობაში მისი ყოველი წინადადება და მუხლი კიდევ ერთხელ იყო მსჯელობის საგანი.<sup>46</sup> საზგასმით აღნიშვნის ღირსია ის ერთსულოვნება, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის არსებობდა კოდექსზე მუშაობის დროს. ალბათ ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ქართული პარლამენტის ისტორიაში, როცა დეპუტატებმა ასე გულდასმით იმუშავეს კანონის ტექსტზე, მის თითოეულ მუხლზე.<sup>47</sup>

## II. სამოქალაქო კოდექსის გავლენა სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის თხუთმეტი წელი ისეთი ფუნქციონირების კანონისთვის, როგორც არის სამოქალაქო კოდექსი, ბევრს არ ნიშნავს, ამ კოდექსმა უკვე შეძლო ჩვენს საზოგადოებაში რევოლუციური სიახლეების დამკვიდრება და წარუშლელი კვალის დატოვება.<sup>48</sup> მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელება იკმარებს იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ, თუ რა ცვლი-

---

როგორცაა ოპერატიული მმართველობა, სამეურნეო გამგებლობა, კონტრაქტაცია და ა.შ., რომლებიც მრავლად მოიძებნება სხვა პოსტსაბჭოთა კოდექსებში.

<sup>45</sup> პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ხოლო მისი მოადგილე – ქალბატონო ნინო ბურჯანაძე. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა იმ სამუშაო ჯგუფს, რომელმაც ერთი წელი იმუშავა კოდექსის საბოლოო ტექსტზე.

<sup>46</sup> ამიტომაც არის განსხვავებები სამოქალაქო კოდექსის პროექტის პარლამენტში წარდგენილ ტექსტსა და კოდექსის საბოლოო ტექსტს შორის.

<sup>47</sup> ამან ასახვა კენჭისყრის შედეგებზეც პოვა: სამოქალაქო კოდექსი მიღებულ იქნა ერთხმად. ჩემს პირად არქივში ინახება სამოქალაქო კოდექსის პროექტის ის ტექსტი, რომელშიც აღნიშნულია საპარლამენტო განხილვის შედეგად მიღებული ყველა ცვლილება, ასევე კენჭისყრის შედეგები.

<sup>48</sup> 1999 წელს ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით სამოქალაქო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან კანონად იქნა მიჩნეული. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 1999, № 24.

ლებების დასაბამი გახდა სამოქალაქო კოდექსი.

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საქართველოში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის ქართველი იურისტები, რომელთა ერთმა ნაწილმა განათლება დასავლეთის ქვეყნებში მიიღო.<sup>49</sup> მათ უკვე ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ სამოქალაქო სამართალს საკუთარ სამშობლოში ახალი კოდექსის მიხედვით ზიარებოდნენ. ბევრმა მიღებული ცოდნა უცხოეთში კიდევ უფრო გაიღრმავა.<sup>50</sup> ამ თაობის იურისტებისთვის ჩვეულებრივი ამბავია პრობლემატურ დისკუსიებში მონაწილეობა და კომპეტენტური აზრის გამოთქმა იმ საკითხებზე, რომლებზეც განვითარებული სამართლის სისტემის წარმომადგენელი იურისტები მსჯელობენ.<sup>51</sup>

სამოქალაქო კოდექსმა ფუნდამენტი ჩაუყარა ქართული ცივილისტიკის განვითარებას. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი (რა თქმა უნდა, საქართველოს პირობებისთვის) პუბლიკაციები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების თაობაზე მომზადდა და გამოქვეყნდა.<sup>52</sup> ცალკე უნდა აღინიშნოს სამოქალაქო კოდექსის ექსპტომიანი კომენტარი, რომელიც პირველად მომზად-

<sup>49</sup> რაოდენობრივად და თვისობრივად გამოირჩევიან გერმანიაში ნასწავლი იურისტები. ეს ქართველი იურისტების ნიჭიერებასთან ერთად გერმანიის უაღრესად განვითარებული სამართლის მეცნიერებითა და საუნივერსიტეტო იურიდიული განათლებით აიხსნება. მე მქონდა შესაძლებლობა თვითმხილველი ვყოფილიყავი იმისა, თუ როგორი შესაშური მონღომებით მუშაობენ ასაღავზრდა ქართველი იურისტები გერმანიის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებში.

<sup>50</sup> უდავოდ აღნიშვნის ღირსია იმ უცხოური ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთაც მრავალრიცხოვანი გრანტებითა და სტიპენდიებით შეუწყვეს ხელი ქართველ იურისტებს იმაში, რომ განათლება საზღვარგარეთ მიეღოთ. მხოლოდ რამდენიმეს დასახელებული შემოვიფარგლები: DAAD, OSI, Ersasmus, Maskey და ა.შ.

<sup>51</sup> ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო დასტური იყო თბილისში საკორპორაციო სამართლის მეორე გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმზე ლიკა ქინქლადის გამოსვლა. ნახეთ: კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმის მასალები. თბილისი. 2003.

<sup>52</sup> მაგალითად, ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, „მეცნიერება“, 2003 წ., რომან შენგელია, საოჯახო სამართალი, ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი და ა.შ.



და და გამოიცა ქართული სამართლის ისტორიაში და რომელიც, მიუხედავად ხარვეზებისა (ნაწილობრივ კი მოძველებისა) მაინც იმსახურებს ქართველი იურისტების ყურადღებას.<sup>53</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაერთხელ იყო უცხოეთში შესრულებული სამეცნიერო კვლევების საგანიც.<sup>54</sup> ზოგიერთი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება კოდექსის მიმართ მის დიდ მნიშვნელობას არ აკნინებს. უცხოელმა ავტორებმაც მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები ქართულ სამოქალაქო კოდექსს.<sup>55</sup> საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო კრებულებში ქართული სამოქალაქო კოდექსიც იმსახურებდა ყურადღებას.<sup>56</sup>

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მომზადდა არაერთი სახელმძღვანელო თუ დამხმარე სახელმძღვანელო.<sup>57</sup> ამან შესაძლებე-

<sup>53</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ექვს წიგნად. გამომცემლობა „სამართალი“.

<sup>54</sup> აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებით შემოვიფარგლები: *Kupraschwili Teimuras*, Schweigen beim Vertragsabschluss. Eine rechtsvergleichende Untersuchung unter Berücksichtigung von Deutschland und Georgien. WVB. Berlin. 2006; *Kereselidze David*, Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997. Eine rechtsvergleichende Untersuchung, Peter Lang Verlag. 2004 usw.

<sup>55</sup> აქაც რამდენიმე მაგალითის დასახელებით შემოვიფარგლები: *Iris Muth*, Neues Recht zwischen Tradition und Systemwechsel: Beratung des georgischen Arbeitsrechts in der Praxis. Baden-Baden: Nomos, 2004; *Mario Pellegrino*, Postkommunismus und Zivilrecht. Das Obligationenrecht Georgiens. 1996.

<sup>56</sup> *Chanturia Lado*, Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch. In Aufbruch nach Europa. 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht. Herausgegeben von Jürgen Basedow, Ulrich Drobnig, Reinhard Ellger, Klaus J. Hopt, Hein Kötz, Rainer Kulms, Ernst-Joachim Mestmäcker. Mohr Siebeck. 2001. S.893-904; *Chanturia Lado*, The Development of Civil Law in Georgia, in Georgia in Transition King/Khubua (eds.), Frankfurt am Main, 2009, p. 1-17.

<sup>57</sup> ერთ-ერთი პირველი, ვინც დამხმარე სახელმძღვანელო შექმნა ახალი სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, იყო პროფესორი ზურაბ ახვლედიანი, რომელიც კოდექსის შემუშავებელი სარედაქციო ჯგუფის თავდადებული წევრი იყო. ზურაბ ახვლედიანს არც ერთი სამუშაო სხდომა არ გაუცდენია. იგი იყო საოცრად გამორჩეული პიროვნება, რომლის ძალიან ადრე და მოულოდნელად გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი დღემდე არ გაგვენულება. მისი „ვალდებულებითი სამართალი“ დღემდე წარმოადგენს ქართველი სტუდენტების სამაგიდო წიგნს ვალდებულებით სამართალში.

ლი გახადა სამოქალაქო კოდექსის ფართომასშტაბიანი სწავლება უნივერსიტეტებში. ეს კი აუცილებელია, რადგან სამართალი არ არის მხოლოდ კანონი. სამართალი, უწინარესად ყოვლისა, არის სამართლებრივი განმანათლებლობის პროდუქტი. თანამედროვე სამართალი შეიძლება მხოლოდ განათლებულ საზოგადოებაში მოქმედებდეს, ე.ი. ისეთ საზოგადოებაში, რომლის წევრებიც კარგად არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მისია ეკისრება იურიდიულ განათლებას. იმავდროულად აშკარად თვალშისაცემია განათლებული იურისტების გამორჩეული როლი თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო სწორედ კარგად განათლებული იურისტების წყალობით არსებობს. კანონის ნორმები შესაძლოა ბოროტადაც იქნეს გაგებული და გამოყენებული. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა იურისტების მომზადება სწორ და გამართულ მეთოდოლოგიას ეყრდნობოდეს და ჰუმანისტური ღირებულებებით იკვებებოდეს.

**სამოქალაქო კოდექსმა დიდი გავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზე.** სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებით<sup>58</sup> იურისტებისა და საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი გახდა ის, თუ როგორ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსი რეალურად. კანონის წინადადებები მხოლოდ ლიტერატურული ტექსტებია,<sup>59</sup> თუკი მათ შესაბამისი გამოყენება არ პოვეს ცხოვრებაში. ინფორმაციას კი კანონის ნორმების ცხოვრებისეული გამოყენების შესახებ სასამართლო პრაქტიკა იძლევა.<sup>60</sup> კავშირი სამართლის მეცნიერებასა

<sup>58</sup> 1999 წლიდან დაიწყო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება. ამით საქართველო იყო პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოებისთვის. არა უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული ნორმატიული დადგენილებები, არამედ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები ქმნიან სამოსამართლო სამართალს და აჩვენებენ, თუ როგორ ცხოვრობს კანონის კონკრეტული ნორმა.

<sup>59</sup> ვინაიდან იურისპრუდენციას სწორედ ტექსტებთან უწევს მუშაობა, მას ჰერმენევტიკულ მეცნიერებებს მიაკუთვნებენ. ნახეთ: ზუბუა გიორგი, სამართლის თეორია. თბ. 2004. გვ. 27.

<sup>60</sup> აქ არ უნდა მოხდეს სამართლის აღრევა სამართლის სოციოლოგიასთან, რომელსაც

და სასამართლო პრაქტიკას შორის აუცილებელია იმისთვის, რომ სამეცნიერო კვლევის შედეგები პრაქტიკისთვისაც გახდეს საინტერესო და გამოსაყენებელი.<sup>61</sup>

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მიღებული ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება სამართალშეფარდების მეთოდოლოგიის სრულყოფის თვალსაზრისითაც არის საინტერესო. სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების კონტექსტში ისინი ცალკე კვლევების საგანიც კი გახდა.<sup>62</sup> ზოგი პრობლემური საკითხი ქართული სასამართლო პრაქტიკიდან უცხოელი მოსამართლეების მსჯელობისა და პუბლიკაციის საგანიც იყო.<sup>63</sup>

სამოქალაქო კოდექსმა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო კონტაქტების, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წამოწყება და მათი ფართოდ განვითარება. მრავალი პროექტი, რომელიც სხვადასხვა სფეროში დღემდე მოქმედებს, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის მიღებასა და მის დანერგვას.<sup>64</sup> საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველი ცივილისტების სამეცნიერო ნაშრომებში აშკარად დომინირებს გერმანულენოვან სამეცნიერო ნაშრომებზე მითითება. გერმანული ცივილისტიკა დღესაც წარმო-

---

ანტერესებს ე.წ. სამართალი მოქმედებაში (Law in Action). ამის თაობაზე ნახეთ: გიორგი ზუბუა, სამართლის თეორია. თბ. 2004. გვ. 21

<sup>61</sup> მიუხედავად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გავრცელებული უარყოფითი იმიჯისა, რომელიც მოსამართლეებს და სასამართლო ხელისუფლებას საერთოდ აქვთ, აუცილებელია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სამეცნიერო კვლევებისა და კრიტიკის მუდმივი საგანი იყოს.

<sup>62</sup> ამასთან დაკავშირებით ნახეთ: ბოლინგი ჰაინ, ჭანტურია ლადო, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003.

<sup>63</sup> Bölling Hein, Recognition as an Unworthy Heir and the Deprivation of the Right to a Compulsory Portion according to the Civil Code of Georgia (and Some Comments on the Method of Interpretation of Law), in: Georgian Law Review 6/2003. p. 517-525.

<sup>64</sup> სამოქალაქო კოდექსის მიღებისა და მისი დანერგვის თაობაზე საქართველოში არსებული დადებითი და მდიდარი გამოცდილების შესახებ ნახეთ: Knieper Rolf, Juristische Zusammenarbeit: Universalität und Kontext. Wiesbaden. 2004.

ადგენს ქართული სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვან წყაროს. თავის მხრივ გერმანული სამართლის მეცნიერება ევროპული სამართლით საზრდოობს. ამდენად გერმანულ სამართალს საქართველოში არა მხოლოდ გერმანული, არამედ ევროპული სამართლის პოპულარიზების ფუნქციაც ეკისრება.<sup>65</sup> სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული აკადემიური თანამშრომლობის ეს ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია.<sup>66</sup>

### III. სამოქალაქო სამართლის გავლენა კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე

სამოქალაქო კოდექსი პირველ რიგში კერძო სამართლის კანონია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც 70 წლის განმავლობაში აკრძალული იყო: კერძო საკუთრება, ხელშეკრულების თავისუფლება, კერძო გაერთიანებების შექმნა, კერძო სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის ისტორიულ-სოციალური მისია და ფუნქცია, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობდა, რომ სწორი ისტორიული განვითარების გზას აცდენილი საზოგადოება ნორმალური მდგომარეობისთვის დაებრუნებინა. სამოქალაქო კოდექსს უნდა ჩამოეყალიბებინა კერძოსამართლებრივი პირობები იმ თავისუფლებებისა და ძირითადი უფლებებისთვის, რომელთა დეკლარირება და სამართლებრივი განმტკიცება კონსტიტუციით მოხდა. ეს

<sup>65</sup> 2007 წლის 24 მაისს ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტში ინსტიტუტის დირექტორის პროფ. კლაუს ჰოპტის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ქართული სამართლის ევროპეიზაცია“, რომელშიც იმ ქართველმა იურისტებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც თავიანთი სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობით გერმანიასთან არიან დაკავშირებულნი. 2010 წლის ოქტომბერში პროფესორი ჰოპტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა.

<sup>66</sup> ქართული სამართლის ევროპეიზაციისა და ამ საქმეში გერმანული სამართლის მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ ნახეთ: *Chanturia Lado, Die Europäisierung des georgischen Rechts – bloßer Wunsch oder große Herausforderung?* In *Rabels Zeitschrift, Band 74, Heft 1, 2010, S. 154-181.*

მისია, წარმატებით შეასრულა სამოქალაქო კოდექსმა.<sup>67</sup>

სამოქალაქო კოდექსმა, პირველმა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, უარი თქვა საკუთრების დაყოფაზე ფორმებად, რომელსაც საკუთრების განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უკავშირდება დსთ-ის მრავალ ქვეყანაში და რაც ეჭვქვეშ აყენებს საბაზრო ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს. საკუთრების ერთიანი გაგება ქართული სამოქალაქო სამართლის უდავოდ დიდი მონაპოვარია.<sup>68</sup> კოდექსის ამოქმედებიდან განვლილი წლები იმის თვალსაჩინო მტკიცებულებაა, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელსაც მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა და დღესაც ჰყავს, სწორი იყო. საკუთრების დაყოფა ფორმებად არის ეკონომიკური მეცნიერების სფერო, მაგრამ იურიდიულად მას საკუთრების ცნების განსაზღვრისთვის რაიმე მნიშვნელობა არა აქვს (არ უნდა ჰქონდეს).<sup>69</sup> საკუთრებასთან ერთად დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს სხვა სანივთო უფლებებმა, რომელთაგან გამორჩეულად აღნიშვნის ღირსია უზუფრუქტი, როგორც ქონების უსასყიდლო ან სასყიდლიანი სარგებლობის ფორმა,<sup>70</sup> იპოთეკა და ა.შ. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ინსტიტუტი შეეცადა პრივატიზებული სახელმწიფო ბინების მესაკუთრეთა პრაგმატული და რაციონალუ-

<sup>67</sup> ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წარმოიშვა ათეულ ათასობით ახალი საკუთრება მოძრავ თუ უძრავ ქონებაზე, დაიღო და ყოველდღე იღება ათასობით ხელშეკრულება, დაფუძნდა და ფუძნდება იურიდიული პირები და ა.შ. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სამოქალაქო კოდექსი რეალურად ცხოვრობს და გამოიყენება სოციალური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

<sup>68</sup> ნახეთ: ზოიძე, ევროპული სამართლის რეკვიპცია საქართველოში, გვ. 251-260.

<sup>69</sup> ზოგი რუსი ცივილისტი ამ შეხედულებას იზიარებს, თუმცა რუსეთის სამოქალაქო კოდექსი საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებიდან გამოდის. ნახეთ: *Суханов Е.А.* Проблемы правового регулирования отношений публичной собственности и новый Гражданский кодекс, в кн.: Гражданский кодекс России: Проблемы. Теория. Практика. М., 1998. С. 205-227.

<sup>70</sup> განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა მან, როგორც სახელმწიფო ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის ინსტიტუტმა. ამ ასპექტში საყურადღებოა საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 14 აპრილს მიიღო.

4. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

რი ორგანიზაციის დამკვიდრებას. ის ფაქტი, რომ ამ სფეროში კანონი ისე ვერ ამოქმედდა, როგორც ჩაფიქრებული იყო, ალბათ დაბალი მართლშეგნებითა და თვითორგანიზების დაბალი დონით უნდა აიხსნას.<sup>71</sup>

განსხვავებით დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სრულყოფილად მოაწესრიგა იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის იურიდიული პირების დაყოფაზე კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, რაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.<sup>72</sup> კოდექსმა ამომწურავად განსაზღვრა და მოაწესრიგა კერძო სამართლის იურიდიული პირები, ე.ი. ის იურიდიული პირები, რომელთა შექმნა კერძო პირების უფლებაა.<sup>73</sup> ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების ცნებით სახელმწიფოს განუსაზღვრა მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო პირობები, რომელთა ფარგლებშიც

<sup>71</sup> ამ ვითარების შეცვლის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 11 ივლისს მიიღო კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ და სამოქალაქო კოდექსიდან შესაბამისად ამოღებულ იქნა 210-232-ე მუხლები.

<sup>72</sup> იურიდიული პირების ასეთი კლასიფიკაცია უცხოა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლისთვის, რაც იურიდიული პირების რეგულირების საკითხში გაუგებრობას იწვევს. იურიდიული პირის ცნებაზე ცივილისტების მიერ მონოპოლიის გამოცხადება პრაქტიკულად „კანონგარეშედ“ აქცევს ყველა იმ იურიდიული პირს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში იქმნება. ეს პრობლემა დაინახა ზოგიერთმა რუსმა მეცნიერმა და შეეცადა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება შემოეტანა რუსულ სამართალშიც, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ნახეთ: *Чиркин В.Е.* Юридическое лицо публичного права. Норма. М. 2007. ამ პრობლემის თაობაზე ნახეთ ასევე ჩემი მოხსენება, რომელიც მე გავაკეთე 2007 წლის 17 მაისს ალმატაში (ყაზახეთი) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე: *Лидо Чаптурия*, Гражданское право и юридические лица публичного права: особенности правового регулирования. В кн.: Гражданское право в системе права. Материалы международной научно-практической конференции в рамках ежегодных цивилистических чтений в Алматы 17-18 мая 2007 г. Алматы. 2007. С. 240-251

<sup>73</sup> არაკომერციული იურიდიული პირები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსში, ხოლო – კომერციული იურიდიული პირები – კანონში მეწარმეთა შესახებ.

მას შეუძლია შექმნას იურიდიული პირები.<sup>74</sup> საჯარო სამართლის ყველა იურიდიული პირი, პირველ რიგში კი სახელმწიფო, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების თანასწორი მონაწილენი არიან. ამით ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა საბჭოთა (ასევე პოსტსაბჭოთა) სამართალში გაბატონებულ შეხედულებაზე იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტია. სახელმწიფო სამოქალაქო სამართლისთვის ჩვეულებრივი სუბიექტია. თუკი მას სხვა რამე განსაკუთრებული უფლებამოსილებები აქვს, როგორცაა მაგალითად, კანონშემოქმედება ან საკუთრების ესპროპრიაციის უფლება, ეს მას ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. თუ სახელმწიფო ამ თავის უფლებას იყენებს და მესაკუთრეს ართმევს ქონებას, იგი მოქმედებს არა სამოქალაქო-სამართლებრივად, არამედ საჯარო-სამართლებრივად. მისი ეს კომპეტენცია განისაზღვრება არა სამოქალაქო კოდექსით, არამედ საჯარო სამართლით – კონსტიტუციითა და საჯარო სამართლის სხვა კანონებით.

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დიდი გავლენით გამოირჩევა **სახელმეკრულებო სამართალი**, რომელიც კერძო სამართლებრივი ბრუნვის, ეკონომიკური ცხოვრების განვითარების, პირადი ინიციატივის გაფართოების წინაპირობაა. თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რამდენ და როგორ ხელშეკრულებებს დებენ ადამიანები ყოველდღიურად, ადვილი მისახვედრია, რა როლს ასრულებს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ჩვენს ქვეყანაში. თავისუფალი ქონებრივი ბრუნვა, საკუთრების გასხვისების თავისუფლება, ვალდებულებების აღება და მათი უზრუნველყოფა – ყველაფერი ეს მიმდინარეობს სახელმეკრულებო სამართლის ფარგლებში.<sup>75</sup>

<sup>74</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ უპრეცედენტოა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. ქართული სამართლის სისტემაში ის დიდ და დადებით როლს თამაშობს.

<sup>75</sup> სამოქალაქო კოდექსით ამ სფეროში განმტკიცებული სიახლეების შესახებ ნახეთ:

საკუთრებისა და ხელშეკრულების თავისუფლებებმა შესაძლებელი გახადა ის, რომ უძრავი ქონება, პირველ რიგში მიწა, სამოქალაქო ბრუნვაში შეუფერხებლად მონაწილეობს. მართალია, მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა. სახელშეკრულებო თავისუფლება ფართოდ გამოიყენება საბანკო, სადაზღვევო და ეკონომიკურად მნიშვნელოვან სხვა სფეროებშიც.

#### IV. ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში

განვლილი წლების მანძილზე სამოქალაქო კოდექსში მრავალი ცვლილება შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი სადავოდ გამოიყურება, ყოველი ცვლილება არის იმ პროცესების ამსახველი, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს და რომელთათვისაც დამახასიათებელია თვალსაჩინო დინამიზმი. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებები ნებისმიერი კანონის, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის, ბუნებრივი თანამგზავრია და ამან არავის გაკვირვება ან გულისწყრომა არ უნდა გამოიწვიოს. ქვეყანა განვითარების ყოველ ეტაპზე ახალ-ახალი ამოცანებისა თუ პრიორიტეტების წინაშე დგება და კანონმდებელს ამისთვის ანგარიშის გაწევა უწევს. გარდა ამისა, თანამედროვე სახელმწიფო ჩართულია გლობალიზაციის პროცესში, რომელიც ასევე ახდენს გავლენას ეროვნულ სამართალზე. ეს გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია იმ სფეროებში, რომლებშიც საერთაშორისოდ აღიარებული წესები გამოიყენება (საკორპორაციო სამართალი, ვალდებულებათა უზრუნველყოფა და ა.შ.). ქვემოთ შევხებით მხოლოდ რამდენიმე ცვლილებას, რომელთაც შეცვალებს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი ნორმები.



## 1. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

პირველი დიდი ცვლილება სამოქალაქო კოდექსში შევიდა 1999 წელს და იგი შეეხო საავტორო სამართალს. ამ ცვლილების მიზეზი გახდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ცალკე კანონის მიღება,<sup>76</sup> რის შედეგადაც სამოქალაქო კოდექსიდან მთლიანად იქნა ამოღებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე მათი მომიჯნავე უფლებების მომწესრიგებელი ნორმები.<sup>77</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ნორმები პრაქტიკულად არ განსხვავდება სამოქალაქო კოდექსში მოცემული საავტორო სამართლის ნორმებისაგან, ცალკე კანონის მიღება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და წარმოადგენდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრების ერთ-ერთ წინაპირობას.<sup>78</sup> ცალკე კანონის მიღების შემდეგ დღის წესრიგში ბუნებრივად დადგა სამოქალაქო კოდექსიდან საავტორო სამართლის ნორმების ამოღების საკითხი, ვინაიდან საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით პარალელური ნორმების არსებობა დაუშვებელია.<sup>79</sup> სწორედ ამით აიხსნება სამოქალაქო კოდექსიდან საავტორო სამართლის ნორმების ამოღება და არა იმით, რომ ეს ნორმები არ შეესაბამებოდა საავტორო სამართალში

<sup>76</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, № 28, მუხ. 35.

<sup>77</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, № 26, მუხ. 134.

<sup>78</sup> *ჯორბენაძე სანდრო*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში. თბილისი, 2006. გვ. 3.

<sup>79</sup> ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, რომლითაც იგი განსხვავდება დსთ-ის სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან. ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი შეიცავენ ისეთ ნორმებს, რომლებიც შემდეგ ცალკეულ კანონებში მეორდება, რაც ხშირად წარმოშობს წინააღმდეგობებს ამ ნორმებს შორის. ეს კი სამართალგამოყენების პრაქტიკაში დიდ უზერზულობებსა და გაუგებრობებს იწვევს. დაწერილებით ამ პრობლემის შესახებ იხ: Осаке Кристофер, Сравнительный анализ гражданских кодексов России и Казахстана 1994 г.: Биопсия экономических конституций двух постсоветских республик. Алматы. 1998.

მოქმედ თანამედროვე მოთხოვნებს ან სტანდარტებს.

ამრიგად, მართალია, სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი კვლავაც იწოდება ინტელექტუალური საკუთრების სამართლად, მაგრამ შემოიფარგლება მხოლოდ მითითებითი ნორმებით, რომლებიც საავტორო სამართლის გარდა, ასევე სამრეწველო საკუთრების მომწესრიგებელ კანონებზე აკეთებენ მითითებებს (სამოქალაქო კოდექსის 1100-1105-ე მუხლები).

## 2. გირავნობის სამართალი

2005 წლის 30 ივნისს მიღებული კანონით მთლიანად შეიცვალა გირავნობის სამართალი. კერძოდ, 254-285-ე მუხლები ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდა.<sup>80</sup>

ცვლილებით დაკონკრეტდა, რომ მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.<sup>81</sup> არაფულადი მოთხოვნის კონტექსტში გირავნობის ინსტიტუტის გამოყენება იმდენად არაბუნებრივია, რომ კანონმდებელი იძულებული გახდა ეს შემთხვევა კიდევ უფრო დაეკონკრეტებინა, თუმცა ამით უფრო მეტი გაურკვეველობა წარმოშვა. ამის საინლუსტრაციოდ გამოდგება კანონის შემდეგი ნორმა: „გირავნობა, რომელიც უზრუნველყოფს არაფულად მოთხოვნას, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ შესაძლებელია მისი გამოხატვა ფულადი ფორმით“ (254-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ცვლილებები რომ მხოლოდ რედაქციულ ხასიათს ატარებს, დასტურდება იმითაც, რომ მფლობელობითი გირავნობა და რეგისტრირებული გირავნობა, რომლებსაც კოდექსი ცვლილებამდეც იცნობდა

<sup>80</sup> აშკარად თვალშისაცემია ტერმინოლოგიური ხარვეზები და უზუსტობები, რომლებიც ახალ რედაქციას ახასიათებს. მაგალითად, ერთმანეთში არეული „მოძრავი ნივთი“ და „დაგირავებული ქონება“ (მუხ. 254 ნაწ. 1) და ა.შ.

<sup>81</sup> ძველი რედაქცია შეიცავდა მხოლოდ „მოთხოვნას“ და არ აკონკრეტებდა, იყო ეს მოთხოვნა ფულადი თუ არაფულადი (მუხლი 254 ნაწ. 1).

და განამტკიცებდა, ამჟამად ცალკე სახეებად არის გამოყოფილი, თუმცა მათი წარმოშობის წესები არსებითად უცვლელად დარჩა.

სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ლომბარდში ნივთების დაგირავების წესი (მუხლი 260), თუმცა გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ არის მხოლოდ ლომბარდი გამოყოფილი. აქ იგრძნობა რუსეთის სამოქალაქო კოდექსის გავლენის კვალი.<sup>82</sup>

შეიცვალა იმ შესაგებლების სტრუქტურა, რომელთა გამოყენება დამგირავებელს, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მოგირავნის მიმართ შეუძლია. თუკი ადრე ეს შესაგებლები შეეხებოდა ფულადი მოთხოვნების გაქვითვას ან მოთხოვნათა გასაჩივრებას (259-ე მუხლის ძველი რედაქცია), ამჟამად მოგირავნის მიმართ შესაძლოა ის შესაგებლებიც იქნეს გამოყენებული, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვალემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ“ (მუხლი 263).

ცვლილებები გირავნობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში შევიდა 2006 წლის 29 დეკემბერსაც. ამ ცვლილების თანახმად შეიცვალა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა გირავნობის წესი. კერძოდ, ავტომანქანებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე გირავნობის წარმოშობისთვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და მისი რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში (258-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამრიგად, სატრანსპორტო საშუალებების გირავნობისას რეგისტრაციის ადგილმა საჯარო რეესტრიდან გადაინაცვლა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

<sup>82</sup> ლომბარდში გირავნობის წესებს განამტკიცებს რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 358-ე მუხლი, თუმცა იგი უფრო დაწვრილებით აწესრიგებს ლომბარდში დაგირავების ურთიერთობებს, ვიდრე ამას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აკეთებს.

### 3. არაკომერციული იურიდიული პირები

ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილში, რომელიც არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს.

ცვლილებები თავდაპირველად შეეხო არაკომერციული იურიდიული პირების – კავშირებისა და ფონდების – რეგისტრაციის წესს. კერძოდ, 2006 წლის 25 მაისის ცვლილებების მიხედვით კავშირებისა და ფონდების რეგისტრაცია სასამართლოდან და იუსტიციის სამინისტროდან მთლიანად გადავიდა საგადასახადო ორგანოში.<sup>83</sup> ამით მოხდა იურიდიული პირების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციათა გაიგივება ერთმანეთთან, რითაც რეგისტრაციამ უფრო საგადასახადო-სამართლებრივი დატვირთვა შეიძინა, ვიდრე მას ადრე ჰქონდა. მართალია, რეგისტრაციის სისწორისა და საჯაროობის პრინციპები უცვლელად დარჩა, მაგრამ ფაქტია, რომ აქცენტი უფრო საგადასახადო კონტროლზე კეთდებოდა და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლებიც ტრადიციულად რეგისტრაციის ინსტიტუტს უკავშირდება. 2009 წლის 14 დეკემბერს კვლავ შევიდა ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში, რის შედეგადაც იურიდიული პირების რეგისტრაცია გადავიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.

მნიშვნელოვანი იყო 2006 წლის 8 დეკემბრის ცვლილებები, რომელთა შედეგად საერთოდ გაუქმდა არაკომერციული იურიდიული პირების ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორც იყო კავშირები და ფონდები და შემოღებულ იქნა ერთიანი, მაგრამ მეტად აბსტრაქტული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების“ ცნება.<sup>84</sup>

<sup>83</sup> 31-ე მუხლის პირველი ნაწილი 2006 წლის 25 მაისის ცვლილების რედაქციით.

<sup>84</sup> ამ ცვლილებას ეტყობა ამერიკული სამართლის გავლენა, რომელშიც არაკომერციული იურიდიული პირების აღსანიშნავად გამოიყენება გამოთქმა Nonprofit-Organisation: Klaus J. Hopt, Dieter Reuter, Stiftungsrecht in Europa: Eine Einführung.

არაკომერციული იურიდიული პირების რეგულირებისას სამოქალაქო კოდექსმა მაქსიმალური ლიბერალიზაციის გზა აირჩია. კოდექსი იმპერატიულად არ განსაზღვრავს ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურასა და უფლებამოსილებას, არც წევრთა უფლებებს. ამ საკითხების დარეგულირება განეკუთვნება წესდების კომპეტენციას. სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციის არმქონე და დაბალი სამართლებრივი კულტურის ქვეყანაში ასეთი ლიბერალიზაცია შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი. ასეთ ვითარებაში კანონმდებლის ამოცანა სწორედ დეტალური სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ ურთიერთობის მონაწილეებს ჰქონდეთ ამომწურავი და ნათელი წარმოდგენა თამაშის არსებულ წესებზე. განხორციელებული ცვლილებები ამ მიზანს ოდნავადაც ვერ აღწევს.

ყველაზე დიდი ნაკლი ამ საკანონმდებლო რეფორმისა მდგომარეობს იმაში, რომ უკვე აღარ არსებობს ერთიანი არაკომერციული იურიდიული პირების სამართალი. იარსებებს იმდენი ნაირსახეობა, რამდენი წესდებაც შემუშავდება. ერთი მხრივ გაძნელება ამ სფეროს სამართლებრივი მოწესრიგება, ხოლო მეორე მხრივ გართულება ამ ორგანიზაციათა სამართლებრივი კვლევაც.

ამრიგად, არაკომერციული იურიდიული პირების თაობაზე სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს. აუცილებელია, რომ ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსი კიდევ გადაიხედოს.

---

Heymanns. 2001. S. 2 ff. ამერიკის ყველა შტატს აქვს კანონი არამომგებიანი კორპორაციების შესახებ, რომლებიც ეფუძნებიან ამერიკის სამართლის ინსტიტუტისა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ 1964 წელს შემუშავებულ მოდელურ კანონს: Model Nonprofit Corporation Act: *Thomas von Hippel*, Begriffsbildung und Problemkreise der Nonprofit-Organisationen. In: Nonprofit-Organisationen im Recht, Wirtschaft und Gesellschaft (Hrsg. Hopt/von Hippel/Walz). Mohr Siebeck. Tübingen. 2005. S. 36 ff.

#### 4. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც სამოქალაქო კოდექსში შევიდა და რომელიც ასევე იმსახურებს კრიტიკას, უკავშირდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის წესს. 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებამდე უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო გარიგების დამოწმება სანოტარო წესით და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ეს წესი მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაშია განმტკიცებული და ემსახურება როგორც უძრავი ქონების შემძენთა ინტერესების დაცვას, ისე სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. გარიგებათა ზოგიერთი სახეობის სანოტარო დამოწმების არსებობა მიზნად ისახავს პრევენციული კონტროლის განმტკიცებას, რათა ხელშეკრულების მონაწილეებმა არ დაუშვან ისეთი შეცდომები, რომლებიც შემდგომში მათთვის საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს. კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა გარიგებათა დამოწმებისას ნოტარიუსთა მოვალეობას წარმოადგენს.

2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ უძრავი ქონების შესაძენად საკმარისია წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის და შემენზე გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (მუხლი 183). ამ სიახლით სამართლებრივ უსაფრთხოებას, რომელიც უძრავი ნივთების ბაზარზე მანამდე არსებობდა და მინიმალურ დონეზე მაინც იცავდა მხარეთა ინტერესებს, საფრთხე დაემუქრა. ამიტომაც გასაგებია იმ მოქალაქეების საქციელი, რომლებიც სიფრთხილეს იჩინენ და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს კვლავ ნოტარიუსებთან ამოწმებენ.

ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების წესი გაუქმდა რეგისტრირებულ გირავნობასთან და იპოთეკასთან დაკავშირებითაც, რაც ასევე მრავალი გაუგებრობისა და პრობლემის წარმოშობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამ შემთხვევაშიც მართებს კანონმდებელს კიდევ ერთხელ და-

ფიქრება და იმ ნორმების აღდგენა, რომლებიც თანამედროვე სამართალში აპრობირებულია და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვას ემსახურება.

### 5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

2007 წლის 11 ივლისს მიღებულ იქნა კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, რომლითაც სამოქალაქო კოდექსში გაუქმდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მომწესრიგებელი მუხლები (კერძოდ, 210-232-ე მუხლები). არსებითად, ახალ კანონს საფუძვლად დაედო სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. გარდა ამისა, კანონს დაემატა ნორმები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობებს აწესრიგებენ და ამდენად უფრო საჯარო-სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენენ (მუხლი 29).

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა ცალკე კანონით უნდა მოწესრიგებულიყო. ამ მიზნით 1993-1994 წლებში მომზადდა კიდევ კანონპროექტი, რომლის მიღებაც იმ დროს ვერ მოხერხდა. მოგვიანებით გადაწყდა, რომ ამ კანონპროექტის ნორმები სამოქალაქო კოდექსში შესულიყო. ამდენად, ახალი კანონი წარმოადგენს თავდაპირველი საკანონმდებლო ჩანაფიქრის რეალიზაციას.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ახალი კანონი საკმაოდ დახვეწილია და ბევრ ისეთ საკითხსაც ითვალისწინებს, რომლებმაც სამოქალაქო კოდექსში თავის დროზე ასახვა ვერ ჰპოვა. ამ შემთხვევაშიც მთავარია ის, თუ როგორ მოხერხდება კანონით დადგენილი წესების რეალურად დანერგვა.

### § 3. სამოქალაქო სამართლის წყაროები

კონტინენტური ევროპის სამართალი სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს განამტკიცებს – სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონსა და ჩვეულებებს.<sup>85</sup> ლიტერატურასა და ზოგჯერ საკანონმდებლო აქტებშიც კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი (ე.ი. პარლამენტის მიერ ან რეფერენდუმის გზით მიღებული აქტი), არამედ ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს.<sup>86</sup> ასეთ აქტს ეწოდება ნორმატიული აქტი, რადგან იგი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს – სამართლის ნორმებს.<sup>87</sup> ამ ნორმატიულ აქტებში განმტკიცებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას უწოდებენ პოზიტიურ სამართალს. რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, იგი წარმოიშობა მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი გამოყენებისა და ხალხის მართლშეგნებაში მათი დამკვიდრების შედეგად.<sup>88</sup>

იმის გამო, რომ ამ სახელმწიფო აქტების სისტემაში განსაზღვრული წესრიგია საჭირო, თანამედროვე სამართალი ვალდებულია განამტკიცოს იერარქია, რომლის დაცვა აუცილებელია სტაბილური

<sup>85</sup> მაგალითად: *Rüthers Bernd*, *Rechtstheorie*, 4. Aufl. Beck, München, 2008, Rn. 217 ff., *Schelhammer Kurt*, *Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil*, 7. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn 2 ff., (შემდგომში – *Schelhammer*; *Schuldrecht*); *Larenz Karl*, *Wolf Manfred*, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 9. Aufl. Beck, München, 2004, § 3 Rn. 6 (შემდგომში – *Larenz/Wolf*, *Allgemeiner Teil*).

<sup>86</sup> მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის გაგებით კანონი არის სამართლის ნებისმიერი ნორმა: *Schelhammer*, *Schuldrecht*, Rn 2 ff.

<sup>87</sup> ნორმატიული აქტების ასეთ დეფინიციას განამტკიცებს საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში. ახალი კანონი ნორმატიული აქტების შესახებ მიღებულ იქნა 2009 წლის 22 ოქტომბერს და ამ კანონით გაუქმდა ნორმატიული აქტების შესახებ 1996 წლის 19 ნოემბრის კანონი.

<sup>88</sup> ასეთ განმარტებებს აძლევს პოზიტიურ სამართალსა და ჩვეულებით სამართალს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო: BVerfG 28, 28. ვუთითებ: *Schelhammer*, *Schuldrecht*, Rn 2.



და გამჭვირვალე სამართლებრივი საფუძვლების შესანარჩუნებლად. სამართლის წყაროთა იერარქია დამოკიდებულია სახელმწიფოს ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე, მათი კომპეტენციის მოცულობაზე, რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ აქტის იურიდიულ ძალას. ამ იერარქიის სათავეში დგას ქვეყნის კონსტიტუცია – ძირითადი კანონი, რომელსაც ყველა სხვა დანარჩენი კანონი და კანონქვემდებარე აქტი უნდა შეესაბამებოდეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი). სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით „სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას“. საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიული სტრუქტურა განმტკიცებულია ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-4 მუხლში.

## I. კანონი, როგორც სამართლის წყარო

### 1. კანონის ცნება

კონტინენტური ევროპის სამართალში კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონი ფორმალური გაგებით და კანონი მატერიალური გაგებით. ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის (ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს) ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები. ვინაიდან კანონს იურიდიული ძალის მიხედვით ნორმატიული აქტების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია, სამართალი მისი მიღების განსაკუთრებულ წესსა და პროცედურას განამტკიცებს.<sup>89</sup> ეს კი უზრუნველყოფს მისი მიღებისას საჯაროობას, კონსენსუსს პოლიტიკურ ძალთა შორის, რომლებიც პარტიების მეშვეობით არიან წარმოდგენილნი საკანონმდებლო ორგანოში, და სტაბილურობას

<sup>89</sup> საკანონმდებლო წესით ეს პროცედურა საქართველოში განმტკიცებულია კანონში ნორმატიული აქტების შესახებ (მე-15-22-ე მუხლები).

– მიღების რთული პროცედურის გამო არაა იოლი კანონების სწრაფად შეცვლა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი არა მხოლოდ სამართლებრივი აქტია, არამედ პოლიტიკური პარტიების მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი ნების გამოვლენის ფორმა და საშუალება. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ საზოგადოების სამართლებრივი დონის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ პირობებში მიიღება ესა თუ ის კანონი, რა შინაარსია მასში ჩადებული და როგორ პატივს სცემენ სახელმწიფო და საზოგადოება მათ მიერ მიღებულ კანონებს.

**მატერიალური გაგებით** კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის საკუთრივ კანონიც, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაა მიღებული. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება საკანონმდებლო აქტები, რომელთაც კანონებიც განეკუთვნება, და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-7 მუხლი).

## **2. კოდექსი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი**

კონტინენტური სამართლის იურისტებისათვის ამ თითქმის ბანალურ საკითხზე მხოლოდ იმიტომ არის აუცილებელი ყურადღების გამახვილება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დსთ-ის მრავალ ქვეყანაში მიღებულ სამოქალაქო კოდექსებში სამოქალაქო კოდექსს დღემდე განსაკუთრებული იურიდიული ძალის მქონე აქტად ნათლავენ. სრულიადაც არ არის გადაჭარბებული სამოქალაქო კოდექსის აღიარება მეორე კონსტიტუციად, მაგრამ ეს მხოლოდ მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და არა მის იურიდიულ ძალას. სამოქალაქო კოდექსი იურიდიული ძალის მიხედვით ისეთივე კანონია, როგორც ნებისმიერი სხვა კანონი.<sup>90</sup>

<sup>90</sup> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) მოდელური სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 აბზაცის თანახმად, სამოქალაქო

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა არ გაიზიარა დსთ-ის მოდელურ სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელი დებულება სამოქალაქო კოდექსის ე.წ. ზედალის შესახებ. ნაცვლად ამისა, განამტკიცა მოთხოვნა, რომ სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას (მე-2 მუხლის პირველი ნაწილი). კანონთა კოლიზიისას კი გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი (მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი).

### 3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემას შეესაბამება.<sup>91</sup> მას აქვს ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის. განსხვავებით დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელსაც ყოვლისმომცველი კანონის პრეტენზია ჰქონდა და ამის გამო სამართლის თითქმის ყველა დარგის ზოგადი დებულებები იყო მასში მოთავსებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სხვა გზით წავიდა. ის ურთიერთობები, რომლებიც სხვა კანონებში იყო მოწესრიგებული, სამოქალაქო კოდექსში არ შესულა ან შევიდა იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ლოგიკურ-სამართლებრივი კავშირის დასამყარებლად. მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირების

---

ლაქო კოდექსს კანონთა კანონის სტატუსი მიენიჭა. ამ ნორმის მიხედვით, ყველა კანონი სამოქალაქო სამართლის სფეროში უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსმა კონსტიტუციის მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს. სწორედ ეს განასხვავებს კონსტიტუციას ჩვეულებრივი კანონებისაგან.

<sup>91</sup> ის, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემის მიხედვით უნდა აგებულიყო, კომისიამ მუშაობის დასაწყისშივე გადაწყვიტა. პროფესორ სერგო ჯორბენაძის სიტყვებით ამას ადასტურებენ: „საკუთრივ მომავალი სამოქალაქო კოდექსი, ჩვენი აზრით, აგებულ უნდა იქნეს პანდექტური სისტემის მიხედვით, რაც მისი ლოგიკური დასრულებულობით აიხსნება“. *ჯორბენაძე, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები*. გვ. 142.

მომწესრიგებელი ნორმები მთლიანად შევიდა კანონში მეწარმეთა შესახებ ისე, რომ პარალელური ნორმები სამოქალაქო კოდექსში არ არის. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ეს შეძლო.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ **საოჯახო სამართალი** მთლიანად შევიდა მასში. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციების ეს ბუნებრივი ნაწილი საბჭოთა სამართალში ამოღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსებიდან და ცალკე კანონით მოწესრიგდა.<sup>92</sup> ამგვარ გადაწყვეტას მხოლოდ იდეოლოგიური მოტივები დაელო საფუძვლად. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც კვლავ აღადგინა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების ტრადიცია და საოჯახო სამართალს სამოქალაქო კოდექსში მიუჩინა ადგილი.

სამოქალაქო კოდექსი ექვსი წიგნისაგან შედგება: **ზოგადი დებულებანი**, **სანივთო (ქონებრივი) სამართალი**, **ვალდებულებითი სამართალი**, **ინტელექტუალური საკუთრების სამართალი**<sup>93</sup>, **საოჯახო სამართალი**, **მემკვიდრეობის სამართალი**.

### ა. ზოგადი ნაწილის აუცილებლობის შესახებ

სამოქალაქო კოდექსების სისტემა კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად, რომანული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა სამოქალაქო კოდექსებში ზოგად ნაწილს არ იცნობს, რაც ისტორიული ტრადიციებით აიხსნება: მოძღვრება ზოგადი ნაწილის შესახებ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს იქნა შემუშავებული. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ცალკე გამოყოფა

<sup>92</sup> შეუძლებელია არ დავეთანხმოდ პროფესორ სერგო ჯორბენაძეს, რომ „ცალკე არსებული საქორწინო-საოჯახო კოდექსი დამახასიათებელი იყო მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების სამართლისათვის: *ჯორბენაძე*, საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. გვ. 143.

<sup>93</sup> ინტელექტუალური საკუთრების ნაწილი სამოქალაქო კოდექსში, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ სპეციალურ კანონებზე მითითებით შემოიფარგლება.

ხელსაყრელია და გამართლებული. ამას ადასტურებს სამოქალაქო სამართლის უახლესი კოდიფიკაციის ისტორიაც. მაგალითად, ჰოლანდიამ ახალ სამოქალაქო კოდექსში ცალკე გამოყო ზოგადი ნაწილი, რაც ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიიჩნევა.<sup>94</sup> ჰოლანდიის 1838 წლის კოდექსს, რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის გავლენით შეიქმნა, არ გააჩნდა ზოგადი ნაწილი.<sup>95</sup>

ზოგადი ნაწილის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა იმ ფუნდამენტს, რომელზეც აიგება მოცემული კანონის ან სამართლის დარგის მთელი სამართლებრივი სხეული. ამავე დროს, არ არის აუცილებელი კანონის მთელ ტექსტში იმის გამეორება, რაც ზოგად ნაწილში ერთხელ უკვე განმტკიცებულია. მაგალითად, გარიგებათა თავში მოცემული დებულება, რომ მოტყუებით დადებული გარიგება, ბათილია, ეხება ყველა ხელშეკრულებას. ამიტომ თითოეული ხელშეკრულების საკანონმდებლო მოწესრიგებისას ამის განმეორება აუცილებელი არ არის. თუ ნასყიდობის, ქირავნობის, მომსახურების ან სხვა ხელშეკრულებები დაიღო მოტყუებით, ეს ხელშეკრულებები ბათილი იქნება, თუმცა ამ კონკრეტულ ხელშეკრულებებში ასეთი ნორმა ცალკე არ არის გათვალისწინებული. ამ საკითხს ზოგადი ნაწილის ნორმა არეგულირებს.

ზოგად ნაწილში განმტკიცებული მოძღვრება პირების შესახებ საერთოა მთელი კერძო სამართლისათვის. ამიტომ კონკრეტული სახის ვალდებულებითი ურთიერთობის განხილვისას არ ხდება ამ სუბიექტების ცალ-ცალკე დახასიათება. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მონაწილეობენ მყიდველი და გამყიდველი, მაგრამ არ მიეთითება დამატებით, რომ მყიდველი ან გამყიდველი იურიდიული პირები არიან თუ – ფიზიკური. რადგანაც ზოგადი ნაწილის მიხედვით სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეები

<sup>94</sup> *Ewoud Hondius*, Das neue Niederländische Zivilgesetzbuch. Allgemeiner Teil. in: *Renaissance der Idee der Kodifikation*. Bd. 5. 1991, S. 45.

<sup>95</sup> კოდიფიკაციის განსხვავებული მოდელების წარმოშობის შესახებ ნახეთ: *ქონაშვილი ქეთევან*, კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი იურიდიული გეოგრაფიის არეალში, სამართლის ჟურნალი, 2/2009, გვ. 127-137.

არიან პირები — ფიზიკური თუ იურიდიული, ცხადია, მყიდველიც და გამყიდველიც ხელშეკრულებაში შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე — მეორე.

ეს ორი მაგალითი აჩვენებს, თუ რა უპირატესობა აქვს ზოგადი ნაწილის ნორმებს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

## ბ. ზოგადი ნაწილის სახეები

სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე ადგილას იყენებს ცნებას „ზოგადი დებულებანი“. ამიტომ იბადება კითხვა: რამდენი ზოგადი ნაწილი შეიძლება ჰქონდეს კოდექსს და როგორია მათი იურიდიული ძალა? როგორც თვით სახელწოდება მიუთითებს, ზოგადი ნაწილი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სამართლებრივი მატერიის ზოგად დებულებებს, ე.ი. იმას, რასაც ეყრდნობა მოცემული სისტემა. ამიტომ იმის მიხედვით, თუ რას ეხება საქმე — მთლიანად სამართლის დარგს, კონკრეტულ ნორმატიულ აქტს, მის ცალკეულ ნაწილებს, თუ ამა თუ იმ ინსტიტუტს, შეიძლება არსებობდეს **რამდენიმე ზოგადი ნაწილი**.

მოცულობითა და მნიშვნელობით ყველაზე დიდ როლს თამაშობს ის ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი დარგისათვის. ასეთი **ზოგადი ნაწილი** მოცემულია სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნში. ზოგი გამონაკლისის გარდა (*მაგალითად*, ნორმები არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ), იგი **საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის**. მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ ეხება კერძო სამართლის ისეთ კანონებსაც, როგორიცაა კანონი მეწარმეთა შესახებ ან შრომის კოდექსი. ამის მაგალითად გამოდგება ისევე ნორმები გარიგებათა შესახებ. ეს ნორმები განმსაზღვრელია როგორც სამოქალაქო, ისე საკორპორაციო სამართლისათვის, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლისათვის და ა.შ. იგივე ეხება ნორმებს უფლებათა განხორციელებისა და ხანდაზმულობის შესახებ. ამდენად, ზოგადი ნაწილის პირველი სახე შეიძლება დავახასიათოთ როგორც უზოგადესი მთელი კერძო სამართლისათვის.

სამოქალაქო კოდექსი იცნობს ზოგადი ნაწილის მეორე სახეს, რომელიც განმტკიცებულია კოდექსის ცალკეულ წიგნებში და, პირველ ყოვლისა, საფუძველს ქმნის ამ წიგნით გათვალისწინებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ამის მაგალითია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რომელიც მოცემულია მესამე წიგნში. ამ ზოგადი ნაწილის მნიშვნელობა ასევე დიდია, ოღონდ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლით. მაგრამ ვინაიდან ვალდებულებითი სამართალი ფაქტობრივად კერძო სამართლის ბირთვია, მისი ზოგადი ნაწილის მნიშვნელობაც დიდია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება სახელშეკრულებო სამართალს. მისი ნორმები გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, არამედ ყველა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლებიც კერძო ავტონომიისა და პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება. თუკი ასეთი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმებს, შეიძლება იგი მიჩნეულ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ. მაშასადამე, ზოგადი ნაწილის მოქმედება ამ შემთხვევაში სცილდება კოდექსის ფარგლებს, მაგრამ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის ურთიერთობებით — ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობებით. ამ კატეგორიის ზოგად ნაწილს მიეკუთვნება ასევე მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებები.

ზოგადი ნაწილის მესამე სახე დამახასიათებელია კონკრეტული ინსტიტუტებისთვის და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ინსტიტუტით შემოიფარგლება. ამის მაგალითად გამოდგება ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესრულების ნაწილში. ამ სახის ზოგადი ნაწილი შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ ხელშეკრულებებსაც, მაგალითად, როგორც ეს შუამავლობის ან დაზღვევის ხელშეკრულების დროსაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგად ნაწილს არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. როგორი მოუხერხებელი იქნებოდა ყოველი კონკრეტული ურთიერთობის დროს იმის ჩაწერა, რაც საერთოა ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობისათვის.

## გ. გამონაკლისები ზოგადი ნაწილის ზოგადი ხასიათიდან

მართალია, ზოგადი ნაწილის ნორმები საერთოა ყველა ურთიერთობისათვის, მაგრამ კონკრეტულ ურთიერთობას სშირად ისეთი სპეციფიკა ახასიათებს, რომელსაც ზოგადი ნორმა ვერ მოიცავს ან მოიცავს, მაგრამ განსხვავებულად აწესრიგებს, ე.ი. შეიძლება წარმოიშვას ნორმათა კოლიზია — ზოგადი ნაწილის ნორმა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს (განსხვავებულად აწესრიგებდეს) სპეციალურ ნორმას. იგულისხმება, რომ ლაპარაკია ერთი და იმავე იურიდიული ძალის მქონე ნორმებზე, მაგალითად, კანონის ნორმებზე. ამის ნიმუშად გამოდგება ზოგადი ნაწილის ნორმები ხანდაზმულობის შესახებ, რომელთა თანახმადაც, ხანდაზმულობის ჩვეულებრივი ვადა შეადგენს ათ წელს. ეს არის ყველა მოთხოვნისათვის ზოგადი ვადა. მაგრამ კანონი მეწარმეთა შესახებ განსაზღვრავს, რომ მოთხოვნათა საერთო ვადა 5 წელია (კანონის მე-15 მუხლი). როგორ უნდა გადაწყდეს ამ შემთხვევაში კოლიზია? გადაწყვეტის გასაღებს იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი: გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა, ე.ი. თუ კანონის სპეციალური ნორმა ეწინააღმდეგება ზოგადი ნაწილის ნორმას, მაგრამ იგი დამახასიათებელია ამ კონკრეტული ინსტიტუტისათვის, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა. ეს გასაღები შესაძლებლობას იძლევა, რომ, ერთი მხრივ, ნორმათა კოლიზია გადაწყდეს პოზიტიურ სამართლებრივად და, მეორე მხრივ, უპირატესობა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც კანონმდებელმა ამ სპეციფიკური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შეიმუშავა. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება მოძღვრება პირების შესახებ. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით პირები (ფიზიკური თუ იურიდიული) თანაბრად მონაწილეობენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგრამ კოდექსის ცალკეულ ადგილებში არის ნორმები, რომლებიც მხოლოდ ან იურიდიულ პირებს ეხება ან ფიზიკურ პირებს (მაგალითად, საოჯახო სამართალში).



#### 4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა სახეები

##### ა. იმპერატიული (*ius cogens*) და დისპოზიციური ნორმები (*ius dispositium*)

„სამართალი პრინციპში დამოუკიდებელია ინდივიდების ნები-საგან: კანონის ნორმები მოქმედებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნების წყალობით“.<sup>96</sup> სამოქალაქო სამართალი ამ მხრივ გამონაკლისია. ისტორიულად იგი ჩამოყალიბდა როგორც კერძო პირთა ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. ამ ტრადიციის გათვალისწინებით **სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის მონაწილეებს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში. მაგალითად, მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის შინაარსი თვითონ განსაზღვროს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში ნორმათა დაყოფა დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი სამართლის ამ დარგისათვის.**

სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპი — კერძო ავტონომია სწორედ დისპოზიციური ნორმების წყალობით მიიღწევა. „კერძო ავტონომიის მიმართ სამოქალაქო სამართალი, როგორც წესი, დისპოზიციურია: მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედებისას იგი უკან იხევს; მას სურს მხოლოდ გარიგებით გაუთვალისწინებელი წესის ადგილი დაიკავოს და არასრულყოფილი დებულებები შეავსოს“.<sup>97</sup>

დისპოზიციური სამართლის ნორმები მხარეებს შესაძლებლობას აძლევს დეტალურად არ განსაზღვრონ ყველა საკითხი მომავალ ურთიერთობებში. მაგალითად, მამკვიდრებელმა, რომელიც სამკვიდროს ტოვებს, იცის, რომ მისი ქონება შემკვიდრებზე გადავა კანონით დადგენილი წესით. თუ იგი ამ წესს ეთანხმება, მას

<sup>96</sup> ეს სიტყვები ცნობილ გერმანელ მეცნიერს ფონ ტურს ეკუთვნის: *Tuhr Andreas von*, Allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts, Bd. I, Berlin: Duncker & Humblot, 1957, S. 25 (შემდგომში — *v. Tuhr*, Bd. I).

<sup>97</sup> *v. Tuhr*, Bd. I, S. 25.

არ სჭირდება საგანგებოდ ანდერძის შედგენა. ვინც რაიმე ნივთს ყიდულობს, მას სჭირდება მხოლოდ ფასსა და საგანზე შეთანხმება. ყველა სხვა საკითხს აწესრიგებს კანონი (ხარისხი, ნაკლი, უკან დაბრუნების პირობები და ა.შ.).

ისტორიულად დისპოზიციური ნორმები მხარეთა შეთანხმებების საფუძველზე წარმოიშვა, კერძოდ, ისეთი შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ, ტიპურ და სრულიად ბუნებრივ შეთანხმებებს წარმოადგენდნენ.<sup>98</sup> ამიტომ, დისპოზიციური ნორმები კანონში ხშირად ისეა ჩამოყალიბებული, თითქოს ეს მხარეთა ბუნებრივი მოთხოვნა იყოს. მაგალითად, ნასყიდობის დროს მყიდველს უფლება აქვს გამოცვალოს ნივთი, თუ მას ნაკლი აღმოაჩნდა.

დისპოზიციური ნორმების თავისებურება ისაა, რომ ისინი მოქმედებენ მაშინ, როცა მხარეებმა გამოტოვეს ხელშეკრულებაში რაიმე საკითხი ან არასრულად მოაწესრიგეს იგი. მაგალითად, თუ მეუღლეებს შორის არ დადებულია საქორწინო კონტრაქტი, მაშინ მათი ქონებრივი ურთიერთობა ერთმანეთში მოწესრიგდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მეუღლეთა თანასაკუთრების წესით.

დისპოზიციური ნორმების გარდა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე ნორმებს, რომელთა შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ. ესაა **იმპერატიული ნორმები**, რომელთა რაოდენობა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში არცთუ ისე ცოტაა. მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა მიზანს ემსახურება იმპერატიული ნორმები. კოდექსი პირდაპირ არ უთითებს, თუ რომელია იმპერატიული და რომელი დისპოზიციური ნორმები. ეს უნდა დაზუსტდეს კონკრეტული ნორმის განმარტების დროს.

აღიარებული შეხედულების თანახმად, „თავისუფალი საზო-

<sup>98</sup> ასეა შეფასებული დისპოზიციური ნორმები სავაჭრო სამართლის სამაგიდო წიგნში, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გამოიცა: *Goldschmidt Levin, Handbuch des Handelsrechts. Universalgeschichte des Handelsrechts, Bd. I, Stuttgart: Enke, 1891, S. 403.*

გადღობის სამოქალაქო სამართალი ფართო მოცულობით ანიჭებს ინდივიდებსა და სამოქალაქო სამართლებრივად ორგანიზებულ ჯგუფებს უფლებას ერთმანეთს შორის ურთიერთობები ურთიერთ-შეთანხმებით, ე.ი. კონსენსუსით მოაწესრიგონ. კანონით გარანტირებულ ფარგლებში განხორციელებულ შეთანხმებებს სამართალი ანიჭებს სამართლებრივ ნამდვილობას, დაცვასა და სახელმწიფოებრივ იძულებას. სახელშეკრულებო თავისუფლება არსებობს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და განსაზღვრულ დონემდე; ეს ფარგლები და დონე განისაზღვრება იმპერატიული ნორმებით.<sup>99</sup>

იბადება კითხვა: ხომ შეიძლება, რომ კანონმა განსაზღვროს მხოლოდ იმპერატიული ნორმები, ე.ი. ის ფარგლები და საზღვრები, რომლის შიგნითაც მხარეებს შეეძლებათ თავისუფლად მოქმედება? ამით შემცირდებოდა დისპოზიციური ნორმების აუცილებლობაც. ე.ი. მინიმალური მოწესრიგების გარდა, ყველა ურთიერთობა მოწესრიგდებოდა მხარეთა შეთანხმებით. ამის გაკეთება დაუშვებელია შემდეგი გარემოების გამო: „მხარეთა შეთანხმება ძალიან ხშირად არასრულყოფილია, ე.ი. ის ვერ ეხება ყველა იმ კონფლიქტს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს შეიძლება წარმოიშვას. შეთანხმებისას მხარეები ფიქრობენ შეთანხმების სათანადოდ შესრულებაზე და არა იმაზე, თუ რა პრობლემები შეიძლება მათ წარმოეშვათ“.<sup>100</sup> მაგალითად, პირი, რომელიც წიგნს ყიდულობს მაღაზიაში, იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ამ წიგნს შეიძლება 30 გვერდი აკლდეს. ამიტომ ის არ უთანხმდება გამყიდველს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში. მაგრამ თუ ეს ასეა (ე.ი. წიგნი გამოდგა ნაკლის მქონე), მაშინ მოქმედებს კანონის ნორმა, რომელიც ავალდებულებს გამყიდველს გამოცვალოს ნაკლის მქონე ნივთი (490-ე მუხლის პირველი ნაწილი). ნივთის გამოცვლა ამ შემთხვევაში სავალდებულოა, თუ მხარეები სხვა

<sup>99</sup> Schwab Dieter; Löhnig Martin, Einführung in das Zivilrecht. 18. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2010, S. 22 (შემდგომში - Schwab/Löhnig, Einführung).

<sup>100</sup> Schwab/Löhnig, Einführung, S. 22-23.

რამეზე არ შეთანხმებულან: ეს არის დისპოზიციური ნორმების ფორმულა.

თუ კანონის ნორმა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს, მხარეებმა კი მისგან განსხვავებულ შეთანხმებას მიაღწიეს, იქნება თუ არა ასეთი შეთანხმება ნამდვილი? ეს დამოკიდებულია იმაზე, არის ეს ნორმა დისპოზიციური თუ იმპერატიული. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ხშირად რთულია. მით უმეტეს, რომ ყველა ნორმაზე არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, იმპერატიულია თუ დისპოზიციური. იმპერატიული ხასიათი უნდა დადგინდეს ნორმის მიზნიდან და ეს უნდა მოხდეს კონკრეტული ნორმების განმარტებისას. ამავე დროს, არსებობს ნორმები, რომელთა იმპერატიულობა ეჭვს არ იწვევს და ამიტომ არც განმარტებაზეა მათი ასეთი ბუნება დამოკიდებული. მათ განეკუთვნება ნორმები, რომლებიც გარიგებათა ნამდვილობას განსაზღვრავენ ანდა ნორმები იურიდიული პირის სახეების შესახებ.

იმპერატიული ნორმების ანალიზისას იბადება კითხვა: ამ ნორმათა იმპერატიული ხასიათი, კერძოდ, ის, რომ მათი შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ, ხომ არ აქცევს მათ საჯარო სამართლის ნორმად? ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად, „ნორმის იმპერატიული ხასიათი არ უცვლის მას კერძო სამართლებრივ ბუნებას. იმპერატიული სამართლის ცნება არ უნდა გავაიგიოთ „საჯარო სამართლის“ ცნებასთან“.<sup>101</sup> ეს აიხსნება იმით, რომ იმპერატიული ნორმების მიზანი მდგომარეობს იმ კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში, რომელიც კერძო სამართლის მონაწილეებსა აქვთ მინიჭებული. ამგვარი უზრუნველყოფის გარეშე საფრთხე შეექმნებოდა ინდივიდუალიზმისა და კერძო ავტონომიის პრინციპებს.

იმპერატიული ნორმების დახასიათებისას ცალკე გამოყოფენ ე.წ. „ფარდობითად იმპერატიულ ნორმებს“. მათი ფარდობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ისინი მხოლოდ ერთი მხარისთვისაა

<sup>101</sup> *Koziol Helmut, Welser Rudolf*, Grundriß des bürgerlichen Rechts, 13. Aufl. Wien, 2006, S. 43 (შემდგომში - *Koziol/Welser*, Grundriß des bürgerlichen Rechts).

იმპერატიული. სამოქალაქო კოდექსში ამის მაგალითია ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოვალეობა არ შესთავაზოს კონტრაქტს არათანაბარი პირობები (319-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორც წესი, დისპოზიციური ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მხარეებმა ხელშეკრულებაში ან სხვა გარიგებაში რაღაც ვერ გაითვალისწინეს. მაშინ, როცა მხარეებმა ერთმანეთს შორის ურთიერთობა სრულყოფილად მოაწესრიგეს, დისპოზიციური ნორმების გამოყენების აუცილებლობა არ წარმოიშობა.<sup>102</sup> მაგალითად, მემკვიდრეობის სამართალში მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<sup>103</sup>

არის შემთხვევები, როცა აშკარად დისპოზიციური ნორმა საკანონმდებლო ცვლილების შედეგად იმპერატიულ ნორმად გადაიქცევა და ურთიერთობის მონაწილეს იმ უფლებას უკარგავს, რომელიც მას დისპოზიციური ნორმის წყალობით ჰქონდა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 582-ე მუხლში 2011 წლის 5 მაისს შევიდა ცვლილება, რომლითაც ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მხარეს ამ ვადის გასვლის შემდეგ იჯარის ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუკი ეს იჯარის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოშლის სამთვიანი ვადა, რომელიც მხარეს მაშინაც კი ჰქონდა, თუ ეს ხელშეკრულებით არ იქნებოდა გათვალისწინებული, უკვე აღარ არსებობს.

თუ კონტინენტური ევროპის კერძო სამართლისთვის დისპოზიციური ნორმები სრულიად ბუნებრივია, მას არ იცნობს პრეტენდენტური სამართალი. *ius dispositivum* მისთვის უცხოა. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საერთო სამართალს არა აქვს ისეთი სახელშეკრულებო ტიპები, რომლებშიც მხარეებს მხოლოდ რამდენიმე სა-

<sup>102</sup> *Koziol/Welser*, Grundriß des bürgerlichen Rechts, S. 38.

<sup>103</sup> ახელედიანი ზურაბ, სამემკვიდრეო სამართლის საკითხები. სამართლის რეფორმა საქართველოში. 1994 წ. გვ. 262.

კითხზე სჭირდებათ შეთანხმება, ხოლო დანარჩენს მოაწესრიგებს კანონი.<sup>104</sup>

ცხადია, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ შეუძლიათ ყველაფრის გათვალისწინება. ამიტომ ინგლისელი მოსამართლეები ცდილობენ ამოავსონ ეს ხარვეზები. ამ მიზნით ისინი იყენებენ ე.წ. doctrine of implied terms.<sup>105</sup> ეს მოძღვრება, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის ანალოგიური მოძღვრება, ხელშეკრულებათა შემვსები განმარტების შესახებ ემყარება მხარეთა სავარაუდო ნების პრინციპებს.<sup>106</sup>

რადგანაც მხარეთა ხარვეზიან შეთანხმებებს საკანონმდებლო დაზღვევა არა აქვთ, დიდია იმ იურისტების როლი, რომლებიც ხელშეკრულებებს ადგენენ. ისინი ცდილობენ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ ყველა დეტალი. ამიტომაც არის, რომ ინგლისელი და ამერიკელი იურისტების მიერ შედგენილი ხელშეკრულებები ყველა იმ დეტალს ითვალისწინებს, რასაც კონტინენტური ევროპის სამართალში სამოქალაქო კოდექსები ან სხვა კანონები. სახელშეკრულებო ხარვეზები შეიძლება ასევე სავაჭრო ჩვეულებებით შეივსოს.<sup>107</sup> შესაბამისად ამისა, მაღალია ამ ქვეყნების იურისტების მიერ გაცემული მომსახურების, ე.წ. ტრანსაქციული ხარჯების ოდნობა.<sup>108</sup>

<sup>104</sup> *Triebel Volker, Hodgson Stephen, Kellenter Wolfgang, Müller Georg*, *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, 2. Aufl., Heidelberg, 1995, S. 65. (შემდგომში - *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*; *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*)

<sup>105</sup> გამოყენებული ცნებების დოქტრინა ანალიზს უკეთებს ხელშეკრულებებში მხარეების მიერ გამოყენებულ ცნებებს და აზუსტებს მათ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით ნახეთ: *Cohen George M.*, *Implied Terms and Interpretation in Contract Law*, University of Virginia School of Law, September 2009.

<sup>106</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*; *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 65.

<sup>107</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*; *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 66.

<sup>108</sup> *Knieper Rolf*, *Ökonomische Analyse des Notariats*, Beck, München, 2010, *Knieper Rolf*, *An Economic Analysis of the Notarial Law and Practice*, Beck, München, 2010.

**ბ. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი და განუსაზღვრელი ნორმები**

სამოქალაქო კოდექსი ცდილობს აბსტრაქტული ნორმების მეშვეობით მოაწესრიგოს ურთიერთობები. ეს შესაძლებლობას იძლევა ნორმა მიესადაგოს სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, რომლებიც ხშირად გარემოებათა შესაბამისად იცვლება. იმავდროულად, ცხოვრებასთან მიახლოების შესაძლებლობას კანონი იძლევა ე.წ. **განუსაზღვრელი ნორმების** ჩამოყალიბებით, რომელთაც უფრო ღირეპტივის ხასიათი აქვთ.<sup>109</sup>

ამგვარ ზოგად და განუსაზღვრელ დებულებებს სამოქალაქო კოდექსი ბევრ ადგილას იყენებს. „კეთილსინდისიერად“, „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“, „სამართლიანობის შესაბამისად“, „სათანადო ვადა“, „მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას“ და ა.შ.

ზოგადმა და განუსაზღვრელმა დებულებებმა დასავლეთ ევროპის მართლმსაჯულებას შესაძლებლობა მისცა განევითარებინა საკანონმდებლო მოწესრიგება და შეცვლილი ცხოვრებისეული გარემოებებისათვის მიესადაგებინა. ამით შეიძლება აიხსნას, რომ XIX საუკუნეში მიღებული კანონები ძირეულად შეცვლილი ეკონომიკური თუ სოციალური ურთიერთობების მიუხედავად დღესაც ძალაშია.<sup>110</sup>

<sup>109</sup> *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 3 Rn. 84 ff.*

<sup>110</sup> განუსაზღვრელი ნორმები, რომლებიც დასავლეთის ყველა სამოქალაქო კოდექსს აშვეენებს, იოლად არ დამკვიდრებულა სამართალში. თვით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კრიტიკოსები, რომლებიც უდავოდ აღიარებდნენ ამ აქტის მაღალ დონეს, დაუფარავად აკრიტიკებდნენ და ებრძოდნენ კიდევ მის განუსაზღვრელ დებულებებს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე ციტატის მოხმობაც, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორი წინააღმდეგობა ხვდებოდათ მათ: „უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სამართლიანობასა და თანაზომიერებაზე დამყარებული ნორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ არასტაბილურობას გამოიწვევს, რაც შეიძლება მოსამართლეებში ამ ნორმათა ბოროტად გამოყენების საწინდარი გახდეს“. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის პირველ წლებში მოსამართლეები არც იყენებდნენ ამ ნორმებს. მხოლოდ ოციანი წლებიდან იწყებენ განუსაზღვრელი ნორმები ძლევაძიოდ დამკვიდრებას სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ

არაა გამორიცხული, რომ ამ განუსაზღვრელ ნორმებს უარყოფითი შედეგები მოჰყვეს საზოგადოებისათვის. ეს ზღბა მაშინ, როცა თვით სამართალი მოიკოჭლებს საზოგადოებაში. ამიტომ ისეთი დებულებები, როგორიცაა „კეთილი ნება“, „კეთილსინდისიერება“, „ზნეობა“, „საზოგადოებრივი წესრიგი“ და ა.შ. შეიძლება სახიფათო ინტერპრეტაციის წყარო გახდეს. ჰედემანი ამ მოვლენას „მთელი სამართლებრივი ცხოვრების არასტაბილურობას უწოდებს“.<sup>111</sup> ეს სიტყვები მაშინაა დაწერილი, როცა გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი მყარად იკიდებს ფეხს და ავტორის შემფოთება სრულიად ბუნებრივია. ასეთი განუსაზღვრელი ნორმები მრავლად იყო საბჭოთა სამართალშიც: „რევოლუციური მართლშეგნება“, „სოციალისტური კანონიერება“ და ა.შ.

განუსაზღვრელი ნორმების არსებობა თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ბოროტების, არც სიკეთის წყაროდ. უფრო მეტად, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ისაა, თუ რა ღირებულებებს ემყარება მთლიანად საზოგადოება. ბოროტების განხორციელება შეიძლება ზოგადი განუსაზღვრელი დებულებების გარეშეც. მაგრამ რეალურ ცხოვრებასთან ახლოს მდგომი სამართლისა და მართლმსაჯულების განხორციელება მათ გარეშე შეუძლებელია.

საერთო სამართლის ქვეყნებისათვის უცხოა განუსაზღვრელი ნორმები და ამ ნორმათა კლასიკური გამოხატულება ე.წ. კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც ბუნებრივად გამოიყურება კონტინენტური ევროპის სამართალში და მხარეებს მოუწოდებს, რომ ურთიერთგაღებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად — ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე. „ინგლისურ სამართალში ხელშეკრულების მხარეებს მათი ხელშეკრულებების შესრულებისას არ სჭირდებათ ყურადღების გამახვილება ურთიერთნდობასა და რწმენაზე. პრინციპულად ყველაფერს წყვეტს ხელშეკრულებ

მეცნიერებაში. დღეს მათ გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე კოდიფიკაციები. ვუთითებ ჰედემანის წიგნის მიხედვით: *Hedemann Justus Wilhelm, Die Flucht in die Generalklauseln. Eine Gefahr für Recht und Staat. Tübingen, Mohr, 1933, S. 10.*

<sup>111</sup> *Hedemann, Die Flucht in die Generalklauseln, S. 67.*



ბის მშრალი ასოები და არაფერს აენებს, თუ ერთ-ერთი მხარე თავის სახელშეკრულებო უფლებებს უსამართლოდ ან ბოროტად გამოიყენებს“.<sup>112</sup> მხარეებს ასევე არ შეუძლიათ სავალდებულოდ შეთანხმდნენ, რომ ისინი ხელშეკრულებას ნდობისა და რწმენის საფუძველზე შეასრულებენ. მაგალითად, ბანკი, რომელიც ვალდებულების უზრუნველმყოფ ქონებას (გირაოს) ყიდის, სულაც არ არის ვალდებული, ეს ქონება მაქსიმალურ ფასში გაყიდოს ისე, რომ თავდებსაც დარჩეს რამე.<sup>113</sup>

## II. ჩვეულებანი

სამართლის კოდიფიკაციამ ჩვეულებათა მნიშვნელობა შეამცირა. თუმცა სამოქალაქო სამართალი გულგრილი ვერ დარჩება სამართლის ამ უძველესი წყაროს მიმართ. ამიტომაც არის, რომ კანონის შემდეგ სამართლის წყაროდ ჩვეულებებიც არის აღიარებული.<sup>114</sup>

სამოქალაქო კოდექსმა ჩვეულებანი სამართლის წყაროდ აღიარა. იმავდროულად, მათი შინაარსი დაწერილი სამართლის ფარგლებში მოაქცია. კერძოდ, მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

იმის გამო, რომ ჩვეულებანი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება და წერილობითი ფორმით არ არის დაფიქსირებული, ხშირად რთულდება მათი შინაარსის დადგენა. ამიტომ პრაქტიკუ-

<sup>112</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*, *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 66-67.

<sup>113</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*, *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 67.

<sup>114</sup> მიუხედავად ამისა, ზოგი ქვეყნის სამართლის მეცნიერებაში, მაგალითად, ავსტრიაში, სადავოა, საერთოდ არსებობს თუ არა ჩვეულებითი სამართალი. აქვე იმასაც ამბობენ, რომ დაწერილი სამართალი ისე სრულყოფილად აწესრიგებს ურთიერთობებს, რომ ჩვეულებითი სამართლისათვის ადგილი არ რჩება. *Walter Robert, Meyer Heinz*, *Grundriß des österreichischen Bundesverfassungsrechts*, 9. Aufl. Wien: Manz, 2000, S. 50-51.

ლი მნიშვნელობისაა საკითხი, თუ ვინ უნდა დაადგინოს ჩვეულებების არსებობა. ყოველგვარი წესი ჩვეულებას არ ნიშნავს. ეს წესი კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიერ უნდა იყოს აღიარებული სავალდებულოდ შესასრულებლად. სინამდვილეში არის ეს ასე თუ არა, უნდა გადაწყვიტოს სასამართლო.

ჩვეულების არსებობის დადასტურება ან აღიარება სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად იქნება გამოყენებული. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ჩვეულება კანონის ნორმებს. მაგალითად, ზოგიერთ ხალხში დღემდე შემორჩა დაქორწინება საცოლის მოტაცების გზით. მართალია, ეს წესი განეკუთვნება ჩვეულებას, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო კოდექსის ნორმებს ქორწინების თავისუფლების შესახებ, ისე სისხლის სამართლის კოდექსს. ამიტომ ასეთი ჩვეულება სამართლის წყაროდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ჩვეულებითი სამართლის ბევრი ნორმა საფუძველი გახდა საკანონმდებლო ნორმის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, კომერსანტებს შორის დუმილით გარიგების დადების წესი ჩვეულებითი სამართლიდან გადმოვიდა მოქმედ სამოქალაქო კოდექსებში.

ლიტერატურაში არის ასევე შეხედულება, თითქოს სამოსამართლო სამართალიც ჩვეულებითი სამართალი იყოს.<sup>115</sup> თუმცა ეს შეხედულება არ არის გაზიარებული სხვათა მიერ.<sup>116</sup> სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას სხვა კანონზომიერებები და წესები აქვს, ვიდრე ჩვეულებით სამართალს. არც მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს სამოსამართლო სამართალი ჩვეულებითი სამართალი იყოს.

მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსი კანონთან ერთად სამართლის წყაროდ ჩვეულებასაც აღიარებს.

<sup>115</sup> მაგალითად, v. Tuhr, Bd. 1. S. 10.

<sup>116</sup> მაგალითად, Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 3 III, Rn. 40 ff.

### III. სამოქალაქო ნორმის მოქმედება

#### 1. მოქმედება დროსა და სივრცეში

ნებისმიერი კანონი, მათ შორის სამოქალაქო კოდექსიც, განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ სივრცეში მოქმედებს. პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდის შედის კანონი ძალაში, როდის ხდება იგი სავალდებულო გამოსაყენებლად და როდის კარგავს ძალას ან ვის მიმართ გამოიყენება ეს კანონი. საქართველოში ამ ურთიერთობებს სპეციალური კანონი აწესრიგებს. ესაა კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.<sup>117</sup> გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის ნორმათა დროსა და სივრცეში მოქმედების საკითხები დამატებით მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსშიც.

მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კანონი და კანონქვემდებარე აქტები ძალაში შედის მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ. დადგენილ წესში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლითა და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული კანონთა ძალაში შესვლის წესი.

კანონის მოქმედება დროში განისაზღვრება კანონის ამოქმედებისა და მისი ძალადაკარგულად აღიარების დროს შორის არსებული დროის მონაკვეთით. უზოგადესი წესის თანახმად, კანონი ძალაში შედის მასში მითითებულ დღეს. ეს დღე შეიძლება აღინიშნოს სხვადასხვა ტერმინებით: „გამოქვეყნებისთანავე“, „25 ნოემბერს“ და ა.შ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დრო არის 1997 წლის 25 ნოემბერი. თუ კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ამოქმედდება გამოქვეყნების დღეს 24 საათზე (ნორ-

<sup>117</sup> 2009 წლის 22 ოქტომბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომლითაც გაუქმდა 1996 წლის 19 ნოემბრის კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.

მატიული აქტების შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი). თუ კანონში ასეთი კონკრეტული ვადა არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება კონსტიტუციის 68-ე მუხლი, რომლის თანახმად კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.<sup>118</sup> ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად კი ითვლება კანონის სრული ტექსტის პირველად გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი).

კანონის ძალაში შესვლის ერთ-ერთი არანორმატიული წინაპირობაა ისეთი გამოქვეყნება, რომელიც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის მიერ ამ კანონის გაცნობას. ამიტომ იმის მოთხოვნა, რომ კანონი საყოველთაო გაცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს, არ არის შემთხვევითი. დასავლეთის ქვეყნებში კანონთა ხელმისაწვდომობა პრაქტიკულად იმით არის უზრუნველყოფილი, რომ ოფიციალური გამოცემის შემდეგ კერძო გამომცემლობები ავრცელებენ ამ კანონებს მრავალტირაჟიანი გამოცემების მეშვეობით. თვით გამომცემლობებს კანონთა გამოცემის უფლება კანონმდებლობითა აქვთ უზრუნველყოფილი. ქართული სამართალი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს: კანონი ისეთ ნაწარმოებთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებზეც საავტორო უფლება არ ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ კანონთა გამოცემა დასაშვებია კერძო გამომცემლობებისათვის.<sup>119</sup>

ნორმატიული აქტი მოქმედებს უკალოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს

<sup>118</sup> იგივე ნორმაა განმტკიცებული ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში.

<sup>119</sup> საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტის თანახმად ოფიციალურ ტექსტებზე, რომელთაც კანონებიც განეკუთვნება, არ ვრცელდება საავტორო უფლებები.

ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობებს, ანდა თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

სამოქალაქო ნორმების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი არის ახალი კანონის გამოცემა, რომელიც ძველ კანონს აუქმებს. ყოველი ახალი კანონი ავტომატურად არ აუქმებს ძველ კანონს: გაუქმების შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული ახალ კანონში ან ახალი კანონი უნდა აწესრიგებდეს იმ ურთიერთობას, რასაც ძველი კანონი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსმა 1505-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტით გააუქმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ძველი კანონის გაუქმებაზე. ამ დროს გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის წესი: ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ განზრახვას.

დროში სამართლის ნორმის მოქმედების საკითხს უკავშირდება კანონის უკუქცევითი ძალის საკითხიც. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა. ამ უზოგადესო წესიდან გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ კანონით იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსმა 1507-ე მუხლით სამოქალაქო კოდექსის მოქმედება გაავრცელა ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზეც. კერძოდ, ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადა აითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან. სამოქალაქო კოდექსი კრძალავს კანონისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას, თუკი ეს კანონი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. თუ რას ნიშნავს „ზიანის მომტანი“ ან „აუარესებს პირის მდგომარეობას“, ეს კონკრეტული ფაქტის საკითხია და ცალკეული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

სამოქალაქო კოდექსის უკუქცევითი ძალის საკითხი აქტუალური გახდა იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორ-

ციელდა არაკომერციული იურიდიული პირების ნაწილში. კონკრეტული კითხვა, რომელიც ამ დროს წარმოიშვა, არის შემდეგი: რა ბედი ეწიათ კავშირებსა და ფონდებს, რომლებიც ამ ცვლილებების მიღებამდე იყვნენ დაფუძნებული? ხომ არ უნდა მოხდეს მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია?

როცა სამართლის ნორმის სივრცეში მოქმედებაზე საუბარი, იგულისხმება ის ტერიტორია, რომელზედაც მოქმედებს ეს კანონი. ასეთ ტერიტორიად მიიჩნევა მთლიანად საქართველოს ტერიტორია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

## 2. სამართლის ნორმათა კოლიზია

რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს სამართლის სისტემა ან სამართლის ცალკეული დარგი, არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სამართლის ცალკეული ნორმები განსხვავებულად აწესრიგებენ ერთსა და იმავე ურთიერთობებს. ასეთ ვითარებას სამართლის ნორმათა კოლიზია ეწოდება. კოლიზია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა ურთიერთწინააღმდეგობისას. რაც შეეხება წინააღმდეგობას კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის, ასეთ დროს კოლიზიის ცნება არ გამოიყენება. ასეთი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულ ნორმას განამტკიცებს: თუ კანონქვემდებარე აქტი ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი (მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება).

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს? რომელი ნორმა უნდა იქნეს ამ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად გამოყენებული? პრაქტიკული მნიშვნელობის ამ კითხვაზე პასუხს სცემს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი: გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური და უფრო ახალი კანონი. არათუ ცალკეულ კანონებს შორის, არამედ სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ნორმებს შორისაც არ არის გამორიცხული

კოლიზია. ეს, როგორც წესი, ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის არსებულ წინააღმდეგობაში გამოიხატება. ამ დროს გამოიყენება სპეციალური ნორმები. მათ უპირატესობა აქვთ ზოგად ნორმებთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ სპეციალური ნორმები უფრო ახლოს დგანან მოსაწესრიგებელ ურთიერთობებთან და უფრო ზუსტად ასახავენ ამ ურთიერთობათა სპეციფიკას.

## § 4. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი

მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია. ამით კანონმდებელმა აღიარა, რომ დაუშვებელია მართლმსაჯულების დუმილი: მოსამართლემ ყველა შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს დავა, რომელმაც სასამართლომდე მოაღწია. მაგრამ როგორ უნდა გააკეთოს ეს მან, თუკი კანონი არ შეიცავს შესაბამის ნორმას ან ეს ნორმა ბუნდოვანია? სამოსამართლო საქმიანობაში ხშირად დასმულ ამ კითხვაზე პასუხებს შეიცავს ეს პარაგრაფი.

### I. ცნება და მნიშვნელობა

#### 1. კანონთა განმარტების აუცილებლობა

მრავალსაუკუნოვან მცდელობებს, რომ კანონები ყველასთვის გასაგები ენით დაწერილიყო, საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. „თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია რამდენიმე ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგება საზოგადოების უკანასკნელ წევრსაც კი შეუძლება. ლოგიკა და ენის კარგად ფლობა ამისთვის სრულიად არ არის საკმარისი“.<sup>120</sup> როგორც ექიმს სჭირდება სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია, რომელიც მისი პაციენტებისთვის ხშირად უცხოა, ისევე სჭირდება იურისტს სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია.

კანონის ტექსტის წინადადებათა ერთგვაროვანი გაგება არა-

<sup>120</sup> ორმოცდაათი წლის წინ ჩამოყალიბებულ ამ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა: *Schnitzer Adolf F.*, *Vergleichende Rechtslehre*. Bd. II. 2. Aufl., Basel, 1961, S. 443 (შემდგომში - *Schnitzer*, *Vergleichende Rechtslehre*, Bd. II)



თუ არაიურისტებისთვის, თვით იურისტებისთვისაც კი არ არის იოლი საქმე. ისტორიულად ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა; როგორ უნდა გაგებულყო რამდენიმე ათეული წლის წინ კანონმდებლის მიერ წარმოთქმული ფრაზა ახალ პირობებში ანდა როგორ უნდა გაეგოთ ახალი ცხოვრების დამწერგავი ნორმები ძველი მართლშეგნების მატარებელ იურისტებს?

ამის გამო წარმოიშვა ისტორიულად კანონების ინტერპრეტაციის აუცილებლობა. რომის სამართალთან დაკავშირებით ამგვარი კომენტირების მცდელობას წარმოადგენდა გლოსატორების საქმიანობა.<sup>121</sup>

დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ ყოველი კანონი მხოლოდ ისე აწესრიგებს ურთიერთობებს, როგორც ეს კანონმდებელს მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენია. მხოლოდ პრაქტიკას შეუძლია შემდეგში დაამტკიცოს, თუ რამდენად გაამართლა ამან. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მოსაწესრიგებელი ურთიერთობები მუდმივად იცვლება. პრაქტიკულად წარმოიშობა მოთხოვნა, რომ კანონი მიესადაგოს ამ შეცვლილ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, კანონის გამოცემით კი არ მთავრდება მოცემულ სფეროში იურიდიული მოღვაწეობა, არამედ იწყება მხოლოდ – ამოქმედება სასამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა.<sup>122</sup>

## 2. სამოსამართლო სამართლის ცნება

როგორც საკოდიფიკაციო მოღვაწეობის გააქტიურების ორსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, შეუძლებელია ისეთი კანონის მიღება, რომელსაც ხარვეზი არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე,

<sup>121</sup> გლოსატორები არიან ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც XIII საუკუნეში აღმოაჩინეს რომის სამართალი და ამ სამართლის ტექსტზე დაიწყეს აღნიშვნების (გლოსების) გაკეთება, რაც კომენტირებას ისახავდა მიზნად (*Lange Hermann, Römisches Recht im Mittelalter, Bd. I: Die Glossatoren, Beck, München, 1997; Deutsches Rechtslexikon, Horst Tilch (Hrsg.), Band 2, 2. Aufl. Beck, München, 1992, S. 267-268.*)

<sup>122</sup> *Schnitzer, Vergleichende Rechtslehre, Bd. II., S.445.*

წარმოიშობა პრაქტიკული საკითხი: როგორ შეიძლება კანონის ამ ხარვეზის გამოსწორება?

— ყველაზე პრიმიტიული გადაწყვეტა იქნებოდა საქმის განუხილველად დატოვება მანამდე, სანამ კანონმდებელი შესაბამის კანონს არ მიიღებდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეს ამის უფლებას არ აძლევს. გარდა ამისა, არაეინ იცის, კანონმდებელი მიიღებს კანონს თუ არა ან, თუ მიიღებს, როდის;

— ასეთი ბუნდოვანი და გაურკვეველი ვითარება თავიდან რომ იქნეს აცილებული, მოსამართლეს უნდა მიენიჭოს უფლება კანონი გამოიყენოს ყველა შემთხვევისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლში.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება. **კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქვეყნის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებულ ნორმათა ერთობლიობას — სამოსამართლო სამართალი.** თუ მოცემული სამართალი ამგვარ სამართალშემოქმედებას უშვებს, მაშინ გადასაწყვეტია საკითხი, თუ ვის უნდა მიენიჭოს ამის უფლება. აქაც რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:

ა. **პირველი**, როცა განმარტების უფლება ენიჭება სპეციალურ ორგანოს (კომისიას, სპეციალურ საბჭოს ან თვით საკანონმდებლო ორგანოს), მაგალითად, როგორც ეს არის ყაზახეთში, სადაც საკონსტიტუციო საბჭოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კონსტიტუციის ოფიციალურად განმარტების უფლება;

ბ. **მეორე**, როცა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოს ეძლევა უფლება მიიღოს ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო განმარტებები. ეს არის საბჭოთა კავშირში გაბატონებული და მისი დაშლის შედეგად მრავალ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში შემორჩენილი მოდელი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასამართლოების პლე-

ნუმები იღებენ ნორმატიული ხასიათის დადგენილებებს;<sup>123</sup>

გ. მესამე და ყველაზე გავრცელებული შესაძლებლობაა, როცა მოსამართლეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ინსტანციის მოსამართლეა, მინიჭებული აქვს უფლება ინტერპრეტაციის გზით განავითაროს სამართალი, ე.ი. შეავსოს კანონი.<sup>124</sup> „განმარტება ხორციელდება მოსამართლის მიერ და მას ნიადაგს უმზადებს მეცნიერება. პროცესის მონაწილე მხარეებმაც უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობების მოწესრიგებისას კანონის შინაარსის შესახებ განმარტების საფუძველზე საკუთარი აზრი“.<sup>125</sup>

## II. კანონთა განმარტების (ინტერპრეტაციის) თავისებურებანი

### 1. კანონთა განმარტების მიზანი

კერძო სამართალი, როგორც წესი, შედგება კანონის სამართლისაგან და კანონის ნორმების განმარტებისა და განვითარების შედეგად შექმნილი სამოსამართლო სამართლისაგან.<sup>126</sup> საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სამოსამართლო სამართალი კანონის სამართლის განვითარების, მისი მომსახურების შედეგად შეიქმნა: იგი ეხმარება, ავსებს და განავითარებს კანონის სამართალს.<sup>127</sup> რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალს, იგი უმთავრესად სამოსამართლო სამართლის საფუძველზე ვითარდება. „კანონები მხოლოდ

<sup>123</sup> ამ მოდელის კრიტიკა ნახეთ: *Чантурия Лядо*, О правовой природе судебных актов и пределах судейского правотворчества, в журнале Юрист, №8, 2009, с. 14-18. – Казахстан.

<sup>124</sup> *მაგალითად*, შვეიცარიის კოდექსის პირველი მუხლი.

<sup>125</sup> *Tuhr v. Bd. I*, S. 37.

<sup>126</sup> *J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. Einleitung zum Bürgerlichen Gesetzbuch. Buch I, Allgemeiner Teil, Neubearbeitung*, Berlin, Sellier; de Gruyter: *Staudinger/Coing/Honsell*, (2004), inl. 1 zum BGB, Rn. 116.

<sup>127</sup> *Staudinger/Coing/Honsell*, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 116.

კორექტირებას უკეთებენ ამ განვითარებას.<sup>128</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინგლისურ-ამერიკული კერძო სამართალი მოსამართლეთა ბრწყინვალე ხელოვნებამ შექმნა და ამას ინგლისელი იურისტები სიამაყით თვლიდნენ გამარჯვებად.<sup>129</sup>

კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ბუნდოვანი აღგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას.

იურიდიული ტექსტები – განსაკუთრებით კანონისა და სამოსამართლო სამართლის ცალკეული წინადადებები – ქმნიან ტექსტების სპეციალურ ტიპს: სოციალური წესრიგის ცალკეულ წინადადებებს ანუ „წესრიგის წინადადებებს“; ისინი ამგვარად უნდა იქნენ გაგებული და წაკითხული. ეს განასხვავებს მათ სხვა სახის მხატვრული, ფილოსოფიური და ა.შ. ტექსტებისაგან. მათი გაგება ნიშნავს იმის გაცნობიერებას, თუ რომელი წესრიგის დამყარება სურდა კანონმდებელს ან მოსამართლეს, მოკლედ რომ ვთქვათ, სამართალშემოქმედს.<sup>130</sup>

ვინაიდან კანონის წინადადებები წესრიგის წინადადებებს წარმოადგენს, აქედან გამომდინარეობს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა. „მოსამართლე ვალდებულია, მასთან მოსული ყველა სადავო საკითხი კანონიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. მას არა აქვს უფლება უარი თქვას დავის გადაწყვეტაზე“.<sup>131</sup> ამდენად, მოსამართლე სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი ან კომენტატორი. მან უნდა გადაწყვიტოს მასთან მოსული ნებისმიერი ხასიათის დავა; მაგრამ ეს უნდა გააკეთოს არა სათუოდ, არამედ სამართლიანად და, ამავე დროს, კანონის მიხედვით. მან უნდა გადაწყვიტოს ეს დავა მიუხედავად იმისა, კანონი ზუსტად იძლევა პასუხს მასზე თუ არა. არც ერთ კანონმდებელს არ შეუძლია ყველა მომავალი შემთხვევის წინას-

<sup>128</sup> *Heinrich Dieter, Huber Peter*; Einführung in das englische Privatrecht. 3. Aufl. Verlag Recht und Wirtschaft, Frankfurt, 2003, S. 1.

<sup>129</sup> *Schnitzer*, Vergleichende Rechtslehre, Bd. II, S. 443.

<sup>130</sup> *Staudinger/Coing/Honsell*, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 121.

<sup>131</sup> *Staudinger/Coing/Honsell*, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 121.

წარ გათვალისწინება. ყველა კანონს, მათ შორის ყველა კოდიფიკაციას ექნება ხარვეზი.<sup>132</sup>

კანონში არსებული ხარვეზის ამოვსება შეადგენს მოსამართლის ამოცანას. კანონის ანალოგიური ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე ის პრაქტიკულად ახალ ნორმას ქმნის, რომელიც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ კანონის განმარტების თანამედროვე თეორიები პრაქტიკულად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარების თეორიებია.<sup>133</sup>

ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს და იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ნორმების ჩამოყალიბებას კანონისა და სამართლის ანალოგიის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, ნორმების განვითარებას ზოგადი დებულებებიდან, როგორცაა „რწმენა და ნდობა“, „ზნეობა“, ანდა განუსაზღვრელი ცნებიდან „მნიშვნელოვანი საფუძველებიდან გამომდინარე“ და ა.შ.<sup>134</sup>

## 2. კანონთა განმარტების პრინციპები

კანონთა განმარტება ემყარება განსაზღვრულ პრინციპებს, რომელთა გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებს. მათგან უმნიშვნელოვანესია:

ა. **ობიექტურობის პრინციპი.** მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინტერპრეტაცია კანონის ტექსტს უნდა ემყარებოდეს და მაქსიმალურად ცდილობდეს კანონის ტექსტის საფუძველზე დაადგინოს კანონის აზრი, განავითაროს იგი;

ბ. **ერთიანობის პრინციპის** თანახმად იგი ამბობს, რომ კანონის

<sup>132</sup> „კანონში ხარვეზის“ ცნება იურიდიულ მეცნიერებაში შემოიღო ციტელმანმა ამ საუკუნის დასაწყისში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით მომზადებულ ნაშრომში: *Zitelmann Ernst, Lücken im Recht, Leipzig: Duncker & Humblot, 1903.*

<sup>133</sup> *Staudinger/Coing/Honsell, (2004), Einl. I zum BGB, Rn. 124.*

<sup>134</sup> *Staudinger/Coing/Honsell, (2004), Einl. I zum BGB, Rn. 126.*

თითოეული ნორმა კანონისაგან მოწყვეტილად კი არ უნდა იქნეს წაკითხული, არამედ ტექსტთან ერთად მთლიანობაში. კერძო უნდა გამოდიოდეს ზოგადიდან და ზოგადი კერძოდან;

გ. გენეტიკური განმარტების პრინციპის თანახმად, ტექსტის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი წარმოშობა, კანონის წარმოშობის ობიექტური, ენობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, ასევე კანონის ტექსტის ავტორები;

დ. განმარტება შედარების მეშვეობით მიზნად ისახავს ანალოგიურ სფეროში და ანალოგიურ დროს წარმოშობილ კანონთა ტექსტების ურთიერთშედარებას და ამის საშუალებით განმარტების განხორციელებას.<sup>135</sup>

### III. ობიექტურობის პრობლემა სამოსამართლო სამართალში

გადაწყვეტილებების მიღების დროს მოსამართლე ყოველთვის აკეთებს ფაქტების, მოვლენების, ურთიერთობების შეფასებებს. ყოველგვარი შეფასება ობიექტურთან ერთად უმეტესად სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება. ამიტომ უმთავრესი პრობლემა სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლის განვითარებისას მდგომარეობს მოსამართლეთა ობიექტურობის უზრუნველყოფაში. საიდან იღებს მოსამართლე ობიექტურობის შეფასების კრიტერიუმებს? რას ემყარება მის მიერ სამართლიანობის განცდა და ა.შ. ესაა ის კითხვები, რომლებიც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ალელვებს საზოგადოებას, სამართლის მეცნიერებას, დაბოლოს, – სასამართლო პრაქტიკას.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები უზრუნველყოფენ ან უნდა უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილებათა და სამოსამართლო შეფასებათა ობიექტურობა.

პირველი, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგ ყველა

<sup>135</sup> Staudinger/Coing/Honsell, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 131.

ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიურად, ე.ი. რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობით. კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული დისკუსიები მოსამართლეთა შორის უზრუნველყოფენ ენობრივი და ლოგიკური მსჯელობის ერთიანობას;

**მეორე,** კოლეგიური სასამართლოებიც არ საქმიანობენ იზოლირებულად. საკითხის გამომწვევტი სასამართლო ყოველთვის ცდილობს გაეცნოს გამოქვეყნებულ სასამართლო პრაქტიკას – სხვა სასამართლოების მიერ ანალოგიურ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რათა გაითვალისწინოს მათი გამოცდილება და შეფასების კრიტერიუმები. ამიტომ არის აუცილებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება. სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, ანგარიშს გაუწევს მოცემულ საკითხზე ზედა ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეფასების კრიტერიუმებს. ყველა დონის სასამართლოთა გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შედეგად იქმნება დიდძალი მასალა. მართალია, ეს გადაწყვეტილებები სხვა სასამართლოებისთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ყოველი სასამართლო შეეცდება ანგარიში გაუწიოს მათ, ვინაიდან ისინი სასამართლო პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონეს ასახავენ;

**მესამე,** გარდა აღნიშნულისა, სასამართლოებს შორის არსებობს მუდმივი კავშირები, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევენ გაეცნონ ერთმანეთის გამოცდილებას;

**მეოთხე,** გადაწყვეტილებების მომზადებისას სასამართლოები ეცნობიან სამართლის მეცნიერების მიერ იურიდიულ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ კანონთა ინტერპრეტაციისა და საკითხის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს. იურიდიული მეცნიერება ამოწმებს სასამართლოთა გადაწყვეტილებებს მათი ლოგიკის, დასაბუთებულობისა და კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით;

**მეხუთე,** სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებას შორის მუდმივად მიმდინარეობს დიალოგი;

**მექვსე,** სასამართლო პრაქტიკის ობიექტურობაზე კონტროლის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრი. იგი ყალიბდება მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების პრესაში გამოქვეყნებისა და მათი საჯარო კომენტირების გზით. მოსამართლე უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლიანი, არამედ დამაჯერებელიც.<sup>136</sup>

#### IV. სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები

კანონის ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო ძალა აქვთ და ინარჩუნებენ მას, ვიდრე კანონი ოფიციალურად არ გაუქმებულა, სამოსამართლო სამართლის ნორმების მოქმედება განსხვავებულია. ასეთი ნორმები წარმოიშობა სასამართლოს მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას, როცა მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა. მისი მოქმედება კი „მდგომარეობს იმაში, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას ითვალისწინებენ და შეძლებისდაგვარად იცავენ მათ. გადაწყვეტილებათა გათვალისწინების ხარისხი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამავე დროს, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს სამოსამართლო სამართლის ნორმებისაგან.“<sup>137</sup>

პრეიუდიციული ფაქტების სავალდებულობას კონტინენტური ევროპის სამართალი არ იცნობს, ე.ი. ერთი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის სხვა სასამართლოსთვის. ამიტომ ფორმალური თვალსაზრისით სამოსამართლო სამართალს მბოჭავი ხასიათი სასამართლოების მიმართ არა აქვთ. იმავედროულად, „სასამართლოები ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ ამ გადაწყვეტილებებს, შეამოწმონ ისინი და დასაბუთებული წინაპირობების გარეშე არ გადაუხვიონ მათ“.<sup>138</sup> ამ საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვთ დიდი ხნის მანძილზე ზემდგომი სასამართლოების დამკვიდრებულ

<sup>136</sup> Schwab/Löhnig, Einführung, Rn.117-121.

<sup>137</sup> Staudinger/Coing/Honsell, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 224.

<sup>138</sup> Staudinger/Coing/Honsell, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 228.



სასამართლო პრაქტიკას. მათგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობისას.<sup>139</sup>

თანამედროვე მოძღვრება მოსამართლეს უფლებას აძლევს კანონის კონკრეტული ნორმების ინტერპრეტაციისას განავითაროს სამართალი. ამ შემთხვევაში სადავო სწორედ ისაა, თუ რამდენად იურიდიული ძალის მქონეა სასამართლოს მიერ ამ გზით შემუშავებული ნორმა სხვა სასამართლოებისთვის. ყოველი მოსამართლე კონტინენტური ევროპის სამართალში თავისუფალია და შეუძლია გადაუხვიოს ადრინდელ გადაწყვეტილებებსა და სასამართლო პრაქტიკას. მართალია, უმაღლესი სასამართლოს ზრუნვის საგანია კანონთა ერთიანი განმარტებისა და განვითარების უზრუნველყოფა, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები პირდაპირ არ ბოჭავენ ქვემდგომ სასამართლოებს.

სამოსამართლო სამართლის ნორმაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული წესი სცილდება მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმის ფარგლებს და ზოგადი ქცევის წესის ხასიათს იძენს.

## V. სამოსამართლო სამართლის გავლენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე

მრავალი ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, სწორედ სამოსამართლოს სამართლის შედეგად წარმოიშვა. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი კანონის სამართალია და კანონს უპირატესი სამართლის წყაროს ფუნქცია კონსტიტუციითა აქვს მინიჭებული, მხოლოდ ამ კანონების საფუძველზე თანამედროვე სამართლის გაგება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ მთელს სასამართლო პრაქტიკას არ მივიღებთ მხედველობაში.<sup>140</sup>

<sup>139</sup> *Staudinger/Coing/Honsell*, (2004), Einl. 1 zum BGB, Rn. 229.

<sup>140</sup> *Diederichsen Uwe*, Zur Begriffstechnik richterlicher Rechtsfortbildung im Zivilrecht, in: *Festschrift für Franz Wieacker zum 70 Geburtstag*, Göttingen;

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა გამოცდილება, რომელიც დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში დაგროვდა სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ის, რაც ბევრ ქვეყანაში მხოლოდ სამოსამართლო სამართლის შედეგად შექმნილ ინსტიტუტებად მიიჩნევა. თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავ.

## 1. პირადი არაქონებრივი უფლებები

ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, როგორცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და ა.შ. ფრანგულ და გერმანულ სამართალში მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა და სამოქალაქო სამართლის ბუნებრივ ინსტიტუტებად იქცნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამოქალაქო კოდექსებში არაა განმტკიცებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა ეს გამოცდილება და პირადი უფლებები ზოგად ნაწილში განამტკიცა.

## 2. ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მომავალი ხელშეკრულების პარტნიორები ხელშეკრულებას ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით დებენ. მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში საბაჟო გადასახდელები დაბალი იქნება. ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს პირობები შეიცვალა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს არათანაბარ და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეს უფლებას აძლევს

ასეთ შემთხვევაში მოითხოვოს ან ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ანდა ხელშეკრულების მოშლა. ანალოგიური ნორმა, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2002 წლის რეფორმამდე არ არსებობდა (ამჟამად 313-ე პარაგრაფი). ქართულმა კოდექსმა გაიზიარა სამოსამართლო სამართლის მიერ შექმნილი ეს ინსტიტუტი და 398-ე მუხლში განამტკიცა ხელშეკრულების მოშლის უფლება შეცვლილი გარემოებების გამო.

### 3. Culpa in Contrahendo

ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისთვის უცხო, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტთა კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. culpa in contrahendo, ე.ი. ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების დადების პროცედურასთან დაკავშირებით.<sup>141</sup> როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების დადების შემდეგ. როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები თვითონ კისრულობენ. მაგრამ თუკი აღმოჩნდება, რომ თითქმის გამზადებული ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მხარის ბრალით, ამ შემთხვევისთვის სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმათა მთელი ჯგუფი, რომელიც ბრალეულ მხარეს აკისრებს პასუხისმგებლობას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების არც ეს გამოცდილება დაუტოვებია ქართულ კოდექსს უყურადღებოდ და 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში განამტკიცა მნიშვნელოვანი ნორმები: „მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილისაგან მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადაგად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის დაუდევარი მოქმედების შედეგად არ დადებულა“.

<sup>141</sup> ვაშაქიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვ. 81-93.

#### 4. პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევები

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ე.წ. პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევები, ე.ი. ისეთი დარღვევები, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების შინაარსიდან არ გამომდინარეობენ, არ განეკუთვნებიან მხარეთა ძირითად მოვალეობებს, მაგრამ მათი შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების მეორე მხარეს ზიანი წარმოეშობა (მაგალითად, ინფორმაციის მიცემა მისაწოდებელი საქონლის თაობაზე, ნდობისა და ურთიერთრწმენის მოვალეობის შეუსრულებლობა და ა.შ.). რთული ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ამ მოვალეობათა დარღვევა ხშირად დიდ მატერიალურ ზიანსაც იწვევდა. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა იძულებული გახდა ყოველივე ეს გაეთვალისწინებინა და პრაქტიკულად ახალი ნორმები შეექმნა. ქართულმა კოდექსმა მრავალ ადგილას განამტკიცა ეს უაღრესად საჭირო და აქტუალური ნორმა. მაგალითად, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი ან 318-ე მუხლი.

#### 5. კანონისა და სამართლის ანალოგია

ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ უახლესი კოდექსებიც კი მალე შეიძლება მოძველდნენ, ჩამორჩნენ დროს და უვარგისი აღმოჩნდნენ, თუკი მათ ხელს არ უწყობს ცოცხალი სამოსამართლო მოღვაწეობა; მკვდარ ნორმებს სული უნდა შთაბეროს მოსამართლემ, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ამ უსულო ნორმების მისადაგება ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, აბსტრაქტული ნორმების ქვეშ კონკრეტული ფაქტების მოქცევა.

ყოველი კანონის შემუშავების დროს კანონშემოქმედნი იმ ცოდნასა და გამოცდილებას ემყარებიან, რომელიც მათ მოცემული კანონის შემუშავების დროს აქვთ. ამიტომ ყველა ურთიერთობისა და ყველა საკითხის წინასწარ გათვალისწინება მათ არ შეუძლიათ.

ცხოვრება ბაღებს ისეთ პრობლემებს, რომელთა გადასაწყვეტად კანონმდებელს რაიმე კონკრეტული ნორმა არ შეუთავაზებია. ე.ი. კანონს აქვს ხარვეზი.

ის, რომ კანონები ბევრ კითხვაზე საერთოდ არ იძლევიან ან იძლევიან ბუნდოვან პასუხს, ანდა მხოლოდ ზოგადი დებულებებით კმაყოფილდებიან, თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად ითვლება.<sup>142</sup> უფრო მეტიც, კანონთა არასრულყოფილებას აუცილებლობადაც კი მიიჩნევენ.<sup>143</sup>

კანონის ხარვეზს, მის არასრულყოფილებას ყველაზე უფრო მოსამართლე გრძნობს, ვინაიდან დავის გადაწყვეტის ბოლო ინსტანცია სწორედ მოსამართლეა, რა თქმა უნდა, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს პირველი ინსტანციის თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს. რა გზას უნდა დაადგეს სასამართლო, თუ არ არსებობს სათანადო ნორმა? მან უნდა გამოიყენოს ანალოგიური, ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა და ისე გადაწყვიტოს სადავო საკითხი. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი და მას კანონის ანალოგიას უწოდებს. არაა გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როცა არც ანალოგიური ნორმა არ არსებობს. ამჯერად ვითარება უფრო რთულია, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი აქაც ითვალისწინებს გამოსავალს: ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად. ხარვეზის ამოვსების ამ ხერხს სამართლის ანალოგია ეწოდება.

<sup>142</sup> Säcker in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Hrsg. Von Kurt Rebmann, Franz Jürgen Säcker, Roland Rixecker, Bd. 1, München: Beck, 2001, Rn. 61.

<sup>143</sup> მაგალითად, Knieper Rolf, Gesetz und Geschichte, Nomos, Baden-Baden, 1996, S. 139-141.

7. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

კანონის ან სამართლის ანალოგიის გამოყენების პროცესში მოსამართლე ფაქტობრივად ახალ ნორმას ქმნის.<sup>144</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დაშვებულია როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგია, კანონი შეზღუდვებსაც ითვალისწინებს. სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ანალოგიით (მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი). შრომითსამართლებრივი კონტრაქტის მიმართ სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სპეციალური ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ სუბიექტთა ურთიერთობას აწესრიგებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სპეციალური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ანალოგიის სახით, ხოლო, რაც შეეხება ზოგად ნორმებს, რომლებიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სივრცეში ზოგადი ხასიათის დებულებებს შეიცავენ, ისინი გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური ურთიერთობების მოწესრიგების დროს, თუ აღნიშნულ ურთიერთობის მოწესრიგებას სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს.“<sup>145</sup>

პორტალისის<sup>146</sup> ცნობილი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „მოსამართლე უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე კანონები“. „სამართლის შექმნა თავდაპირველად მისი კომპეტენცია იყო, რომელიც მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივით შეიზღუდა, რაც მას სამართალშემოქმედების სფეროში მიენიჭა. ... სინამდვილეში ე.წ. „ხარვეზი“ მოსამართლისთვის წესია“ – უმატებს კრილე თავის ცნობილ წიგნში „სამართალგამოყენების თეორია“.<sup>147</sup> მაშასადამე,

<sup>144</sup> როგორც მკვლევარი, გერმანულმა სასამართლომ თქვა თავის დროზე: „პირადი უწყლება არის აბსოლუტური უწყლება და იგი დაცულ უნდა იქნეს დელიქტური სამართლით“, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამგვარ რამეს პირდაპირ არ ითვალისწინებდა.

<sup>145</sup> სუსე სამოქ. 1/2008, გვ. 21.

<sup>146</sup> Jean-Étienne-Marie Portalis იყო ცნობილი ფრანგი იურისტი, სამართლის ფილოსოფოსი და კულტურის მინისტრი, რომელიც მე-18 საუკუნის საფრანგეთში მოღვაწეობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთი სამოქალაქო კოდექსის მომზადებაში.

<sup>147</sup> Kriele Martin, Theorie der Rechtsgewinnung, Berlin: Duncker & Humblot, 1967, S. 63.

კანონის ხარვეზმა მოსამართლე კი არ უნდა შეაშინოს, არამედ უნდა უბიძგოს მას ახალი ნორმის შექმნისკენ. ოღონდ ეს ნორმა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საფუძვლებს და მოცემული კანონის სულისკვეთებას. ამას ავალდებულებს მოსამართლეებს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

## VI. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოსამართლო სამართლის პრობლემა

სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან როლს სამართლის განვითარებაში არც საბჭოთა სამართლის მეცნიერება უარყოფდა.<sup>148</sup> პირიქით, მსგავსად კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა, მრავალი ნორმა საბჭოთა სამოქალაქო სამართალშიც სწორედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებებისა და და სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებების შედეგად დამკვიდრდა. სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების მიხედვით სასამართლო სამართალი უნდა შეიქმნას არა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებების საფუძველზე, არამედ კონკრეტულ საკითხებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით. პლენუმის განმარტებები მნიშვნელოვნად ზღუდავენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. სწორედ ეს არის მიუღებელი სამოსამართლო სამართლის საბჭოური გაგებიდან.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც უარი თქვა ამ საბჭოთა ტრადიციებზე და გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სასამართლო რეფორმის ფარგლებში უარი თქვა უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის ამგვარი სავალდებულო ხასიათის რეკომენდაციების გამოცემის უფლებამოსილებაზე.

დსთ-ის ყველა სახელმწიფო ერთგული დარჩა ამ საბჭოთა ტრადიციის და უზენაეს სასამართლოებს ზოგან (როგორც, მა-

<sup>148</sup> Советское гражданское право. Ч. 1, под ред. В.А. Рясенцева. 1986. С. 39-44.

გალითად ყაზახეთში) ნორმატიული დადგენილებების გამოცემის უფლებამოსილება კი მიენიჭა. ამგვარად გაგებულნი სამოსამართლო სამართალი მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის შემდეგი გარემოებების გამო:

**პირველი**, ნორმატიული აქტების გამოცემით სასამართლო ხელისუფლება თავის თავზე იღებს საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციას და ამგვარად ერევა მის უფლებამოსილებაში, რაც წარმოადგენს ხელისუფლების ზედმეტ კონცენტრაციას სასამართლოს ხელში, რამეთუ ამ გზით მას პრაქტიკულად პარალელური კანონების გამოცემის შესაძლებლობა აქვს;

**მეორე**, მოქმედი კონსტიტუციით მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს. უმაღლესი სასამართლოს ნორმატიული დადგენილებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მინიჭება ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას;

**მესამე**, პარლამენტისაგან განსხვავებით, რომელიც არჩეულია მოსახლეობის მიერ და რომელსაც კანონშემოქმედებითი საქმიანობის ლეგიტიმაცია აქვს, სასამართლოს ასეთი ლეგიტიმაცია არა აქვს;

**მეოთხე**, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისაგან განსხვავებით სასამართლოს არა აქვს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება და არც ამისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა: სამეცნიერო ინსტიტუტები, სპეციალისტები და ა.შ.;

**მეხუთე**, საკანონმდებლო აქტები პარლამენტში მიიღება დეპუტატთა უმრავლესობის მიერ კანონთა პროექტების საჯარო განხილვების შემდეგ, სასამართლოში კი ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა სასამართლოში დადგენილია კონკრეტული საქმეების განხილვისათვის;

**მექვსე**, აღიარებულია, რომ სამართლებრივი პროგნოზირებადობა და სტაბილურობა უფრო მაშინაა უზრუნველყოფილი, როცა გადაწყვეტილებები მიიღება კანონის საფუძველზე და არა მოსამართლეთა მიზანშეწონილობის საფუძველზე;

**მეშვიდე**, არ არსებობს სასამართლოს მიერ მიღებული ნორმა-



ტიული დადგენილებების გადამოწმებისა და კონტროლის მექანიზმი და შესაძლებლობა;

**მერვე,** ნორმატიული აქტები თავისი ბუნებით ხარვეზის შემცველია. კანონთა ხარვეზების შევსება ხარვეზების მქონე ახალი აქტით არ არის მიზანშეწონილი.<sup>149</sup>

სამოსამართლო სამართალი უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოცემულ მითითებებს კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტული საქმეების განხილვისას ნორმის ინტერპრეტაციისა და კანონის ხარვეზის შევსების შედეგად მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს. სულ ერთია, თუ რომელი მოსამართლის მიერაა ეს წესი შემუშავებული. ცხადია, ზემდგომ სასამართლოს ყოველთვის აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გამო და ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ასევე დასაბუთებული უნდა იყოს. სწორედ ასე ყალიბდება სასამართლო პრაქტიკა და არა განზოგადებების შედეგად შექმნილი ინსტრუქციებით. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სამართლის მეცნიერების საქმეა. რა თქმა უნდა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება უზენაესი სასამართლოს მოვალეობაცაა, მაგრამ ამ გზით არ უნდა იქმნებოდეს სამოსამართლო სამართალი.

<sup>149</sup> დაწვრილებით ამ პრობლემის თაობაზე ნახეთ: *Чантурия, О правовой природе судебных актов и пределах судебского правосотворчества*, с. 14-18.

## § 5. კერძო სამართლის საფუძვლები

სამოქალაქო სამართალი არ წარმოადგენს ნორმათა მექანიკურ ერთობლიობას. იგი ემყარება და განამტკიცებს კონკრეტულ ღირებულებებს, რომლებიც ქმნიან კერძო სამართლის ფუნდამენტს. ეს ღირებულებები, უწინარეს ყოვლისა, განმტკიცებულია კონსტიტუციაში და შემდგომ მათი რეალიზაცია ხდება კერძო სამართალში. ამიტომ ლოგიკურია, რომ სამოქალაქო კოდექსი თავისი ღირებულებითი წესრიგის საზომად საქართველოს კონსტიტუციას აღიარებს (სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი).

გარდა კონსტიტუციური საფუძვლებისა, კერძო სამართალს თვითონვე აქვს იმანენტური საფუძვლები, რომლებიც კერძო სამართლის ბუნებას განსაზღვრავენ: პიროვნების თავისუფლება და კერძო საკუთრება, კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება.

### I. კონსტიტუციური საფუძვლები

#### 1. კონსტიტუციური ნორმები და კერძო სამართალი

კერძო სამართლისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კონსტიტუციური ღირებულებებისა და პრინციპების გარეშე წარმოუდგენელია ლიბერალურ-ინდივიდუალისტური სამოქალაქო სამართლის არსებობა. განსაკუთრებით ეხება ეს იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც კონსტიტუციის მეორე თავშია განმტკიცებული და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სახელმწიფოსაგან თავდაცვის უფლებებს წარმოადგენენ, კერძო სამართლის ღირებულებით წესრიგს განსაზღვრავენ:

- ადამიანის პიროვნული თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორი.“ (კონსტიტუციის მე-14 მუხლი),

„ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია“ (კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი);

- საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (კონსტიტუციის მე-16 მუხლი);

- პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა (კონსტიტუციის მე-18 მუხლი);

- სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება (კონსტიტუციის მე-19 მუხლი);

- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება (კონსტიტუციის 21-ე მუხლი);

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება (კონსტიტუციის 22-ე მუხლი);

- ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება (კონსტიტუციის 23-ე მუხლი);

- საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება (კონსტიტუციის 26-ე მუხლი);

- თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება (კონსტიტუციის 30-ე მუხლი);

- ქორწინებისა და ოჯახის აღიარება და დაცვა (კონსტიტუციის 36-ე მუხლი).<sup>150</sup>

## 2. კონსტიტუციური ნორმებისა და ღირებულებების მოქმედება კერძო სამართალში

მართალია, კონსტიტუცია, უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამართლის აქტია, მაგრამ ის არ არის გულგრილი კერძო სამართლის მიმართ. კონსტიტუცია არსებითად განსაზღვრავს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია კერძო სამართლის განვითარებისთვის. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, რომელსაც მნიშვნელობა

<sup>150</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვა ნახეთ: *ლოლაძე ბესიკ*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოკლე კომენტარები, ბათუმი, 2010 წ.

აქვს კერძო სამართლისთვის: კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები პირდაპირ გამოიყენება კერძო სამართალში თუ მათ მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმათა განმარტებისას? შეიძლება თუ არა მათი გამოყენება კერძო ურთიერთობების მოწესრიგებისას?

ძირითადი უფლებების პირდაპირ გამოყენება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწერიგებლად შეუძლებელია, რადგან ამ უფლებათა ერთ-ერთი აღრესატი ყოველთვის სახელმწიფოა: სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, რომ იგი უზრუნველყოფს და არ გააუქმებს ამ ძირითად უფლებებს. ამიტომ ამ ვალდებულების დაკისრება კერძო პირებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლება, გაუმართლებელია. მაგალითად, სახელმწიფო, რომელიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მოქალაქეს ართმევს საკუთრებას, ამით არღვევს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და მოქალაქეს შეუძლია მისი საკუთრების ხელყოფის აღკვეთა მოითხოვოს კონსტიტუციის ამ ნორმაზე დაყრდნობით. მაგრამ, თუკი მოქალაქე არ უბრუნებს მესაკუთრეს ამ უკანასკნელის კუთვნილ ნივთს და არამართლზომიერად ფლობს მას, მესაკუთრეს არ შეუძლია კონსტიტუციის 21-ე მუხლზე დაყრდნობით მოითხოვოს თავისი ნივთის დაბრუნება. ამისთვის მან უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები კერძო სამართალში მოქმედებენ არაპირდაპირ, განსაკუთრებით მაშინ, როცა აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის ცალკეული დებულებების ინტერპრეტაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მდიდარია სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც კერძო სამართლისთვის მნიშვნელოვან ღირებულებით ორიენტირებს ქმნიან.<sup>151</sup>

<sup>151</sup> ამასთან დაკავშირებით ნახეთ: ზოიძე ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2010 წ.

## II. კერძოსამართლებრივი საფუძვლები

### 1. ადამიანის, როგორც თავისუფალი პიროვნების, აღიარება

#### ა. თავისუფლების გამოვლინება კერძო სამართალში

ყოველი ეპოქის სამართლის ყურადღების ცენტრში ადამიანის შესაბამისი ტიპი იკავებს ადგილს. საბჭოთა სამართლის იდეალი იყო „კომუნიზმის მშენებელი ადამიანი“. კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგ სამართალში გაბატონებული ადამიანის ტიპი არის თავისუფალი ადამიანი, რომლის სოციალური სტატუსი მოიპოვება არა გვარიშვილობითა და წოდებრივი კუთვნილებით, არამედ პიროვნული უნარით, ნიჭითა და შესაძლებლობებით. დებულება, რომ ადამიანი დაბადებიდანვე არის უფლებაუნარიანი, ამის კერძოსამართლებრივი დადასტურებაა. აქედან გამომდინარე, თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. მისი პრაქტიკული გამოვლინება სამოქალაქო სამართლის მრავალ ინსტიტუტს უდევს საფუძვლად: საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება, ანდერძის თავისუფლება და ა.შ. ეს ის სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომლებიც მხოლოდ თავისუფლების პოლიტიკურად აღიარების შედეგად გახდა შესაძლებელი.

თავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა მეწარმეობის თავისუფლება: ყველას აქვს მეწარმეობის უფლება და თავისუფლება. საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი, რომ ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით, ყველაზე უნივერსალური ფორმით სწორედ აქ გამოიყენება. საბჭოთა კავშირში სამეწარმეო საქმიანობის მონოპოლია მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო. კერძო პირებს არ ჰქონდათ უფლება ხელი მოეკიდათ მეწარმეობისათვის — ჰქონოდათ კერძო ქარხნები, რესტორნები, მაღაზიები და ა.შ. სახელმწიფოს ამგვარმა მონოპოლიამ და კერძო პირთა უფლებების დაუსაბუთებელმა შეზღუდვებმა ქვეყანა ეკო-

ნომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა, რასაც შედეგად მთლიანად საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.<sup>152</sup>

სამოქალაქო სამართალი სამართლებრივ ფუნდამენტს ქმნის კერძო ინტერესებზე დამყარებული, კერძო ინიციატივის საფუძველზე განხორციელებული საქმიანობისათვის. მას ემსახურება ცივილური სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა გარიგება, კომერციული იურიდიული პირები, საკუთრება, გირავნობა, საავტორო უფლებები და ა.შ.

### ბ. თავისუფლება და კეთილსინდისიერება

სამოქალაქო სამართალი კეთილსინდისიერების, ე.ი. კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს. ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ურთიერთობების მონაწილეები თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ, მაგრამ **კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაცაა.**<sup>153</sup> სამოქალაქო კოდექსი ამ გარემოებას მრავალ შედეგს უკავშირებს. მაგალითად, პირობითი გარიგებების დროს, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არ არის ხელსაყრელი, პირობა დამდგარად ჩაითვლება (98-ე მუხლის პირველი ნაწილი).

### გ. თავისუფლების შეზღუდვა კერძო სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია, თავისუფლების ფარგლები არ შეიძლება იყოს

<sup>152</sup> სამართლიანად მიმაჩნია შეხედულება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზად შინაგან წინააღმდეგობებს თვლის, მათ შორის ეკონომიკურს, და არა გარეშე ძალთა პირდაპირ ზემოქმედებას: *ენი პერი როლფი*, მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე. პროფესორ სერგო ჯორბენაძის პატივსაცემად. სერგო ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული. თბ., 1996, გვ. 21.

<sup>153</sup> სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების ინსტიტუტის გამოყენების თაობაზე ნახეთ: *ვაშაძე გიორგი*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14-58.

შეუზღუდავი. თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვს, როგორც კერძო პირთა, ე.ი. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა, ასევე საჯარო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები. ერთ შემთხვევაში ამ შეზღუდვებს თვითონ კანონი აწესებს ე.წ. იმპერატიული ნორმების მეშვეობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობით თვითვე შეიბოჭავენ თავს.<sup>154</sup> ამ დროს თავისუფლების შეზღუდვა ხდება სახელშეკრულებო შებოჭვის საფუძველზე. სამოქალაქო სამართლისათვის ეს ყველაზე ტიპური შემთხვევაა.<sup>155</sup>

თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია რამდენი გარემოების გათვალისწინება:

**პირველი,** კანონის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ხელყოფდეს ზოგადად თავისუფლებას. შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი, ხოლო თავისუფლება – გაბატონებული წესი.<sup>156</sup> ამის გარანტიას მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა. მის თანახმად „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“. ამ ზოგადი პრინციპის შეზღუდვა დაიშვება მაშინ, როცა თავისუფლების განხორციელება ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (მე-9 მუხლი).

თავისუფალი საზოგადოების პირობებში, როცა კონკრეტული ინდივიდების თავისუფლების მასშტაბები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ხშირია ამ თავისუფლებათა ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც.<sup>157</sup> მიუხედა-

<sup>154</sup> ქართულ სამართალში ტერმინ „შებოჭვის“ დამკვიდრების შესახებ ნახეთ: ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია, გვ. 150.

<sup>155</sup> ნახეთ § 5 II 2 ა.

<sup>156</sup> *Ramm Thilo*, Einführung in das Privatrecht. Allgemeiner Teil des BGB. Bd. I, G 9, München, Deutscher Taschenbuch Verl. 1974 (შემდგომში - Ramm, Bd. I, G. 17.

<sup>157</sup> გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის საქართველოს ისტორია მრავლად იძლევა ასეთ მაგალითებს: გაკოტრებული ბანკები თუ სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც მოსახლეობის გულუბრყვილობით ისარგებლეს და მათ უკანასკნელი საარსებოც კი წაართვეს, ნებისმიერ გონიერულად მოაზროვნე ადამიანს, მით უმეტეს კანონმდებელს, აიძულებს, რომ მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები მოტყუებულთა ინტერესების დასაცავად.

ვად იმისა, რომ 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, ამ მოთხოვნის დარღვევები არცთუ იშვიათია. აქედან გამომდინარე, „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ (მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი). ამიტომაცაა აკრძალული უფლებათა გამოყენება მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას (115-ე მუხლის მე-2 წინადადება).

მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვები განსაზღვრული აუცილებლობითაა განპირობებული და მიზნად ისახავს პიროვნული უსაფრთხოებისა და საქმიანობის სტაბილური საფუძვლების უზრუნველყოფას.

მეორე, როგორც წესი, კანონი ეხება მხოლოდ ქმედობის გარეგნულ გამოხატულებას და არა მის შინაგან ასპექტებს (მოტივაციას და ა.შ.). თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როცა საკითხი დელიქტურ სამართალში ბრალის ფორმებს ეხება ანდა გარიგების ბათილობას მოტყუების, არასერიოზულობის, ამორალურობის გამო და სხვა. ე.ი. კანონი, როგორც წესი, გულგრილია იმ მოტივების მიმართ, რომლებიც ამოძრავებენ მოქმედ პირს. მაგრამ სამოქალაქო კოდექსს არ შეუძლია სრულიად განზე გადგეს და თვალი დახუჭოს, თუ როგორ ატყუებს ერთი პირი მეორეს, რომ ამით სარგებელი ნახოს თვითონ, ცხადია, გარიგება არ დაიდებოდა, რომ ერთ მხარეს არ მოეტყუებინა მეორე (81-ე მუხლი) ანდა თუ როგორ აიძულა მექარის შიშმა მოხუცი ქალი დაეწერა ანდერძი (85-ე მუხლი). ამიტომ, თუმცა სამართლისათვის მთავარია ნების გარეგნული გამოვლენა, სამოქალაქო კოდექსი უყურადღებოდ არ ტოვებს მის შინაგან ფაქტორებს (მოტივაციას, მიზანს და ა.შ.), რომელთაც სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.<sup>158</sup>

## დ. დელიქტი და ხელშეკრულება

ყურადღებას იმსახურებს თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური ფორმები, რომლებიც ტიპურია სამოქალაქო სამართლისათ-

<sup>158</sup> ნახეთ § 32 III 7.



ვის და, მართალია, საბოლოო ჯამში, კანონიდან გამომდინარეობს, მაგრამ მხარეთა კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოიშობა. მათ განეკუთვნება **დელიქტი** და **ხელშეკრულება**.

თავისუფლების შეზღუდვის გამოვლენის მაგალითი კერძო სამართალში **დელიქტური ვალდებულებებია**. „ინდივიდის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს, რომ ამით სხვა ინდივიდს შეეძლოს იყოს თავისუფალი“.<sup>159</sup> ეს პრინციპი გამოიყენება კერძო სამართალშიც. თავისუფლების შეზღუდვა აკრძალვების მეშვეობით ხორციელდება დელიქტურ სამართალში. ყველაზე უზოგადესი ფორმულის თანახმად, პირმა, ვინც კანონსაწინააღმდეგოდ სხვა პირს მიაყენა ზიანი, უნდა აუნაზღაუროს მას იგი. სამოქალაქო კოდექსი ამგვარად განამტკიცებს ამ პრინციპს: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“ (მუხლი 992-ე).

კერძო სამართალში თავისუფლების შეზღუდვის მეორე და ყველაზე გავრცელებული საშუალებაა **ხელშეკრულება**. მისთვის აუცილებელია მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენა, ე.ი. თავისუფლების შეზღუდვა სახელშეკრულებო სამართალში ემყარება მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპს.

თავისუფლების ამგვარ შეზღუდვას საფუძვლად უდევს **ხელშეკრულების თავისუფლება**, რომელიც მოიცავს როგორც **ხელშეკრულების დადების თავისუფლებას**, ისე **ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას**. აი, როგორ განამტკიცებს ამ პრინციპს 319-ე მუხლის პირველი ნაწილი: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“.

ხელშეკრულების თავისუფლებას განეკუთვნება ასევე სამართლის ფუძემდებლური პრინციპი, რომ **დადებული ხელშეკრულება უნდა შესრულდეს – pacta sunt servanda**. მართალია, ხელშეკრულებას მხარეები ნებაყოფლობითა და ნების თავისუფალი გამოვლენის სა-

<sup>159</sup> მაგალითად, *Ramm*, Bd. I, G. 19.

ფუძველზე დებენ, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ჩაერევა თავისი იძულებითი აპარატით, ე.ი. კერძო პირთა მიერ ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფო იცავს.<sup>160</sup>

თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, გარიგებითი კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

## 2. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება

### ა. კერძო ავტონომიის ცნება და შინაარსი

მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – მხარეთა კერძო ავტონომიას, რომლის თანახმად სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ისეთიც, რომლებიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული. კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით ხელშეკრულებების მეშვეობით.<sup>161</sup>

ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა ცხოვრებისეული საკითხების უდიდესი უმაღლესობის მოწესრიგება სხვა ადამიანებთან კერძო შეთანხმებების საფუძველზე. ბევრი ურთიერთობა ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ ასეთი კერძო შეთანხმების საფუძველზე წარმოიშობა. ეს იმდენად ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომ ყველაზე რეაქციულ პოლიტიკურ რეჟიმსაც კი არ შეუძლია მათი

<sup>160</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულებას კანონის ძალას ანიჭებს და პირდაპირ უთითებს მის დიდ მნიშვნელობაზე: „კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები კანონის ძალის მქონეა მათთვის, ვინც ეს ხელშეკრულებები დადო“; საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის პირველი წინადადება.

<sup>161</sup> *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts*, § 2 I 3 Rn. 17.

სრულიად აკრძალვა. თვით საბჭოთა სისტემამაც ვერ მოახერხა ამ წმინდა კერძო ურთიერთობათა აკრძალვა, თუმცა მათი მასშტაბები მნიშვნელოვნად შეკვეცა. ჩუქება, გაცვლა, ნასყიდობა, მომსახურება ის ურთიერთობებია, რომლებიც საბჭოთა სამოქალაქო სამართალშიც პირთა კერძო ნებას ემყარებოდა, მაგრამ გაბატონებული აკრძალვებისა და შეზღუდვების გამო მათ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მასშტაბები არასოდეს შეუძენიათ ლეგალური გზით და ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი ხდებოდნენ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე, კერძო საკუთრება არსებობს, კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და ინიციატივას ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება **ხელშეკრულების თავისუფლებაში**, რომელსაც 319-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს.

ხელშეკრულების დადებით ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობითა და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. ამით ისინი საკუთარი თავისუფლების ფარგლებს იბოჭავენ, რასაც **სახელშეკრულებო თვითბოჭვა** ეწოდება. *მაგალითად*, ნასყიდობის ხელშეკრულების დროს მყიდველი მზად არის თავისი ფულის ნაწილი გადასცეს გამყიდველს, ხოლო გამყიდველი მზად არის თავისი ქონების ნაწილი სანაცვლოდ გადასცეს მყიდველს. მხარეთა შეთანხმებას, რომელიც ისტორიულად „კაცური სიტყვის“ ძალით სრულდება, თანამედროვე სამართალი სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს და იცავს.

რა ამოძრავებს სამართალს, როცა კერძო პირთა შეთანხმებას ასეთ სავალდებულო ძალას ანიჭებს? სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა უზრუნველყოს სტაბილურობა საზოგადოებაში. ამის მიღწევა მას მრავალი საშუალებით შეუძლია — ტოტალური აკრძალვების გზით, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო, ან დემოკრატიის პირობებში ზომიერი აკრძალვების მეშვეობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ არის სფეროები, რომელთა მოწესრიგება ადამი-

ანებს სახელმწიფოს ჩაურევლადაც შეუძლიათ იმიტომ, რომ მათ ეს სურთ და თვითვე არიან დაინტერესებულნი სტაბილურობის შენარჩუნებაში. ბენზინის გამყიდველი იმიტომ ყიდის ბენზინს, რომ მიიღოს ფული, ბენზინის მყიდველი იმიტომ ყიდულობს ბენზინს, რომ მას იგი სჭირდება; ბინის გამქირავებელი იმიტომ აქირავებს ბინას, რომ მას სჭირდება ფული, ხოლო დამქირავებელს — ბინა. ასეთი ურთიერთობა ნებისმიერ საზოგადოებაში უთვალავია და სახელმწიფოს დიდი ჩარევების გარეშეც შეუძლია მათი მოგვარება. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბენზინის მყიდველებმა არ გადაიხადონ ფული, ბინის გამქირავებლებმა თვითნებურად გამოაგდონ ბინიდან დამქირავებელი. თუ ამგვარ „სიტყვის გატეხას“ წესად ვაქცევდით, საზოგადოებაში გაჩნდებოდა ქაოსი, უნდობლობა და არასტაბილურობა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმის დაცვა, რაზეც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ. არადა მხარეებს ყოველთვის სჭირდებათ ასეთი დაცვის საშუალება. გამოცდილება ადასტურებს, რომ თუ სახელმწიფო უძღურია დაიცვას კერძო პირთა შეთანხმება და ამ შეთანხმების შეუსრულებლობისას პასუხი აგებინოს დამრღვევს ან იგნორირებას უწევს ასეთ შეთანხმებას, გამოჩნდებიან სხვა ძალები, რომლებიც თავის თავზე იღებენ სახელმწიფოს ამ ფუნქციას. ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ტრადიცია ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო წარსულში.<sup>162</sup>

კერძო ავტონომიის ცნება გულისხმობს ასევე **თვითპასუხისმგებლობას**. ეს ნიშნავს, რომ პირი თავად აგებს პასუხს თავისი მოქმედებისთვის. ის, რაც მან ჩაიდინა, ან იკისრა, თვითონვე უნდა გამოასწოროს ან შეასრულოს. როცა მხოლოდ „კაცური სიტყვა“ ან „დატოვებული უღვაში“ არ არის საკმარისი, მაშინ იძულების საჯარო საშუალებები იკავებს მის ადგილს. **თვითპასუხისმგებლობა** კერძო ავტონომიის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეკონომიკური წინსვლის კატალიზატორია. პირველ რიგში ეს ეხება ქონებრივ

<sup>162</sup> თუ ვინმემ იკისრა რაიმე ვალდებულების შესრულება, ისინი ყოველგვარი ძალით აიძულებდნენ მას ამ ნაკისრის შესრულებას. ეს აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რომლის გარეშე თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია.

პასუხისმგებლობას. სწორედ ქონებრივი პასუხისმგებლობის შიშში ან მოსალოდნელი სიმდიდრის იმედი აიძულებთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელშეკრულების მონაწილეებს კარგად, ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

**ბ. ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება**

პასუხისმგებლობის გრძნობა და ვალდებულების განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს — დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი. თუ პირი დარწმუნებულია, რომ ვერ შეასრულებს ვალდებულებას, და იცის, რომ ამისთვის მას პასუხს მოსთხოვენ, ის არ დადებს ასეთ ხელშეკრულებას. ესეც კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თვითობის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა და მას ხელშეკრულების დადების თავისუფლება ეწოდება. ეს ნიშნავს, რომ პირს შეუძლია დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. თუ ის თვლის, რომ პური ერთ მაღაზიაში ძვირია, მას შეუძლია იგი იყიდოს სხვა მაღაზიაში. თუ ტაქსით მგზავრობა ძვირია, მას შეუძლია იმგზავროს ავტობუსით და ა.შ. თუ სტუდენტს არა აქვს ფული, რომ იყიდოს წიგნი, მას შეუძლია იგი ბიბლიოთეკიდან გამოიტანოს, ე.ი. ნასყიდობის ნაცვლად დადოს თხოვების ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს ასევე ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას, ე.ი. მხარეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დაადგინონ ფასი ან სხვა პირობები, რომელთაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მაშასადამე, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.

8. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

### გ. ანდერძის თავისუფლება

კერძო ავტონომია არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებათა დადებით. იგი სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მოქმედებას ეხება, პირველ რიგში, იმ გარიგებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშეკრულებებს. კერძო ავტონომიის ერთ-ერთი კლასიკური გამოვლინებაა **ანდერძის თავისუფლება**. ე.ი. პირს უფლება აქვს თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს ნებისმიერ პირს. განსაზღვრული შეზღუდვები აქაც არსებობს ე.წ. სავალდებულო წილის სახით, რომელიც ოჯახისა და მისი წევრების ინტერესთა დაცვით არის ნაკარნახევი.

### დ. კერძო ავტონომიის ფარგლები

მართალია, კერძო ავტონომია თანამედროვე კერძო სამართლის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ იგი შეუზღუდავი არ არის. კერძო ავტონომიის ფარგლები, რომლებიც, როგორც წესი, კანონით განისაზღვრება, ან გარიგების ფორმას ეხება ან გარიგების შინაარსს ანდა სხვა გარემოებები უდევს საფუძვლად. მაგალითად, ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ საცხოვრებელი სახლი, მაგრამ შემძენი აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. ამ წესზე მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი არ ვრცელდება. სამაგიეროდ, მოძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება მათ შეუძლიათ დადონ როგორც წერილობით, ასევე ზეპირად და ამისთვის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში სულაც არ არის სავალდებულო.

კერძო ავტონომიის შეზღუდვა შეიძლება გამოწვეული იყოს **სახელმწიფოს უსაფრთხოებითაც**. სახელმწიფომ შეიძლება სპეციალური კანონმდებლობით დააწესოს ნებართვების აუცილებლობა კერძო პირთა საგარეო ვაჭრობის დროს. იოლად შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ როგორ დაიცვებოდა საქართველო ისტორიული და კულტურული ფასეულობებისაგან, თუ უცხოეთში მათ

გატანას სპეციალური კანონმდებლობა არ შეზღუდავდა. ამის შესაძლებლობას 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებები ითვალისწინებს. როგორი საფრთხე შეექმნებოდა თანამედროვე მსოფლიოს, თუ სახელმწიფოები ატომური იარაღით ან მასობრივი მოსაპობის სხვა საშუალებებით ვაჭრობას მკაცრად არ გააკონტროლებდნენ.

განსახილველი პრინციპის შეზღუდვის მეორე შემთხვევა კონტრაპირების იძულების სახელითაა ცნობილი და განპირობებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის აუცილებლობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა ბაზარზე კონკურენტი, ალტერნატიული სამეწარმეო სუბიექტების არსებობას გულისხმობს და ეს ეჭვს არ იწვევს, არსებობს დარგები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ ინტერესებს ემსახურებიან და მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებულნი არიან. ამ დარგების წარმომადგენელ საწარმოებს კი ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ. პირველ რიგში ეს ენება წყლით, ელექტროენერგიით, გაზით მომარაგებას და იმ საწარმოებს, რომლებიც ამ სფეროს ემსახურებიან. მაგალითად, „თელასმა“ უარი თქვა მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებაზე, რომლითაც მან ელექტროენერგია უნდა მიაწოდოს, ან „თბილისის წყალმა“ უარი თქვას ანალოგიური ხელშეკრულების დადებაზე. ასეთი მოსალოდნელი კატაკლიზმების თავიდან აცილების მიზნით 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს კონტრაპირების იძულების პრინციპს, ე.ი. იმ საწარმოებს, რომლებსაც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, არა აქვთ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლება. ისინი ვალდებული არიან დადონ ეს ხელშეკრულებები.

ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა გაბატონებულ პირს იმ უპირატესობასაც ანიჭებს, რომ მას შეუძლია კონტრაპენტს თავს მოახვიოს ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ ამ უკანასკნელს. მაგალითად, ელექტროენერგიის მომხმარებლისთვის ისეთი გადასახდელის დაწესება, რომლის გადახდა მას არ შეუძლია. ამიტომ კანონი აქაც ზღუდავს კერძო ავტონომიის პრინციპს და აიძულებს მზარეს, რომ მან არ

შესთავაზოს კონტრაქტის ხელშეკრულების არათანაზომიერი პირობები.

### 3. კერძო საკუთრება

საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც უარყო საკუთრების სოციალისტური კონცეფცია და საკუთრების დაყოფა ე.წ. საკუთრების ფორმებად. ამით მან ასპარეზი დაუთმო საკუთრების თანამედროვე, სამოქალაქო საზოგადოების-ეულ გაგებას. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის 21-ე მუხლმა საკუთრება განამტკიცა როგორც ძირითადი უფლება. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, საკონსტიტუციო განმტკიცება შიშველ ნიადაგზე არ მომხდარა. ქართველმა იურისტმა მეცნიერებმა მრავალრიცხოვან პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებში დაადასტურეს იმის აუცილებლობა, რომ საკუთრება წარმოადგენს კონსტიტუციისათვის ძირითად უფლებას და მისი დაყოფა ფორმებად საკუთრების საბჭოური გაგების რეანიმაციას უდრის.<sup>163</sup>

საბჭოთა მოძღვრება საკუთრების ფორმების შესახებ მყარად იყო დამკვიდრებული სამოქალაქო სამართალში. მისი ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერც დსთ-ს მოდელურმა სამოქალაქო კოდექსმა, ვერც რუსეთის სამოქალაქო კოდექსმა და დსთ-ს სხვა ქვეყნების კანონმდებლობამ ვერ თქვეს უარი საკუთრების ფორმებზე.<sup>164</sup>

<sup>163</sup> მაგალითად, პროფესორ ვივი ინსკირველის მოხსენებაში, რომელიც მან 1994 წლის ივნისში გააკეთა ბრემენში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, დასაბუთებულია იმის აუცილებლობა, რომ კონსტიტუციამ საკუთრება უნდა განამტკიცოს როგორც ძირითადი უფლება (Tagung „Zivil- und Wirtschaftsrechtsreform in postkommunistischen Gesellschaften“. WiRO, Heft 9/1994. S. 364).

<sup>164</sup> თუმცა რუსულ ცივილისტიკაში უკვე გაისმა კრიტიკა საკუთრების ფორმების მისამართით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს საკუთრების ფორმებს, ამ კოდექსის კომენტარების ავტორები სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ: „Никакой „коллективной“ или иной „формы собственности“ Кодекс не предусматривает. Более того, он исходить из того,



აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას უფრო ადრე ქართველი სამართლისმცოდნეებიც ავითარებდნენ.<sup>165</sup> რაც შეეხება ქართულ საკონსტიტუციო სამართალს, იქაც დამკვიდრდა შეხედულება, რომ საკუთრების დაყოფა ფორმებად არის არა სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური კატეგორია.<sup>166</sup>

გარდა საკუთრების ფორმებისა, წარსული წყობილების მნიშვნელოვანი რუდიმენტი იყო ასევე ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა მათ დატოვებაზე.

მაშასადამე, საკუთრების საკითხში საქართველოს კონსტიტუციაცა და სამოქალაქო კოდექსიც სრულიად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს.

---

что понятие „форма собственности“ - экономическая, а не юридическая категория.“ Комментарий части первой Гражданского Кодекса Российской Федерации для предпринимателей. М. 1995. С. 232-233

<sup>165</sup> *ჭანტურია ლადო*, Собственность на недвижимые вещи. На примере немецкого права. Диссертационный вестник. Тбилиси, 1994. С. 7.

<sup>166</sup> *იზორია ლევან*, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის კომენტარი, *იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 143-147. უფრო ადრე: *ცნობილაძე პაატა*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1996, გვ. 103-104.

## თავი მეორე სამოქალაქო უფლება და მისი განხორციელების წინაპირობები

### § 6. სამოქალაქო უფლების ცნება და სახეები

სამოქალაქო სამართალი, ისე როგორც სამართლის ნებისმიერი დარგი, ურთიერთობის მონაწილეებს ანიჭებს განსაზღვრულ უფლებებს და აკისრებს მოვალეობებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი ერთმანეთს შორის ურთიერთობებს აგვარებენ. ვინაიდან სამოქალაქო ურთიერთობის ყველა მონაწილე უფლებაუნარიანია, პრაქტიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია კონკრეტულ უფლებათა შინაარსი.

**სამოქალაქო უფლება** არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისათვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით.<sup>167</sup>

სამოქალაქო უფლებები შეიძლება განმტკიცებული იყოს როგორც სამოქალაქო კოდექსსა და სხვა კანონებში, ისე კანონქვემდებარე აქტებში, ხელშეკრულებებსა თუ იურიდიული პირების წესდებებში. გარდა ამისა, ეს უფლებები მიმობნეულია სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ნაწილებში. მაგალითად, მესაკუთრის უფლებები მოცემულია სანივთო სამართალში, ხოლო მყიდველის

<sup>167</sup> იმის გამო, რომ ზოგიერთ ენაში, მაგალითად, გერმანულსა და რუსულ ენებში, სამართლისა და უფლების გამოსახატავად იყენებენ ერთსა და იმავე ტერმინს (das Recht, право), ამ ქვეყნების სამართალში გამოიყენება ობიექტური სამართლისა და სუბიექტური სამართლის ცნებები (objektives Recht, subjektives Recht; право в объективном смысле и право в субъективном смысле). ქართულ ენაში მათი გადმოტანის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან objektives Recht ქართულად ნიშნავს სამართალს, ხოლო subjektives Recht – უფლებას. განსხვავებული მოსაზრება ამის თაობაზე ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 76-77

უფლებები — ნასყიდობის თავში და ა.შ. ამ უფლებათა აღსანიშნავად სამოქალაქო კოდექსი იყენებს **მოთხოვნის ცნებას**<sup>168</sup> და ამით აკონკრეტებს უფლების გამოყენებას მოცემულ კონტექსტში.<sup>169</sup>

სამართლებრივი ბუნებისა და მოქმედების ძალის მიხედვით სამოქალაქო უფლებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პრაქტიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია უფლებათა დაყოფა **აბსოლუტურ** და **რელატიურ (ფარდობით)** უფლებებად.<sup>170</sup> აბსოლუტური უფლების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის მოქმედებს ნებისმიერი იმ შესაძენ პირის მიმართ, ვინც ამ უფლებას ხელყოფს. *მაგალითად*, შესაკუთრე დაცულია ნებისმიერი პირის ხელყოფისაგან, მიუხედავად იმისა, შესაკუთრეს ამ ხელმყოფთან ჰქონდა რაიმე ურთიერთობა თუ არა. რელატიური უფლებები მოქმედებენ მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. *მაგალითად*, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებები გამოიყენება მხოლოდ ამ ხელშეკრულების მხარეების მიმართ.

უფლებათა დაყოფას აბსოლუტურ და ფარდობით უფლებებად აქვს სხვა მნიშვნელობაც: **აბსოლუტურ უფლებებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, მაშინ როცა ფარდობითი უფლებები ექვემდებარება სასარჩელო ხანდაზმულობას.**

**აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება:** პირადი უფლებები, პირადი

<sup>168</sup> გერმანულ სამოქალაქო სამართალში იმის მიხედვით, უფლება სანივთო სამართალში წარმოიშობა თუ ვალდებულებით სამართალში, ერთმანეთისაგან განასხვავებენ der Anspruch-სა და die Forderung-ს. პირველი აღნიშნავს სანივთო სამართლით განსაზღვრულ უფლებებს, ხოლო მეორე ვალდებულებით სამართლებრივ უფლებებს. რადგან ქართულ ენაში Anspruch-ის შესატყვისი დახვეწილი ტერმინი არ არსებობს, სასურველია ორივე შემთხვევის აღსანიშნავად გამოვიყენოთ ტერმინი „მოთხოვნა“, ოღონდ უნდა მიეთითოს დამატებით, საუბარია სანივთო თუ ვალდებულებით მოთხოვნაზე.

<sup>169</sup> ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი „მოთხოვნის“ სინონიმად იყენებს „მოთხოვნის უფლებასაც“ (128-ე მუხლის პირველი ნაწილი).

<sup>170</sup> უფლებათა ეს კლასიფიკაცია ასევე კავშირშია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა დაყოფასთან აბსოლუტურ და შეფარდებით ურთიერთობებად. ამასთან დაკავშირებით ნახეთ: *შენგელია რომან*, სამოქალაქო სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წ., გვ. 134.

საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (უფლებებსა და მოთხოვნებზე) ბატონობის უფლებები.

ზოგიერთი პირადი უფლება განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში: სახელის უფლება, პირადი არაქონებრივი უფლებები, პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ (მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები), ხოლო დანარჩენი პირადი უფლებები გათვალისწინებულია ვალდებულებით სამართალში - სხეულისა და ჯანმრთელობის დაცვა (408-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ანდა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში - ავტორობის უფლება და ა.შ.

პირადი საოჯახო უფლებები მოცემულია საოჯახო სამართალში. მათ პირველ რიგში განეკუთვნება შვილების მიმართ მშობელთა უფლებები (1197-ე და 1198-ე მუხლები). სამწუხაროდ, საოჯახო სამართალში მშობელთა პირადი უფლებები შვილების მიმართ მწირად არის წარმოდგენილი და უფრო მეტი ყურადღება ქონებრივი საკითხების მოგვარებას ეხება.<sup>171</sup>

ეკონომიკური მნიშვნელობით აბსოლუტურ უფლებებს შორის საყურადღებოა ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები ე.წ. სანივთო უფლებები: საკუთრება (170-ე და შემდგომი მუხლები) და შეზღუდული სანივთო უფლებები: აღნაგობა, სერვიტუტი, იპოთეკა და ა.შ. ამ უფლებებისაგან განსხვავებით მფლობელობა, მართალია, სანივთო სამართალშია განმტკიცებული, მაგრამ იგი არ წარმოადგენს უფლებას: მფლობელობა არის „ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა“ (155-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ცალკე გამოყოფის ღირსია არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები, როგორცაა საავტორო, საპატენტო უფლებები, უფლებები სასაქონლო ნიშნებზე და ა.შ. მართალია, ამ

<sup>171</sup> ეს შეიძლება საოჯახო სამართლის ხარვეზად იქნეს მიჩნეული და მომავალში უნდა გამოსწორდეს. ბუნებრივია, ქონებრივი საკითხები მნიშვნელოვანია, მაგრამ შვილების აღზრდასთან დაკავშირებული პირადი უფლებების უფრო დაცვრილებით რეგლამენტაცია არ არის მცირე მნიშვნელობის საკითხი.

უფლებათა ნაწილზე ვრცელდება ხანდაზმულობა, მაგრამ ამ ვადის ფარგლებში ისინი დაცულნი არიან აბსოლუტურად.

**რელატიურ უფლებებს მიეკუთვნება:** მოთხოვნები, აღმჭურველი უფლებები და შესაგებლები.

რელატიური უფლებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია **მოთხოვნები**, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან. ფარდობითი უფლებები შეიძლება როგორც საოჯახო, ისე სანივთო სამართლის საფუძველზე აღმოცენდნენ. მაგალითად, მართალია, საკუთრება არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა უკვე ფარდობითი უფლებაა.

**აღმჭურველი უფლებები** უფლებამოსილ პირს აძლევენ შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს სამართლებრივ ურთიერთობაზე მეორე მხარის დაუკითხავად და, მისი თანხმობის გარეშე, შეწყვიტოს ან შეცვალოს ეს ურთიერთობა. ასეთ უფლებებს წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივად (355-ე მუხლი) და გარიგების შეცილების უფლება (59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

**შესაგებლები** უფლებამოსილ პირს ანიჭებენ განსაზღვრულ მოქმედებებზე უარის თქმის უფლებას, რითაც მეორე მხარეს არ აძლევენ თავისი უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, მე-500 მუხლის თანახმად, გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის თანხას. ქართულ სამართალში სადავოა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე მითითება მხარის შესაგებელი თუ სასამართლოს აქვს უფლება თავისი ინიციატივით დაეყრდნოს ხანდაზმულობის ვადის გასვლას და მხარეს უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.<sup>172</sup>

<sup>172</sup> ამის თაობაზე ნახეთ § 9 II 4; ასევე ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. გამოქვეყნებულია „ჯისიი“, თბილისი, 2003 წელი.

## § 7. სამოქალაქო უფლებათა შექმნა, გადაცემა და შეწყვეტა

### I. უფლებათა შექმნა

სამოქალაქო უფლებები ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ პირთან. ამიტომ კანონი განსაზღვრავს, თუ რა პირობებში ხდება მოცემული უფლებების შექმნა ამ პირის მიერ. სამოქალაქო სამართალში ერთმანეთისაგან განსხვავდება უფლებათა პირველადი და ნაწარმოები (დერივატიული) შექმნა.

უფლების პირველადი წარმოშობა სამოქალაქო სამართალში გამონაკლისს წარმოადგენს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლება შემქმნთან თავდაპირველად აღმოცენდება ისე, რომ მას საფუძვლად არ უდევს გარიგება. მაგალითად, თუ პირი 190-ე მუხლის თანახმად მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ამ ნივთზე. უფლების პირველადი წარმოშობის შემთხვევებია: საკუთრების შექმნა განძზე (192-ე მუხლი), საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით (165-168-ე მუხლები), საკუთრების წარმოშობა მოძრავი ნივთების შერწყმის (194-ე მუხლი) ან მასალის გადამუშავების (195-ე მუხლი) შედეგად, საავტორო უფლების შექმნა ნაწარმოების შექმნის შედეგად და ა.შ.

უფრო გავრცელებული პრაქტიკაში უფლებათა ნაწარმოები (დერივატიული) წარმოშობაა. ამ დროს უფლების გადასვლა შემქმნეზე ხდება წინამორბედი პირისაგან, რომელსაც ეს უფლება ჰქონდა. უფლების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც გარიგება, ისე კანონი. მაგალითად, საწარმოს გაყოფის შემთხვევაში გაყოფის შედეგად წარმოშობილ საწარმოებზე უფლებები გადადის გაყოფის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ხოლო შერწყმის შედეგად წარმოშობილ საწარმოებზე უფლებები გადადის კანონის საფუძველზე. მემკვიდრეებისთვის საკუთრების გადაცემა სამკვიდრო ქონებაზეც ასევე ხდება კანონის მიხედვით.

უფლებათა დერივატიული წარმოშობისთვის გადამწყვეტია ის გარემოება, რომ უფლების გადასვლა ხდება წინამორბედი პირისა-

გან, მიუხედავად იმისა, ამ პირს ჰქონდა განკარგვის უფლებამოსილება თუ არა. ამიტომ საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა 187-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაითვალოს უფლების ნაწარმოებ წარმოშობად.

სამოქალაქო უფლებები, როგორც წესი, **გადაცემადი უფლებებია**. განსაკუთრებით ეხება ეს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს (152-ე მუხლი). უფლების გადაცემის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება ან კანონი. *მაგალითად*, ნივთის ნასყიდობის დროს საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველზე გადადის გარიგების -- ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. კანონით მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო ქონებაზე საკუთრება მემკვიდრეებზე გადადის კანონის -- მემკვიდრეობის სამართლის საფუძველზე.

იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს უფლების ობიექტს, უფლებათა გადაცემის წესი შეიძლება კანონით განსხვავებულად იყოს დადგენილი. *მაგალითად*, უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია წერილობითი გარიგება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლი). მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად კი აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი (186-ე მუხლის პირველი ნაწილი).

უფლების გადაცემის დროს იგი შემძენზე ისეთივე მდგომარეობაში და ისეთივე დატვირთვებით გადადის, როგორც ის გამსხვიისებლის ხელში იყო. გარიგებით შესაძლებელია, რომ უფლების ზოგიერთი ასპექტი დარჩეს გამსხვიისებელთან, *მაგალითად*, საკუთრების გადაცემისას ამ საკუთრებით დროებით სარგებლობის უფლება.

**უფლებათა გადაცემა არ შეეხება პირად უფლებებს**, რომლებიც კონკრეტულ პირთან ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ მის გარეშე წყვეტენ არსებობას. *მაგალითად*, სახელის უფლება არ შეიძლება არც გარიგებით და არც კანონით გადაეცეს სხვა

პირს.<sup>173</sup> ასეთი უფლება შეიძლება ქონებრივი ხასიათისა ც იყოს და მემკვიდრეობით არ გადავიდეს. *მაგალითად*, 1330-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს.

## II. უფლებათა შეწყვეტა

სამართლებრივი პრაქტიკისთვის ასევე საყურადღებოა უფლებათა შეწყვეტის საკითხი. მართალია, ყოველი უფლება კონკრეტულ პირს უკავშირდება, მაგრამ ამ პირის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია ყოველთვის არ იწვევს უფლების შეწყვეტას. *მაგალითად*, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემთხვევაში საკუთრება მის ქონებაზე გადადის მემკვიდრეებზე ისე, რომ საკუთრების უფლება არ წყდება.

სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სუბიექტის გარეშე უფლების ცნებას და იმ შემთხვევაში, როცა უფლების მატარებელი პირი — უფლების სუბიექტი გარდაიცვლება, ავტომატურად აღგენს მის უფლებამონაცვლეს. ამის მაგალითია 1319-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების მომენტიდან, ე.ი. მისი უფლებები ავტომატურად გადადის მემკვიდრეებზე.

იმის გამო, რომ პირის გარდაცვალება ყოველთვის არ წარმოადგენს უფლების შეწყვეტის უშუალო მიზეზს, უფრო მნიშვნელოვანია სხვა საფუძველები, რომელთა არსებობასაც მოსდევს უფლების შეწყვეტა. ეს საფუძველები ან გარიგებით განისაზღვრება ან კანონით არის დადგენილი.

გარიგების საფუძველზე უფლების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია უარის თქმა უფლებაზე, *მაგალითად*, მოძრავი ნივთის საკუთრებაზე უარის თქმა 190-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ან უფლების ვადის გასვლა, რომელიც გარიგებით იყო დადგენილი, *მაგალითად*, ბინის ქირააწილის ან ფართის იჯარის

<sup>173</sup> ნახეთ: § 18 I 2.



ვადის გასვლა. უფლებაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს ასევე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებშიც.

კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა, როგორც წესი, განსაზღვრული მიზნის მიღწევას უკავშირდება ან, თუკი საუბარია პირად უფლებაზე, მაშინ შეიძლება უფლების შეწყვეტა ამ პირის გარდაცვალებამაც გამოიწვიოს. მიზნის მიღწევის შედეგად, როგორც წესი, ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებები წყდება. მაგალითად, ვალის დაბრუნებით წყდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის უფლება. უფლების შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს იმ ნივთის დაღუპვა, რომელზეც ეს უფლება არსებობდა, ან იმ ვადის გასვლა, რომლისთვისაც ეს უფლება იყო დადგენილი. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მაგალითად, იწვევის მოთხოვნის იძულებით განხორციელების უფლების შეწყვეტას, მაგრამ არა თვით მოთხოვნის შეწყვეტას.

## § 8. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები

სამოქალაქო უფლება კერძო სამართლის სუბიექტებისთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა, რომელიც კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავისუფლად და საკუთარი შეხედულებისამებრ. მაგრამ ეს თავისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი თავისუფლება, შეუზღუდავი არ არის და ყოველი მართლწესრიგი მისი განხორციელების გონივრულ და სამართლიან ფარგლებს აწესებს.

### I. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან

სამოქალაქო უფლებები კერძო-სამართლებრივი უფლებებია და მათი მიზანი პირთა კერძო ურთიერთობების მოწესრიგებაა. ეს ურთიერთობები, როგორც წესი, პოლიტიკურად ნეიტრალურია, რაც სამოქალაქო უფლებათა ბუნებაზეც მნიშვნელოვნად აისახება. ამ გარემოებას სამოქალაქო კოდექსიც უსვამს ხაზს და პირდაპირ განამტკიცებს, რომ სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით (მე-9 მუხლის პირველი ნაწილი).

სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან უფრო თვალსაჩინოა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. მაგალითად, იმისთვის, რომ პირი გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, აუცილებელია ის იყოს საქართველოს მოქალაქე. იმისთვის, რომ მალაზიაში ტელევიზორი იყიდო, მოქალაქეობა არ არის სავალდებულო. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ასევე სავალდებულოა საქართველოს მოქალაქეობა და საარჩევნო უფლების ქონა, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის არჩევას მოქალაქეობა არ სჭირდება.

„პოლიტიკური უფლებების შეზღუდვამ ან წართმევამ არ შეიძ-

ლება ხელყოს პირის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც სრულიად სხვა შინაარსი და სხვა სოციალური დატვირთვა აქვს<sup>174</sup>. მაგალითად, თუ პირი გავა საქართველოს მოქალაქეობიდან, ეს არ ნიშნავს, რომ ის კარგავს საკუთრების უფლებას იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც მას საქართველოში აქვს.

## II. უფლების კეთილსინდისიერად და მართლზომიერად განხორციელების ვალდებულება

სამოქალაქო უფლებათა თავისუფლად გამოყენების პრინციპი სამოქალაქო სამართლის უმთავრესი დებულებაა, თუმცა თავისუფლება არ არის ერთადერთი წინაპირობა სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისთვის. სამოქალაქო კოდექსი მრავალ ადგილას განამტკიცებს სხვა წინაპირობებსაც, რომელთა დაცვაც აუცილებელია საკუთარი უფლებების რეალიზაციისთვის.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)<sup>175</sup>. ეს ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა.<sup>176</sup>

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად (115-ე მუხლის პირველი წინადადება), რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაიცვას უფლების განხორციელებისთვის კანონით დადგენილი წესი. მაგალითად, მესაკუთრეს 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შეუძლია სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს ნივთი, რაც მან სასამართლოს

<sup>174</sup> *ჯორბენაძე სერგო*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მუხ. 10, გვ. 39.

<sup>175</sup> ქართულ სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების თაობაზე ნახეთ: *ვაშაკიძე გიორგი*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14-58.

<sup>176</sup> *ჯორბენაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 115, გვ. 301.

მეშვეობით უნდა გააკეთოს, თუკი მისი ნივთის მფლობელი მესაკუთრის მოთხოვნას ნებაყოფლობით არ შეასრულებს. მაგრამ მესაკუთრეს არა აქვს უფლება შეიპაროს ნივთის მფლობელის სახლში და იქიდან მოიპაროს თავისი ნივთი. ეს იქნებოდა უფლების არამართლზომიერი გამოყენება.

უფლების განხორციელების ფარგლები ხშირად განპირობებულია ამ უფლების საგნით. მაგალითად, ფარდობითი უფლებები მიმართულია მხოლოდ მოცემული ურთიერთობის მონაწილის მიმართ და მისი საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ურთიერთობით განსაზღვრული ობიექტი: ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაყიდი ნივთის გადაცემა, მაგრამ არა სხვა ნივთის. იგივე ეხება აბსოლუტურ უფლებებსაც — უფლებამოსილ პირს შეუძლია მხოლოდ იმ მოქმედების განხორციელება, რომელიც ამ საწინააღმდეგო უფლებით არის დადგენილი. აქედან გამომდინარე, უფლების განხორციელებისას კონკრეტულად უნდა გაირკვეს, თუ რისი უფლება აქვს უფლებამოსილ პირს.

სამოქალაქო უფლების ფარგლების შეფასებისას მნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული ან მისი კონკურენტი უფლების შინაარსისა და საგნის შემოწმებაც. უნდა დაზუსტდეს, თუ რამდენად შეესაბამება ერთი პირის მიერ უფლების განხორციელება მეორე პირის უფლებას. მაგალითად, პატივისა და ღირსების დაცვის უფლების განხორციელებისას უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად არის მეორე პირის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება დაცული.

### III. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მართალია, უფლების გამოყენება ამ უფლების მატარებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი კრძალავს უფლებათა ბოროტად გამოყენებას. ამ მიზანს სამოქალაქო კოდექსი აღწევს, ერთი მხრივ, იმპერატიული ნორმების დაწესებით (მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი), რომლებიც ბათილად მიიჩნევენ

უფლების ამგვარ გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, შიკანის აკრძალვით (115-ე მუხლი).

შიკანა ნიშნავს უფლების გამოყენებას მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას. მოქმედების შიკანად დაკვალიფიცირებისთვის გადაწყვეტია პირის განზრახვა, რომ მისი ქმედების ერთადერთ მიზანს შეადგენდა სხვისთვის ზიანის მიყენება, რისი დადგენა ხშირად რთულია. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მხრიდან სამართალდაცვის ორგანოებისთვის მიმართვა შპს-ის პარტნიორთა თუ თანამშრომელთა დანაშაულებრივი საქმიანობის მხილების მიზნით ამ პარტნიორების მიერ შეფასდა როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში პარტნიორის ქმედება ჩათვალა უფლების მართლზომიერ განხორციელებად და არა უფლების ბოროტად გამოყენებად.<sup>177</sup>

უფლების ბოროტად გამოყენების დაკონკრეტების მცდელობა მოცემულია მესაკუთრის უფლებამოსილების დახასიათებისას. მესაკუთრეს აკრძალული აქვს თავისი საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება (170-ე მუხლის პირველი ნაწილი). უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია (170-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი იყოს, თუკი „ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით“ (55-ე მუხლის პირველი ნაწილი).

<sup>177</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე 3/647-01. ამ გადაწყვეტილების ანალიზი ნახეთ: ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი, 75, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2003 წ. გვ. 24.

9. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ბათილია ასევე გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (55-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, იმისთვის, რომ უფლების განხორციელება არ ჩაითვალოს უფლების ბოროტად გამოყენებად, აუცილებელია უფლებამოსილ პირს ჰქონდეს **დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი** ამ უფლების განხორციელების მიმართ. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც უფლების გამოყენებით მეორე მხარე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ქმედება არ იქნება უფლების ბოროტად გამოყენება.

მიუხედავად კანონის მცდელობისა, დააკონკრეტოს უფლების ბოროტად გამოყენების შინაარსი, ის მაინც რჩება ზოგად და შეფასებით კატეგორიად. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, თუ რომელი მოქმედება შეიძლება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად.<sup>178</sup>

#### IV. თვითგასამართლების დაუშვებლობა უფლების განხორციელებისას

თუ სამოქალაქო უფლებების განხორციელებას ხელს უშლის ურთიერთობის სხვა მონაწილე, მაშინ უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლებების დასაცავად უნდა მიმართოს სასამართლოს. ეს აიხსნება იმით, რომ **სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელების მონაპოლია სახელმწიფოს ხელშია** და მოქალაქეებს ეკრძალებათ თავიანთი უფლებების დასაცავად ძალის გამოყენება, ე.წ. **თვითგასამართლება**.<sup>179</sup> სამართლებრივი მშვიდობა, რომლის მიღწევა ყოველი ნორმალური სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, შეუძლებელია

<sup>178</sup> სტრუქტურებისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის გაცნობა.

<sup>179</sup> *კენშელი სანდრა*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბილისი, 2009, გვ. 20.

მიღწეულ იქნას კერძო პირთა მიერ ერთმანეთის მიმართ ძალადობის, ე.წ. „მუშტის სამართლის“ გამოყენების გზით.

გამონაკლისის სახით სამოქალაქო კოდექსი ასეთი „მუშტის სამართლის“ გამოყენების სამ შემთხვევას ითვალისწინებს, რომლებიც უფლებამოსილ პირს შესაძლებლობას ანიჭებენ სახელმწიფოს დახმარების გარეშე დაიცვას საკუთარი ან მესამე პირის კანონიერი ინტერესი და უფლება: აუცილებელი მოგერიება (116-ე მუხლი), უკიდურესი აუცილებლობა (117-ე მუხლი), თვითდახმარება (118-120-ე მუხლები).

### 1. აუცილებელი მოგერიება

აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად (116-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იმისთვის, რომ უფლებამოსილი პირის ქმედება აუცილებელ მოგერიებად ჩაითვალოს, კანონი გარკვეული წინაპირობების არსებობას ითვალისწინებს: პირველი, უნდა არსებობდეს თავდასხმა; მეორე, ეს თავდასხმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით უნდა იყოს გამოწვეული; მესამე, თავდასხმა უნდა იყოს მიმართული უფლებამოსილი პირის ან მესამე პირის მიმართ; მეოთხე, თავდაცვითი მოქმედება აუცილებელი უნდა იყოს ამ თავდასხმის მოსაგერიებლად.

აუცილებელი მოგერიება მარტო საკუთარ თავზე დამდგარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი არ არის გამიზნული, არამედ გულისხმობს სხვების, მათ შორის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.<sup>180</sup>

**მაგალითი:** პირი, რომელმაც დაინახა, თუ როგორ მისდევდა მამაკაცი დანით ხელში ახალგაზრდა ქალს, გამოეკიდა თავდამსხმელს, დაეწია მას და ფეხი გამოსდო. თავდამსხმელი წაიქცა და მოიტეხა ხელი.

<sup>180</sup> *ჯორბენაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 116, გვ. 302.

კითხვა, რომელიც ამ შემთხვევის სამართლებრივი შეფასებისას წარმოიშობა, მდგომარეობს შემდეგში: უნდა აუნაზღაურდეს თუ არა თავდამსხმელს ის ზიანი, რომელიც მას მკურნალობის ხარჯების გამო მიადგა? 116-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

მოქმედების აუცილებელ მოგერიებად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ორი საკითხის გარკვევა: პირველი, გრძელდებოდა თუ არა თავდასხმა აუცილებელი მოგერიების მოქმედების განხორციელებისას და, მეორე, რამდენად ადეკვატური, პროპორციული, თავდასხმის თანაზომიერი იყო პირის თავდაცვითი მოქმედება.

თავდასხმა უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი, იმწუთიერი და არა წარსულში მომხდარი. მაგალითად, თუ თავდამსხმელი ქალს წინა დღეს მოსდევდა დანით, ხოლო მეორე დღეს ეს თავდამსხმელი ამოიცნო პირმა, ეს არ იქნება გამართლება იმისთვის, რომ ეს პირი თავდამსხმელს სახლში მიუვარდეს, ცემოს და მოსთხოვოს ქალის წინაშე ბოდიშის მოხდა.

თავდაცვითი მოქმედება უნდა იყოს თავდასხმის თანაზომიერი. მაგალითად, არ შეიძლება, რომ პირი მანქანით გაეკიდოს და დაეჯახოს თავდამსხმელს, რომელმაც ტროტუარზე ქალს ხელიდან გამოგლიჯა ხელჩანთა. ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა თავდაცვითი მოქმედება თანაზომიერი.

ამრიგად, აუცილებელი მოგერიება არის მართლზომიერი ქმედება და არა დელიქტი. მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიება აუცილებელი მოგერიების წინააღმდეგ.<sup>181</sup>

<sup>181</sup> ეს მოსაზრება მოცემულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ კომენტარში: *Jauernig Othmar*, BGB-Kommentar, 13. Aufl. Beck, München, 2009, § 227, Rn. 1.



## 2. უკიდურესი აუცილებლობა

განსხვავებით აუცილებელი მოგერიებისაგან, რომლის დროს ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი ზიანის მიმყენებელმა უნდა აანაზღაუროს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა (117-ე მუხლის პირველი ნაწილი). უკიდურესი აუცილებლობის დროს საქმე გვაქვს მართლზომიერი ინტერესების კოლიზიასთან, რამდენადაც პირს განსაკუთრებული გარემოებების გამო შეუძლია შეიჭრას მესამე პირთა სიკეთეში.<sup>182</sup>

აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე მომდინარეობს არა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებიდან, არამედ ქონებრივი ობიექტიდან, რომელიც სხვა ობიექტის, უფრო მეტი ღირებულების მქონე ობიექტის გადასარჩენად ზიანდება და მისი დაზიანება ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს მოცემულ სიტუაციაში. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, აღიარებული შეხედულების თანახმად, უფრო მეტი ღირებულების მქონე ობიექტად ითვლება, ვიდრე ნებისმიერი მატერიალური სიკეთე. მაგალითად, მძლოლი, რომელიც ხედავდა, რომ სამანქანო გზაზე გადადიოდა ბავშვი და მანქანა შეიძლებოდა დაჯახებოდა მას, გადავიდა სავალი ნაწილიდან და დაეჯახა ტროტუარზე მდგომ ჯიხურს, რომელიც საგრძნობლად დაზიანდა ამ დაჯახების შედეგად. ამ შემთხვევაში ავტომანქანის მძლოლმა ბავშვის სიცოცხლეს დამუქრებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად დააზიანა მესამე პირის ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს წარმოშობილი ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა, 117-ე მუხლის მეორე ნაწილი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლდეს ზიანის მიმყენებელი

<sup>182</sup> *ჯორბენაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 117, გვ. 303.

და ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროს იმ პირს, ვის სასარგებლოდაც მოხდა ზიანის მიყენება, ანდა ნაწილობრივ ან საერთოდ გათავისუფლდეს პირი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. მოცემულ მაგალითში ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროთ მშობლებს, რომლებმაც უყურადღებოდ დატოვეს ბავშვი, რის გამოც ამ უკანასკნელის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა.

იმის გამო, რომ სამართლებრივი შედეგები განსხვავებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, აუცილებელ მოგერიებასთან გვაქვს საქმე თუ უკიდურეს აუცილებლობასთან. გამიჯვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება **საფრთხის წყარო**: აუცილებელი მოგერიების დროს საფრთხის წყარო არის პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, ხოლო უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე მომდინარეობს ნივთიდან ან სხვა ქონებრივი ობიექტიდან და მიზანმიმართულად ამ საფრთხის წარმოშობის ნება პირს არა აქვს.

### 3. თვითდახმარება

თვითდახმარება „მუშტის სამართლის“ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, რომელიც თუმცა აკრძალულია, მაგრამ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას სამოქალაქო კოდექსი მას დასაშვებად მიიჩნევს და პირს, რომელიც თვითდახმარების გზით ცდილობს თავისი უფლების განხორციელებას, ზიანის ანაზღაურების მოვალეობას არ აკისრებს. თვითდახმარება მიიჩნევა ასევე საკუთარი ძალებით კერძო სამართლის მოთხოვნის უზრუნველყოფად ან დაკმაყოფილებად.<sup>183</sup>

118-120-ე მუხლები განსაზღვრავენ თვითდახმარების გამოყენების წინაპირობებს: პირველი, უფლებამოსილ პირს უნდა ჰქონდეს კონკრეტული უფლება, რომლის განხორციელებასაც ემსახურება თვითდახმარების გამოყენება; მეორე, კომპეტენტური ორგანოების

<sup>183</sup> *გორბენაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 118, გვ. 304.

დახმარება დროულად ვერ უნდა უსწრებდეს; მესამე, უნდა არსებობდეს საფრთხე, რომ სწრაფი ჩარევის გარეშე უფლება ვერ განხორციელდება ანდა მისი განხორციელება არსებითად გართულდება.

თუკი ეს წინაპირობები არსებობს, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია ვალდებულ პირს წაართვას, გაუნადგუროს ან დაუზიანოს ნივთი, ანდა შეიპყროს ეს პირი, თუკი იგი შეიძლება მიიმალოს.<sup>184</sup> უფლებამოსილი პირის ასეთი მოქმედება, 118-ე მუხლის თანახმად იქნება მართლზომიერი. მაგალითად, პირი, რომელსაც ქურდმა ხელიდან გამოგლიჯა „ნოუტბუკი“ და გაიქცა, გამოეკიდა ქურდს, დაეწია და ფეხი გამოსდო. ქურდი წაიქცა და მოიტეხა ხელი, ხოლო პირმა დაიბრუნა თავისი „ნოუტბუკი“.

იმის გამო, რომ თვითდახმარება გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს, 119-ე მუხლი მისი გამოყენების ფარგლებსაც განსაზღვრავს. ზოგადი დებულების თანახმად თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, თუ კრედიტორმა აეროპორტში დააკავა მოვალე, რომელიც გაქცევას აპირებდა, მას არა აქვს უფლება ეს მოვალე სახლში წაიყვანოს და იქ დაამწყვდილოს მანამ, სანამ ვალი არ დაუბრუნდება კრედიტორს. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს – პოლიციის განყოფილებას (119-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თვითდახმარება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მართლზომიერად, თუკი არსებობს რეალური საფრთხე, რომ უფლება შეიძლება ვერ განხორციელდეს. მხოლოდ მცდარი ვარაუდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებას, თითქოს ეს აუცილებელი იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, სამოქალაქო

<sup>184</sup> სანდრა ჰენშელს თავის წიგნში მოჰყავს თვითდახმარების შემდეგი მაგალითი: ქურდი ცდილობს ველოსიპედის გატაცებას და ამ დროს მას მიუსწრებს ამ ველოსიპედის მესაკუთრე, რომელიც ხელს ჰკრავს ქურდს, ეს უკანასკნელი ეცემა და იღებს სხეულის დაზიანებას: ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, გვ. 20.

კოდექსი არ მიიჩნევს თვითდახმარებად და ამ დროს წარმოშობილი ზიანი ვალდებულ პირს უნდა აუნაზღაურდეს. მაგალითად, კრედიტორს არა აქვს უფლება აეროპორტში დააკავოს მოვალე ყოველი მორიგი გაფრენის წინ, არამედ მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ მოვალე სწორედ ვალის დაბრუნებისაგან თავის დასაღწევად აპირებს გაფრენას. თუ რამდენად რეალურია საფრთხე და იყო თუ არა მოქმედების განხორციელების აუცილებლობა, უნდა შეფასდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას.

## § 9. ვადები და ხანდაზმულობა

სამოქალაქო უფლების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება, როგორც წესი, დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე. კერძოდ, აღსანიშნავია მოთხოვნის სამართლებრივი განხორციელებადობა.

მოთხოვნის განხორციელებადობის საკითხის შემოწმებისას ვადებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მოთხოვნა განხორციელებადად რომ ჩაითვალოს, ჯერ ერთი, ამ მოთხოვნის შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოთხოვნის არსებობის ფაქტი სრულიადაც არ არის საკმარისი მისი გამოყენებისთვის. მეორე, მოთხოვნა არ უნდა იყოს ხანდაზმუ-ლი, ვინაიდან ხანდაზმული მოთხოვნის იძულებით განხორციელება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო უფლების განხორციელების საკითხში დიდ როლს თამაშობენ.<sup>185</sup>

### I. ვადების ცნება და მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვისთვის

ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.<sup>186</sup> ამიტომაც სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ვადის ფიქსირებისა და მისი გამოთვლის ინსტრუმენტების ლეგალურ დეფინიციებს.

ქართულ სამოქალაქო სამართალში აღიარებულია ვადების

<sup>185</sup> სამოქალაქო სამართალში ვადების მნიშვნელობის თაობაზე ნახეთ: ზარანდია თამარ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, გამოცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005 წ., სუბიტაშვილი დავით, სამართალი და დრო, თბილისი, 2004 წ.

<sup>186</sup> ახელედანი ზურაბ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მუხლი 121, გვ. 306.

შემდეგი კლასიფიკაცია:<sup>187</sup> 1. **სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადები.** მაგალითად, დაკარგული ნივთის მპოვნელის მიერ განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე (191-ე მუხლი); 2. **სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები.** მათ განეკუთვნება: სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები, ე.წ. აღმკვეთი ვადები, მაგალითად, საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის განმავლობაში.<sup>188</sup> საგარანტიო და სპარეტენზიო ვადებიც ამ კატეგორიას განეკუთვნება; 3. **ვალდებულების შესრულების ვადები;** 4. **უფლების დაცვის, ე.წ. ხანდაზმულობის ვადები.**<sup>189</sup>

ვადები გამოიყენება არა მხოლოდ პირთა კერძოსამართლებრივ შეთანხმებებში, არამედ კანონებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში (121-ე მუხლი). ამ ვადების განსაზღვრა ხდება **წლების, თვეების, კვარტალების, დღეების** და ა.შ. მეშვეობით. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად სამოქალაქო კოდექსი აზუსტებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ამ ვადის დასაწყისი ან დასასრული. მაგალითად, თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას (123-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუკი გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, რომ ის მაისის ბოლოს, კონკრეტული დღის მითითების გარეშე, მიაწვდის მყიდველს ნაყიდ საქონელს, იგულისხმება, რომ მაისის ბოლო არის 31 მაისი. ვინაიდან ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ დღის – 31 მაისის – გასვლის შემდეგ, მყიდველს უკვე 1 ივნისიდან შეუძლია მოთხოვნის იძულებით განხორციელება.

<sup>187</sup> ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 121, გვ. 306-308.

<sup>188</sup> საავტორო სამართალში მოქმედი ვადების თაობაზე ნახეთ: *შენგელია რომან*, საავტორო და მომუშავე უფლებების მოქმედების ვადები, „თენგიზ ლილუაშვილი. 75. შაიუბილეო კრებული“, გვ. 127-134.

<sup>189</sup> დაწვრილებით ნახეთ: ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 121, გვ. 306-308.

არცთუ იშვიათად ვადის ათვლა ან გასვლა უკავშირდება განსაზღვრული მოვლენის დადგომას და არა კონკრეტულ კალენდარულ თარიღს. *მაგალითად*, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტვირთს გამოავზავნიან უღელტეხილზე მოძრაობის გახსნისთანავე, ვადის გამოთვლისას ის დღე, რომელშიც აღდგა მოძრაობა უღელტეხილზე, აღნიშნულ ვადას არ მიეთვლება (122-ე მუხლი).<sup>190</sup> ზოგ შემთხვევაში ვადის ათვლისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც მოვლენის დადგომა, ისე კონკრეტული კალენდარული თარიღიც. *მაგალითად*, ავტორის გარდაცვალების შემთხვევაში საავტორო უფლების დაცვის დადგენილი ვადის დენა იწყება აღნიშნული იურიდიული ფაქტის დადგომიდან, ე.ი. გარდაცვალებიდან, მომდევნო ახალი წლის პირველი იანვრიდან და არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი თვე ან დღე დარჩა ამ თარიღამდე.<sup>191</sup>

რა თქმა უნდა, ურთიერთობის მონაწილეებს უფლება აქვთ ვადები სხვაგვარად განსაზღვრონ, მაგრამ თუკი მათ გამორჩათ ვადების კონკრეტული მითითება, გამოიყენება 122-127-ე მუხლებში მოცემული ცნებები.

სამოქალაქო ვადების განსაზღვრისას ზოგ შემთხვევაში კოდექსი ბანალურ და ყველასთვის აშკარა დებულებებს შეიცავს, მაგრამ ამ დებულებებს იურიდიული ძალა აქვთ მხოლოდ მათი საკანონმდებლო განმტკიცების შედეგად. ამიტომ მათი მნიშვნელობა სამართლებრივი პრაქტიკისა და ვადების ერთიანი გაგებისთვის მნიშვნელოვანია. *მაგალითად*, „ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტდღიან ვადას“ (124-ე მუხლის პირველი ნაწილი), ანდა „თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთი დღით“ (126-ე მუხლის 1 ნაწილი).<sup>192</sup>

<sup>190</sup> ეს მაგალითი მოჰყავს პროფესორ ზურაბ ახვლედიანს კომენტარში: *ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 122, გვ. 310.*

<sup>191</sup> *შენგელია რომან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები, გვ. 128.*

<sup>192</sup> სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით დადგენილი ვადების კატალოგი ნახეთ: *ჯორბენაძე სანდრო* (შემდგ.), ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით, თბილისი, 2005 წ.

## II. ხანდაზმულობა და მისი გამოყენების პირობები

### 1. ხანდაზმულობის ცნება, საგანი და მიზნები

ვადამოსული მოთხოვნის იძულებით განხორციელების საკითხში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ხანდაზმულობა. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია სხვა პირის (მოვალის) მიმართ არსებული მოთხოვნის იძულებითი განხორციელება.<sup>193</sup> უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, „ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავის უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა“.<sup>194</sup>

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თითქმის ყველა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი მოთხოვნა ექვემდებარება ხანდაზმულობას.<sup>195</sup> ხანდაზმულობას სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს და ურთიერთობის მონაწილეებს უკრძალავს ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლას მხარეთა შეთანხმებით (146-ე მუხლი). ამდენად, კოდექსის ნორმები ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით იმპერატიულ ნორმებს წარმოადგენს. „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ ხანდაზმულობის ვადების მოქმედება ან შეცვალონ ისინი ან მათი გამოთვლის წესი. თუ მხარეები ხანდაზმულობის სხვა ვადებზე შეთანხმდებიან, ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული, მაინც გამოიყენება კანონით დადგენილი ვადები“.<sup>196</sup>

<sup>193</sup> ხანდაზმულობის ასეთივე ცნება არის მოცემული სამოქალაქო კოდექსის კომენტარში: აბელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128, გვ. 316-317.

<sup>194</sup> სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 72.

<sup>195</sup> რამდენიმე გამონაკლისი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მეორე ნაწილში.

<sup>196</sup> ასეთი განმარტება მისცა ხანდაზმულობის ვადებს უზენაესმა სასამართლომ: სუსგ სამოქ. 9/2005, გვ. 189.



128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობა ვრცელდება „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე“. ამდენად, ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება – მოთხოვნა – და არა აბსოლუტური უფლება. მაგალითად, ხანდაზმულობა არ ვრცელდება საკუთრების უფლებაზე: მესაკუთრე მარადიულად რჩება მესაკუთრედ, მაგრამ ხანდაზმულობა ვრცელდება მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნაზე – გამოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთი. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრე, თუმცა რჩება ნივთის მესაკუთრედ, კარგავს მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის უფლებას, თუკი იგი გაუშვებს ხანდაზმულობის ვადას. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

უფლების განხორციელების შეზღუდვამ განსაზღვრული ვადებით უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა. კრედიტორმა დროულად უნდა იზრუნოს თავისი მოთხოვნის განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს ამის შესაძლებლობას. როგორც სწორად არის ლიტერატურაში აღნიშნული, ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება სადავო გარემოებების უტყუარად აღდგენა და პირები, რომლებსაც უსაფუძვლოდ წაეყენათ მოთხოვნა, აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს.<sup>197</sup> ეს რომ არ მოხდეს და სასამართლო პროცესი დროის ხარჯვად არ იქცეს, კანონმდებელმა უფლებამოსილ პირს უფლების განსახორციელებლად გონივრული ვადა უნდა დაუწესოს. დაუშვებელია, რომ ადამიანები უსასრულოდ იყვნენ ერთმანეთთან სტრესულ და გაურკვეველ მდგომარეობაში.<sup>198</sup>

<sup>197</sup> ახელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128, გვ. 316.

<sup>198</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის 1/3/161 გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების ანალიზი ნახეთ: ლოლაძე მესიკ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. გვ. 49-51

ხანდაზმულობა იწვევს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობის შეწყვეტას, მაგრამ არა სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში მიმართვის უფლების შეწყვეტას.<sup>199</sup> პირს ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა და თავისი მოთხოვნის დაყენება, თუნდაც ეს მოთხოვნა ხანდაზმული იყოს.

მოთხოვნის ხანდაზმულობა არ ნიშნავს ამ მოთხოვნის შეწყვეტას. მოთხოვნა კვლავინდებურად არსებობს და მოვალეს კვლავაც შეუძლია ეს მოთხოვნა ნებაყოფლობით შეასრულოს, მაგრამ კრედიტორი კარგავს მოვალისაგან ამ მოთხოვნის იძულებით შესრულების შესაძლებლობას. ამ გაგებით ხანდაზმულობა კრედიტორის დისციპლინირების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

## 2. ხანდაზმულობის ვადა და მისი დაწყება

სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხანდაზმულობის საერთო და სპეციალურ ვადებს. თუკი კანონით სპეციალური ვადა არ არის დადგენილი, მაშინ ყველა მოთხოვნისთვის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს (128-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება). ათი წელია ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისთვისაც, რომლებიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არის დადგენილი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება (142-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საერთო ვადის გარდა, კანონი აწესებს ასევე ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს, რომლებიც, როგორც წესი, საერთო ვადაზე ნაკლებია, თუმცა შეიძლება მასზე მეტიც იყოს.<sup>200</sup> მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო

<sup>199</sup> აზვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128, გვ. 317.

<sup>200</sup> აზვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 129, გვ. 318.

მოთხოვნების — ექვს წელს (129-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ხშირად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულების შესრულებას არა ერთდროულად, არამედ განსაზღვრული პერიოდების მიხედვით. მაგალითად, ბინის ქირავნობის დროს დამქირავებელი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს ბინის ქირა. თითოეული შესრულების დარღვევა წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.<sup>201</sup>

საერთო ვადაზე უფრო მეტი ვადის მაგალითი მოცემულია 920-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულების ვადის დადგომიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი ცდილობს ხანდაზმულობის ვადები ერთიანად მოაწესრიგოს, ცალკეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას სპეციალური ვადები მაინც გამოიყენება. ეს ვადები შეიძლება იყოს განმტკიცებული კერძო სამართლის სხვადასხვა კანონებში. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით ამ კანონიდან გამომდინარე პრეტენზიების ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ხუთ წელს (პირველი ნაწილი), ხოლო საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა — ორი თვეა (მე-2 ნაწილი).

ამრიგად, ყოველი კონკრეტული მოთხოვნის განხორციელებადობის შემოწმებისას უნდა დაზუსტდეს, თუ ხანდაზმულობის რომელი ვადა გამოიყენება და რომელი კანონიდან გამომდინარეობს ეს ვადა.

ვინაიდან ხანდაზმულობას მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა მომენტიდან ათვლება ხანდაზმულობის ვადის დენა. ერთმანეთისაგან განსხვავდება ხანდაზმულობის ათვლის ობიექტური და სუბიექ-

<sup>201</sup> ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 129, გვ. 319.

ქტური სისტემები. ობიექტური სისტემის დროს ხანდაზმულობის ვადის ათვლა არ არის დამოკიდებული იმაზე, უფლებამოსილმა პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ თუ არა და გადამწყვეტია ის, თუ ობიექტურად როდის წარმოიშვა მოთხოვნა.<sup>202</sup>

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს სუბიექტურ სისტემას და ხანდაზმულობის დაწყების მომენტად მიიჩნევს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (130-ე მუხლი). ამრიგად, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლისთვის გადამწყვეტია, რომ პირმა იცოდეს ან გარემოებებიდან გამომდინარე მას უნდა სცოდნოდა მისი დარღვეული უფლების შესახებ.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა პირმა არ იცის მისი უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ კანონი ზუსტად განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტს და ამას არ უკავშირებს იმ ფაქტს, იცის თუ არა უფლებამოსილმა პირმა ამის შესახებ? მაგალითად, 699-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს. კოდექსი არაფერს ამბობს, უნდა იცოდეს თუ არა პირმა ამის შესახებ.

ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ როცა კანონში ან ხელშეკრულებაში მითითებულია მოთხოვნის წარმოშობის მომენტზე, ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისთვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.<sup>203</sup>

<sup>202</sup> ობიექტური სისტემა განმტკიცებული იყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2002 წლამდე. სამაგიეროდ ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა 30 წელს. 2002 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად შემოღებულ იქნა სუბიექტური სისტემა. ნახეთ: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 9 Rn. 6.

<sup>203</sup> ახელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 130, გვ. 321.

### 3. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება და შეწყვეტა

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდეს და დროის ფაქტობრივმა დინებამ, გასვლამ ხელი არ შეუშალოს უფლებამოსილ პირს თავისი მოთხოვნის განხორციელებაში. სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლებს ორ ჯგუფად ჰყოფს: პირველია, როცა უფლებამოსილი პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოკლებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას და, მეორე, როცა ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენა არ არის მიზანშეწონილი.

მოთხოვნის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევები 132-ე მუხლშია განსაზღვრული: ა. მორატორიუმი, ბ. განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა და გ. კრედიტორის ან მოვალის ყოფნა შეიარაღებულ ძალებში, თუკი ეს ძალები საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა შემთხვევებიც.<sup>204</sup>

ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება გამოიყენება მეუღლეებს შორის ქორწინების განმავლობაში (133-ე მუხლი) ან ურთიერთობაში ქმედუუნარო პირის მონაწილეობისას (134-ე მუხლი). პირველ შემთხვევაში ხანდაზმულობა ჩერდება ქორწინების მთელი პერიოდის მანძილზე ან ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე და გამოიყენება როგორც მეუღლეთა შორის, ისე მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილ მოთხოვნებზე. კოდექსი არ აკონკრეტებს, ეხება ეს მხოლოდ საოჯახო-სამართლებრივ თუ სხვა სახის მოთხოვნებსაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონი არ შემოიფარგლება მხოლოდ საოჯახო-სამართლებრივი მოთხოვნებით. იგივე მოსაზრებას აწვითარებს პროფესორი ახვლედიანი 133-ე მუხლის კომენტარში.<sup>205</sup>

<sup>204</sup> დაწვრილებით ნახეთ: ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 132, გვ. 323-325.

<sup>205</sup> ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი,

10. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

პირის ქმედუნარიანობის ან მისი შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო ხანდაზმულობის შეჩერება გრძელდება მანამ, სანამ პირი არ გახდება ქმედუნარიანი ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი (134-ე მუხლი).

ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო (135-ე მუხლი). პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა გრძელდება იმ ვადით, რა ვადითაც იყო შეჩერებული ვადის დენა, ე.ი. არსებობდა ვადის დინების შემჩერებელი გარემოება.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისას, შეჩერებისაგან განსხვავებით, „შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება“.<sup>206</sup> ხანდაზმულობის შეწყვეტა არ ნიშნავს მოთხოვნის შეწყვეტას. პირიქით, ამ დროს არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც უფლებამოსილი პირის მდგომარეობას კიდევ უფრო ამყარებს და უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის ათვლას თავიდან იწყებს. ხანდაზმულობის შეწყვეტას სამოქალაქო კოდექსი ორ გარემოებას უკავშირებს: პირველი, ვალდებული პირის მიერ მოთხოვნის აღიარებას ან, მეორე, უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში მიმართვას (138-ე მუხლი).

მოთხოვნის არსებობის აღიარება ვალდებული პირის მხრიდან შეიძლება მოხდეს უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვა გზით. მაგალითად, როცა მოვალე მიმართავს კრედიტორს შესრულების გადავადების თხოვნით (უგზავნის წერილს და პირდება ვალდებულების შესრულებას) ან ასრულებს ვალდებულების ნაწილს,<sup>207</sup> ამით ის აღიარებს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის არსებობას (137-ე

მუხლი 133, გვ. 325.

<sup>206</sup> ახელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 137, გვ. 330.

<sup>207</sup> ახელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 137, გვ. 330-331.

მუხლი). ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა იწყება ვალის აღიარების მომენტიდან.<sup>208</sup>

**უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოში სარჩელით მიმართვა** ან სახელმწიფო ორგანოში განცხადების შეტანა იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას (138-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება (139-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება თავიდან და ძველი ხანდაზმულობა არ მიეთვლება (141-ე მუხლი).<sup>209</sup>

ვალდებულების მონაწილე პირის შეცვლა არ იწვევს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლას – არც მის შეწყვეტას და არც შეჩერებას. თუ ნივთი, რომლის მიმართ არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.<sup>210</sup>

#### 4. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგები

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ **ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე** (144-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობა არ ნიშნავს მოთხოვნის შეწყვეტას. ხანდაზმული მოთხოვნა ვალდებულ პირს ანიჭებს უფლებას უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.

<sup>208</sup> სუსგ სამოქ. 9/2005, გვ. 64.

<sup>209</sup> ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესახებ დაწერილებით ნახეთ: ახელედირი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლები 139-140, გვ. 332-335.

<sup>210</sup> სუსგ სამოქ. 9/2005, გვ. 181.

სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „უარის თქმის“ პრაქტიკული განხორციელება, განსაკუთრებით კი სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის გამოყენება. ამ დროს იბადება შემდეგი კითხვა: აქვს თუ არა სასამართლოს უფლება დამოუკიდებლად, ვალდებული პირის მითითების გარეშე, დაეყრდნოს მოთხოვნის ხანდაზმულობას და ამ საფუძველით არ დააკმაყოფილოს უფლებამოსილი პირის სარჩელი.

ვინაიდან 144-ე მუხლით გათვალისწინებული „უარის თქმის უფლება“ ვალდებული პირის შესაგებელს წარმოადგენს, მან ეს უფლება თვითონ უნდა გამოიყენოს და სასამართლოს ამ პირის მითითების გარეშე არ შეუძლია გამოიყენოს ხანდაზმულობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპები მოსამართლეს ართმევენ იმის უფლებას, რომ მან პროცესის მონაწილეებს მიანიჭოს იმაზე მეტი, ვიდრე მათ მოითხოვეს.<sup>211</sup> უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო სამართალი უკანასკნელ წლებში ამ შეხედულებას განამტკიცებს.<sup>212</sup>

გასარკვევი რჩება საკითხი, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს ვალდებულმა პირმა თავისი შესაგებელი: უნდა მიუთითოს მან პირდაპირ, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია თუ მისი მხრიდან საკმარისია იმის თქმა, რომ ამ ამბის მერე ძალიან დიდი ხანი გავიდა? ვფიქრობ, რომ სასამართლოსთვის ეს უკანასკნელი საკმარისი უნდა იყოს. პროცესის მონაწილეს არ მოეთხოვება, რომ მისი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველები წარუდგინოს სასამართლოს. ეს სასამართლომ თვითონ უნდა გააკეთოს.

როგორც უკვე ითქვა, ხანდაზმულობა არ ნიშნავს მოთხოვნის შეწყვეტას. მოთხოვნა კვლავაც არსებობს და ვალდებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს შეასრულოს ეს მოთხოვნა. მაგრამ

<sup>211</sup> ლილუაშვილი თენგიზ, ხრუსტალი ვალერი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წ. გვ. 4.

<sup>212</sup> ადრეულ წლებში სამოსამართლო სამართალი ხანდაზმულობას კვალიფიკაციის (სუბსუმციის) ელემენტად მიიჩნევდა და საკუთარი ინიციატივით ეუბნებოდა მოსარჩელეს უარს, თუკი მისი მოთხოვნა ხანდაზმული იყო.



თუკი მან ვალდებულება შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო (144-ე მუხლის მეორე ნაწილი).

## თავი მესამე

### სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა

#### § 10. სუბსუმცია და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

სუბსუმცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც მისადაგება, შეფარდება. სამართალში ეს ცნება გულისხმობს სამართლის გამოყენების მეთოდს, რომლის საფუძველზეც ხდება სამართლის ნორმების მისადაგება (შეფარდება) კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევებისადმი.<sup>213</sup> იურისტის საქმიანობის უმთავრესი ამოცანა არის კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებისა და კონფლიქტებისთვის სამართლებრივი პასუხის მოძებნა, ანუ მათი შეფასება კანონის ცალკეული წინადადებების – ნორმების – საფუძველზე.

მთავარი კითხვა, რომელიც ამ პროცესში წარმოიშობა, შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა ურთიერთობის მონაწილის პრეტენზია, მოთხოვნა მეორე მონაწილის მიმართ კანონიდან გამომდინარე? არის თუ არა ეს მოთხოვნა სამართლებრივად დასაბუთებული? ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა იურისტების – ადვოკატებისა და მოსამართლეების – უმთავრესი ამოცანაა.

სრულიადაც არ არის საკმარისი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი. იგი იმავდროულად კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს. *მაგალითად*, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა ნასყიდობის ფასის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამყიდველი ნაყიდ ნივთს გადასცემს, მაშინ გამყიდველს

<sup>213</sup> ამ სახელმძღვანელოს მიზანი არ არის სუბსუმციის – სამართალგამოყენების ტექნიკის განხილვა. ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე ფუძემდებლური საკითხი იქნება მოკლედ განხილული. დაწვრილებითი ინფორმაცია ამ საკითხზე მკითხველს შეუძლია მიიღოს შემდეგი წყაროებიდან: სანდრა კენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, თბილისი, 2009; ბოელინგი ჰაინ, ჭანტურია ლადო, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდთა, თბილისი, 2003.

ფასის მოთხოვნა მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ შეუძლია. მიზეზი: მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება.

სამოქალაქო სამართალში იურისტის ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტებია მოთხოვნა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. პირის მოთხოვნა მხოლოდ მაშინ უნდა დაკმაყოფილდეს, თუკი ამისთვის არსებობს სამართლებრივი საფუძველი. ეს სამართლებრივი საფუძველი ან კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს (მოთხოვნის კანონისმიერი საფუძველი) ანდა ხელშეკრულებიდან (მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძველი). მხოლოდ ასეთი საფუძველების არსებობისას და მათზე დაყრდნობით შეიძლება აიძულოს სასამართლომ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესასრულებლად. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სამართლებრივი საფუძველი, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება უკანონოა და იგი ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს, ისე კონსტიტუციით განმტკიცებულ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის ერთადერთი დანიშნულება არ არის ვალდებული პირისთვის პასუხისმგებლობის ან სხვაგვარი იძულების დაკისრება. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პირობების არსებობისას წარმოიშობა მხარეთა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები. ამას შემადგენლობის ნიშნები ან შემთხვევის აღწერა ეწოდება. მაგალითად, შემადგენლობა იქნება „ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით“ (477-ე მუხლის პირველი ნაწილი).

კონფლიქტის გადასაწყვეტად მხოლოდ შემადგენლობის, შემთხვევის ნიშნების აღწერა სრულიადაც არ არის საკმარისი. აუცილებელია იმ სამართლებრივი შედეგის დაფიქსირებაც, რომელიც ამ შემადგენლობას მოსდევს. მოცემულ მაგალითში სამართლებრივი შედეგი უნდა იყოს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება: „გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე“ (477-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აქედან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში, როცა მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება (შემთხვევის აღწერა), გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ნაყიდ ქონებაზე, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაიხადოს ქონების ფასი (სამართლებრივი შედეგი).

კოდექსის ყველა ნორმა არ შეიცავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.<sup>214</sup> ამიტომ აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ნორმები, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სხვა ნორმებისაგან, რომლებიც ასეთ საფუძველს არ შეიცავენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების გამოსახატავად კოდექსი იყენებს ასეთ გამოთქმებს: „მოვალეა“, „ვალდებულია“, „უნდა“, „შეუძლია“ და ა.შ. მაგალითად, 516-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია..“

სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. მაგალითად, დელიქტურ სამართალში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია 992-ე მუხლი, რადგან პირი, რომელიც სხვა პირს მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სამართლის თითქმის ყველა ნორმა შეიცავს სამართლებრივ შედეგს, მაგრამ არა ყველა ნორმა წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.<sup>215</sup> მაგალითად, მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა (შემადგენ-

<sup>214</sup> ნახეთ: ბოელინგი ჰაინ, *ლუტრინგჰაუსი პეტერ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009 წ. გვ. 105-137.

<sup>215</sup> მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების სრული ჩამონათვალი (კატალოგი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ნახეთ: ბოელინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, გვ. 105-137. ეს წიგნი ქართველი იურისტისთვის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს.

ლობის აღწერა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე (სამართლებრივი შედეგი), მაგრამ ეს ნორმა არ წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.

შემადგენლობის, შემთხვევის აღმწერი ნორმები კანონში აბსტრაქტულად არის ფორმულირებული, მაგალითად, „პირი, რომელიც სხვა პირს მიაყენებს ზიანს“. ეს ზოგადი ფორმულა უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის აღწერისას. მაგალითად, პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ზიანის მიყენება შეიძლება გამოიხატოს როგორც სხეულის დაზიანებაში, ისე ნივთების მოპარვაში ან მათ განადგურებაში და ა.შ. მაშასადამე, ფორმულა უცვლელია, ხოლო ამ ფორმულის შესატყვისი ცხოვრებისეული სიტუაცია — ცვალებადი.

## § 11. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება

იმის გამო, რომ ცხოვრებისეული ურთიერთობები და ეპიზოდები მეტად მრავალფეროვანია, ხოლო კანონის ფორმულები, როგორც წესი ერთგვაროვანი და აბსტრაქტული, ყოველი კონკრეტული დავის გადაწყვეტისას იურისტი რთული ამოცანის წინაშე დგება: ამ მრავალფეროვანი ურთიერთობიდან მან უნდა გამოყოფოს მთავარი, დავის გადაწყვეტისთვის რელევანტური ეპიზოდები და მოუძებნოს მათ სამართლებრივი საფუძველი. ეს კი ხდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმების გზით.

შემოწმება საგნობრივი და შედეგიანი რომ იყოს, აუცილებელია რამდენიმე საკვანძო კითხვის დასმა და ამ კითხვებზე პასუხების გაცემა:

1. ვინ ითხოვს?
2. რას ითხოვს?
3. ვისგან ითხოვს?
4. რა საფუძველით ითხოვს?

მაშინაც კი, როცა ურთიერთობაში მრავალი პირი მონაწილეობს, ყოველთვის აუცილებელია ორი პირის გამოყოფა და ზემოთ დასმული კითხვების განხილვა მათ მიმართ. ყოველი მოთხოვნა ყოველ კონკრეტულ პირს უკავშირდება და ამის შესაბამისად უნდა მოიძებნოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

იმის გარკვევის შემდეგ, თუ ვინ რას ითხოვს ვისგან, უნდა მოიძებნოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რისი გაკეთება იოლი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნორმები სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნაწილებშია მიმოხილული. მაგალითად, თუ მყიდველი დავობს, რომ მას გამყიდველმა ნაკლის მქონე ნივთი მიჰყიდა, მაშინ მყიდველის მოთხოვნის საფუძველები 490-ე მუხლში უნდა ვეძებოთ.

ასეთი მსჯელობის შედეგად უკვე ვიღებთ შესამოწმებელი ფაქტობრივი მდგომარეობის (შემადგენლობის) აღწერას:

„მყიდველი ითხოვს გამყიდველისაგან ნაკლის მქონე ნივთის გამოცვლას სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე“

ეს შემადგენლობა შემდეგ დაწვრილებით უნდა შემოწმდეს ცალკეული ნორმების მიხედვით, ე.ი. უნდა გაირკვეს რამდენად დასაბუთებულია მყიდველის მოთხოვნა. მაგალითისთვის აქ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი იქნება დასახელებული, ვინაიდან ამოხსნის სქემა ჩვეულებრივ უფრო რთული შეიძლება იყოს.

**პირველი,** მხარეებს შორის უნდა არსებობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, არსებობდა თუ არა მყიდველსა და გამყიდველს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება;

**მეორე,** მყიდველი ნივთი უნდა იყოს ნაკლის მქონე 487-489-ე მუხლების მიხედვით. უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა გაყიდულ ნივთს ნაკლი 487-489-ე მუხლების შესაბამისად;

**მესამე,** ნივთის გამოცვლა ნაკლის გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა, თუ არსებობს ნაკლის გამოსწორების სხვა შესაძლებლობა და ა.შ.

თითოეული ამ კითხვის შემოწმება, მათი ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი და მათზე პასუხის გაცემა ლოგიკურად მიგვიყვანს სამართლებრივ შედეგამდე. რაც უფრო რთულია შემთხვევა, მით უფრო მეტი კითხვა იქნება პასუხგასაცემი.

შემოწმების დროს არა მხოლოდ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები უნდა შემოწმდეს, არამედ ყველა სხვა ნორმა, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება განსახილველ შემთხვევას. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ფაქტის არსებობის შემოწმებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნორმები გარიგების შესახებ, თუნდაც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ეს ნორმები არ შეიცავდნენ.

შემოწმება არ შეიძლება სპონტანურად განხორციელდეს. ის უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ ლოგიკას, რომელმაც უნდა

მიგვიყვანოს სამართლებრივ შედეგამდე და მოგვცეს პასუხი საკან-  
ძო კითხვაზე. ამ პროცესში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

ა. წარმოიშვა თუ არა მოთხოვნა?

ბ. შეიძლება მოთხოვნა წარმოიშვა, მაგრამ ის შემდგომში ხომ არ  
შეწყდა?

გ. მოთხოვნა განხორციელებადია? ე.ი. არსებობს თუ არა ამ მოთ-  
ხოვნის განხორციელების ფაქტობრივი წინაპირობები?

დ. სამართლებრივი შედეგი სამართლის კონკრეტულ ნორმაზე მითითებით.<sup>216</sup>

როგორც წესი, მოთხოვნა მოთხოვნის ერთი სამართლებრივი  
საფუძველით არ შემოიფარგლება და სასურველი სამართლის ნორ-  
მა შეიძლება კანონის სხვადასხვა ინსტიტუტებში იყოს მოქცეული.  
ამიტომ მოთხოვნათა ეს სამართლებრივი საფუძვლები გარკვეული  
ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ  
რიგითობას არ აწესებს. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის სა-  
მართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განი-  
საზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით. ამ საკითხშიც არსებობს  
აღიარებული რიგითობა, რომელსაც მეც ვიზიარებ.<sup>217</sup>

პირველ რიგში უნდა შემოწმდეს **სახელშეკრულებო მოთხოვნე-  
ბი!** სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობა უკვე გამორიცხავს  
სხვა, მაგალითად, კანონისმიერი საფუძვლების მიხედვით მოთ-  
ხოვნის შემოწმების აუცილებლობას. ამ დროს შესაძლოა ცალკე  
გამოიყოს ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი  
ვალდებულებითი ურთიერთობების შემოწმება (317-ე მუხლის მე-2  
ნაწილი).

შემდეგ უნდა შემოწმდეს **მოთხოვნის კანონისმიერი საფუძვლები!**  
აქ შესაძლოა სამართლებრივი საფუძვლების სამი ჯგუფის გამოყოფა:

<sup>216</sup> დაწვრილებით ნახეთ: *ჰენშელი*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა.

<sup>217</sup> დაწვრილებით ნახეთ: *ჰენშელი*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა,  
გვ. 84 და მომდევნო გვერდები.



ა. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (969-ე მუხლი);

ბ. მოთხოვნები უსაფუძვლო გამდიდრებიდან (976-ე და მომდევნო მუხლები);

გ. მოთხოვნები დელიქტური ვალდებულებებიდან (992-ე და მომდევნო მუხლები).<sup>218</sup>

ამ ლოგიკური სქემის გამოყენება აიოლებს განსახილველი შემთხვევის სამართლებრივ ანალიზს და ურთიერთობის მონაწილეთა მოთხოვნებისთვის სამართლებრივი საფუძვლების მოძებნას. სქემის ხშირი გამოყენების შედეგად სუბსუმცია იურისტებში ავტომატიზმამდე უნდა დავიდეს და მათი ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტი უნდა გახდეს.

---

<sup>218</sup> ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, გვ. 88.

## თავი მეოთხე სამოქალაქო სამართლის ობიექტები

კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დახასიათებისას სუბიექტებთან და მათ უფლებებთან ერთად მნიშვნელოვანია ობიექტები, ე.ი. ის სიკეთეები, რომელთა გამოც ქონებრივ ურთიერთობათა უმეტესობა წარმოიშობა. განსხვავებით მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსისაგან, მათ შორის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან, რომლებშიც ობიექტების ცნება და სახეები ზოგად ნაწილშია მოცემული და მოწესრიგებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს განამტკიცებს სანივთო (ქონებრივ) სამართალში.<sup>219</sup> ამიტომ წინამდებარე თავში ობიექტები მხოლოდ იმდენად იქნება განხილული, რამდენადაც ეს აუცილებელია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ანალიზისთვის.<sup>220</sup>

### § 12. სამოქალაქო სამართლის ობიექტების ცნება და სახეები

#### I. ცნება და ზოგადი დახასიათება

კერძო სამართლის ობიექტების ლეგალური დეფინიცია მოცემულია მე-7 მუხლში, რომლის თანახმად „ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი ობიექტებთან დაკავშირებით სხვა ნორმებს არ შეიცავს. როგორც აღი-

<sup>219</sup> სწორად აღნიშნავს პროფესორი ბესარიონ ზოიძე, რომ ამით ქართული სამართალი გერმანული საგანაც განსხვავდება: *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 243.

<sup>220</sup> დაწვრილებით ამ საკითხებს სტუდენტები შეისწავლიან სანივთო სამართლის კურსის გავლისას.

ნიშნა, ქონებრივი ობიექტების ცალკეული სახეები და სამოქალაქო ბრუნვაში მათი მონაწილეობის პირობები სანივთო (ქონებრივ) სამართალშია მოწესრიგებული.

ობიექტების ეს დეფინიცია განხილულ უნდა იქნეს 147-ე მუხლთან კავშირში, რომელიც აზუსტებს მე-7 მუხლში მოცემული „ობიექტის“ შინაარსს, თუმცა მას „ქონების“ სახელწოდებით განამტკიცებს. ამდენად, 147-ე მუხლის „ქონება“ და მე-7 მუხლში განმტკიცებული „ობიექტი“ იდენტური ცნებებია.<sup>221</sup> მართალია, მე-7 მუხლის დეფინიციაში საუბარია „არაქონებრივი ღირებულების სიკეთეზე“, რაშიც ადვილად შეგვეძლო არაქონებრივი პირადი უფლებებიც გვეგულისხმა, მაგრამ „ობიექტად“ მათ მიჩნევას ხელს უშლის მათი ბრუნვაუნარობა, რომელიც ობიექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. პირადი არაქონებრივი უფლებები კი ბრუნვიდან ამოღებულია და მათი მიჩნევა ობიექტად საეჭვოა. პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და მათი მსგავსი სხვა არაქონებრივი სიკეთეები წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტს, მაგრამ არა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებს. ამიტომ მათი კვალიფიკაცია მე-7 და 147-ე მუხლებით არ არის მართებული.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი – ქონება – არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს (147-ე მუხლი). უნდა დავეთანხმოთ პროფესორ ზოიძეს, რომ, მართალია, სამოქალაქო კოდექსი როგორც ნივთებს, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს ქონების საერთო ცნებაში აერთიანებს, მაგრამ იგი ამით სულაც არ აიგივებს მათ ერთმანეთთან.<sup>222</sup>

<sup>221</sup> მსგავსი მოსაზრება არის ასევე ქართულ ლიტერატურაში. ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 185.

<sup>222</sup> *ზოიძე ბესარიონ*, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ. 26.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტების განსაზღვრისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სხვა გზა აირჩია, ვიდრე ეს დსთ-ის მოდელური და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსებით არის გათვალისწინებული. კერძოდ, მან უარი ითქვა ცალკეული ობიექტების ჩამოთვლაზე და ყველა ქონებრივი თუ არაქონებრივი სიკეთე, რომელთა ბრუნვაუნარიანობა არ არის შეზღუდული ან აკრძალული, მიიჩნია კერძო სამართლის ობიექტად.<sup>223</sup> კერძო სამართლისთვის ასეთი მიდგომა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც ხელსაყრელია, რადგან ყოველი კონკრეტული ურთიერთობის დახასიათებისას არ არის აუცილებელი იმის შემოწმება, მოცემული სიკეთე შედის თუ არა ამ ჩამონათვალში და დაიშვება თუ არა მისი განკარგვა. ამის საჭიროება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა ამა თუ იმ საგნის ბრუნვაუნარიანობა დგება ეჭვქვეშ. ამრიგად, ქართულ სამართალში მოქმედებს პრინციპი – ბრუნვაუნარიანია ყველაფერი, რაც კანონით არ არის ბრუნვიდან ამოღებული. აქედან გამომდინარე, ობიექტი არის ყველაფერი, რისი ფლობაც შეუძლიათ ადამიანებს და რაც მართლწესრიგის მიერ კონკრეტულ ადამიანს შეიძლება მიეკუთვნოს.<sup>224</sup>

სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებად.

## II. მატერიალური ქონებრივი სიკეთე - ნივთები

### 1. ნივთების ნორმატიული ცნება

მე-7 მუხლზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნივთები მატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განეკუთვნება. ნივთების

<sup>223</sup> მაგალითად, ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი შეიცავს ასეთ ჩამონათვალს.

<sup>224</sup> სამართლის ობიექტის ასეთ დეფინიციას იძლევა გერმანულ სამართალში პროფესორი შაკი: Schack Haimo, BGB-Allgemeiner Teil, 12. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn. 149.

ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს.<sup>225</sup> ამის გამო უნდა მივმართოთ ნივთების იმ განსაზღვრებას, რომელიც ლიტერატურაშია მოცემული. ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია.<sup>226</sup>

ნივთებს განეკუთვნება ისეთი საგნები, რომელთა ფლობა, სარგებლობა, განკარგვა და შექმნა შესაძლებელია მართლზომიერად (კანონით არ არის აკრძალული) და ზნეობის ნორმების დარღვევის გარეშე (147-ე მუხლი).<sup>227</sup> ამდენად, სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ნივთების ნორმატიულ ცნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სხეულებრივი საგანი, თუნდაც ის გარეგნულად შეესაბამებოდეს ნივთის ცნებას, არ წარმოადგენს ნივთს, რადგანაც მართლწესრიგი მას ასეთად არ მიიჩნევს.

ნივთს არ წარმოადგენს ადამიანი ან მისი სხეული, მიუხედავად იმისა, რომ იგი გარეგნულად აკმაყოფილებს სხეულებრივი საგნის ყველა თვისებას. ადამიანი თვითონ წარმოადგენს სუბიექტს და ფლობს, სარგებლობს და განკარგავს ნივთებს.<sup>228</sup> მედიაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია ამა თუ იმ ფეხბურთელის გაყიდვის თაობაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელი, როგორც ნივთი,

<sup>225</sup> ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 90 განამტკიცებს ნივთების შემდეგ დეფინიციას: „ნივთებს ამ კანონის თანახმად წარმოადგენენ მხოლოდ სხეულებრივი საგნები“.

<sup>226</sup> *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 26-28.

<sup>227</sup> ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ შეუზღუდავი განკარგვა იმავდროულად შეუზღუდავი შექმნის შესაძლებლობასაც გულისხმობს და ამიტომ შექმნის ცალკე გამოყოფა კანონში არ არის აუცილებელი. ლოგიკური მსჯელობით ეს ასეა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი შექმნას დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტად განიხილავს, მაგალითად, საკუთრების შექმნა 165-ე, 167-ე, 183-ე, 186-ე და ა.შ. მუხლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი ნივთების ნორმატიული ცნების განსაზღვრისას მათი შექმნის შესაძლებლობას ცალკე გამოპყოს. ამასთან დაკავშირებით ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 186.

<sup>228</sup> ეს მოსაზრება ქართულ ლიტერატურაში უდავოდ არის აღიარებული: *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 26, *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 203.

იყიდება. იურიდიულად ამ შემთხვევაში ხდება ფეხბურთელის მიერ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ერთ საფეხბურთო კლუბთან, რასაც ამ კლუბის თანხმობა სჭირდება და ახალი შრომის ხელშეკრულების დადება ახალ კლუბთან. იმის გამო, რომ ამ თანხმობის მისაღებად გადაიხდება დიდი ოდენობის თანხა, ამბობენ, თითქოს იყიდება ფეხბურთელი. სამოქალაქო სამართლისთვის ასეთი რამ ნონსენსია, რადგან ადამიანი არ წარმოადგენს ნივთს და მისი ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყიდება მხოლოდ თანხმობა.<sup>229</sup>

**ადამიანის სხეულის ნაწილები**, ვიდრე ისინი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს შეადგენენ, ასევე არ წარმოადგენენ ნივთებს. ამ ორგანიზმიდან მათი მოცილებისა და მათზე გარიგების დადების მომენტიდან ისინი გარდაიქმებიან ნივთებად, *მაგალითად*, გარიგება თირკმელის გაყიდვის თაობაზე. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარი გარიგებები აკრძალულია და ადამიანის სხეულის ნაწილები არ მიიჩნევა ნივთებად.<sup>230</sup> ქართულ სამართალში ადამიანის სხეულის ნაწილების გასხვისება დაშვებულია და ამის სამართლებრივ საფუძველს ქმნის კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ.<sup>231</sup> ბოლო დროს გავრცელდა თმის გადანერგვის ოპერაციები, რის გამოც გაიზარდა მოთხოვნები ადამიანის თმაზე. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა თმის ბიზნესი აზიის ქვეყნებში.

წარმოადგენს თუ არა **ადამიანის ცხედარი (გვამი)** ნივთს ნორმატიული გაგებით, სადავოა. თუ მას ჩვენ ნივთად ჩავთვლით, მაშინ მასზე საკუთრების წარმოშობაც უნდა იყოს შესაძლებელი.<sup>232</sup>

<sup>229</sup> ეკონომიკური გაგებით ფეხბურთელი წარმოადგენს სამუშაო ძალას და ის, როგორც სამუშაო ძალა, იყიდება“ კიდევაც.

<sup>230</sup> გერმანულ სამართალთან დაკავშირებით ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 204.

<sup>231</sup> ადამიანის სხეულის ნაწილების ბრუნვაუნარიანობის შესახებ ნახეთ: *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 27, *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 203-206.

<sup>232</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალში ადამიანის ცხედარი (გვამი) ითვლება უპატრონო ნივთად, რომელიც არავის განეკუთვნება, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვიდან ის ამოღებულია და გამონაკლისს მხოლოდ ხელშეკრულებები ანატომიური გამოყე-

მაგრამ თუკი წარმოვიდგენთ, რამდენი მუმიანა გამოფენილი დასავლეთის ქვეყნების მუზეუმებში, იოლად დავრწმუნდებით იმაში, რომ ადამიანის ცხედარი (გვამი) შეიძლება იქცეს ნივთად ნორმატიული გაგებით.<sup>233</sup>

**ცხოველები** საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რეგულირების გარეშეა დარჩენილი.<sup>234</sup> მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეა საუბარი დელიქტურ სამართალში, ახსენებს სამოქალაქო კოდექსი მათ (1003-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად, ცხოველი წარმოადგენს მფლობელობის ობიექტს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ფიქციის გზით ცხოველები შეგვიძლია გავუთანაბროთ ნივთებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ნასყიდობის ან სხვაგვარი გასხვისებითი გარიგების საგანს შეადგენენ, თუმცა ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს.<sup>235</sup>

ნივთებს არ განეკუთვნება მატერიალური სამყაროს ისეთი საგნები, რომელთა ფლობა და განკარგვა შეუძლებელია, თუნდაც ისინი სხეულებრივ საგნებს წარმოადგენდნენ. ამ კატეგორიას განეკუთვნება პლანეტები, ოკეანისა და ზღვის, ასევე მდინარეების წყალი, ღრუბლები, ატმოსფერული ჰაერი და ა.შ.<sup>236</sup>

ნების მიზნით შეადგენს: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 11 III 1 Rn. 9.

<sup>233</sup> ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია პროფესორ ზოიძის მოსაზრება, რომ ადამიანის გვამი არ წარმოადგენს ნივთს, ვიდრე იგი განასახიერებს პიროვნებას. მას შემდეგ, რაც გვამი ანატომიის ინსტიტუტში მოთავსდება და მისი ანონიმიზირება მოხდება, ამით იგი კარგავს გარდაცვლილის პიროვნების სამოსელს და ნივთად იქცევა: *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 27.

<sup>234</sup> *მაგალითად*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 90ა თანახმად, ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს. მათ იცავს სპეციალური კანონები, მაგრამ ცხოველების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ნორმები ნივთების შესახებ.

<sup>235</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90ა პარაგრაფით გათვალისწინებულ დებულებას, რომ „ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს“, ქართული სამართალი არ შეიცავს. ეს ნორმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იქნა შეტანილი, როცა ცხოველთა დაცვა განსაკუთრებულ პოლიტიკურ მიზნად იქნა აღიარებული და ამ მიზნით ცალკე კანონი იქნა მიღებული.

<sup>236</sup> გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა საბჭოთა კავშირში შემაჯალმა

უძრავად და მოძრავად ნივთების დაყოფა ყველაზე მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში ნივთების მონაწილეობის თვალსაზრისით და ამ კლასიფიკაციას უკავშირდება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები. ამის გამო შეიცავს სამოქალაქო კოდექსი სპეციალურ ნორმებს უძრავი და მოძრავი ნივთების მიმართ. ნივთების დაყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად არ აიხსნება მხოლოდ მათი ფიზიკური თვისებებით. ამ დაყოფას საფუძვლად უდევს საკანონმდებლო რეგულირების მიზანწონილობა და არა მხოლოდ ის, რომ უძრავი ნივთების გადაადგილება შეუძლებელია. იურიდიული ფიქციის მეშვეობით ბევრი გადაადგილებადი ნივთი მიჩნეულია უძრავ ნივთად, მაგალითად, თვითმფრინავები, გემები, კოსმოსური ხომალდები და ა.შ.<sup>237</sup> მართალია პროფესორი **ზოიძე**, როცა აღნიშნავს, რომ იურიდიული ფიქციის წყალობით სავსებით შესაძლებელია მოძრავი ნივთის ჩათვლა უძრავ ნივთად.<sup>238</sup> ამას აკეთებს კიდევაც კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, რომელიც მექანიკურ სატრანსპორტო, საფრენ და მცურავ საშუალებებს არ მიაკუთვნებს მოძრავი ნივთების კატეგორიას (კანონის მე-2 მუხლის ბ ქვეპუნქტი).

მოძრავ და უძრავ ნივთებს შორის სამართლებრივი განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს მათზე **საკუთრების შექმნისას**. მოძრავ ნივთებზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია ნამდვილი უფლების (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების) არსებობა და ნივთის გადაცემა შემძენის მფლობელობაში (186-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნას, ეს პროცესი უფრო მეტად ფორმალისტულია: ამისთვის აუცილებელია გარიგების წერილობითი გაფორმება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლი). ეს განსხვავება არსებითია და იგი მთელს კერძო სამართალს გასდევს წითელ ზოლად.

რესპუბლიკებმა თავიანთი სუვერენიტეტის შესახებ კანონების მიღება დაიწყეს, ატმოსფერული ჰაერი სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს. ატმოსფერული ჰაერი არ წარმოადგენს ნივთს, ამიტომაც არ შეიძლება მისი აღიარება საკუთრების ობიექტად.

<sup>237</sup> მაგალითად, ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილი.

<sup>238</sup> **ზოიძე**, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 32.



განსხვავებულად წესრიგდება საკუთრების პრეზუმფციის საკითხიც. მოძრავი ნივთების შემთხვევაში საკმარისია ნივთის ფლობის ფაქტი: მოძრავი ნივთის მფლობელი ითვლება მის მესაკუთრედ (158-ე მუხლის პირველი ნაწილი), უძრავი ნივთების დროს კი ეს ვარაუდი მხოლოდ საჯარო რეესტრიდან უნდა ვლინდებოდეს.<sup>239</sup> უძრავი და მოძრავი ნივთების მიმართ დიფერენცირებულია ასევე შეძენითი ხანდაზმულობის საკითხი: მოძრავი ნივთების მიმართ საკმარისია ნივთის, როგორც საკუთარის, ხუთწლიანი კეთილსინდისიერი ფლობა (165-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო უძრავ ნივთებზე აუცილებელია რეგისტრაცია 15 წლის მანძილზე (167-ე მუხლი).<sup>240</sup>

ნივთების ეს ფუძემდებლური და უძველესი კლასიფიკაცია განმტკიცებულია 148-ე მუხლში, რომლის თანახმად ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი.

## 2. უძრავი ნივთები

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე (149-ე მუხლი).

ბუნებრივია, რომ ყველა მიწის ნაკვეთზე არ არის აღმართული შენობა-ნაგებობა. ამიტომ მიწის ნაკვეთის ცნება გაუშენებელ ტერიტორიასაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია საჯარო რეესტრის შესახებ კანონისეული დეფინიცია მიწის ნაკვეთისა: უძრავი ნივთი – ეს არის მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე (საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის ა ქვეპუნქტი).

მართალია, ცხოვრებაში გამოიყენება გამოთქმები „ყვიდი სახლს“, „ყვიდი აგარაკს“, სამართლებრივად ხდება მიწის ნაკვეთის

<sup>239</sup> ნახეთ: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 149, გვ. 22.

<sup>240</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 149, გვ. 22-23.

გაყიდვა, რომელზეც აღმართულია სახლი ან აგარაკი. დაუშვებელია სახლის გაყიდვა იმ მიწის ნაკვეთის გარეშე, რომელზეც ეს სახლი დგას ან პირიქით, მიწის ნაკვეთის გაყიდვა მასზე აღმართული კაპიტალური ნაგებობის გარეშე.<sup>241</sup>

### 3. მოძრავი ნივთები

„ნივთები, რომლებიც არ განეკუთვნება უძრავ ნივთებს, მიიჩნევა მოძრავ ნივთებად“ – სამოქალაქო კოდექსის პროექტის ეს ფორმულირება საპარლამენტო განხილვების შედეგად უარყოფილ იქნა. მიუხედავად ამისა, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში, ივარაუდება, რომ ის, რაც არაა უძრავი, წარმოადგენს მოძრავ ნივთს.<sup>242</sup> ეს მოსაზრება განმტკიცებულია ასევე კანონში საჯარო რეესტრის შესახებ, რომლის მე-2 მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად, მოძრავია ნებისმიერი ნივთი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის უძრავი. ამდენად, ლიტერატურაში აღიარებული განსაზღვრება საკანონმდებლო დეფინიციად ჩამოყალიბდა.

განსხვავებით უძრავი ნივთებისაგან, მოძრავი ნივთების შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ამიტომ მათი ჩამოთვლა ცალ-ცალკე არც მიზანშეწონილია და არც შესაძლებელი. ზოგი თავისებურების გამოყოფა მაინც სასურველია.

მოძრავი ნივთები შეიძლება იყვნენ როგორც მკვრივი, ისე თხევადი ან აეროვანი საგნები, თუკი ისინი სამოქალაქო ბრუნვისთვის გამოსადეგ საცავში არიან მოთავსებული, მაგალითად, წყალი ბოთლებში, ბენზინი ავზში ან გაზი ბალონებში.

საინტერესოა ინტელექტუალური შემოქმედების ობიექტების კვალიფიკაცია მოძრავ ნივთებად. ნივთებად მიიჩნევა ის მატარებლები, რომლებზეც ეს ნაწარმოებებია განთავსებული, მაგალითად, წიგნი,

<sup>241</sup> დაწვრილებით უძრავი ქონებაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ნახეთ: ჩიტოშვილი თამარ, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, „მერიდიანი“, თბილისი, 2006 წ.

<sup>242</sup> ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 245.

მაგნიტოფირი, დისკეტა, კომპაქტდისკი (CD) ან ციფრული ვიდეო (DVD) და ა.შ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ნივთებზე საკუთრების შექმნით შექმნი არ ხდება ინტელექტუალური შემოქმედების ობიექტის მესაკუთრე, ის არ შეიძენს საავტორო უფლებას მასზე. მაგალითად, მაღაზიაში წიგნის ყიდვა არ აძლევს მის შემძენს უფლებას გამოსცეს ეს წიგნი ხელმოწერად. ამ შემთხვევაში ნივთზე საკუთრება და ამ ნივთში გამოხატულ ობიექტზე საკუთრება სხვადასხვა სუბიექტებს ეკუთვნით. თვით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები კი განეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს.

ანალოგიური კვალიფიკაცია უნდა მიეცეთ **კომპიუტერულ პროგრამებს**. ის საგნები, რომლებზეც კომპიუტერული პროგრამებია ჩაწერილი (დისკეტები, კომპაქტდისკები), მიიჩნევა ნივთებად, მაგრამ არა თვითონ პროგრამები, რადგან მათ სწორედ სხეულებრიობა აკლიათ.<sup>243</sup>

საზოგადოდ ნივთებად და კერძოდ, კი მოძრავ ნივთებად არ მიიჩნევა ელექტროდენი, ელექტრომაგნიტური ტალღები, გამოსხივება და ა.შ. მართალია, ისინი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ, მაგრამ ნივთად კვალიფიკაციისთვის მათ სწორედ სხეულებრიობა აკლიათ. ამიტომ მათ **არასხეულებრივ საგნებს** უწოდებენ.<sup>244</sup>

#### 4. ნივთების სხვაგვარი კლასიფიკაცია

ნივთების დაყოფა მოძრავად და უძრავად არ არის ნივთების ერთადერთი კლასიფიკაცია, რომელსაც კონკრეტული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ეს კლასიფიკაცია პირველ რიგში ეხება მოძრავ ნივთებს. აღიარებული შეხედულების თანახმად

<sup>243</sup> მაგალითად, ეს შეხედულებაა გაბატონებული გერმანიის სამოსამართლო სამართალსა და ლიტერატურაში: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., § 11 III 1 Rn. 7.

<sup>244</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 20 II 1, Rn. 15.

მოდრავი ნივთები იყოფა **შეცვლად და შეუცვლად**,<sup>245</sup> გვაროვნულ და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, მოხმარებად და მოუხმარებად ნივთებად.<sup>246</sup> სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით (*მაგალითად*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) ქართული სამოქალაქო კოდექსი ამგვარ კლასიფიკაციას ლეგალური დეფინიციების დონეზე არ იცნობს. ამიტომ არსებითად საუბარია მოძრავი ნივთების დოგმატურ, მეცნიერულ კლასიფიკაციაზე, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტებიდან გამომდინარეობს.

*მაგალითად*, ვალდებულებით სამართალში, სადაც საუბარია ვალდებულების შესრულებაზე, სამოქალაქო კოდექსი ახსენებს ინდივიდუალურად განსაზღვრულ საგნებსა (381-ე მუხლი) და გვაროვნულად განსაზღვრულ ნივთებს (382-ე მუხლი). ამ კლასიფიკაციას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება: პირველი, თუკი შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი (*მაგალითად*, მისაწოდებელია ცემენტი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს; მეორე, თუკი შესრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც ეს ნივთი უფრო მაღალი ღირებულების იყოს. *მაგალითად*, თუკი გამყიდველს უნდა მიეყიდა მყიდველისთვის ლაღო გუდაიშვილის ნახატი, მყიდველი არ არის ვალდებული სანაცვლოდ მიიღოს ელენე ახვლედიანის ნახატი.

გარდა ამისა, გვაროვნულ ნივთებზე საუბარია **ნასყიდობის სამართალშიც**. კერძოდ, 490-ე მუხლის პირველი ნაწილი გაყიდული ნივთის ნაკლის შემთხვევაში გამყიდველს აკისრებს ნივთის შეცვლის ვალდებულებას, თუკი საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს.

**ზოგიერთი ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები**, *მაგალითად*, ქირავნობა (531-ე

<sup>245</sup> ქართულ ლიტერატურაში ასევე იყენებენ გამოთქმას „ჩანაცვლებადი და არაჩანაცვლებადი ნივთები“: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 196.

<sup>246</sup> დაწვრილებით მათი დახასიათება ნახეთ: *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 35-37.

მუხლი), ლიზინგი (576-ე მუხლი), იჯარა (581-ე მუხლი), თხოვება (615-ე მუხლი). ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის განადგურების შემთხვევაში მოვალეს ფულადი ანაზღაურება ეკისრება. **ზოგი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხოლოდ გვაროვნულად განსაზღვრული საგნები, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების დროს ფული ან ფქვილი (გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს – 623-ე მუხლი) და ა.შ. განსხვავება გვაროვნულ ნივთებსა და ინდივიდუალურად განსაზღვრულ საგნებს შორის მეტყველებაშიც აისახება: „მათხოვე წიგნი“ და არა „მასესხე წიგნი“ ანდა „მასესხე ფული“ და არა „მათხოვე ფული“.**

ამგვარად, სამოქალაქო კოდექსი ნივთების დაყოფას გვაროვნულ და ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთებად კონკრეტულ სამართლებრივ ინსტიტუტებსა და შედეგებს უკავშირებს.

## 5. ნივთების ურთიერთკავშირი -- შემადგენელი ნაწილები და საკუთვნებელი

სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთმანეთთან დაკავშირებული ნივთების სამართლებრივი ბუნება. ჩვეულებრივ სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტს კონკრეტული ნივთი წარმოადგენს. მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ნივთთა ერთობლიობასთან გვაქვს შეხება. ეკონომიკურ ცხოვრებაშიც ნივთთა ერთობლიობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთეული ნივთები ცალკე აღებული. ამ რეალობას სამოქალაქო კოდექსმაც უნდა გაუწიოს ანგარიში და განსაზღვროს ურთიერთდაკავშირებული ნივთების ბრუნვაუნარიანობა და ურთიერთობებში მათი მონაწილეობის წინაპირობები. ამიტომაც იყენებს სამოქალაქო კოდექსი ისეთ ცნებებს, როგორიცაა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი (150-ე მუხლი) და საკუთვნებელი (151-ე მუხლი).

ჩვეულებრივი ამბავია, რომ ნივთები სხვადასხვა ნაწილები-საგან შედგება. მაგალითად, კომპიუტერი შედგება პროცესორის,

მონიტორის, კლავიატურისა და „მაუსისგან“ და ა.შ. იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ნაწილების ურთიერთკავშირი, სამოქალაქო სამართალი ბრუნვაში მათი მონაწილეობის სხვადასხვა წინაპირობებს განსაზღვრავს. სამოქალაქო ბრუნვისთვის საყურადღებოა ნივთების **შემადგენელი და არსებითი შემადგენელი ნაწილები.**

#### ა. ნივთის შემადგენელი ნაწილი

ნივთის შემადგენელი ნაწილის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას სამოქალაქო ბრუნვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს: ის შეიძლება გასხვისებულ იქნას როგორც ცალკე, ისე სხვა ნივთის შემადგენელ ნაწილად. მაგალითად, ავტომანქანის ნაწილებია მისი საბურავები, საჭე, ფარები და ა.შ. მაგრამ საბურავებიც, საჭეც და ფარებიც შეიძლება ცალკეც გაიყიდოს, მანქანისაგან დამოუკიდებლად. იმისთვის, რომ ნივთები მივიჩნიოთ სხვა ნივთების შემადგენელ ნაწილებად, გადამწყვეტია ეკონომიკური მიზანშეწონილობა და არა ნორმატიული ფიქსაცია. ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები.<sup>247</sup> ნივთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს ის, რაც მიზნობრივადაა დაკავშირებული მასთან.<sup>248</sup> ნივთის შემადგენელი ნაწილები, როგორც წესი, იზიარებენ ამ ნივთის სამართლებრივ ბედს, მაგრამ მათ ასევე აქვთ უნარი, იყვნენ ცალკე უფლების ობიექტი და არ გაიზიარონ ნივთის სამართლებრივი ბედი. იმავედროულად გადამწყვეტია, რომ ამ ნაწილების კავშირით იქმნებოდეს ერთიანი ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება საკუთვნებელთან და არა ნივთის შემადგენელ ნაწილებთან.<sup>249</sup> მაგალითად, ავტომანქანის სათადარიგო საბურავი

<sup>247</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 150, გვ. 24.

<sup>248</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 150, გვ. 24.

<sup>249</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 150, გვ. 24.

იქნება საკუთვნებელი, მაშინ როცა მანქანაზე დაყენებული საბურავები ამ ავტომანქანის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

### ბ. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი

ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილია ნივთის ისეთი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (150-ე მუხლის პირველი ნაწილი). არსებითი შემადგენელი ნაწილის თავისებურება ისაა, რომ ის ყოველთვის იზიარებს იმ ნივთის სამართლებრივ ბედს, რომლის ნაწილიც თვითონ არის, და ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს, როცა ეს კანონით არის გათვალისწინებული. ამდენად, თუ ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიზანშეწონილობა, არსებითი შემადგენელი ნაწილის სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც წესი, ნორმატიულად განისაზღვრება.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მიწის ნაკვეთისა და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობების ერთ სამართლებრივ მთლიანობად განხილვა. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა საუბარია მიწის ნაკვეთზე, იგულისხმება მასზე მყოფი კაპიტალური შენობა-ნაგებობებიც. ეს შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილია და მათი გასხვისება ამ ნაკვეთისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია (150-ე მუხლის მეორე ნაწილი). როგორც უკვე აღინიშნა, დაუშვებელია სახლის გაყიდვა მიწის ნაკვეთის გარეშე და პირიქით — მიწის ნაკვეთის გაყიდვა სახლის გარეშე.

ქართული სასამართლო პრაქტიკაც იცნობს მიწის არსებით შემადგენელ ნაწილად მასზე აღმართული ნაგებობების აღიარებას. ქალაქ თბილისის მერიის მიერ იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთებზე მოიჯარებმა ბენზინგასამართი სადგურები ააშენეს. როცა იჯარის ხელშეკრულების ვადა გავიდა, დადგა ამ ნაგებობების სამართლებრივი ბედის საკითხი. სასამართლოებმა ისინი სამართ-

ლიანად აღიარეს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებად.

თუკი უძრავი ნივთების არსებითი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრა შედარებით იოლია, რადგან სამოქალაქო კოდექსი ნორმატიულად ადგენს, თუ რა განეკუთვნება მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს (150-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მოძრავ ნივთებთან მიმართებაში ამის გაკეთება არ არის იოლი საქმე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, თუ რა უნდა ჩაითვალოს არსებით შემადგენელ ნაწილად, ნაწილის გამოყოფით ნადგურდება ნივთი თუ არა. ამ კითხვაზე პასუხს სასამართლო პრაქტიკა იძლევა. **მაგალითები:** სერიულად გამოშვებული ავტომანქანის ძრავი არ ითვლება მის არსებით შემადგენელ ნაწილად, თუმცა ძრავის გარეშე ავტომანქანა არ არსებობს, მაგრამ სერიულად დამზადებული გემის ძრავი მიიჩნევა არსებით შემადგენელ ნაწილად; აშენებული სახლის სამშენებლო ქვები, წიგნის ყდა ითვლება არსებით შემადგენელ ნაწილად.<sup>250</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ განამტკიცებს არსებით შემადგენელ ნაწილებად ნივთების გარდაქმნის სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, 194-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მოძრავი ნივთები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ახალი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, მაშინ ადრინდელი მესაკუთრეები ხდებიან ამ ახალი ნივთის თანამესაკუთრეები. **მაგალითად,** ცემენტისა და სამშენებლო სილის შერწყმის შედეგად მზადდება სამშენებლო ბლოკი.

## გ. საკუთვნებელი

**საკუთვნებელი მთავარ ნივთთან დაკავშირებული მოძრავი ნივთია** (151-ე მუხლის პირველი ნაწილი). მისი ძირითადი ფუნქცია მთავარ-

<sup>250</sup> ეს მაგალითები აღებულია გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან, რადგან ქართულ სამართალში ანალოგიური შემთხვევები ვერ აღმოვაჩინე: *Schack, BGB-Allgemeiner Teil, 12. Aufl., Rn. 160.*



რი ნივთის მომსახურებაა და ამიტომაც არის იგი დაკავშირებული მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით და დამკვიდრებული შეხედულების თანახმად ითვლება საკუთვნებლად (151-ე მუხლის პირველი ნაწილი). განსხვავებით ნივთის შემადგენელი ნაწილისაგან, საკუთვნებელი დამოუკიდებელი ნივთია და მთავარ ნივთთან ერთად არ ქმნის რაიმე ნივთობრივ ერთობას.<sup>251</sup> საკუთვნებლის მაგალითებია ავტომანქანის სათადარიგო საბურავი, ჭადის ნათურები, მუსიკალური ცენტრისთვის ელემენტები და ა.შ.

საკუთვნებლის დახასიათებისას საყურადღებოა მისი **ორგვარი სამართლებრივი ბუნება**, როგორც დამოუკიდებელი ნივთის და როგორც მთავარ ნივთთან დაკავშირებული ნივთის. საკუთვნებელი, როგორც დამოუკიდებელი ნივთი, არსებითი შემადგენელი ნაწილისაგან განსხვავებით, ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს. მაგალითად, ავტომანქანის საბურავი ან ჭადის ნათურები შეიძლება გაიყიდოს ცალკე. განსხვავება ნივთის შემადგენელ ნაწილთან კი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთვნებლის გარეშე ნივთის ფუნქციური დანიშნულება არ დგება ეჭვქვეშ, ხოლო შემადგენელი ნაწილის გარეშე ნივთის გამოყენება დანიშნულებით შეუძლებელია. მაგალითად, ავტომანქანა საბურავების გარეშე ვერ იმოძრაავებს, მაშინ როცა სათადარიგო საბურავის გარეშე მას მოძრაობის პრობლემა არა აქვს.

სამოქალაქო ბრუნვისთვის უფრო საყურადღებოა საკუთვნებლის ბედი მთავარი ნივთის გასხვისებისას. თუ ურთიერთობის მონაწილეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მაშინ საკუთვნებელი იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს და მასთან ერთად გადადის შემძენზე. მაგალითად, ავტომანქანის ნასყიდობის დროს მხარეები, როგორც წესი, ცალკე არ თანხმდებიან იმაზე, სათადარიგო საბურავი მიჰყვება ავტომანქანას თუ არა და ივარაუდება, რომ შემძენი იძენს საბურავსაც. ახალი ავტომანქანის შეკვეთის დროს შემძენის სურვილზეა დამოკიდებული, ექნება ავტომანქანას

<sup>251</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, მუხლი 151, გვ. 30.

სათადარიგო საბურავი თუ არა. აუქციონზე მთავარი ნივთის გაყიდვის შემთხვევაში საკუთვნივნილიც მას მიჰყვება, თუკი სხვაგვარი შეთანხმება არ არის მესაკუთრესა და აუქციონის მომწყობ პირს შორის.

### III. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – უფლებები და მოთხოვნები

ნივთებთან ერთად სამოქალაქო უფლებათა ობიექტები შეიძლება იყვნენ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, რომელთაგან სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნებსა და უფლებებს ასახელებს (152-ე მუხლი). არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს ტრადიციულად „უსხეულო ნივთებს“ უწოდებენ.<sup>252</sup> იმისთვის, რომ მოთხოვნები და უფლებები არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ შეიძლებოდეს მათი გადაცემა სხვა პირებისთვის (ბრუნვაუნარიანობა) ან იძლეოდეს მატერიალურ სარგებელს ანდა ანიჭებდეს პირს სხვა პირისაგან რაიმეს მოთხოვნის უფლებას. მაგალითად, სახელის უფლება, მართალია, სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული უფლებაა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი გადაცემა სხვა პირისთვის დაუშვებელია, ის არ წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში, მატერიალური ქონებრივი ობიექტების ფლობა და დაცვა სხვათა ხელყოფისაგან, სამოქალაქო ბრუნვაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების, რომელთა უსასრულო რეპროდუცირების და, აქედან გამომდინარე, ანონიმურად და არამართლზომიერად მათი სარგებლობის შესაძლებლობა ძალიან დიდია.<sup>253</sup> ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებები და მათი დაცვა ცალკე კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

<sup>252</sup> ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 46.

<sup>253</sup> ნახეთ ამის თაობაზე: ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 47-48.

## 1. უფლებები

უფლებებს, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, განეკუთვნება **საავტორო და მომიჯნავე უფლებები**. საავტორო უფლებათა ობიექტებს წარმოადგენს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები. მათი აღიარების, დაცვისა და გამოყენების წესი განმტკიცებულია კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

საავტორო უფლება, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები (საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). მაგალითად, ვიდეოკასეტის ქონა საკუთრებაში, რომელზეც ჩაწერილია ფილმი, სულაც არ ნიშნავს კასეტის მესაკუთრის საავტორო უფლებას ამ ფილმზე.<sup>254</sup>

საავტორო უფლების, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, შინაარსის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ნაწარმოებით სარგებლობისა და მისი განკარგვის (რეალიზაციის) უფლებამოსილება, საიდანაც წარმოიშობა ავტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის ქონებრივი უპირატესობანი. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად, ავტორობის უფლება ან ფსევდონიმის გამოყენების უფლება, მართალია, ავტორის უმნიშვნელოვანესი უფლებაა, მაგრამ არ განეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა კატეგორიას.

**უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე (პატენტი)**, როგორიცაა, მაგალითად, გამოგონებები, სასარგებლო მოდელები ან სამრეწველო ნიმუშები, ასევე განეკუთვნება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების კატეგორიას. პატენტის მიღებისა და მისი დაცვის საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს საპატენტო კანონში.

<sup>254</sup> ნახეთ § 12 II 3.

სასელექციო უფლებები (1101-ე მუხლი), სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებები (1102-ე მუხლი) ასევე განეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს და წარმოადგენენ სამოქალაქო უფლებათა ობიექტებს.

სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლებაც შეიძლება განეკუთვნოს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს, მაგალითად, უზუფრუქტი, გირავნობის უფლება და ა.შ. გადამწვეტი ამ შემთხვევაში ისაა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ უფლებების გადაცემა მესამე პირებისთვის.

## 2. მოთხოვნები

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს განეკუთვნება ასევე მოთხოვნები, რომელთა გადაცემა და დაგირავება შესაძლებელია. ეს მოთხოვნები შეიძლება გამომდინარეობდნენ როგორც ხელშეკრულებიდან, ისე კანონიდან. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო-სამართლებრივი, ისე დელიქტურიც.

ყველა მოთხოვნა, რომელთა დათმობაც სამოქალაქო კოდექსის 198-202-ე მუხლებით არის გათვალისწინებული, შეიძლება განხილულ იქნას არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ და, შესაბამისად ამისა, სამოქალაქო სამართლის ობიექტად.<sup>255</sup>

## IV. ნაყოფი, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტი

სამოქალაქო კოდექსი ნივთისა და უფლების ნაყოფს ცალკე გამოჰყოფს და მათ სამოქალაქო ურთიერთობათა ობიექტად განიხილავს (154-ე მუხლი). ეს არ არის შემთხვევითი, ნივთებითა და უფლებებით სარგებლობა ყოველთვის არის დაკავშირებული განსაზღვრული შემოსავლის, ნამატის ან/და უპირატესობის მიღებასთან.

<sup>255</sup> დაწვრილებით ნახეთ: ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 188-199.

ნაყოფის, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტის, დახასიათებისას მნიშვნელოვანია ორ კითხვაზე პასუხის გაცემა: პირველი, რა უნდა ჩაითვალოს ნაყოფად, და, მეორე, ვის ეკუთვნის უფლება ამ ნაყოფზე?

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ნივთისა და უფლების ნაყოფს. პირველს განეკუთვნება ის შემოსავალი, ნამატი და უპირატესობა, რასაც ეს ნივთი იძლევა, მაგალითად, ხილის მოსავალი. ასეთ შემოსავალს ორგანული ნაყოფი და სამეურნეო შემოსავალი ეწოდება და ისე უნდა იყოს მიღებული, რომ არ მოისპოს ნივთის სუბსტანცია. ამიტომაც არ ითვლება დაკლული ცხოველის ხორცი ნივთის ნაყოფად.<sup>256</sup> უფლების ნაყოფია ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად, მაგალითად, სააქციო საზოგადოების დივიდენდი იქნება აქციის ნაყოფი.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია, თუ ვის ეკუთვნის ნივთის ან უფლების ნაყოფი. ნაყოფზე უფლება ეკუთვნის იმ პირს, ვისაც ნივთის ან უფლების მიმართ გააჩნია სანივთო ან ვალდებულებითი უფლებამოსილება,<sup>257</sup> მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მოიჯარეს ეკუთვნის მიწის დამუშავებით მიღებული მოსავალი. კანონის ეს დისპოზიციური ნორმა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს და მათ ნაყოფზე უფლება განსხვავებულად მოაწესრიგონ.<sup>258</sup>

<sup>256</sup> ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 50.

<sup>257</sup> ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 51.

<sup>258</sup> ნაყოფთან და სარგებელთან დაკავშირებული საკითხები დაწვრილებით იქნება განხილული სანივთო სამართალში.

12. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

### § 13. ქონება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში

147-ე მუხლი, როგორც უკვე აღინიშნა, ქონებას სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტის სინონიმად იყენებს და გულისხმობს ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს. მაგრამ თვითონ ქონება სხვა გაგებითაც გამოიყენება. ის არ არის ერთი კონკრეტული ობიექტი, ერთი კონკრეტული საგანი. ამიტომ, როცა სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა ადგილას უთითებს „ქონებაზე“, მაგალითად, 320-ე და 321-ე მუხლები, ის არ მოიაზრებს მას ერთ კონკრეტულ ობიექტად. პირიქით, ამ ნორმებში ქონებისაგან გამიჯნულია ცალკეული ობიექტები და საგნები.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი ქონებას რამდენიმე გაგებით იყენებს. ერთ შემთხვევაში ის გულისხმობს კონკრეტულ ქონებრივ ობიექტებს, რომლებიც ინდივიდუალიზების გზით სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ (147-ე მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში მასში მოიაზრება ქონებრივ სიკეთეთა ერთობლიობა, რომელიც დაზუსტებასა და დაკონკრეტებას მოითხოვს (მაგალითად, 320-ე მუხლი).

ჩვეულებრივ ქონებად მიიჩნევენ ქონებრივი უფლებების ერთობლიობას, რომელიც კონკრეტულ პირს ეკუთვნის.<sup>259</sup> ამ გაგებით ქონებად მხოლოდ აქტივები (ე.ი. უფლებები) ითვლება და არა პასივები (ე.ი. ვალდებულებები).<sup>260</sup> ამ თვალსაზრისით ქონება მნიშვნელოვან როლს თამაშობს პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას, მაგალითად, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იურიდიულ პირს აქვს „საკუთარი ქონება“ და „თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს“. ცხადია, რომ აქ ქონება არ გულისხმობს კონკრეტულ საგნებს, არამედ ქონებრივ სიკეთე-

<sup>259</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალში ასეთად მიიჩნევა უფლებები, რომელთა ღირებულების ფულადი გამოხატვა შესაძლებელია და რომელთაც ბაზარზე გარკვეული ფასი აქვთ: *Riithers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., § 12, Rn. 1; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 21 I 1 Rn. 8.

<sup>260</sup> მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 21 I 1 Rn. 3 ff.

თა ერთობლიობას, რომლითაც შესაძლებელია კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაშიც, როცა პირის ქონება ცალკეული ნივთებისაგან შედგება, ქონების ცნებაში ივარაუდება უფლებები ამ ნივთებზე და არა თვითონ ნივთები.<sup>261</sup>

ქონების დახასიათებისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ის არ წარმოადგენს ერთიან ობიექტს და მასზე უფლების დაფიქსირება, როგორც ეს ცალკეული ნივთების დროს ხდება, შეუძლებელია. მაგალითად, არ შეიძლება ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, განსხვავებით უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციისაგან. პირის ქონება შეიძლება ისეთი ქონებრივი ობიექტებისგანაც შედგებოდეს, რომელთაც არ სჭირდებათ რეგისტრაცია.

ის ფაქტი, რომ ქონება არ წარმოადგენს ერთიან ობიექტს, დასტურდება სანივთო სამართალშიც: სანივთო სამართალი არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც ქონებაზე უფლებათა წარმოშობას აწესრიგებენ, როგორც ეს, მაგალითად, ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებათა წარმოშობისთვის არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, ქონება არ არის სანივთო სამართლის ერთი ობიექტი. არ შეიძლება ქონების დაგირავება ან იპოთეკით დატვირთვა ისე, როგორც ეს ხდება ცალკეული მოძრავი ან უძრავი ნივთის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ 254-ე მუხლში „ქონების დაგირავებას“ იყენებს.<sup>262</sup> შინაარსობრივად ამ გამოთქმაში ცალკეული ობიექტების დაგირავება იგულისხმება.

მართალია, ქონება არ არის სანივთო სამართლის ობიექტი და მასზე უფლებები არ გადადის ნივთებზე უფლებების გადაცემის მსგავსად, მაგრამ ის შეიძლება იყოს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების საგანი. თუმცა ამით ქონება სამართლის ობიექტად არ გადაიქცევა. მაგალითად, 321-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას,

<sup>261</sup> მაგალითად, *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 21 I 1 Rn. 6 ff.

<sup>262</sup> ეს გამოთქმა სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის ცვლილებების შემდეგ შევიდა. ნახეთ: § 2 IV 2.

მოითხოვს წერილობით ფორმას. მიუხედავად ამისა, საკუთრების გადაცემა შემძენზე ხდება ქონებაში შემავალი ცალკეული ქონებრივი ობიექტების მიხედვით და არა მთლიანად ქონებაზე. სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაშიც ფრთხილია და ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების საგნად მხოლოდ ამჟამინდელ ქონებას აღიარებს. რაც შეეხება მომავალ ქონებას, რომელიც შეიძლება პირმა მიიღოს, მისი გასხვისების ვალდებულება იმთავითვე ბათილია (320-ე მუხლი). აქაც სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებას და ამ ქონების „ცალკეულ ნივთებს“, რომლებზეც გასხვისების შეზღუდვა არ ვრცელდება.

**ქონება არც სამართლებრივი დაცვის ერთიან ობიექტს წარმოადგენს.** მის მიმართ არ გამოიყენება ვინდიკაცია ან ნეგატორული სარჩელი, როგორც ეს ცალკეული ნივთებთან დაკავშირებით ხდება.

სამოქალაქო კოდექსი მრავალ ადგილას იყენებს ქონების ცნებას, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ მხოლოდ ცალკეული ობიექტები. მაგალითად, 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას. ქონების ეს აბსტრაქტული ცნება თავის კონკრეტულ, სამოქალაქო სამართლისთვის მნიშვნელოვან, გამოხატულებას პოულობს ქონებაში შემავალ კონკრეტულ ობიექტებზე უფლებების გაფორმების სახით.



## § 14. საწარმოს ცნება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში

საწარმოს ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ განამტკიცებს და ტერმინ „საწარმოს“ მხოლოდ არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან დაკავშირებით იყენებს. კერძოდ, თუკი კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება (65-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

არც კანონი მეწარმეთა შესახებ იძლევა საწარმოს ლეგალურ დეფინიციას. უფრო მეტიც, მასში შეტანილი ცვლილებების შედეგად „საწარმოს“ ადგილი „მეწარმე სუბიექტმა“ დაიკავა, რაც არ არის შემთხვევითი: საწარმო მეწარმე სუბიექტის საკუთრებაში ან მფლობელობაში მყოფი ნივთებისა და უფლებების ერთობლიობაა, რომელსაც სამეწარმეო მიზნებისთვის იყენებენ.<sup>263</sup>

ეკონომიკურ ურთიერთობებში საწარმოს მნიშვნელობა და როლი აბსოლუტურად ნათელი და უდავოა. დასაზუსტებელია მხოლოდ, თუ როგორ მონაწილეობს იგი სამოქალაქო ბრუნვაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოს ცნებასთან დაკავშირებული პრობლემათიკა არ არის წმინდა ქართული. მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაშიც იწვევს მისი სამართლებრივი ბუნება დისკუსიებს.<sup>264</sup>

მეტნაკლებად აღიარებული შეხედულების თანახმად, საწარმო წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს და იგი შედგება როგორც მატერიალური ქონებრივი სიკეთებისაგან (მიწის ნაკვეთები, ქარხნები, მანქანა-მოწყობილობები და ა.შ.), ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთებისაგან (პატენტები, მოთხოვნები, სხვადასხვა უფლებები

<sup>263</sup> ქართულ სამართალში საწარმოს ცნებასთან დაკავშირებით ნახეთ: *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გვ. 12-13.

<sup>264</sup> მაგალითისთვის: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 13, Rn. 1 ff.; *Schmidt Karsten*, Handelsrecht, 5. Aufl. 1999, S. 88 ff.

და ა.შ.). ამ თვალსაზრისით საწარმო მიიჩნევა ნივთებისა და ქონებრივი უფლებების ერთობლიობად.<sup>265</sup> თითოეული ეს სიკეთე თავისთავად წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს. გარდა ამისა, საწარმოს განეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც.<sup>266</sup> აქედან გამომდინარე, საწარმოს აღიარება სამოქალაქო სამართლის ერთ ობიექტად არ არის მიზანშეწონილი. თუკი ეს ასეა, მაშინ გასარკვევია, როგორ შეიძლება საწარმო სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად მივიჩნიოთ.

## I. საწარმო როგორც ნასყიდობის ობიექტი

ხშირად საწარმო სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს როგორც ნასყიდობის საგანი. თანამედროვე ეკონომიკაში საწარმოს შექმნა და გასხვისება ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს.<sup>267</sup> მაგრამ რა არის ამ შემთხვევაში ნასყიდობის საგანი? საწარმო როგორც ერთი ობიექტი თუ როგორც სიკეთეთა ერთობლიობა?

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საწარმოთა შექმნის ან გასხვისების ორ შესაძლებლობას: პირველი, საწარმოს, როგორც ქონების, ყიდვა (Asset Deal), და მეორე, საწარმოს წილების, აქციების ყიდვა (Share Deal).<sup>268</sup>

<sup>265</sup> მაგალითად ქართულ სამართალში: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 208.

<sup>266</sup> *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 12.

<sup>267</sup> მაგალითად, საწარმოთა შექმნას ევროპის კავშირში ცალკე დირექტივაც კი არეგულირებს, კერძოდ, 2004 წლის 21 აპრილს მიღებული ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა საწარმოთა შექმნის თაობაზე სავალდებულო შეთავაზების შესახებ: Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142, 30/04/2004 P. 0012 – 0023; Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlaments und des rates vom 21. april 2004 betreffend Übernahmeangebote, Amtsblatt Nr. L 142 vom 30/04/2004 S. 0012 – 0023.

<sup>268</sup> ეს ცნებები გავრცელებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალში, განსაკუთრებით კი ევროპულ დირექტივებში, მაგალითად, Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142, 30/04/2004 P. 0012 – 0023; Ek Ralf, Hoyenberg Philipp von, Un-

პირველ შემთხვევაში საწარმოს გაყიდვა ხდება შემძენზე საწარმოში შემავალი ყველა ქონებრივი ობიექტის ცალ-ცალკე გადაცემით. აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საწარმოს გაყიდვის შესახებ ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმება და საკუთრების გადაცემის შესახებ სანიეთო-სამართლებრივი გარიგება. ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით – ნასყიდობის ხელშეკრულებით – გამყიდველს შეუძლია იკისროს ვალდებულება საწარმოს გაყიდვის თაობაზე, მაგრამ საკუთრების გადაცემა შემძენზე სანიეთო-სამართლებრივად მოხდება თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე საკუთრების გადაცემით და ამისთვის დადგენილი ფორმის დაცვით. მაგალითად, თუკი საწარმოს შემადგენლობაში შედის მიწის ნაკვეთები, მაშინ მათზე საკუთრების გადაცემა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, სადაც ეს ნაკვეთი დაფიქსირდება არა როგორც საწარმოს ქონების ნაწილი, არამედ როგორც შემძენის საკუთრება.

მეორე შემთხვევაში იყიდება მეწარმე სუბიექტის – შპს-ის ან სააქციო საზოგადოების - წილები ან აქციები და ამგვარად მოიპოვებს შემძენი კონტროლს საწარმოში შემავალ ქონებრივ ობიექტებზე. ამ დროს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არა საწარმოს ქონების ცალკეული ობიექტები, არამედ შპს-ის პარტნიორის ან სს-ის აქციონერის წილი ან აქცია, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

როგორც ჩანს, ნასყიდობის დროს საწარმო ნასყიდობის ცალკე საგანს არ წარმოადგენს და იგი მხოლოდ ნივთებისა თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების მიზნობრივი სამეურნეო ერთიანობის<sup>269</sup> აღსანიშნავად გამოიყენება. ამ გაგებით საწარმო არ ჩაითვლება სამოქალაქო სამართლის ცალკე ობიექტად.

საწარმოთა გაყიდვის ზემოთ აღნიშნული ფორმების ცალკე გამოყოფის საფუძველს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი იძლევა.

ternchmenskauf und -verkauf, Verlag C.H. Beck, 1. Aufl. 2007.

<sup>269</sup> ასე განმარტავენ საწარმოს გერმანულ სამოქალაქო სამართალში, მაგალითად, Rütters/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 13, Rn. 1.

საწარმოს, როგორც ერთი ობიექტის, გაყიდვას ქართული სამართალი ცალკე არ გამოყოფს. ამის შესაძლებლობა სახელშეკრულებო ავტონომიის ფარგლებშია შესაძლებელი, მაგრამ საკუთრება შემძენზე გადადის თითოეულ ქონებრივ ობიექტზე საკუთრების უფლების გადაცემით.

## II. საწარმო როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საგანი

ბანკში აღებული კრედიტების უზრუნველსაყოფად ხშირად საუბრობენ საწარმოზე, როგორც უზრუნველყოფის ობიექტზე. შესაბამისად საუბარია სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების – გირავნობის ან იპოთეკის – გამოყენებაზე.

მართალია, ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა<sup>270</sup> საწარმოს უძრავ ქონებად მიიჩნევს, მაგრამ ბანკები კრედიტის გაფორმებისას უზრუნველყოფად იყენებენ არა საწარმოს, არამედ მის ცალკეულ ქონებრივ ობიექტებს: მიწის ნაკვეთებს, წარმოებულ პროდუქციას, პატენტებს და ა.შ. მიზეზი მარტივია: საწარმოს აკლია ის კონკრეტულობა, რაც აუცილებელია ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამიტომ კანონის ნორმა, რომ საწარმო უძრავი ქონებაა და მისი დატვირთვა იპოთეკით შესაძლებელია, კრედიტორს (ბანკს) ბევრს არაფერს აძლევს. ბანკი ცდილობს ხელჩასაჭიდი ობიექტი ჰქონდეს, რომლის რეალიზებაც მოვალის მიერ ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მას შეეძლება.

კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით ბანკმა შეიძლება გამოიყენოს საწარმოს პატენტებიც, წარმოებული პროდუქცია და ა.შ. მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია კონკრეტულ ქონებრივ ობიექტებზე და არა საწარმოზე, როგორც ერთ საგანზე, ერთ ობიექტზე. ამრიგად, საწარმო, როგორც ერთი ობიექტი, არც კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში არ გამოიყენება. ამისთვის მას ინდივიდუალურობა და კონკრეტულობა აკლია.

<sup>270</sup> მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი საწარმოს მიიჩნევენ უძრავ ქონებად.

# ნაწილი მეორე

## პირები სამოქალაქო სამართალში

### - სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

სამოქალაქო ურთიერთობების ძირითადი მონაწილე არის ადამიანი. მაშინაც, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ორგანიზებული წარმონაქმნები დომინირებენ, მათ უკან მაინც ადამიანი დგას. სამოქალაქო სამართალში ადამიანის, როგორც ურთიერთობათა მონაწილის, აღსანიშნავად ცივილური სამართლის მეცნიერებამ შეიმუშავა ფიზიკური ანუ ბუნებრივი პირის ცნება.<sup>271</sup>

ადამიანები ხშირად ისახავენ ისეთ მიზნებს, რომელთა მიღწევა მათ ცალ-ცალკე არც ფიზიკურად შეუძლიათ და არც მათი პირადი ქონებაა ამისთვის საკმარისი. სამოქალაქო სამართალი ამ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ სამართლის ახალი სუბიექტი, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. თუ ადამიანი ბუნების ქმნილებაა,<sup>272</sup> იურიდიული პირი კონკრეტული ქვეყნის სამართლის მიერაა შექმნილი და სამართლებრივ ურთიერთობათა გაიოლების მიზნით გათანაბრებულია ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობასთან, უწინარეს ყოვლისა, ქონებრივი ურთიერთობების სფეროში.

<sup>271</sup> გერმანელი იურისტის გირკეს მიერ გაჩაღებულ დისკუსიას, რომ ამ მონაწილისათვის თავისი ნორმალური სახელი — ადამიანი — ეწოდებინათ, შედეგი არ მოჰყოლია. ასე დაიძვედრა ადამიანმა სამოქალაქო სამართალში ადგილი ნათლობის სახელით — ფიზიკური პირი (ფრანგულ და მისი გავლენით ასევე ჩვენს სამართალში), ბუნებრივი პირი (გერმანული სამართლის წრეში), მოქალაქე (რუსულ სამართალში). მიუხედავად კრიტიკისა (პირველ რიგში მის ხელოვნურ წარმოშობას აკრიტიკებენ), მათი შემცველი სამოქალაქო სამართალს ჯერ არაფერი შეუქმნია. ამ დისკუსიის თაობაზე ნახეთ: *კანტურია*, შესავალი, გვ. 125.

<sup>272</sup> ამიტომაც უწოდებენ მას გერმანულ სამართალში „ბუნებრივ პირს“. ქართულ ლიტერატურაში არის მოსაზრება გამოყენებულ იქნას „ბუნებითი პირი“: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 99.

ადამიანთა ან იურიდიულ პირთა არა ყველა გაერთიანება წარმოადგენს იურიდიულ პირს. სამოქალაქო სამართალში არსებობენ პირთა ისეთი გაერთიანებები, რომლებიც თუმცა არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაგრამ სამართლებრივ ურთიერთობებში თითქმის ისევე მონაწილეობენ, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები, მაგალითად, არარეგისტრირებული კავშირი.

მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

## თავი მეხუთე ფიზიკური პირები

### § 15. უფლებაუნარიანობა და მისი წარმოშობა

#### I. ცნება და ზოგადი დახასიათება

„ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა, ანუ უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.“ მე-11 მუხლის ეს დებულება იმეორებს მრავალი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის ანალოგიურ ნორმას.<sup>273</sup>

<sup>273</sup> მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი განსხვავებულად განსაზღვრავს დაბადების მომენტს, ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ უფლებაუნარიანობა იწყება ახალი სიცოცხლის დაბადებით. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით „ადამიანის უფლებაუნარიანობა იწყება დაბადების სრულად დამთავრებით“ (§1), შვეიცარიის ცივილური კოდექსით უფლებაუნარიანობა იწყება „შობიარობის დამთავრებით წარმოშობილ სიცოცხლესთან ერთად“ (მუხლი 31-ე). ის, თუ რა ჩაითვლება დაბადებად სამოქალაქო სამართლისათვის მნიშვნელოვანი გაგებით, სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიერ ასევე განსხვავებულად არის შეფასებული. გერმანული სამართლის მიხედვით „დაბადება დამთავრებულია, როცა ნაყოფი ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით გამოეყოფა დედის ორგანიზმს. ავსტრიული სამართალი, ისევე როგორც გერმანული, ამ დროს არ ანიჭებს მნიშვნელობას, ბავშვი სიცოცხლისუნარიანია თუ არა. „მას სიცოცხლის ნიშანი უნდა ეტყობოდეს. თუ არსებობს ეჭვი, ცოცხალია ბავშვი თუ მკვდარი, იგარაუდება პირველი“. ამდენად, ამ ქვეყნების სამართლის მიხედვით ბავშვის სიცოცხლისუნარიანობა არ არის წინაპირობა უფლებაუნარიანობის წარმოშობისათვის. ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოშობილად ჩაითვლება, თუკი ცოცხლად დაბადებული ბავშვი სულ ცოტა ხანს მაინც ცოცხლობდა. ფრანგული სამართალი განსხვავებულად წყვეტს ამ საკითხს: უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია ბავშვის სიცოცხლისუნარიანობაზე. ცოცხლად დაბადებულად ჩაითვლება ნაყოფი, თუკი შობიარობის შემდეგ ბავშვი სუნთქავს. ავსტრიული სამართლის მსგავს პრეზუმფციას ბავშვის ცოცხლად დაბადების შესახებ ფრანგული სამართალი არ იცნობს. „სიცოცხლისუნარიანობის“ ცნება საკმაოდ სპეციფიკურია და მისი ზუსტად განსაზღვრა იოლი არ არის. ამიტომ ფრანგული ლიტერატურაში ხშირად სადავოა, თუ როდის ჩაითვლება ბავშვი სიცოცხლისუნარიანად.

სამოქალაქო კოდექსი დაბადების ფაქტს არ უკავშირებს ახალდაბადებულის არც სიცოცხლისუნარიანობას და არც იმას, თუ რამდენი ხანი იცოცხლა მან დაბადების შემდეგ: უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის ორგანიზმს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებად მიიჩნევს. ამ მომენტიდან აქვს მას უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, მიუხედავად მისი სიცოცხლის ხანგრძლივობისა.

უფლებაუნარიანობა არ წარმოადგენს უფლებათა კრებულს, როგორც ამას ნაწილობრივ განსაზღვრავს დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ცდილობს უფლებაუნარიანობის შინაარსი პირის ცალკეულ უფლებამოსილებებში გამოხატოს.<sup>274</sup> უფლებაუნარიანობა ნიშნავს ნებისმიერი ადამიანის უნარს იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამიტომ მისი შინაარსის დაკონკრეტება ცალკეული უფლებამოსილებების მიხედვით მიზანშეუწონელია.<sup>275</sup>

## II. ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა

მართალია, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა ადამიანის დაბადებისთანავე იწყება, მაგრამ სამოქალაქო სამართალი ზოგიერთ

---

სიცოცხლისუნარიანობის აბსტრაქტული და სადავო ცნების მაგივრად ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანობის (ცაპაციდად ჯურიდიცე) წარმოშობას უკავშირებს ახლად დაბადებულის სიცოცხლის ხანგრძლივობას. კერძოდ, ესპანური სამართლის მიხედვით ახლად დაბადებულს უნდა ჰქონდეს „ადამიანის გამოსახულება და მშობიარობიდან 24 საათის განმავლობაში უნდა ცოცხლობდეს“. ნახეთ: ჭანტურია, შესავალი, გვ. 130-132.

<sup>274</sup> დსთ-ს სამოქალაქო კოდექსის 41-ე მუხლი: Гражданский кодекс. Часть первая. Модель. Рекомендательный законодательный акт Содружества Независимых государств. Приложение к «Информационному бюллетеню», 1995, № 6.

<sup>275</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამგვარი მიდგომა უფლებაუნარიანობის მიმართ სამართლიანად არის დადებითად შეფასებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში: კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 101.



შემთხვევაში იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის, ე.ი. ჩანასახული ნაყოფის, ინტერესებსაც.

ჩანასახის სამართლებრივი დაცვის ფორმები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელი დარგი ეხება ამ პრობლემატიკას. მაგალითად, სისხლის სამართალი აბორტის აკრძალვის გზით იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს; კონსტიტუციური სამართალი ჩანასახულ ბავშვს ძირითადი უფლებების სუბიექტად აღიარებს და ა.შ. სამოქალაქო სამართალი იცავს ჩანასახის იმ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც მას დაბადების შემთხვევაში წარმოეშობა.<sup>276</sup>

სამართლებრივად ყურადსაღებია, თუ როდიდან იმსახურებს ჩანასახი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დაცვას. ქართული კოდექსი „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ უკავშირებს ჩანასახის მომენტს. ეს თანამედროვე სამართალში უფრო გავრცელებული შეხედულებაა და მასში იგულისხმება კვერცხუჯრედების შერწყმა. თუ კონკრეტულად როდის მოხდა ეს შერწყმა, ფაქტის საკითხია და მოსამართლემ საკითხის განხილვისას უნდა დაადგინოს იგი.<sup>277</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უზოგადესი პრინციპი უფლებაუნარიანობის წარმოშობას დაბადების ფაქტს უკავშირებს, უფლებაუნარიანობის ელემენტები ჩანასახის შემთხვევაში სიცოცხლის დაბადებას დროით წინ უსწრებს. იურიდიული ფიქციის გზით აღიარებენ, რომ ამ შემთხვევაში ნაყოფიც უფლებაუნარიანია.<sup>278</sup> მაგრამ ეს უფლებაუნარიანობა შეზღუდულია, ვინაიდან ეხება მხოლოდ

<sup>276</sup> ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა მრავალი ქვეყნის სამოქალაქო სამართალშია განმტკიცებული, ოღონდ სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, შვეიცარიის ცივილური კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად „დაბადებამდე ბავშვი ჩაითვლება უფლებაუნარიანად იმ პირობით, თუ იგი ცოცხალი დაიბადება“.

<sup>277</sup> ეს მოსაზრებაა გადმოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ყველაზე ვრცელ კომენტარში: *Staudinger/Weick/Habermann*, 13. Aufl., Buch I, (1995), S. 166.

<sup>278</sup> მაგალითად, ფრანგულ სამოქალაქო სამართალში: *Ferid Murad, Sonnenberger Hans Jürgen*, *Das französische Zivilrecht*, 2. Aufl. Heidelberg, Verl. Recht und Wirtschaft, 994, Bd. 1/1, S. 310. (შემდგომში - *Ferid/Sonnenberger, Das französische Zivilrecht*)

უფლებებს (მემკვიდრედ ყოფნის უფლება) ისე, რომ ჩასახულს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოვალეობა.<sup>279</sup>

ჩანასახის უფლებაუნარიანობის ბუნების შეფასებისას აღსანიშნავია ორი თეორია: ერთი ჩანასახის უფლებაუნარიანობას მიიჩნევს უპირობოდ,<sup>280</sup> ხოლო მეორე — პირობითად.<sup>281</sup>

მე-11 მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება“ წარმოიშობა დაბადებისთანავე. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ არ შეიძლება უფლება სუბიექტის გარეშე არსებობდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია **შეზღუდულ და პირობით უფლებაუნარიანობაზე**: შეზღუდულია იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მემკვიდრედ ყოფნის უნარს განამტკიცებს, ხოლო პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.<sup>282</sup> თუ ნაყოფი ცოცხალი არ დაიბადა, მაშინ არც ეს უფლება პოვებს პრაქტიკულ განხორციელებას.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს **უფლებაუნარიანობის ფიქციის თეორიასთან**, რამეთუ უფლებაუნარიანობის აღიარება ამ შემთხვევაში ემყარება მხოლოდ იურიდიულ ფიქციას.<sup>283</sup>

ჩანასახის აღიარება შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონედ ან სულაც სამართლის სუბიექტად საყურადღებოა იმ უფლებებთან კავშირში, რომლებიც ჩანასახს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს. ის,

<sup>279</sup> ასე მიიჩნევენ ავსტრიის სამოქალაქო სამართალში: *Koziol/Welser*, Grundriß des bürgerlichen Rechts, 13. Aufl. 2006, S. 51.

<sup>280</sup> მაგალითად ფრანგულ სამართალში: *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, Bd. 1/1, S.311.

<sup>281</sup> ავსტრიულ სამართალთან მიმართებაში: *Koziol/Welsen*, Grundriß des bürgerlichen Rechts, Bd. I, S. 51.

<sup>282</sup> პირობითი და შეზღუდული უფლებაუნარიანობის თეორია გაზიარებულია ქართულ ლიტერატურაშიც: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 105, *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 136-137.

<sup>283</sup> ამგვარი იურიდიული ფიქციის კარგ მაგალითს იძლევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1923-ის მე-2 აბზაცი: „ვინც სამკვიდროს გახსნის დროს ჯერ არ ცხოვრობდა, მაგრამ ჩასახული იყო, მიიჩნევა სამკვიდროს გახსნამდე დაბადებულად“. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი აფართოებს ჩანასახის დაცვას და მას დაბადებულად მიიჩნევს მისთვის სასარგებლო ყველა სამართლებრივი შედეგის მიმართ.

რომ მემკვიდრედ ყოფნის უფლება ჩასახვისთანავე წარმოიშობა, დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის სამართალშია განმტკიცებული. ზოგი სამართალი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ჩანასახის უფლებათა ფარგლებს აფართოებს და მას ზიანის ან-აზღაურების მოთხოვნის უფლებასაც ანიჭებს.<sup>284</sup> ზიანი შეიძლება წარმოიშვას ავტოავარიის ან დედისათვის არასწორად დანიშნული მედიკამენტების გამო.

### III. შესაძლო უთანასწორობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას

სამოქალაქო სამართლის უზოგადესი პრინციპის თანახმად, ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია, ე.ი. ყველას აქვს უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (მე-11 მუხლის პირველი ნაწილი). მიუხედავად ამისა, არსებობს კითხვები, რომლებიც თანასწორუფლებიანობის კონტექსტში პასუხს მოითხოვენ:

შეიძლება უცხოელი და მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე თანაბრად უფლებაუნარიანნი იყვნენ? პოლიტიკურად ცვალებად სამყაროში რამდენად რეალურია საპირისპირო პოლიტიკური შეხედულებების წარმომადგენელთა თანასწორ უფლებაუნარიანობაზე ლაპარაკი? რამდენად დასაბუთებულია განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირთა თანასწორი უფლებაუნარიანობის ხაზგასმა, ანდა შესაძლებელია თუ არა ბუნებით ანტაგონისტურ სქესთა თანასწორობის მიღწევა?

უთანასწორობის ასოციაციის გამომწვევი ამ გარემოებებიდან მხოლოდ რამდენიმე იმსახურებს სამართლებრივ ყურადღებას: მოქალაქეობა, პოლიტიკური რწმენა და სქესი.

<sup>284</sup> მაგალითად, ავსტრიული სამართლის მიხედვით დედის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახს უფლება აქვს დაბადების შემდეგ მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას საშვილოსნოში ყოფნის დროს მიადგა სხვისი მართლსაწინააღმდეგო ქმედობის გამო: *Selb Walter; Schädigung des Menschen vor Geburt - ein Problem der Rechtsfähigkeit? AcP 166, 76-128.*

## 1. მოქალაქეობა და უფლებაუნარიანობა

სამოქალაქო სამართალში აღიარებული აზრის თანახმად, უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.<sup>285</sup> სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანობას ადამიანის დაბადების ფაქტს უკავშირებს და არა მოქალაქეობის მიღებას ან მის დაკარგვას. მოქალაქეობა თავის კერძოსამართლებრივ მნიშვნელობას საერთაშორისო კერძო სამართალში მოიპოვებს.<sup>286</sup>

მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად მისი მოქალაქეობისა. ამით ქართული სამოქალაქო სამართალი მნიშვნელობას არ ანიჭებს მოქალაქეობას უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას.

## 2. პოლიტიკური შეხედულებები და უფლებაუნარიანობა

კერძო სამართალი არც პოლიტიკურ შეხედულებებს და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს რაიმე მნიშვნელობას. ამგვარი გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური შეხედულებების მიმართ კერძო სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომლისთვისაც მთავარია ადამიანი, როგორც ბუნებით თავისუფალი, საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე არსება და არა პოლიტიკური შეხედულებების მატარებელი სუბიექტი.

ყველა ადამიანის აღიარება უფლებაუნარიან სუბიექტად გამორიცხავს მისი ამ უნარის შეზღუდვას პოლიტიკური მრწამსის

<sup>285</sup> მაგალითად, პოლანდის ახალი სამოქალაქო კოდექსის 1:1 მუხლის თანახმად, „ყველას, ვინც პოლანდიაში იმყოფება, უზრუნველყოფილი აქვს სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა“.

<sup>286</sup> ვაპისონია, საერთაშორისო კერძო სამართალი, *Lehmann Heinrich, Hübner Heinz*, Allgemeiner Teil des bürgerlichen Gesetzbuches. 15. Aufl. Verlag de Gruyტერ, 1966, შ. 418 usw. (შემდგომში - *Lehmann/Hübner*; Allgemeiner Teil).

მოტივებიდან გამომდინარე.<sup>287</sup>

ის, რაც სამოქალაქო საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოში სრულიად ბუნებრივია, საწინააღმდეგო ინტერპრეტაციას იღებს ტოტალიტარულ სახელმწიფოებში. მაგალითად, გერმანიის ფაშისტური სახელმწიფო უფლებაუნარიანობას ართმევდაებრაელებს; საბჭოთა სამოქალაქო სამართალი გასული საუკუნის ოციან წლებში უფლებაუნარიანობის არსებობას უკავშირებდა რევოლუციურ მართლშეგნებასა და კომუნისტურ იდეალებს.

პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე არც რასა და რელიგია თამაშობენ უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას რაიმე როლს. ადამიანი, მიუხედავად რწმენისა ან რომელიმე რელიგიური გაერთიანებებისადმი კუთვნილებისა, სამოქალაქო სამართლისათვის შეუზღუდავად უფლებაუნარიანია.

### 3. სქესის მნიშვნელობა უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას

ყველა ადამიანის თანასწორი უფლებაუნარიანობის პრინციპიდან გამომდინარე სქესთა შორის განსხვავებასაც არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა კონსტიტუციური პრინციპია და იგი საფუძველია სამართლის ყველა დარგისათვის. მიუხედავად ამისა, პირის კუთვნილებას მამრობითი თუ მდედრობითი სქესის მიმართ მაინც აქვს კერძო სამართალში სამართლებრივი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ეს ეხება საოჯახო სამართალს, უფრო ზუსტად კი, მის იმ ნაწილს, რომელიც საქორწინო ურთიერთობებს აწესრიგებს. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ „ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს“ მიიჩნევს ქორწინებად, რომელიც ოჯახის შექმნას ისახავს მიზნად. ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას ქართული სამართალი,

<sup>287</sup> ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა ერთ-ერთმა პირველმა განამტკიცა ეს პრინციპი. მე-7 მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა განხორციელება დამოუკიდებელია პოლიტიკური უფლებებისაგან“. ფრანგული კოდექსის გავლენით დამკვიდრდა ანალოგიური ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

13. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლისაგან, არ იცნობს.

ის, თუ რომელ სქესს განეკუთვნება ადამიანი, განისაზღვრება ადამიანის გარეგნული სასქესო ორგანოების მეშვეობით, რაც თვალსაჩინოა ბავშვის დაბადებისთანავე. ახალდაბადებულის სქესს განსაზღვრავს ექიმი ან ბეზიაქალი, რაც სამართლებრივ ძალას იძენს დაბადების მოწმობაში ჩაწერის შემდეგ. სამშობიარო სახლის ცნობა დაბადებისა და დაბადებულის სქესის შესახებ საფუძველია დაბადების მოწმობაში სქესის აღნიშვნისათვის.

თანამედროვე სამოქალაქო კოდექსების შემქმნელები და, ცხადია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც მედიცინის იმ მყარ შეხედულებას ემყარება, რომ ადამიანი ან ერთ სქესს განეკუთვნება ან მეორეს, „რომ არ არსებობს არც უსქესო და არც ორსქესიანი ადამიანი“.<sup>288</sup>

ქართული სამოქალაქო კოდექსი სქესის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. არც სხვა ქვეყნის კოდექსები უთმობენ მას დიდ ყურადღებას. მაგრამ რეალური ცხოვრება ბადებს ადამიანებს, რომელთა სქესის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხების გადაწყვეტის დროს იძულებულია დაემყაროს მედიცინის მიღწევებს, რომელიც ინტერსექსუალების (ბუნდოვანი, გაურკვეველი სქესის მქონე პირების) სქესის განსაზღვრისას არა მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს ეყრდნობა (ე.ი. უპირატესად თუ რომელი სქესისკენ აქვს მიდრეკილება), არამედ ახალი მეთოდების თანახმად იკვლევს სქესის გენეტიკურ წარმომავლობას, ასევე ცალკეულ პირთა სულიერ მდგომარეობას. მასზე დაყრდნობით იღებს სასამართლო პრაქტიკა გადაწყვეტილებებს.<sup>289</sup>

<sup>288</sup> Staudinger/Weick (2004), Vorbem. Zu § 1 Rn. 12.

<sup>289</sup> პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ინტერსექსუალური ადამიანებისათვის თავიდან დადგენილი სქესისადმი კუთვნილება შემდგომი ცხოვრების მანძილზე საპირისპიროდ იცვლება. იცვლება არა მხოლოდ გარეგნული ნიშნები, არამედ სულიერი მდგომარეობა: ადამიანი, რომელიც ქალთა სქესს განეკუთვნებოდა, უფრო და უფრო მამაკაცის იერს იღებს; ხმა, მიხერა, მანერები და ა.შ. სამედიცინო ჩარევის შედეგად უფრო აშკარა ხდება მისი კუთვნილება საპირისპირო სქესის-

სქესის საკითხს სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საოჯახო სამართალში. მას უკავშირდება პირის სახელის უფლებაც. ტრანსსექსუალობის შემთხვევაში სქესის შეცვლა სახელის შეცვლის საფუძველია. სახელი ადამიანის სქესის გარეგნული სოციალური გამოხატულებაა. ამიტომ ამა თუ იმ სქესთან ყოველთვის ესა თუ ის სახელია დაკავშირებული. სახელი არ უნდა იწვევდეს სქესის აღრევას. თუმცა არის სახელები, რომლებსაც საქართველოში ერთდროულად ქალებიც ატარებენ და მამაკაცებიც: გული, ვარდო, ბაია და ა.შ. მაგრამ ეს გამონაკლისია და მისი განზოგადება, რა თქმა უნდა, არაა მიზანშეწონილი.

სამართლებრივი მნიშვნელობა სქესს არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აქვს. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამობის დადგენის საკითხს საოჯახო სამართალი მხოლოდ მამრობით სქესს უკავშირებს, ვინაიდან ბავშვის დედის საკითხი მშობიარობის ფაქტიდან გამომდინარე ისედაც ნათელია.

#### IV. უფლებაუნარიანობა და უფლება

უფლებაუნარიანობა აქვს ყველას – ძუძუმწოვარა ბავშვს, ახალგაზრდას, ღრმად მოხუცებულს, რომელსაც დამოუკიდებლად წამოღვომა არ შეუძლია, ჯანმრთელს ან ხეიბარს, ყველას, ვი-

ადმი. სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევას მიიჩნევს იმის საფუძველად, რომ დაბადების მოწმობაში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. ინტერსექსუალებისაგან განსხვავდება ე.წ. ტრანსსექსუალების მდგომარეობა. ესაა პირები, რომლებსაც დაბადებისას აშკარად აქვთ ერთი სქესისათვის დამახასიათებელი სხეულის ნიშნები (ამით განსხვავდებიან ისინი ინტერსექსუალებისაგან. ამ უკანასკნელთ გაურკვეველი სქესობრივი კუთვნილება აქვთ), მაგრამ შემდეგ ირკვევა ცხოვრების მანძილზე, რომ ისინი სრულიად საპირისპირო სქესს უნდა მიეკუთვნონ, რაც ხშირად ქირურგიული ოპერაციის შედეგად ხდება. ტრანსსექსუალური კუთვნილების ფაქტები თანამედროვე მედიცინასა და რეალურ ცხოვრებაში იმდენად ხშირია, რომ ზოგი ქვეყანა ამ პრობლემას სპეციალური კანონით აწესრიგებს. მაგალითად, გერმანიაში ჯერ კიდევ 1980 წლის 10 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი ტრანსსექსუალობის შესახებ: BGBI I, 1654: Staudinger/Weick (2004), Vorbem. Zu § 1 Rn. 12; ჭანტურია, შესავალი, გვ. 143.

საც ცოცხალი ადამიანი შეიძლება ეწოდოს. უფლება კი მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა და, როგორც წესი, ამ ურთიერთობის მონაწილეს აქვს.<sup>290</sup>

სამართლის მეცნიერება მიმართავს უფლებათა დაკონკრეტების პრინციპს: უფლება ყოველთვის უნდა გამოიხატოს კონკრეტულ შესაძლებლობაში. აქედან გამომდინარე, უფლებაუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც უნარი, ჰქონდეს პირს კონკრეტული უფლებები. უფლებაუნარიანობა ყოველთვის ზოგადია, ხოლო უფლება კი - კონკრეტული. ის ყოველთვის ცალკეულ მოვლენასთან კავშირში წარმოიშობა: მესაკუთრე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მაგრამ საკუთრება აქვს ყოველთვის კონკრეტულ პირსა და კონკრეტულ საგანზე.

## V. უფლებაუნარიანობის დასასრული

მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალებას არანაკლები სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დაბადებას, კერძოდ, გარდაცვალებით იხსნება სამკვიდრო (1319-ე მუხლი), წყდება ვალდებულება (453-ე მუხლი) და ა.შ. ამიტომ გარდაცვალების მომენტის ზუსტად დადგენას ხშირად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე მედიცინის მიღწევების თანახმად, ადამიანის გარდაცვალება არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი, თუმცა სიკვდილის ბოლო მომენტად მაინც ტვინის უჯრედების ფუნქციონირების შეწყვეტას მიიჩნევენ.<sup>291</sup>

სამოქალაქო კოდექსმა მხედველობაში მიიღო თანამედროვე მედიცინის მიღწევები სიკვდილის მომენტის დადგენის საკითხში და ნორმატიულად განამტკიცა, რომ „გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა“ (მე-11 მუხლის, მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება).

<sup>290</sup> ნახეთ § 6.

<sup>291</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 103.



გარდაცვალების მომენტის ზუსტად განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მემკვიდრეობის სამართალში ან ვალდებულების შეწყვეტის საკითხის განხილვისას, არამედ ორგანული ტრანსპლანტაციების განხორციელებისას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სფეროში შეიძინა მან განსაკუთრებული მნიშვნელობა. უფრო ზუსტად, სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შეუძლიათ გარდაცვლილის ახლობლებს სხეულის ნაწილების გასხვისება ან როდისაა სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილი ტრანსპლანტაციის მიზნით გამოიყენოს გარდაცვლილის სხეულის ნაწილები. ამიტომაც აკონკრეტებს და აზუსტებს გარდაცვალების მომენტს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება თავის ტვინის სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა.

განსხვავებულმა მიდგომამ გარდაცვალების მომენტის განსაზღვრის მიმართ განაპირობა სამართლის მეცნიერებაში გარდაცვალების ცნების დიფერენცირების აუცილებლობა. ამ შეხედულების მომხრეთა თანახმად, იმ ფაქტების მიმართ, რომელთათვისაც გარდაცვალების მომენტი გადამწყვეტია (*მაგალითად*, მემკვიდრეობა), გამოყენებულ უნდა იქნეს სიკვდილის დადგომის მომენტის ცნება, რომელიც შეიძლება გულის გაჩერებას დაუკავშირდეს. ხოლო თუ სიკვდილის ფაქტი რაიმე მოქმედების განხორციელების უფლებას იძლევა (*მაგალითად*, სხეულის ტრანსპლანტაცია), მაშინ უნდა გამოვიყენოთ სიკვდილის სხვა ცნება, რომელიც ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას მიიჩნევს სიკვდილის დადგომის მომენტად.<sup>292</sup> ჩემი აზრით, სამართლიანად იქნა ეს შეხედულება გაკრიტიკებული და უარყოფილი.<sup>293</sup> არ შეიძლება ადამიანის სიკვდილის ორი სხვადასხვა ცნება არსებობდეს, თუმცა ადამიანის ორგანოთა

<sup>292</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Erman Walter*, Handkommentar zum BGB, 11. Aufl. Münster: Aschendorff Rechtsverlag, 2004, § 1, Rn. 5.

<sup>293</sup> მაგალითი კვლავ გერმანული სამართლიდან: *Schmitt* in Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl. Band I, Allgemeiner Teil, 2006, § 1, Rn. 18 ff.

ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების უარყოფაც დაუშვებელია.

უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს ადამიანის გარდაცვალება, მიუხედავად იმისა, ეს ბუნებრივი სიკვდილით ხდება, კატასტროფით თუ მკვლელობით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი, გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს თუ არა უფლებაუნარიანობის დასასრულს. როგორც ცნობილია, გარდაცვლილად გამოცხადება ერთ-ერთ იურიდიულ ფიქციას წარმოადგენს. ამ დროს არ არსებობს სიკვდილის დამადასტურებელი ფაქტი, მაგრამ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას კანონი უშვებს სიკვდილის ვარაუდს. ეს საფუძველი ხდება სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობისათვის (*მაგალითად*, სამკვიდროს განხნა). ამიტომ ლოგიკურია, რომ ამან გამოიწვიოს უფლებაუნარიანობის შეწყვეტა.<sup>294</sup> ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება არ არის მართებული. გარდაცვლილად გამოცხადება სწორედ სიკვდილის ფაქტის ვარაუდს ნიშნავს და იგი ყველა იმ შედეგს იწვევს, რაც გარდაცვალებას მოჰყვება. ბუნებრივია, ასევე უნდა იწვევდეს უფლებაუნარიანობის შეწყვეტასაც.

<sup>294</sup> თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ კომენტარში სხვა შეხედულებაა გატარებული: მის თანახმად, გარდაცვალებულად გამოცხადება არ იწვევს უფლებაუნარიანობის შეწყვეტას: *Soergel H. Th. (Begr.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 13. Aufl. Stuttgart: Verl. W. Kohlhammer, 2000: *Soergel/Fahse*, § 1, Rn.12.

## § 16. ქმედუნარიანობა

### I. ცნება

როგორც უკვე აღინიშნა, უფლებაუნარიანობა აქვს ყველა ადამიანს. მაგრამ უფლება-მოვალეობათა განხორციელების უნარი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამიტომ სამოქალაქო სამართალი იძულებულია უფლებაუნარიანობის გვერდით შემოიღოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი მეორე „უნარი“, რომელიც რეალურ ცხოვრებასთან, სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება და კონკრეტული შედეგებიც იქნება მასთან დაკავშირებული. ეს არის **ქმედუნარიანობა**.<sup>295</sup>

ქმედუნარიანობის ლეგალური დეფინიცია მოცემულია მე-12 მუხლის პირველ ნაწილში: ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს. უფრო ზუსტად, კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან აქვთ ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს. ამიტომ ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს **ასაკი და ჯანმრთელობა**.

<sup>295</sup> ქართულ ლიტერატურაში არის მოსაზრება ტერმინ „გარიგებაუნარიანობის“ შემოღების შესახებ, რაც არ არის უსაფუძვლო. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი ცნებები, გვ. 115 და შემდგომი. ეს იქნებოდა გერმანული Geschäftsfähigkeit-ის ქართული თარგმანი, ხოლო ქმედუნარიანობა უფრო გერმანულ Handlungsfähigkeit-ს შეესაბამება.

## 1. ქმედუნარიანობა ასაკის მიხედვით

ასაკობრივი საფეხურების მიხედვით ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობას განსაზღვრავს თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი.<sup>296</sup>

მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე**. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს (იმავე მუხლის მე-2 ნაწილი).

შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) **ქმედუნაროა** (მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი).

შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი **შეზ-**

<sup>296</sup> ავსტრიის სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირებს ეწოდებათ „ბავშვები“ და ისინი სრულიად ქმედუნარიანი არიან, ხოლო შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის პირები – შეზღუდული ქმედუნარიანნი. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 865-ის მიხედვით ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ მხოლოდ მათ სასარგებლოდ განხორციელებული შეპირებები. თოთხმეტიდან ცხრამეტი წლის ასაკის პირები ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეთ განეკუთვნებიან, თუმცა მათი უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფის. მათ შეუძლიათ ხელშეკრულებები დადონ მომსახურების სფეროში, მართონ და განკარგონ განსაზღვრული ნივთები და ა.შ. სრული ქმედუნარიანობა ავსტრიული სამართლის მიხედვით ღება ცხრამეტი წლის ასაკიდან.

შვეიცარული სამართლის მიხედვით სრულწლოვანება და, შესაბამისად, სრული ქმედუნარიანობა ღება ოცი წლის ასაკიდან. თუმცა ცივილური კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით სრულწლოვანება შეიძლება თვრამეტი წლის ასაკიდანაც დადგეს. ქმედუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელსაც თავისი ბავშვური ასაკის გამო არ შეუძლია სწორად გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

ფრანგული სამართალიც არ ითვალისწინებს ასაკობრივ ჯგუფებს თვრამეტი წლის ასაკამდე და სჯერდება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ბავშვებს, რომელთაც არა აქვთ განსჯის უნარი, არ შეუძლიათ დადონ გარიგებები. ასაკის მიხედვით სრული ქმედუნარიანობა იწყება თვრამეტი წლის ასაკიდან. ფრანგულის მსგავსად აწესრიგებს ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის საკითხს იტალიური სამართალიც.

გერმანული სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუნარიანი არიან, შვიდიდან თვრამეტი წლამდე – შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონენი, ხოლო თვრამეტი წლიდან სრული ქმედუნარიანები. შედარებითი ანალიზი ნახეთ: *კანტურია*, შესავალი, გვ. 152.

**ღუღული ქმედუნარიანობის მქონეა** (მე-14 მუხლის პირველი ნაწილი).

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განზილვისას მნიშვნელოვანია **ემანსიპაციის ინსტიტუტი**. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს, მართალია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს:

**პირველი**, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს (მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი). 1108-ე მუხლის მიხედვით საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინება დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან. მაშასადამე, პირი, დაქორწინების შემთხვევაში, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს თექვსმეტი წლის ასაკიდან;

ემანსიპაციის მეორე შემთხვევას ითვალისწინებს 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მის თანახმად, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავად ქმედუნარიანად, თუკი კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.

## 2. ჯანმრთელობა და ქმედუნარიანობა

კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე სპეციალური აქტი ამისთვის აუცილებელი არ არის. აქედან გამომდინარე მოქმედებს **პრეზუმფცია**, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია.

პირის უნარს, საკუთარი ნებითა და მოქმედებით განაზოციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს, არამედ **ჯანმრთელობას**. ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს. ამასთან, სამოქალაქო სამართალი „ჯანმრთელობის“ ცნებაში არ

გულისხმობს პირის ფიზიკურ მდგომარეობას. პირიქით, ფიზიკური ნაკლი არ წარმოადგენს ქმედუუნაროდ პირის ცნობის საფუძველს. ასეთად სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართალი, მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან სულით ავადმყოფობას (მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი).<sup>297</sup>

იმ შემთხვევებში, როცა სულით ავადმყოფობის გამო ხდება პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი სრულწლოვანია თუ არასრულწლოვანი. ქმედუუნაროდ პირის აღიარებას ამ დროს საფუძველად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა არც ერთი სახელმწიფო ორგანო არაა უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუუნაროდ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუუნაროდ.

ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების შემთხვევაშიც მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აღიაროს პირი კვლავ ქმედუუნარიანად.

### 3. ქმედუუნარიანობის შეზღუდვა

სამოქალაქო სამართალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედუუნარიანობის ან ქმედუუნარობის ცნებებით. ეს აიხსნება იმით, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობა იმ პირებსაც უნდა ჰქონდეთ, რომლებიც, მართალია, ჯერ კიდევ არ არიან სრულწლოვანი, მაგრამ მათი გონება და განსჯის

<sup>297</sup> ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ქმედუუნაროდ პირის მიჩნევის ერთ-ერთ საფუძველს, რომის სამართალიც იცნობდა. ინსტიტუციების 3,19,8-ის მიხედვით, სულით ავადმყოფობა ადამიანს სრულიად ქმედუუნაროდ აქცევდა: *Staudinger/Knothe, Hans-Georg*, (2004), Buch 1, Allg. Teil, § 104, Rn. 16.

უნარი არ გამოორიცხავს სამოქალაქო უფლებების შეძენის შესაძლებლობას. თუ სამოქალაქო სამართალი ამგვარ მონაწილეობას არ დაუშვებდა, მაშინ რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობები კანონგარეშედ აღმოჩნდებოდა, რაც უფლებრივ პარალიზებას გამოიწვევდა. ეს რომ არ მოხდეს, ცივილურ სამართალში არსებობს შეზღუდული ქმედუნარიანობის ინსტიტუტი.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მე-13 მუხლის პირველი წინადადება). ასეთ შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: პირველი, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე; მეორე, შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს ძმძმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს და სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას.

არავითარი სხვა საფუძველი ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლინება კერძო სამართლის ფუნდამენტია, გარიგებით არ დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა. ისეთი გარიგება, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იზღუდება ქმედუნარიანობა, ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი 14-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანებს ნაწილობრივ ქმედუნარიანებად მიიჩნევდა. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ამ ინსტიტუტის შინაარსი განსხვავდება შეზღუდული ქმედუნარიანობისაგან და გულისხმობს „ქმედუნარობას საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში“.<sup>298</sup> მართალია, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არასრულწლოვანის ემანსიპაცია საწარმოს საქმიანობის სფეროში ითვალისწინებს სრულ

<sup>298</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 6 II, 2 Rn. 22.

ქმედუნარიანად მიჩნევას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სფეროებში პირი ქმედუნაროა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქმედუნარიანი პირი სამართლებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად მონაწილეობს რაიმე სპეციალური დათქმის გარეშე, სამართლებრივი მნიშვნელობის ორი ინსტიტუტი დარჩება განსახილველად: **ქმედუნარობა და შეზღუდული ქმედუნარიანობა**. სამოქალაქო სამართალი მათ უკავშირებს განსაზღვრულ შედეგებს. ამიტომაც არის საყურადღებო მათი სამართლებრივი მნიშვნელობის ცალკე განხილვა.

## II. ქმედუნარობა

ქმედუნარო პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ. მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, ასევე მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილია (58-ე მუხლის პირველი ნაწილი).

განსხვავებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებისაგან, რომელთაც უფლება აქვთ წარმომადგენლის თანხმობით დადონ გარიგებები, ქმედუნარო პირები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. ქმედუნარო პირთათვის სამართლებრივ შედეგებს იწვევს წარმომადგენლის მიერ მათი სახელით დადებული გარიგებები. ამ გარიგებების მეშვეობით ქმედუნარო პირს წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები ისე, რომ იგი თვითონ არ მონაწილეობს ამ ურთიერთობებში. მაგალითად, ხუთი წლის ბავშვის სახელზე ბანკში გახსნილი ანაბრის შესაკუთრე, მართალია, ეს ბავშვია, მაგრამ ამ ანაბრის განკარგვის უფლება აქვთ მხოლოდ მის მშობლებს, როგორც ქმედუნარო პირის კანონიერ წარმომადგენლებს.

ქმედუნარო პირის მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გარიგების შედეგად მას უშუალოდ არ წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო სამართალი არ იცავს იმ პირებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება ქმედუნარო პირთან. აქედან გამომდინარე, ქმედუნარო



პირთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებებს განეკუთვნება და იგი დადების მომენტიდან ბათილია.

მაშასადამე, ქმედუნარო პირთან დადებული გარიგებები სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.<sup>299</sup>

### III. შეზღუდული ქმედუნარიანობა

მართალია, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (მე-15 მუხლი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლად დადოს გარიგებები. ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მას ქმედუნარო პირისაგან. აქედან გამომდინარე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მონაწილეობისას აუცილებელია განსაზღვრული დიფერენციაცია. ერთ შემთხვევაში გარიგებები ნამდვილია, ხოლო მეორე შემთხვევაში - გარიგებები განეკუთვნება ბათილ გარიგებათა კატეგორიას.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ზოგ სახეს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს. ზოგადი წესის თანახმად, რომელიც განმტკიცებულია მე-15 მუხლში, ამ პირთა მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთი თანხმობის გარეშეც გარიგება ჩაითვლება ნამდვილად, კერძოდ, მე-15 მუხლისა და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. გარიგებით მიღებული სარგებლის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარიგების შე-

<sup>299</sup> დაწვრილებით ეს საკითხი განხილული იქნება ბათილი გარიგების სახეების ანალიზისას.

ფასების დროს უნდა გადაწყდეს. აღიარებული შეხედულების თანახმად, როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას, უნდა გადაწყვიტოს არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა (მზრუნველმა).<sup>300</sup> შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც. ის, რაც ეკონომიური თვალსაზრისით მომგებიანი და, მაშასადამე, სარგებლიანი შეიძლება იყოს, სრულიადაც არ ნიშნავს, აღმზრდელობითი თვალსაზრისით სარგებლიანს. სარგებლის მომტანად არ არის მიჩნეული ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები, ვინაიდან ასეთ ხელშეკრულებებში უფლებებს (უფლებრივ სარგებელს) ყოველთვის უპირისპირდება მოვალეობები. ამიტომ გარიგებებს, რომლებითაც არასრულწლოვანი სარგებელს იღებს და მზრუნველის თანხმობა არ სჭირდება, მიაკუთვნებენ ჩუქებას, უპატრონო ნივთის მითვისებას.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული გარიგებების მეორე ჯგუფის ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლების წინასწარი თანხმობა. მაგალითად, თუ სკოლის მოსწავლე ყიდულობს კომპიუტერს, ამ გარიგების დადებისათვის მას სჭირდება მშობლების წინასწარი თანხმობა.

არასრულწლოვანის მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადებად არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან — ამ წარმომადგენლების თანხმობით — მესამე პირებმა (65-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების გარდა, ყველა სხვა გარიგება, რომელთაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე, ჩაითვლება ბათილად. თუმცა ეს ბათილობა სწორდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონებით, ე.ი. თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს შეზღუდული ქმედუ-

<sup>300</sup> ჭანტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 15, გვ. 48-49.

ნარიანობის მქონე პირის მიერ დადებულ გარიგებას, ეს გარიგება გახდება ნამდვილი (63-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამიტომ ასეთი გარიგებები განეკუთვნება ან საცილო გარიგებებს ან მერყევად ბათილ გარიგებებს.<sup>301</sup>

#### IV. დელიქტუნარიანობა

ქმედუნარიანობა არსებითად ასახავს პირთა მონაწილეობის შესაძლებლობას ნორმალურ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელთა უმეტესობა გარიგების ფორმით არსებობს. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ურთიერთობებს, რომლებიც ზიანის მიყენებიდან წარმოიშობა და ე.წ. ექსცესურ ურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება. ზოგადი ქმედუნარიანობის ინსტიტუტი დელიქტურ სამართალშიც მოქმედებს. თუმცა ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინება ამ სფეროში აუცილებელია. სწორედ ამას ემსახურება **დელიქტუნარიანობის ინსტიტუტი**. იგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პირის უნარი, საკუთარი ნებითა და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის.

994-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ათი წლის ასაკს მიულწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მის ნაცვლად მშობლები ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები არიან პასუხისმგებელი ანაზღაურონ ამ პირის მიერ მიყენებული ზიანი. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

ათი წლის ასაკს მიღწეული, მაგრამ არასრულწლოვანი პირი, პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. თუ მისი ქონება საკმარისი არ არის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, დამატებითი, ე.ი. სუბსიდიური პასუხ-

<sup>301</sup> ნახეთ § 33.

ისმგებლობა ეკისრებათ მის კანონიერ წარმომადგენლებსაც (994-ე მუხლის მე-2 ნაწილი).<sup>302</sup>

დელიქტუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ასაკით. არც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუნაროდ აღიარებული პირი აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის. თუმცა მის მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს ამ შემთხვევაშიც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.

ქმედუნაროდ აღიარებული პირების გარდა, მიყენებული ზიანისათვის პასუხს არ აგებენ ასევე დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირები. მაგრამ თუ პირმა ასეთ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი ალკოჰოლური სასმელების ან მსგავსი საშუალებების გამოყენების შედეგად, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.<sup>303</sup>

<sup>302</sup> სამოქალაქო კოდექსით ათ წლამდე პირის გამოცხადება დელიქტუნაროდ ენმანება ძველი ქართული სამართლით გათვალისწინებულ დანაწესს. ვახტანგ VI-ის სამართლის 187-ე მუხლი იუწყება: "ათ წლამდის ყმაწვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა, — ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების, — თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათურაკოსაკით არის. მისმან შშობელმან, მისის ყმაწვილობისაგან მკვდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა": სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. 1981 წ., გვ. 235. ქართულ ლიტერატურაში არასწორად იყო ინტერპრეტირებული, თითქოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის გავლენით შეიქმნა: *კერესელიძე*, *კერძო სამართლის უსოგადესი ცნებები*, გვ. 129.

<sup>303</sup> ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ამ მოკლე განხილვიდანაც ჩანს, თუ რა დიდ პრაქტიკულ როლს თამაშობს იგი სამოქალაქო სამართალში.

## § 17. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

### I. პრეზუმფციის როლი სამოქალაქო სამართალში

პრეზუმფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს. სამართალში მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაცაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული. მაგალითად, 158-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. თუ სამოქალაქო სამართალში ასეთი ვარაუდი არ იქნებოდა, მაშინ ეჭვი უნდა შეგვეტანა ყველა ადამიანის კეთილსინდისიერებაში და ყველაფერი, რასაც ისინი ფლობენ, არ უნდა მიგვეჩნია მათ საკუთრებად (მაგალითად, პიჯაკი, პერანგი, ხელჩანთა და ა.შ.). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საპირისპირო ვარაუდი: თითქოს ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არ არის მისი მესაკუთრე. ეს პრინციპი პრაქტიკულად თავდაყირა დააყენებდა რეალურ ცხოვრებას — ყველა გამყიდველი ბაზარში უნდა მოგვენათლა მოპარული ნივთის გამყიდველად, მანქანის ყველა მფლობელი უნდა მიგვეჩნია არამესაკუთრედ და ა.შ. ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა სამართალში პრეზუმფციებს და მათ სწორად შერჩევას.

სამართლებრივი პრეზუმფცია შეიძლება იყოს ფორმულირებული **პოზიტიურად** ან **ნეგატიურად**. მაგალითად, 361-ე მუხლის პირველ ნაწილში განმტკიცებული პრეზუმფცია პოზიტიურად არის ფორმულირებული: „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“. 1141-ე მუხლში კი პრეზუმფცია ჩამოყალიბებულია უარყოფითი პირობის სახით: თუ მეუღლეებმა დაქორ-

14. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

წინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, მართალია, ქორწინება წყდება, მაგრამ შეწყვეტამდე იგი წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება. ამ განსხვავების მიუხედავად, სამართლებრივი შედეგი ყველა შემთხვევაში მსგავსია: სამოქალაქო სამართალი არსებულად მიიჩნევს რაღაცას მანამ, სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცებულია. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ერთ-ერთ პრეზუმფციას წარმოადგენს გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი.

## II. გარდაცვლილად გამოცხადება

ადამიანის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა შეუძლია ერთადერთ იურიდიულ ფაქტს — გარდაცვალებას. გარდაცვალების დამადასტურებელ საბუთს, როგორც წესი, წარმოადგენს გარდაცვალების მოწმობა და სათანადო ჩანაწერი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.<sup>304</sup>

გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ, იხსნება მემკვიდრეობა. ამიტომ ბუნებრივია იმ პირთა დაინტერესება, რომლებიც პოტენციურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ და მათი მამკვიდრებლის სიცოცხლის ან გარდაცვალების შესახებ დიდი ხნის მანძილზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. ასეთი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას — ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია.

22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან, გარდაცვლილად გამოცხადება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით

<sup>304</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახური (სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ: ა. ამ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ; ბ. იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა ანდა გ. სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ.

მაშასადამე, კანონი აწესებს განსაზღვრულ დროს, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება პირის გამოცხადება გარდაცვლილად. ჩვეულებრივ შემთხვევებში ეს არის ხუთი წელი.<sup>305</sup>

გარდაცვლილად გამოცხადების ზოგადი ხუთწლიანი ვადიდან არსებობს გამონაკლისები. ერთია, როცა სავარაუდოა პირის დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო. ასეთი უბედური შემთხვევები შეიძლება იყოს წყალდიდობა, მეწყერი, გემის დაღუპვა, საჰაერო ხომალდის დაღუპვა და ა.შ. ამ დროს სავალდებულო არ არის ხუთწლიანი ვადის გასვლა. კანონი შესაძლებლად მიიჩნევს პირის გამოცხადებას გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ ამ შემთხვევის დადგომიდან. მეორე გამონაკლისი დაკავშირებულია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან. ასეთ ვითარებაში დაკარგული პირები შეიძლება გამოცხადდნენ გარდაცვლილად საომარი მოქმედებების დამთავრებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი გარდაცვალების დღის დადგენის თაობაზე. 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. უბედური შემთხვევის ან საომარი მოქმედებების გამო გარდაცვლილად გამოცხადებისას გარდაცვალების დღედ სასამართლომ შეიძლება აღიაროს სავარაუდო დაღუპვის დღე.

<sup>305</sup> დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი ითვალისწინებს ათ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტში, რომელიც პარლამენტს წარედგინა, ასევე გათვალისწინებული იყო ათი წელი. მაგრამ საპარლამენტო დისკუსიების შედეგად გადაწყდა ეს ვადა ხუთ წლამდე შემცირებულიყო.

არის შემთხვევები, როცა ყველა პროცედურა კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვით ხორციელდება, პირი გამოცხადდება გარდაცვლილად, ნათესავებიც გამოიგლოვებენ „გარდაცვლილს“, მაგრამ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ეს პირი დაბრუნდება ან მისი ადგილსამყოფელი დადგინდება.

როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადებაა სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები. ამიტომ ამ საკითხებს კანონი უყურადღებოდ არ ტოვებს, კერძოდ, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას. „ადგილსამყოფელის აღმოჩენა“ დადასტურებული უნდა იყოს სხვადასხვა მტკიცებულებებით. არის შემთხვევები, როცა „გარდაცვლილად გამოცხადებულები“ სახელს იცვლიან და სხვა სახელით ცხოვრობენ. ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემოწმებისას ეს გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დაბრუნებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ასევე მემკვიდრეებიც. ქონებაზე გაწეული ხარჯები, გაუმჯობესებები და სხვა ანალოგიური მოქმედებები მან უნდა აანაზღაუროს.

განსხვავებულია ვითარება, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სასყიდლით შეიძინა მესამე პირმა. ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება მას ეკისრება მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სახელმწიფოს გადაეცა და ამ უკანასკნელმა მოახდინა მისი რეალიზაცია, გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

სამოქალაქო კოდექსი არ შემოიფარგლება გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონებრივი უფლებების დაცვით. საყურად-



დებოა ის შედეგებიც, რომლებიც პირადი ურთიერთობების სფეროში წარმოიშობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქორწინება. 1122-ე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გამოცხადება გარდაცვლილად ქორწინების შეწყვეტის საფუძველია. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შემთხვევაში შესაძლებელია ქორწინების აღდგენა (1135-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინება ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს. მთავარი აქ მეუღლეთა სურვილია. მაგრამ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება (უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე), მაშინ კანონი კრძალავს ქორწინების აღდგენას.

### III. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება

პირის გამოცხადებას გარდაცვლილად, როგორც წესი, წინ უსწრებს მისი აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. მართალია, კანონი სავალდებულოდ არ მიიჩნევს პირის გამოცხადებას ჯერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ხოლო შემდეგ გარდაცვლილად, მაგრამ პრაქტიკულად ეს ასეც მოხდება, როცა პირი გარდაცვლილად იმის გამო გამოცხადდება, რომ ხუთი წლის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის შესახებ არავითარი მონაცემები არ არსებობს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება უნდა მოხდეს ორი გარემოების არსებობისას: პირის ადგილსამყოფელი უნდა იყოს უცნობი და ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს იგი ნამყოფი თავის საცხოვრებელ ადგილას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების ეს პირობები კუმულატიურია, ე.ი. აუცილებლად უნდა არსებობდეს ორივე პირობა. არაა საკმარისი მხოლოდ ის, რომ პირი ორი წლის მანძილზე არ გამოჩნდეს თავის საცხოვრებელ ადგილას. თუ ამ გარემოებას მივიჩნევდით საკმარისად, მაშინ ყველა, ვინც ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფება სხვაგან და არ გამოჩნდა საკუთარ საცხოვრებელ ადგილას, უნდა მიგვეჩინა უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ეს შეუძლებელია. ამი-

ტომაც, კანონი აუცილებლად მიიჩნევს, რომ უცნობი იყოს პირის ადგილსამყოფელიც. ცხადია, დაიბადება კითხვა, თუ ვისთვის უნდა იყოს ეს ადგილსამყოფელი უცნობი? დაინტერესებული პირისათვის, ე.ი. იმისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პირის არსებობის დადასტურება. თუ ვინ არის ეს დაინტერესებული პირი, კანონი არ აზუსტებს. ამ პირთა წრე შეიძლება ძალიან ფართოც იყოს: მეუღლე, შვილები, კრედიტორები და ა.შ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

განსხვავებულია სამართლებრივი შედეგები გარდაცვლილად გამოცხადებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დროს. თუ გარდაცვლილად გამოცხადების დროს იხსნება მემკვიდრეობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ამ შედეგს არ იწვევს. კანონით მემკვიდრეები მხოლოდ უფლებამოსილებას მოიპოვებენ, რომ მართონ უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით (21-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, მათ უფლება აქვთ ეს ქონება გამოიყენონ ჩვეულებრივად, მიიღონ მისგან სარგებელი. კანონი მათ მოვალეობასაც აკისრებს, კერძოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს ქონებიდან უნდა მიეცეთ სარჩო, ასევე უნდა დაიფაროს ვალები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჰქონდა.

## § 18. პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებები

### I. სახელი

#### 1. სამოქალაქო სახელი

ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ყოველთვის კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი – კონკრეტულ პირთან. ამიტომ სახელი ადამიანთა იდენტიფიკაციის ძირითადი საშუალებაა და სამოქალაქო სამართალი მას ცალკე დაცვის ღირსად მიიჩნევს. მართალია, მე-17 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის უფლებაა, მაგრამ სამართლისთვის წარმოუდგენელია (ყოფითი ცხოვრებისათვისაც) უსახელო ადამიანი. აქედან გამომდინარე, სახელის ტარება იმავდროულად მოვალეობაცაა.

მე-17 მუხლით გათვალისწინებულ სახელში იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი.<sup>306</sup>

უძველესი ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე, ქართული სახელი ორწევრიანია და შედგება სახელისა და გვარისაგან. ამით იგი დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა ტრადიციებსაც შეესაბამება.<sup>307</sup> საბჭოური სახელი მოიცავდა საკუთარ სახელს, მამის სახელსა და გვარს, რომელიც, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, რუსულის უშუალო ზეგავლენით წარმოიშვა.<sup>308</sup>

<sup>306</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 51-52.

<sup>307</sup> საინტერესოა ის გარემოება, რომ ფრანგულ სამართალში გვარს ეწოდება nom patronymique (ე.ი. მამის გვარი), რადგანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ყოველი ბავშვი იღებს მამის გვარს, უფრო ზუსტად, დედის ქმრის გვარს. საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციას ვერც თანამედროვე სამართალმა აუქცია გვერდი საფრანგეთში: *ჟანტურია*, შესავალი, გვ. 165.

<sup>308</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 51-52.

იმით, რომ სახელი პირთა ინდივიდუალიზების საშუალებაა, მას მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგის ფუნქცია აკისრია. იგი სოციალური უგულებელყოფისაგან დაცვის ერთგვარი საშუალება-ცაა.<sup>309</sup> ამიტომ სახელთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია არა მხოლოდ კერძო სამართალში, არამედ საჯარო სამართალშიც, მაგალითად, საპოლიციო სამართალში. ამჯერად მხოლოდ კერძოსამართლებრივ პრობლემებს განვიხილავ. აქედან გამომდინარე, სახელი პიროვნულობის განუყოფელ ელემენტად ითვლება.<sup>310</sup>

სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული სახელის უფლებას **სამოქალაქო სახელი** ეწოდება. ესაა სახელი, რომელსაც ყოველი უფლებასუფარისანი ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალობის (იდენტურობის) აღსანიშნავად. იგი განსხვავდება ე.წ. კნინობით-ალერსობითი სახელებისაგან, რომლებიც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც მეტად გავრცელებულია. საქართველოში პოპულარულია ასევე ე.წ. მეორე სახელი, რომელიც ან ნათლობას უკავშირდება (საეკლესიო სახელი) ან რომელსაც სახელის მატარებლის ახლობლები იყენებენ.<sup>311</sup> მას „არაოფიციალურ საკუთარ სახელსაც“ უწოდებენ.<sup>312</sup>

სამოქალაქო სახელისაგან უნდა განვასხვავოთ **იურიდიული პირის სახელწოდება**. ამ უკანასკნელს მოქმედი კანონმდებლობა სა-

<sup>309</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 52.

<sup>310</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 52.

<sup>311</sup> ასეთი, ე.წ. დამატებითი სახელების მნიშვნელობა დიდი იყო საფრანგეთში. მათ სურნომ ეწოდებოდათ და საზოგადოების წინაშე პიროვნების განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მათი მნიშვნელობა დიდი იყო პროვინციებსა და განსაკუთრებით დიდ საგვარეულო ტრადიციებში. თანამედროვე საფრანგეთში იგი პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობს: *კანტურია*, შესავალი, გვ. 165.

<sup>312</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 53.

ფირმო სახელწოდებას უწოდებს და მოწესრიგებულია როგორც სამოქალაქო კოდექსში (27-ე მუხლი), ისე კანონში მეწარმეთა შესახებ (მე-6 მუხლი). საფირმო სახელწოდება იურიდიული პირების იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა<sup>313</sup> და მისი ტარებაც სავალდებულოა – შეუძლებელია არსებობდეს იურიდიული პირი საფირმო სახელწოდების გარეშე.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება ე.წ. **სავაჭრო ანუ კომერციული სახელი**, რომელსაც მეწარმეები თავიანთი საწარმოს აღსანიშნავად იყენებენ. მას **სამეწარმეო სახელი** ან **ფირმაც** ეწოდება.<sup>314</sup> სამოქალაქო სახელი შეიძლება ემთხვეოდეს სავაჭრო სახელს. მაგალითად, როცა პირი ინდივიდუალურ საწარმოს ატარებს რეგისტრაციაში, მეწარმეთა შესახებ კანონის 6.2-ე მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს (მაგალითად, „მიტროფანე ლალიძე“).<sup>315</sup> მეწარმეს უფლება აქვს კომერციული სახელი (ფირმა) გამოიყენოს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში გამოსვლისას, თუკი დავა საწარმოს საქმიანობას ეხება.<sup>316</sup>

სამოქალაქო სახელის გარდა, პირის ინდივიდუალიზების მნიშვნელოვანი და მეტად გავრცელებული საშუალებაა **ფსევდონიმი**. მრავ-

<sup>313</sup> *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. მესამე გამოცემა, 2003 წ. მე-6 მუხლის კომენტარი.

<sup>314</sup> *ნინიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 53.

<sup>315</sup> თუკი ამ ინდივიდუალურ საწარმოს შეიძენს სხვა პირი, *მაგალითად*, ივანე ღვინაძე, მას მეწარმეთა შესახებ კანონის 8.1-ე მუხლის ძველი რედაქციით უფლება ჰქონდა ძველი საფირმო სახელწოდება დაეტოვებინა. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური საწარმოს მფლობელის სამოქალაქო სახელი იქნებოდა ივანე ღვინაძე, ხოლო სავაჭრო ანუ კომერციული სახელი – „მიტროფანე ლალიძე“. მეწარმეთა შესახებ კანონის 14.03.2008 წლის ცვლილებებმა ეს წესი გააუქმა. თუმცა ეს წესი ლოგიკურად გამოიყენება მაშინაც, როცა კომერციული იურიდიული პირების საფირმო სახელწოდება კონკრეტული ფიზიკური პირის სახელისა და გვარისაგან შედგება.

<sup>316</sup> *ნინიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 53-54.

ვალი ხელოვნის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, პოლიტიკოსის პიროვნება სწორედ ფსევდონიმთანაა დაკავშირებული ისე, რომ უმეტესობამ არც იცის მათი ნამდვილი სამოქალაქო სახელები. ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ლეო ქიჩელი, მარიამ გარიყული, აკა მორჩილაძე და სხვები – ეს ის სახელებია, რომელთაც ქართველი ერის ცნობიერებაში მყარად გაიდგეს ფესვები ისე, რომ მათი ნამდვილი სამოქალაქო სახელი ბევრს არც ახსოვს და არც აინტერესებს. მაგალითად, ბევრმა არც იცის, რომ ცნობილი ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე პროფესორ ზურაბ ახვლედიანის შვილია და მისი სამოქალაქო სახელი არის გიორგი ახვლედიანი.<sup>317</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, ფსევდონიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს და მას საავტორო სამართალში მიუჩენს ადგილს – ფსევდონიმით ნაწარმოების გამოქვეყნების საკითხების მოწესრიგებისას.<sup>318</sup>

აღიარებული შეხედულების თანახმად, ფსევდონიმიც ისეთივე სამოქალაქო სამართლებრივ დაცვას იმსახურებს, როგორც სამოქალაქო სახელი, თუკი კონკრეტული პიროვნების აღსანიშნავად იგი საზოგადოებაში აღიარებულია. ფსევდონიმი ნიშნავს გამოგონილი და არა სხვისი სახელით სარგებლობას.<sup>319</sup>

მართალია, ფსევდონიმის უფლება აღიარებული და დაცულია, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სამოქალაქო სახელი.<sup>320</sup>

<sup>317</sup> ზურაბ ახვლედიანმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ სამოქალაქო სამართალში, ხოლო მისმა შვილმა გიორგიმ – ქართულ მწერლობაში.

<sup>318</sup> მაგალითად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-10 მუხლი.

<sup>319</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 51-52.

<sup>320</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 53.

## 2. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება

### ა. სახელი როგორც პირადი არაქონებრივი უფლება

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი და აბსოლუტური უფლებაა.<sup>321</sup> ამ თვალსაზრისს ისიც ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები სახელის უფლებას პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ნაწილში აწესრიგებენ.<sup>322</sup>

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისთვის არც სხვა შეხედულებაა უცხო. კერძოდ, ბოლო პერიოდის კვლევებში გავრცელებულია აზრი, რომ სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში.<sup>323</sup> ამრიგად, არსებობს ასევე სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელის უფლება არის წმინდა პირადი არაქონებრივი უფლება, ხოლო სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საქმიან (კომერციულ) ურთიერთობებში გამოიყენება, არამატერიალური ქონებრივი უფლება, ე.ი. ხაზს უსვამენ სახელის უფლების შესაძლო ორგვარ ბუნებას.<sup>324</sup>

ისტორიულად სახელის უფლება წარმოიშვა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება. იგი მიზნად ისახავდა პიროვნების ილენტუ-

<sup>321</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 52.

<sup>322</sup> მაგალითად, შვეიცარიის ცივილური კოდექსის 29-ე მუხლი მოთავსებულია პირადი არაქონებრივი უფლებების თავში; პოლანდიის კოდექსი, მართალია, სახელის უფლებას ცალკე თავად განამტკიცებს, მაგრამ სწორედ პირთა სამართლის ნაწილში - 1:4 - 1:9 და ა.შ.

<sup>323</sup> *Hopt in Baumbach Adolf, Hopt Klaus J.*, Kurzkomentar zum Handelsgesetzbuch, 33. Aufl. Beck: München, 2008, § 17, Rn. 5. (*Baumbach/Hopt*, Kurzkomentar zum HGB)

<sup>324</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Baumbach/Hopt*, Kurzkomentar zum HGB, § 17, Rn. 5; *Schwerdtner in Münchener Kommentar zum BGB (2001)*, § 12, Rn. 19 ff.

რობის დაცვას. ყოველ სახელს სოციალურად ყოველთვის უკავშირდება დადებითი ან უარყოფითი ასოციაცია. სახელი ყოველთვის დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს ანდა არ იწვევს არავითარ ემოციას. სახელის დაცვის უმთავრესი დანიშნულებაა სახელის არასწორი გამოყენებით გამოწვეული გაუგებრობების თავიდან აცილება. მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა.<sup>325</sup> ამას ლოგიკურად ისიც ადასტურებს, რომ სახელის უფლება მე-18 მუხლში სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად არის დაცვის ქვეშ მოქცეული.

### ბ. სახელი როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება

სახელის უფლების განხილვამ პირად არაქონებრივ უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ ურთიერთობებში გამოიყენება. თუ საკითხი იურიდიული პირის სახელის დაცვას შეეხება, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს 27-ე მუხლი. მაგრამ რა ვქნათ, როცა ინდივიდუალური მეწარმის სახელი ილახება? მაგალითად, „ლალიძის წყლები“ ყოველთვის დადებით ასოციაციას იწვევდა თავისი ხარისხის გამო. თუკი ამ სახელწოდებით ბაზარზე გამოტანილი იქნება ფალსიფიცირებული საქონელი, ცხადია, ამით შეილახება სახელის უფლებაც, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სამეწარმეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილიცაა. აქედან გამომდინარე, სახელის უფლება უნდა მივიჩნიოთ არამატერიალურ ქონებრივ უფლებად.

### გ. სახელი და სამოქალაქო ბრუნვა

პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ შეუძლებელია მისი გადაცემა სხვა

<sup>325</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 52.



პირისათვის, ე.ი. იგი განეკუთვნება გადაცემაუნარო უფლებათა კატეგორიას. დაუშვებელია ორ ადამიანს შორის ისეთი შეთანხმება, რომლითაც ერთი კისრულობს ვალდებულებას თავისი სახელი გადასცეს მეორეს და ამ უკანასკნელმა ატაროს ეს სახელი და გვარი. ადამიანის სახელი ყოველთვის ინდივიდუალურია და კონკრეტულ პიროვნებას გამოხატავს მაშინაც კი, როცა პირთა სახელები ემთხვევა ერთმანეთს. ცნობილი სცენა ქართული კინოფილმიდან „მიმინო“ ორი ხაჩიკიანის მაგალითზე კარგი ნიმუშია იმისა, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს სახელთა აღრევამ.<sup>326</sup> ასეთ შემთხვევებში სახელის უფლება უეჭველად პირადი არაქონებრივი უფლებაა.

განსხვავებით ფიზიკური პირის სახელისაგან, რომელიც შეიძლება მეორდებოდეს და მრავალ პირს ერქვას ერთი და იგივე სახელი, დაუშვებელია, მაგალითად, არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას (27-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია, ე.ი. იგი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამ დროს სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება მისი განხილვა არამატერიალურ ქონებრივ უფლებად.

მაშასადამე, სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ხოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია.

მართალია, სახელის, როგორც არამატერიალური ქონებრივი

<sup>326</sup> ფილმ „მიმინოში“ არის სცენა, როცა მოსკოვის ერთ-ერთ ცნობილ და პრესტიჟულ სასტუმროში აკადემიკოს ხაჩიკიანის სახელზე დაჯავშნული სასტუმროს ნომრით ისარგებლებს მძლოლი ხაჩიკიანი, რასაც ამ უკანასკნელს თაღლითობად და სომეხი ერის შეურაცხყოფად უთვლიან.

სიკეთის, მესამე პირებზე გადაცემის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი შეზღუდვებია გასათვალისწინებელი, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა შემუშავებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული.

მართოდენ სახელის გადაცემა მესამე პირებზე დაუშვებლად არის მიჩნეული მაშინაც კი, როცა ეს სავაჭრო, კომერციული, საფირმო სახელია. ერთი პატარა მაგალითის მოხმობაც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ასეთი აკრძალვა სწორია. მაგალითად, ლალიძის წყლების საწარმომ გაყიდა თავისი სახელწოდება „ლალიძის წყლები“ და მიჰყიდა მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას. ამის შედეგად „ლალიძის წყლების“ სახელწოდებით გამოდის მინერალური წყალი, რომელსაც არავითარი საერთო ლალიძის წყლებთან არა აქვს.<sup>327</sup> საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად გასხვისდეს, რომლის სახელწოდების აღმნიშვნელიც ის არის. ცალკე სახელის გასხვისება დაუშვებელია. ამ დროს სახელი საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება და არა ფიზიკური პირის, რომლის სახელსაც იგი იმავდროულად წარმოადგენს. სახელის ამგვარი გადაცემით სახელის მატარებელი ფიზიკური პირი არ კარგავს ამ სამოქალაქო სახელზე უფლებას. სწორედ ამას ნიშნავს, რომ სახელის გასხვისებას არა აქვს სანივთო სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, თუ ცნობილი ქართველი გამომცემელი ბაკურ სულაკაური გაყიდის თავის გამომცემლობას „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, მართალია, ახალ შემქმნის უფლება აქვს ამ სახელწოდებით გააგრძელოს გამომცემლობის საქმიანობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბაკურ სულაკაურმა თავისი სახელიც უნდა შეიცვალოს.

სულ სხვანაირადაა საქმე, როცა იყიდება საწარმო საფირმო

<sup>327</sup> ამ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა წესი, რომლის თანახმად, „სახელის უფლება და სახელის მსგავსი უფლებები არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს სხვა პირებს სანივთო სამართლებრივი შედეგებით. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა სახელი საფირმო სახელწოდების ნაწილია ან საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება“. ნახეთ: ჭანტურია, შესავალი, გვ. 170.

სახელწოდებასთან ერთად და ეს სახელწოდება არ არის ფიზიკური პირის სახელი. ასეთ გასხვავებას, ცხადია, ექნება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები – საწარმოს ძველ მფლობელს არ შეუძლია ამ სახელის გამოყენება, თუკი, რა თქმა უნდა მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მემკვიდრეობით სახელის გადასვლის საკითხიც იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, სახელის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა თუ არამატერიალური ქონებრივი უფლება. როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, სახელი არ გადადის მემკვიდრეობით, ხოლო როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება – კი.<sup>328</sup> სახელის, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლების მაგალითია, როდესაც შპს-ის ერთ-ერთი პარტნიორი თავის სახელს აძლევს საწარმოს საფირმო სახელწოდებად. თუ სახელის მიმნიჭებელი პარტნიორი საზოგადოებიდან გავა, საზოგადოება მაინც ინარჩუნებს მის სახელს, თუ, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ იყვნენ შეთანხმებული.

მიუხედავად იმისა, რომ სახელის უფლება უმეტეს შემთხვევებში პირადი არაქონებრივი უფლებაა, მისი ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა შეიძლება ქონებრივი ხასიათის იყოს: მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“.

### 3. სახელის შექმნის საფუძვლები

სახელის შექმნის საფუძვლებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს. მათ განეკუთვნება: **დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.**

<sup>328</sup> ამ უკანასკნელის მაგალითი იყო მეწარმეთა შესახებ კანონის 8.1-ე მუხლი ძველი რედაქციით, რომლის თანახმად ინდივიდუალური საწარმო შეიძლებოდა გადასულიყო მემკვიდრეებზე ძველი სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობების აღმნიშვნელი დამატებების დართვით ან უამისოდ.

სახელის შეძენის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს **დაბადება**. როგორც წესი, ბავშვის სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ (1194-ე მუხლი). შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით (1195-ე მუხლი).

სახელის შეძენის მეორე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს **დაქორწინება**. დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავიანთ საერთო გვარად, ანდა თითოეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი ანდა თავისი გვარი შეუერთოს მეუღლის გვარს (1154-ე მუხლის პირველი წინადადება). დაქორწინების შედეგად შეძენილი გვარი არ უქმდება მეუღლეთა განქორწინებით.

**სახელის ნებაყოფლობითი შეცვლა** სახელის შეძენის ერთ-ერთი საფუძველია. სახელის შეცვლას შეიძლება მრავალი გარემოება განაპირობებდეს, *მაგალითად*, გვარის არაკეთილხმოვანება, მოქალაქეობის შეცვლა და სხვა. სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ „დადგენილ წესზე“ მითითებით, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელის შეცვლის საკითხები (მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი). სახელის შეცვლის საფუძვლიანობა, თუკი შეცვლის საფუძველი პირდაპირ კანონიდან არ გამომდინარეობს, დადასტურებულ უნდა იქნას კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს მიერ.<sup>329</sup>

სახელის შეცვლის უფლება აქვთ როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პირებს. არასრულწლოვანები ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მშობლების ან მეურვეების თანხმობით.<sup>330</sup>

<sup>329</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 55.

<sup>330</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 55.

#### 4. სახელის შეცვლის სამართლებრივი შედეგები

სახელის შეცვლა არ იწვევს იმ ქონებრივი ურთიერთობების შეცვლას ან შეწყვეტას, რომელშიც პირი სახელის შეცვლამდე მონაწილეობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დებულება კრედიტორებთან ან მოვალეებთან ურთიერთობაში. ამიტომ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება პირს აკისრებს კრედიტორებისა თუ მოვალეების ინფორმირების მოვალეობას.

თუ პირი, რომელმაც სახელი შეიცვალა, არის კრედიტორი და მოვალეს დროულად არ შეატყობინებს სახელის შეცვლის შესახებ, რის გამოც მოვალე ვერ ახერხებს დროულად გადასცეს შესრულება კრედიტორს, ეს ჩაითვლება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად და დადგება 390-393-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

სახელის შეცვლა, როგორც წესი, გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელთა მიზეზი სხვადასხვა დოკუმენტების ჩასწორება ან კორესპონდენციის გაგზავნაა. ეს ხარჯები სრულად ეკისრება იმ პირს, ვინც სახელი შეიცვალა.<sup>331</sup>

## II. საცხოვრებელი ადგილი

### 1. ცნება და დახასიათება

საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი საშუალებაა. ბოლო ხანს იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო კერძო სამართალშიც.<sup>332</sup> მე-20 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი

<sup>331</sup> ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, გვ. 56-57.

<sup>332</sup> გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006, გვ. 127-128. მაგალითად გერმანულ სამართალში: Kegel Gerhard, Schurig Klaus, Internationales Privatrecht, 9. Aufl. München: Beck, 2004, § 13 III, 3a.

15. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ადგილის დეფინიცია შეესაბამება ამ ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე დონეს სამოქალაქო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში. სამოქალაქო კოდექსი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, „რომელსაც იგი (ე.ი. ფიზიკური პირი) ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს“ (მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

საერთაშორისო კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ გაიგება პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. ამ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო საპროცესო სამართალიც.<sup>333</sup> ამასთან, გარემოებებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ პირი მოცემულ ადგილას დროებით არ იმყოფება. გარდა ამისა, ერთ ადგილზე ექვსთვიანი ყოფნის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ეს არის პირის „ჩვეულებრივი საცხოვრებელი“. ექვსთვიანი ვადა საერთაშორისო კერძო სამართალში მიიჩნევა იმის მიმნიშნებელ ფაქტორად, რომ დაფუძნებულია ჩვეულებრივი საცხოვრებელი.<sup>334</sup>

“ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის ფაქტობრივ ყოფნას მოცემულ ადგილზე. ამიტომაც უწოდებენ მას „ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს“<sup>335</sup> მაშინ, როცა „საცხოვრებელ ადგილად“ მიჩნევისათვის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი. მას თან უნდა ახლდეს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ამ ნებას გამოხატავს მე-20 მუხლის პირველ წინადადებაში განმტკიცებული დებულება ჩვეულებრივ საცხოვრებლად „არჩევის“ შესახებ, ე.ი. არა მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა, არამედ მისი არჩევა საცხოვრებელ ადგილად, გადამწყვეტია მე-20 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების წარმოშობისთვის. ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე

<sup>333</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Kegel/Schurig*, Internationales Privatrecht, § 13 III, 3a.

<sup>334</sup> ჭანტურია, შესავალი, გვ. 172.

<sup>335</sup> ჭანტურია, შესავალი, გვ. 172.

ავტომატურად რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის ან ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო, თუკი ისინი იქ ექვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებიან.

მაშასადამე, საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განემარტოთ, როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს.

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, ე.ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) ცნებას.

შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ერთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკური პირი ერთდროულად ინდივიდუალური მეწარმეცაა და თავისი ინდივიდუალური საწარმოს იურიდიულ მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

საცხოვრებელი ადგილის ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელ დარგთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტად, მე-20 მუხლით განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილი გამოიყენება კერძო სამართალში მაშინ, როცა საჯარო სამართალი შეიძლება საცხოვრებელი ადგილის სულ სხვაგვარ დეფინიციას იძლეოდეს (მაგალითად, საპოლიციო, საარჩევნო, საგადასახადო სამართალში და ა.შ.).

## 2. საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა

საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის. საჯარო სამართალში მასზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული, მაგალითად, საარჩევნო უფლება ან სასამართლო განსჯადობა სამოქალაქო სამართლის პროცესში, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საერთო განსჯადობა განისაზღვრება მო-

პასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მართალია, ამ დროს საცხოვრებელი ადგილის სამოქალაქო სამართლებრივი ცნება დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საჯარო სამართლის ამა თუ იმ დარგში საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკური ცნების არსებობას.

მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განამტკიცებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს. ეს კი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლიდან, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას და, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევას.

როდის და როგორ წარმოიშობა საცხოვრებელი ადგილი? რა კავშირშია იგი საპოლიციო ჩაწერასთან? რა არის აუცილებელი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისთვის? ამ კითხვებზე პასუხს სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არ იძლევა. თუმცა მე-20 მუხლის პირველი წინადადების ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს:

**პირველი**, საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე. სრულწლოვანი პირებისათვის იძულებითი წესით საცხოვრებელი ადგილის არჩევას ქართული სამართალი არ იცნობს.

**მეორე**, პირის ნება დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი მოცემულ ადგილზე. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, ეს საცხოვრებელი მისი საკუთრებაა თუ ქირით აქვს აღებული.

**მესამე**, საპოლიციო რეგისტრაცია თუ აღრიცხვა პირის საცხოვრებელ ადგილს არ წარმოშობს და არც აუქმებს. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება არსებობდეს რეგისტრაციის გარეშეც. და პირიქით, რეგისტრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის არსებობას.<sup>336</sup>

<sup>336</sup> ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და



**მეოთხე,** საცხოვრებელი ადგილის ცნება არ არის საჯარო სამართალში გამოყენებული საცხოვრებელი ადგილის ცნების იდენტური. მაგალითად, საარჩევნო კოდექსი მოითხოვს როგორც რეგისტრაციის მისამართს, ისე ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს (საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლი).

**მეხუთე,** ისევე როგორც ადმინისტრაციული აქტით არ შეიძლება საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, არც მისი გაუქმება შეიძლება ამავე აქტით. ამას პირდაპირ განამტკიცებს მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი.

### 3. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი

„პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი“ – განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება.

რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეუძლია რამდენჯერმე ჰქონდეს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები (მაგალითად, მემკვიდრეობის გახსნის დროს). იგი შეიძლება მოპასუხედ გამოვიდეს რამდენიმე ადგილას და ა.შ.

ვინაიდან ჩაწერა არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ჩაწერილი კი იყოს მხოლოდ ერთ ადგილას. მაშასადამე, ჩაწერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტი არ არის წინააღმდეგობაში რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის პრინციპთან. რაც

---

საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 27 ივნისს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი რეგოლაციური მნიშვნელობის კანონია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში: მან გააუქმა საპოლიციო ჩაწერის ის სისტემა, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან არსებობდა და რომელიც მოქალაქეებს უკრძალავდა ჩაწერის უფლების გარეშე ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში გადასვლას. კანონი სრულად იზიარებდა სამოქალაქო კოდექსის კონცეფციას რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მე-3 მუხლი).

შეეხება საგადასახადო სამსახურს, მას შეუძლია გადასახადების გადახდის ადგილად მიიჩნიოს ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილი, როგორც წესი, ეს ხდება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

#### 4. არჩევითი საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით აქამდე განხილული საკითხები შეეხებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, რომელთა არჩევის უფლება პირებს მოქმედი კანონმდებლობით აქვთ უზრუნველყოფილი, ამიტომ მათ არჩევითი საცხოვრებელი ადგილი ეწოდებათ. იგი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას უკავშირდება მაშინაც, როცა მოცემული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტს განამტკიცებს.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი უპირველესია და იგი ამ სფეროში წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას. ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტით, მაგალითად, მოქალაქეთა რეგისტრაციის ინსტიტუტით, არ შეიძლება ეს უფლება შეიზღუდოს. პირიქით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისაგან, ე.ი. პირი ჯერ ირჩევს საცხოვრებელ ადგილს, ხოლო შემდეგ დგება საპოლიციო ან სამისამართო აღრიცხვაზე და არა პირიქით, როგორც ეს საბჭოთა წყობილების დროს იყო და დღემდე შემორჩა მრავალ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

თუ ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება პირველადია, ხოლო საჯარო-სამართლებრივი აქტი — მეორადი, უცხოელი მოქალაქეების მიმართ ეს პირიქითაა. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა უცხოელისთვის დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერად იმყოფება იგი მოცემულ ქვეყანაში და ყოფნის ეს უფლება აძლევს თუ არა მას შესაძლებლობას აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი (მაგალითად, მოკლევადიანი ვიზა არ არის საფუძველი ამისთვის), ე.ი. უცხოელმა ჯერ უნდა მიიღოს ნებართვა სახელმწიფოსაგან ამ

ქვეყანაში ცხოვრების უფლების თაობაზე, ხოლო შემდეგ კი – აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის არჩევას საცხოვრებლად. ეს აღემატება სამოქალაქო სამართლის შესაძლებლობებს. უფრო ზუსტად, იგი გულისხმობს მოცემული ქვეყნის შიგნით ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის არჩევას საცხოვრებელ ადგილად (ქალაქი, სოფელი, დაბა, რაიონი და ა.შ.).

## 5. კანონით საცხოვრებელი ადგილი

მართალია, სამოქალაქო სამართალი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს განამტკიცებს, მაგრამ იგი, იმავდროულად იცავს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც ასეთი არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. ესაა პირები, რომლებსაც ასაკის (არასრულწლოვანები) ან ჯანმრთელობის მდგომარეობის (ჭკუა-სუსტობის ან სულით ავადმყოფობის) გამო არ შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხი. მათ ნაცვლად ამას კანონი აკეთებს. ამიტომაც ეწოდება არასრულწლოვანებისა და სხვა არაქმედუნარიანი პირების საცხოვრებელ ადგილს **კანონით საცხოვრებელი ადგილი**.

მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი. კანონი აქაც ზოგადი ნორმით შემოიფარგლება და არ იძლევა კონკრეტულ პასუხებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას. კერძოდ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ ან როცა მშობლები განქორწინებულნი არიან, მშობლის უფლება კი ორივესა აქვს? ეს ის საკითხებია, რომლებიც ნორმათა ინტერპრეტაციის შედეგად და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.<sup>337</sup>

<sup>337</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით უცხოური გამოცდილება ნახეთ: *კანტურია*, შესავალი, გვ. 185-186.

მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამეურვეო პირის საცხოვრებლად მიიჩნევა მეურვის საცხოვრებელი ადგილი. სამეურვეო პირებად ჩაითვლებიან არასრულწლოვანები, რომელთაც კანონით დადგენილი წესით დანიშნული აქვთ მეურვეობა ანდა სრულწლოვანები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ქმედუნაროდ არიან აღიარებულნი და მათზეც დანიშნულია მეურვეობა.

## 6. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება, ისევე როგორც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: ერთია პირის ნება მიანებოს თავი ამ საცხოვრებელ ადგილს და ამის პრაქტიკული განხორციელება. არც ამ შემთხვევაშია სავალდებულო ნების გამოხატვა რაიმე სპეციალური ფორმით.

საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, როცა დაუძღვევლი ძალის, ომის, სამოქალაქო ომის ან სხვა მსგავსი გარემოებების გამო პირი იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი. აფხაზეთიდან ან სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ადგილი მაინც აფხაზეთში ან სამაჩაბლოშია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკურად იქ დაბრუნება ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით. ოღონდ ეს უკანასკნელი ავტომატურად არ იწვევს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას. აუცილებელი აქაც პირის ნებაა, რომ იგი აუქმებს ძველ საცხოვრებელ ადგილს. სამართლებრივი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ძველი საცხოვრებელი ადგილი გაუქმებულია, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ არის დაფუძნებული. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია იურიდიული ფიქციის გამოყენება, რომლის თანახმად ვიდრე ახალი საცხოვრებელი ადგილი არ დაფუძნებულა, ძალაში მყოფად მიიჩნევა ძველი საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტა, ვინაიდან

ფიქციას ამ შემთხვევაში არავითარი ძალა არა აქვს, თუკი პირს ფაქტობრივად გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა ძველ საცხოვრებელ ადგილთან.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს მოცემულ ქვეყანაში უცხოელთათვის ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაუსშვებელია.

## 7. საცხოვრებელი ადგილის კონკრეტული გამოვლინებები

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ ლოგიკურად იბადება კითხვა: თუ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილი არ არის საპოლიციო, საგადასახადო თუ საჯარო სამართლის სხვა დარგებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის იდენტური, თუ საპოლიციო რეგისტრაცია გავლენას არ ახდენს საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებასა და გაუქმებაზე, მაშინ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას საერთოდ? ეს კითხვა ბუნებრივად მოგვეჩვენება, ისევე როგორც ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხი: საცხოვრებელ ადგილს დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სწორედ მის მიხედვით განისაზღვრება:

— პირის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხი, თუკი მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას (21-ე მუხლის პირველი ნაწილი);

— გარდაცვლილად გამოცხადების საკითხი, თუკი პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ (22-ე მუხლის პირველი ნაწილი);

— ხელშეკრულებების ცალკეული დებულებების განმარტებისას თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა; გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი (მუხლი 337-ე);

— ვალდებულების შესრულების ადგილი გვარეობით განსაზღვ-

რული საგნების შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილი არაა განსაზღვრული – მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (362-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი),<sup>338</sup>

– კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით გამოწვეული ზარჯების ანაზღაურების საკითხი (363-ე მუხლი, 432-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

– საექვოობისას ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი – კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი (386-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– სამკვიდროს განსნის ადგილი – მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი (1324-ე მუხლი).

მოხმობილი მაგალითები ნათლად ადასტურებენ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში. თუკი ამას დაემატება სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებული ნორმები განსჯადობასთან დაკავშირებით, აშკარა გახდება, რომ საცხოვრებელი ადგილი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

<sup>338</sup> ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, გვ. 3-27.

# თავი მეექვსე იურიდიული პირები

## § 19. ცნება და ნიშნები

### I. იურიდიული პირის ცნება

სამოქალაქო სამართალში პირთა ორგანიზებული გაერთიანების გამოსახატავად, რომელსაც მართლწესრიგი სამართლის სუბიექტად მიიჩნევს, გამოიყენება იურიდიული პირის ცნება.<sup>339</sup> იურიდიული პირი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლების ერთ-ერთ გამოხატულებას კერძო სამართალში, ასევე პირთა კერძო ავტონომიის ერთ კონკრეტულ შემთხვევას.

იურიდიული პირი არის პოზიტიურ-სამართლებრივი კონსტრუქცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ ადამიანთა ან ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილმა ორგანიზაციულმა წარმონაქმნებმა.

ადამიანთა თუ ქონების გაერთიანების ფორმები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. ყველა ამ გაერთიანებას ცალ-ცალკე რომ მიეცეს სამართლის სუბიექტის სტატუსი, სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით ეს ბევრ პრობლემას შექმნიდა. ამიტომ

<sup>339</sup> ზოგი ქვეყნის სამართალი იყენებს როგორც მორალური პირის (მაგალითად, ავსტრიული და ფრანგული სამოქალაქო კოდექსები), ასევე იურიდიული პირის (გერმანია, შვეიცარია, პოლანდია და ა.შ.) ცნებებს. რუსულ სამართალში, როგორც ეტყობა, ეს ცნება გერმანულის გავლენით შემოვიდა. აი, რას წერდა 1868 წელს პეტერბურგში გამოცემულ სამოქალაქო სამართლის კურსში დ.ი. მეიერი: „Юрилическое лицо называется также нравственным или моральным (persone moralis); но приличнее называть его именно юридическим, потому что самая личность эта создается только во имя права“: Русское гражданское право. Читения Д.И. Мейера. 4-е изд. С. Петербург, 1868. ქართულ ენაში, როგორც ჩანს, ეს ცნება რუსულის გავლენით დამკვიდრდა.

პოზიტიური სამართალი პრაგმატულად უნდა მიუდგეს ამ საკითხს და იურიდიულ პირად, ე.ი. სამართლებრივი ურთიერთობის უფლებათუნარიან მონაწილედ აღიაროს ამ გაერთიანებათა მხოლოდ რამდენიმე ფორმა. რაც უფრო ნაკლებია იურიდიულ პირთა სამართლებრივი ფორმები, მით უფრო უკეთესია სამართლებრივი მოწესრიგების ხელმისაწვდომობისა და სტაბილურობის თვალსაზრისით, ამგვარი მიდგომის საპირისპიროა ზოგი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მიერ იურიდიულ პირთა მრავალრიცხოვანი ფორმების აღიარება.<sup>340</sup> იურიდიულ პირთა მრავალრიცხოვანი სამართლებრივი ფორმების აღიარება სულაც არ ნიშნავს მართლწესრიგის დემოკრატიულობას. პირიქით, ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ კანონმდებელი არასერიოზულად უდგება ამ ურთიერთობათა რაციონალური მოწესრიგების საკითხს და ამით ხელს უწყობს სამართლებრივ გაურკვევლობას.

ცხადია, რომ სამართალი იურიდიულ პირად ყოფნას განსაზღვრულ წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რას მიიჩნევს მოცემული სამართალი იურიდიულ პირად და რა კრიტერიუმებს უწესებს მას. ამასთანავე, იურიდიული პირი არ არის უნივერსალური, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ცნება. მაგალითად, რომის სამართალი საერთოდ არ იცნობდა იურიდიული პირის ცნებას.<sup>341</sup> ის, რომ იურიდიული პირი კანონმდებლის ხელოვნური ქმნილებაა და საკანონმდებლო მიზანშეწონილობას ემყარება, იქიდანაც ჩანს აშკარად, რომ იურიდიულ პირად აღიარებული ორგანიზებული წარმონაქმნები თავისი ხასიათით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან

<sup>340</sup> მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო სამართალში არსებობს არაკომერციული იურიდიული პირების 45-ზე მეტი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ნახეთ: *Лядо Чаптурия*, Организационно-правовые формы корпораций (сравнительно-правовой анализ) в кн.: Ягмыр Нурыев, Лядо Чаптурия (изд.) Право. Экономика. Благополучие Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, Ашхабад, 2010, С. 180-194

<sup>341</sup> იურიდიული პირის ცნების წარმოშობის ისტორია ნახეთ: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 206-210.



და ლოგიკურ სისტემას არ შეადგენენ. ერთ შემთხვევაში პირთა გაერთიანებები (კორპორაციები) მიიჩნევა იურიდიულ პირად, მეორე შემთხვევაში კი — ქონება (ფონდი). ზოგი გაერთიანებები ერთ ქვეყანაში ითვლება იურიდიულ პირად (*მაგალითად*, ღია სავაჭრო საზოგადოებები საფრანგეთში), ხოლო იგივე გაერთიანებები სხვა ქვეყანაში არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (*მაგალითად*, იგივე ღია სავაჭრო საზოგადოებები გერმანიაში).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იურიდიული პირი არის აბსტრაქტული ცნება, რომელსაც ყოველი კონკრეტული მართლწესრიგი ნორმატიულად განამტკიცებს. ნორმატიული განმტკიცება არ ნიშნავს ყოველთვის იურიდიული პირის დეფინიციის დადგენას კანონით. ბევრი ქვეყანა ასეთ ლეგალურ დეფინიციას საერთოდ არ იცნობს, თუმცა იურიდიული პირის კონსტრუქცია იქ უდავოდ არის აღიარებული.<sup>342</sup>

იურიდიული პირის საკანონმდებლო დეფინიცია, რომელიც 24-ე მუხლის პირველ ნაწილშია განმტკიცებული, ემყარება, როგორც სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევებს, ასევე იურიდიული პირის საერთაშორისოდ აღიარებულ ნიშნებს. მის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

## II. იურიდიული პირის ნიშნები

მართალია, 24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დეფინიცია არ არის ამომწურავი, მაგრამ იგი მთლიანობაში შეიცავს

<sup>342</sup> *მაგალითად*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არ არის იურიდიული პირის დეფინიცია.

იურიდიული პირის ძირითად ნიშნებს და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ შეხედულებას და მოქმედ კანონმდებლობას იურიდიული პირების შესახებ.<sup>343</sup>

## 1. იურიდიული პირი, როგორც ორგანიზებული წარმონაქმნი

ყოველი იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პირთა ანდა ქონების გაერთიანების შედეგადაა აღმოცენებული. მაშინაც კი, როცა იურიდიული პირი ერთი პირის მიერ იქმნება, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), იგი მაინც ორგანიზებული წარმონაქმნია. ეს ნიშანი რამდენიმე გარემოებას გულისხმობს.

იურიდიული პირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. განსაკუთრებით ეხება ეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ გამოიყენება სამართლებრივ ფორმათა ამომწურავი ჩამონათვალის, ე.წ. **numerus clausus** პრინციპი.

ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ასევე კანონით განსაზღვრული საორგანიზაციო სტრუქტურები — მართვის ორგანოები. სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით ახორციელებს იურიდიული პირი თავის საქმიანობას.<sup>344</sup>

<sup>343</sup> დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, როგორც წესი, იურიდიული პირის ლეგალურ ღეფინიციას არ შეიცავენ. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების სამართალს აინტერესებს არა ღეფინიცია, არამედ ამ სუბიექტების რეალური შინაარსი, უფრო ზუსტად, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ, როგორც სწორად იყო ქართული სამართლის მეცნიერებაში აღნიშნული, იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია მიმობნეული და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ: *ხეცურიანი გონი*, იურიდიული პირის ძირითადი საკითხები. კრებულში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1984 წ., გვ. 195-196.

<sup>344</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებში იურიდიული პირის ეს ნიშანი კრიტიკის საგანი გახდა. ვფიქრობ, რომ კრიტიკის მიზეზი მხოლოდ გაუგებრობა იყო: თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მართვის ორგანოებით, ამ ორგანოების შექმნის წესით და ა.შ. იურიდიული პირი ყოველთვის არის ორგანიზებული წარმონაქმნი.

## 2. განსაზღვრული მიზანი

განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთ კონსტიტუტიური ნიშანია. იურიდიული პირის დამფუძნებლები ყოველთვის რაღაცის მიღწევას ისახავენ მიზნად და ამისთვის საჭიროებენ ამ ნორმატიულ-სამართლებრივ კონსტრუქციას. ამ მიზნის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და იურიდიული პირის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მიზანი. სამართლებრივად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის შექმნა კომერციული (მოგების მიღება) თუ არაკომერციული (იდეალური მიზანი) მიზნებისთვის. ამგვარი დაყოფა სამართლებრივად რელევანტურია იმიტომ, რომ კანონმდებლობა განსაზღვრულ შეზღუდვებს აწესებს სამართლებრივი ფორმების არჩევისას. მაგალითად, არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება შეიქმნან მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის.

24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული მიზანი უფრო ვიწროა და გულისხმობს იურიდიული პირის შემქმნელთათვის რელევანტურ მიზანს, კონკრეტულად იმას, თუ რისთვის იქმნება ეს სუბიექტი, რისთვის სურთ დამფუძნებლებს თავიანთი ქონების თუ პირადი ღვაწლის გამოყენება.

მიზნის ეს დეფინიცია არ არის სპეციალური უფლებაუნარიანობის განმსაზღვრელი და არც იურიდიული პირის, როგორც მიზნობრივი ქონების, თეორიის გამოხატულება. იურიდიული პირის მიზნის ან საქმიანობის საგნის განსაზღვრას აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის დამფუძნებლებისა და მართვის ორგანოებისთვის. მესამე პირებთან ურთიერთობაში მას რაიმე ფუნქცია არ ეკისრება.

## 3. საქმიანობის ვადა

იურიდიული პირის მიზანი არ უნდა იყოს ერთჯერადი, ერთი მოქმედებით მისაღწევი. იგი უნდა მოითხოვდეს ამ ორგანიზებული

წარმონაკმნის არსებობას **ხანგრძლივი ვადით**, ე.ი. მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ორგანიზებული წარმონაკმნის ხანგრძლივობა შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან. კანონი სამართლიანად არ განსაზღვრავს ამ ვადის ხანგრძლივობას. „ვადის ხანგრძლივობა“ გამოიყენება არა კონკრეტული კალენდარული ვადის აღსანიშნავად, არამედ იმ განზრახვის გამოსახატავად, რომელიც საფუძვლად უდევს იურიდიული პირის შექმნას და მის საქმიანობას. მაგალითად, რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად საერთო სახლის მშენებლობა და ამ მიზნით ფინანსების გაერთიანება ფორმალურად თუმცა შეიცავს 24-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ მას სწორედ ხანგრძლივობის განზრახვა აკლია.

#### 4. საკუთარი ქონება

იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია **საკუთარი ქონების ქონის უნარი**. ფაქტობრივად აქვს თუ არა იურიდიულ პირს ქონება, არ არის გადამწყვეტი. მთავარია, რომ ეს ქონება განცალკევებული იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. **იურიდიული პირი ამ ქონების მესაკუთრეა**. თვითონ იურიდიული პირი კი არავის საკუთრება არ არის. იურიდიული პირის ქონება არც დამფუძნებლების ან მასში მონაწილეთა საერთო საკუთრებაა. მათი საკუთრება მხოლოდ ამ იურიდიული პირის წილები ან აქციებია. მაშინაც კი, როცა საუბარი საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა, ქონების მესაკუთრედ მაინც იურიდიული პირი გამოდის. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი მესაკუთრეა იმ ქონების, რომელიც მას სახელმწიფოსგან აქვს გადაცემული. თუმცა ამ უნივერსიტეტის ძირითადი განმკარგავი სახელმწიფოა, იგი მისი „მესაკუთრე“ მაინც არ არის. სახელმწიფოს შეუძლია კანონით დადგენილი წესით გარდაქმნას ან ლიკვიდაცია გაუკეთოს უნივერსიტეტს, მაგრამ „მესაკუთრის“ ცნების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივად არაკორექტულია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მესაკუთრე ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს სახელმწიფო.

## 5. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა

დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. უზოგადესი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით. თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისები სოლიდარული პასუხისმგებლობის ან კომანდიტური საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობის სახით.

იურიდიული პირის ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპიდან ეს გამონაკლისი ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ იურიდიული პირი არის ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია და მასში კანონმდებელი იმ შინაარსს დებს, რომელიც გარემოებათაგან გამომდინარე რაციონალური და მიზანშეწონილია. მაგრამ რაც აუცილებელია ამ ნიშნის დახასიათებისას, ესაა იურიდიული პირის დამფუძნებლების ან მონაწილეთა პირადი ქონებისაგან განცალკევებული ქონების არსებობა და უნარი, იყოს იურიდიული პირი ამ ქონების მესაკუთრე. მის გარეშე არ შეიძლება იურიდიული პირი რეალურად არსებობდეს.

## 6. საკუთარი სახელი

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლების მიზნით და სხვა მონაწილეთაგან განსხვავების უზრუნველსაყოფად იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი. ეს ნიშანი ანიჭებს მას შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე, ე.ი. იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს.

საკუთარი სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იურიდიული პირის დახასიათებისას. მისი მეშვეობით ხდება სამართლის ამ სუბიექტის ინდივიდუალიზება და იდენტიფიკაცია. პირადი

არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში სამოქალაქო სამართალი მას მნიშვნელოვან შედეგებსაც უკავშირებს.

სახელის ტარება იურიდიული პირის არა მხოლოდ უფლება, არამედ მისი მოვალეობაც არის. არ შეიძლება არსებობდეს იურიდიული პირი სახელის გარეშე (მაგალითად, 27-ე მუხლის პირველი ნაწილი), ისევე როგორც ადამიანი არ შეიძლება არსებობდეს უსახელოდ.

## 7. სახელმწიფო რეგისტრაცია

სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას უკავშირებს რეგისტრაციის ფაქტს. ამიტომ იურიდიული პირების რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს: იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან (28-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად კი ითვლება მისი განთავსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე (28-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

კერძო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (28-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იურიდიული პირების რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას (28-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომელიც ერთდროულად ხორციელდება.

## 8. საკანონმდებლო ლეგიტიმაცია

ყველა ზემოთ განხილული ნიშანი შეიძლება ახასიათებდეს ნებისმიერ ორგანიზებულ წარმონაქმნს, მაგრამ არ იყოს იურიდიული პირი. მაგალითად, როცა რამდენიმე პირი გადაწყვეტს სახლის აშენებას, გარეგნულად ეს არის ორგანიზებული წარმონაქმნი. ისინი აგროვებენ ფულს, რათა მოძებნონ მშენებელი და შეუკვეთონ მას სახლის აშენება, ე.ი. ამ გაერთიანების სახელით იღება ხელშეკრულებებიც (მაგალითად, ნარდობის). გარეგნულად იურიდიული პირის ყველა ნიშანი არსებობს. მაგრამ ასეთი გაერთიანება არ იქნება იურიდიული პირი, რამეთუ არ შეესაბამება იურიდიულ პირთა იმ ჩამონათვალს (კატალოგს), რომელსაც კანონმდებლობა ადგენს. აქედან გამომდინარე, **იურიდიული პირის არსებობის ფუძემდებლური წინაპირობა მაინც საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა.** თუ მოქმედი კანონმდებლობა არ მიიჩნევს ამა თუ იმ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, იგი არ იქნება იურიდიული პირი.

## § 20. თეორიები იურიდიული პირის შესახებ

იურიდიული პირის შესახებ თეორიები არსებითად გერმანულ სამართლის მეცნიერებაში წარმოიშვა. ფაქტობრივად გერმანელი მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები გავრცელდა იმ ქვეყნებშიც, რომელთა კანონმდებლობაც არ იცნობდა იურიდიული პირის სტატუსს (მაგალითად, საფრანგეთი, ავსტრია). იურიდიული პირის თაობაზე გამართულ დისკუსიებში ეს თეორიები დღემდე წარმოადგენს განხილვის საგანს. ამიტომაც მიზანშეწონილია მათი მოკლედ განხილვა.

### I. ფიქციის თეორია

სამოქალაქო სამართალში ცნობილია ე.წ. ფიქციის თეორია, რომლის ფუძემდებლადაც ითვლება გერმანელი მეცნიერი სავინი. მან ეს მოძღვრება ცნობილ ნაშრომში „რომის სამართლის სისტემა“ (ტ. II) ჩამოაყალიბა. იურიდიული პიროვნულობა (ჯურისტისცპე ერს ნლიცკჰეიტ) ნიშნავს უფლებაუნარიანობას კერძო სამართლის ფარგლებში. მაგრამ ასეთი უნარი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს – ფიზიკურ პირს. მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნება, პირი. მაგრამ სამართალს აქვს შესაძლებლობა ეს უნარი განსაზღვრულ სოციალურ წარმონაქმნებზე, როგორცაა: სახელმწიფო, თემები, საამქროები (ძ ნფტე) გაავრცელოს და ეს ზდება იმისთვის, რომ მათ გაუადვილოს „თავისუფალი საქმიანობა“, დაეხმაროს დასახული მიზნების მიღწევაში.<sup>345</sup>

სავინის თანახმად, ლაპარაკია უფლებაუნარიანობის ტექნიკურ გადატანაზე ფიქციის მეშვეობით. იმავდროულად, ეს ფიქცია არ უზრუნველყოფს პირთა გაერთიანებების ავტომატურ თანასწორუფლებიანობას ფიზიკურ პირებთან: ამგვარი წარმონაქმნების უფლებაუნარიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ქონებრივი სფეროთი. ამით იურიდიული პირი არის „ქონებაუნარიანი, ხელოვნური სუბიექტი“.<sup>346</sup> უფლებაუნარიანობის ამგვა-

<sup>345</sup> Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts. Bd. II, Berlin: Veit, 1840-1849, S. 239. უთითებ კონინგის მიხედვით, გვ. 339: Coing Helmut, Europäisches Privatrecht, Bd. II, Beck, München, 1989, S. 339. (შემდგომში - Coing, Bd. II).

<sup>346</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. II, S. 239.



რი „გავრცელება“ სოციალურ წარმონაქმნებზე შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ნორმის ან სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე.

ეს ხელოვნური სუბიექტი – იურიდიული პირი ადამიანისაგან იმითაც განსხვავდება, რომ იგი არ არის ქმედუნარიანი. მას სჭირდება წარმომადგენელი ისევე, როგორც არასრულწლოვან ბავშვს: რადგანაც ბუნებრივი გაგებით იურიდიული პირი არაა ქმედუნარიანი, ის არც დელიქტუნარიანია.<sup>347</sup>

სავინის „ფიქციის თეორია“ სამართლის მეცნიერებაში არასწორად იქნა გაგებული. კამათი გამოიწვია იმან, თუ რას მიიჩნევდა სავინი ფიქციად – არსებულ სოციალურ წარმონაქმნებს, თუ მათ აღიარებას პირად, სამართლის სუბიექტად? ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გერმანელი იურისტის ფლუმეს სტატია, რომელმაც ბევრ ბუნდოვან კითხვაზე გასცა პასუხი და, ჩემი აზრით, სავინის მოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე სწორ ინტერპრეტატორად შეიძლება ჩაითვალოს. რამდენიმე ადგილი ამ საყურადღებო ნაშრომიდან შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად გავერკვეთ ფიქციის თეორიაში და, კონკრეტულად კი – მის სავინისეულ გაგებასა და იმ გაგებას შორის, რომელიც მოგვიანებით ვინდშიაიდის სახელს დაუკავშირდა.

გერმანულ მეცნიერებაში არსებობდა მოსაზრება, რომელიც სავინის მიაწერდა აზრს, თითქოს მას ეჭვქვეშ დაეყენებინოს ამ სოციალური წარმონაქმნების არსებობა და ამიტომაც შემოეღოს ფიქციის ცნება. ფლუმე ილაშქრებს ამ შეხედულების წინააღმდეგ და ამბობს: „არასწორია, რომ სავინის ფიქციად მიუჩნიოს ის წარმონაქმნები, რომლებიც სამართლის მიხედვით იურიდიულ პირებს წარმოადგენენ“;<sup>348</sup> „სავინის საერთოდ არ დაუსვამს კითხვა მათი რეალურობის შესახებ, რომლებიც იურიდიული პირის თვისებას იღებენ“.<sup>349</sup> „თუ რამდენად რეალურია იურიდიული პირები სავინისთვის, უწინარეს ყოვლისა, იქიდან გამომდინარეობს, რომ მისთვის სახელმწიფოც იურიდიული პირია. სავინის მიხედვით, „იურიდიულ პირებს შორის ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ხაზინა, ე.ი. თვითონ სახელმწიფო, როგორც კერძო სამართლებრივი

<sup>347</sup> Coing, Bd. II, S. 340; Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. II, S. 318.

<sup>348</sup> Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, in Festschrift für Franz Wicacker zum 70. Geburtstag, Vanderhoeck & Ruprecht, Göttingen, 1978, S. 342.

<sup>349</sup> Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 342.

ურთიერთობების სუბიექტი“ აბსურდია იმის ვარაუდი, რომ სავინი სახელმწიფოს რეალობად არ თვლიდეს, არამედ ფიქციად“.<sup>350</sup> ამრიგად, სავინის მიხედვით, ფიქცია არის ის, რომ მხოლოდ ადამიანის უნარი, იყოს პიროვნება, გადაგვაქვს სხვა სოციალურ წარმონაქმნებზე, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან პიროვნებები და უფლებბუნარიანი არსებები, ე.ი. ხელოვნურად ვქმნით მათ. მაშასადამე, სავინის თანახმად, სოციალური წარმონაქმნები რეალურად არსებობენ (ისინი არ არის ფიქცია), მხოლოდ მათთვის პირად (პიროვნებად) ყოფნის სტატუსის მინიჭებაა ფიქცია.

ამის საზგასმა აუცილებელია იმისთვის, რომ სავინის ფიქციის თეორია განვასხვავოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული ფიქციის თეორიისაგან, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ორგანიზაციების, სოციალური წარმონაქმნების რეალურ არსებობას და ამიტომ მათ არსებობას მიიჩნევდა ფიქციად, ე.ი. ამ ავტორების თანახმად, საერთოდ იურიდიულ პირს აკლია რეალობა. მაგალითად, მეორე დიდი გერმანელი იურისტის პუნტას აზრით, იურიდიული პირის დროს „თვით სუბიექტს აკლია ბუნებრივი ყოფიერება“.<sup>351</sup> ყველაზე ნათლად ეს შეხედულება მაინც კიდევ ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ვინდშაილმა ჩამოაყალიბა. მისი აზრით, იურიდიული პირი არის მოჩვენებითი სუბიექტი: რამეთუ შეუძლებელია უფლებების არსებობა სუბიექტის გარეშე, საკანონმდებლო ტექნიკას სჭირდება ასეთი სუბიექტის შექმნა. ამდენად, ვინდშაილის თანახმად, თვით იურიდიული პირის არსებობაა ფიქცია.<sup>352</sup> იურიდიული პირის რეალურად არსებობას უარყოფს ნორმატივიზმის ფუძემდებელი ავსტრიელი იურისტი კელზენიც. მისთვის იურიდიული პირი სხვა არაფერია, თუ არა მართლწესრიგის ნაწილის პერსონიფიცირება.<sup>353</sup>

სავინისაგან განსხვავებით ვინდშაილი და დერნბურგი იურიდიულ პირს მიაწერენ დელიქტუნარიანობას.<sup>354</sup> კიდევ ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ციტელმანმა შემოიღო ე.წ. სამართლებრივი ნებაუნარიანობის ცნება. მისი აზრით, მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ნება და მისი გამოხატვის უნ-

<sup>350</sup> *Flume*, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 343-344.

<sup>351</sup> *Coing*, Bd. II, S.340.

<sup>352</sup> *Flume*, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 354.

<sup>353</sup> *Kelsen*, Allgemeine Staatslehre, Berlin, Springer, 1925, S. 66 ff.

<sup>354</sup> *Windscheid Bernhard*, Lehrbuch des Pandektenrechts, 7. Aufl. Bd. I, Frankfurt a.M.: Rütten & Loening, 1891, S. 168; *Dernburg Heinrich*, Pandekten, 3. Aufl., Bd. I, Berlin: H.W. Müller, 1892, S. 151. კუთითებ: *Coing*, Bd. II, S.341.

არი, ამიტომ იურიდიულ პირებთან კავშირში საქმე გვაქვს არა ბუნებრივ ნებაუნარიანობასთან, არამედ „სამართლებრივ ნებაუნარიანობასთან“.<sup>355</sup>

ამ ცვლილებებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, ფიქციის თეორია მთელი XIX საუკუნის განმავლობაში პანდექტურ მეცნიერებაში გაბატონებული იყო. უფრო მეტიც, ეს თეორია თანამედროვე სამართალშიც იურიდიული პირის არსის განსაზღვრის ერთ-ერთ ძირითად თეორიად ითვლება.<sup>356</sup>

## II. რეალური კავშირის თეორია

რეალური კავშირის თეორია წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფიქციის თეორიის საპირისპიროდ და გერმანელი იურისტის გირკეს სახელთანაა დაკავშირებული. რეკოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს თეორია ცნობილი იყო „სოციალური ორგანიზმების“ თეორიის სახელით.<sup>357</sup> გერმანულად მას ეწოდება *realc Verbandspersönlichkeit*.

ფიქციის თეორიისაგან განსხვავებით, გირკეს თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანური გაერთიანებები (კავშირები) რეალურად არსებობენ. გირკე უთითებს ამ გაერთიანებათა დიდ სოციალურ მნიშვნელობაზე. მისი აზრით, ყოველი ადამიანი თვლის თავს ამა თუ იმ კავშირის — რელიგიური გაერთიანების ან მთლიანად ერის — წევრად. ამ კავშირებს თეორიის ავტორი მიიჩნევს „ორგანიზმებად“. ძირითადი თეზის თანახმად, „იგივე კავშირები წარმოადგენენ ნებისა და მოქმედების სუბიექტს. გირკესთვის ეს ნიშნავს, რომ კავშირები თვითონ ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და არა წარმომადგენლების მეშვეობით, როგორც ეს იურიდიული პირის შესახებ რომანულ მოძღვრებას ესმოდა, რომელიც იურიდიულ პირს უთანაბრებდა არასრულწლოვან ბავშვს იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა ნებაუნარიანობა.“<sup>358</sup>

<sup>355</sup> *Zitelmann Ernst*, Begriff und Wesen der sogenannten juristischen Person, Leipzig, 1873, § 23.

<sup>356</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, § 9 I, Rn. 7.

<sup>357</sup> Энциклопедия права. Проф. Университета св. Владимира Е.Н. Трубецкого. 1901. репринтное издание. Нью-Йорк. 1982. С. 207.

<sup>358</sup> *Coing*, Bd. II, S.341; *Flume*, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 355.

კავშირს სჭირდება სპეციალური, მისი არსებისთვის შესაბამისი და ინდივიდების სამართლისაგან განსხვავებული წესრიგი. ამ წესრიგის აღსანიშნავად გირკე იყენებს სოციალური სამართლის ცნებას. სამართლებრივი აქტები, რომლებიც კავშირის ცხოვრებას განსაზღვრავენ, უნდა განვასხვავოთ კერძო სამართლის აქტებისაგან. კავშირის დაფუძნება არ არის ხელშეკრულება, არამედ „ერთობლივი აქტი“ (ესამტაკტ), მისი ორგანოების საქმიანობა კი არ არის წარმომადგენლობა; ამკარაა, რომ ეს „უხილავი კავშირი-პიროვნება განმზოციელებელი და შერაცხადი, სურვილების მქონე და მოქმედი ერთეულია“.<sup>359</sup>

### III. მიზნობრივი ქონების თეორია

პანდექტური სამართლის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს, შეიმუშავა იურიდიული პირის მესამე თეორია, რომელიც იურიდიული პირის საკითხის განხილვისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა პირთა გაერთიანებას, არამედ ქონებას. ამ თეორიის თანახმად, იურიდიულ პირზე ლაპარაკისას გადამწყვეტია ქონება, რომელიც განსაზღვრული მიზნისთვის არის გათვალისწინებული. ამისთვის სრულიადაც არ არის აუცილებელი პირის არსებობა. შეიძლება არსებობდეს უფლებები სუბიექტის გარეშე. ამ მოძღვრების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება გერმანელი მეცნიერი ბრინცი.<sup>360</sup>

### IV. იურიდიული პირის შესახებ თეორიების გავრცელება

პანდექტური სამართლის მეცნიერებაში წარმოშობილი თეორიები იურიდიული პირის შესახებ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ზოგან უცვლელად, ზოგან კი ზოგიერთი მოდიფიკაციით. ავსტრიასა და შვეიცარიას გერმანულ თეორიებში პრაქტიკულად არაფერი შეუცვლიათ.

აღნიშნული თეორიების გვერდით საფრანგეთშიც განვითარდა ცალკე თეორია, ე.წ. კოლექტიური საკუთრების თეორია, რომელიც ცდილობს

<sup>359</sup> Gierke, Otto von, Das Wesen der menschlichen Verbände. Rektoratsrede von der Universität Berlin am 15. Oktober 1902, Darmstadt, 1954, S. 30.

<sup>360</sup> Brinz Alois, Lehrbuch der Pandekten, 2. Aufl. Bd. I-IV. Erlangen: Deichert, 1873-1893. Bd. I, § 59. vutitcb: Coing, Bd. II, S.343.

იურიდიული პირის არსი ახსნას საერთო საკუთრების პოზიციებიდან. მის საფუძველს შეადგენს ქონება, რომელიც განსაზღვრული მიზნისთვის არის გათვალისწინებული და ორგანიზაციის, როგორც კოლექტივის, საკუთრებაში იმყოფება.

XIX საუკუნის იტალიაშიც იყო დიდი დისკუსია იურიდიული პირის გამო. მნიშვნელოვანია იტალიელი მეცნიერის **ფერერას** როლი, რომელმაც იურიდიული პირი ორგანიზაციების მოწესრიგების, სამართლით განმტკიცებულ, ერთ-ერთ ფორმად აღიარა.

ამ მცირედი განსხვავებების მიუხედავად, მოძღვრებამ იურიდიული პირის შესახებ თითქმის უსიტყვოდ დაიკავა თავისი მყარი ადგილი თანამედროვე სამოქალაქო სამართალში. ამიტომ განხილულ თეორიებს უმთავრესად მნიშვნელობა აქვთ იურიდიული პირის ცნების ისტორიის განხილვის თვალსაზრისით. მათ დაკარგეს აქტუალობა, ვინაიდან იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, უკვე არავითარ დავას არ იწვევს.

## § 21. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, რომლის ერთიან ცნებას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსი, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული იმის მიხედვით, კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გვაქვს საქმე.<sup>361</sup> კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ გამოიყენება **ზოგადი უფლებაუნარიანობა**, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ – **სპეციალური უფლებაუნარიანობა**.

### I. კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობა

**ზოგადი უფლებაუნარიანობის** თანახმად, იურიდიული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და არაა აუცილებელი, რომ ეს ურთიერთობები წესდებით იყოს განსაზღვრული. 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არა-სამეწარმეოს (არაკომერციულს) უფლება აქვს განაზოციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

<sup>361</sup> იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის სამართალი განსხვავებულად წყვეტს. ეს ეხება არა მხოლოდ განსხვავებული სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებს, არამედ თვით კონტინენტური ევროპის სამართლის წარმომადგენელ სახელმწიფოებსაც. გერმანული სამართლის წრის ქვეყნები (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) აღიარებენ იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპს და ამით მას პრაქტიკულად ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობასთან აიგივებენ. ინგლისურ-ამერიკული სამართლის ქვეყნები, ასევე კონტინენტური სამართლის ზოგი ქვეყანა, მაგალითად, საფრანგეთი, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლებს ზღუდავენ მხოლოდ წესდებით ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნებით. ამით ამ ქვეყნების სამოქალაქო სამართალი, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მსგავსად, განამტკიცებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს.

თუ სადამფუძნებლო დოკუმენტებში საქმიანობის საგნის განსაზღვრას არა აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის საქმიანობის შეფასებისათვის, მაშინ რატომ მოითხოვს მოქმედი სამართალი (მაგალითად, 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტი) საქმიანობის მიზნის ფიქსირებას? იწვევს თუ არა საქმიანობის მიზნის საწინააღმდეგოდ მესამე პირებთან გარიგების დადება ამ გარიგების ბათილობას? ესაა ის კითხვები, რომლებიც ზოგადი უფლებაუნარიანობის განხილვისას იბადება და მათზე კითხვების გაცემა აუცილებელია.

**საქმიანობის მიზნისა და საგნის** განსაზღვრა იურიდიული პირის დამფუძნებელ დოკუმენტებში მნიშვნელოვანია შიდა ურთიერთობების მოწესრიგებისათვის. კერძოდ, საქმიანობის საგნის განსაზღვრით იურიდიული პირის დამფუძნებლები თანხმდებიან იმაზე, თუ რა მიზნის მისაღწევად ახორციელებენ ისინი ინვესტიციას. გარდა ამისა, საქმიანობის საგანი უდგენს იურიდიული პირის ხელმძღვანელს ქონების გამოყენებისა და განკარგვის ფარგლებს. თუკი ის ამ ქონებას გამოიყენებს დადგენილი მიზნების საწინააღმდეგოდ, მაშინ მან იურიდიულ პირს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. აქედან გამომდინარე, **იურიდიული პირის საქმიანობის განსაზღვრას პირდაპირი გავლენა უფლებაუნარიანობაზე არა აქვს.**

საქმიანობის საგნისა და მიზნების განსაზღვრისას საყურადღებოა ის, თუ რა გავლენას ახდენს მათი დარღვევა მესამე პირებთან დადებულ გარიგებებზე. ზოგადი უფლებაუნარიანობა სწორედ ამ ასპექტით არის საყურადღებო. მესამე პირებთან დადებული გარიგება, თუნდაც ის არღვევდეს წესდებით განსაზღვრულ საქმიანობის საგანს, **ნამდვილია.** სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი.

მაგალითად, თუკი თვითმფრინავების ქარხანამ დაიწყო ავტომანქანების წარმოება და მათი რეალიზაცია ისე, რომ ამის შესახებ წესდებაში ცვლილებები არ შეუტანია, ავტომანქანების წარმოებისა თუ რეალიზაციის გამო დადებული გარიგებები იქნება ნამდვილი. მაგრამ თუკი ამით ზიანი მიაღდა ქარხანას, დამფუძნებლებს შეუძლიათ ქარხნის ხელმძღვანელობას ზიანის ანაზღაურება მოსთხო-

ვონ, ვინაიდან მან გადააჭარბა წესდებით დადგენილ საქმიანობის ფარგლებს.

სამოქალაქო სამართლისთვის ეს ნიშნავს, რომ წესდების მიზნების საპირისპიროდ დადებული გარიგება არ მიიჩნევა ბათილად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი წესდებას ეწინააღმდეგება. ბათილობის საფუძველი აქ უფრო შეიძლება იყოს ის, რომ ხელმძღვანელმა, ვთქვათ, გადააჭარბა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამიტომ ამას უწოდებენ „ხელმძღვანელობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას“<sup>362</sup> და არა სპეციალურ უფლებაუნარიანობას.

ზოგადი უფლებაუნარიანობა, გარდა ამისა, ნიშნავს, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს მესაკუთრე როგორც ნივთების, ისე უფლებებისა და მოთხოვნების, მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, კომერციული იურიდიული პირების პარტნიორი და ა.შ. ე.ი. მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელსაც კანონი იურიდიულ პირებს არ უკრძალავს.<sup>363</sup>

სამოქალაქო კოდექსმა, უფრო ადრე, მეწარმეთა შესახებ კანონმა განამტკიცეს კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი. ტოტალიტარული წყობილებიდან გამოსულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც ძველი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელ სულისკვეთებას შეზღუდავენ.<sup>364</sup>

<sup>362</sup> მაგალითად, ეს მოსაზრებაა განმტკიცებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ კომენტარში: *Soergel/Hadding*, (2000), Vor. § 21, Rn. 24.

<sup>363</sup> სწორად აღნიშნავენ ავსტრიელი იურისტები, რომ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პარტნიორს დამატებით მოუწევდა თავისი კონტრაქტის წესდების შემოწმება და იმის დაზუსტება, შეუძლია თუ არა მის კონტრაქტს ამ ხელშეკრულების დადება: *Koziol/Welser*, Grundriß des bürgerlichen Rechts, Bd. I, (2006), S. 70 ff.

<sup>364</sup> სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან ქართულ სამართალსაც მემკვიდრეობით გადმოჰყვა, სამოქალაქო სამართლისთვის პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა არც ჰქონია. სამაგიეროდ მას მაკონტროლებელი ორგანოები იყენებდნენ. ხშირად პარადოქსული მდგომარეობაც კი იქმნებოდა.



ამრიგად, ზოგადი უფლებაუნარიანობა იცავს ბაზრის სტაბილურობას და იურიდიული პირების მიერ დადებულ გარიგებებს არ მიიჩნევს ბათილად იმის გამო, რომ ისინი წესდებით განსაზღვრულ მიზნებს ეწინააღმდეგება.

სამართლებრივი პრაქტიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია იმ გარიგებათა ბედი, რომლებიც ისეთ საქმიანობას ეხება, რომლისთვისაც იურიდიულ პირს მოეთხოვება **ლიცენზია/ნებართვა ან ავტორიზაცია** (25-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სამოქალაქო კოდექსის ამ ნორმის თანახმად, ზოგიერთი საქმიანობა იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ეს საჯარო-სამართლებრივი აკრძალვაა და, თუკი იურიდიული პირი მას დაარღვევს, ამისთვის მას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. მაგრამ რა ბედი ეწევა იმ გარიგებებს, რომლებიც მესამე პირებთან დაიდო? *მაგალითად*, თუკი რესტორანმა ლიცენზიის გარეშე გაუწია კლიენტებს მომსახურება ან ავიაკომპანიამ მგზავრები გადაიყვანა ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ, უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ხელშეკრულებები ბათილად?

განსხვავებით დსთ-ს მოდელური და მის საფუძველზე მიღებული სხვა სამოქალაქო კოდექსებისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ლიცენზიის გარეშე დადებული გარიგებების ბათილობას პირდაპირ არ განამტკიცებს<sup>365</sup> და სწორადაც იტყვევს. თუმცა ასეთი გარიგების ბათილობა შესაძლებელია 54-ე მუხლის საფუძველზე იქნეს დადგენილი. ქართული სასამართლო პრაქტიკა იყენებს ამ ნორმას და მასზე დაყრდნობით სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებულ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას ბათილად მიიჩნევს.<sup>366</sup>

*მაგალითად*, თუ იურიდიულ პირს წესდებაში არ ეწერა, რომ მას უფლება აქვს ბანკში გახსნას ანგარიში, ბანკი ანგარიშს არ უხსნიდა.

<sup>365</sup> *მაგალითად*, ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის მე-11 მუხლის მიხედვით იურიდიული პირის მიერ დადებული გარიგება, რომელიც არ შეესაბამება წესდების მიზნებს ან ულიცენზიოდ არის დადებული, მიიჩნევა ბათილად.

<sup>366</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 11.

ხელშეკრულებათა კონტრაქტები, რომელთაც არ იცინან და არც შეიძლებოდათ სცოდნოდათ ლიცენზიის არარსებობის შესახებ და კეთილსინდისიერად დადეს ხელშეკრულებები, ამით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ისინი არც იყვნენ ვალდებულნი, რომ შეემოწმებინათ ლიცენზიის არსებობა. ეს ყოველივე წარმოშობს სამართლებრივი არასტაბილურობის საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ლიცენზირების წესის დარღვევით დადებული გარიგებები მესამე პირებისთვის ნამდვილად უნდა იქნეს მიჩნეული. თუკი ამ გარიგებათა შესრულება შეუძლებელია ლიცენზიის არარსებობის გამო, მაშინ იურიდიულ პირს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიიღო ამ იურიდიულმა პირმა საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზია თუ არა. უფლებაუნარიანობა ერთ-ერთი წინაპირობაა იმისთვის, რომ იურიდიულმა პირმა ასეთი ლიცენზია მიიღოს.

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის განხილვისას აუცილებელია იმის ხაზგასმვა, რომ მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, ერთდროულად წარმოიშობა.

## II. საჯარო სამართლის იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობა

თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა ზოგადია, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა სპეციალურია. 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

სამოქალაქო კოდექსის ეს დებულება განმტკიცებულია ასევე კანონში საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ,

რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა (მე-2 პუნქტი).

ზოგადი უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, სპეციალური უფლებაუნარიანობის დარღვევით დაღებულ გარიგებები ბათილია და მესამე პირს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები. მის მიმართ არ გამოიყენება ნორმები კეთილსინდისიერი შეძენის შესახებ (კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი). მაგალითად, თუკი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გაყიდის ბანკის ავტომანქანას სახელმწიფოს სპეციალური ნებართვის გარეშე, ასეთი ნასყიდობა იქნება ბათილი და ის სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

მართალია, კანონმდებლობა პირდაპირ განამტკიცებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლების გადაცილებით დაღებული გარიგებების ბათილობას, მაგრამ სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ნორმა უდავო როდია. საიდან უნდა სცოდნოდა გარიგების კონტრაქტს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი აჭარბებდა თავის უფლებამოსილებას, როცა მასთან დებდა ხელშეკრულებას? ცხადია, რომ ამ შეზღუდვით ხელშეკრულების მონაწილე კონტრაქტები ზარალდებიან და ბაზრის სტაბილურობაც ეჭვქვეშ დგება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის ხასიათს მათ მიერ განხორციელებული ამოცანების ბუნება განსაზღვრავს, ხოლო რაც შეეხება უფლებაუნარიანობის მოცულობას, იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოცემულ სპეციალურ აქტზე, რომელიც ამტკიცებს ამ სუბიექტების საქმიანობის მიზნებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების არც შექმნა და არც მათი საქმიანობა კერძო სამართლის, მათ შორის სამოქალაქო სამართ-

ლის მოწესრიგების სფეროს არ შეადგენს. ეს საჯარო სამართლის საქმეა.<sup>367</sup> მაგრამ კერძო სამართალი აღიარებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

რაც შეეხება მათი უფლებაუნარიანობის მოცულობას, მას განსაზღვრავს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ, ან სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტი ანდა სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები განსაზღვრავენ.

მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მისი მიზანი სამეცნიერო საქმიანობა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაა. შეიძლება თუ არა მან განახორციელოს კომერციული საქმიანობა? სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც იგი შეიქმნა. ამიტომ კომერციული საქმიანობის სფეროში დადებული გარიგებები ბათილად ჩაითვლება, თუკი ისინი სახელმწიფო სპეციალური ნებართვის გარეშეა შესრულებული.

<sup>367</sup> ამას აწესრიგებს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

## § 22. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა და იურიდიული პირის წარმოშობა

ცხადია, რომ იურიდიულ პირს, განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, თვითონ არ შეუძლია მოქმედებების განხორციელება.<sup>368</sup> ამისთვის აუცილებელია ფიზიკური პირები, რომლებიც იურიდიული პირის სახელით განახორციელებენ შესაბამის მოქმედებებს. ისტორიულად ამის აუცილებლობამ წარმოშვა ე.წ. წარმომადგენლის თეორია, რომელსაც საფუძვლად დაედო მინდობილობის ცნობილი მოძღვრება — **mandataires**.<sup>369</sup> იმის გამო, რომ იურიდიული პირების წარმოდგენა საგარეო ურთიერთობებში უფრო რთულად ხორციელდება, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული წარმომადგენლობის მეშვეობით, დროთა განმავლობაში წარმოიშვა ე.წ. ორგანული თეორია, რომლის თანახმად იურიდიული პირის ქმედუნარიანობა ხორციელდება სწორედ მისი ორგანოების მეშვეობით. ამიტომ ამ ორგანოთა სისტემა, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა განისაზღვროს ან კანონით ანდა წესდებით. რა განსხვავებაა ამ ორ თეორიას შორის და რამ გამოიწვია წარმომადგენლის თეორიის უარყოფა და მისი შეცვლა ორგანული თეორიით?

წარმომადგენლის თეორიას საფუძვლად უდევს მინდობილობის ხელშეკრულება — მანდატი იურიდიულ პირსა და იმ კონკრეტულ ფიზიკურ პირს შორის, რომელმაც უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირი და იმოქმედოს მისი სახელით. მისი უფლებამოსილების ფარგლებსა და წარმომადგენლობის შინაარსს განსაზღვრავს სამანდატო ხელშეკრულება. კონკრეტული ურთიერთობებიდან გამომდინარე ეს შეიძლება იყოს ან ძალიან ფართო ან ძალიან შეზღუდული. ასეთი კონსტრუქცია საკმაოდ არასტაბილურ და არამყარ

<sup>368</sup> *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 1/1, S. 377; *Koziol/Welser*, Grundriß des bürgerlichen Rechts, Bd. I, S. 65; *Staudinger/Weick*, Einl. zu §§ 21ff. Rn. 50; *Iban Ivan C.*, Einführung in das spanische Recht. 1. Aufl. Baden-Baden, Nomos, 1995, S. 171 usw.

<sup>369</sup> ეს თეორია ისტორიულად ფრანგულ სამართალში წარმოიშვა: *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 1/1, S.377

17. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

საფუძველს ქმნის სამართლებრივი ურთიერთობების დროს: იურიდიული პირის სახელშეკრულებო კონტრაქტს ყოველთვის მოუწევს იმის გადამოწმება, აქვს თუ არა წარმომადგენელს უფლება დადოს ესა თუ ის გარიგება იურიდიული პირის სახელით.

ორგანული თეორია უფრო სტაბილური და სანდოა. იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილება დამოკიდებულია არა ხელშეკრულებაზე — ვალდებულებით-სამართლებრივ აქტზე, არამედ განისაზღვრება კანონით და კონკრეტულ იურიდიულ პირთან დაკავშირებით მესამე პირთათვის ცნობილი ხდება რეგისტრაციისა და პრესაში გამოქვეყნების მეშვეობით. ამ თეორიის თანახმად, ყველა იურიდიული პირის მმართველობის ორგანოთა სისტემა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს პოზიტიურ-სამართლებრივად, ნორმატიულად და აისახოს იურიდიული პირის წესდებაში. ამასთან, წესდებით განსაზღვრული ფუნქციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის ნორმებს. მაგალითად, სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოს მეტად დიდი უფლებამოსილებები აქვს, საბჭოს წევრს უფლება არა აქვს წარმოადგინოს საზოგადოება და მისი სახელით დადოს გარიგებები. თუ სს-ის წესდება მას ასეთ უფლებას ანიჭებს, წესდების ეს ნორმა ბათილი იქნება.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გარიგებებით, იგი მოიცავს ასევე **ღელიქტუნარიანობასაც.**

იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განზილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობა მისი წარმომადგენლების მეშვეობით, არამედ იურიდიული პირის შიგნით ნების ჩამოყალიბების პროცედურა, კერძოდ ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილებები. წარმომადგენლის თეორია ვერც ამ კითხვაზე სცემს დამაჯერებელ პასუხს. ამიტომ ორგანული თეორიის უპირატესობა აქაც აშკარაა. იგი ნორმატიულად განსაზღვრავს ორგანოთა კომპეტენციას. მაგალითად, შპს-ს მიერ უძრავი ქონების გაყიდვისას აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. თუ ასეთი გადაწყ-

ვეტილება მხოლოდ დირექტორებმა მიიღეს, მაშინ ეს გადაწყვეტილება იქნება ბათილი. ამრიგად, კანონი აქაც ადგენს ორგანოთა სტრუქტურას და მათ კომპეტენციას, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას (ხმათა უბრალო უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით თუ ერთხმად).<sup>370</sup>

მაშასადამე, იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ან რომელი ორგანო ახორციელებს იურიდიული პირის სახელით საქმიანობას, ვინ წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ის, თუ ვინ იღებს სამართლებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თვით იურიდიული პირის შიგნით.

ქართულმა სამართალმა სამართლიანად მიანიჭა თავიდან უპირატესობა ორგანულ თეორიას. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონი ზუსტად განსაზღვრავს იურიდიული პირების წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე იმ ორგანოთა სისტემასა და კომპეტენციას, რომლებიც იურიდიული პირისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ. სამოქალაქო კოდექსი ანალოგიურ მიდგომას განამტკიცებდა კავშირებისა და ფონდების მიმართ. 2006 წლის ცვლილებების შემდეგ არაკომერციული იურიდიული პირის ორგანოთა კომპეტენცია და წარმომადგენლობითი ორგანოების სახელწოდება წესდებით უნდა განისაზღვროს. იმავდროულად, სამოქალაქო კოდექსით სავალდებულოა ამ ორგანოების ფიქსირება წესდებაში. ამით ორგანული თეორიის ელემენტები მაინც არის შენარჩუნებული სამოქალაქო სამართალში.

იმის გამო, რომ იურიდიული პირების ქმედუნარიანობა პრაქტიკულად ფიზიკური პირების მეშვეობით ხორციელდება, ბუნებრივად წარმოიშობა ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის საკითხი. ორგანული თეორიის უპირატესობა იმაშიცაა, რომ ამ პირთა პასუხისმგებლობას სამანდატო ხელშეკრულებაზე კი არ ხდის დამოკიდებულს, არამედ მასაც კანონით აწესრიგებს. ქართული კერძო სამართალი ამ მხრივაც შეესაბამება თანამედროვე სამართლის სტანდარტებს

<sup>370</sup> ორგანული თეორიის ამ უპირატესობით აიხსნება ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა 1966 წლიდან, როცა განახორციელა სავაჭრო საზოგადოებათა სამართლებრივი რეგულირების რეფორმა, უარყო წარმომადგენლის თეორია და უპირატესობა ორგანულ თეორიას მიანიჭა.

და იურიდიული პირის სელმძღვანელებს აკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი მათმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ (მაგალითად, ვალაუვალობის განუცხადებლობამ) ზიანი მოუტანა იურიდიულ პირს. წარმომადგენელთა პასუხისმგებლობით აღწევს სამართალი იმ მიზანს, რასაც იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ქვეყნები ესწრაფვიან.

აღამიანებისაგან განსხვავებით იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად წარმოიშობა. ეს ხდება მაშინ, როცა იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ოფიციალურად წარმოიშობა. იურიდიული პირი წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად. ამით სამოქალაქო კოდექსი რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ეხება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონით განმტკიცებულ კომერციულ იურიდიულ პირებსაც. მაშასადამე, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ქართული სამართლის მიხედვით, წარმოიშობიან მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.<sup>371</sup>

<sup>371</sup> იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, წარმოშობას ყოველი ქვეყნის სამართალი კონკრეტულ გარემოებებს უკავშირებს. მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, სავაჭრო საზოგადოებების წარმოშობისთვის აუცილებელია მათი რეგისტრაცია, ხოლო კავშირების წარმოშობისთვის – წესდების წარდგენა მმართველობის ორგანოში და ამ წესდებათა გამოქვეყნება პრესაში. რაც შეეხება ფონდებს, მათი წარმოშობისთვის საკმარისია საერთო სარგებლიანობის შესახებ დეკლარაციის გაკეთება. ბელგიური სამართლის მიხედვით, სავაჭრო საზოგადოებების დამფუძნებელი დოკუმენტების ამონაწერები ხელმოწერიდან 15 დღის განმავლობაში უნდა წარედგინოს სავაჭრო რეესტრის კანცელარიას, რომელმაც ასევე 15 დღის ფარგლებში უნდა გამოაქვეყნოს ბელგიის უწყებებში. ამის შემდეგ იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება. ჰოლანდიის სამართლის მიხედვით ყველა საზოგადოების რეგისტრაცია სავალდებულოა, სააქციო საზოგადოებათა დასაფუძნებლად კი აუცილებელია იუსტიციის მინისტრის ნებართვა. გერმანული სამართლის მიხედვით, იურიდიული პირის წარმოშობისთვის აუცილებელია მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში: *Ferid/Sonnenberger*, *Das französische Zivilrecht*, 1/1, S. 379; *Peeters Tom L., Gesellschaftsrecht in Belgien, Eine Einführung mit vergleichenden Tabellen*, Franz Rehm Verlag, München, 1993, S. 36-37; *Haarhuis Koen J., Gesellschaftsrecht in der Niederlanden, Eine Einführung mit vergleichenden Tabellen*, Franz Rehm Verlag, München, 1995, S. 20-22.



იურიდიული პირის და, მაშასადამე, მისი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ის, ცნობს თუ არა მოცემული სამართალი ამ ორგანიზებულ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, ე.ი. კანონმდებლობა იცნობს თუ არა ასეთ სუბიექტს. ამის შემდეგ სამართალი აწესრიგებს იურიდიული პირის დაფუძნებასთან დაკავშირებულ პროცედურას: დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენა, მათი ხელმოწერა, სანოტარო წესით დამოწმება და ა.შ.

## § 23. იურიდიული პირის სახეები

### I. ზოგადი დებულებანი

იურიდიული პირების დაყოფას სახეებად არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მას მრავალი, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული, სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. ეს შედეგი არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივია, არამედ, არცთუ იშვიათად, საჯაროსამართლებრივი, საგადასახადოსამართლებრივი და ა.შ. კლასიფიკაციას ასევე მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ დამფუძნებლებს მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ, გადაწყვიტონ, თუ ორგანიზაციის რომელი ფორმაა მათთვის ყველაზე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი, მონერხებული და გამართლებული, უსაფრთხო და გარანტირებული.

იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და ასახავს ამ პირთა შექმნისა და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თავისებურებას. ამის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება **კერძო სამართლისა** და **საჯარო სამართლის იურიდიული პირები**.

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ სამოქალაქო სამართალი იყენებს **numerus clausus** პრინციპს: კერძო სამართალში შეიძლება დაფუძნდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული იურიდიული პირები. კერძო პირთა ფანტაზია არ შეიძლება არ იყოს გონივრულ ჩარჩოებში ჩასმული. თუ კერძო პირებს იმის უფლებას მივცემდით, თვითონ განესაზღვრათ იურიდიულ პირთა ფორმები, ეს სამართლებრივ გაურკვეველობას გამოიწვევდა. ამიტომ, კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმათა განსაზღვრისას კანონი მკაცრია. იმავედროულად, სამოქალაქო სამართალი კერძო პირებს აძლევს სხვადასხვა ფორმებს შორის არჩევანის თავისუფლებას.

იურიდიული პირის სახეების ასეთ შეზღუდვას საჯარო სამართალი არ იცნობს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს

მრავალი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციების შესრულება უხდება და იძულებულია გამოიყენოს იურიდიული პირის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა.

კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნას საფუძვლად უდევს მხარეთა კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. პირთა ეს ნება გარეგნულად გამოიხატება ამ იურიდიული პირის დამფუძნებელ დოკუმენტებში, პირველ რიგში კი, წესდებაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირები იქმნება საგანმკარგულებო წესით, რაც გარეგნულად გამოიხატება საჯარო (სახელმწიფო) აქტში.

იურიდიული პირების კლასიფიკაცია შეიძლება საქმიანობის მიზნის მიხედვითაც. ამ ნიშნით ერთმანეთისაგან განსხვავდება იურიდიული პირები, რომლებიც იქმნებიან იდეალური, საზოგადოებრივად სასარგებლო არაკომერციული მიზნებისათვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იდეალური მიზნის მქონე იურიდიული პირები), და იურიდიული პირები, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა (კომერციული იურიდიული პირები). თეორიულად, კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე — საჯარო სამართლის. თუმცა, როგორც წესი, სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას იყენებს კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებულ ფორმებს. კომერციული საქმიანობა თავისი ბუნებით არის კერძო ხასიათის საქმიანობა. ამიტომ, სახელმწიფო აქ ისევე მონაწილეობს (უნდა მონაწილეობდეს), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ამ ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკისრებს. აქედან გამომდინარე, კომერციული იურიდიული პირები, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებობენ.

კომერციული, სამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრისას უნდა მივმართოთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონს, რადგანაც კომერციული იურიდიული პირების მდგომარეობა მთლიანად ამ

კანონითაა მოწესრიგებული.<sup>372</sup> რაც შეეხება არაკომერციულ იურიდიულ პირებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობა სრულად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით. ის, რომ არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობა არაა სამეწარმეო საქმიანობა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მათ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. ამის უფლებას 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი იძლევა. ოღონდ ეს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს არაკომერციული იურიდიული პირის ძირითად მიზნებს და მის წევრებს არა აქვთ უფლება მიღებული მოგება ერთმანეთში გაინაწილონ. მაგალითად, საჭადრაკო კლუბი, რომელიც, როგორც წესი, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით არსებობს, ბეჭდავს და ყიდის ბროშურებს, მაისურებს კლუბის ემბლემით ან სუვენირებს ამ კლუბის შესახებ და ა.შ. გარეგნულად ეს ჰგავს სამეწარმეო საქმიანობას და არის კიდევაც, მაგრამ ამის გამო საჭადრაკო კლუბი არ გადაიქცევა კომერციულ იურიდიულ პირად.

იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ **კორპორაციულად ორგანიზებულინი**. ამის მაგალითია კაპიტალური საზოგადოებები. ისინი ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილი იურიდიული პირებია. წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირის მაგალითია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

## II. კერძო სამართლის იურიდიული პირები

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, როგორც უკვე აღინიშნა, აერთიანებთ **კერძო ავტონომია** და **ნების თავისუფალი გამოვლენა**, რომლის საფუძველზეც ისინი იქმნებიან.

კერძო სამართლის იურიდიული პირები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად იმის მიხედვით, თუ საქმიანობის რომელ სფეროს განეკუთვნებიან ისინი: **კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები**. არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი

<sup>372</sup> ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, „სამართალი“, თბილისი, 2003 წ.

მდგომარეობა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. კომერციული იურიდიული პირების სტატუსი განსაზღვრულია კანონში მეწარმეთა შესახებ. მათ განეკუთვნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, რომელთა დასაფუძნებლად კანონი არ მოითხოვს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, და კაპიტალური საზოგადოებები, რომელთა დაფუძნებისათვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რომელიც წესდებით განისაზღვრება.

24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ე.ი. გაერთიანების საფუძველზე შექმნილი. ამის მაგალითია სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი. ამიტომ მათ ლიტერატურაში ხშირად კორპორაციებსაც უწოდებენ. იურიდიული პირი შეიძლება ასევე იყოს წევრობაზე დაფუძნებული (მაგალითად, წევრების მქონე არაკომერციული იურიდიული პირი) ან საერთოდ არ ჰყავდეს წევრები (მაგალითად, ფონდი). წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირები თავის მხრივ შეიძლება დაიყოს წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულ ან მისგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად. თუ მაგალითად, სპს-ს წესდებაში წერია, რომ ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა იწვევს საზოგადოების დაშლას, მაშინ ეს იქნება წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული იურიდიული პირი. თუ წესდებით ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ეს იურიდიული პირი იარსებებს საზოგადოებიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემდეგაც, თუკი ორი წევრი მაინც დარჩა.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ყველას მიმართ შეუზღუდავად გამოიყენება ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი, კერძოდ, მათ უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი

საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებებში გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

### III. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

საჯარო სამართლის იურიდიული პირები მოწესრიგებულია კანონში საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.<sup>373</sup> კერძო სამართლისთვის მნიშვნელოვან ნორმებს მათ შესახებ კი შეიცავს სამოქალაქო კოდექსი (*მაგალითად*, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი).

საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი თვით **სახელმწიფოა**. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ის ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა – კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მეტად თავისებურია: ერთი მხრივ, იგი არის კანონმდებელიც, უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი და, მეორე მხრივ, ურთიერთობათა რიგითი მონაწილე.<sup>374</sup> „სახელმწიფო“ მეტად ზოგადი და აბსტრაქტული ცნებაა

<sup>373</sup> კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიღებული პირველი კანონია სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული პირების მოსაწესრიგებლად და დსთ-ის ქვეყნების იურიდიულ ლტერატურაში ხშირად უთითებენ მასზე, როგორც სანიშუშო კანონზე. მაგალითად, რუსეთში გამოსულ მონოგრაფიაში ამ კანონს დიდი ყურადღება ეთმობა: *И.Д. Баренбойм, В.И. Лафитский, И.К. Терещенко*, Юридические лица публичного права в доктрине и практике России и зарубежных стран, под. Ред. *В.И. Мозолина и А.В. Турбанова*, Москва, Юстициумформ, 2011. С. 32, 34-40, *Чантурия Лადо*, Юридические лица публичного права: их место в гражданском праве и особенности правового регулирования // Государство и право, 2008, № 3. С. 38-45.

<sup>374</sup> საბჭოთა სამოქალაქო სამართალი სახელმწიფოს ამ ორ ფუნქციას აერთიანებდა და სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტად აღიარებდა. თუმცა იყო მკვდლობები იმის დასაბუთებისა, რომ სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ხელისუფლებითი ხასიათის ფუნქციების გარეშე მონაწილეობსო (*Братусь С.Н.* Субъекты гражданского права. М. 1950. С. 241). საბჭოთა კავშირის პირობებში ეს შეხედულება არც თუ ისე დასა-

და, ცხადია, ისმის კითხვა: ვინ არის სახელმწიფო? ვინ გამოდის მისი სახელით ამ ურთიერთობებში?

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ-გაზრდა სახელმწიფოებში, გამოიკვეთა სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების იურიდიულ პირად ცნობის ტენდენცია. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების არასრულყოფილად ჩამოყალიბების პირობებში ცალკეული უწყებების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ასეთი „უწყებრივი ფეოდალიზმი“ ანგრევს ერთიან სახელმწიფოს, ძირს უთხრის ერთიანი ეკონომიკური, სოციალური, საგარეო თუ სხვა პოლიტიკის განხორციელებას. ეს რომ თავიდან იქნეს აცილებული, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეიმუშავეს უნივერსალური კონსტრუქცია, რომლის თანახმად, სახელმწიფო თვითონვეა იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოები კი არიან სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ. ისინი ახორციელებენ სახელმწიფოს საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. მაგალითად,

ბუთებული იყო. საბჭოთა სახელმწიფო მრავალი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტით (ობერატიული მართვა, მიწოდებები, კონტრაქტაცია და ა.შ.) მართლაც ერეოდა თავისი წასიათით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში ხელისუფლებითი ელემენტების გარეშე შეუძლებელი იყო (*P. B. Шенгелия, Гражданская правосубъектность советского государства в кредитных правоотношениях. Тбилиси. 1984. С. 18.*). საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვითარება იცვლება. მართალია, სახელმწიფოს ხელისუფლებითი უფლებამოსილება არ ერთმევა, მაგრამ ეს აღარ არის სამოქალაქო სამართლის სფერო, არამედ კონსტიტუციური სამართალია. ამიტომაც მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა 24-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომ სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში არაფრით განსხვავდება კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან. სამოქალაქო ბრუნვაში სახელმწიფოს მონაწილეობის წინაპირობებისა და თავისებურებების შესახებ ნახეთ: *Чистурия Ладо, Государство как предприниматель. О формах предпринимательской деятельности государства, в книге «Концепция правовой политики на период с 2010 до 2010 года: устойчивое развитие в сфере правовой и судебной реформы». Материалы международного colloquium в: Берлин, 7-8 декабря 2009 г. Алматы, 2010, S. 99-118 – Казахстан.*

როცა პრივატიზებულ საწარმოში აქციათა განსაზღვრული ოდენობა ეკონომიკის სამინისტროს გამგებლობაშია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს სამინისტროა აქციათა მესაკუთრე — აქციათა მესაკუთრე არის სახელმწიფო, რომლის ფუნქციებს სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში ახორციელებს აღნიშნული სამინისტრო. როცა განათლების სამინისტრო ახალ სკოლას ხსნის, ეს სკოლა სამინისტროს კი არ ეკუთვნის, არამედ სახელმწიფოს; განათლების სამინისტრო მხოლოდ განათლების პოლიტიკას ახორციელებს ამ სფეროში და წარმოადგენს სახელმწიფოს.

მაშასადამე, საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი არის სახელმწიფო. იგი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, როგორც წესი, არ არიან იურიდიული პირები.

ის ფაქტი, რომ სამინისტროები არ არიან იურიდიული პირები და მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანოებია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა იურიდიული პირებით წარმოდგენილი. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვა მრავალი იურიდიული პირი იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევთ მათ.<sup>375</sup>

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. **საჯაროსამართლებრივი კორპორაციები**. მათ განეკუთვნება თვითმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები). სახელმწიფოს მსგავსად აქაც თვით მუნიციპალიტეტია იურიდიული პირი და არა მისი ორგანოები სამმართველოების, განყოფილებების, სამსახურების და ა.შ. სახით.<sup>376</sup>

საჯარო სამართლის კორპორაციებს განეკუთვნება ისეთი ორ-

<sup>375</sup> *Чантурия*, Государство как предприниматель. О формах предпринимательской деятельности государства

<sup>376</sup> აღიარებული შეხედულების თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად, თუ ისინი არჩევნების საფუძველზე არიან შექმნილნი და არა ზემდგომი ორგანოების მიერ დანიშნულნი. თუ ისინი ზემდგომი ორგანოების მიერ არიან დანიშნულნი, მაშინ მათ შეიძლება იგივე სტატუსი ჰქონდეთ, როგორც სამინისტროს.



განიზაცები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფო ფუნქციებს ახორციელებენ უშუალოდ. მაგალითად, საქართველოში ასეთ ორგანოდ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ტელევიზია. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან ასევე სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ასევე სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ეროვნული ბანკი, როგორც იურიდიული პირი, განმტკიცებულია კანონით ეროვნული ბანკის შესახებ და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების კიდევ ერთ ჯგუფს ქმნიან ე.წ. საჯაროსამართლებრივი დაწესებულებები. ამ ჯგუფში შემავალი იურიდიული პირების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: სახელმწიფო ბიბლიოთეკები (ეროვნული ბიბლიოთეკის ჩათვლით), უნივერსიტეტები და სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ცენტრები, სახელმწიფო საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ა.შ. ყველა ეს იურიდიული პირი სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტების საფუძველზე არსებობენ.

დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ე.წ. საჯაროსამართლებრივი ფონდების ცნებას. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნისათვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანოს მიერ. ქართული სამართალიც იცნობს ამგვარ ფონდს, მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

საჯარო სამართლის ყველა ამ იურიდიულ პირს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი, რაც მათ განასხვავებს როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირებისაგან: ყველა ისინი იქმნება საგანმკარგულებო წესით ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი მას საფუძველად არ უდევს.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არ წარმოიშობიან, წარმოადგენენ

**პოლიტიკური პარტიები.** იურიდიული პირის სტატუსს ისინი იძენენ პოლიტიკური პარტიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური პარტიები საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან, განაპირობებს მათი მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა შექმნაში და არა ის, თუ რა უღევს მათ შექმნას საფუძველად – ნების თავისუფალი გამოვლენა თუ ადმინისტრაციული აქტი.<sup>377</sup> ალბათ უფრო მართებული იქნებოდა, რომ პოლიტიკური პარტიები კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს საქართველოს **სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია**. მის ამ სტატუსს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ დამსახურებას აღიარებს ქართველი ერის წინაშე, არამედ მას საჯარო სამართლის იურიდიულ პირადაც მიიჩნევს. ამ კონსტიტუციურ დებულებას შესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.<sup>378</sup> 2011 წლის 5 ივლისის ცვლილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ჩამოყალიბების უფლება მიენიჭათ ასევე სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც, რომლებიც ჩამოთვლილია 1509-1 მუხლში. პოლიტიკური პარტიების მსგავსად აქაც სასურველი იყო რელიგიური გაერთიანებების ჩამოყალიბება კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. თუკი სახელმწიფოს სურს მათთვის რაიმე შეღავათებისა

<sup>377</sup> პოლიტიკური პარტიების სტატუსი დასავლეთის ქვეყნებში ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი. გერმანული სამართლის მიხედვით პოლიტიკური პარტიები საერთოდ არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (არც კერძო სამართლის და არც საჯარო სამართლის - *Greifelds* (Begr.), *Rechtswörterbuch*. 12. Aufl. München: Beck, 1994, S. 875), ავსტრიის სამართალი კი მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად განაზღვრავს; *Ditrich Robert, Tades. Helmut, Das Allgemeine bürgerliche Gesetzbuch*, 36. Aufl. Wien: Manz, 2003, § 26, S. 31.

<sup>378</sup> ქართული ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ნახეთ: *ხეცურიანი ჯონი*, ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძველები, წიგნში „თენგიზ ლილუაშვილი. 75. საიუბილეო კრებული“, 2003 წ., გვ. 60-69.

თუ პრივილეგიების მინიჭება, ეს მას სპეციალური კანონმდებლობით შეუძლია.

განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არც შეიძლება იყოს. აქ არ გამოიყენება ნუმერუს ცლაუსუს პრინციპი. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ამ სუბიექტებს სახელმწიფო ქმნის და ამისთვის მას კერძო პირთათვის დადგენილი შეზღუდვების დაწესება არ სჭირდება. ამან განსაზღვრა 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის არსებობა, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების „შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით“. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით, რა მოცულობით, რა ფუნქციებით შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები“.

## § 24. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

### I. ზოგადი დებულებანი

არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების, ე.წ. არასამთავრობო სექტორის, სამართლებრივ ფორმას წარმოადგენენ, ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ. მნიშვნელოვანი ორგანიზაციები კულტურის, მეცნიერების, სპორტის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმით არსებობენ. მათი ძირითადი დანიშნულება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაა. იმავედროულად არაკომერციული იურიდიული პირები მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტიურობის, თვითორგანიზებისა და თვითრეგულირების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საზოგადოების პროგრესი დიდად არის დამოკიდებული სამოქალაქო სექტორზე, საზოგადოების წევრების აქტივობაზე. შეუძლებელია, რომ ყოველდღიური ცხოვრების ყველა წვრილმანი სახელმწიფომ მოაწესრიგოს. მრავალ სფეროში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ამოცანების განხორციელებაში სახელმწიფოს სამოქალაქო სექტორი ეხმარება.

განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის სამართლისაგან, ქართული კერძო სამართალი არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ იურიდიულ პირთა ერთი და იგივე სამართლებრივი ფორმები გამოყენებულ იქნას როგორც კომერციული, ისე არაკომერციული საქმიანობისთვის.<sup>379</sup> სამოქალაქო კოდექსი სამართლიანად მიჯნავს

<sup>379</sup> მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაცია გამოიყენება როგორც კომერციული, ისე არაკომერციული საქმიანობის სამართლებრივ ფორმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გერმანიაში შეიძლება ასევე არაკომერციული, საქველმოქმედ მიზნებისთვისაც იქნეს გამოყენებული. წახატეთის სამართალიც ითვალისწინებს საჩაქიო საზოგადოების გამოყენებას არაკომერციული

მათ ერთმანეთისაგან, რაც საკანონმდებლო რეგულირებაშიც აისახება: კომერციული იურიდიული პირები მოწესრიგებულია კანონში მეწარმეთა შესახებ, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირები – სამოქალაქო კოდექსში (24-ე მუხლის მე-5 და მე-6 მუხლები).

2006 წლის 14 დეკემბრის ცვლილებების შეტანამდე სამოქალაქო კოდექსი არაკომერციული იურიდიული პირების ორ სამართლებრივ ფორმას განამტკიცებდა – კავშირებსა და ფონდებს.<sup>380</sup> გამოთქმა „არაკომერციული იურიდიული პირი“ წარმოადგენდა კრებით ცნებას. ამ ცვლილებების შედეგად გაუქმდა კავშირი და ფონდი, როგორც იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და შემოდებულ იქნა ახალი ერთიანი სამართლებრივი ფორმა – „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“.

## II. დაფუძნება

ყველა ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა, უნდა ჩამოყალიბდეს არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით. ეს ორგანიზაციები შეიძლება იყოს როგორც **წევრობაზე დაფუძნებული**, მაგალითად, ახალგაზრდა მოჭადრაკეთა კავშირი ან ქართული იურიდიული საზოგადოება, ისე **ქონების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი**, მაგალითად, ფონდი „იავნანა“. ამ ასპექტით სამოქალაქო კოდექსი რაიმე შეზღუდვებს არ აწესებს.

არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნოს ერთმა პირმაც. დამფუძნებელთა მინიმალურ რაოდენობრივ ფარგლებს კოდექსი არ ითვალისწინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ წევრობაზე დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირიც, მაგალითად ჟურნალისტთა კავშირი, შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმა, ხოლო დანარჩენი წევრები მოგვიანებით შეუერთდნენ მას. დამ-

მიზნებისთვის.

<sup>380</sup> *კანტურია* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლები 30-49, გვ. 120-164.

18. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ფუნდებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი (29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ ქვეპუნქტი).

დაფუნდებისთვის აუცილებელია წერილობითი **სადამფუნდებლო დოკუმენტი** (დამფუნდებელთა/წევრთა შეთანხმება), რომელსაც როგორც წესი, წესდების ფორმა აქვს და ყველა დამფუნდებელი აწერს ხელს.<sup>381</sup> ამ დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტები კანონით ამომწურავად არის დადგენილი (29-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მათი სრულად გათვალისწინება არის სახელმწიფო რეგისტრაციისა და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობა. ამიტომ მათი განხილვა მიზანშეწონილია:

## 1. სახელწოდება

დამფუნდებელი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდებას. ამ სახელწოდების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“ (27-ე მუხლის პირველი ნაწილი), *მაგალითად*, ბუნების დაცვის საზოგადოება არაკომერციული იურიდიული პირი, ჟურნალისტთა კავშირი არაკომერციული იურიდიული პირი, ფონდი „სათნობა“ არაკომერციული იურიდიული პირი და ა.შ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების მიმართ დაუსვებელია სხვა კანონებით გათვალისწინებულ იურიდიულ პირთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისთვის დამახასიათებელი აღნიშვნების გამოყენება (27-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მათ განეკუთვნება მეწარმეთა შესახებ კანონითა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებული სახელწოდებები. *მაგალითად*, არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება შეიცავდეს

<sup>381</sup> 2010 წლის 27 აპრილს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც გამოსწორდა 2006 წლის ცვლილებათა ხარვეზები და დამფუნდებელი დოკუმენტების რეკვიზიტები უფრო დეტალურად იქნა განსაზღვრული.

დამატებებს „სპს“, „კს“, „შპს“, „სს“ ან „კოოპ“.<sup>382</sup>

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას (27-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ბუნებრივია, იურიდიული პირის დამფუძნებლებს ყოველთვის არ მიუწვევებთ ხელი ამ ინფორმაციაზე და გაუჭირდებათ იმის შემოწმება, თუ რომელ იურიდიულ პირს რა სახელწოდება აქვს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ამის შემოწმება სახელმწიფო რეესტრის სამსახურმა უნდა გააკეთოს. თუმცა არც ეს არის იმის გარანტია, რომ რეგისტრაციის დროს უზრუნველად გადამოწმდეს ანალოგიური სახელის არსებობა.

## 2. იურიდიული მისამართი

იურიდიული მისამართი იურიდიული პირის იდენტიფიკაციის ისეთივე აუცილებელი ნიშანია, როგორც სახელწოდება. აქედან გამომდინარე, იურიდიულ პირს მოეთხოვება რეგისტრაციისთვის ცნობა იურიდიული მისამართის შესახებ. თუკი ეს მისამართი სხვა პირს ეკუთვნის, რომელიც სარგებლობისთვის გადასცემს მას დასაფუძნებელ იურიდიულ პირს, მაშინ აუცილებელია ამ ადგილსამყოფელის მესაკუთრის თანხმობა ან სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულება. კანონის მიხედვით ეს დოკუმენტები „სათანადო წესით“ ან „დადგენილი წესით“ უნდა იყოს გაფორმებული. თუ რა იგულისხმება ამ წესში, კანონი არ აზუსტებს (29-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტი). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს გამოყენებული უნდა იქნას მარტივი წერილობითი ფორმა.

<sup>382</sup> 2011 წლის ივნისამდე აკრძალული იყო ასევე შემოქმედებითი კავშირების სახელწოდებათა გამოყენება. კომერციული იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიების სახელწოდებათა გამოყენების აკრძალვა გასაგები იყო, მაგრამ გაურკვეველი რჩებოდა, თუ რა ნიშნით იყო შემოქმედებითი კავშირები ცალკე გამოყოფილი. ეს კავშირები ჩვეულებრივ არაკომერციულ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ალბათ სწორედ ამით იყო ნაკარნახევი, რომ 2011 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით ამ კავშირებმა დაიბრუნეს თავისი ნორმალური სტატუსი – არაკომერციული იურიდიული პირები.

იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი (26-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი და იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილი, როგორც წესი, ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ასეთი დამთხვევა სავალდებულო არ არის. სავალდებულოა იურიდიული პირის მისამართის მითითება სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). იურიდიული პირის ყველა სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად (26-ე მუხდ ას პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-2 ნაწილი). იურიდიულ პირს შეიძლება ფილიალები ჰქონდეს ერთი ქალაქის ან რაიონის ტერიტორიაზე. მაგალითად, არაკომერციულ იურიდიულ პირს თბილისში შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფილიალი, რომელთაც თავიანთი მისამართები აქვთ. მთლიანად იურიდიულ პირს კი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი იურიდიული მისამართი.

### 3. საქმიანობის მიზანი

საქმიანობის მიზნის განსაზღვრას, პირველ რიგში, მნიშვნელობა აქვს დამფუძნებლებისთვის: მათ უნდა იცოდნენ, თუ რა მიზნებს ემსახურება ის საზოგადოება, რომელსაც ისინი აფუძნებენ. გარდა ამისა, საქმიანობის მიზნის დადგენა ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელებს საქმიანობის ფარგლებს უწესებს, რითაც წევრებს მათზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ. ამიტომ სადამფუძნებლო დოკუმენტში საქმიანობის მიზნის დაფიქსირების მოთხოვნით კანონი იცავს არაკომერციული იურიდიული პირების წევრებსა და მათ დამფუძნებლებს.

საქმიანობის მიზნის განსაზღვრას არა აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის უფლებაუნარიანობისთვის. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსაც შეუძლია განახორციელოს კა-



ნონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საქმიანობის მიზნის განსაზღვრას არაპირდაპირ მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ 33-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის. განსაკუთრებით ეხება ეს იმ შემთხვევას, როცა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე (33-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

#### 4. პირადი მონაცემები და მონაცემები იურიდიული პირის ორგანოების შესახებ

სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს პირად მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლების, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ.<sup>383</sup>

ორგანული თეორიის თანახმად იურიდიული პირის ორგანოთა ჩამონათვალი და კომპეტენცია, განსაკუთრებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. სამოქალაქო კოდექსი, მართალია, არასამეწარმეო იურიდიული პირების ორგანოთა ჩამონათვალს, მათი შექმნის წესსა და კომპეტენციას სავალდებულოდ მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხების მოწესრიგებას იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებს აკისრებს.

სადამფუძნებლო დოკუმენტით უნდა განისაზღვროს იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოების სახელწოდებები, მათი შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა, ამ ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პროცედურა, წარ-

<sup>383</sup> პირად მონაცემებს განეკუთვნება: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუკი იურიდიული პირია დამფუძნებელი – სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები).

მომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა (29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე, ვ, თ, ი ქვეპუნქტები).

გარდა ამისა, სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესს, იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელებას, გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას.

იმის გამო, რომ არაკომერციული იურიდიული პირის ორგანოების სახელწოდება და მათი კომპეტენცია კოდექსით არ არის განსაზღვრული, სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს არაკომერციული იურიდიული პირების თვითრეგულირების მოდელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მინდობილი აქვს სადამფუძნებლო დოკუმენტს – წესდებას.

## 5. სადამფუძნებლო დოკუმენტების ფორმა

არაკომერციული იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტები წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ არაკომერციულ იურიდიულ პირს რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს, სავალდებულოა დოკუმენტებზე ყოველი მათგანის ხელმოწერა (29-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თუკი სადამფუძნებლო დოკუმენტებს დამფუძნებლები მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ ხელს, მაშინ სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის (29-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ყველა სხვა შემთხვევაში დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა.

**სადამფუძნებლო დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებას მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქცია აკისრია.** ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებზე ხელმოწერა თვით რეესტრის სამსახურში შეიძლება, სასურველია სანოტარო ფილტრის გავლა. გარდა ამისა, მიზანშეწონილია არაკომერციული იურიდიული პირის

წესდების შედგენაში ნოტარიუსის მონაწილეობა. იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებიც სადამფუძნებლო დოკუმენტებში უნდა აისახოს, ნოტარიუსის ან ადვოკატის პროფესიული დახმარების გარეშე თითქმის შეუძლებელია. რეესტრის თანამშრომლების კომპეტენციაში კი არ შედის ამ დოკუმენტების მომზადება.

მართალია, სადამფუძნებლო დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, მაგრამ კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების მისაღებად და მოსალოდნელი კონფლიქტების პრევენციის მიზნით ნოტარიუსისთვის მიმართვა მიზანშეწონილია.

## II. რეგისტრაცია და რეესტრის სისწორის პრეზუმფცია

### 1. რეგისტრაციის კონსტიტუციური მნიშვნელობა

რეგისტრაციას არაკომერციული იურიდიული პირის, ისევე როგორც კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირის წარმოშობისთვის, კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს: არასამეწარმეო იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (28-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება). გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების განთავსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (28-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რეგისტრაციას ექვემდებარება არა მხოლოდ არაკომერციული იურიდიული პირის დაფუძნება, არამედ სარეგისტრაციო მონაცემთა ყოველგვარი ცვლილება. მაგალითად, თუ შეიცვალა არაკომერციული

იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ეს ცვლილება აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს და გამოქვეყნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელმძღვანელად ჩაითვლება ის პირი, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში.

ცვლილებების რეგისტრაციის ვალდებულება ვრცელდება ასევე ფილიალებზეც. ფილიალის მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას (31-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაგალითად, თუ ფილიალის ხელმძღვანელი ან მისი იურიდიული მისამართი შეიცვალა, უნდა მოხდეს მათი რეგისტრაცია.

სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება არაკომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესი, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყება და შეწყვეტა, ლიკვიდატორის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის შესახებ ინფორმაცია (31-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესის რეგისტრაციის მომენტიდან (38-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ამრიგად, სახელმწიფო რეგისტრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაკომერციული იურიდიული პირის წარმოშობისა და საქმიანობის პროცესში.

## 2. რეესტრის მონაცემთა საჯაროობა. მათი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია

რეგისტრაციას არა მხოლოდ იურიდიული პირის წარმოშობისთვის აქვს მნიშვნელობა. მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფის საქმეში. ეს კი მიიღწევა რეესტრის მონაცემთა საჯაროობითა და ამ მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის მეშვეობით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიუ-

ლი პირების რეესტრის მონაცემები **საჯაროა** (28-ე მუხლის მე-10 ნაწილი, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მარეგისტრირებელ ორგანოს ეკისრება სარეგისტრაციო მონაცემების განთავსება საკუთარ ვებგვერდზე და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

საჯაროობა ნიშნავს ასევე, რომ რეესტრის მონაცემები **ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის**. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრის ამონაწერი (28-ე მუხლის მე-10 ნაწილი).

რეესტრის საჯაროობით მიიღწევა სამოქალაქო ბრუნვის ტრანსპარენტულობა და ბრუნვაში მონაწილე არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ მინიმალური და აუცილებელი ინფორმაციის მიღება.

რეესტრის მონაცემთა ხელმისაწვდომობა ერთი საკითხია, მეორეა ამ მონაცემთა სანდოობა, უფრო ზუსტად კი ის, თუ რამდენად შეიძლება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობა და მის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზანს ემსახურება **რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია** (28-ე მუხლის მე-11 ნაწილი). რეესტრში ჩაწერილი მონაცემები მიიჩნევა სწორად და სრულყოფილად, ვიდრე მათი უზუსტობა და არასრულყოფილება ოფიციალურად არ იქნება დადგენილი. სამოქალაქო ბრუნვისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ მესამე პირებს, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კონკრეტულ იურიდიულ პირთან, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ამ მონაცემების საფუძველზე. *მაგალითად*, თუ არაკომერციულ იურიდიულ პირს ჰყავს ახალი ხელმძღვანელი, მაგრამ რეესტრში ჯერ კიდევ დაფიქსირებულია ძველი ხელმძღვანელი, კონტრაქტის შეუძლია ხელშეკრულება გააფორმოს ძველ ხელმძღვანელთან და ეს ხელშეკრულება იქნება ნამდვილი.

გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან არსებობს მაშინ, როცა კონტრაქტმა იცოდა რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში რეესტრის უტყუარობისა და სისრულის

პრეზუმფცია არ მოქმედებს, დადებული ხელშეკრულება კი იქნება ბათილი.

რეესტრის მონაცემთა უზუსტობისა და სისრულის პრეზუმფციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობაა. ამიტომაც განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსი **სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ამომწურავ ჩამონათვალს** და ამ დოკუმენტაციის შემოწმების პროცედურას. გარდა ამისა, კოდექსი შეიცავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს (32-ე მუხლი). ხარვეზის არსებობის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა 30 დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს **გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ** (32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

### 3. რეგისტრაციის გაუქმება

როგორც იურიდიული პირის რეგისტრაციას აქვს კონსტიტუტიური მნიშვნელობა, ასეთივე მნიშვნელობა აქვს რეგისტრაციის გაუქმებას: რეგისტრაციის გაუქმება იწვევს იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტას.

სამოქალაქო კოდექსი რეგისტრაციის გაუქმების რამდენიმე საფუძველს ითვალისწინება: 1. სასამართლოს გადაწყვეტილება, 2. ლიკვიდაცია, 3. სარეგისტრაციო მონაცემთა ხარვეზი.

**სასამართლო გადაწყვეტილება** არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ მიიღება ორგანული კანონით<sup>384</sup> განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (33-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლო გადაწყვეტილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის თაობაზე მიიღება ასევე იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი **არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე** და მარეგისტრირებელი ორგანო ან დაინტერესებული

<sup>384</sup> საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ: <http://laws.codexserver.com/23.htm>

პირი სარჩელით მიმართავენ სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ საფუძველს წარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის გაუქმებისათვის (33-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

**არაკომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაცია** ხდება ან დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილების საფუძველზე ანდა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე (38-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებით ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ მიმართავს უფლებამოსილი პირი (როგორც წესი, ლიკვიდატორი), რაც რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი ხდება (38-ე მუხლის მე-10 ნაწილი).

**სარეგისტრაციო მონაცემთა ხარვეზის** არსებობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და ხარვეზის გამოსაწორებლად განესაზღვრება 30-დღიანი ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამდენად ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ლიკვიდაციის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმებასთან (38-1-ე მუხლი).

### III. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არაკომერციულ იურიდიულ პირებს სჭირდებათ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ორგანოები. მართალია, სამოქალაქო კოდექსით ამ ორგანოების სტრუქტურა და კომპენეტცია მთლიანად სადამფუძნებლო დოკუმენტებზე (წესდებაზე) არის დამოკიდებული და კანონით არ არის დადგენილი, მაგრამ კოდექსი მათ არსებობას სავალდებულოდ მიიჩნევს.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს **ხელმძღ-**

ვანელი პირების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. პირველში იგულისხმება იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო მეორეში – არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელით გამოსვლა მესამე პირებთან ურთიერთობაში (35-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები უფლებამოსილნი არიან ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ერთ ან რამდენიმე პირს მიანიჭონ (35-ე მუხლის პირველი წინადადება).

სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს ხელმძღვანელთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებზე. აღიარებული წესის მიხედვით მესამე პირებთან ურთიერთობაში ხელმძღვანელთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია.<sup>385</sup> აქედან გამომდინარე, მათ მიერ იურიდიული პირის სახელით მესამე პირებთან დადებული გარიგებები, თუნდაც ისინი არღვევდნენ წესდებით დადგენილ შეზღუდვებს, ნამდვილია. ეს წესი უნდა გავრცელდეს არაკომერციული იურიდიული პირების წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე. სხვაგვარი გადაწყვეტა სამართლებრივ სტაბილურობას შეუქმნის საფრთხეს და რეესტრის მონაცემთა სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციას არარაობად აქცევს. თუმცა მიზანშეწონილია ამ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება.

სამოქალაქო კოდექსი არც ხელმძღვანელობითი საქმიანობის ფარგლებს განსაზღვრავს. გაურკვეველია, როგორია ხელმძღვანელ ორგანოთა დანიშვნისა და ორგანოთა შორის კომპეტენციის გამიჯვნის პროცედურა, რაც თავის მხრივ არაკომერციული იურიდიული პირების სრულყოფილ მართვას შეუშლის ხელს.

<sup>385</sup> იურიდიული პირის წარმომადგენელი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ მნიშვნელოვან წესებს შეიცავს ევროპის კავშირის მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა. ამ დირექტივის მიმონილვა ქართულ ენაზე ნახეთ: ჭანტურია, ევროპის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივებისა და დადგენილებების მნიშვნელობა ქართული საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისთვის, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემელი: თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009, გვ. 453.



ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს ეკისრებათ საქმის კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობა. ამ მოვალეობის დარღვევით იურიდიული პირისთვის მიყენებული ზიანი მათ უნდა აუნაზღაურონ იურიდიულ პირს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუკი ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

#### IV. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

არასამეწარმეო იურიდიული პირის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მისი ქონებით და მისი ვალდებულებებისთვის იურიდიული პირის დამფუძნებლები ან წევრები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის (37-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

იმის გამო, რომ არაკომერციული იურიდიული პირი მესამე პირებთან ურთიერთობაში სწორედ ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით მონაწილეობს, იბადება კითხვა, რომელი მოქმედება ჩათვლება იურიდიული პირისთვის და რომელი საკუთარი თავისთვის განხორციელებულად? ამ კითხვაზე ზოგად პასუხს შეიცავს 37-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად არასამეწარმეო იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას.<sup>386</sup>

<sup>386</sup> კორპორაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ნახეთ: ჭანტურია ლადო, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამოცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2006 წ..

## V. არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა

არაკომერციული იურიდიული პირი იქმნება იდეალური, საქველმოქმედო, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული, სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ამოცანების განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა მას განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა? სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი არაკომერციულ იურიდიულ პირს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას ანიჭებს. ეს ბუნებრივიცაა. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ უნდა მიაღწიოს მან დასახულ მიზნებს. მაგალითად, თუკი ნობელის ფონდმა ყოველწლიურად არ მიიღო მოგება, როგორ უნდა შეძლოს მან ძვირადღირებული წლიური პრემიების გაცემა მეცნიერებისა თუ ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებისთვის.

თუკი არაკომერციულ იურიდიულ პირებს აეკრძალებოდათ სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ მათი არსებობა აზრსაც დაკარგავდა, ხოლო დასახული მიზნები — ფინანსების არარსებობის გამო — მიულწვევლი დარჩებოდა. მაგალითად, ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია — ფიფა — წარმოადგენს არაკომერციულ იურიდიულ პირს, მაგრამ მისი ყოველწლიური ბრუნვა მილიარდობით დოლარს აღემატება, რითაც ის სხვა საქმიანობასთან ერთად განვითარებად ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებას უწყობს ხელს.

ამრიგად, არაკომერციულ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ეს საქმიანობა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს:

**პირველი**, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ გაწეული სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე ხასიათის უნდა იყოს და მისგან მიღებული მოგება უნდა მონხმარდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას;

**მეორე**, დაუშვებელია ასეთი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არაკომერციული იურიდიული

პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებსა და ხელმძღვანელებს შორის (25-ე მუხლის მე-5 ნაწილი). მოგება ან უნდა მოხმარდეს დასახული მიზნების მიღწევას ან უნდა დარჩეს თვით იურიდიულ პირს. მაგალითად, არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებული საფენხურთო კლუბი მნიშვნელოვან კომერციულ გარიგებებს დებს საფენხურთო მატჩების ტრანსლაციის უფლების გაყიდვისას და დიდ შემოსავალსაც იღებს. მაგრამ კლუბის წევრებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ რაიმე წილი კლუბის მოგებიდან. კომერციული იურიდიული პირები კი სწორედ იმიტომ იქმნება, რომ მათმა წევრებმა (პარტნიორებმა) მიიღონ მოგება. ასე, რომ კომერციული იურიდიული პირების მოგების განაწილება მათ წევრებს შორის სრულიად ბუნებრივია.

გარდა ამ ორი ნიშნისა, რომლებიც განასხვავებენ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს კომერციულისაგან, ყურადღებას იმსახურებს სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც:

**პირველი**, კომერციული იურიდიული პირების ქონება დაყოფილია წილებად (აქციებად), რომელთაც დამოუკიდებელი ქონებრივი ღირებულება აქვთ. წილთა შესაკუთრებებს შეუძლიათ მათი თავისუფალი გასხვისება. არაკომერციული იურიდიული პირის ქონება წილებად არ არის დაყოფილი და არც მათი გასხვისებაა შესაძლებელი. არაკომერციული იურიდიული პირის წევრი თავის წევრობას სხვა პირს ვერ მიჰყიდის. მაგალითად, ქართული მეცნიერების განვითარების ფონდმა შეიძლება დააფუძნოს კომერციული ორგანიზაცია და მისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით დააფინანსოს ფონდის მიზნები;

**მეორე**, კომერციული იურიდიული პირებიდან წევრთა (პარტნიორთა) გასვლა ყოველთვის დაკავშირებულია ქონებრივ შედეგებთან (წილის კომპენსაცია, მოგების ნაწილის მიღება და ა.შ.). არაკომერციული იურიდიული პირიდან წევრის გასვლას ასეთი ქონებრივი შედეგები არ მოსდევს. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწევრო შესატანების მიმართ;

**მესამე**, კომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება დამფუძნებლებს ან პარტნიორ-

რებს შორის, არაკომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს ან წევრებს შორის დაუშვებელია (38-ე მუხლის მე-ნ ნაწილი);

**მეოთხე,** ერთი სამართლებრივი კომერციული იურიდიული პირის გარდაქმნა სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად დასაშვებია მაშინ, როცა არასამეწარმეო იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა აკრძალულია (38-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ეს განსხვავებები ნათლად აჩვენებენ, რომ განსხვავება კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებს შორის არსებითია, მიუხედავად იმისა, რომ არაკომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ შეუზღუდავად განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა.

## § 25. კომერციული იურიდიული პირები

კომერციული იურიდიული პირების სტატუსი სრულად არის მოწესრიგებული კანონში მეწარმეთა შესახებ.<sup>387</sup> კომერციული იურიდიული პირების შესახებ საქართველოში ერთიანი კანონის შემუშავება შემთხვევითი არ ყოფილა.<sup>388</sup>

როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი სისტემა მუშავდებოდა, თითქმის გადაწყვეტილი იყო კომერციული იურიდიული პირების შეტანა კერძო სამართლის ამ ფუძემდებლურ აქტში. მაგრამ იმის გამო, რომ სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებისათვის, ინვესტიციების მოზიდვისთვის დასაჩქარებელი იყო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, გადაწყდა, რომ შემუშავებულიყო მეწარმე სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის მომწესრიგებელი ცალკე კანონი. ამით მოიხსნა სავაჭრო კოდექსის შემუშავების აუცილებლობა. თვით სახელწოდება „სავაჭრო კოდექსი“ იმ ეპოქის რეალობებს ასახავდა, როცა ვაჭრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირითად როლს თამაშობდნენ. აქედან გამომდინარე, მათი როლისა და ადგილის შესახებ ცალკე კანონების მიღებაც ლოგიკური იყო. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, სამრეწველო წარმოების როლის არნახულმა ზრდამ, დიდი კაპიტალის კონცენტრაციამ დღის წესრიგში იმის აუცილებლობა დააყენა, რომ სამართალს ამ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთათვის შეექმნა მყარი სამართლებრივი ბაზა. ცხადია, ამას ვაჭრობის როლის დაკნინება

<sup>387</sup> დაწვრილებით მათი სტატუსი განხილულია: *ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი*.

<sup>388</sup> კომერციული იურიდიული პირების ისტორია ადასტურებს, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ ვითარებაში იბადებოდა. შესაბამისად ამისა, დიფერენცირებული იყო მათი სამართლებრივი მოწესრიგებაც. ცალკე საკანონმდებლო აქტი ევროპის ქვეყნებში ყოველ იურიდიულ პირზე სამართლის ახალი სუბიექტის დაბადების მაუწყებელი იყო. ეს ტრადიცია ბოლო დრომდე იქნა შენარჩუნებული დასავლეთ ევროპაში – კლასიკური კოდიფიკაციის ქვეყნებში. კერძო სამართლის უახლესმა კოდიფიკაციამ ჰოლანდიაში უარი თქვა ცალკე კანონების შემუშავებაზე კომერციული იურიდიული პირების შესახებ და მთლიანად მოაწესრიგა ისინი ახალ სამოქალაქო კოდექსში.

19. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

არ გამოუწვევია, მაგრამ სხვა მეწარმეთა მნიშვნელობის გაზრდას უდავოდ გაუსვა ხაზი. ამიტომაც შეიქმნა ცალკე კანონები შპსებისა და სს-ებების შესახებ.

საკორპორაციო სამართლის განვითარების თანამედროვე დონე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ეს გამოცდილება ერთიანი კანონის სახით გადმოცემულიყო. ქართულმა სამართალმა სწორედ ეს გზა აირჩია.

კომერციულ იურიდიულ პირად ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც მისდევს სამეწარმეო საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის დეფინიცია კი მოცემულია ამ კანონის 1.1-ე მუხლში: სამეწარმეო საქმიანობა არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულიად.

კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას კანონი მეწარმეთა შესახებ მიმართავს მათი ამომწურავი ჩამოთვლის, ე.წ. **numerus clausus** პრინციპს, კერძოდ, **სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში.** თავისუფალი ფანტაზიით საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა არ დაიშვება. კანონმა განამტკიცა ყველა ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელთაც დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია იცნობენ და რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობენ.

მეწარმეთა შესახებ კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველს განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს).** მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. ისტორიულად ეს ფორმები ვაჭართა ერთიანების საშუალებას წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ამ საზო-

გადოებებში დამფუძნებელთა პირადი პასუხისმგებლობა თამაშობდა მთავარ როლს, არ იყო საჭირო საწესდებო კაპიტალის არსებობა.

კომერციული იურიდიული პირების მეორე ვჯგუფს შეადგენენ ე.წ. კაპიტალური (ანუ კაპიტალისტური) საზოგადოებები. მათი შემოღება დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან.<sup>389</sup> ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები, ე.ი. საზოგადოების წევრები, არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების – კაპიტალის არსებობა.<sup>390</sup> ამიტომაც ეწოდება მათ კაპიტალური საზოგადოებები. ამ ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი.<sup>391</sup>

მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული კომერციული იურიდიული პირების მოკლე მიმოხილვაც ნათელს გახდის მათ თავისებურებებს.

**ა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება**<sup>392</sup> ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული საგაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი. უმრავლეს ქვეყნებში მას საგაჭრო საზოგადოებას უწოდებენ. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ტიპის საზოგადოებების თავისებურება პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაში მდგომარეობს, ქართულმა კანონმა მას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზო-

<sup>389</sup> პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტის დამკვიდრების ისტორია ნახეთ: *ჭანტურია, შესავალი*, გვ. 296-298.

<sup>390</sup> საწესდებო კაპიტალის დანიშნულებისა და სამართლებრივი ბუნების თაობაზე ნახეთ: *ბურდული ირაკლი*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, „მერიდიანი“, 2010 წ. გვ. 208-261

<sup>391</sup> კაპიტალური საზოგადოებების ფორმათა შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ნახეთ: *ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, გვ. 77-105.

<sup>392</sup> დაწვრილებით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ ნახეთ: *ლაზარაშვილი ლალი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2003 წ.

გადოება უწოდა.<sup>393</sup>

კანონის 20.1-ე მუხლის შესაბამისად, სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები — მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

სპს-ის დაფუძნებას სჭირდება, სულ ცოტა, ორი ფიზიკური პირის არსებობა. მათ საზოგადოების შექმნისას არ მოეთხოვებათ საწესდებო კაპიტალის შეტანა, რაც უდავოდ აიოლებს მის შექმნას. ვინაიდან ყველა პარტნიორს შეუძლია ერთობლივად გაუძღვეს საზოგადოების საქმეებს, სპს-ს არ მოეთხოვა მართვის სპეციალური ორგანოები, როგორიცაა დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო და ა.შ. არ მოეთხოვება. მართალია, სპს იურიდიული პირია, მაგრამ პარტნიორების პასუხისმგებლობა აქ წინა პლანზეა წამოწეული. ისინი საზოგადოების ვალებზე პირადად და შეუზღუდავად აგებენ პასუხს. საზოგადოების კრედიტორს შეუძლია ნებისმიერი პარტნიორისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>394</sup>

**ბ. კომანდიტური საზოგადოება** პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. იგი სპს-ს მოდიფიცირებულ ნაირსახეობას წარმოადგენს.<sup>395</sup>

კანონის 34-ე მუხლის თანახმად, კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა

<sup>393</sup> ამ ფორმის საზოგადოებათა შედარებითი ანალიზი ნახეთ: *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 15-16.

<sup>394</sup> პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის გამო ვერ მოიპოვა ამ ფორმამ პოპულარობა საქართველოში. ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისთვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაუქმების შემდეგ ერთოდ დაკარგა მნიშვნელობა.

<sup>395</sup> კომანდიტური საზოგადოებების შედარებითი ანალიზი ნახეთ: *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 16.



განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება — შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის — სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

მართალია, კომანდიტურ საზოგადოებაშიც პარტნიორები პირადად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალეზზე, მაგრამ, განსხვავებით სპს-ისაგან, კს-ში ორი კატეგორიის პარტნიორებთან გვაქვს საქმე: მათგან ერთის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია (კომპლემენტარები), ხოლო მეორე პასუხს აგებს საგარანტიო თანხის ფარგლებში (კომანდიტი). კომპლემენტარი არაფრით განსხვავდება სპს-ს პარტნიორისაგან. რაც შეეხება კომანდიტს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მისი პასუხისმგებლობა არ არის სრული, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ შეტანილი თანხით ან ქონებით. მის გამო კანონი კომანდიტური საზოგადოების მართვის უფლებას ანიჭებს მხოლოდ კომპლემენტარებს (მეწარმეთა კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა კონტროლის უფლება მათაც აქვთ მინიჭებული.

კს-ის დაფუძნების დროსაც აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პარტნიორის არსებობა. მათგან ერთი კომპლემენტარი უნდა იყოს, ხოლო მეორე — კომანდიტი. ამიტომ ერთ-ერთი მათგანის გასვლა საზოგადოებიდან იწვევს საზოგადოების დაშლას.

გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 44-ე მუხლში. საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.<sup>396</sup>

შპს კაპიტალისტურ სამყაროში გავრცელებული ყველაზე პოპულარული სამეწარმეო საზოგადოებაა. მცირე და საშუალო ბიზნების საწარმოები, როგორც წესი, არსებობენ შპს-ების სახით.<sup>397</sup>

<sup>396</sup> შედარებითი ანალიზი ნახეთ: *ქანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 17.

<sup>397</sup> სტატისტიკური ინფორმაცია ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნისის თაობაზე

შპს არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც იქმნება პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად. ეს კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით შექმნილი. კაპიტალის ოდენობას კანონი არ განსაზღვრავს და ამის გაკეთება თვითონ დამფუძნებლების საქმეა. საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად, რომელთა გასხვისების უფლება პარტნიორებს აქვთ.

**შპს-ს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია.** იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. მაშინაც კი, როცა საზოგადოების ვალები შეიძლება აღემატებოდეს მის ქონებას, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ამ ქონებით. შპს-ს პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალეებზე.

შპს-ს არსებობა არ არის დამოკიდებული წევრობაზე, ე.ი. პარტნიორების გამოსვლა საზოგადოებიდან ავტომატურად არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ეს განპირობებულია იმით, რომ შპს კაპიტალური საზოგადოებაა.

შპს-ს აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები – პარტნიორთა კრება, დირექტორატი და საჭიროებისას – სამეთვალყურეო საბჭო;

შპს შეიძლება დააარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმაც, მათ შორის სახელმწიფომაც. შპს შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც – იქნება ეს ფიზიკური, იურიდიული პირი თუ სახელმწიფო.

**დ. სააქციო საზოგადოებას** მეწარმეთა კანონი ერთ-ერთ ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51-ე მუხლის პირველ პუნქტში განამტკიცებს მის ლეგალურ დეფინიციას: **სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.**

სააქციო საზოგადოება თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია

ნახეთ: *ჭანტურია ლადო*, ევროპის კერძო საზოგადოება – სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, 1/2009, გვ. 36-42.

ბული და მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა.<sup>398</sup> იგი მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციის ფორმაა და შესაძლებლობას იძლევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით პირთა დიდმა რაოდენობამ მიიღოს მონაწილეობა ამ კაპიტალის ფორმირებაში. როგორც წესი, აქციონერთა რაოდენობა მსხვილ კომპანიებში ხშირად რამდენიმე ათასს შეადგენს.<sup>399</sup>

სს არის **კაპიტალური საზოგადოება** და როგორც ყველა კაპიტალური საზოგადოება, მისი არსებობა დამოუკიდებელია საზოგადოების წევრთა შეცვლისაგან.

სს კრედიტორების წინაშე **პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით**. აქციონერებს პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალების გამო არ ეკისრებათ.

სს-ის საწესდებო **კაპიტალი დაყოფილია აქციებად**. აქცია არის არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი, რომლებიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს აქციონერის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში მეწარმეთა კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება). აქციების გასხვისება თავისუფალია. მისი წყალობით ისინი თავისუფლად მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

<sup>398</sup> სააქციო საზოგადოებების მნიშვნელობისა და შედარებითი ანალიზის შესახებ ნახეთ: *ბურდული ირაკლი*, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი.

<sup>399</sup> აქციონერთა მრავალრიცხოვნობითა და მათი ანონიმურობით არის განპირობებული სააქციო საზოგადოებების სახელწოდება დასავლეთის სახელწმიფოებში. მაგალითად, ფრანგულ სამართალში მას ანონიმური საზოგადოება ეწოდება (Societe anonyme), ამერიკულ სამართალში – საჯარო (პუბლიკის) საზოგადოება (Public Corporation), ესპანური და სხვა ფრანგული სამართლის გავლენით ჩამოყალიბებული სამართლის ქვეყნები იმეორებენ ფრანგულ სახელწოდებას – ანონიმური საზოგადოება, სიტყვასიტყვითი თარგმანით ჰოლანდიურ სააქციო საზოგადოებას ეწოდება უსახელო საზოგადოება (Naamloze Vennootschap): *Bernadette Chausade-Klein*, Gesellschaftsrecht in Frankreich. Eine Einführung mit vergleichender Tabelle, München: Jehle-Rehm, 1993, S. 29; *Hartwin Bungert*, Gesellschaftsrecht in den USA. Eine Einführung mit vergleichender Tabelle, München: Rehm 2003; *Javier Cremades*, Gesellschaftsrecht in Spanien. Eine Einführung mit vergleichender Tabelle, München: Rehm, 1996. S. 58; *Koen J. Haarhuis*, Gesellschaftsrecht in den Niederlanden 1995. S. 16.

შპს-საგან განსხვავებით სს უფრო რთული ფორმაა. იმის გამო, რომ სს-ის კაპიტალი გამოხატულია აქციებში — ფასიან ქალაქ-დებში, მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში, ეს ეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი კონტროლი არ ზორციელდება შპს-ების მიმართ.

ე. კოოპერატივს კანონი მეწარმეთა შესახებ ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად მიიჩნევს. ეს მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მიზანშეწონილობით აიხსნება. სინამდვილეში კოოპერატივი არ არის კლასიკური ტიპის კომერციული ორგანიზაცია. იგი უფრო კოოპერატივის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქმნება.<sup>400</sup>

კოოპერატივების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 60.1-ე მუხლში: კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.<sup>401</sup>

კომერციული იურიდიული პირების სამართლებრივ ფორმათა ჩამონათვალი ამომწურავია და კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ მხოლოდ ერთ-ერთი ამ ფორმის არჩევა.

<sup>400</sup> ისტორიულად კოოპერატივები მე-19 საუკუნეში წარმოიშვნენ. ეს ფორმა დაბადა კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. ეს იყო წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 1844 წლებში), გერმანიაში — რაიფაიზენის კოოპერატივი (1871) და ა.შ.

<sup>401</sup> *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 453-481.

## თავი მეშვიდე არაიურიდიული პირი გაერთიანებები სამოქალაქო სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირები, როგორც პირთა გაერთიანების ყველაზე პოპულარული ფორმა, სამოქალაქო სამართლის უმთავრეს სუბიექტებს წარმოადგენენ, სამოქალაქო სამართალი სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობას არაიურიდიულ პირებსაც ანიჭებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირთა ასეთი გაერთიანებები სავაჭრო ამხანაგობების სახით იურიდიული პირის ცნების წარმოშობამდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, მათი მონაწილეობა სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებულ მოვლენად არც უნდა იქნას მიჩნეული.

სამოქალაქო კოდექსი ასეთი გაერთიანებების, ე.წ. არაიურიდიული პირი კორპორაციების შემდეგ ფორმებს განამტკიცებს: ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) - (930-940-ე მუხლები) და არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) - (39-ე მუხლი). სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობაც, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ბინის მესაკუთრეთა ბუნებრივ გაერთიანებას წარმოადგენს და არ იქმნება რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ისინი აქ არ იქნება განხილული.<sup>402</sup>

იმის გამო, რომ პირთა ეს გაერთიანებები არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ე.ი. სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, ძირითადი პრობლემა უკავშირდება არაიურიდიული პირი კორპორაციების მონაწილეობას სამართლებრივ ურთიერთობებში (ბანკში

<sup>402</sup> ზოგი ქვეყნის სამართალი, მართალია, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას არ მიიჩნევს იურიდიულ პირად, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მას სამართლებრივ ურთიერთობებში უთანაბრებს იურიდიულ პირს და კავშირის სპეციალურ ნაირსახეობად *sui generis* აღიარებს: *Wolf Manfred, Wellenhofer Marina, Sachenrecht*, 25. Aufl., Beck, München, 2010, § 3, Rn. 40.

ანგარიშების გახსნა, საკუთრების შექმნა და ა.შ., სამოქალაქო კოდექსის მიღების დროს საგანგებოდ იქნა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ამ ტიპიურ პრობლემებზე ყურადღება გამახვილებული და 1517-ე მუხლით საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა საბანკო ანგარიშების გახსნა და შეუფერხებელი ანგარიშსწორება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, კერძოდ, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა. ამით სამოქალაქო კოდექსმა საბოლოოდ გადაწყვიტა ის პრობლემა, რომელიც მრავალ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში დღემდე გადაუწყვეტელია და რაც არაიურიდიულ პირ კორპორაციებს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისას მრავალ ბარიერს უქმნის.<sup>403</sup>

## § 26. არაიურიდიული პირი კორპორაციები

### I. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

#### 1. გამოყენების სფერო

ამხანაგობა არაიურიდიული პირი კორპორაციების გავრცელებული ფორმაა და ეკონომიკური, კულტურული, სოციალური თუ პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება.

ამხანაგობა, როგორც მცირე მეწარმეთა გაერთიანების ფორმა, აქტიურად გამოიყენება და მას საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ სჭირდება.<sup>404</sup> მაგალითად, განსხვავებული პროფილის ავტოსარემონტო საწარმოები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს გაუგზავნიან მომსახურების შესაბამისი პროფილის კლიენტებს.

<sup>403</sup> მაგალითად ყაზახეთის სამოქალაქო სამართალში. ამასთან დაკავშირებით ნახეთ: Гражданский кодекс Республики Казахстан (Общая часть). Комментарий (постатейный). В 2 кн. — 3-е изд. Отв. Ред. М.К. Сулейменов. — Алматы, 2007. Кн. 2, ст. 229, с. 104.

<sup>404</sup> რეგისტრაციის შემთხვევაში ის უკვე იქნებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ამხანაგობა პოპულარულია როგორც ადვოკატების, არქიტექტორების, ექიმების ან სხვა მსგავსი პროფესიების წარმომადგენელთა გაერთიანებაც, ე.წ. სოციეტეტების სახით. მაგალითად, ადვოკატებმა შეიძლება დაიქირაონ ერთიანი ოფისი და საოფისე ხარჯები გაინაწილონ ერთმანეთში.

მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისას ამხანაგობა, ე.წ. კონსორციუმების სახელწოდებით, დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებელი და ოპერატორი ორგანიზაცია არსებობს კონსორციუმის ფორმით, რომელიც დაფუძნებულია აზერბაიჯანში. აქედან გამომდინარე, კონსორციუმი არ წარმოადგენს ცალკე სამართლებრივ ფორმას და არც იურიდიულ პირს.

ამხანაგობები ხშირად გამოიყენება არაიურიდიული პირი ფონდების სახით, რომლის დროსაც ხდება ფინანსური სახსრების გაერთიანება შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების დასაფინანსებლად. მაგალითად, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების ხელშეწყობის ფონდი შეიძლება არსებობდეს ამხანაგობის ფორმით.

ბინის მენაშენთა ან საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. თუკი ამ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად აშენდა მრავალბინიანი სახლი, რომლის ცალკეულ ბინებს მესაკუთრეები ჰყავთ, ეს ამხანაგობა ავტომატურად გარდაიქმნება ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობად, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენს 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ამხანაგობას.<sup>405</sup>

ამხანაგობის, როგორც არაიურიდიული პირი კორპორაციის, გამოყენების ეს მაგალითები და სფეროები არ არის ამომწურავი, მაგრამ ისინი ცხადყოფენ, თუ რამდენად მრავალფეროვანია პირთა ამ გაერთიანების გამოყენების შესაძლებლობები.

<sup>405</sup> ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მიმართ გამოიყენება კანონი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ.

## 2. ცნება

ამხანაგობის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს 930-ე მუხლი, რომლის თანახმად ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამ დეფინიციიდან შეიძლება ამხანაგობისთვის რელევანტური რამდენიმე ნიშნის გამოყოფა.

ა. ამხანაგობა წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. ერთობლივი საქმიანობა სახელშეკრულებო საქმიანობაა, რომელშიც, სულ ცოტა, ორი პირი მაინც უნდა მონაწილეობდეს. ამიტომ ამხანაგობის დაფუძნება ერთ პირს არ შეუძლია. ამხანაგობის დაფუძნების სხვა შესაძლებლობას ხელშეკრულების გარდა სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ბ. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დასადებად კანონი რაიმე ფორმას არ ადგენს: მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ როგორც წერილობით, ისე ზეპირად (931-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამხანაგობა შეიძლება კონკლუდენტური მოქმედებითაც წარმოიშვას, მაგალითად, როცა სხვადასხვა პროფილაქტიკის მეპატრონეები ერთმანეთს უზავნიან კლიენტებს ან სათადარიგო ნაწილების მიმწოდებლებს ისე, რომ ამ ურთიერთობას ისინი არც არქმევენ ამხანაგობას.<sup>406</sup>

გ. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს საერთო მიზანი, რომლის მისაღწევადაც იქმნება ამხანაგობა. ეს მიზანი შეიძლება იყოს სამეურნეო ან პროფესიული, სოციალური, კულტურული და ა.შ. მართალია, სამოქალაქო კოდექსი მიზნებს არ აკონკრეტებს და, ამდენად, ამხანაგობა შეიძლება უნივერსალური მიზნებისთვის

<sup>406</sup> ამ გზით ამხანაგობის შექმნის შესაძლებლობა აღიარებულია სხვა ქვეყნების სამართალში, მაგალითად გერმანულ სამართალში: Kübler Friedrich, Assmann Heinz-Dieter, Gesellschaftsrecht, 6. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2005, § 6 I S. 43; Grunewald Barbara, Gesellschaftsrecht, 6. Aufl. Mohr Siebeck, Tübingen, 2005, A I Rdz. 3.



იქნას გამოყენებული, მაგრამ ზოგი მიზნით ამხანაგობის დაფუძნება შეიძლება არ იყოს ნებადართული. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით მეწარმე სუბიექტები უნდა ჩამოყალიბდნენ მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმებით. ამიტომ ამ მიზნით ამხანაგობის გამოყენება დაუშვებელია.

კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, თუ რატომ არ შეიძლება ამხანაგობის გამოყენება სამეწარმეო საქმიანობისთვის, არის ის, რომ სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაცია სავალდებულოა, ხოლო ამხანაგობას ასეთი რეგისტრაცია სამოქალაქო კოდექსით არ სჭირდება. თუმცა ეს არ ართმევს მეწარმე სუბიექტებს ამხანაგობის შექმნის უფლებას. ოღონდ ამ შემთხვევაში ამხანაგობა სამეწარმეო საქმიანობას კი არ განახორციელებს, არამედ მოემსახურება მას, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ მაგალითშია პროფილაქტიკებთან დაკავშირებით.

დ. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. თუნდაც ამხანაგობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში იყოს აღნიშვნა, რომ ეს ამხანაგობა წარმოადგენს იურიდიულ პირს, ის ამ ჩანაწერით არ გარდაიქმნება იურიდიულ პირად.

### 3. ამხანაგობის ხელშეკრულება

ამხანაგობის დაფუძნებას საფუძვლად უდევს **სრული სახელშეკრულებო ავტონომია**. ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ ნებისმიერ საკითხზე და ერთმანეთს შორის ურთიერთობა თავიანთი შეხედულებისამებრ მოაწესრიგონ.

სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპი ვრცელდება ასევე ხელშეკრულების ფორმაზე: დამფუძნებლებს შეუძლიათ ხელშეკრულება ზეპირად ან წერილობით დადონ. მაგრამ თუკი ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ მასში სავალდებულოდ უნდა იყოს განმტკიცებული კანონით გათვალისწინებული მონა-

ცემები.<sup>407</sup> ამხანაგობის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება მას უკვე სერიოზული ორგანიზაციული წარმონაქმნის ხასიათს ანიჭებს. ამიტომაც განსაზღვრავს კანონი ამ ხელშეკრულების იმპერატიულ რეკვიზიტებს.

მართალია, ამხანაგობა ფორმათავისუფალი გაერთიანებაა, მაგრამ გარეგებათა ნამდვილობის ზოგადი წესებიდან გამომდინარე შეიძლება სავალდებულო წერილობითი ფორმის გამოყენება აუცილებელი იყოს. მაგალითად, თუკი დამფუძნებლები თავიანთ უძრავ ქონებას გადასცემენ ამხანაგობას, ეს გადაცემა უნდა გაფორმდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემისთვის დადგენილი წესების მიხედვით.

ამხანაგობის ხელშეკრულების დასადავად, როგორც წესი, სახელმწიფოს ნებართვა საჭირო არაა, მაგრამ თუკი ამხანაგობის საქმიანობის საგანი ასეთ ნებართვას საჭიროებს, მაშინ შეიძლება ამხანაგობის ხელშეკრულებისთვისაც გახდეს ასეთი ნებართვა სავალდებულო.

ვინაიდან ამხანაგობას სრული სახელშეკრულებო ავტონომია უდევს საფუძვლად, ამხანაგობის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის ნორმათა უმეტესობა დისპოზიციურია. ისინი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ამხანაგობის მონაწილეებს გამორჩათ ხელშეკრულების დადებისას ამ საკითხებზე სპეციალური შეთანხმების მიღწევა. დისპოზიციური ნორმების პრაქტიკული მნიშვნელობა აშკარა ხდება ცალკეული ინსტიტუტების დახასიათებისას.

## ა. შესატანი

ამხანაგობის ხელშეკრულების დადებით მონაწილეებს წარმო-

<sup>407</sup> ამ მონაცემების ჩამონათვალს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ა. მონაწილეთა დასახელება და მისამართი; ბ. მონაცემები ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; ე. მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს; ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას; თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

ემობათ ამხანაგობის ქონებაში შესატანების განხორციელების ვალდებულება (932-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესატანის სახეობა და ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით. შესატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ქონებით (მოძრავი ან უძრავი ნივთები, პატენტები, ნოწ ოწ და ა.შ.), ისე მომსახურების გაწევით (932-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ხელშეკრულებითვე განისაზღვრება შესატანის მოცულობაც. მაგრამ თუკი ამხანაგობის მონაწილეებს ეს გამორჩათ, მაშინ თითოეულ მონაწილეს შესატანი შეაქვს თანაბრად (932-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ამხანაგობის ხელშეკრულებით დამფუძნებლებს შეუძლიათ განსაზღვრონ შესატანის სამართლებრივი ბედი: გადასცენ იგი ამხანაგობის საკუთრებაში ან დაიტოვონ საკუთრებაში და ამხანაგობას მხოლოდ სარგებლობის უფლება მიანიჭონ. მაგრამ თუკი ამხანაგობის წევრები ამ საკითხზე არ შეთანხმებულან, მაშინ შესატანი მონაწილეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს, ისევე როგორც საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე მიღებული შემოსავალი, მაგალითად, საერთო საკუთრებაში მყოფი ფართის იჯარიდან მიღებული შემოსავალი (932-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

## ბ. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

მართალია, ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ, როგორც ორგანიზებულ წარმონაქმნს, ბუნებრივად სჭირდება ხელმძღვანელობითი საქმიანობა და მესამე პირებთან ურთიერთობის აუცილებლობა. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ხელმძღვანელობის სპეციალური წესი, მაშინ მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს (934-ე მუხლის პირველი ნაწილი)

ანალოგიური წესი ვრცელდება ამხანაგობის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე: თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამხანაგობის მონაწილეები ერთობლივად წარმოადგენენ ამხანაგობას (934-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირების უფლებამოსილება ვრცელდება ასევე წარმომადგენლობაზეც, კერძოდ,

ივარაუდება, რომ ეს პირები წარმოადგენენ ამხანაგობას და მესამე პირებთან მათ მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია (934-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი საქმიანობის დახასიათებისას საყურადღებოა ხელმძღვანელად მესამე პირთა (გარეშე პირთა) მოწვევისა და დანიშვნის საკითხი. სამოქალაქო კოდექსი ამას არ კრძალავს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამხანაგობის ხელმძღვანელად შეიძლება დანიშნოს მესამე პირიც. ამ პირთა, ისე როგორც ამხანაგობის მონაწილე ხელმძღვანელ პირთა, ურთიერთობა ამხანაგობასთან განისაზღვრება დავალების ხელშეკრულების ნორმებით (934-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 709-722-ე მუხლები).

ხელმძღვანელობის განხორციელება ამხანაგობის მონაწილეთა არა მხოლოდ უფლება, არამედ მათი მოვალეობაცაა (711-ე მუხლის პირველი ნაწილი).

### გ. შემოსავლების განაწილება და შიდა პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო ავტონომიას ექვემდებარება შემოსავლების განაწილების წესი. მაგრამ თუკი ამხანაგობის მონაწილეებს გამორჩათ ამ საკითხის მოწესრიგება ხელშეკრულებით, მაშინ შემოსავალი ნაწილდება წილის შესაბამისად (935-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სახელშეკრულებო შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილეთა შიდა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მათი წილის შესაბამისად (937-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს წესი არ გამოიყენება მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის განსაზღვრისას.<sup>408</sup>

<sup>408</sup> მესამე პირთა წინაშე ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება 937-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

## დ. უარი და ამხანაგობიდან გასვლა

დისპოზიციური ნორმების ერთი ნაწილი ამხანაგობიდან გასვლასა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე უარს აწესრიგებს. მაგალითად, თუკი ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ამხანაგობაზე (938-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზოგადი წესის მიხედვით ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ამხანაგობის შეწყვეტას (938-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგრამ ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ ეს საკითხი სხვაგვარად მოაწესრიგონ და დაადგინონ ამხანაგობიდან გასვლა ამხანაგობის შეწყვეტის გარეშეც.

## 4. კანონის იმპერატიული წესები

ამრიგად, ამხანაგობის მომწესრიგებელ ნორმათა უდიდესი ნაწილი დისპოზიციურია. მაგრამ ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად იმპერატიულ ნორმებს შეიცავს, რომელთა შეცვლა ხელშეკრულებით დაუშვებელია. მაგალითად, ამხანაგობის სახელით გარიგების დადებისას საჭიროა ყველა მონაწილის თანხმობა (934-ე მუხლის პირველი ნაწილი).

იმპერატიულია ხმათა უმრავლესობის გამოთვლის წესიც. კერძოდ, ხმათა უმრავლესობა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა რაოდენობით და არა შესატანის ოდენობით (934-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამხანაგობის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი, რაც მოწესრიგებულია იმპერატიული ნორმებით. სახელდობრ, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ **სოლიდარულად** (937-ე მუხლის პირველი ნაწილი). პასუხისმგებლობის წესი და საფუძველები განისაზღვრება 463-476-ე მუხლების მიხედვით.

20. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადებით ამხანაგობის მონაწილეებს შესატანის შეტანის გარდა ასევე ეკისრებათ სხვა ნაკისრ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია ამხანაგობის მონაწილეთა უფლებით, მოითხოვონ სხვა მონაწილეებისაგან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება (935-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობის მოთხოვნა ამხანაგობის წევრების მიმართ შეუძლია ამხანაგობის ნებისმიერმა წევრმა გამოიყენოს. ამ ინსტიტუტს სამოქალაქო სამართალში *Actio pro socio* ეწოდება.<sup>409</sup>

## II. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)

### 1. ცნება და გამოყენების სფერო

კერძოსამართლებრივი არა ყველა გაერთიანება მთავრდება იურიდიული პირის შექმნით. არცთუ იშვიათად გაერთიანების მსურველი პირები არ არიან დაინტერესებულნი შექმნან იურიდიული პირი. არის შემთხვევები, როცა შესაქმნელ იურიდიულ პირს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — რეგისტრაცია — აკლია და ამის გამო იგი ვერ იღებს იურიდიული პირის სტატუსს. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, არის **არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)**. მშობელთა კომიტეტები სკოლებში, ქუჩის კომიტეტები, ქალთა საბჭოები და ა.შ. ის ორგანიზაციებია, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება. ამიტომ პირთა ასეთი გაერთიანებები შეიძლება ჩაითვალოს არარეგისტრირებულ კავშირებად.

არარეგისტრირებული კავშირის არსებობისა და საქმიანობის

<sup>409</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Kiibler/Assmann, Gesellschaftsrecht*, § 6 II, S. 50; *Grunewald, Gesellschaftsrecht*, A I Rdz. 61 ff.

საფუძველს შეადგენს **სრული საწესდებო ავტონომია** (39-ე მუხლის პირველი ნაწილი).

იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, რომელთა სტრუქტურა და მართვის ორგანოები, როგორც წესი, დადგენილია კანონით, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ამ კავშირის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (39-ე მუხლის პირველი ნაწილი). ურთიერთშეთანხმების სამართლებრივი დოკუმენტი შეიძლება იყოს **წესდება ან ხელშეკრულება**.

იურიდიული პირების მსგავსად არარეგისტრირებულ კავშირსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი **საფირმო სახელწოდება**, რომლითაც ის საქმიან ურთიერთობებში გამოდის. ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს დამატება „არარეგისტრირებული კავშირი“. ეს აუცილებელია, რათა შეცდომაში არ შევიდნენ ის პირები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კავშირთან.

მართალია, არარეგისტრირებული კავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს და ეს კავშირის წევრთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული კავშირი მესამე პირებთან როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს კავშირის წევრებით ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით (39-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამდენად, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს კავშირის ყველა წევრს.

## 2. ქონება და პასუხისმგებლობა

არარეგისტრირებული კავშირის ქონების ძირითად წყაროს შეადგენს კავშირის წევრთა **საწევრო შესატანები**. როგორც შესატანები, ისე ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის **საერთო ქონებას**.

კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის

მიმართ შეიძლება დაკმაყოფილდეს კავშირის საერთო ქონებიდან. პასუხისმგებლობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებული კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კავშირის წევრების **სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც**. კერძოდ, კავშირის კრედიტორების წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, პერსონალურად აგებენ პასუხს კავშირის ის წევრები, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართალში პრობლემური შეიქნა საკითხი იმ ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი მოაწესრიგა. 1517-ე მუხლის ა ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნულმა ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულებათა თავისუფალი დადება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ბანკში ჰქონდეს ისეთივე ანგარიშები, როგორც აქვთ იურიდიულ პირებს.

### 3. განსხვავება ამხანაგობისაგან

თავისი სამართლებრივი ბუნებით არარეგისტრირებული კავშირი ჰგავს ამხანაგობას, რომლის სამართლებრივ საფუძველს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომ იბადება კითხვა: რა განსხვავებაა ამ ორ ფორმას შორის? მასზე პასუხის გაცემის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ არც ერთი ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს:

**პირველი**, არარეგისტრირებული კავშირი იქმნება ე.წ. იდეალური მიზნებისათვის; ამხანაგობის შექმნისას კი უფრო საერთო სამეურნეო მიზნების მიღწევა ღომინირებს (930-ე მუხლი);

**ბ.** არარეგისტრირებული კავშირის საქმიანობა არ არის ორიენ-



ტირებული შემოსავლის მიღებაზე, მაშინ როცა ამხანაგობის საქმიანობა მიზნად ისახავს ასეთი შემოსავლების მიღებას და კანონიც განამტკიცებს შემოსავლების განაწილების წესს (935-ე მუხლი);

გ. ამხანაგობის ყველა მონაწილე სოლიდარულად აგებს პასუხს ამხანაგობის კრედიტორების წინაშე (937-ე მუხლი), მაშინ, როცა არარეგისტრირებული კავშირის დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

# ნაწილი მესამე გარიგებანი

## თავი მერვე მოძღვრება გარიგებებზე

### § 27. ცნება და მნიშვნელობა

#### I. ზოგადი დებულებანი

##### 1. გარიგება და კერძო ავტონომია

კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება.<sup>410</sup> მოძღვრებამ გარიგების შესახებ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე. ამ ფუძემდებლურ ინსტიტუტს ქართული სამოქალაქო სამართალიც იცნობს. მართალი იყო პროფესორი **ჯორბენაძე**, როცა ამბობდა, რომ სამოქალაქო კოდექსში „გარიგების ცალკე კარზე უარი არ უნდა ვთქვათ“.<sup>411</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ სამართალში „გარიგება“ გაცილებით უფრო ფართო გაგებით გამოიყენებოდა, ვიდრე თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, და იგი რაიმეს დადგენას, დაწესებას, განსაზღვრას გულისხმობდა,<sup>412</sup> სამოქალაქო კოდექსმა

<sup>410</sup> გარიგება გერმანული წარმოშობის სიტყვაა და ორიგინალის ენაზე მას ეწოდება „სამართლებრივი საქმე“ – Rechtsgeschäft. იგი არის ორი სიტყვის კომპოზიტი და პირველად გამოყენებულ იქნა 1794 წელს. გარიგების ცნების წარმოშობის შესახებ ნახეთ: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 307-311.

<sup>411</sup> *ჯორბენაძე სერგო*, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. გვ. 149.

<sup>412</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი

ეს ინსტიტუტი მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად განამტკიცა.<sup>413</sup>

50-ე მუხლის მიხედვით გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.<sup>414</sup> ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირებისას ნების თეორიას უჭერს მხარს.<sup>415</sup> ამ დეფინიციის თანახმად, გარდა იმისა, რომ ნება უნდა არსებობდეს, აუცილებელია ეს ნება გარეგნულად იყოს გამოვლენილი. მაგრამ ნების არა ყოველგვარი გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას. გარიგებად რომ იქნეს მიჩნეული, ნების გამოვლენა სამართლებრივი ხასიათის უნდა იყოს. ამიტომაც აზუსტებს სამოქალაქო კოდექსი, რომ გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ე.ი. ნების გამოვლენას შედეგად უნდა მოჰყვეს კერძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ან არსებულის შეცვლა ანდა შეწყვეტა.

ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია. სამოქალაქო სამართალი ამ ნების გამოვლენას უკავშირებს სამართლებრივ ურთიერთობათა უდიდეს უმრავლესობას. ადამიანთა პირადი

50, გვ. 165-166.

<sup>413</sup> თანამედროვე ტერმინით „გარიგება“ გამოხატული მოვლენის აღსანიშნავად ძველ საქართველოში გამოიყენებოდა ტერმინი „ნაქნარი“, რომლის გამოყენებაზეც სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელმა კომისიამ უარი თქვა: *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 140-141.

<sup>414</sup> პოსტსაბჭოთა სამოქალაქო სამართალი გარიგებას განმარტავს როგორც მოქმედებას. თუმცა, ამავე დროს, ყველგან არის აღიარებული, რომ მოქმედება ნების გამოვლენის სინონიმია. რუსულ სამოქალაქო სამართალში ეს ცნება გერმანული *Rechtsgeschäft*-ის გავლენით დამკვიდრდა და მე-19 საუკუნის რუსი სამართალმცოდნე მეიერი მას *юридические действия*-ს უწოდებდა და განმარტავდა, როგორც ნების გამოვლენას: *Действием называется проявление воли. Д.И. Мейер, Русское гражданское право. С. Петербург. 1902. С. 118.* ხოლო რაც შეეხება საკუთრივ „სდეკას“, მას უფრო იმ იურიდიული მოქმედებების აღსანიშნავად იყენებდა, რომლებიც მიმართული იყო არსებული იურიდიული ურთიერთობების შეცვლისაკენ (იქვე, გვ. 141-142).

<sup>415</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 50, გვ. 166.

ცხოვრებით დაწყებული (დაქორწინება, ანდერძი და სხვა.), ურთულესი ეკონომიკური პროცესებით დამთავრებული (სააქციო საზოგადოებების შექმნა, მშენებლობა, გადაზიდვები და ა.შ.), ყველგან ფიგურირებს ნების გამოვლენა. სწორედ მისი მეშვეობით გამოხატავენ ადამიანები გარეგნულად იმას, რისი მიღწევაც მათ სურთ და, როცა ეს მიზანი ზნობრივი ან ადათობრივი რუტინის ფარგლებს სცილდება, იყენებენ იმ სამართლებრივ საშუალებებს, რომლებსაც სამართალი მათ სთავაზობს.

რადგანაც სამართალი ნების გამოვლენას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თავის მხრივ, ისიც მოითხოვს განსაზღვრული პირობების დაცვას. ერთი მხრივ, დაცული უნდა იქნას მატერიალური, ხოლო მეორე მხრივ, ფორმალური წინაპირობები. პირველში იგულისხმება პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო მეორეში – ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა (თუ როდის ჩაითვლება ეს ნების გამოვლენა მხოკავად მხარეებისათვის და როდის წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს). ნების გამოვლენის ამგვარ თვისებას, რომ იგი ვარგისია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის, კანონი უწოდებს ნების გამოვლენის ნამდვილობას. მაშასადამე, ნების გამოვლენის ნამდვილობა ნიშნავს მის სამართლებრივ ვარგისიანობას სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის.<sup>416</sup>

## 2. გარიგება როგორც კერძო სამართლის უზოგადესი ცნება

გარიგების ცნება კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა. იგი გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერ-

<sup>416</sup> ინგლისურ-ამერიკული სამართლის გავლენით პრაქტიკაში დამკვიდრდა ასევე „ეფექტურის“ (Effective) ცნება, რომელიც ნამდვილობის სინონიმია. იგი განსაკუთრებით გამოიყენება ინგლისურ ენოვანი ხელშეკრულებების ქართულად თარგმნის დროს. ნახეთ: წულაია დავით, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2005 წ., გვ. 326.

ძო სამართლის სხვა დარგებშიც, მაგალითად, საკორპორაციო სამართალში, საბანკო სამართალში. ამიტომ, გარიგებებთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული, ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელთაც ნების გამოვლენა უდევთ საფუძვლად. ეს ეხება საოჯახო (ქორწინებაც გარიგებაა), მემკვიდრეობის (ანდერძი) თუ სხვა ურთიერთობებს.

მართალია, გარიგების ძირითადი ბირთვი ნების გამოვლენაა, მაგრამ თავისთავად მხოლოდ ნების გამოვლენა არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. ნების გამოვლენის ნამდვილობა (ე.ი. მისი სამართლებრივი ვარგისიანობა) მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. როგორც წესი, ეს გარემოებები სამოქალაქო კოდექსით ან სხვა კანონებითაა განსაზღვრული და მათ გარიგებათა სამართლებრივ პირობებს უწოდებენ - ცონდიციტიონეს ჯურის.<sup>417</sup> ისინი განსხვავდება პირობითი გარიგებების საფუძვლად არსებული პირობებისაგან და, როგორც წესი, მხოლოდ ძირითადი ნების გამოვლინებას ახლავს თან.<sup>418</sup> ნების ძირითად გამოვლინებად კი მიიჩნევა ისეთი, რომელიც განსაზღვრავს გარიგების მიზანს, ე.ი. იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც ნების გამოვლენის სურს. მაგრამ გარემოებათაგან გამომდინარე, ამ შედეგის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ დაინტერესებული პირების მიერ ნების გამოვლენა და აუცილებელი ხდება ნების დამატებითი გამოვლენის ან გარემოებების არსებობა. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ გარიგების დადებისას მხოლოდ მის მიერ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი და კანონი მოითხოვს კანონისმიერი წარმომადგენლისაგანაც ნების გამოვლენას (მოწონება ან თანხმობა - 63-ე მუხლი). წინააღმდეგ შემთხვევაში არასრულწლოვანის მიერ გამოვლენილი ნება (ძირითადი ნების გამოვლენა) შეიძლება უვარგისი გამოდგეს სამართლებრივი მიზნის მისაღწევად, ე.ი. არ იყოს ნამდვილი. არის შემთხვევები, როცა ნების გამოვლენასა

<sup>417</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 148.

<sup>418</sup> დაწერილებით პარაგრაფში „პირობითი გარიგებანი“

და ამ გამოვლენით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შორის დროის დიდი მონაკვეთი იკავებს ადგილს და შედეგიც მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას ღვება. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ანდერძი. ანდერძში გაცხადებული ნება რეალურად დადგება მხოლოდ მაშინ, როცა მაჰკვიდრებელი, ე.ი. ანდერძის დამტოვებელი, გარდაიცვლება. მართალია, კერძო სამართალი გარიგების დადებისას მხარეებს არჩევის ფართო შესაძლებლობას აძლევს, ე.ი. ნების გამოვლენის თავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ სამართლებრივი შედეგის დადგომას ხშირად სახელმწიფოს მხრიდანაც ნების გამოვლენას უკავშირებს. ორი პირის შეთანხმება საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე მხოლოდ მაშინ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, თუკი შემძენი საჯარო რეესტრშიც იქნება დარეგისტრირებული.

ზემოთ აღნიშნული მაგალითები ცხადყოფენ, თუ რამდენად არის ძირითადი ნების ნამდვილობა სხვათა ნებაზე ან სხვა გარემოებებზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის ნორმები გარიგებების შესახებ განსაზღვრავენ იმ პირობებს, გარემოებებსა თუ ფარგლებს, რომელთა შიგნითაც ნების გამოვლენას სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, ე.ი. ნების გამოვლენა იქნება ნამდვილი.

### 3. გარიგება როგორც ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა

50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ნების გამოვლენა. ეს ნების გამოვლენა შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. რადგან ყოველი ნების გამოვლენის უკან კონკრეტული პირი ღვას, საკითხი შეიძლება სხვანაირადაც დაგვსვას — რამდენი პირის ნების გამოვლენაა საკმარისი, რომ დასახული სამართლებრივი მიზანი იქნას მიღწეული? სამართალი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

მაგალითად, ანდერძის დროს მამკვიდრებლის მიერ ნების გამოვლენა უკვე იწვევს სამართლებრივ შედეგებს ისე, რომ სამკვიდროს მიძღების თანხმობა არაა სავალდებულო. თავის მხრივ, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაც ნების ცალმხრივი გამოვლენაა.

უფრო ხშირია შემთხვევები, როცა სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ორი ან რამდენიმე ნების გამოვლენა, ე.ი. ორი ან რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ხელშეკრულება ან გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრებაზე. ამ შემთხვევაში გარიგებად მიიჩნევა არა ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ ცალ-ცალკე გამოვლენილი ნება, მაგალითად, ნასყიდობის დროს მყიდველის ან გამყიდველის ნება, არამედ ორივე მხარის მიერ ნების გამოხატვიდან წარმომდგარი საერთო ნება, რადგანაც სწორედ ერთმანეთთან შეთანხმებული ნებით მიიღწევა დასახული სამართლებრივი შედეგი.

მაშასადამე, გარიგება ერთ შემთხვევაში არის მხოლოდ ერთი პირის მიერ გამოხატული ნება (მაგალითად, ანდერძის დროს), ხოლო უმეტეს შემთხვევებში — ორი ან რამდენიმე ნების გამოხატვის საფუძველზე წარმომდგარი ნება, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ნასყიდობის დროს პოტენციური მყიდველის ან პოტენციური გამყიდველის მიერ ცალ-ცალკე გამოიმჟღავნებული ნება არ ჩაითვლება გარიგებად, რაც არ უნდა გამოკვეთით და თვალსაჩინოდ იყოს ეს ნება გამოხატული.

გარიგება არსებითად კერძო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია. ამიტომ აუცილებელია მისი ნამდვილობის, წარმოშობისა და შეცვლის პირობების უფრო კონკრეტული დახასიათება. ამ მიზანს ემსახურება გარიგებათა დაყოფა სახეებად. ამ დაყოფას სხვადასხვა კრიტერიუმები უდევს საფუძველად. ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციისთვის გადამწყვეტია გარიგებაში მონაწილეთა რაოდენობა, მეორე შემთხვევაში — გარიგების საგანი, ე.ი. ის ურთიერთობა, რომელიც ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშობა და ა.შ.

#### 4. გარიგების განსხვავება სხვა მსგავსი ქმედებებისგან

მართალია, გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც განსაზღვრულ ქმედებებს უდევს საფუძვლად და ერთობლიობაში იწვევს სამართლებრივი შედეგების დადგომას, მაგრამ არა ყველა ნების გამოვლენა ან მასთან დაკავშირებული ქმედება წარმოადგენს გარიგებას. სამოქალაქო სამართალში არის შემთხვევები, როცა ქმედება ან ნების გამოვლენა გარეგნულად გავს გარიგებას, მაგრამ არ წარმოადგენს მას და ამიტომ მასზე არ ვრცელდება გარიგების ნამდვილობისთვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები. ზოგი მათგანის განხილვა აქ აუცილებელია.

**დამატებითი ვადის დანიშვნა.** 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს დამატებითი ვადა. თუმცა დამატებითი ვადის დანიშვნა არის ნების გამოვლენა და გარეგნულად ჰგავს კიდევაც გარიგებას, გარიგებად მაინც არ ჩაითვლება.

**შეტყობინება.** 374-ე მუხლის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს ალტერნატიული ვალდებულებებიდან აირჩიოს ერთ-ერთი, რის შესახებაც ის ატყობინებს კრედიტორს. ეს შეტყობინება, თუმცა ის გარეგნულად ნების გამოვლენაა, არ წარმოადგენს გარიგებას, ვინაიდან ის არ იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის არც წარმოშობას და არც შეცვლას: მოვალეს ვალდებულება ისედაც უნდა შეესრულებინა და არჩევანის უფლება მას ხელშეკრულებით ისედაც ჰქონდა.

**გაფრთხილება.** 379-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. კრედიტორის მიერ მოვალისთვის გაგზავნილი გაფრთხილება, რომ ის არ აპირებს სხვა შესრულების მიღებას, გარეგნულად წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ არ ჩაითვლება გარიგებად.

**მოქმედებები, რომლებიც ადრესატებისთვის სამართლებრივ შე-**



დებებს იწვევენ შეტყობინების გარეშე, ასევე არ წარმოადგენენ გარიგებას. ასეთ მოქმედებებს რეალური აქტები ეწოდებათ.<sup>419</sup> მაგალითად, 194-ე მუხლის თანახმად მოძრავი ნივთების შერწყმის შედეგად წარმოიშობა ახალი ერთიანი ნივთი და ამ ნივთების ადრინდელი მესაკუთრეები ავტომატურად ხდებიან ახალი ნივთის თანამესაკუთრეები. რეალური აქტი წარმოშობს საკუთრების უფლებას, მაგრამ თვითონ ეს მოქმედება არ წარმოადგენს გარიგებას.

ზნეობრივი ვალდებულებები ასევე არ წარმოადგენენ გარიგებას, თუმცა გარეგნულად შეიძლება ჰგავდნენ კიდევაც. მაგალითად, თეატრში დაპატიჟება ან მეგობრისთვის უფასოდ დამატებითი გაკვეთილების ჩატარება და ა.შ.<sup>420</sup>

ზოგ შემთხვევაში სამართლებრივი და ზნეობრივი ვალდებულებების გამიჯვნა შეიძლება რთულიც იყოს. ურთიერთობაში შესაძლოა ზნეობრივი და სამართლებრივი ვალდებულებები ერთდროულად იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, თუ მოწვეული სტუმარი მოიწამლა სუფრაზე, მასპინძელს შეიძლება მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს.

გარიგებისა და სხვა მსგავსი ქმედებების გამიჯვნის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, მაშინ წარმოიშობა, როცა გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, გამოიყენება თუ არა გარიგების შესახებ ნორმები მოცემული ურთიერთობის მიმართ და იწვევს თუ არა ეს განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, გარიგებასთან გვაქვს საქმე თუ სხვა მსგავს ქმედებასთან.

<sup>419</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 22 III 2 Rn. 20 ff.

<sup>420</sup> სამოქალაქო სამართალში ზნეობრივი ვალდებულებების შესახებ ნახეთ: ზარანდია თამარ, *ჯუდეული თეა*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, *ეურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“*, 4/2006, გვ. 74-84.

## § 28. გარიგების სახეები

### I. ცალმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები

#### 1. ცალმხრივი გარიგებები

კერძო სამართალი ბევრ შემთხვევას იცნობს, როცა სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის ერთი პირის ნების გამოვლენა საკმარისია. ისეთ გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, სამოქალაქო სამართალში ეწოდება ცალმხრივი გარიგებები. იმის გამო, რომ ამ ტიპის გარიგებების დროს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, კანონი ხშირად ამომწურავად განსაზღვრავს ამგვარ გარიგებებს და მათი განხორციელების სამართლებრივ ჩარჩოებს. მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივი გარიგებები უფრო ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ორმხრივი ან მრავალმხრივი, მაინც შესაძლებელია ასეთი გარიგებების სამი ჯგუფის გამოყოფა:

**პირველ ჯგუფს** განეკუთვნება ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც მხოლოდ მოქმედ, ე.ი. ნების გამოვლენ პირს ეხება, მაგალითად უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვება 184-ე მუხლის საფუძველზე. სამკვიდროს მიღებაც და ერთი პირის მიერ შპს-ის ან არაკომერციული იურიდიული პირის დაფუძნებაც ცალმხრივი გარიგების მაგალითებია.

ცალმხრივი გარიგებების მეორე ჯგუფს შეადგენს გარიგებები, რომლებიც, მართალია, იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგრამ უფლებრივ, ქონებრივ ან სხვაგვარ უპირატესობას ანიჭებენ მესამე პირებს. ასეთი გარიგებების კლასიკური მაგალითია **ანდერძი და მინდობილობის გაცემა**. ორივე შემთხვევაში მესამე პირი - მემკვიდრე ან რწმუნებული - იღებს უფლებრივ უპირატესობას, რომ მიიღონ სამკვიდრო ან განახორციელონ ესა თუ ის მოქმედება. მშობლის ან

სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მოწონება ასევე განეკუთვნება ამ ჯგუფს.

არსებობს ცალმხრივი გარიგებების **მესამე ჯგუფი**, რომლის დროსაც გარიგება, მართალია, მესამე პირებს ეხება, მაგრამ შესაძლებელია მან სამართლებრივი ზიანი მოუტანოს მათ. ამიტომ ასეთი გარიგებების განხორციელების უფლება პირს სპეციალურად კანონით ან წინასწარ დადებული ხელშეკრულებებით მიენიჭება. ამგვარი ცალმხრივი გარიგებების მაგალითია **ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა, შეცვლა, ხელშეკრულებიდან გასვლა, ოფცია და ა.შ.** იმის გამო, რომ ნების ასეთი ცალმხრივი გამოვლენა ყოველთვის საზიანოდ ეხება მესამე პირთა ინტერესებს, კანონი დაწვრილებით განსაზღვრავს ამგვარი ნების გამოვლენის გამოყენების წინაპირობებს. მართალია, ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა ხშირად ორმხრივი გარიგების – ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ თვით ფაქტი ცალმხრივი შეწყვეტისა ცალმხრივი გარიგების მაგალითია.

ამრიგად, ცალმხრივი გარიგებების ერთი კატეგორია ეხება ნების გამოვლენ პირს, ხოლო მეორე კატეგორია – მესამე პირებს, მიუხედავად იმისა, სარგებლის მომტანია ეს მათთვის თუ არა. ცალმხრივი გარიგებების ამგვარ დაყოფას (ე.ი. თავისთვის და მესამე პირთათვის) სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს, კერძოდ, ნების გამოვლენის ნამდვილობას. ცალმხრივი გარიგებები, ე.ი. ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლებიც მესამე პირებს ეხება, **ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ნების გამოვლენა განხორციელებულია ამ პირების წინაშე ისე, რომ ნება მათ მიუვიდათ** (51-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს შეიძლება მოხდეს ამ უკანასკნელთა ნების საწინააღმდეგოდაც. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „გარიგების ცალმხრივობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ ეფექტი, ზემოქმედება მოპასუხის ნების მონაწილეობის გარეშე შეიძლება იქნეს მიღწეული“.<sup>421</sup> ამასვე ით-

<sup>421</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალში: v. *Tuhr*, Bd.2/1, S. 205. თუმცა ანალოგიური ვითარება ქართულ სამოქალაქო სამართალშიც.

ვალისწინებს 51-ე მუხლი. მაგალითად, ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა) კი არის ცალმხრივი გარიგება, მაგრამ ხელშეკრულების კონტრაქტენტმა უნდა იცოდეს ამის შესახებ, ე.ი. მან უნდა შეიტყოს (მიიღოს ცნობა), რომ ხელშეკრულების მეორე მხარემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. იმ წუთიდან, როცა მას ეს ნება მიუვა, ნების გამოვლენა ჩაითვლება ნამდვილად, ე.ი. მას შეიძლება სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს – ხელშეკრულება შეწყდეს.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამ თეორიას, რომლებიც განსხვავებულად აწესრიგებენ ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხს: ნების გამოვლენის თეორიის თანახმად ნების გამოვლენა ნამდვილია მისი გამოვლენის მომენტიდან; ნების გამოვლენის შეტყობინების თეორია კი ნების ნამდვილობისთვის საკმარისად მიიჩნევს აღნიშნული ნების შემცველი ბარათის ან სხვა დოკუმენტის გაგზავნას ადრესატისთვის; ნების მიღების თეორია აუცილებლად თვლის ნების გამოვლენის მისვლას ადრესატამდე.<sup>422</sup> 51-ე მუხლის პირველი ნაწილი ამ უკანასკნელ კონცეფციას განამტკიცებს.

მართალია, ადრესატამდე ნების გამოვლენის მისვლის ფაქტი მას ნამდვილობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადრესატი ვალდებულია მიიღოს იგი, ე.ი. უეჭველად ნამდვილობა მიანიჭოს მას. მეორე მხარეს შეუძლია ნების გამოვლენა იურიდიული ძალის არმქონედ გახადოს, თუკი წინასწარ ან მაშინათვე განაცხადებს უარს (51-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, თუ მომავალი წარმომადგენელი წინასწარ შეატყობინებს მარწმუნებელს უარის შესახებ, მინდობილობის გამოგზავნა, თუნდაც ის მიუვიდეს რწმუნებულს, ნამდვილი არ იქნება, ე.ი. სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

ყველა ცალმხრივი გარიგება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით იწვევს არსებული ურთიერთობების შეცვლას და ეხება მესამე პირთა ინტერესებს, მოითხოვს ამ უკანასკნელთა მიერ მიღებას. ეს ეხება როგორც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, ასევე

<sup>422</sup> ზოიბე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მუხლი 51, გვ. 170

სხვადასხვა ოფციებს, როგორცაა უპირატესი შესყიდვის უფლება, გამოსყიდვის უფლება და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება არ ჩაითვლება ნამდვილად და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. მაგალითად, ბინის გამქირავებელს არ შეუძლია შეწყვიტოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, თუკი იგი დადგენილ ვადაში ამის შესახებ არ გააფრთხილებს დამქირავებელს.

კანონი ცალმხრივი ნების გამოვლენის ადრესატს თითქმის ყველა შემთხვევაში აძლევს თავდაცვის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება არ მიიჩნევა ნამდვილად. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ნებისმიერი ცალმხრივი გარიგება ბათილია, თუკი მას არ ექნება კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობა (66-ე მუხლი); 557-ე და 558-ე მუხლების თანახმად საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივად მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია. თუკი კანონი ასეთ გარანტიებს არ შეუქმნიდა იმ პირებს, რომელთაც ცალმხრივი გარიგებით ზიანი ემუქრებათ, მაშინ ამას შეეძლო მთლიანად ეჭვქვეშ დაეყენებინა სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობა: ცალკეულ პირებს შესაძლებლობა ექნებოდათ თვითნებურად შეეცვალათ არსებული ურთიერთობები. ყველა ამ შემთხვევაზე ვრცელდება 51-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას.

მაშასადამე, ცალმხრივ გარიგებებში ყველა ნების გამოვლენა, რომელიც ეხება მესამე პირებს, ნამდვილობისათვის მოითხოვს ამ პირებისაგან ნების გამოვლენის მიღებას. 51-ე მუხლი პრაქტიკულად მნიშვნელოვანია მხოლოდ ცალმხრივი გარიგებებისათვის. ორმხრივი გარიგებების დროს ეს პრობლემა არ წარმოიშობა, ვინაიდან აქ ორი ან მეტი პირის მიერ საერთო ნების ჩამოყალიბება ისედაც ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ შეხედულებას, რომ გარიგებათა დაყოფა სახეებად იმის მიხედვით, ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარისათვის სავალდებულოა თუ

21. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

არა, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ცალმხრივი გარიგებების მიმართ.<sup>423</sup>

იმ გარიგებათა დახასიათებისას, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღება, იბადება კითხვა, თუ რა განსხვავებაა ოფერტსა და ცალმხრივ გარიგებას შორის? ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ნების გამომვლენი პირის სურვილის მიხედვით: სურს მას ხელშეკრულების დადება და ვარაუდობს მეორე პირის თანხმობას, თუ ნების გამოვლენით ის თავის მიზანს მიღწეულად მიიჩნევს.<sup>424</sup>

## 2. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები

თუმცა ცალმხრივი გარიგებები სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, უფრო გავრცელებული მაინც ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებია. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ხელშეკრულებების განსაკუთრებული მნიშვნელობით სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში: ხელშეკრულება ორმხრივი გარიგების კლასიკური ფორმაა. ასევე დიდია იმ გადაწყვეტილებების როლი, რომლებიც სხვადასხვა ტიპის იურიდიული პირების საქმიანობის ფარგლებში მიიღება. ასეთი გადაწყვეტილებები მრავალმხრივი გარიგებების მაგალითია.<sup>425</sup>

<sup>423</sup> გერმანულ სამართალში განმტკიცებული ეს მოსაზრება სრულად შეესაბამება ქართულ სამართალს: *Flume, Rechtsgeschäft*, S. 139. ქართულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 246-247.

<sup>424</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალში: *v. Tuhr*, Bd.2/1, S.207.

<sup>425</sup> ძველი გერმანული დოქტრინა ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებების ნიშნულად მხოლოდ ხელშეკრულებებს მიიჩნევდა. ასე იყო ეს ვინდშაიდის პანდექტების სახელმძღვანელოში. *v. Tuhr*, დ.2/1, შ.220. დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსები პარტნიორთა კრებების გადაწყვეტილებებს არ მიიჩნევენ გარიგებად. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის რეფორმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების აღიარება გარიგებებად, რაც რეფორმის კონცეფციაში აისახა კიდევაც: Концепция развития гражданского законодательства

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილებებიც მრავალმხრივი გარიგებების ნიმუშია.<sup>426</sup>

ხელშეკრულების, როგორც გარიგების, დახასიათებისას აუცილებელია შინაარსობრივად თანამთხვევად ნების გამოვლინებათა ურთიერთგაცვლა ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ.<sup>427</sup> როგორც უკვე ითქვა, თითოეული მათგანის მიერ ცალ-ცალკე ნების გამოვლენა (ოფერტი ან აქცეპტი) ცალ-ცალკე გარიგებას არ წარმოადგენს და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი პირის ნება ფიგურირებს, არც ცალმხრივ გარიგებად მიიჩნევა. ეს აიხსნება იმით, რომ ნების გამოვლენ მხარეებს ცალკე დამოუკიდებლად კი არ სურთ (არც შეუძლიათ) სამართლებრივი შედეგის მიღწევა, როგორც ეს ცალმხრივი გარიგების დროსაა, არამედ ხელშეკრულების მეორე მხარესთან ერთად იმის წყალობით, რომ მათი ნების გამოვლინებები ერთმანეთს ემთხვევა. ორივე ნების გამოვლენა შინაარსობრივად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამას კონსენსუსი ეწოდება.<sup>428</sup> მის გარეშე ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.

თავის მხრივ, ხელშეკრულებები იყოფა ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ნების გამოვლენათა რაოდენობა (ხელშეკრულების დროს ნების გამოვლენა ყოველთვის ერთზე მეტია), არამედ ხელშეკრულების მხარეებს შორის უფლებებისა და მოვალეობების განლაგება. თუ ხელშეკრულების მხარეებს მხოლოდ უფლებები აქვთ ან მხოლოდ მოვალეობები, საქმე გვაქვს ცალმხრივ ხელშეკრულებებთან. მაგა-

Российской Федерации / Вступ. ст. А.И. Маковского. — М.: Статут, 2009. — 160 с

<sup>426</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 23 I 3 Rn. 17 ff. თუმცა მრავალ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში ან ყაზახეთში, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ნახეთ წინა სქოლიო!

<sup>427</sup> გერმანული სამართლის მსგავსად: v. *Tuhr*, Bd.2/1, S.224.

<sup>428</sup> *Kötz Hein, Europäisches Vertragsrecht*, Band I, Mohr-Siebeck, Tübingen, 1996, S.23-26.

ლითად, ჩუქების დროს მჩუქებელს უფლება აქვს აჩუქოს, ხოლო დასაჩუქრებულს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, მიიღოს საჩუქარი. სესხის დროს გამსესხებელს უფლება აქვს ასესხოს, მაგრამ მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში დააბრუნოს სესხი. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: თუ ჩუქება ან სესხი კონსენსუალური ხელშეკრულებაა,<sup>429</sup> მაშინ მჩუქებელს ან მსესხებელს შეიძლება მოვალეობაც დაეკისროს. ორმხრივი ხელშეკრულების კლასიკური მაგალითია ნასყიდობა — ამ დროს ხელშეკრულების ორივე მხარეს აკისრია როგორც მოვალეობები, ასევე აქვს უფლებები, კერძოდ, მყიდველი მოვალეა გადაიხადოს ფასი, ხოლო გამყიდველი მოვალეა გადასცეს საქონელი; მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს საქონელი, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ფასის გადახდა.

ცალმხრივად და მრავალმხრივად ხელშეკრულებების დაყოფის გარდა, მათი კლასიფიკაცია შეიძლება ასევე ვალდებულებით სამართლებრივ, სანივთო, საავტორო, საოჯახო, მემკვიდრეობის სამართლებრივ ხელშეკრულებებად. თითოეული ეს ხელშეკრულება თავსდება გარიგებათა ზოგადი ცნების ფარგლებში. იმავდროულად, ასახავს იმ თავისებურებებს, რომლებიც თითოეულ მათგანს ახასიათებს.

მრავალმხრივი გარიგებების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილებები, რომლებიც პირთა უმრავლესობის მიერ მიიღება. არსებითი, რაც მას ხელშეკრულებისაგან განასხვავებს, ესაა კონსენსუსის არასავალდებულობა. მაშინ, როცა ხელშეკრულებათა დადება მხარეთა მიერ ნების გამოვლენათა კონსენსუსის საფუძველზე ხდება, გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, ე.ი. „უმრავლესობის ძლიერი ინტერესი იმარჯვებს უმცირესობის სუსტ ინტერესზე“.<sup>430</sup> ამგვარი ე.წ. „ძლიერი-სუსტის“ თანაფარ-

<sup>429</sup> კონსენსუალურად ითვლება ხელშეკრულება, რომლის შესრულებაც დადებისთანავე არ ხდება.

<sup>430</sup> ასეთ შეფასებას აძლევს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ ბუნებას ფონ ტურ: v. *Tuhr*, Bd.2/1, S. 232.



დობით ადვილი შესაძლებელია უმცირესობის ინტერესების და-  
თრგუნვა. ეს რომ არ მოხდეს, კანონი განსაზღვრავს ფარგლებსა  
და პირობებს, რომელთა შიგნითაც და რომელთა დაცვითაც უნდა  
მოხდეს გადაწყვეტილებათა მიღება უმრავლესობის მიერ. თუ წარ-  
მოვიდგენთ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეებს ორ მხარედ  
— უმცირესობად და უმრავლესობად, ნათელი გახდება, რომ უმ-  
რავლესობის მიერ ნების გამოვლენას ისეთივე შედეგები შეიძლე-  
ბა ჰქონდეს უმცირესობისათვის, როგორც ცალმხრივი გარიგების  
დროს ერთი პირის მიერ ნების გამოვლენას მესამე პირთათვის.  
ამიტომაც აწესრიგებს კანონი ასე დეტალურად გადაწყვეტილების  
მიღების პროცედურას, მაგალითად, სააქციო საზოგადოებებში ან  
სხვა კორპორაციებში.

გადაწყვეტილებები, როგორც მრავალმხრივი გარიგება, გამოი-  
ყენება არა მხოლოდ იურიდიულ პირად ორგანიზებულ გაერთიან-  
ებებში (სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი), არამედ იმგვარ გაერ-  
თიანებებშიც, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს,  
მაგალითად, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობაში ან ერთობლივი საქ-  
მიანობის დროს.

უმრავლესობის ცნებას ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს გა-  
დაწყვეტილების მიღებაში მონაწილეთა რაოდენობა, ხოლო სხვა  
შემთხვევებში — კაპიტალის ოდენობა, როგორც ეს კაპიტალური  
ტიპის საზოგადოებებშია.

მართალია, ამ ტიპის გარიგებებში გადაწყვეტილების მიღება  
ხმათა უმრავლესობით ხდება, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს გადაწყ-  
ვეტილების მიღებას ერთხმად — კონსენსუსით. ხელშეკრულებისა-  
გან განსხვავებით, ეს გამონაკლისია და მხოლოდ ერთეულ შემთხ-  
ვევებში გამოიყენება. მაგალითად, სპს ან კს-ის რეორგანიზაციის  
შესახებ გადაწყვეტილება პარტნიორების მიერ მიღებული უნდა  
იქნეს ერთხმად (მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-10  
პუნქტი).

## II. ვალდებულებითი, სანივთო (ქონებრივი), საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივი გარიგებები

გარიგებათა ეს კლასიფიკაცია შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის სისტემას და ასახავს იმ სფეროებს, რომლებშიც გარიგებები გამოიყენება.

**ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებები** ისეთი გარიგებებია, რომლებიც მიმართულია ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ხოლო რაც შეეხება **სანივთო (ქონებრივ) სამართლებრივ გარიგებებს**, მათი მიზანი სანივთოსამართლებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა, სხვისთვის გადაცემა ან შეწყვეტაა.<sup>431</sup> ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებების მაგალითებია: ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, მომსახურება, სესხი და სხვა. სანივთოს მაგალითია საკუთრების ან სხვა სანივთო უფლებების გადაცემა მესამე პირზე. როგორც ვალდებულებითი, ასევე სანივთო სამართლებრივი გარიგებები შეიძლება იყოს **ორმხრივიც** და **ცალმხრივიც**. ცალმხრივი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების მაგალითია ჯილდოს საჯარო დაპირება, ხოლო სანივთოსი – საკუთრებაზე უარის თქმა. ვალდებულებით სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ ხელშეკრულებათა შინაარსის განსაზღვრა, მაშინ როცა სანივთოსამართლებრივ გარიგებებში ეს შინაარსი კანონითაა ზუსტად განსაზღვრული და მხარეებს მათი შეცვლა არ შეუძლიათ.

**საავტორო გარიგებებს** უნდა მივაკუთვნოთ ისეთი გარიგებები, რომლებიც მიმართულია საავტორო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. თავისი ბუნებით ისინი უახლოვდება როგორც ვალდებულებითსამართლებრივ, ასევე სანივთოსამართლებრივ გარიგებებს.

<sup>431</sup> გარიგებათა სახეების ეს დეფინიცია და კლასიფიკაცია, რომელიც აღიარებულია გერმანულ სამართალში, მიესადაგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებულ გარიგებებს: *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 23 II Rn. 23 ff.

ცხოვრებაში მნიშვნელოვანია საოჯახოსამართლებრივი გარიგებების როლი. მათ, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება დაქორწინება, საქორწინო კონტრაქტი (თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას), ასევე მამობის აღიარებაც. სანივთო (ქონებრივი) სამართლის მსგავსად საოჯახო სამართალშიც გარიგებათა ტიპები კანონითაა განსაზღვრული და მხარეებს არ შეუძლიათ მათი შეცვლა. მაგალითად, დაქორწინების ნამდვილობისათვის აუცილებელია ქორწინების რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში და მხარეებს არ შეუძლიათ ეს წესი თვითნებურად შეცვალონ.

მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე გავრცელებულ გარიგებას წარმოადგენს ანდერძი. მას ხშირად ცალმხრივი გარიგების კლასიკურ მაგალითადაც მოიხმობენ.<sup>432</sup> თუმცა მხოლოდ ანდერძით არ შემოიფარგლება იმ გარიგებათა ნუსხა, რომლებიც მემკვიდრეობის სამართალში გამოიყენება — სამკვიდროს მიღებაც ან მის მიღებაზე უარიც გარიგების მაგალითია.<sup>433</sup>

### III. მავალდებულებელი და განკარგვითი

მავალდებულებელი გარიგებების კატეგორიას განეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს სხვათა წინაშე ვალდებულებას, შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისაგან. პირი, რომელმაც იკისრა ვალდებულების შესრულება, — მოვალე, ვალდებულია შეასრულოს დაპირებული. ხოლო ამ ვალდებულების ადრესატს, — კრედიტორს, წარმოეშობა შეპირებულის შესრულების მოთხოვნის უფლება. მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი (მაგალითად,

<sup>432</sup> ანჯელდინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, 2000 წ., მუხლი 1344, გვ. 401; ზოიძე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 50, გვ. 167-168.

<sup>433</sup> ანჯელდინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, 2000 წ., მუხლი 1421, გვ. 467.

ჯილდოს საჯარო დაპირება), ასევე ორმხრივი (ხელშეკრულებათა უმეტესობა). არ არის გამორიცხული, რომ ვალდებულება ორმხრივ გარიგებებშიც შეიძლება წარმოიშვას ნების ცალმხრივი გამოვლენით, მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულებაში — ჩუქების დაპირებით. დიდია განკარგვითი გარიგებების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში. მათი მიზანი არის უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება — მისი შეცვლა, გადაცემა სხვისთვის, უფლებრივი დატვირთვა ან გაუქმება.<sup>434</sup> მართალია, „განკარგვის“ ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, მაგრამ მოქმედი ნორმების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს განკარგვათა შემდეგი სახეები: გასხვისება, უფლებრივი დატვირთვა, სანივთო უფლების შეცვლა და უარის თქმა უფლებაზე.

როცა განკარგვაზე საუბარი, ყოველთვის იგულისხმება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის (მაგალითად, გრძელვადიანი ურთიერთობის გაწყვეტისას) განკარგვა.<sup>435</sup> იმ შემთხვევაშიც, როცა ნივთის განკარგვას ეხება საქმე, რეალურად ზდება ამ ნივთზე უფლების განკარგვა — საკუთრების, სარგებლობის, ძფლობელობის ან სხვა უფლებათა განკარგვა.<sup>436</sup>

როგორც წესი, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის განკარგვა გულისხმობს მათ გადაცემას სხვა პირისთვის, ე.ი. შემქნისთვის. ამ უკანასკნელისთვის ეს შეძენითი გარიგებაა. მაგრამ ყოველთვის არაა სავალდებულო, რომ განკარგვა შემქნის სასარგებლოდ ხორციელდებოდეს: მაგალითად, როცა მესაკუთრე თავის საკუთრებაზე ამბობს უარს, ოღონდ არ ასახელებს, თუ ვის სასარგებლოდ აკეთებს ამას.

განკარგვად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს უფლების შეცვლას და ასეთ შეცვლას უშუალოდ იწვევს. განკარგვად არ მიიჩნევა უფლების ისეთი ცვლილებები, რომლებიც

<sup>434</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 238.

<sup>435</sup> მაგალითად, Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 23 IV 1 Rn. 35.

<sup>436</sup> v. Tuhr, Bd.2/1, S. 242.

გარიგებიდან კი არ გამომდინარეობს უშუალოდ, არამედ კანონის საფუძველზე წარმოიშობა. ამის მაგალითად ლიტერატურაში ასახელებენ ქორწინებას, რომლის შედეგადაც მეუღლეებს უფლებები წარმოეშობათ ურთიერთქონებაზე, რომელიც შექმნილია ქორწინების განმავლობაში.<sup>437</sup>

უფლების განკარგვის უფლებამოსილება შეადგენს ამ უფლების შემადგენელ ნაწილს, ხოლო თვით განკარგვა მიიჩნევა უფლების განხორციელების აქტად.<sup>438</sup> ეს შეხედულება გამომდინარეობს 147-ე და 152-ე მუხლებიდან. განკარგვის ცნების განხილვისას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ასევე იმას, ჰქონდა თუ არა განმკარგავ პირს ამ უფლების განკარგვის უფლებამოსილება. როგორც წესი, განკარგვის უფლება აქვს ამ უფლების მფლობელს — მესაკუთრეს ან მოსარგებლეს. თუმცა არის შემთხვევები, როცა უფლების მფლობელს კანონი ართმევს განკარგვის უფლებამოსილებას. ასეთი შეზღუდვების მაგალითად გამოდგება ნივთის დაყადაღება ან გაკოტრების საქმეთა წარმოების დროს ქონების განკარგვის უფლების გადაცემა გაკოტრების საქმეთა მმართველისათვის.

უფლების განკარგვა შეიძლება მოხდეს როგორც ამ უფლების მფლობელის მიერ უშუალოდ, ისე სხვა პირისთვის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებით. ეს მინიჭება ხორციელდება ცალმხრივი გარიგების — მინდობილობის გაცემის გზით.

განკარგვის გარიგებათა საგანი, მართალია, უფლებები და ვალდებულებითი ურთიერთობებია, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელთა გადაცემა სხვა პირებზე დაიშვება. განკარგვა, ბუნებრივია, გულისხმობს მოცემული უფლების შეცვლას, გაუქმებას, მაგრამ იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა განკარგვის უფლების მქონეს განკარგვითი გარიგებით საერთოდ აკრძალოს ამ უფლების განკარგვა. მაგალითად, შეუძლია თუ არა მესაკუთრეს აკრძალოს ამ საკუთრების განკარგვა ზოგადად. ასეთ აკრძალვას სამოქალაქო

<sup>437</sup> მაგალითად, v. Tuhr, Bd.2/1, S. 239.

<sup>438</sup> ეს შეხედულება განმტკიცებულია სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში, მაგალითად, Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 23 IV 2 Rn. 38.

კოდექსი პირდაპირ არ შეიცავს, მაგრამ 147-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამგვარი აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის, მაგრამ არა გარიგების საფუძველზე.

ზოგ შემთხვევაში ცალკე გამოყოფენ ე.წ. **შეძინით გარიგებებს**. თუმცა ისინი გვხვდება როგორც მავალდებულებელი, ასევე განკარგვითი გარიგებების დროს. მათი მეშვეობით პრაქტიკულად ხდება უფლების შეძენა. ეს შეძენა შეიძლება მოხდეს როგორც ცალმხრივი (მაგალითად, სამკვიდროს მიღება), ასევე ორმხრივი გარიგებებით (ნასყიდობა, ჩუქება და ა.შ.).<sup>439</sup>

#### IV. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები

გარიგებათა დაყოფა **აბსტრაქტულ** და **კაუზალურ** გარიგებებად ტრადიციულად გერმანული სამოქალაქო სამართლისთვისაა დამახასიათებელი.<sup>440</sup> ეს გამომდინარეობს გერმანულ სამართალში განმტკიცებული აბსტრაქციის პრინციპიდან, რომლის თანახმად საკუთრება შემძენზე გადადის მხოლოდ ნივთის გადაცემით და ეს გადაცემა ნამდვილია მიუხედავად იმისა, მის საფუძველად არსებული ვალდებულებითსამართლებრივი აქტი (**causa**) ნამდვილია თუ არა.<sup>441</sup> აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ რომანული სამართლის ქვეყნები გარიგებათა დაყოფას აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად არ იცნობენ.<sup>442</sup> გერმანული სამართლის წრის ზოგი ქვეყანა, მართალია, არ აღიარებს აბსტრაქციის პრინციპს (მაგალითად, ავსტრია), მაგრამ იცნობს გარიგებათა დაყოფას აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად.<sup>443</sup> საბჭოთა სამოქალაქო

<sup>439</sup> ჭანტურია, შესავალი, გვ. 323-325.

<sup>440</sup> მაგალითად *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 23 IV Rn. 63 ff.

<sup>441</sup> დაწვრილებით იხილეთ: ჭანტურია ლადო, უძრავი ნივთების საკუთრება. 1994, გვ. 152-158.

<sup>442</sup> მაგალითად ფრანგულ სამართალთან დაკავშირებით: *Ferid/Sonnenberger, Das französische Zivilrecht*, 1/1, S.410.

<sup>443</sup> *Gschmitzer Franz, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts*, Springer Verlag, Wien, New -York. 1966, S.142-143; *Koziol/Welser, Grundriß des bürgerlichen Rechts*, Bd. I, S. 101-102.

სამართლისთვისაც არ ყოფილა უცხო აღნიშნული კლასიფიკაცია.<sup>444</sup> თუმცა აშკარაა, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში იგი უფრო გერმანული პანდექტიისტიკის გავლენით დამკვიდრდა, ვიდრე საკანონმდებლო აუცილებლობიდან გამომდინარე.<sup>445</sup>

მართალია, აბსტრაქტული გარიგებების ცნება გერმანული სამართლის აბსტრაქციის პრინციპს უკავშირდება, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. აბსტრაქტულია, მაგალითად, მოთხოვნის დათმობა.<sup>446</sup> ამიტომ გარიგებათა კლასიფიკაცია აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად ქართული სამართლისთვისაც მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი დახასიათება.

გარიგება მიიჩნევა კაუზალურად, თუკი მისგან გამომდინარეობს გარიგების მიზანი (**causa**), სამართლებრივი საფუძველი. ე.ი. **კაუზალურია გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტული, ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი – ცაუსა, მიზანი. მაგალითად, აძლევს ბ-ს წიგნს. რა შეიძლება იყოს ამ წიგნის მიცემის სამართლებრივი საფუძველი? სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ჩუქება, თხოვება, მიყიდვა და ა.შ. გარიგების ამ უშუალო, ტიპურ**

<sup>444</sup> Советское гражданское право. Ч. 1 под ред В.А. Рясенцева, М. 1986. С. 200; Советское гражданское право, Ч. 1. Ленинград, 1982. С. 157 и др.

<sup>445</sup> ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ აბსტრაქტული გარიგების მაგალითად საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ყველა სახელმძღვანელოში მიუთითებენ თამასუქს (ვექსელს), რომელიც საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად არც გამოიყენებოდა. ამიტომ ცივილისტები მაგალითად იხმობდნენ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სავარეო ვაჭრობისას გაცემულ თამასუქს, თუმცა აბსტრაქტული გარიგების მაგალითად შეიძლებოდა სხვა შემთხვევების მოხმობაც. ეს გარემოება საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში არ დარჩენილა უყურადღებოდ. მაგალითად, ნოვიციკი თავის ცნობილ მონოგრაფიაში გარიგებების შესახებ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა პირობებში გარიგებების ასეთ დაყოფას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და ატარებს წმინდა სქოლასტიკურ ხასიათს. ამას იგი გარიგებათა ამ კლასიფიკაციის ბურჟუაზიული წარმომავლობით ხსნიდა: И.Б. Новицкий, Сделки. Исковая давность. С. 32-33. ნოვიციკის არგუმენტის ნაკლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა სხვა მეცნიერებისთვის. იოჰემ სრულიად მართებულად გააკრიტიკა ავტორი ამ შეხედულებისთვის: О.С. Иоффе. Советское гражданское право. Т. 1. С. 206-207.

<sup>446</sup> ეს მოსაზრება განმტკიცებულია თვით გერმანულ სამართალშიც კი, მაგალითად, *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 23 IV Rn. 74.

საფუძველს (მიზანს), რომელიც გადაცემის სამართლებრივ ხასიათს განსაზღვრავს, ეწოდება **სამართლებრივი საფუძველი, causa**, ასევე **ტიტულუს**<sup>447</sup>. უშუალო საფუძვლისაგან (მიზნისაგან) უნდა განვასხვავოთ ისეთი საფუძვლები და მიზნები, რომელთაც გარიგების ბუნების განსაზღვრისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვთ. მაგალითად, წიგნის მიღებისას ბ-ს მიზანი შეიძლება იყოს ამ წიგნის წაკითხვა ან მისი ჩუქება სხვისთვის, ხოლო ა-ს ამოძრავებდეს მეგობრის დახმარების ან მისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილი. მაშასადამე, კაუზალური გარიგებების განხილვისას სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გარიგების შინაარსს განსაზღვრავს, უნდა განვასხვავოთ არასამართლებრივი საფუძვლისაგან, რომელიც გავლენას არ ახდენს გარიგებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, მოტივი, გარიგების საგანს წარმოადგენდა (76-ე მუხლი).

კაუზალურ გარიგებათა ცალკე გამოყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაშია, რომ მათი ნამდვილობა დამოკიდებულია სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზე: თუ კაუზალური გარიგების საფუძველი ბათილია, მაშინ მთლიანად გარიგება იქნება ბათილი. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არის კაუზალური გარიგება. მისი კაუზა, ე.ი. სამართლებრივი საფუძველი არის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება. თუკი ეს არ არის დაცული, მაშინ გარიგება მიიჩნევა ბათილად, ე.ი. შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე. მაშასადამე, კანონი ითხოვს, რომ კაუზალური გარიგების დროს ამ გარიგების სამართლებრივი საფუძველი გამოკვეთილი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება იქნება ბათილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია მოჩვენებითი გარიგება, რომელიც 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია. მაგალითად, ა ყიდის მანქანას ბ-ზე, მაგრამ ოფიციალურად აფორმებს ჩუქებად. ასეთი ჩუქება ბათილია, ვინაიდან იგი არ შეესაბამება მხარეთა კაუზას, ე.ი. სამართლებრივ მიზანს. სამოქალაქო კოდექსი რომ კაუზას დიდ სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს,

<sup>447</sup> *Gschntzer*, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, S. 142-143.



ამ მუხლის მე-2 ნაწილიდანაც ჩანს. კერძოდ, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა (ე.ი ჩუქებით მხარეებს სურთ დამალონ ავტომანქანის ნასყიდობა), მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (გარიგება ჩაითვლება ნამდვილად, თუკი მის მიმართ გამოიყენებული იქნება ნასყიდობის წესები).

აბსტრაქტული გარიგების დროს, კაუზალურისაგან განსხვავებით, სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს და გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძველის ნამდვილობისაგან. აბსტრაქტული გარიგებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდების დროს. მაგალითად, 925-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია ხელმოწერილი დოკუმენტის (ეს შეიძლება იყოს ჩეკი, თამასუქი და ა.შ.) ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს გადახდა. ე.ი. ხელმოწერილი ჩეკი მის მფლობელს უფლებას აძლევს საკრედიტო დაწესებულებიდან მიიღოს ფულადი თანხა მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას — ჩუქება, ნასყიდობა, მომსახურებისთვის ანაზღაურება თუ სხვა რამ. მთავარი აქ ისაა, რომ ამ ფასიანი ქაღალდის გამცემი თავისი ხელმოწერით ადასტურებს ფულის გადახდის თანხმობას ისე, რომ არ არის გამოკვეთილი ამგვარი გადაცემის მიზანი. აბსტრაქტული გარიგების მეორე მაგალითია მოთხოვნის დათმობა კრედიტორის მიერ. ეს დათმობა ნამდვილია მიუხედავად იმ სამართლებრივი საფუძველისა, რომლის გამოც ის განხორციელდა. აბსტრაქტული გარიგებაა მინდობილობის გაცემაც. მართალია, მინდობილობა გაიცემა რომელიმე ძირითად ურთიერთობასთან დაკავშირებით (მაგალითად, ნასყიდობა, მომსახურება, ნარდობა და ა.შ.), მაგრამ თვით მინდობილობის ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ ურთიერთობის ხასიათისაგან.

როგორც წესი, აბსტრაქტულად და კაუზალურად გარიგებების დაყოფის საკითხი წარმოიშობა იმ გარიგებათა დახასიათებისას, რომელთა მეშვეობითაც პირი სამართლებრივ ან ქონებრივ სარგებელს იღებს.

## V. სასყიდლიანი (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო) გარიგებანი

იმ გარიგებათა განხილვისას, რომელთა საფუძველზე პირი რაიმე სარგებელს იღებს, იბადება კითხვა: უნაცვალგებოდ (უსასყიდლოდ) ხდება ეს თუ ნაცვალგებით (სასყიდლით). სასყიდლიანად ჩაითვლება ისეთი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება — ეკვივალენტი. მაგალითად, ნასყიდობის დროს გამყიდველის ვალდებულებას, — გადასცეს მყიდველს ნაყიდი ნივთი, — შეესაბამება მყიდველის საპასუხო ვალდებულება — გადაიხადოს ამ საქონლის ფასი. უსასყიდლო გარიგების დროს გარიგების მხარე, მართალია, კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მას არ ახლავს თან საპასუხო შესრულება, როგორც ეს ჩუქების, თხოვების ან საქონლის უსასყიდლოდ შენახვის ხელშეკრულებებშია.

იმის გამო, რომ გარიგების სასყიდლიანობა თუ უსასყიდლობა პრაქტიკულად გარიგების საფუძველზე უთითებს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია მხოლოდ კაუზალური გარიგებებისთვის, ხოლო რაც შეეხება აბსტრაქტულ გარიგებებს, ამ კლასიფიკაციის მიმართ მათი დამოკიდებულება ნეიტრალურია, რამეთუ ისინი სამართლებრივ საფუძველზე შეთანხმებისაგან დამოუკიდებელია.<sup>448</sup>

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია სასყიდლიანი გარიგებები. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სამოქალაქო ბრუნვის საფუძველს წარმოადგენს სწორედ ნაცვალგებობა ანუ ეკვივალენტურობა, ხოლო უსასყიდლო გარიგებები ამ ზოგადიდან გამონაკლისს წარმოადგენენ.

<sup>448</sup> გერმანულ სამართალში მოცემული ეს შეხედულება შეესაბამება ქართულ სამოქალაქო სამართალში არსებულ ვითარებას. გერმანულ სამართალში ამ საკითხზე ნახეთ: *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil*, § 23 V I Rn. 91.

## VI. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია

გარიგებათა ზემოთ განხილული დაყოფა სახეებად არ არის ამომწურავი. შეიძლება გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაციაც. იმის მიხედვით, თუ რა სახის ურთიერთობებს აწესრიგებს გარიგება, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ქონებრივ და პირად არაქონებრივ გარიგებებს. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ცალმხრივი, ასევე ორ- ან მრავალმხრივი. მაგალითად, ცალმხრივი პირადი არაქონებრივი გარიგების მაგალითია მამობის აღიარება, ხოლო ორმხრივის — მშობლების მიერ შვილისთვის სახელის დარქმევა ურთიერთ-შეთანხმებით. გარიგებათა უმეტესობა, როგორც წესი, ქონებრივი ხასიათისაა და ეს შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ბუნებას.

## § 29. ნების გამოვლენა და მისი განმარტება

### I. ნების გამოვლენის ცნება და მნიშვნელობა

გარიგების დახასიათებისას ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გარიგება და ნების გამოვლენა სინონიმებად ითვლებოდა. ამ შეხედულების განმტკიცებაში განსაკუთრებით დიდია სავინის დამსახურება. მაგრამ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში უკვე გაისმა ნების გამოვლენისა და გარიგების იდენტურობის თეორიის პირველი კრიტიკა.<sup>449</sup> მართალია, ნების გამოვლენა გარიგების უმთავრესი ელემენტია, მაგრამ მხოლოდ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ზოგი ქვეყნის სამართლით, უძრავი ქონების შესაძენად აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია საადგილმამულო წიგნში.<sup>450</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისთვის ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ნების გამოვლენისა და გარიგების იდენტურობის თეორია. ეს ამკარად ჩანს „მოტივებიდან“. კერძოდ, მასში აღნიშნული იყო: „გამოთქმები „ნების გამოვლენა“ და „გარიგება“ თანაბარმნიშვნელოვნად გამოიყენება“.<sup>451</sup> მართალია, იგივეობის ეს თეორია დღეს უარყოფილია, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ნების გამოვლენა გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ელემენტია.<sup>452</sup> ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი, რომელიც გარიგების კონსტიტუტიურ ელემენტად სწორედ ნების გამოვ-

<sup>449</sup> ეს კრიტიკა ეკუთვნოდა გერმანელ ცივილისტს ტიტცეს: *Titze Heinrich*, *Rechtsgeschäft*, in *Rechtsvergleichendes Handwörterbuch für das Zivil- und Handelsrecht des In- und Auslandes*, Berlin, 1936, S.790.

<sup>450</sup> *Titze*, *Rechtsgeschäft*, S.790-791.

<sup>451</sup> *Motive zu dem Entwurfe eines Bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich*, Berlin/Leipzig, 1888, Bd.I, S. 126.

<sup>452</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Riithers/Stadler*, *Allgemeiner Teil des BGB*, § 16 I, Rn. 1 ff. *Larenz/Wolf*, *Allgemeiner Teil*, § 22 II 1, Rn. 3 ff.; *Staudinger/Diicher*, *Vorbem zu §§ 116-144*, Rn.1.

ლენას მიიჩნევს, სრულიად შეესაბამება გარიგების თანამედროვე გაგებას.<sup>453</sup>

ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიშვას შთაბეჭდილება, რომ ნების გამოვლენა ფსიქოლოგიის კატეგორიაა. ასეთი აზრი ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნება წარმოადგენს ფსიქოლოგიის კატეგორიას. მაგრამ სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალება იმ ქმედობის გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. თუმცა ეს არ გამოირიცხავს ნების გამოვლენის ანალიზისას ფსიქოლოგიისადმი მიმართვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს, როცა ნების გამოვლენის ნაკლზე ან სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად გამოვლენილ ნებაზე იქნება საუბარი. მიუხედავად ამისა, დღევანდელ სამოქალაქო სამართალში აღიარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ნების გამოვლენა არის სამართლებრივი ცნება, სამართლის ინსტიტუტი.<sup>454</sup>

ნების გამოვლენა, როგორც „ქმედობა“ ან ნებელობითი აქტი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას.<sup>455</sup> ეს დეფინიცია მრავალ გარემოებაზე მიგვანიშნებს, რომელთაც ქვემოთ შევხებით:

ქმედობად და არც ნების გამოვლენად არ ჩაითვლება გამოთქმა, რომელსაც ადამიანი ძილში, ნარკოზის ქვეშ, ან ცნობიერების გამომრიცხველი სხვა გარემოებების გავლენით აკეთებს.

ნება, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს

<sup>453</sup> ეს შეხედულება სრულად არის გაზიარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 50, გვ. 166; *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 232 და ა.შ.

<sup>454</sup> ქართულ სამართალში მას სამართლებრივ-ტექნიკურ ცნებას უწოდებენ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 241. გერმანულ სამართალში: *Staudinger/Dilcher*, Vorbem zu §§ 116-144, Rn. 3-4; *Flume*, *Rechtsgeschäft*, § 4, S.5 usw.

<sup>455</sup> *Knieper/Chanturia/Schramm*, *Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien*, S. 433 ff.

მიზნად, შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს: როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით, სიტყვიერად ან დუმილით, წერილობით ან ზეპირად და ა.შ. ტექნიკის არნახული განვითარების პირობებში ნების გარეგნული გამოვლენის შესაძლებლობაც უამრავია: ერთ შემთხვევაში ეს გამოვლენა შეიძლება ადამიანის სხეულის მეშვეობით განხორციელდეს (მაგალითად, შპს-ის პარტნიორთა კრებაზე ხელის აწევით), სხვა შემთხვევაში კი — შედგენილ დოკუმენტზე — ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ანდა საბანკო ბარათის მეშვეობით ფულის ავტომატიდან ფულის მოხსნით. მაგრამ რაც ყველა ამ მოქმედებას საერთო აქვს, ისაა, რომ ქმედობა უნდა იყოს ნებელობითი აქტი. ის უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ უნდა წარმოადგენდეს მექანიკურ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ აქტს.

ნების გარეგნული გამოხატვა თავისთავად არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.<sup>456</sup> ეს ნება მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს, მაგალითად, საკუთრების შექმნას, ხელშეკრულების დადებას, ნივთის გაჩუქებას და ა.შ. მაშასადამე, ნების გამოვლენა არის არა უბრალოდ შეტყობინება, არამედ სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეგნული გამოვლინება, რომელიც ნებელობითი აქტია.<sup>457</sup>

მაგრამ არც ესაა საკმარისი იმისთვის, რომ განზრახვის გარეგნული გამოხატვა, თუნდაც სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის, ნების გამოვლენად მივიჩნიოთ სამართლებრივი გაგებით. სტუდენტის მიერ თავის დღიურში იმის ჩაწერა, რომ მას სურს შეიძინოს „ჰარი პოტერის“ ბოლო ტომი, თუმცა ნების გარეგნული გამოხატვაა, მაგრამ არ ჩაითვლება ნების გამოვლენად: მას აკლია სამართლებრივი ვარგისიანობა, ე.ი. თვისება, რომელიც ნების გამომხატველს სამართლებრივად შებოჭავს. სულ სხვა შემ-

<sup>456</sup> მისაღმებაც, მეგობრისთვის წერილის გაგზავნაც, ტელეფონზე საუბარიც ნების გარეგნული გამოხატვაა, მაგრამ ის არ მიიჩნევა ნების გამოვლენად სამოქალაქო სამართლის გაგებით.

<sup>457</sup> შეადარეთ § 27 II.

თხვევაა, როცა იგივე სტუდენტი მალაზიაში გამყიდველს ეტყვის, რომ მას სურს იყიდოს „ჰარი პოტერის“ ბოლო ტომი, ხოლო გამყიდველი დასტურის ნიშნად გაუწოდებს მას წიგნს. აქ უკვე ნების გამოვლენა სამართლებრივად ბოჭავს მის გამომხატველს და სამართლებრივად ვარგისია — შეუძლია გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები.

როცა სტუდენტმა თავის დღიურში ჩაწერა, რომ მას წიგნის ყიდვა სურს, მართალია, მან განსაზღვრული სამართლებრივი მიზანიც — ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და საკუთრების შეძენა — გამოხატა, მაგრამ ეს გამოხატვა არ წარმოადგენდა უშუალო საფუძველს დასაზუსტო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისთვის. მხოლოდ მალაზიაში — გამყიდველის წინაშე გამოვლენილი განზრახვა არის უშუალო საფუძველი შედეგის წარმოშობისთვის.

მაშასადამე, ნებამ რომ ნების გამოვლენის ხასიათი მიიღოს, მისი გარეგნულად გამომხატველი აქტი უნდა იყოს ნებელობითი, სამართლებრივად ვარგისი (ნამდვილი), მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს და წარმოადგენდეს ამ შედეგის მიღწევის უშუალო საფუძველს.

გარიგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ნების გამოვლენას უკავშირდება. უფრო ზუსტად, კანონი აწესრიგებს ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობის საკითხს. რამდენიმე მაგალითის მოხმობაც საკმარისია ამის ნათელსაყოფად: ა. თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა; ბ. თუ ნება გამოვლენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (არასრულწლოვანი ან არაქმედუნარიანი), სამართლებრივი შედეგის მიღწევა ეჭვქვეშ დადგება; გ. თუ ნება გამოვლენილია გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით (მოტყუება, მუქარა და ა.შ.), შედეგი შეიძლება გაუქმდეს.

იმისთვის, რომ ნების გამოვლენამ დასაზუსტო სამართლებრივ შედეგს მიაღწიოს, იგი უნდა გაკეთდეს გარკვევით, არაორაზროვნად. მაგრამ ცხოვრებაში ხდება ხოლმე, როცა გარეგნულ გამოხატვებში ადამიანები სხვადასხვა შინაარსს აქსოვენ. ამიტომ აუცილებელი ხდება ნების გამოვლენის სწორი აზრის დადგენა.

ამ მიზნის მისაღწევად კანონი განამტკიცებს ნების გამოვლენის ანუ გარიგების განმარტების ინსტიტუტს. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალი იცნობს არა მხოლოდ კანონის განმარტებას, არამედ ნების გამოვლენის განმარტებასაც.

## II. ნების გამოვლენის განმარტების ცნება და მნიშვნელობა

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა (ვარგისიანობა) დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამოძღვენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (მათ შორის ცალმხრივ გარიგებებში) ორი მხარე — ნების გამოძღვენი და ნების მიმღები — მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული გარეგნულად გამოხატული აზრის განსხვავებულად გაგება. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება, რომელსაც 52-ე მუხლი განამტკიცებს.

გარიგების ანუ ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. საკვლევებელი ან გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების განმარტების მიზანი უფრო ვიწროა — გარიგების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ამგვარ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისთვის.

ნების გამოვლენა არა მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობებში გვხვდება, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ამიტომ ყოველთვის წარმოიშობა გამოვლენილი აზრის ზუსტად გაგების



საკითხი. ჰუმანიტარული მეცნიერების დარგების უმრავლესობა სწორედ იმის დადგენითაა ამითაა დაკავებული, თუ რა იგულისხმა გამოთქმის ავტორმა გარეგნულ გამოხატვებში.<sup>458</sup>

ნააზრევის ინტერპრეტაცია ჰუმანიტარული მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა. მაგრამ ეს ამოცანა სრულიად უწყინარია<sup>459</sup> და ტვინის მშვიდობიან ვარჯიშს წარმოადგენს. გარიგების ინტერპრეტაციისას კი საქმე გვაქვს ორ მოდავე მხარესთან, რომლებმაც ერთმანეთის აზრი სწორად ვერ გაიგეს. ერთი ეპიზოდი ცნობილი ქართული ფილმიდან „მიმინო“ ამის კარგი მაგალითია: ფილმის გმირს ვალიკო მიზანდარს სურს დარეკოს თელავში და ევროპის ერთ-ერთი ქალაქის სატელეფონო სადგურში აძლევს შეკვეთას. სადგურის თანამშრომელ ქალს ჰგონია, რომ კლიენტს უნდა თელ-ავივში, ე.ი. ისრაელში დარეკვა და მართლაც აერთებს თელ-ავივს. ფილმის მხატვრულ ეპიზოდს რომ გადავუხვიოთ და სამოქალაქო სამართლის ასპარეზს მივუბრუნდეთ, დადგება საკითხი, უნდა აანაზღაუროს თუ არა შემკვეთმა – ვალიკო მიზანდარმა – სატელეფონო საუბარი; მას სურდა თელავში დარეკვა და არა თელ-ავივში. სწორედ ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა ნების გამოვლენის განმარტების პრობლემა – რა სურდა ნების გამომვლენს და როგორ გაიგო იგი ნების მიმღებმა?

<sup>458</sup> მაგალითად, ლიტერატურის კრიტიკოსები თითქმის ერთხმად აღიარებდნენ დიდი ხნის მანძილზე, რომ ვაჟა-ფშაველას „არწივში“ იგულისხმებოდა სისხლისაგან დაცლილი, დაუძლურებული საქართველო. სინამდვილეში კი შეიძლება პოეტმა ეს ლექსი უბრალოდ დაჭრილ არწივს მიუძღვნა და მასში საქართველო სულაც არ იგულისხმება. პირიქით, აკაკი წერეთლის ცნობილი სტროფი – „მაღლა ღმერთი, ძირს მეფე, ოი ამას ვენაცვალე“ – განმარტების სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა: „ძირს მეფე“ შეიძლება განმარტო ისე, თითქოს დედამიწაზე ერთადერთი მბრძანებელი, „დედამიწის ღმერთი“ იყოს მეფე, ანდა როგორც მოწოდება მეფის დამხობისაკენ. ასევე შეიძლება განსხვავებულად განიმარტოს „ოი ამას ვენაცვალე“. ერთ შემთხვევაში საგარაუდოა, რომ ეს იყოს შექება იმ წესისა, რომლითაც ცაში ღმერთია მბრძანებელი, ხოლო მიწაზე – მეფე, ხოლო მეორე შემთხვევაში – შეიძლება იყოს იაპონელი გენერლის შექება, რომელმაც რუსის ჯარი დაამარცხა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

<sup>459</sup> ზოგი გამოჩაკლისის გარდა, როცა ესა თუ ის ინტერპრეტაცია პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების საბაბი ხდება.

„მიმინოს“ მაგალითში ტელეფონისტმა ნების გამოვლენა სხვაგვარად გაიგო, ვიდრე ეს შემკვეთს სურდა. 52-ე მუხლი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ „ნება გონივრული განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს“. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ რალაც კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მეცნიერებასა და დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით.<sup>460</sup> მაგრამ ეს არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ნების მიმღების მიერ გაგების შესაძლებლობათა კრიტერიუმები. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.<sup>461</sup> შეეძლო თუ არა ნების მიმღებს გამოვლენილი ნება ისევე გაეგო, როგორც ეს ნების გამომვლენმა იგულისხმა? რა ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომ მიმღებს ნების გამოვლენა ისე უნდა გაეგო, როგორც ეს ნების გამომვლენმა იგულისხმა? შეიძლებოდა თუ არა გარემოებათაგან გამომდინარე ნების გამომვლენს ეჭვი შეჰპარვოდა, რომ მის ნათქვამს სხვანაირად გაიგებდნენ? ან რამდენად რეალური იყო ნების მიმღების დაეჭვება, რომ მან შემკვეთის აზრი სწორად გაიგო? ესაა კითხვათა ის მცირე ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა გაიციეს პასუხი ნების გამოვლენის განმარტების დროს.

სამოქალაქო კოდექსი, გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, იცნობს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების განმარტების საკითხებს აწესრიგებს. კერძოდ, ესაა 337-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულებათა ცალკეული გამონათქვამების განმარტებისას ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის პრინციპს

<sup>460</sup> მაგალითად, *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 251; გერმანულ სამართალში - *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 1811 2 a) Rn. 7 ff. Flume, *Rechtsgeschäft*, S. 310-312.

<sup>461</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Hübner Heinz*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, Berlin, De Gruyter Lehrbuch, 2. Aufl., 1996, Rn. 429

და, რაც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, უპირატესობას ანიჭებს აქცეპტანტის საცხოვრებელ ადგილს, ე.ი. იმ მნიშვნელობას, რომელსაც აქცეპტანტი მიანიჭებდა ნების გამოვლენას. საკითხი მდგომარეობს შემდეგში: გამოყენებულ უნდა იქნეს თუ არა ეს ნორმა გარიგებების, უფრო კონკრეტულად კი — ცალმხრივი გარიგებების განმარტების დროს? იმ ცალმხრივ გარიგებებში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, ეს წესი უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ის არ არის საკმარისი გარიგების განმარტებისთვის.

იმ კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ როგორ უნდა განიმარტოს ნება, როცა ის სხვადასხვანაირად იქნა გაგებული, არსებობს რამდენიმე თეორია, რომელთაგანაც ერთი უპირატესობას ანიჭებს იმ აზრს, რომელიც ნების მიმღებს შეეძლო წარმოშობოდა და უნდა წარმოშობოდა კიდევ. თუ გარემოებებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ნების მიმღებს მხოლოდ ასე შეეძლო გაეგო ნების გამოვლენა და არა სხვაგვარად, მაშინ ნების გამომვლენი უნდა დაემორჩილოს ნების მიმღების მიერ გაგებულ მნიშვნელობას. ამ შეხედულების ავტორები დამატებით მოითხოვენ, რომ იმ სიტუაციაში, რომელშიც ნების მიმღები იმყოფებოდა, ნების გამომვლენსაც ისეთი მნიშვნელობით უნდა გაეგო გამოვლენილი ნება, როგორც ეს ნების მიმღებმა გაიგო, ე.ი. თუ როგორ შეერაცხებოდა მას ეს ნება. მეორე შეხედულების თანახმად, შერაცხადობა არა მხოლოდ ნების მიმღებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ორივესთვის. ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება უფრო მისაღებია.<sup>462</sup>

გარიგების განმარტების დროს განმარტების საგანს წარმოადგენს არა გარიგების მხარეების მიერ აღქმული ან გამოხატული მნიშვნელობა, არამედ თვითონ ნების გამოვლენა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა ეს ნების გამოვლენა მხარეების მიერ განსხვავებულად იქნა აღქმული. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ცნებას მხა-

<sup>462</sup> ამ შეხედულებათა მიმოხილვა ნახეთ: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 336.

რეები სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეს საყოველთაოდ არის მიღებული. თუ მათ ამ დროს უთანხმოება არ წარმოეშობათ, არც განმარტების აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში და სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს იმ მნიშვნელობას, რაც მხარეებმა მოცემულ ცნებას მიანიჭეს.

ნების გამოვლენის განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ყველა გარემოება საქმესთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც უშუალო კავშირშია მოცემული ნების გამოვლენასთან. ესენია: დრო, ადგილი, პირობები და ა.შ. „მიმინოს“ მაგალითში ვალიკო მიზანდარს შეკვეთა თბილისის სატელეფონო სადგურში რომ მიეცა, გაუგებრობა არ წარმოიშობოდა. ამიტომ ნების განმარტების დროს ეს გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში. შეეძლო კი ევროპელ ქალს სცოდნოდა, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ერთ პატარა რესპუბლიკაში არსებობს პატარა ქალაქი — თელავი. თავის მხრივ ტელეფონისტსაც უნდა დაეზუსტებინა შეკვეთის შინაარსი.

ნების გამოვლენის განმარტებისას ნამდვილი ნების დადგენის აუცილებლობა თვალშისაცემია მაშინ, როცა ფორმასავალდებულო გარიგებებზეა საუბარი და ეს ფორმა სათანადოდ არ არის დაცული. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ანდერძი, კერძოდ, როცა იგი ბუნდოვნად არის შედგენილი და ტექსტიდან ზუსტად არ ჩანს მამკვიდრებლის ნება ანდა ანდერძის ტექსტიდან კი ჩანს მამკვიდრებლის ნება, მაგრამ დოკუმენტი სანოტარო წესით არ არის დამოწმებული. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს გამოვლენილ ნებას მაშინაც, როცა გარიგების ფორმა არ არის დაცული. ამას ასაბუთებს იმით, რომ ფორმის მიზანი არის ურთიერთობის მონაწილეთა დაცვა აჩქარებისაგან, ხოლო თუ ნება გამოვლენილია ასეთი აჩქარების გარეშე, რატომ უნდა ეთქვას მას უარი ნამდვილობაზე.<sup>463</sup>

<sup>463</sup> ჭანტურია, შესავალი, გვ. 337. ეს საკითხი დაწვრილებით ხელშეკრულების განმარტებისას იქნება განხილული.

### III. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობა განმარტებისას

გარიგებათა განმარტებისას თანამედროვე სამართალში არც-  
 თუ იშვიათად მიმართავენ სავაჭრო ტრადიციებსა და ჩვეულებებს.  
 ამასვე ითვალისწინებს 339-ე მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ  
 ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების გან-  
 საზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო  
 ჩვეულებები და ტრადიციები. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები,  
 რომლებიც, როგორც წესი, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს  
 შორის ურთიერთობებში გამოიყენება, არ წარმოადგენს სამართლის  
 წყაროს. ეს განასხვავებს მათ მე-2 მუხლით გათვალისწინებული  
 ჩვეულებებისაგან, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხ-  
 ვეებში შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამართლის წყაროდ. იმა-  
 ვდროულად, საქმიანი წრეების წარმომადგენლებისთვის ამ სავაჭ-  
 რო ჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვა მოვალეობას შეადგენს  
 და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობს გარიგებათა განმარტებისას.  
 სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები წარმოიშობა ამა თუ იმ  
 სამეწარმეო საქმიანობის წარმომადგენელთა მიერ ურთიერთშე-  
 თანხმებული და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. როგორც წესი,  
 ისინი წარმოიშობა არა ზოგადად, არამედ კონკრეტული დარგის  
 ფარგლებში, მაგალითად, ვაჭრობის სფეროში, მშენებლობაში და  
 ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ წრეების წარმომადგენელთა მიმართ  
 სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს სავალდებულო ძალა აქვთ  
 მაშინაც, როცა ამა თუ იმ პირმა ამის შესახებ შეიძლება არც  
 იცოდა. ცხადია, კანონის იმპერატიული ნორმის არსებობისას მათ  
 იურიდიული ძალა არა აქვთ, ე.ი. სავაჭრო ჩვეულებებითა და ტრა-  
 დიციებით არ შეიძლება კანონით დადგენილი წესების შეცვლა,  
 დისპოზიციური ნორმების შემთხვევაში კი — სავაჭრო ჩვეულებებ-  
 სა და ტრადიციებს უპირატესობა ენიჭებათ.

თუკი ნების გამოვლენილია და ნების მიმღებიც საქმიანი წრეე-

ბის ერთსა და იმავე ჯგუფს განეკუთვნებიან, მაშინ ნების მიმღებს შეუძლია იმაზე მიუთითოს, რომ მან მის მიმართ გამოთქმული სიტყვები ისევე გაიგო, როგორც ეს მიღებულია მოცემულ წრეში. ასეთი გაგება სავალდებულო იქნება ნების გამომვლენისათვის, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან კონკრეტულად ამ წესის არსებობის შესახებ. მთავარია, რომ ნების გამომვლენი საქმიანი წრეების მოცემულ კატეგორიას განეკუთვნებოდეს. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ნების შეცდომით გამოვლენის გამო მან გარიგება საცილო გახადოს.

იმ შემთხვევებში, როცა გარიგების მონაწილეები არ განეკუთვნებიან საქმიანი წრეების ერთსა და იმავე კატეგორიას, განმარტებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობები. თუმცა ნების მიმღებმა, რომელმაც იცის, რომ ნების გამომვლენი არ განეკუთვნება ამ წრეს, უნდა გამოიჩინოს უფრო მეტი ყურადღება და ეცადოს გამოარკვიოს, თუ რა იგულისხმა ნების გამომვლენმა. მაგალითად, ინტერნეტით სარგებლობის ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელი უნდა შეეცადოს დააზუსტოს, თუ რას ნიშნავს „ნულოვანი ტარიფი“, რაც პროფესიონალებისთვის გასაგებია.<sup>464</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები მეტად მნიშვნელოვანია გარიგებათა განმარტებისას, ისინი ერთ-ერთი საშუალებაა ნების დადგენისას, თანაც მხოლოდ კონკრეტულ წრეში. ამიტომ გარიგებათა განმარტებისას სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები სხვა საშუალებებთან და გარემოებებთან კავშირში უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა ხშირად უპირატესობა სწორედ მათ ენიჭებათ.

<sup>464</sup> „ნულოვანი ტარიფი“ ნიშნავს განსაზღვრული ხანგრძლივობის სატელეფონო საუბრებს (მაგალითად, 60 წუთი) ფიქსირებულ ტარიფად. გამოთქმა „ნულოვანს“ ხშირად შეჰყავს მომხმარებელი შეცდომაში.

#### IV. ნების გამოვლენები, რომლებიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი

ნების გამოვლენათა ერთი ნაწილი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს გაცხადებული ნება და როგორ იქნა იგი გაგებული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასეთი გარიგებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არცთუ ისე ცოტაა, აშკარა გახდება ამგვარი განმარტებების აუცილებლობა: ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება სავაჭროდ ბირჟაზე, სავაჭრო რეესტრის მასალების გამოქვეყნება, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა და ა.შ.

პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის განმარტების დროს ნების გამომვლენი, ცხადია, ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლო პირის აღქმის უნარს, გაგების შესაძლებლობას, რომლებიც შეიძლება იყვნენ ნების გამოვლენის ადრესატები. ამიტომ, აღიარებული შეხედულების თანახმად, ამგვარი ნების გამოვლენის განმარტების დროს გადამწყვეტია ამ ურთიერთობის საშუალო მონაწილის შემეცნების (აღქმის) შესაძლებლობანი ან, თუ ნების გამოვლენა სპეციალისტთა განსაზღვრული წრისადმი არის მიმართული, ასევე მათი საშუალო შესაძლებლობები.<sup>465</sup>

პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, მაგრამ სპეციალისტების მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის მაგალითია ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გაკეთებული განცხადებები. ამ დროს გამოყენებული სპეციალური ტერმინების გაგება, ცხადია, ყველას არ შეუძლია. ამიტომ ამგვარი ნების გამოვლენების განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ურთიერთობაში მონაწილე პირთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

<sup>465</sup> მაგალითად ვერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 28 C II Rn. 81 ff.

## V. ანდერძის განმარტების თავისებურებანი

ანდერძი ცალმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია, რომლის ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის მიერ მის მიღებაზე. ეს ნიშნავს, რომ გარიგება — ნების გამოვლენა — ნამდვილია მაშინვე, როცა მამკვიდრებელი კანონით დადგენილი ფორმის დაცვით გამოხატავს თავის ნებას. ამიტომ ანდერძის განმარტების დროს უფრო სხვა წესები გამოიყენება, ვიდრე იმ გარიგებათა განმარტებისას, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღებაზე. მაგრამ რაც საერთოა ყველა გარიგებისთვის, არც ანდერძის დროს რჩება უყურადღებოდ: ნება გამოხატული უნდა იყოს კანონით დადგენილი ფორმით. ფორმის დაუცველად გამოხატული ნება არ ჩაითვლება ანდერძად და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ანდერძის შემთხვევაშიც ლაპარაკია იმ ნების გამოვლენის განმარტებაზე, რომელიც განხორციელებულია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით. ამ დროს გადამწყვეტია თვით მამკვიდრებლის ნება და არა ამ ნების გამოვლენის მიმღებთა შემეცნების (გაგების, აღქმის) შესაძლებლობები. ცხადია, ანდერძის დროსაც იგი უნდა მესამე პირებს, ე.ი. მათ, ვინც მემკვიდრეობა უნდა მიიღოს, მაგრამ ანდერძის ნამდვილობა არ არის იმაზე დამოკიდებული, მემკვიდრე მიიღებს თუ არა მას. გარდა ამისა, ანდერძის შედგენა არ იწვევს ანდერძის დამტოვებლის ე.წ. გარიგებით ბოჭვას. ანდერძით გათვალისწინებული შედეგები მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ღებება. მაშასადამე, ანდერძის განმარტების დროს უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის ნება, ის, თუ რისი თქმა სურდა მას თავის ანდერძში. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა გარემოება, ფაქტი თუ ნივთმტკიცებულება, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით კავშირში იმყოფებიან მოანდერძის მიერ ნების გამოვლენასთან: პირადი წერილები, შესაძლო მემკვიდრეებთან პირადი დამოკიდებულება და ა.შ.



ანდერძის განმარტების თავისებურება მდგომარეობს ასევე იმაში, რომ იგი უნდა განხორციელდეს ანდერძის ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ეს ნიშნავს, რომ განმარტების საგნად არ შეიძლება იქცეს ისეთი ფაქტები ან საგნები, რომელთაც უშუალო კავშირი ანდერძთან არა აქვთ, ე.ი. მასში არ არიან მოხსენიებული. ანდერძის განმარტება შეიძლება იმასთან დაკავშირებით გახდეს აუცილებელი, რომ მონადერძემ მემკვიდრის სახელი შეცდომით ჩაწერა. ამის აღბათობა საქართველოშიც არსებობს, როცა აღამიანები რამდენიმე სახელს ატარებენ – შინაურს (კნინობით-ალერსობითს) და ოფიციალურს.

ანდერძის ბუნდოვნობის შემთხვევაში ანდერძის განმარტების ზოგ საშუალებასა და გზას თვით კანონი უთითებს. მაგალითად, 1348-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში ერთის წილია განსაზღვრული, სხვების კი – არა, მაშინ ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.

1348-ე მუხლის ნორმა იმის მაგალითია, რომ კანონმდებელი გარიგებათა განმარტების დროს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიერ შემუშავებულ მეთოდებს არ ემყარება. ხშირ შემთხვევებში, როცა ნების გამოვლენა შეიძლება ბუნდოვანი იყოს, კანონი თვითონ სთავაზობს გამოსავალს, ე.ი. გზას, თუ როგორ უნდა განიმარტოს საეჭვო და ბუნდოვანი ნების გამოვლენა.

## VI. კანონის ნორმათა როლი ბუნდოვანი ნების გამოვლენის განმარტებისას

სამოქალაქო კოდექსისთვის არაა უცხო და მოულოდნელი, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც ნების გამოვლენის მეშვეობით ხორციელდება, შეიძლება წარმოიშვას ბუნდოვანი ადგილები, ე.ი. როცა მხარეებს ზუსტად არა აქვთ განსაზღვრული ერთმანეთს შორის ურთიერთობა. ამიტომ კანონის ტექსტში ჩვენ ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „ეჭვის შემთხვევაში“,

„საეჭვოობისას“. ეს ის შემთხვევებია, როცა განმარტება აუცილებელია, მაგრამ არა იურიდიულ-დოგმატური მეთოდოლოგიის (ე.ი. გარიგებათა განმარტების მეთოდების საფუძველზე), არამედ კანონის მიერ ზუსტად შემოთავაზებული გადაწყვეტის ფარგლებში. მას იურიდიულ ლიტერატურაში ეწოდება „განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები“.<sup>466</sup> მაგალითად, 386-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მხარეებს შორის წარმოიშვა გაუგებრობა (მოვალეს ეგონა, რომ უნდა გადაეხადა თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო კრედიტორს – თავისი), ე.ი. საეჭვოა გადახდის ადგილი, ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით. განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესების გამოყენების ყველაზე გავრცელებული შემთხვევები დაკავშირებულია ვადების გამოთვლასთან. როცა გარიგების მხარეები ზუსტად არ განსაზღვრავენ გარიგებათა შესრულების ვადებს და ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა განმარტების აუცილებლობა, სამოქალაქო კოდექსი 121-127-ე მუხლებში განამტკიცებს ამგვარი განმარტების წესებს. თუ მხარეებმა ხელშეკრულება დადეს სამი თვით, მაგრამ ხელშეკრულებაში არ მიუთითებიათ ამ ვადის გასვლის აღმნიშვნელ კონკრეტულ დღეზე, მაშინ საეჭვოობისას გამოიყენება 123-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ე.ი. ვადა დამთავრდება მესამე თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

ერთი შეხედვით, განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები ჰგავს კოდექსის დისპოზიციურ ნორმებს: ორივე შემთხვევაში ხდება ღიად დარჩენილი ურთიერთობების მოწესრიგება კანონის მიერ. მაგრამ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია. დისპოზიციური ნორმები გამოიყენება მაშინ, როცა მხარეებს უკვე დადებულ ხელშეკრულებაში ღიად დარჩათ ესა თუ ის საკითხი ან კანონის ნორმას მიენდვნენ და ამიტომ სპეციალურად დატოვეს ღიად. ღიად დარჩენილ ურთიერთობას აწესრიგებს კანონის ნორმა.

<sup>466</sup> *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 28 V, Rn. 99 ff.*

მხარეების მიერ გამოვლენილ ნებათა შორის არ არის კონფლიქტი. უფრო ზუსტად, სამართლებრივი შედეგის დადგომა არ არის დამოკიდებული მხარეთა მიერ ნების გამოვლენაზე. გარიგების განმარტების დროს კი სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, აქ სამართლებრივი შედეგის დადგომა უკავშირდება მხარეთა მიერ ნების გამოვლენას და შედეგი იმიტომ ვერ დგება, რომ ამ ნებათა გამოვლინებებს შორის არის შეუთანხმებლობა, გაუგებრობა და ის უნდა დაზუსტდეს. ე.ი. ერთ შემთხვევაში მხარეებს არ გამოუვლენიათ ნება (ურთიერთობა დარჩა ღიად), ხოლო მეორე მაგალითის დროს, კი გამოავლინეს ნება, მაგრამ მათ შორის არის უთანხმოება, უზუსტობა, რომელიც განმარტებას მოითხოვს.

ამ განსხვავების მიუხედავად, განმარტების მატერიალურ-სამართლებრივი წესები ხშირად დისპოზიციური ნორმების ფორმით არის კანონში განმტკიცებული. ამიტომ მათ შორის ცალსახა მიჯნის გავლება არათუ შეუძლებელია, არც არის აუცილებელი.

## VII. ღუმილი და სხვა კონკლუდენტური მოქმედებები, როგორც ნების გამოვლენა

53-ე მუხლის თანახმად, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვებიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. ამ ნორმების მიხედვით, ნების გამოვლენა, რომელიც გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა, შეიძლება სხვადასხვა გზითა და საშუალებით გამოიხატოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როცა მხარეები სიტყვიერად (ზეპირად ან წერილობით) გამოხატავენ თავიანთ ნებას. მაგრამ 53-ე მუხლი იმაზეც მიუთითებს, რომ შესაძლებელია არსებობდეს ნების გამოხატვის სხვა საშუალებებიც. ამგვარი გამოხატვის გავრცელებული ფორმებია **ღუმილი** და **კონკლუდენტური მოქმედებები**.

ღუმილი ნების გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა და ამიტომ სამართალი მას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში უკავშირებს

სამართლებრივ შედეგებს. აღიარებული შეხედულების თანახმად, რომელსაც ასევე სამოქალაქო კოდექსიც იზიარებს, ღუმილი, როგორც წესი, ნიშნავს უარს გარიგების დადებაზე.<sup>467</sup> ესეც შეიძლება ნების გამოვლენად ჩაითვალოს (უმოქმედობა), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სამართლებრივ ურთიერთობაზე. მაგალითად, 330-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი მაშინვე უნდა იქნას მიღებული. ღუმილი ამ შემთხვევაში ოფერტის უარყოფას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, რომლის დროსაც ღუმილი ჩაითვლება ნების გამოვლენად პოზიტიური გაგებით. ზოგჯერ ამას კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, ზოგჯერ კი სავაჭრო ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ღუმილი წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, 335-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მეწარმე, რომელიც ასრულებს საქმეებს სხვებისთვის, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი ღუმილი ჩაითვლება აქცეპტად. მაგალითად, ღვინის ქარხანა თბილისის ერთ-ერთ რესტორანს ყოველ შაბათს აწვდის 1000 ბოთლ ღვინოს. რესტორნის დირექტორმა შეატყობინა ქარხანას, რომ ერთ-ერთ შაბათს დაგეგმილია ქორწილი და მას სჭირდება 2000 ბოთლი ღვინო. თუ ქარხანა ამ წინადადებაზე პასუხს არ გასცემს, 335-ე მუხლის თანახმად, მისი ღუმილი ჩაითვლება თანხმობად და 2000 ბოთლი ღვინის მიუწოდებლობისათვის მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. მართალია, ღუმილი ამ შემთხვევაში არ იწვევს ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ აქცეპტანტს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ეს ნორმა მიზნად ისახავს კომერციული ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფას და თავის დროზე დასავლეთის ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად წარმოიშვა.<sup>468</sup> კომერსანტები,

<sup>467</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Pawlowski Hans-Martin*, Allgemeiner Teil des BGB, 7. Aufl., C.F. Müller, Heidelberg, 2003, S. 158.

<sup>468</sup> *Staudinger/Dilcher*, Vorbem zu §§ 116-144, Rn. 49.

რომლებიც ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობებში იმყოფებიან, ვალდებული არიან დაიცვან დამკვიდრებული ტრადიცია.

დუმილი გარიგების დადებაზე თანხმობად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა გარიგების მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, რომ მათ მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში დუმილი ჩაითვლებოდა თანხმობად. მაგალითად, ფიზიკურმა პირებმა შექმნეს შპს სუთი წლის ვადით. წესდებაში აღნიშნეს, რომ თუ ამ ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე პარტნიორები არ განაცხადებენ საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, საზოგადოება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად. ეს ის შემთხვევაა, როცა გარიგების მონაწილეთა დუმილი მიჩნეულია ნების გამოვლენად და იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. დასავლეთ ევროპის ზოგი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომლის თანახმად, კომერსანტებს შორის წერილობით გაკეთებულ წინადადებაზე პასუხის გაუცემლობა (ე.ი. დუმილი) ითვლება ამ წინადადების მიღებად.<sup>469</sup> ამით სასამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა კომერსანტების მოვალეობა, რომ მათ უნდა უპასუხონ კოლეგების მიერ მათთვის გამოგზავნილ წერილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დუმილი ჩაითვლება თანხმობად.

ნების გამოვლენის მეორე გავრცელებული საშუალებაა ე.წ. **კონკლუდენტური მოქმედებები**. ამ დროს ნების გამოვლენა გამომდინარეობს პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებიდან. კონკლუდენტური მოქმედება არის ნების გარეგნული გამოხატვა, რომელიც მიმართულია ნების რეალურ განხორციელებაზე ისე, რომ არ ისახავს მიზნად ამ ნების გარეგნულ დემონსტრირებას, ე.ი. ამ შემთხვევაში მოქმედება ნების გამოვლენის საშუალება კი არ არის, არამედ მინიშნება ნებაზე. მაგალითად, როცა პირი ქალაქის ავტობუსში არ ეუბნება მძღოლს, რომ ის მასთან გადაყვანის ხელშეკრულებას დებს, მაგრამ გარეგნული მოქმედება (კონკლუდენტური) მიუთითებს მის ასეთ ნებაზე, გარიგება ითვლება დადებულად. ასევე თვითმომსახურების მაღაზიაში საქონლის აღება

<sup>469</sup> *Flume, Rechtsgeschäft*, § 36, 2.

23. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

და მოლარესთან მისვლა ფულის გადასახდელად უკვე არის ისეთი მოქმედება, რომელიც მიანიშნებს პირის ნებაზე დალოს გარიგება. კონკლუდენტურად ამა თუ იმ მოქმედების მისაჩნევად საკმარისია ისეთი მოქმედება, რომელიც ნების გამოვლენის ადრესატს მიანიშნებს, რომ პირს სურს გარიგების დადება.<sup>470</sup>

ნების გამოვლენა დუმილით ან კონკლუდენტური მოქმედებებით უნდა განვასხვაოთ იმ შემთხვევებისაგან, როცა არ არსებობს ნების გამოვლენა (არც დუმილით, არც კონკლუდენტური მოქმედებით), მაგრამ სამართალი ითვალისწინებს ისეთ შედეგებს, თითქოს პირს გამოემჟღავნებინოს თავისი ნება. მაგალითად, პირი ჯდება ავტობუსში, მაგრამ კატეგორიულად ამბობს უარს, რომ გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება, ე.ი. მისი ნების გამოვლენა და ფაქტობრივი მოქმედება არ ემთხვევა ერთმანეთს.<sup>471</sup> ლიტერატურაში ბოლო დროს აღიარებული შეხედულების თანახმად აქაც გამოყენებული უნდა იქნას ნორმები კონკლუდენტური მოქმედებების შესახებ.<sup>472</sup>

<sup>470</sup> ჭანტურია, შესავალი, გვ. 344.

<sup>471</sup> ამგვარ ურთიერთობებს გერმანულ სამართალში ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებს უწოდებენ. ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ მოძღვრების თანახმად, პირის ვალდებულება, რომ გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება, ემყარება არა ნების გამოვლენის პრინციპს, არამედ ე.წ. „სოციალურად ტიპურ მოქმედებას“, რომელიც ანალოგიური შემთხვევებისთვის სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს და ვარაუდობს, რომ ხელშეკრულება თითქოს დაიდო. იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული ეს მოძღვრება გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა გაზიარებული, კერძოდ, ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით: ერთმა მოქალაქემ ფასიან და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ავტოსადგომზე დააყენა თავისი მანქანა და კატეგორიულად თქვა უარი საზღაურის გადახდასა და მომსახურე პერსონალის მიერ მანქანისთვის ყურადღების მიქცევაზე. ამ დავამ გერმანიის ფედერალურ სასამართლომდე მიადწია. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არ იყო მეთვალყურეობის ხელშეკრულება დადებული ავტოსადგომის მფლობელთან, ფედერალურმა სასამართლომ ეს დააკვალიფიცირა „ფაქტობრივ სახელშეკრულებო ურთიერთობად“ და ავტომანქანის მფლობელს დააკისრა საზღაურის გადახდა. ეს მოსაზრება ბოლო დროს ლიტერატურაში უარყოფილია და ითვლება, რომ აქაც კონკლუდენტურ მოქმედებებთან გვაქვს საქმე: Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 30 II, Rn. 21 ff.

<sup>472</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 30 II, Rn. 21 ff.

## § 30. გარიგების ფორმა

### I. გარიგების ფორმის ცნება

#### 1. გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი

როგორც ითქვა, სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით — ზეპირად ან წერილობით, მოქმედებით ან უმოქმედობით, ღუმლით ან კონკლუდენტური მოქმედებებით. ყოველივე ეს ნების გამოვლენის ფორმებს წარმოადგენს და, ბუნებრივია, რომ მათ გარიგებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.<sup>473</sup>

გარიგების ფორმის ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით ის გულისხმობს გარიგებას როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ვიწრო გაგებით კი მასში მხოლოდ წერილობითი ფორმის სახეები მოიაზრება. ამ წიგნში გამოყენებულია გარიგების ფორმა ფართო გაგებით, რაც 69-ე მუხლიდან გამომდინარეობს.<sup>474</sup>

სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „გარიგება საერთოდ არსებობს ფორმის მეშვეობით. ფორმის დაცვის გარეშე არც გარიგებითი აქტი არ არსებობს“.<sup>475</sup> გარიგების ფორმა გარიგების, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამონახატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. 68-ე მუხლის პირველი წინადადების მოთხოვნა, რომ „გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით

<sup>473</sup> არსებობს მოსაზრება, რომ სასურველია გამოვიყენოთ „ნების გამოვლენის ფორმა“ და არა „გარიგების ფორმა“. ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 283-284.

<sup>474</sup> ამით გაზიარებულია ფორმის ის კონცეფცია, რომელიც ასევე მოცემულია სამოქალაქო კოდექსის კომენტარში: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 214.

<sup>475</sup> *Flume, Rechtsgeschäft*, S. 244.

დადგენილი ფორმის დაცვა“, არ გულისხმობს გარიგების დადებას აუცილებლად წერილობით. უფრო ზუსტად, კანონის ამ ნორმის თანახმად, რომელიც მეორე წინადადებით კონკრეტდება, გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ასეთ ფორმას და მისი დაცვა სავალდებულოა. ვინაიდან კანონით დადგენილი ფორმის შემთხვევები ამომწურავადაა განსაზღვრული, ყველა სხვა გარიგების მიმართ სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს, რომელსაც ასევე ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპს უწოდებენ.<sup>476</sup> იგი შეესაბამება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ ანალოგიურ პრინციპებს.<sup>477</sup>

ამრიგად, გარიგების მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ გარიგების ფორმა (ზეპირი, წერილობითი და ა.შ.). ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ფორმას კანონი პირდაპირ ადგენს.

## 2. გარიგების ფორმის ფუნქციები

უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გარიგების ფორმის ფუნქციის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოჰყო: მტკიცების გაადვილება და განზრახვის სერიოზულობის დადასტურება.<sup>478</sup> წერილობითი დოკუმენტის არსებობა, რა თქმა უნდა

<sup>476</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 68, გვ. 213.

<sup>477</sup> მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 883-ის თანახმად, გარიგების მონაწილეების მიერ ნების გამოვლენის არჩევა თავისუფალია და მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი. შვეიცარიის სამართალიც განამტკიცებს გარიგებათა ფორმის თავისუფლების პრინციპს და კანონით გათვალისწინებული ფორმის ცნება დაახლოებით ისეა მოწესრიგებული, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. გარიგების ფორმის თავისუფლებას განამტკიცებს ასევე გერმანული სამართალი და გამონაკლისებს ამ პრინციპიდან უშვებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისთვის: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 347.

<sup>478</sup> სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 52.



აიოლებს გარიგების მონაწილეთა ნების დადგენას და ამით კი — მტკიცების პროცესს. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ იურიდიული პირები ხელშეკრულებებს ერთმანეთთან წერილობით აფორმებენ, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამის ვალდებულებას არ ითვალისწინებს.<sup>479</sup> გარდა ამისა, წერილობითმა ფორმამ უნდა დაიცვას გარიგების მონაწილეები ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. წერილობითი დოკუმენტის წაკითხვამ და მასზე ხელმოწერით გამოწვეული პასუხისმგებლობის განცდამ ნებისმიერი გონიერი ადამიანი უნდა დააფიქროს, თუმცა პრაქტიკაში ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მართალია, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ წერილობით დოკუმენტზე ხელმოწერა იმის დასტურად ჩათვალა, რომ გარიგების მონაწილე იცნობს გარიგების შინაარსს,<sup>480</sup> პრაქტიკა ხშირად ამის საპირისპიროს აჩვენებს, განსაკუთრებით, როცა საქმე შეეხება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებას, რომლებზეც ხელშეკრულების მონაწილე, როგორც წესი, ბრმად აწერს ხელს. მიუხედავად ამისა, წერილობითი ფორმა სერიოზულობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გარიგების ფორმის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა ერთ შემთხვევაში, როგორც გარიგების ერთ-ერთი ატრიბუტის, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც აბსოლუტური ფორმის.<sup>481</sup> ამ კლასიფიკაციაზე ხშირად არის დამოკიდებული გარიგებად ჩაფიქრებული, განზრახული ნების გამოვლენის ბედი. როცა გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების ატრიბუტად მოიაზრება, მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, თუ არ არის წერილობით გაფორმებული და შემძენი არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრი-

<sup>479</sup> განსხვავებულ წესს განამტკიცებს დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსები, რომლის თანახმად იურიდიულ პირებს შორის დადებული ყველა გარიგება წერილობით უნდა გაფორმდეს (მაგალითად, დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი).

<sup>480</sup> სუსგ სამოქ. 9/2005, გვ. 32.

<sup>481</sup> *Flume, Rechtsgeschäft*, S. 244-245.

რებული (ე.ი. არაა ფორმა დაცული), ჩაითვლება ბათილად, თუმცა ხელშეკრულების მონაწილეების მიერ განხორციელებულ ქმედობას შეიძლება ეწოდოს ნასყიდობა. როცა ფორმა აბსოლუტური ფორმის ფუნქციას ასრულებს, მაშინ მისი სამართლებრივი მნიშვნელობა უფრო განსხვავებულია. მაგალითად, თუ ფასიან ქალაქში არ არის მოცემული ჩეკის რეკვიზიტები და არ არის აღნიშნული, რომ ეს დოკუმენტი ჩეკია, მაშინ ეს არის არა ბათილი ჩეკი (როგორც ეს ნასყიდობის დროს იყო), არამედ ეს დოკუმენტი საერთოდ არ იქნება ჩეკი. აბსოლუტური ფორმის მაგალითად გამოდგება დაქორწინებაც. თუ დაქორწინება არ არის განხორციელებული კანონით დადგენილი ფორმით, მაშინ ეს იქნება არა ბათილი ქორწინება, არამედ საერთოდ არ იქნება დასაქორწინებელ პირთა მოქმედება ქორწინება.<sup>482</sup>

გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი ყველაზე აშკარაა ვალდებულებით სამართალში. მცირედი გამონაკლისების გარდა, მასში გათვალისწინებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს კანონით განსაზღვრულ ფორმას. უფრო მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია თავისუფალი ფორმის პრინციპი იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის მონაწილეები დამოუკიდებლად აყალიბებენ ამ ხელშეკრულებას. რაც შეეხება სანივთო (ქონებრივ) სამართალს, აქ კანონი უფრო მკაცრია: სანივთო (ქონებრივი) სამართლით გათვალისწინებული უფლებებისა და ურთიერთობების წარმოშობისთვის ან შეწყვეტისთვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა. ეს ფორმა შეიძლება იყოს როგორც მარტივი წერილობითი, ასევე სანოტარო. მაგალითად, 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკის ხელშეკრულება,

<sup>482</sup> შეიძლება არსებობდეს ამის საპირისპირო კონცეფციაც, რომლის თანახმად გარიგებად ჩაითვლება მხოლოდ ნამდვილი, ე.ი. მართლზომიერი გარიგება. ყველა სხვა ნების გამოვლენა კი არ მიიჩნევა გარიგებად. დაახლოებით ამ კონცეფციას ემყარება დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსები.

რომელზედაც მხარეთა შეთანხმებით გაიცემა იპოთეკის მოწმობა, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

კანონით დადგენილი ფორმის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში, ასევე ზოგად ნაწილში, კერძოდ იქ, სადაც იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობაა მოწესრიგებული.

გარიგების იმ ფორმის მიმართ, რომლის არჩევა გარიგების მონაწილეებს თვითონ შეუძლიათ, კანონი რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ იწვალისწინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები თვითონ ირჩევენ დამოუკიდებლად ამ ფორმას. თუმცა მინიმალური მოთხოვნა ამ დროსაც უნდა იყოს ის, რომ ნების გარეგნული გამოხატვა ნების მიმღებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით უნდა განხორციელდეს. მაგალითად, თუ ნება გამოხატულია გაუგებრად, ადრესატისთვის გაუგებარ ენაზე ანდა წერილობით, მაგრამ გაურკვეველი ხელწერით, ასეთი ნების გამოვლენა იქნება ბათილი. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება იმ საფუძვლით მიიჩნია ბათილად, რომ გარიგების მონაწილე არ ფლობდა გარიგების ენას - ქართულს - და ნოტარიუსს მისთვის თარჯიმანი არ შეუთავაზებია.<sup>483</sup>

## II. გარიგების ფორმის სახეები

### 1. ზეპირი ფორმა

ნების გამოვლენის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ზეპირი გარიგება.<sup>484</sup> ზეპირად, ე.ი. „კონტრაქტთან პირისპირ მოლაპარაკებით თუ სატელეფონო საუბრით“ შეიძლება დაიდოს ყველა ის გარიგება, რომელთათვისაც არაა აუცილებელი წერილობითი

<sup>483</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 12-13.

<sup>484</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 214.

ფორმა.<sup>485</sup> გარიგება ზეპირად შეიძლება გაფორმდეს ნებისმიერ სუბიექტებს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შორის.<sup>486</sup>

როგორც წესი, ზეპირი ფორმაა მიღებული იმ გარიგებებისთვის, რომელთა შესრულებაც მათი დადებისთანავე ხდება, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა.<sup>487</sup> მაგალითად, საწარმოს თანამშრომლებმა მოილაპარაკეს, რომ ითამაშებდნენ ლატარიას და ამ მიზნით შეაგროვეს ფული. როცა ერთ-ერთმა თანამშრომელმა დიდი თანხა მოიგო, უარი განაცხადა მეორე მხარისთვის მის გაყოფაზე იმ საფუძველით, რომ მათ შორის შეთანხმება არ ყოფილა. სასამართლომ გარიგების დადებად შეაფასა მხარეების მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული ფრაზა „ვითამაშოთ“.<sup>488</sup>

## 2. კანონით განსაზღვრული წერილობითი ფორმა

### ა. ხელმოწერა, როგორც წერილობითი ფორმა

69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმისას გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ხელმოწერა გულისხმობს გარიგებისთვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე ხელის მოწერას. ცალმხრივი გარიგებისას საკმარისია ერთი პირის ხელმოწერა, ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებისას კი — ორი ან მეტი პირის ხელმოწერაა საჭირო.<sup>489</sup> ხელმოწერა უნდა განხორციელდეს

<sup>485</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 214.

<sup>486</sup> ამის საზღვარსა აუცილებელია, რადგან დსთ-ის სამოქალაქო კოდექსების უმრავლესობა იურიდიულ პირებს შორის დადებული გარიგებებისთვის სავალდებულო წერილობით ფორმას ადგენს.

<sup>487</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 214.

<sup>488</sup> სასამართლო პრაქტიკის მაგალითი მოხმობილია სამოქალაქო კოდექსის კომენტარიდან: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 214-215.

<sup>489</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 69, გვ. 216.

საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი გარკვევით. დოკუმენტზე ხელმოწერა დაიშვება ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგ მათგანს სამოქალაქო კოდექსი 70-ე მუხლში ჩამოთვლის, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინრობა, ფიზიკური ნაკლი ან ავადმყოფობა. წარმომადგენლის მიერ ხელმოწერისას კანონი მოითხოვს, რომ აუცილებლად აღინიშნოს მიზეზი, თუ რატომ ვერ შეძლო პირადად ხელის მოწერა პირმა. გარდა ამისა, წარმომადგენლის უფლებამოსილება ოფიციალურად უნდა იყოს დამოწმებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, თუ ვისი სახელით აწერს წარმომადგენელი ხელს. ხელმოწერა უნდა იყოს წარმომადგენლის, ე.ი. ის უნდა აწერდეს თავის სახელს. თუ წარმომადგენელი თავისი ხელმოწერის ნაცვლად, იმ პირის ხელმოწერის იმიტაციას გააკეთებს, ვინც მან წარმოადგინა, ეს ჩაითვლება დოკუმენტის გაყალბებად და ხელმოწერა იქნება ბათილი.

მაშასადამე, ხელმოწერა გულისხმობს დოკუმენტის არსებობას. ამასთან, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საშუალებებით არის ეს დოკუმენტი შედგენილი: ის შეიძლება იყოს ხელით ნაწერი, დაბეჭდილი როგორც სტამბურად, ასევე საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე. მთავარია, რომ ხელმოწერა იყოს შესრულებული საკუთარი ხელით. თანამედროვე სამართალში ყურადღება ექცევა ასევე იმას, რომ ხელმოწერა მოსდევდეს ტექსტს და არა პირიქით, ე.ი. ხელმოწერა უნდა იმყოფებოდეს ტექსტის ბოლოს.

იმ გარიგებების დროს, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე ადრესატის მიერ, ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს ორიგინალზე, ე.ი. იმ დოკუმენტზე, რომელიც ადრესატამდე მიდის. ამიტომ დეპეშით ტექსტის გაგზავნა არ ჩაითვლება წერილობითი ფორმის დაცვად მაშინაც კი, როცა დეპეშის ტექსტი თვით ნების გამოვლენის მიერაა შედგენილი. ამის მიზეზი ისაა, რომ ის ტექსტი, რომელსაც ადრესატი იღებს, არაა ორიგინალი და წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას, რომლითაც

ადრესატს მისდის გამოვლენილი ნება.<sup>490</sup>

თუ დოკუმენტი რამდენიმე გვერდისაგან შედგება ან ახლავს დანართები, ის უნდა აიკინძოს, დაინომროს, მიიღოს ერთიანი დოკუმენტის ფორმა. ხელმოწერა უნდა შესრულდეს ამ მთლიან დოკუმენტზე.

თუ კანონი ხელშეკრულებისათვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს, მაშინ მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ერთსა და იმავე დოკუმენტს. მაგრამ თუკი შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის შემცველი რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია, რომ ყოველმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის (71-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა შეიძლება ხელმოწერა შესრულდეს მექანიკური საშუალებებით (მაგალითად, წინასწარ დამზადებული ფაქსიმილე). ოღონდ ამისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევა, რომ ხელმოწერის ასეთი გამოყენება სავაჭრო ჩვეულების სახით უნდა იყოს დამკვიდრებული და გარიგების მონაწილეთა მიერ აღიარებული. ამის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოიცემა და მათზე სათითაოდ ინდივიდუალურად ხელის მოწერა პრაქტიკულად შეუძლებელია.

## ბ. ბლანკეტური ხელმოწერა

დოკუმენტზე ხელმოწერის განხორციელებისას არაა სავალდებულო, რომ დოკუმენტის შედგენა და მასზე ხელმოწერა დროით ემთხვეოდეს ერთმანეთს. ხელმოწერა შეიძლება ე.წ. **ბლანკეტური ხელმოწერის** ფორმით განხორციელდეს. ეს უკანასკნელი საქმიან ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობს. მის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების

<sup>490</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 251-252.

საფირმო ბლანკები, რომლებზეც აღნიშნულია კანონით განსაზღვრული ყველა რეკვიზიტი ან სხვაგვარი ბლანკები, რომლებითაც საწარმოები ან კერძო პირები საქმიან ურთიერთობებში მონაწილეობენ. ამ დოკუმენტზე შესრულებულია ხელმოწერაც, ოღონდ მისი ცარიელი, შეუვსებელი რეკვიზიტები მომავალში უნდა შეივსოს. ე.ი. საქმე გვაქვს ხელმოწერილ, მაგრამ ბოლომდე შეუვსებელ დოკუმენტთან.<sup>491</sup>

ბლანკეტური დოკუმენტის გადაცემას სხვა პირისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც მინდობილობის დოკუმენტს. როგორც მინდობილობა ანიჭებს წარმომადგენელს უფლებას მარწმუნებლის სახელით განახორციელოს მოქმედება, ასევე ბლანკეტური, ე.ი. შეუვსებელი დოკუმენტი მის მფლობელს უფლებას ანიჭებს შეავსოს იგი და ამით დოკუმენტის გამცემის სახელით განახორციელოს ნების გამოვლენა. მაშინაც, როცა ბლანკეტური დოკუმენტი არასწორადაა შევსებული, ივარაუდება, რომ ნების გამოვლენა განხორციელებულია დოკუმენტის გამცემის მიერ.<sup>492</sup>

იმ შემთხვევებში, როცა ბლანკეტური დოკუმენტი მისი მფლობელის მიერ მართლსაწინააღმდეგოდაა მოპოვებული, შევსებული და ადრესატისთვის გადაცემული, თანამედროვე სამართალში მას განიხილავენ როგორც წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით საქმიანობის განხორციელებას.<sup>493</sup>

<sup>491</sup> ქართულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ ამგვარ ხელმოწერას „ცარიელი ხელმოწერა“ ეწოდოს, რაც გერმანული Blankounterschrift-ის პირდაპირი თარგმანი იქნება: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 294. თუმცა არც „ბლანკეტური ხელმოწერა“ განიცდის გერმანული გავლენის ნაკლებობას, მაგრამ ეს ტერმინი ფრიად გავრცელებულია საბანკო სექტორში და ამით არის განპირობებული მისი გამოყენება ამ სახელმძღვანელოშიც.

<sup>492</sup> თუ ბლანკეტური დოკუმენტი ბოროტად იქნა გამოყენებული მისი მფლობელის მიერ, ეს დაკვალიფიცირდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად: *Flume, Rechtsgeschäft*, S. 253.

<sup>493</sup> *Flume, Rechtsgeschäft*, S. 253.

### 3. გარიგებით განსაზღვრული წერილობითი ფორმა

გარიგების ფორმის თავისუფლება ყველაზე პრაქტიკულ გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ გარიგების მხარეებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ გარიგების ფორმის საკითხი. როგორც წესი, ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება. ცალმხრივად გარიგების ფორმის განსაზღვრა პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: როცა ნების გამოვლენა სახელშეკრულებო ოფერტის ხასიათს ატარებს და ოფერენტი აქცეპტანტს განუსაზღვრავს, თუ რა ფორმით მოითხოვს ის აქცეპტანტისაგან პასუხს.

თუ კანონით განსაზღვრული ფორმის დროს ნების გამოვლენა დეკრეტით არ მიიჩნევა წერილობითი ფორმის დაცვად, გარიგებით ფორმის განსაზღვრისას კანონი ასეთ შესაძლებლობას არ კრძალავს. იგივე ეხება ტელეფაქსით დოკუმენტების ურთიერთგაცვლას. ცხადია, რომ ამ დროს მხარეები თვითონ წყვეტენ, მიანიჭონ თუ არა ტელეგრაფით ან ფაქსით გამოგზავნილ დოკუმენტებს იურიდიული ძალა.

იმ შემთხვევაში, როცა გარიგების მხარეები თანხმდებიან ერთიანი დოკუმენტის შედგენასა და მასზე ხელმოწერის აუცილებლობაზე, მაშინ ხელმოწერის მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის მიმართაა გათვალისწინებული.

### 4. გარიგების სანოტარო ფორმა

მარტივი წერილობითი ფორმის გარდა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმასაც, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობისთვის არაა საკმარისი მხოლოდ გარიგების მხარეთა მიერ ხელმოწერა. დამატებით საჭიროა ნოტარიუსის მიერ მისი დამოწმება (მაგალითად, 289-ე მუხლის მე-3 ნაწილი).



მართალია, ასეთი გარიგებების რაოდენობა კანონმდებლობით შემცირდა, მაგრამ პრაქტიკაში მოქალაქეები კვლავინდებურად ხშირად მიმართავენ ნოტარიუსს გარიგებათა, განსაკუთრებით, უძრავი ნივთების გარიგებათა დასამოწმებლად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომავალში სავალდებულო სანოტარო დამოწმება (დადასტურება) ალბათ კვლავ აღდგება.

სანოტარო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს **სანოტარო დამოწმებასა და სანოტარო დადასტურებას**. სამწუხაროდ, 2009 წლის 4 დეკემბრის კანონმა ნოტარიატის შესახებ ტერმინოლოგიური აღრევა შეიტანა ამ განსხვავებაში. იმას, რასაც ადრე სანოტარო დამოწმება ეწოდებოდა, ამ კანონით დაერქვა სანოტარო დადასტურება. ასე, მაგალითად, კანონის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ადასტურებს გარიგებებს, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად – ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას. გარიგების დადასტურების დროს, რასაც სამოქალაქო კოდექსი დამოწმებას უწოდებს, ნოტარიუსი ამოწმებს მის კანონიერებას და შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან (ამიტომაც უნდა ერქვას მას დამოწმება), ხოლო დადასტურებისას ნოტარიუსი აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ ხელმოწერა ეკუთვნის ხელმომწერს. სამართლებრივი სისწორე ამ შემთხვევაში არ მოწმდება. ამ ფაქტს კანონი ნოტარიატის შესახებ დამოწმებას უწოდებს.

ამ დროს ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და არც არის ვალდებული, რომ იგი წაუკითხოს მხარეებს. მისი მოვალეობაა გარიგების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება. ამისთვის კი აუცილებელია, რომ ხელმოწერი პირი იმყოფებოდეს ნოტარიუსთან და ხელმოწერა მის თვალწინ განახორციელოს. იმ შემთხვევაში, როცა ხელის მოწერა წარმომადგენლის მიერ ხდება, ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს ამის შესახებ და დაადასტუროს წარმომადგენლის ხელმოწერა. მაშასადამე, ეს სანოტარო მოქმედება ეხება მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას.

## 5. ენა, როგორც გარიგების გამოხატვის ფორმა

ენას, როგორც ნების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას, თანამედროვე სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ქვეყნის შიგნით, რომელსაც მთელი მოსახლეობისთვის ერთი საერთო ენა აქვს, ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ როცა საქმიან ურთიერთობებში რამდენიმე ენა მონაწილეობს, მაშინ ადამიანური კომუნიკაციის ამ საშუალებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტრანსნაციონალური და მულტინაციონალური კომერციული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდამ, მსოფლიო ვაჭრობის გლობალიზებამ ენის მნიშვნელობა და გავლენა კიდევ უფრო გაზარდა.

ზოგადი პრინციპის თანახმად, ნების გამოვლენა, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი მიღება ადრესატის მიერ, უნდა ითვალისწინებდეს ადრესატის მხრიდან ამ ენის გაგების შესაძლებლობას.<sup>494</sup> ნების გამოვლენის განხილვის დროს მნიშვნელოვანია საკითხი, შეეძლო თუ არა ნების მიმღებს სცოდნოდა ენა, რომელზეც განხორციელდა ნების გამოვლენა. ამის დადგენა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. ნების გამომვლენსა და ნების მიმღებს შორის ურთიერთობიდან შეიძლება თუ არა იმის გარკვევა, რომ ნების მიმღებმა ეს ენა იცოდა. მაგრამ თუ გარემოებები ადასტურებენ, რომ მიმღებს არ შეიძლებოდა ეს ენა სცოდნოდა, მაშინ ასეთი ნების გამოვლენა ბათილი იქნება და ნების მიმღების მიმართ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და ასეთი ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ადრესატამდე მისულად.<sup>495</sup> მაგალითად, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება ბათილად მიიჩნია იმ საფუძველით, რომ გარიგების მონაწილე იყო რუსი და არ ფლობდა გარიგების ენას - ქართულს - და ნოტარიუსს მისთვის თარჯიმანი არ შეუთავაზებია.<sup>496</sup>

<sup>494</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 249.

<sup>495</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 250.

<sup>496</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 12-13.

## 6. სხვა ფორმები

სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები ითვალისწინებენ ისეთ შემთხვევებს, როცა გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია დამატებით სხვა ფორმის დაცვა, კერძოდ კი, ნების გამოვლენა სპეციალური სახელმწიფო ორგანოს წინაშე. ამის მაგალითია **დაქორწინება**. 1106-ე მუხლის თანახმად დაქორწინებად ჩაითვლება ქალისა და მამაკაცის მხოლოდ ისეთი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ამისთვის კი აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა ერთდროული ყოფნა ამ ორგანოში. მოწმეთა თანდასწრება მხოლოდ სიმბოლურია და ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს. ამიტომ 2004 წლის 24 მაისის ცვლილებით მოწმეთა მონაწილეობა ფაკულტატიური გახდა (1117-ე მუხლი). უფრო მნიშვნელოვანია მოწმეთა მონაწილეობა, როცა მოანდერძე თვითონ ვერ აღგენს ანდერძს და საანდერძო განკარგულებას აკეთებს ნოტარიუსთან (1361-ე მუხლი).

ბოლო წლებში დიდი გავრცელება ჰპოვა ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებების დადების პრაქტიკამ. ე.წ. **ელექტრონულმა ვაჭრობამ (E-Commerce)** მოიცვა სამოქალაქო ბრუნვის თითქმის ყველა სფერო.<sup>497</sup> ხელშეკრულების მონაწილეები ისე დებენ და ასრულებენ ხელშეკრულებებს, რომ ერთხელაც არ ხვდებიან ერთმანეთს, არ იცნობენ ერთმანეთს და არც იმის პერსპექტივა არსებობს, რომ როდისმე შეხვდებიან ერთმანეთს. ელექტრონულმა ვაჭრობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ მოდელური კანონიც კი მიიღო

<sup>497</sup> ამ საკითხისადმი მიძღვნილი მეტად ინფორმაციული და საინტერესო კვლევა ქართულ ენაზე: *ზამბაზიძე თამარ*, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ. 108-138.

ელექტრონული ვაჭრობის შესახებ.<sup>498</sup> აღიარებული შეხედულების თანახმად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.<sup>499</sup>

### III. გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები

59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. გარიგების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მარტივი წერილობითი, ისე რთული სანოტარო ფორმის დაუცველობამ.<sup>500</sup> კოდექსის ეს ნორმა იმპერატიულია და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. თუმცა ზოგ შემთხვევაში კანონი გამონაკლისებს ითვალისწინებს და ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება არ იყოს ბათილად ცნობილი. ეს ის შემთხვევებია, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგალითად, 563-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ ხელშეკრულების მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს, მაგრამ ხელშეკრულება ფაქტობრივად შეწყვიტეს, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი.

მაგრამ არ შეიძლება ამ გამონაკლისის განზოგადება ყველა ურთიერთობის მიმართ და იმის თქმა, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგების შესრულება ყოველთვის იწვევს ფორმის ნაკლის გამოსწორებას. თუ ამას დავეუშვებდით, მაშინ კანონით

<sup>498</sup> UNCITRAL Model Law on Electronic Commerce (1996).

<sup>499</sup> ზამბახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), გვ. 118.

<sup>500</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 59, გვ. 193.

გათვალისწინებული ფორმა დაკარგავდა თავის დანიშნულებას, რამეთუ მხარეებს ყოველთვის მიეცემოდათ იმის შესაძლებლობა, რომ გვერდი აეგლოთ მისთვის. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას.

არის შემთხვევები, როცა ფორმის ნაკლი ეხება არა მთლიანად გარიგებას, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს. როგორც წესი, ეს ნაწილები გარიგების დამატებებს წარმოადგენენ, რომლებიც მხარეებს გარიგების დადების შემდეგ შეაქვთ მასში.

ყველა სხვა შემთხვევაში 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა იმპერატიულია და მისი დაუცველობა ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას. ეს ნორმა გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთობების მიმართ, არამედ მთლიანად კერძო სამართალში.

მართალია, 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა გარიგების მონაწილეების შეთანხმებით გათვალისწინებულ ფორმასაც ეხება, მაგრამ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას პრობლემები. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დარღვევას შეიძლება ყოველთვის არ მოჰყვეს გარიგების ბათილობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით შეარჩიეს მხარეებმა ეს ფორმა: გარიგების ნამდვილობის წინაპირობად, თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად ან მათ მტკიცებულებად. ეს უკანასკნელი ცხოვრებაში ხშირად გვხვდება. ამ დროს გარიგების მონაწილეები შეთანხმებას წერილობით აფორმებენ, რომ გადაცემული ფულის ან გაწეული მომსახურების დასტურად ჰქონდეთ რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი. ამიტომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგების ფორმის დაუცველობამ არ უნდა გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. იბადება კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ, რა მიზნით შეთანხმდნენ გარიგების მონაწილეები ამ ფორმაზე? ფორმის შესახებ შეთანხმების მიზანი უნდა დადგინდეს ამ შეთანხმების განმარტებით. მაგალი-

თად, როცა მომსახურების ხელშეკრულებაში, რომელიც მხარეებმა წერილობით გააფორმეს, ჩაიწერა, რომ ამ ხელშეკრულების ყოველი შეცვლა ნამდვილობისთვის მოითხოვს ასევე წერილობით შეთანხმებას, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ფორმის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილების ბათილობა.

განსხვავებით დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელიც იურიდიულ პირებს შორის ხელშეკრულებებისთვის სავალდებულო წერილობით ფორმას აწესებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ შეზღუდვას არ ადგენს, თუმცა საგადასახადო დოკუმენტაციის გამართულად წარმოების მიზნით იურიდიული პირები ერთმანეთს შორის ხელშეკრულებებს პრაქტიკაში წერილობით აფორმებენ.

გარდა ამისა, დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი (164-ე მუხლი) გარიგების ფორმის შემაღგენელ ნაწილად მიიჩნევს ამ გარიგებათა რეგისტრაციას სახელმწიფო ორგანოში.<sup>501</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს და სავალდებულოდ აღიარებს მხოლოდ ზოგი უფლების რეგისტრაციას, მაგალითად, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ან იპოთეკა, მაგრამ არა გარიგების.

პრაქტიკაში არაა იშვიათობა, როცა გარიგების შესრულებისას მხარეები უარს ამბობენ თავიდან შეთანხმებულ ფორმაზე. კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, ამის უფლება მათ აქვთ. ოღონდ შეთანხმებული ფორმის გაუქმება ისევე უნდა მოხდეს, როგორც მისი შემოღება, თუკი, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

<sup>501</sup> ამ მიდგომის კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 283, ასევე, *Knieper/Chanturia/Schramm*, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, S. 453 ff.

## § 31. დაუშვებელი გარიგებები

გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ნების გამოვლენის არსებობაზე ან ნების გამოვლენის ფორმაზე. რა თქმა უნდა, მათი მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისთვის ძალიან დიდია, მაგრამ მხოლოდ ამ პირობების დახასიათება არ არის საკმარისი. 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებს ან არღვევს კანონით დადგენილ წესს. აშკარაა, რომ კანონი მოთხოვნებს უყენებს არა მხოლოდ ნების გარეგნული გამოხატვის ფორმებს, არამედ მის შინაარსსაც.

### I. კანონსაწინააღმდეგო გარიგებები

გარიგება შეიძლება ბათილად იქნას მიჩნეული არა მხოლოდ იმის გამო, რომ ნება, რომელიც საფუძვლად უდევს მას, არასწორადაა გამოვლენილი, ე.ი. არაა კანონით დადგენილი ფორმით გამოხატული. ბათილობის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გარიგების მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ნება ეწინააღმდეგება კანონს, უფრო ზუსტად, კანონით დადგენილ ამკრძალავ ნორმებს.

მართალია, 54-ე მუხლი კანონით დადგენილი წესის დამრღვევ გარიგებებს ბათილად მიიჩნევს, მაგრამ არ აზუსტებს, თუ რომელ კანონებზეა საუბარი ან რა ფორმით შეიძლება ეს დარღვევა გამოიხატოს. ცხადია, სამოქალაქო კოდექსს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს გარიგების ბათილობის საკითხი, მაგრამ იმ კანონთა დახასიათებისას, რომლებიც 54-ე მუხლთან კავშირში მნიშვნელოვანი არიან, აღსანიშნავია, რომ გარიგების ბათილობა არ არის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონსაწინააღმდეგო გარიგებებს მოსდევს.

სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რომელ კანონზეა საუბარი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში იგულისხმება ნებისმიერი კანონი (მათ შორის, საჯაროსამართლებრივიც), რო-

მელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და მისი მართლზომიერების საზომად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაშასადამე, ამკრძალავი კანონი შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ასევე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სისხლისსამართლებრივი და ა.შ., ე.ი. ყველა კანონი, რომელიც კავშირშია გარიგების შინაარსთან და ამის გამო შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

კანონები, რომელთა დარღვევა გარიგების ბათილობას იწვევს, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყვნენ კერძოსამართლებრივი ხასიათის. როგორც წესი, ისინი პირდაპირ მიუთითებენ, რომ მოცემული წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. მაგალითად, მწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სპს-ის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, პირდაპირ, შეუზღუდავად და უშუალოდ. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. ამიტომ, თუ სპს-ის პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ ისინი პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალებისათვის, ასეთი შეთანხმება იქნება ბათილი და მესამე პირთა (ე.ი. საზოგადოების კრედიტორების) მიმართ სამართლებრივი ძალა არ ექნება. ამკრძალავი ნორმები არც სამოქალაქო კოდექსისთვისაა უცხო. როცა კერძო სამართლის კანონები პირდაპირ მიუთითებენ კანონსაწინააღმდეგო გარიგებების ბათილობაზე, რაიმე პრობლემები არ წარმოიშობა, მაგრამ როცა კანონის ნორმის შინაარსიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს ასეთი აკრძალვა, მაშინ გარიგების შეფასება ხშირად რთულდება. მაგალითად, ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ეხება ბრუნვაუნარიან ობიექტებს. მაგრამ თუ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ბრუნვაუნარიან ობიექტის გამო, როგორცაა სახელი, რის საფუძველზე უნდა ჩაითვალოს ასეთი გარიგება კანონსაწინააღმდეგოდ? სამოქალაქო კოდექსი ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია კანონის განმარტება და ამის საფუძველზე გადაწყვეტა, ეწინააღმდეგება თუ არა ეს გარიგება კანონის ნორმებს.



როგორც წესი, ამკრძალავი კანონების უდიდესი ნაწილი სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ იმყოფება და, უწინარეს ყოვლისა, საჯარო სამართალში. ეს იმით აიხსნება, რომ კერძო სამართალი უფრო თავისუფლების მიმნიჭებელი სამართალია და შეზღუდვებიც გამოჩაკლისს შეადგენს. საჯარო სამართალი კი პირიქით, უფრო შეზღუდვების სამართალია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამკრძალავი ნორმები მასში უფრო მეტია, ვიდრე კერძო სამართალში. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ადგილი სისხლის სამართალს უკავია. გარიგებები, რომლებიც სისხლის სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს ეწინააღმდეგებიან, არა მხოლოდ დასჯადად უნდა ჩავთვალოთ, არამედ 54-ე მუხლის თანახმად ბათილდაც. მაგალითად, თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა გარეგნულად გარიგებაა და ყოველგვარი გართულების გარეშე თავსდება კერძო ავტონომიის ფარგლებში. მაგრამ რაც მას იურიდიულ ძალას უკარგავს, არის სისხლის სამართალი, რომელიც ქრთამის მიცემას დასჯადად თვლის. აქედან გამომდინარე, ასეთი გარიგება უნდა ჩავთვალოთ კანონით დადგენილი ნორმის დამრღვევად და, შესაბამისად, ბათილად.

ადმინისტრაციული სამართალი ითვალისწინებს ზოგი სახის პროდუქციის ექსპორტზე ან საქმიანობაზე ლიცენზიის აუცილებლობას. თუ ხელშეკრულება ამ ლიცენზიის გარეშეა დადებული, ფორმალურად ის იქნება გარიგება, მაგრამ ბათილი, ვინაიდან ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლით დადგენილ წესებს. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება არის ბათილი, რადგან ის კანონსაწინააღმდეგოა.<sup>502</sup> ანალოგიური ნორმები შეიძლება განმტკიცებული იყოს საგადასახადო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ. კანონებში.<sup>503</sup>

<sup>502</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 11.

<sup>503</sup> ამიტომ იურისტი, რომელიც გარიგების შინაარსს ადგენს, ვალდებულია არ შემოიფარგლოს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებით და ყურადღება

## II. ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებები

**pacta contra bonos mores**<sup>504</sup> — ასე უწოდებდნენ ძველი რომაელები ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს და მათ ბათილად მიიჩნევდნენ. ანტიზნეობრიობის კრიტერიუმებად მიიჩნეოდა პიეტას და რელიგიო. თანამედროვე კოდიფიკაციებიდან ანტიზნეობრივი გარიგებების ცნება პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა განამტკიცა. კერძოდ, მე-6 და 1133-ე მუხლებში მან ბონნეს მოეურს (კეთილის ზნეობის) გვერდით განამტკიცა საჯარო წესრიგიც (**ordre public**).<sup>505</sup>

თუ გარიგებათა აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია, ვინაიდან შეფასების საზომად გამოიყენება ნორმატიული მასალა, ზნეობის საწინააღმდეგოდ მათი მიჩნევა არცთუ ისე იოლია. ამგვარ სირთულეს მრავალი გარემოება განსაზღვრავს. პირველ რიგში ეს უკავშირდება ზნეობის გაგებას. ალბათ, ზნეობის უზოგადესი ცნება ამ შემთხვევაში არ გამოდგება, ვინაიდან იგი მეტად აბსტრაქტულია და კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მასშტაბად მისი გამოყენება რეალურად შეუძლებელია. სამართლიანად ითქვა თავის დროზე ზნეობის ასეთ გაგებაზე უარი და აღიარებულ იქნა არა ზოგადი და აბსტრაქტული მორალი, არამედ კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებული მორალი“.<sup>506</sup> ცხადია, რომ ადამიანთა ყოველი საზოგადოება ზნეობის განსაზღვრულ, მისთვის შინაგან და დამახასიათებელ ნორმებს ემყარება. ყოველ საზოგადოებას, განვითარების დონისა და ხასიათის მიუხედავად, საკუთარი ზნეობრივი ღირებულებები აქვს, რომელთა დაცვას ის თავის წევრებს კატეგორიულად მოსთხოვს. თავისი სპეციფიკის გამო, ამ ზნეობის ნორმათა კოდიფიკაცია სამართლის ნორმების სახით ხშირად შეუძლებელია. მათ უკან არ დგას სახელმწიფო თავისი იძუ-

გამახვილოს სხვა დარგების სამართლის ნორმებზეც, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარიგებათა შინაარსის დაზუსტებისას.

<sup>504</sup> კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო ხელშეკრულება.

<sup>505</sup> *Simitis Konstantin, Gute Sitten und ordre public.* Marburg: Elwert, 1960, S.80.

<sup>506</sup> *Tuhr*, v. Bd. 2/2, S.22-23.

ლებითი ძალაუფლებით. მაგრამ როგორ დაშორებული იქნებოდა კანონი, მოსამართლე, სამართლის მეცნიერება კონკრეტულ ერს, საზოგადოებას, თუ ზნეობის ნორმებს არავითარ სამართლებრივ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა. მართალია, სამოქალაქო სამართლის ბევრ ნორმას საფუძვლად ზნეობრივი იმპერატივი უდევს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებული მორალი“ რეალური სამართლებრივი ძალის მქონედ მივიჩნიოთ. 54-ე მუხლი იურისტს შესაძლებლობას აძლევს სამართლის გამოყენებისას გაითვალისწინოს არა მხოლოდ სამართლის ნორმები, არამედ ხალხის ზნეობრივი ღირებულებებიც, და ამით სამართალი კიდევ უფრო დაუახლოვოს ხალხს. ამით ზნეობას სამართლის მეორადი წყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.<sup>507</sup>

იმის გამო, რომ მორალის (ზნეობის) ნორმები კოდიფიცირებული არაა, ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება. ცხადია, ეს მოსამართლეს დამატებით სირთულეებს უქმნის. მაგრამ მოსამართლე მოცემული საზოგადოების რიგითი წევრიცაა და სხვებზე ნაკლებად არ იცნობს ამ საზოგადოების მორალურ ფასეულობებსა და მოთხოვნებს. იმავდროულად, მოსამართლეს კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას არა მხოლოდ სახალხო მორალის ნორმების მოხმობა უხდება, არამედ ამა თუ იმ სოციალური წრისთვის მნიშვნელოვანი ზნეობრივი წესების გათვალისწინებაც. მაგალითად, მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის საჩუქრის მირთმევა მოსამართლემ შეიძლება ანტიზნეობრივად ჩათვალოს არა იმიტომ, რომ საჩუქრის მირთმევაა საზოგადოდ ამორალური, არამედ იმიტომ, რომ პედაგოგის ეთიკა თვლის ამას დაუშვებლად. ანალოგიური შეფასებები შეიძლება არსებობდეს საექიმო ან სამართლებრივი ეთიკის ნორმების გამოყენებისას.

ანტიზნეობრიობის საფუძვლით გარიგების ბათილად აღიარებისთვის მთავარი ის კი არაა, რომ მოსამართლეს პირადად მიაჩნია

<sup>507</sup> *Tihr*, v. Bd. 2/2, S.21.

ეს გარიგება ანტიზნეობრივად ან გარიგების ერთ-ერთი მხარე თვლის დადებულ გარიგებას ამორალურად. მოსამართლისეული შეფასების საზომი უნდა იყოს, თუ როგორ შეაფასებდა ხალხი ან კონკრეტული სოციალური ჯგუფი ამგვარ გარიგებას. ეწინააღმდეგება თუ არა ესა თუ ის გარიგება ზნეობის ნორმებს, კონკრეტული ფაქტის საკითხია და ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს. ამასთან, შეფასების მნიშვნელობა ამ დროს გაცილებით დიდია, ვიდრე კანონსაწინააღმდეგო გარიგებათა სამართლებრივი კვალიფიკაციისას.

საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად იცვლება ამ საზოგადოების მორალური ფასეულობებიც. ის, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამორალურად ითვლებოდა, დროთა განმავლობაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგალითად, შუა საუკუნეებში ამორალურად ითვლებოდა სიცოცხლის დაზღვევა, რადგან ეს სიცოცხლით სპეკულირებად და ამორალურ ქმედებად მიიჩნეოდა.<sup>508</sup> სასამართლო პრაქტიკა ბუნებრივად რეაგირებს საზოგადოებრივ ცვლილებებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა კანონმდებლობის შეუცვლელად მართლმსაჯულება შეცვლილ სოციალურ და ზნეობრივ ღირებულებებს მიესადაგოს.<sup>509</sup>

ქართულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნას აღიარებული ზნეობის საწინააღმდეგოდ, როცა ეს იურიდიულად აუცილებელია და ის შეიცავს დარღვევას იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესებისა.<sup>510</sup> მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში ზნეობის საწინააღმდეგოდ და შესაბამისად ბათილად ჩათვალა შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება, რომე-

<sup>508</sup> *ჯუღელი თეა*, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, 4/2005, გვ. 65-66.

<sup>509</sup> მორალური ნორმების გამოყენების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ნახეთ: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 361-362.

<sup>510</sup> *ზარანდია თამარ*, *ჯუღელი თეა*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 4/2006, გვ. 77.

ლიც მოსამსახურე ქალებს შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ორსულობას უკრძალავდა.

### III. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

ამ ცნების შემოღება დაკავშირებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსთან. გერმანულ სამართალში გარიგების ბათილობის ცალკე საფუძვლად მისი დამკვიდრების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია და დღემდე მას ანტიზნობრივი გარიგებების კატეგორიას განაკუთვნიებენ.<sup>511</sup> ქართულ სამართალში ეს ნორმა ფრანგული სამოქალაქო სამართლის გავლენით შემოვიდა. ამიტომ სასურველი იქნება ფრანგული გამოცდილების განხილვა. კერძოდ, იმის გამოკვლევა, თუ რა ესმით ფრანგებს ამ ცნებაში.

ფრანგულ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ პოლიტიკურ საჯარო წესრიგს (**ordre public politique**) და ეკონომიკურ საჯარო წესრიგს (**ordre public économique**).<sup>512</sup> პირველს განეკუთვნება ყველა ის ნორმა, რომლებიც არ შეეხებიან ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავენ **სახელმწიფოს, ოჯახისა და ინდივიდის ძირეულ ინტერესებს**.

სახელმწიფოს ძირეული ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია სახელმწიფოს ორგანოთა, მისი მმართველობის აპარატის, საგადასახადო სისტემის, სასამართლო ხელისუფლებისა და ა.შ. გამართული ფუნქციონის უზრუნველყოფა. ამ ასპექტით საჯარო წესრიგის ხელყოფის მაგალითებია: ამომრჩეველთა ხმების ყიდვა, სახელმწიფო მოსამსახურესთან შეთანხმება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი პრივილეგიის მიღების მიზნით, უძრავი ქონების ნასყიდობის დროს ფასის ხელოვნური დაკლება გადასახადის შემცირების მიზნით, შეთანხმებები, რომლითაც პირი თავის თავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს და სხვა.

<sup>511</sup> *Staudinger/Dilcher*, §.138, Rn 9; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 41 II 3 Rn. 9 ff.

<sup>512</sup> *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, I/1, S.535.

ოჯახის ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია ოჯახის არსებობის ფუნდამენტური საფუძვლების არსებობის უზრუნველყოფა და ისეთი მოქმედებების აღკვეთა, რომლებიც ძირს უთხრის ოჯახის, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური წარმონაქმნის არსებობას. ამ საფუძვლით ბათილია ხელშეკრულებები, რომლებითაც მეუღლეები თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობას; საჩუქრის გაკეთება მეუღლისთვის იმ იმედით, რომ მისგან მიიღებს განქორწინების თანხმობას; ხელშეკრულებები, რომლითაც ერთი კისრულობს, რომ არ დაქორწინდება სხვაზე და ა.შ.<sup>513</sup>

ინდივიდის ინტერესების დაცვის ნორმებს განეკუთვნება ნორმები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებასა და თავისუფლებას, დამოუკიდებლობას იცავენ. საჯარო წესრიგის ამ ნორმებს ასევე მორალური დაცვის ნორმებს უწოდებენ. მისი მაგალითებია შრომის ხელშეკრულების დადების აკრძალვა მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით; ხელშეკრულებები კინომსახიობთან სხეულის ტატუირებული ნაწილის გასხვისების თაობაზე; ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ გენეტიკურ მანიპულაციას და ამით შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე; ხელშეკრულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დაუბადებელი ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას, შვილად აყვანის შუამავლობის, ბავშვებით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებები და სხვა. ცხადია, რომ აქ ხშირად არაა იოლი ამ გარიგებების გამოიჯვანა ანტიზნეობრივი გარიგებებისაგან, მაგრამ ფრანგული სასამართლო პრაქტიკა მათ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებად მიიჩნევს.<sup>514</sup>

ეკონომიკური საჯარო წესრიგის ნორმების როლისა და მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია სახელმწიფოს ახალ ფუნქციებთან, რომლებიც მას აქვს სოციალურ სახელმწიფოდ აღიარებასთან დაკავშირებით. ამით სახელმწიფოს ენიჭება დამატებითი უფლებები საბაზრო ეკონომიკის მართვის სფეროში, განსაკუთრებით, მონოპოლიებისა და კონკურენციის ურთიერთობათა, სოციალურად

<sup>513</sup> *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 1/1, S.535.

<sup>514</sup> *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 1/1, S.535.

ნაკლებად დაცული ფენების ინტერესების უზრუნველყოფის სფეროში. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა ბათილად მიიჩნევს ისეთ გარიგებებს, რომლებიც ამ ეკონომიკური საჯარო წესრიგის განმსაზღვრელ ნორმებს ხელყოფენ.<sup>515</sup>

საჯარო წესრიგის ცნება ფართოდ გამოიყენება **საერთაშორისო კერძო სამართალში**, როგორც კოლიზიური ნორმის შეზღუდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუმცა მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.<sup>516</sup> აღნიშნული შეზღუდვის მიხედვით, ქვეყნის სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ისეთი უცხოური კანონი, რომელიც არღვევს ან ეწინააღმდეგება მოცემული სახელმწიფოს საჯარო წესრიგს.<sup>517</sup> უნდა დავეთანხმეთ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყენებული „საჯარო წესრიგის“ ცნების გადმოტანა კერძო სამართალში გარიგების ნამდვილობის შესაფასებლად არაა მიზანშეწონილი.<sup>518</sup> მაგრამ ეს არ აიოლებს „საჯარო წესრიგის“ საკუთარი, სამოქალაქო სამართლისეული, ცნების შემუშავებას და მისი გამოყენების ზუსტი კრიტერიუმების განსაზღვრას. თუკი გარიგება სამართლის კონკრეტულ ამკრძალავ ნორმას ეწინააღმდეგება, მაშინ საქმე გვაქვს კანონსაწინააღმდეგო გარიგებასთან და ამ საფუძვლით არის შესაძლებელი მისი ბათილობა.

საჯარო წესრიგის გამოყენების ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად პროფესორ *ზოიძის* მიერ დოქტრინული ცნების განსაზღვრის მცდელობა, რომლის თანახმად, საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.<sup>519</sup>

<sup>515</sup> *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 1/1, S.536.

<sup>516</sup> ამის შესახებ ნახეთ: *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ. 112.

<sup>517</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ. 112-113.

<sup>518</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 278.

<sup>519</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 54, გვ. 178.

## § 32. მოძღვრება ნების ნაკლის შესახებ

ყოველგვარი გარიგება არსებობს ნების გამოვლენის მეშვეობით. შინაგანი ნების (მიზნის, სურვილის) გარეგნული გამოხატვით გარიგების მონაწილეები აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც მათ სურთ და რისთვისაც ისინი კანონით შემოთავაზებულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ. არის შემთხვევები, როცა გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის შინაგან ნებას და განხორციელდა მხოლოდ სხვადასხვა გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სინამდვილეში ის არ სურდა პირს, რაც მან გარეგნულად გამოხატა, ე.ი. ნება გამოვლენილია არა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ისეთ ვითარებას, როცა გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება კი ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, სამოქალაქო სამართალში ეწოდება **ნების ნაკლი**. ნების ნაკლის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ერთ შემთხვევაში მხარეებს სურთ გარეგნულად გამოხატული ნებით სხვა, ნამდვილი ნებისა და მათ მიერ დასახული მიზნის დამალვა; სხვა შემთხვევაში ნების გამოვლენა არასერიოზულია და პირი არც ისახავდა რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას; მესამე შემთხვევაში ნების გამოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს ან ფსიქიკური მოშლა ანდა შეცდომა, მოტყუება, მუქარა და ა.შ. ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევას აქვს ერთი საერთო — ყოველი ნების გამოვლენა არის ნაკლის მქონე, ე.ი. გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა შინაგან ნებას. ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებებს სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ასეთი გარიგებების ერთი ჯგუფი დადებისთანავე ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, მეორე ჯგუფს შეადგენს ე.წ. საცილო გარიგებანი, რომელთა ბათილობა დამოკიდებულია იმაზე, შეცილებული იქნება თუ არა ეს გარიგება.



## I. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ანუ კანონის გვერდის ახვევით დადებული გარიგებანი

ნების ნაკლის საფუძველზე დადებული გარიგებების გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები, რომელთაც 56-ე მუხლი ითვალისწინებს.<sup>520</sup> ქართული სასამართლო პრაქტიკა განსაკუთრებით მდიდარია ასეთი გარიგებებით.<sup>521</sup> როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ორივე შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სიმულაციას და განსხვავება მათ შორის ამ სიმულაციის მეთოდებშია.<sup>522</sup>

მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება, თუკი ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა, ე.ი. გარეგნულად კი გამოხატავენ ნებას, იქცევიან ისე, თითქოს ნამდვილად სურდეთ ამ გარეგნულად გამოხატულის მიღწევა, სინამდვილეში კი არც ფიქრობენ ამ შედეგის დადგომაზე. ამ კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში. ეს მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ასევე სახელმწიფო ორგანო. მაგალითად, ერთ-ერთმა აქციონერმა თავისი აქციები გადაუფორმა სხვა აქციონერს, რომ ამით ამ უკანასკნელს, ვითომ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელს, ბანკის კრედიტის აღება შეეძლებოდა. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ დროს მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრების მინდობის

<sup>520</sup> ნების ასეთ ნაკლს „ნების გაცნობიერებულ ნაკლსაც“ უწოდებენ, რადგან „ამ დროს „გამოვლენილი“ ნება შეგნებულად განსხვავდება გამომვლენის ჭეშმარიტი ნებისაგან, ან იგი საერთოდ არ არსებობს“: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 305.

<sup>521</sup> მაგალითად, სუსგ სამოქ., 9/2005 წ.

<sup>522</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 56, გვ. 186.

დაფარვა და გარიგება ბათილად მიიჩნია.<sup>523</sup> ამ შემთხვევაში გარიგების მონაწილეები მიზნად ისახავდნენ კრედიტორის მოტყუებას. ზოგ შემთხვევაში მოტყუება შეიძლება მიმართული იყოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგალითად, ორ საწარმოს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებით მხარეებს სურდათ გაეზარდათ ხარჯები, რათა ამით შეემცირებინათ დასაბეგრი მოგების ოდენობა. მომსახურების ხელშეკრულება რეალურად მათ არ შეუსრულებიათ და არც ჰქონიათ მიზნად მისი შესრულება. 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი გარიგება ჩაითვლება მოსაჩვენებლად დადებულად და მიიჩნევა ბათილად. თუმცა მოჩვენებითი გარიგებების განხილვის დროს არ არის სავალდებულო, რომ გარიგების მონაწილეებს მიზნად ჰქონდეთ მესამე პირის მოტყუება.

უფრო გავრცელებულია ე.წ. **თვალთმაქცური გარიგებები**. ისინი მოჩვენებითი გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენენ და განსხვავდებიან მათგან მხოლოდ იმით, რომ გარიგების მონაწილეებს მოსაჩვენებლად დადებული გარიგებებით სურთ სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად ისახავენ. მაგალითად, მხარეები დებენ ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულებას მაშინ, როცა სინამდვილეში მათ შორის იყო ნასყიდობის ხელშეკრულება. ასეთი შემთხვევების მიმართ, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები, ე.ი. ავტომანქანის ნასყიდობის წესები.

არაა სავალდებულო, რომ მოსაჩვენებელი ნორმები მთლიანად გარიგებას ეხებოდეს. თუ ისინი გარიგების მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება, მაშინ ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ბათილად ანდა მის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს დაფარული ნაწილის მიმართ მოქმედი ნორმები. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის დროს მხარეებმა სანოტარო წესით დაამოწმეს უფრო ნაკლები ფასი, ვიდრე მყიდველმა რეალურად გადაიხადა. ამის შედეგად მხარეებმა გადაიხადეს უფრო ნაკლები სახელმწიფო მოსაკრებელი. აშკარაა,

<sup>523</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 3-5.

რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვალთმაქცურ გარიგებასთან, ოღონდ არა მთლიანად, არამედ მის ერთ რომელიმე ნაწილთან.

უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში თვალთმაქცურად მიიჩნია სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დროებით – სესხის მოქმედების ვადის მანძილზე.<sup>524</sup> ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა კრედიტორზე, რომელიც, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ბათილია. ანალოგიურ შემთხვევაში სასამართლომ სესხის უზრუნველსაყოფად დადებული უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნია ბათილად, როგორც მოჩვენებითი გარიგება.<sup>525</sup>

გარიგებათა მოჩვენებითობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ გარიგებათა მიმართ, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე გარიგების მეორე მხარის მიერ. ეს იმითაა განპირობებული, რომ რომელიმე გარიგების დამალვა შესაძლებელია მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით.

მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერების შემოწმებით, თვალთმაქცური გარიგებისას კი უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რადგან ამ დროს გამოიყენება მის მიმართ მოქმედი წესები.<sup>526</sup> ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ბათილი ან არა. ღოგორც წესი, ეს უკანასკნელი უმრავლეს შემთხვევაში ბათილია და სწორედ ამიტომ დებენ მხარეები თვალთმაქცურ გარიგებას.<sup>527</sup>

<sup>524</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 19.

<sup>525</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 25.

<sup>526</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 56, გვ. 187.

<sup>527</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 56, გვ. 187.

## II. არასერიოზულად განხორციელებული ნების გამოვლენა

სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული ნორმები ცხოვრებისეულ რეალობებს ასახავენ. ისინი ითვალისწინებენ იმასაც, რომ ადამიანი შეიძლება ზოგჯერ არასერიოზულიც იყოს და მის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება უფრო ხუმრობის ხასიათს ატარებდეს, ვიდრე მოფიქრებული და დინჯი მოქმედებისა. 57-ე მუხლის პირველი ნაწილი ბათილად მიიჩნევს ნების გამოვლენას, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. ასეთ ნების გამოვლენას სამოქალაქო სამართალი ბათილად იმიტომ მიიჩნევს, რომ მას არ ახლავს თან გარეგნულად გამოხატულის რეალური მიღწევის სურვილი ან შესაძლებლობა და გაკეთებულია მხოლოდ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით (ხუმრობა, სხვისი ყურადღების მიქცევის სურვილი და ა.შ.). თუ ნების გამოვლენის ადრესატი მიხვდა, რომ ნების გამოვლენა გაკეთებულია არასერიოზულად, მაშინ გარიგება არ არსებობს, ვინაიდან არ არის თანამთხვევადი ნები. ამიტომ აზუსტებს 57-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომ ნების გამოვლენისას შესაძლებელი უნდა იყოს იმის გამოცნობა, რომ ეს ნების გამოვლენა გაკეთებულია არასერიოზულად. მაგრამ თუ ნების მიძღები ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას და არ იცოდა ან არც შეიძლებოდა სცოდნოდა ნების გამოვლენის არასერიოზულობის შესახებ და ამის გამო მიაღგა ზიანი, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს ნების გამომვლენისაგან ამ ზიანის ანაზღაურება.<sup>528</sup>

<sup>528</sup> ქართულ ლიტერატურაში არის მოსაზრება „არასერიოზულობის“ უფრო ფართოდ განმარტების შესახებ, რომელმაც უნდა მოიცვას ასევე გაბრაზების ან გულაცრუების თუ „ტკივილით განპირობებული“ გაცხადება რეალურად არარსებული ნებისა: *კერესელიძე*, *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, გვ. 316.

### III. შეცლომით დაღებული გარიგებები

შეცლომა ადამიანის ცხოვრების ნორმალური თანამდევია. მას საფუძველად უდევს ის არასწორი წარმოდგენები, რომლებიც რეალური მოვლენების გამო შეიძლება შეგვექმნას. შეცლომა სხვა არაფერია, თუ არა არასწორი წარმოდგენა ამა თუ იმ ფაქტზე, მოვლენაზე.<sup>529</sup> ასეთი არასწორი წარმოდგენის გავლენით ადამიანები ზოგჯერ ისეთ ურთიერთობებს ამყარებენ ან ისეთ ნივთებს შეიძენენ, რომლებიც მათ სინამდვილეში არ სურდათ. როგორც წესი, ასეთი შეცლომის საფუძველზე ზიანი ადგება იმას, ვინც შეცდა. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ შეცლომის მსხვერპლი სხვაც შეიქნას. სამოქალაქო სამართლისთვის ამ დროს მნიშვნელოვანია საკითხი, შეიძლება თუ არა შეცლომით დაღებული გარიგების მიზნევა ბათილად? რა შედეგები უნდა მოჰყვეს, თუ აღმოჩნდა, რომ პირს გარიგება შეცლომით აქვს დაღებული?

სამოქალაქო სამართალი უყურადღებოდ არ ტოვებს ამ საკითხს. ყველაზე მარტივი იქნებოდა, რომ შემცდარი მხარისთვის დაგვებრუნებინა ის, რაც მან ამ შეცლომით დაკარგა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარიგების მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს, უსამართლო იქნებოდა მისთვის იმის წართმევა, რაც მან კეთილსინდისიერად შეიძინა. მაშასადამე, შეცლომით დაღებული გარიგების დროს ერთმანეთის პირისპირ იმყოფება ორი ინტერესი — შემცდარი ადამიანის, რომელმაც ამ შეცლომის გამო ზიანი ნახა და გამდიდრებული ადამიანის, რომელმაც მეორე მხარის შეცლომის გამო, მაგრამ კეთილსინდისიერად ნახა სარგებელი. მაგალითად, ა ყიდის „ვეფხისტყაოსნის“ ანტიკვარულ გამოცემას 1000 ლარად. მალაზიაში თანამშრომლის მექანიკური შეცლომის გამო წიგნს აწერია ფასი 100 ლარი. გამყიდველმა არ იცის ამ შეცლომის შესახებ და ბ-ს მიჰყიდა წიგნი 100 ლარად. ვინ უნდა იკისროს ამ შეცლომის რისკი?

<sup>529</sup> ლიტერატურაში მას ასევე „ნების გაუცნობიერებელ ნაკლს“ უწოდებენ: *კერესლეიძე*, *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, გვ. 317.

25. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

შეცლომით დადებული გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგების საფუძვლები ჯერ კიდევ რომის სამართალში გვხვდება. ცხადია, რომაელი იურისტები შეცლომას გარიგების ზოგად პრობლემად არ განიხილავდნენ, ვინაიდან მათთვის უცნობი იყო გარიგების ზოგადი ცნება. ისინი შეცლომას ცალკეულ ხელშეკრულებებთან და მემკვიდრეობის ურთიერთობებთან დაკავშირებით იხილავდნენ და მას განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებდნენ.<sup>530</sup>

შეცლომის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სავინის სახელთან. მის თანახმად, შეცლომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატვის უკან არ დგას ნამდვილი ნება, ე.ი. ნება და მისი გამოვლენა არ ემთხვევა ერთმანეთს.<sup>531</sup>

ეს მოძღვრება უდევს საფუძვლად 72-ე მუხლს, რომლის თანახმად შეცლომამ, ე.ი. ნების ნაკლმა შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. მაგრამ სრულიად ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი შეცლომა შეიძლება გახდეს ბათილობის საფუძველი. თუკი ჩვენ ყოველგვარ შეცლომას ვაქცევდით გარიგების ბათილობის საფუძვლად, ამით დიდი საფრთხე შეექმნებოდა სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობას, კერძოდ, გარიგების ნებისმიერ მხარეს, რომელსაც გარიგებამ არ მოუტანა მოსალოდნელი სარგებელი, შეეძლო ეთქვა, რომ ის შეცდა, და მოეთხოვა გარიგების ბათილობა, რაც ხდება კიდევაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.<sup>532</sup> ამიტომ კანონი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ **არსებით შეცლომას**. შეცლომის არსებითად მიჩნევისათვის აუცილებელია სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება, *მაგალითად*, უნდა დადგინდეს, თუ რა ზომებს მიიღებდა მსგავს ვითარებაში

<sup>530</sup> შეცლომის შესახებ მოძღვრების მიმოხილვა ნახეთ: *ჭანტურია*, შესავალი, გვ. 368-369.

<sup>531</sup> *Flume*, *Rechtsgeschäft*, § 21, 2.

<sup>532</sup> სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით იმედგაცრუებული და გაწბილებული მხარე ითხოვს გარიგების ბათილობას და ამას იმით ასაბუთებს, რომ ის შეცდა, *მაგალითად*, სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 6-9.

გონივრული ადამიანი, რომ სცოდნოდა საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ.<sup>533</sup>

შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, განსხვავებით მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისაგან, დაწვრილებითაა მოწესრიგებული. პირველ რიგში ეს ეხება იმ შეცდომათა რეგულირებას, რომლებიც არსებით შეცდომად მიიჩნევა. კანონი პრაქტიკულად იძლევა არსებით შეცდომათა ამომწურავ ჩამონათვალს, რაც აიოლებს ამ მოძღვრების რეალურ გამოყენებას.

### 1. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში

73-ე მუხლის ”ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირს უნდოდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რაზედაც მან გამოთქვა თავისი თანხმობა. ასეთი შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი გარემოება: ნების გამოვლენა ნაჩქარევად, უზუსტობა გარიგების დოკუმენტში და სხვა. მაგალითად, სტუდენტი ა სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოს აძლევს ბ-ს და ეუბნება: „აქედან იმეცადინე“. ბ-ს ჰგონია, რომ ა-მ მას ეს სახელმძღვანელო აჩუქა. ამიტომ თავი შეიკავა მალაზიაში მისი ყიდვისაგან. ა-მ კი სინამდვილეში ათხოვა ბ-ს სახელმძღვანელო. სემესტრის ბოლოს ა-მ ბ-ს მოსთხოვა წიგნის უკან დაბრუნება, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მან ბ-ს იგი ათხოვა. ბ-მ უარი უთხრა დაბრუნებაზე, რადგან ის წიგნს საკუთრად მიიჩნევდა. იყო თუ არა შეცდომა ნების გამოვლენაში, უნდა დადგინდეს ნების გამოვლენის განმარტების საფუძველზე. თუკი დადგინდა, რომ გარეგნულად გამოხატული ნება არ შეესაბამება იმას, რაც ნების გამომვლენს ნამდვილად სურდა, მაშინ მას ექნება შეცილების საფუძველი. ჩვენს მაგალითში თუ ა-მ თანხმობა გამოთქვა თხოვების ხელშეკრულებაზე და არა ჩუქებაზე, მაშინ 73-ე მუხლის ”ა“

<sup>533</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 72, გვ. 224.

ქვეპუნქტის თანახმად, მას აქვს გარიგების შეცილების უფლება.

აღნიშნული შემთხვევისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. *falsa demonstratio*, როცა მხარეებმა დადეს ერთი ხელშეკრულება, მაგრამ დაარქვეს სხვა სახელი. მაგალითად, მხარეებმა დადეს ლიზინგის ხელშეკრულება, მაგრამ დაარქვეს ქირავნობის ხელშეკრულება.

შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში შეიძლება იყოს ცალმხრივი (ე.ი. ცდებოდეს მხოლოდ ერთი მხარე) ან ორმხრივი (ე.ი. ცდებოდეს ორივე მხარე).<sup>534</sup>

გარიგების ტიპში შეცდომა არ გულისხმობს მაინცდამაინც შეცდომით სხვა სახის გარიგების დადებას (ჩუქება თხოვების ნაცვლად, ან ქირავნობა იჯარის ნაცვლად). შეიძლება შეცდომა ერთი გარიგების შიგნითაც. მაგალითად, ა-ს უნდოდა ბ-თვის ერუქები 50 ლარი. შეცდომით კონვერტში კი ჩადო 100 ლარი. ე.ი. ა-მ ნაცვლად 50 ლარიანი ჩუქებისა, დადო 100 ლარიანი ჩუქება, ე.ი. არა ის გარიგება, რაზეც მან გამოთქვა თანხმობა.

## 2. შეცდომა გარიგების შინაარსში

გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომისაგან განსხვავებით გარიგების შინაარსში შეცდომისას გარიგების მონაწილეს სურს გარიგების დადება და ამიტომ მისი ნება ემთხვევა გამოვლენილ ნებას, მაგრამ სურდა ამ გარიგებაში სხვა აზრი, სხვა შინაარსი ჩაექსოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. შეცდომის არსებობა ამ შემთხვევაშიც ნების გამოვლენის განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს. თუ განმარტების შედეგად არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მიღწეულ იქნეს ნების გამოვლენის მიზანი, მაშინ მოიხსნება გარიგების შეცილების აუცილებლობა.

ამ ტიპის შეცდომები ყველაზე გავრცელებულია მაშინ, როცა გარიგების მონაწილეს უცხო ენის გამოყენება უხდება ან იყე-

<sup>534</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 73, გვ. 225.



ნებს ისეთ აღნიშვნებს, რომელთა აზრი მისთვის მთლად ნათელი არ არის, ანდა ხელშეკრულების საგნის დასახელება არასწორად ხდება. გარიგების შინაარსში შეცდომები შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ გარიგების მხარე არასწორად იყენებს სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტს. მაგალითად, ა-ს სურს ვალის თავდებად დაუდგეს ბ-ს გ-ს წინაშე, სინამდვილეში კი გ-თან შეთანხმებით კისრულობს ბ-ს ვალის გადახდას. შინაარსში შეცდომა იქნება მაშინაც, როცა პირი სამართალში აღიარებულ ცნებას სულ სხვა შინაარსს აქსოვს. მაგალითად, ანდერძის ტექსტში „კანონით მემკვიდრის“ ჩაწერა, ოღონდ მასში გულისხმობს არა კანონით განსაზღვრულ მემკვიდრეებს, არამედ საკუთარ დასა და ძმას.

### 3. შეცდომა გარიგების საფუძვლებში

გარიგების საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას.<sup>535</sup> ამ შემთხვევაში შეცდომის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გარიგების მხარეები კეთილსინდისიერად ენდობოდნენ ამ გარემოების არსებობას. გარიგების დადების შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ თურმე ეს გარემოებები არ არსებობდა ან არსებობდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მხარეებს წარმოედგინათ. არასწორი წარმოდგენა შეიძლება წარმოიშვას, როგორც გარიგების დადების მომენტი სთვის სავარაუდოდ არსებული გარემოების, როგორც გარიგების საფუძვლის, ან იმ გარემოებების გამო, რომლებიც მომავალში შეიძლება დადგეს. ამ განსხვავებებს რაიმე პრაქტიკული სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს. ორივე შემთხვევაში შეიძლება გარიგების მიჩნევა ბათილად.<sup>536</sup>

<sup>535</sup> გარიგების საფუძვლებში შეცდომის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 334-335.

<sup>536</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Soergel-Hefermehl*, § 119, Rn. 65.

#### 4. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში

არსებით შეცდომად და, მაშასადამე, გარიგების შეცილების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში. ასეთი შეცდომა გარეგნულად შესაძლოა სრულიად სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს — კონტრაქტის ასაკი, მისი უნარი, პროფესიონალიზმი და ა.შ. იმისთვის, რომ შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში გარიგების გაბათილების საფუძველი გახდეს, სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს. შეცდომა პიროვნების არა ყოველ თვისებაში იწვევს გარიგების ბათილობას, არამედ მხოლოდ ისეთი „პირადი თვისებები ან თვით პიროვნება“, რომელიც გარიგების დადების საფუძველი გახდა. მაგალითად, პაციენტს სურს პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს ცნობილ ქირურგთან. ოპერაციის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მას ოპერაცია გაუკეთა არა ამ ქირურგმა, არამედ მისმა ასისტენტმა. შეუძლია თუ არა პაციენტს მოითხოვოს გადახდილი ფასის უკან დაბრუნება?

შეცდომა პიროვნებაში უნდა განვასხვავოთ შემოქმედებითი ან სპორტული წარუმატებლობისაგან. მაგალითად, როცა საფეხბურთო კლუბი ყიდულობს თავდამსხმელს და მისგან ბევრი გოლის გატანას მოელის. სინამდვილეში კი ამ ფეხბურთელმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. იქნება თუ არა ეს შეცდომა პიროვნების თვისებებში?

ეს და მათი მსგავსი მაგალითები ცხოვრებაში უამრავია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთ შეცდომებს ხშირად ძალიან დიდი მატერიალური ზიანი მოჰყვება, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შეცდომის ამ სახეს. ამ საკითხის განხილვისას ხშირად დადგება შეცდომისა და შემოქმედებითი წარუმატებლობის გამიჯვნის პრობლემა. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს განმარტების საფუძველზე. ოღონდ შეცდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გარიგების შეცილების საფუძველი, როცა გარიგება ამ პიროვნების ან მისი პირადი თვისებების გამო დაიდო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა პირადი თვისებები დიდ როლს თამაშობენ. სანდობა, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება, საიდუმლოს შენახვის უნარი — ეს ის თვისებებია, რომლებიც საფუძველს ქმნიან კომერციული, განსაკუთრებით კი, საკრედიტო ურთიერთობების სტაბილურობისთვის. ბანკი საკრედიტო ხელშეკრულებას დებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ გასესხებული ფულიდან მოგებას მოეღოს, არამედ იმიტომაც, რომ მსესხებელს ენდობა და მას კრედიტუნარიან პიროვნებად მიიჩნევს, ე.ი. საიმედოობა ამ შემთხვევაში ის თვისებაა, რომელიც საფუძველია საკრედიტო ხელშეკრულების დადებისთვის. აქედან გამომდინარე, იმ საკითხის გადაწყვეტისას, ჩაითვალოს თუ არა პირის ესა თუ ის თვისება არსებით თვისებად, გათვალისწინებულ უნდა იქნას ე.წ. „მოცემული გარიგების ტიპური ეკონომიკური მიზანი“.<sup>537</sup> მაგალითად, საჯარო ვაჭრობის გზით ნივთის გაყიდვისას გამყიდველს არა აქვს უფლება ამტკიცოს, რომ მისთვის მთავარია მყიდველის პიროვნება.<sup>538</sup>

თუ შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში მოხდა მოტყუების ნიადაგზე, გარიგების გაბათილება შეიძლება მოტყუების საფუძველზე.<sup>539</sup>

## 5. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში

გარიგების შეცილების საფუძველი შეიძლება იყოს შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში. ასეთად კი მიიჩნევა ის თვისება, რომელიც საფუძველი გახდა საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმში ყიდულობს ფიროსმანის ნახატს და ამ მიზნით იხდის დიდ თანხას. სინამდვილეში აღმოჩნდა,

<sup>537</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil, § 36 III 2, Rn. 43.

<sup>538</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 74, გვ. 227.

<sup>539</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 74, გვ. 229.

რომ ეს ნახატი ფიროსმანის მიერ კი არაა შესრულებული, არამედ წარმოადგენს მის ასლს. 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მუზეუმს უფლება აქვს მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა.

იყო თუ არა დაშვებული შეცდომა საგნის თვისებებში, შედარებით ადვილი დასადგენია: იგი პირდაპირ აისახება საგნის ღირებულებაში.

საგნის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ნივთი, არამედ უფლებები, მოთხოვნები და ყველა ის სიკეთე, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი.

## 6. შეცდომა უფლებაში

უფლებაში შეცდომა გულისხმობს პირის არასწორ წარმოდგენას მის მიერ დადებული გარიგების უფლებრივ შედეგებზე. კერძოდ, გარიგების დადებისას პირი ცდებოდა და არ ეგონა, თუ მის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება ან ამა თუ იმ გამოთქმისთვის მინიჭებული მნიშვნელობა ასეთ შედეგებს გამოიწვევდა. მაგალითად, როცა სახლის გამყიდველი ყიდის თავის სახლს და ხელშეკრულებაში წერს, რომ იგი ყიდის „სახლს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“, მაგრამ მან არ იცის, რომ ამ გამოთქმით ყიდის მთელ მიწის ნაკვეთსაც, რომელიც ამ სახლის მიწის ნაკვეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ასეთი შეცდომა უნდა ჩაითვალოს გარიგების შეცილების საფუძველად, ვინაიდან სახლის მესაკუთრემ არ იცოდა, რომ „უძრავ-მოძრავ ქონებაში“ იგულისხმებოდა მთლიანად მიწის ნაკვეთიც. ეს რომ სცოდნოდა, ის ამ ხელშეკრულებას არ დადებდა.

უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება, თუკი სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოცემულ გარიგებას მოსდევს, კანონითაა განსაზღვრული და კანონის საწინააღმდეგო ნორმას აფიქსირებს გარიგების მხარე. მაგალითად ა ყიდის თავის ავტომანქანას ბ-ზე და ხელშეკრულებაში წერს, რომ ის პასუხს არ აგებს ავტომანქანის ნაკლზე, რომლის შესახებ მან იცოდა მანქანის გაყიდვის დროს.

კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი შეცდომა შეიძლება იყოს გარიგების შეცილების საფუძველი.<sup>540</sup>

## 7. შეცდომა მოტივში

გარიგებების დადებისას მოტივი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარიგების მოტივებს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომლებსაც გარიგების ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეების შესახებ ან გარიგების საგნის თვისებების თაობაზე.<sup>541</sup> „მოტივში შეცდომისას სახეზეა არა შეცდომა ნების გამოვლენაში, არამედ ნების ფორმირებაში“.<sup>542</sup> მაგალითად, აძლევეს ბ-ს სესხს იმიტომ, რომ მას სანდო და კეთილსაიმედო პარტნიორად მიიჩნევეს. პირი ყიდულობს „ვეფხისტყაოსნის“ ანტიკვარულ გამოცემას იმიტომ, რომ ის მას ძვირფას ნივთად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მოტივები ჩვენი მოქმედებების შინაგანი მამოძრავებელი ძალაა, ისინი არ განეკუთვნებიან გარიგების შინაარსს.<sup>543</sup> ამიტომ მხოლოდ შეცდომა მოტივში არ იძლევა შეცილების საფუძველს.<sup>544</sup>

76-ე მუხლის თანახმად, შეცდომა გარიგების მოტივში არსებით შეცდომად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, შემოწირულობის განხორციელების მოტივი იყო, რომ შემოწირული თანხა უნდა მონმარებოდა ლტოლვილებს. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს თანხა გამოყენებულ იქნა სრულიად სხვა ჰუმანიტარული მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში მოტივი შეიძლება ჩავთვალოთ შე-

<sup>540</sup> ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს უფლებაში შეცდომის ცალკე გამოყოფა ზედმეტია და საკმარისია საგნის ძირითადი თვისებებით შემოფარგვლა: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 333.

<sup>541</sup> *Tihr*, v. Bd. 2/1, S.37.

<sup>542</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 76, გვ. 232.

<sup>543</sup> *Tihr*, v. Bd. 2/1, S.37.

<sup>544</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 76, გვ. 232; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil, § 36 III Rn. 34.

თანხმების საგნად და შეწირულობის განმხორციელებელს მივცეთ უფლება საცილო გახადოს გარიგება.

როგორც წესი, გარიგების მოტივის საკითხი დაკავშირებულია ან გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებებთან. ამიტომ ხშირად რთულია იმის გამოიყვანა, თუ როდის გვაქვს შეცდომა გარიგების მოტივში და როდის შეცდომა პიროვნების ან საგნის ძირითად თვისებებში. ალბათ ამის გამო გაჩნდა მოსაზრება, რომ შეცდომა მოტივში არ საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას, ვინაიდან თუკი იგი შეთანხმების საგანია, მაშინ იგი შეიძლება გარიგების პირობად ჩაითვალოს.<sup>545</sup>

## 8. შეცდომის გამო გარიგების შეცილების წინაპირობები

შეცდომით დადებული გარიგებები საცილო გარიგებათა კატეგორიას განეკუთვნება. როგორც ყველა საცილო გარიგებას, მასაც ერთი თავისებურება ახასიათებს: საცილო გარიგება ითვლება ნამდვილად მანამდე, ვიდრე დაინტერესებული პირი არ გახდის მას სადავოდ, ე.ი. მოითხოვს მის გაბათილებას. შეცდომით დადებული გარიგებების შეცილებას ახასიათებს თავისებურებები, რომლებიც ამ გარიგების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.<sup>546</sup>

1. გარიგების საფუძვლად არსებული შეცდომა უშუალო მიზეზი უნდა იყოს გარიგების დადებისათვის. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ პირი არ დადებდა მოცემულ გარიგებას, რომ მას არასწორი წარმოდგენა არ ჰქონოდა გარიგებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამო. მაგალითად, მუზეუმს რომ სცოდნოდა, რომ იგი ფიროსმანის ნახატს კი არ ყიდულობდა, არამედ ამ ნახატის ასლს, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა. ამავე დროს, ეს შეცდომა ობიექტურ საფუძვლებსა და

<sup>545</sup> ნახეთ ამასთან დაკავშირებით: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 80, გვ. 239; *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 333.

<sup>546</sup> შეცილების წინაპირობების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 337-339.

წინაპირობებს უნდა ემყარებოდეს. თუ ეს საფუძვლები და წინაპირობები აშკარა ეჭვს ბადებდნენ გარიგების საგნის ან სხვა ძირითადი თვისების გამო, შეიძლება ნების გამოვლენა შეცდომად არ ჩაითვალოს. მაგალითად, თუ პირი ფიროსმანის ნახატს ყიდის 500 ლარად მაშინ, როცა მისი ნამდვილი ფასი რამდენიმე ათას ლარს შეადგენს, ამას მყიდველში უნდა გამოეწვია ეჭვი. სინამდვილეში იყო შეცდომა თუ პირის დაუდევრობამ გამოიწვია გარიგების დადება, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. თუ შეცდომა გამოიწვია პირის დაუდევრობამ, მაგრამ გარიგება მაინც იქნა ბათილად ცნობილი, მაშინ ბრალეულ პირს დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც გარიგების მეორეს მხარეს გარიგების ბათილობის შედეგად.

2. შეიძლება გარიგების დადების საფუძველი იყოს შეცდომა, მაგრამ თუ გარიგების მეორე მხარე თანახმაა ისე შეასრულოს გარიგება, როგორც ეს შეცდომის დამშვებ მხარეს სურს, მაშინ არ დაიშვება გარიგების შეცილება და მისი გამოცხადება ბათილად (მუხლი 77-ე). როცა „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველმა წიგნი ნაცვლად 1000 ლარისა გაყიდა 100 ლარად, მას შეუძლია საცილო განადოს გარიგება, მაგრამ თუ მყიდველი თანახმაა გადაიხადოს „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემაში 1000 ლარი, მაშინ 77-ე მუხლის თანახმად გამყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

3. კანონი გარიგების შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ არსებითი შეცდომების არსებობისას. ხოლო რაც შეეხება „წერილმან შეცდომებს გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში“, იგი მხოლოდ ამ შეცდომის გამოსწორების უფლებას იძლევა და არა გარიგების გაბათილების მოთხოვნის უფლებას. მაგალითად, თუ „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველი ნაცვლად 1000-ისა შეცდომით გაყიდა 1100 ლარად, მყიდველს უფლება ექნება მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი 100 ლარის უკან დაბრუნება, მაგრამ არა გარიგების ბათილობა. თუმცა საკითხი, თუ რა უნდა ჩაითვალოს „წერილმან შეცდომად“ ფაქტის

საკითხია და უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის განხილვისას.

შეცდომით დადებული გარიგების **შეცილება გარიგებაა**. იგი წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, ოღონდ მას ნამდვილობისთვის მეორე მხარის მიერ ამ ნების გამოვლენის მიღება სჭირდება. რაიმე სპეციალურ ფორმას ამ ნების გამოვლენისთვის კანონი არ ითვალისწინებს. მაგრამ აუცილებელია, რომ შეცილების უფლების მქონემ გარკვევით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს. *მაგალითად*, მალაზიის გამყიდველმა უნდა აცნობოს მყიდველს, რომ მან „ვეფხისტყაოსანი“ შეცდომით მიჰყიდა 100 ლარად.

შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება აქვს იმ პირს, რომლის ნების ნაკლის გამო დაიდო გარიგება. წარმომადგენლის ნების ნაკლი (*მაგალითად*, „ვეფხისტყაოსნის“ გამყიდველი მალაზიის თანამშრომელი) შეცილების უფლებას აძლევს წარმოდგენილ პირს (მალაზიას). ხოლო ამ შეცილების მოპასუხედ ჩაითვლება ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს ამ გარიგებაში და შეცდომის წყალობით მიიღო გარიგებისაგან სამართლებრივი სარგებელი.

#### IV. მოტყუებით დადებული გარიგებანი

##### 1. ცნება და გამოყენების წინაპირობები

ნების გამოვლენის თავისუფლება შეიძლება ხელყოფილ იქნეს არა მხოლოდ გარიგების მონაწილის შეცდომით, არამედ გარიგების კონტრაქტის შეგნებული განზრახვი მოქმედებით — **მოტყუებით**.<sup>547</sup> მოტყუებად კი ითვლება „ცდომილებაში განზრახ შეყვანა“.<sup>548</sup> მართალია, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლთან, რომელიც გარიგების შეცილების საფუძველს იძლევა, მაგრამ მათ

<sup>547</sup> მოტყუებით დადებული გარიგებების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 340-348.

<sup>548</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 81, გვ. 239.



შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შეცდომის შემთხვევაში ნების ნაკლის წყარო თვითონ ნების გამოძღვლენის პიროვნებაშია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედობაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია. მოტყუებას კი საფუძვლად უდევს გარიგების პარტნიორის შეგნებული, „სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება“, <sup>549</sup> რომელიც მიზნად ისახავს ნების გამოძღვლენის შეყვანას შეცდომაში. ამიტომ, განსხვავებით შეცდომით დადებული გარიგებისაგან, რომლის დროსაც შეცილების უფლება მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, მოტყუების დროს დაზარალებულ მხარეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. კანონი ამისთვის ერთადერთ წინაპირობად მოითხოვს, რომ მოტყუება ედოს საფუძვლად გარიგების დადებას. კერძოდ, 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. მაგალითად, როცა ნახატის გამყიდველმა იცის, რომ ეს ნახატი არ არის ორიგინალი, მაგრამ ამტკიცებს, თითქოს იგი ფიროსმანის შესრულებული იყოს. გამყიდველის მიერ მოხმობილი მტკიცებულებები მყიდველს დამაჯერებლად მიაჩნია და ყიდულობს ყალბ სურათს. ამ დროს უდავოა, რომ სწორედ გამყიდველის მიზანმიმართული მოქმედება გახდა საფუძველი გარიგების დადებისათვის.

მოტყუება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში, არამედ იმ მონაცემების დამალვაში, რომლებიც გარიგების მხარეს უნდა შეეტყობინებინა მეორე მხარისთვის. მაგალითად, ნივთის გამყიდველი ვალდებულია მყიდველს აცნობოს ნივთის მისთვის ცნობილი ნაკლის შესახებ. ამ ნაკლის დამალვა (ე.ი. კანონით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა) შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად და ამ საფუძველით გარიგება ბათილად იქნეს ჩათვლილი. ამრიგად, დუმილი ყოველთვის კი არ ჩაითვლება მოტყუებად, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს „სპეციალურად ევალებოდა სიმართლე ეცნობებინა მოტყუებული

<sup>549</sup> ზოიბე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 81, გვ. 240.

მხარისთვის, ანდა ასეთი ვალდებულება გამომდინარეობდა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვევებიდან ან კეთილსინდისიერების პრინციპიდან<sup>550</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეტყობინების მოვალეობათა მნიშვნელობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალში.<sup>551</sup>

უნდა დავეთანხმოთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ მოტყუება შესაძლებელია იყოს მხოლოდ განზრახვი ქმედება. ამიტომ გამოთქმული კრიტიკა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაუფრთხილებლობით მოტყუების შესაძლებლობასაც უშვებენ, სამართლიანად მიმაჩნია.<sup>552</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოტყუებით დადებული გარიგებების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „განზრახვი მოტყუება“ (§ 123 I). თუმცა კანონმდებელს უნდა გამოხატოს იმის შესაძლებლობა, რომ მოტყუება შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებლობითაც.<sup>553</sup>

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს ეხება თუ სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე. არც იმას აქვს მნიშვნელობა, მოტყუება მოგონილი და გაყალბებული ფაქტებით თუ არსებული ფაქტების არასრული შეტყობინებითა თუ დამალვით ხდება.<sup>554</sup>

გარიგების ბათილობის მოთხოვნისათვის არაა სავალდებულო, რომ გარიგების მხარეს მიზნად ჰქონოდა მეორე მხარისთვის ზიანის მიყენება ან თვითონ რაიმე სარგებლის ნახვა (თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ყოველთვის სახეზეა). 82-ე მუხლი

<sup>550</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 81, გვ. 241.

<sup>551</sup> *კანტური*ა ლადო, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გვ. 287-293.

<sup>552</sup> *ზოიძე* ბესარიონ, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში. სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, გვ. 289.

<sup>553</sup> *Staudinger/Dilcher*, § 123, Rn 22.

<sup>554</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 81, გვ. 240.

უსწორო ცნობების შეტყობინების მოტივს სამართლებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუმცა, როგორც სწორად არის აღნიშნული ლიტერატურაში, ძნელად წარმოსადგენია მხარე იტყუებოდეს და სახეზე არ იყოს აღნიშნული მიზანი.<sup>555</sup>

არის შემთხვევები, როცა არასწორი ცნობები უშუალოდ გარიგების მონაწილიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მესამე პირისაგან, მაგრამ მონაწილემ იცის ამის შესახებ. მაგალითად, ბინის მაკლერმა იცის, რომ სახლს, რომლის გაყიდვასაც ის შუამავლობს, ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მაგრამ მყიდველს ამის შესახებ არაფერს ეუბნება. არც გამყიდველი იჩენს დიდ ინიციატივას. სამაგიეროდ ავარიული სახლის გაყიდვით ის დიდ სარგებელს ნახულობს. 83-ე მუხლი ასეთ დროს უფლებას აძლევს დაზარალებულს მოითხოვოს გარიგების ბათილობა. მესამე პირად არ მიიჩნევა ის პირი, ვინც მხოლოდ გარიგების ერთ-ერთი მხარის ინტერესებს ემსახურება, მაგალითად, წარმომადგენელი.<sup>556</sup>

## 2. შეცილების პირობები

შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საცილო გარიგებებთან, ე.ი. ისეთ გარიგებებთან, რომლებიც ნამდვილია მანამდე, ვიდრე მისი მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების გაბათილებას.

როგორც წესი, მოტყუება შეცდომის საფუძველია. ამიტომ შეცდომით გარიგების დაძმები პირი შეიძლება იმავდროულად მოტყუებულაც იყოს. ეს უკანასკნელი ამ დროს ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდება: რა საფუძველით მოითხოვოს გარიგების ბათილობა — შეცდომის თუ მოტყუების? ეს უკანასკნელი საფუძველი შეცი-

<sup>555</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 82, გვ. 242.

<sup>556</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 83, გვ. 243-244.

ლების უფლების მქონე პირისთვის უფრო ხელსაყრელი და მისაღება: ა. შეცილების უფლების ვადა შეადგენს ერთ წელს მაშინ, როცა შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილების ვადა შეადგენს ერთ თვეს (79-ე მუხლის პირველი ნაწილი); ბ. შეცდომით დადებული გარიგების შეცილების დროს შეცილების უფლების მქონეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, თუ შეცდომა მას დაუდევრობის გამო მოუვიდა (79-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შეცილება ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს, ე.ი. შეცილების უფლების მქონე უფრო დაცული და გარანტირებულია.

უფლებათა კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ შეცდომასა და მოტყუებას შორის, არამედ მოტყუებასა და შეცილების ვალდებულებით სამართლებრივ საფუძველს შორის. კერძოდ, ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა შეიძლება მოთხოვილ იქნეს, როგორც მოტყუებით დადებული გარიგებებისათვის გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული წესების მიხედვით.

როცა მოტყუებით დადებულ გარიგებას გარიგების მონაწილეთათვის ზიანი მოჰყვა, ამ ზიანის ანაზღაურება მას შეუძლია მოითხოვოს როგორც მოტყუების ნორმების საფუძველზე, ასევე ზოგ შემთხვევაში (*მაგალითად*, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისას) დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე.

## V. იძულებით დადებული გარიგებანი

ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებების ყველაზე მძიმე და მკაცრ ფორმას წარმოადგენს იძულებით დადებული გარიგებანი. განსხვავებით მოტყუებისაგან, იძულებას შედეგად შეცდომა კი არ მოჰყვება, არამედ ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. „იძულების დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვ-

ლენის პროცესში<sup>.557</sup> უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „იძულება ამკარა ჩარევაა ნების გამოვლენის პროცესში“<sup>.558</sup> პირმა იცის რეალური ვითარება, რის გამოც ის წინააღმდეგია გარიგების დადების, მაგრამ მას გარეგანი ზემოქმედების შედეგად აიძულებენ, რომ დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას. ნება ნაკლულად ჩაითვლება იმიტომ, რომ იგი არ შეესაბამება მის გარეგნულ გამოხატულებას და განსხვავებით შეცდომის ან მოტყუებისაგან, პირმა იცის ამის შესახებ. „ასეთ ვითარებაში პირი ფაქტობრივად იქცევა სხვისი ნების ინსტრუმენტად“<sup>.559</sup> ამასთან გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება (8ნ-ე მუხლის პირველი ნაწილი).

იძულება შეიძლება **სხვადასხვა ფორმით** გამოიხატოს. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება არსებობდეს ფიზიკური ზემოქმედების ფორმით, მაგალითად, როცა პირს ძალადობით მოაწერინეს ხელი ხელშეკრულებაზე. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება იყოს როგორც ფარული, ასევე ამკარა მუქარის სახით. მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც პირადად კონკრეტულ პირზე, ასევე მის ქონებაზე. არსებობს შემთხვევები, როცა მუქარა მიმართულია ოჯახის წევრების ან სხვა ნათესავების მიმართ.<sup>560</sup>

მართალია, 85-ე მუხლის თანახმად იძულებით ან იძულების მუქარით დადებული გარიგებების შეცილების უფლება აქვს ხე-

<sup>557</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 85, გვ. 246.

<sup>558</sup> სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 46

<sup>559</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 85, გვ. 247.

<sup>560</sup> ქართულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია იძულებად მხოლოდ ფსიქიკური იძულების განმარტება და გამოყენება: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 350. ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ფიზიკური იძულების შედეგად გარიგების დადება, მით უმეტეს, რომ 85-ე მუხლი ძალადობასა და მუქარაზე ცალ-ცალკე საუბრობს.

26. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ლყოფილ პირს, მაგრამ თვით იძულების საშუალებები და მიზნები შეიძლება იმდენად განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, რომ არ არის გამორიცხული ექვის დაბადება – რამდენად სწორი იქნებოდა ბათილობის მოთხოვნა. *მაგალითად*, კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან ვერაფრით ვერ დაიბრუნა თავისი ვალი, ემუქრება მოვალეს, რომ, თუ დროზე არ დააბრუნებს ფულს, უჩივლებს მას სასამართლოში; იგივე კრედიტორი ემუქრება მოვალეს, რომ თუ არ დააბრუნებს იგი ვალს, მოსტაცებს შვილს. როგორ უნდა გადაწყდეს ეს შემთხვევები?

გაფრთხილება, რომ კრედიტორი მოვალეს უჩივლებს სასამართლოში, ფორმალურად მოვალისთვის ასევე მუქარაა. მაგრამ ის, რასაც კრედიტორი მოვალისაგან მოითხოვს, კანონიერია (სურს საკუთარი ფულის დაბრუნება). ამგვარი დისონანსის შესაძლებლობა სამოქალაქო კოდექსს არ გამორჩენია. ამიტომაც განამტკიცებს 88-ე მუხლში, რომ „იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით“. კანონის ეს მოთხოვნა *კუმულატიურია*, ე.ი. მიზანიც და მისი მიღწევის საშუალებაც მართლზომიერი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებები ჩაითვლება იძულებად და გამოიწვევს 85-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს. მამასადაძამე, უნდა დაზუსტდეს, თუ რა ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო საშუალებად და მართლსაწინააღმდეგო მიზნად. *მაგალითად*, უზენაესმა სასამართლომ მუქარად არ ჩათვალა ცოლის ულტიმატუმი განქორწინების თაობაზე, რადგან განქორწინების მუქარა არ შეიცავს სერიოზულ საფრთხეს და არ აიძულებს ადამიანს, გაყიდოს ყველაფერი და თავი უსახსრო მდგომარეობაში ჩაიგდოს.<sup>561</sup>

მართლსაწინააღმდეგობა არსებობს მაშინ, როცა მართლსაწინააღმდეგოა მუქარის საშუალება ან მიზანი ანდა ერთმანეთთან შეუსაბამოა მიზანიცა და საშუალებაც.<sup>562</sup> სასამართლოში მიმართვა

<sup>561</sup> სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 59.

<sup>562</sup> გერმანულ სამართალში გაბატონებული ეს შეხედულება სრულად შეესაბამება

თავდაცვის მართლზომიერი საშუალებაა. ამიტომ პირველ შემთხვევაში კრედიტორის მოქმედება არ ჩაითვლება მუქარად. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ კრედიტორის მიერ არჩეული საშუალება — მოვალის ბავშვის გატაცება — აშკარად მართლსაწინააღმდეგოა და უუჭველია, რომ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მუქარად.

თუ საშუალებების მართლზომიერების საკითხის განხილვა შედარებით იოლია, გაცილებით უფრო რთულია მიზნის მართლზომიერების დადგენა. ზოგი სახის მიზნის განხილვისას მისი მართლწინააღმდეგობა ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, როცა პირს ემუქრებიან, რომ თუ ის მონაწილეობას არ მიიღებს დანაშაულის ჩადენაში, დაასმენენ პოლიციაში. ამ შემთხვევაში მუქარის მიზანი არის პირის ჩათრევა დანაშაულის ჩადენაში. იმ შემთხვევაში, როცა მოწმე განსასჯელისაგან მოითხოვს ფულს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს მისცემს სწორ ჩვენებას, მიზანი შეიძლება შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, მუქარად. თუ რამდენად მართლზომიერია მიზანი, კონკრეტული ფაქტის საკითხია და მოსამართლემ საქმის განხილვისას უნდა შეაფასოს იგი.

არა მხოლოდ მიზნისა და საშუალების მართლზომიერებას მოითხოვს კანონი, არამედ მათ ურთიერთშესაბამისობასაც. როცა კრედიტორი მოვალეს ემუქრება, რომ ვალის დასაბრუნებლად მიმართავს სასამართლოს, მიზანიცა და საშუალებაც ერთმანეთს შეესაბამება. მაგრამ როცა კრედიტორი ემუქრება პროკურატურაში მიმართვით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, შეიძლება მიზნისა და საშუალების ურთიერთშესაბამისობის პრობლემა დადგეს.

მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილებისას აუცილებელია, რომ მუქარასა და გარიგებას შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, კანონის თანახმად, არ არის სავალდებულო, რომ იძულება გარიგების მონაწილისაგან მოდიოდეს. იგი შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისაგან.

ქართულ სამართალსაც: Köhler Helmut, BGB Allgemeiner Teil, 33. Aufl. Beck, München, 2009, § 7, Rn. 54 ff.

იძულებით დადებული გარიგებაც, როგორც ნების ნაკლის გამო დადებული გარიგება, წარმოადგენს საცილო გარიგებას და მის მიმართ შეცილების იგივე წესები გამოიყენება, რაც მოტყუების ან შეცდომის დროს. იძულება გარიგების დადებისას ავტომატურად არ იწვევს გარიგების ბათილობას. ბათილობა მხოლოდ შეცილების შედეგად ღება.

მოტყუებით დადებული გარიგების შეცილებისაგან განსხვავებით, იძულებით დადებული გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადა აითვლება არა იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ (84-ე მუხლი), არამედ იძულების დამთავრების მომენტიდან (89-ე მუხლი).

თუკი იძულებით გარიგების დადებას შედეგად ზიანი მოჰყვა, უფლებამოსილ პირს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ დელიქტური სამართლით.<sup>563</sup>

<sup>563</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 89, გვ. 252.



## § 33. იურიდიული ძალის არქონე გარიგებანი

### I. ბათილი გარიგებანი

#### 1. ზოგადი მიმოხილვა

გარიგება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. მაგრამ გარიგების მონაწილეების მიერ არჩეული საშუალებები ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ხშირად არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ეკვივალენტური. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი — არა. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს **ნამდვილი გარიგებისა და ბათილი გარიგების** ცნებებს. **ნამდვილად** ითვლება ისეთი გარიგება, რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგება მიიჩნევა **ბათილად**, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედობას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს. *მაგალითად*, თუ სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, ხოლო შემენი — საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ასეთი ნასყიდობა მიიჩნევა ბათილად და საკუთრების უფლება არ წარმოიშობა.

იმის გამო, რომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები ან გამოსწორების (ე.ი. ვარგისიანობის მოპოვების) შესაძლებლობები მრავალფეროვანია, კანონი ერთმანეთისაგან განსხვავებს ბათილობის სხვადასხვა ფორმებს. ისეთ გარიგებებს, რომლებიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, კანონი სხვანაირად უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას უწოდებს (61-ე მუხლის პირველი ნაწილი).

გარიგება მთლიანობაში შეიძლება იყოს ნამდვილი, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი იყოს სამართლებრივად უვარგისი. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო სამართალი ნაწილობრივად ბათილი გარიგებების კატეგორიას განაკუთვნებს (მუხლი 62-ე).

სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს გარიგებებს, რომლებიც დადების მომენტში ბათილია (მაგალითად, 63-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ შეიძლება გახდნენ ნამდვილი, თუკი უფლებამოსილი პირი მოიწონებს მათ. მსგავს გარიგებებს შეიძლება მერყევად ბათილი გარიგებები ვუწოდოთ. ასეთი გარიგებების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებების ზოგი შემთხვევა.

ბათილი გარიგების სახეების ეს ჩამონათვალი, მართალია, მთლიანობაში ასახავს იურიდიული ძალის არქონე გარიგებათა სამართლებრივ ბუნებას, მაგრამ არ იძლევა პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ბათილი გარიგების განხილვისას წამოიჭრება. ამის შესაძლებლობას მოგვცემს ბათილი გარიგების კონკრეტული სახეების განხილვა.

## 2. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი

ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება პრაქტიკულად სინონიმებს წარმოადგენს. არარა გარიგებები ბათილი გარიგების ყველაზე მკაცრი და კატეგორიული ფორმაა. ამ გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების მიმართ და არც მესამე პირთათვის. ასეთი გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. ამავე დროს, ასეთი გარიგების აღიარებისთვის ბათილად არ არის საჭირო არც შეცილება, არც ამ გარიგების

ბათილობის მოთხოვნა ანდა სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ბათილად.<sup>564</sup> ამით განსხვავდება იგი მერყევად ბათილი გარიგებისაგან, რომელიც, მართალია, დადებისთანავე ბათილია, მაგრამ დამატებითი მოქმედებით (მაგალითად, კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობა) შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად.

როცა გარიგების ბათილობაზე და, კერძოდ, არარა გარიგებებზეა საუბარი, ისინი არ უნდა იქნეს გაგებული ე.წ. „ნულად“, „განუხორციელებელ მოქმედებად“.<sup>565</sup> მართალია, გარიგება ბათილია, არარაა, მაგრამ რეალურად იგი განხორციელებული აქტია. ამიტომ, ცხადია, რომ ის, როგორც ქმედობა, სამართლებრივ შედეგებს იწვევს, მაგრამ არა იმ შედეგებს, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ. განხორციელებული ქმედება შეუძლებელია სამართლებრივი შეფასების გარეშე დარჩეს. არარა გარიგების სამართლებრივი შედეგი იქნება, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების დაკისრება ანდა გარიგებით მიღებული უკან დაბრუნება და ა.შ. ბუნებრივია, რომ ეს არაა ის შედეგი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ.

მართალია, არარა გარიგება დადებისთანავე ბათილია და მისი გასწორება მხარეებს არ შეუძლიათ, მაგრამ კანონი მაინც ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ გარიგების მხარეებმა სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიონ დასახულ მიზნებს. სამოქალაქო კოდექსი გარიგების მონაწილეთა ამ შესაძლებლობას „დადასტურებას“ უწოდებს (მუხლი 61-ე). ოღონდ ეს დადასტურება არარა გარიგებას კი არ ასწორებს, ე.ი.

<sup>564</sup> პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყაზახეთის სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბათილი გარიგების ცნებას და შემოიფარგლება მხოლოდ საცილო გარიგების ინსტიტუტით. ყაზახი კოლეგიების აზრით, გარიგების ავტომატურად მიჩნევას ბათილად არაფერი აზრი არა აქვს, თუკი არ მოხდა მისი მხილება და გასაჩივრება. ამიტომ ამ ლოგიკით ყველა გარიგება საცილოდ ბათილია და მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში დადგება მისი ბათილობა: Гражданское право. Том первый, учебник для вузов. Отв. Ред. М.К. Сулцименов, Ю.Г. Басин - Алматы, 2000, с. 282.

<sup>565</sup> *Flume, Rechtsgeſchäft*, S.547-548.

მას კი არ აქცევს ნამდვილად, არამედ ნიშნავს ახალი გარიგების დადებას. მაგალითად, თუ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებმა წერილობით არ გააფორმეს, ასეთი ხელშეკრულება დადებისთანავე ბათილია. მაგრამ თუ მხარეები თანახმანი არიან დადონ ეს ხელშეკრულება და ადასტურებენ მას, ეს ნიშნავს, რომ მათ ხელშეკრულება წერილობით უნდა გააფორმონ და შემძენი გაატარონ რეგისტრაციაში. წერილობითი გაფორმების შედეგად გარიგება ნამდვილი იქნება არა ძველი გარიგების დადების დროიდან, არამედ მხოლოდ წერილობით გაფორმების მომენტიდან, ე.ი. ფაქტობრივად დაიღო ახალი გარიგება, ე.ი. კანონი არარა გარიგების „გამოსწორების“ შესაძლებლობას იძლევა გარიგების კვლავ დადების უფლების მინიჭებით. მაგრამ ესეც დამოკიდებულია გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლის სამართლებრივ ხასიათზე. თუ გარიგება არარად ბათილად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ მისი შინაარსია კანონსაწინააღმდეგო, ბუნებრივია, კანონსაწინააღმდეგო შინაარსით გარიგების დადასტურების მცდელობას კვლავ მოჰყვება გარიგების ბათილობა. ამიტომაც აზუსტებს სამოქალაქო კოდექსი, რომ დადასტურება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა გარიგება (რომლის დადასტურებაც მხარეებს სურთ) არ ეწინააღმდეგება ზნეობისა და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს (61-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

არარა გარიგების დადასტურება მხარეების მიერ, მართალია, არ იწვევს გარიგების გადაქცევას ნამდვილად, ე.ი. მისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას ამ გარიგების პირველად დადების მომენტიდან, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ გარიგებით მოსალოდნელი სარგებელი ერთმანეთს პირველი გარიგების დადების დროიდან მიანიჭონ. თუკი ისინი ამას გამოკვეთით არ გამოამყლანებენ და ამის გამო წარმოიშობა ეჭვი (მაგრამ მხარეები ადასტურებენ გარიგებას), მაშინ კანონი აკისრებს მათ ვალდებულებას, რომ გადასცენ ერთმანეთს ყველაფერი, რასაც ისინი გარიგებისაგან მიიღებდნენ, რომ გარიგება პირველად დადებისთანავე ნამდვილი ყოფილიყო (61-ე მუხლის მე-4 ნაწილი). კონკრეტული მაგალითის მოხმობა

თვალსაჩინოდ აქცევს ამ ნორმის სამართლიანობას: ა-მ 10 იანვარს მიჰყიდა ბ-ს საკუთარი ბინა, რომელიც გაქირავებული იყო გ-ზე. ა-სა და ბ-ს შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება მათ წერილობით არ გაუფორმებიათ და არც საჯარო რეესტრში გაუტარებიათ რეგისტრაციაში. ეს მათ მხოლოდ ათი თვის შემდეგ გააკეთეს, როცა შეიტყვეს, რომ წერილობით გაფორმებამდე და მის რეგისტრაციამდე ბ არ ითვლებოდა ბინის მესაკუთრედ. ამ დროის განმავლობაში ბინის დამქირავებელი გ ბინის ქირას უხდიდა ბ-ს, ვინაიდან იგი მას ახალ მესაკუთრედ თვლიდა. ა-მ მოითხოვა დამქირავებლის მიერ ბ-ს სასარგებლოდ გადახდილი ქირის გადაცემა მისთვის, როგორც რეგისტრირებული მესაკუთრისათვის. თუკი არ იქნებოდა 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი, მაშინ ა-ს მოთხოვნა იქნებოდა კანონიერი და ის მიიღებდა ბინის ახალი შემძენის კუთვნილ თანხას. ეს ერთი პატარა მაგალითი ადასტურებს იმას, თუ როგორი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ნორმებს ცხოვრებაში.

### 3. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი

არცთუ იშვიათად ხდება, როცა მხარეები ძირითადად სწორად აფორმებენ გარიგებას, მაგრამ მისი რომელიმე ნაწილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ დროს სრულიად ბუნებრივად დაიბადება კითხვა: გარიგება მთლიანად იქნება ბათილი თუ საკმარისია მხოლოდ მისი ერთი ნაწილის აღიარება იურიდიული ძალის არმქონედ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მრავალი პრობლემა წამოყოფს თავს: რა უნდა ჩაითვალოს გარიგების ნაწილად? როგორი ხასიათის შეიძლება იყოს ნაკლი, რომელიც გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე და ა.შ.? 62-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუკი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

იმისთვის, რომ შეგვეძლოს გარიგების ნაწილის ბათილობაზე საუბარი, აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთიანი გარიგება, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ამ ნაწილების გამოცალკეება და მათი განხილვა, ასევე იმის დადგენა, თუ რომელი ნაწილია ბათილი და შეუძლია თუ არა ამ ნაწილის ბათილობას გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. მაგალითად, როცა მომავალი პარტნიორები შპს-ის წესდებას ადგენენ და მას ხელს აწერენ, ისინი ამით დებენ გარიგებას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. თუ წესდებაში ჩაიწერება, რომ შპს-ს პარტნიორს არა აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება, ეს ფორმალურად იქნება გარიგების ერთი ნაწილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გარიგების ბათილობას კი არ გამოიწვევს, არამედ მხოლოდ ამ ნაწილის — კანონით დაუშვებელია პარტნიორისათვის წილის გასხვისების უფლების აკრძალვა. მაგრამ თუკი პარტნიორები წესდებაში არ განსაზღვრავენ საწესდებო კაპიტალს და თითოეული პარტნიორის შესატანის ოდენობას (მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5 მუხლი), მაშინ ეს გამოიწვევს მთლიანად დაფუძნების ბათილობას, თუმცა აქაც მხოლოდ გარიგების ერთ ნაწილთან გვაქვს საქმე.

არის შემთხვევები, როცა გარიგების მონაწილეები მთლიანად გარიგების ბათილობას მოითხოვენ, თუკი ამ გარიგების რომელიმე ნაწილი იქნება ბათილად მიჩნეული. ჩვენს მაგალითში პარტნიორები შპს-ის დაფუძნებას აპირებდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუკი პარტნიორებს არ მიეცემოდათ წილის გასხვისების უფლება. ამიტომ, თუკი ეს შეთანხმება ბათილად იქნება მიჩნეული, ისინი თანახმანი არიან უარი თქვან მთლიანად გარიგებაზე (საზოგადოების დაფუძნებაზე). მაშასადამე, ნაწილობრივად ბათილი გარიგებების განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება გარიგების მონაწილეთა სურვილსაც.

საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ერთიანი გარიგება, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება და იწვევს თუ არა ამ ნაწილების ბათილობა მთლიანად გარიგების ბათილობას, სურთ

თუ არა გარიგების მონაწილეებს მთლიანად გარიგების ბათილობა, თუ თანახმა არიან მხოლოდ ერთი ნაწილის ბათილობაზე, უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე. ამიტომ ნაწილობრივად ბათილი გარიგებების განხილვისას განმარტებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს, ითვალისწინებენ თუ არა გარიგების მონაწილეები იმის შესაძლებლობას, რომ გარიგების ერთი ნაწილის ბათილობამ არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. ამის კარგი მაგალითია სამეწარმეო საზოგადოებათა წესდებებში განმტკიცებული დებულება, რომ წესდების ამა თუ იმ ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. თუ გარიგებაში ასეთი წესი არ არის გათვალისწინებული, მაშინ ეს გარიგების ხარვეზს წარმოადგენს და იგი ასევე განმარტების საფუძველზე უნდა შეივსოს. მნიშვნელოვანი ამ დროს ისაა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ პარტნიორები არსებული გარემოებებიდან გამომდინარე: ა. შეცვლიდნენ გარიგების ბათილ ნაწილს და მთლიანად გარიგებას დატოვებდნენ ძალაში (გააუქმებდნენ იმ წესს, რომელიც წილის გასხვისებას კრძალავს), თუ ბ. უარს იტყობდნენ მთლიანად გარიგებაზე.

ნაწილობრივად ბათილი გარიგების განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, თუ რამდენად არსებითია გარიგებისთვის ის ნაწილი, რომელიც ბათილად იქნა მიჩნეული. გონივრულია თუ არა მის გამო მთლიანად გარიგების აღიარება ბათილად? თუ გარიგება მხარეების მიერ უკვე განხორციელებულია და აღმოჩნდა, რომ მისი ერთი ნაწილი თურმე ბათილი ყოფილა, რამდენად მართებული იქნებოდა მთლიანად გარიგებისთვის გვეთქვა უარი? ეს საკითხთა ის მცირე ჯგუფია, რომლებიც განმარტების დროს უნდა გადაწყდეს.

ნაწილობრივად ბათილი გარიგების შეფასებისას არა მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნებაა მნიშვნელოვანი. როცა კანონი ამბობს გარიგების დადების შესაძლებლობაზე მისი ბათილი ნაწილის გარეშე, იგულისხმება, რომ ეს ნაწილი არ უნდა იყოს ისეთი, რომ მთელი გარიგების ბათილობა გამოიწვიოს. ესეც კონკრეტული ფაქტის საკითხია, თუ როგორი ხასიათისაა ამ ნაწილის ბათილობა.

#### 4. მერყევად ბათილი გარიგებანი

გარიგებათა ერთი ჯგუფი შეიძლება დადებისთანავე იყოს ბათილი, ვინაიდან ასეთ გარიგებებს ნამდვილობისთვის აკლიათ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი წინაპირობა. არარა გარიგებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადებისას დაშვებული შეცდომა ან ნაკლი გამოასწორონ და ამით გარიგებას ვარგისიანობა მიანიჭონ. ასეთ შესაძლებლობას მათ კანონი ანიჭებს. ამის გამო შეგვიძლია ჩვენ ამ ტიპის გარიგებებს **მერყევად ბათილი გარიგებები** ვუწოდოთ. მერყევად ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება არასრულწლოვანის მიერ დადებული თითქმის ყველა გარიგება (63-ე მუხლის პირველი ნაწილი, 64-ე მუხლის პირველი ნაწილი, 66-ე და 67-ე მუხლები), ასევე გარიგებები, რომლებიც ნამდვილობისათვის საჭიროებენ მესამე პირის ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს თანხმობას (99-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 102-ე მუხლი) და შესაძლებელია ამ თანხმობათა მიღება.

ამ სახის გარიგებათა „მერყეობა“ იმაში გამოიხატება, რომ ისინი მერყეობენ ნამდვილობასა და ბათილობას შორის: თუ შესრულდება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა (*მაგალითად*, გასცემენ თანხმობას), გარიგება იქნება ნამდვილი; თუ მხარეები ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, მაშინ გარიგება იქნება ბათილი და ის დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ე.ი. გარიგება მერყეობს ნამდვილობასა და ბათილობას შორის.

მართალია, მერყევად ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ შეიძლება წარმოეშვათ უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, როცა ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის საქართველოდან ისეთი საქონლის გატანაზე, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო ორგანოს თანხმობას ექსპორტზე, მართალია, ამ თანხმობის მიღებამდე ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ იგი შეიძლება მხარეებს აკისრებდეს, რომ მოიპოვონ ასეთი თანხმობა.



მერყევად ბათილი გარიგებების დახასიათებისას იბადება კითხვა, თუ როდიდან უნდა ჩაითვალოს ასეთი გარიგება ნამდვილად: როცა იგი დაიდო, თუ როცა შესრულდა კანონით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნა? კანონი სხვადასხვა ადგილას განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს. ამიტომ ერთიანი პასუხი აღნიშნულ კითხვაზე არ არსებობს. მაგალითად, 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქცევითი ძალა გარიგების დადების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თანხმობის (მოწონების) მიღების მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა მხარეებმა გარიგება დადეს. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება კანონით იყოს დადგენილი ან მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებდეს სხვა წესს. მაგალითად, იმავე ნასყიდობის შემთხვევაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ სახელმწიფოსაგან ლიცენზიის მიღების შემდეგ.

## II. საცილო გარიგებანი

### 1. ცნება და მნიშვნელობა

გარიგებათა ერთი ჯგუფი დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების (ე.ი. მისი გაუქმების მოთხოვნის) შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი. იქცევა ბათილად. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო კოდექსი **საცილო გარიგებებს** უწოდებს.

ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით საცილო გარიგება დადების მომენტში ნამდვილია. ოღონდ მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს (შეეცილება) თუ არა გარიგების მხარე (ან უფლებამოსილი პირი) ამ გარიგებას. თუ ეს მოხდა, მაშინ გარიგება დადების მომენტიდანვე ჩაითვლება ბათილად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ის შედეგი, რაც გარიგების მონაწილეებმა გარიგების დადებით მიიღეს, შეცილების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად

ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან. ამას ითვალისწინებს 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი.<sup>566</sup>

საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი ამ გარიგებებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ზოგად ნაწილში მათ ცალკე თავად გამოყოფს. საცილო გარიგებათა ეს სახეები იმავდროულად განეკუთვნება ნების ნაკლის გამო დადებულ გარიგებებს. ამიტომ მათი სპეციფიკური ასპექტები დეტალურად განხილულია ნების ნაკლის მოძღვრებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში.<sup>567</sup>

შეცილება ანუ უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მოქმედება, რომელიც იწვევს გარიგების ბათილობას, ცალმხრივი გარიგების ნიმუშიცაა. მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებებით და იგი შეიძლება საფუძველი გახდეს სხვა გარიგებათა აღიარებისათვის ბათილად.

## 2. შეცილება, როგორც ცალმხრივი გარიგება

გარიგების შეცილება, როგორც წესი, ხორციელდება შეცილების შესახებ განცხადების გაკეთებით. ამის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. გარიგების ბათილად ცნობისათვის აუცილებელი არაა სასამართლოში ან სხვა ორგანოში მიმართვა. შეცილება საკმარისია გარიგების მონაწილე მეორე მხარის მიმართ.<sup>568</sup> ასეთი მოქმედება

<sup>566</sup> 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები მთლიანად საცილო გარიგებებისთვის მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავენ და ისინი ცალკე მუხლში უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებული. როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის ბოლო რედაქციის მომზადების დროს გაიპარა შეცდომა, რომელიც დღემდე არ გასწორებულა. მომავალში კანონის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს.

<sup>567</sup> ნახეთ § 34.

<sup>568</sup> განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე შექმნილი ყველა სამოქალაქო კოდექსი გარიგების ბათილად აღიარებისათვის აუცილებლად მიიჩნევს სასამართლოში მიმართვას და სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ მიდგომის ლოგიკური დასა-

(ე.ი. განცხადების გაკეთება) უკვე ცვლის სამართლებრივ ურთიერთობას. ამიტომაც არის შეცილება ცალმხრივი გარიგების მაგალითი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცალმხრივი გარიგების ორ სახეს: ცალმხრივი გარიგება, რომლის დროსაც ნების გამოვლინებას არ სჭირდება მეორე მხარის მიერ მისი მიღება, და ნების გამოვლენა, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი მიღება მეორე მხარის მიერ. შეცილება წარმოადგენს ნების გამოვლენას, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია შეცილების მიღება შეცილების ადრესატის მიერ. მართალია, 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეცილების ადრესატად გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მხარეს მიიჩნევს, მაგრამ არაა სავალდებულო, რომ შეცილების ადრესატი იყოს მხოლოდ გარიგების მეორე მხარე. ასევე შესაძლებელია, რომ შეცილების ადრესატი იყოს ყოველი მესამე პირი, რომელმაც სარგებელი ნახა ამ გარიგებიდან. ამიტომ ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ვინ არის შეცილების ადრესატი.<sup>569</sup>

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის შეცილების უფლების მქონე. 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შეცილების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. თუ ვინ შეიძლება იყოს „ნებისმიერი დაინტერესებული პირი“, კონკრეტული გარიგების განმარტებისას უნდა დადგინდეს: იგი შეიძლება იყოს როგორც გარიგების მონაწილე, ასევე მესამე პირი. ფაქტობრივი წინაპირობა დაინტერესებულ პირად ყოფნისთვის ისაა, რომ გარიგებამ (რომელიც საცილო გახდა) ზიანი მოუტანა ამ პირს ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.<sup>570</sup> მაგალითად,

ბუთება იმაშია, რომ მხოლოდ სასამართლოს შეუძლია სადავო საკითხის გადაწყვეტა. საცილო გარიგების შემთხვევაში კი სწორედ ასეთ სადავო შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ფიქრობენ ამ კონცეფციის ავტორები.

<sup>569</sup> შეცილების ადრესატის ამგვარი განმარტება გაზიარებულია ქართულ ლიტერატურაშიც: *კერესელიძე*, *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, გვ. 362-363.

<sup>570</sup> ანალოგიური მოსაზრება არის განმტკიცებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარში: *ზოიძე*, *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები*, წიგნი პირვე-

როცა მალაზიის თანამშრომელმა „ვეფხისტყაოსანი“ შეცდომით გაყიდა 100 ლარად, მალაზიამ (ე.ი. გამყიდველმა) ამ თანამშრომელს მოსთხოვა ზიანის ანაზღაურება. მართალია, თანამშრომელი ამ შემთხვევაში არ არის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, მაგრამ ვინაიდან შეცდომა მისგან მოდიოდა, ზიანიც მას მიადგა, 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ის უნდა ჩავთვალოთ „დაინტერესებულ პირად“ და მივანიჭოთ გარიგების შეცილების უფლება.<sup>571</sup>

გამონაკლისების გარდა, კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას გარიგების შეცილებისთვის არ ითვალისწინებს. მთავარია შეცილებიდან აშკარად ჩანდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ სურს გარიგების ნამდვილობა, მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება.

სადავო შეიძლება იყოს ის, ვალდებულია თუ არა დაინტერესებული პირი მიუთითოს შეცილების საფუძველი, ე.ი. ის, თუ რატომ ამბობს უარს გარიგებაზე და რატომ მოითხოვს მის გაუქმებას. მართალია, 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ასეთი მოვალეობა არ გამოძინარეობს, მაგრამ საცილო გარიგებათა ცალკეული სახეების მოწესრიგებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დაინტერესებული პირისთვის ასეთი ვალდებულების დაკისრება. თუმცა სრულიად ბუნებრივია, რომ როცა პირი გარიგების გაუქმებას ითხოვს, იქვე უთითებს საფუძველს, თუ რატომ აპირებს იგი ამ ნაბიჯის გადადგმას.

მერყევად ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია სათანადო პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებაზე (წინააღმდეგ

ლი, მუხლი 59, გვ. 196.

<sup>571</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმად დაინტერესებულ პირად მხოლოდ ნების გამომვლენი უნდა იქნეს მიჩნეული და შეცილების უფლება მხოლოდ მას უნდა მიენიჭოს: *კერესელიძე*, *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, გვ. 360. ამ შეხედულების თანახმად, მცირეწლოვანის მშობელს არა აქვს უფლება სადავო გახადოს მისი შვილის მიერ, მაგალითად, მობილური ტელეფონის ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის 63-ე მუხლის პირველ ნაწილთან.

შემთხვევაში გარიგება იქნება ბათილი), **შეცილება იწვევს ნამდვილი გარიგების გაბათილებას.** მაგრამ დაინტერესებულ პირს შეუძლია არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს. მაშასადამე, შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. ამ ჩარჩოების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათის ქმედობა უდევს საფუძვლად საცილო გარიგების დადებას. მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან (ე.ი. იმ მომენტიდან, როცა მან გაიგო, რომ გარიგება შეცდომით დადო (79-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება მოტყუებითა და იძულებით დადებულ გარიგებებს, აქ საცილო გარიგების დადების საფუძველი უფრო სერიოზული და საფრთხის შემცველია. ამიტომ კანონი შეცილების უფლების განხორციელებისთვის ითვალისწინებს ერთ წელს (84-ე და 89-ე მუხლები).

სამოქალაქო კოდექსი არ შემოიფარგლება შეცილების უფლების შეზღუდვის მხოლოდ დროითი ფარგლებით. ეს გასაგებიცაა: დაინტერესებულ პირს შეუძლია არასერიოზული მოქმედებებით ასევე საფრთხე შეუქმნას არსებულ ურთიერთობებს. მაგალითად, თუ პირი მოიწონებს საცილო გარიგებას, ხოლო შემდეგ კი მოითხოვს მის ბათილობას. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს წესს, რომ „თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას“.

პრობლემები შეიძლება წარმოიშვას იმასთან დაკავშირებით, რომ შეცილების უფლება აქვთ რამდენიმე პირს და მათ შორის

წარმოიშობა უთანხმოება შეცილების თაობაზე. კერძოდ კი, ერთი უჭერს მხარს შეცილებას, ე.ი. მოითხოვს გარიგების გაუქმებას, სხვები კი — არა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს შეცილების მომთხოვნი პირის სასარგებლოდ. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს როგორც 59-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, შეცილების ფაქტის არსებობა უკვე იწვევს გარიგების ბათილობას, ასევე სამართლიანობის ინტერესებიდან: თუ საეჭვო საფუძვლით დადებულ გარიგებაში პირი თავს ხელყოფილად მიიჩნევს, უნდა მიეცეს მას შესაძლებლობა, რომ გაირკვეს ამ გარიგების მართლზომიერების საკითხი. თუ ამ დავის დროს იგი არ აღმოჩნდა მართალი, კანონი მას შესაძლებლობას აძლევს ხელმეორედ დადოს გარიგება.

### 3. შეცილების სამართლებრივი შედეგები

როცა შეცილების გამო გარიგების ბათილობაზე ვსაუბრობთ, ყოველთვის დაიბადება კითხვა, თუ რა შედეგები მოჰყვება შეცილებას და, შესაბამისად, გარიგების მიჩნევას ბათილად. მართალია, 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარიგება დადების მომენტიდან ითვლება ბათილად, თუკი იგი საცილო გახდა, მაგრამ თუ პრაქტიკულად რაში გამოიხატება ეს, აუცილებლად მოითხოვს დაზუსტებას. გარიგების ბათილად აღიარება ნიშნავს იმ სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. ე.ი. უნდა აღდგეს ის პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც გარიგების დადებამდე არსებობდა. ამ მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 976-ე მუხლის პირველი ნაწილი. თუ საცილო გარიგების მხარეებმა ერთმანეთს რაიმე გადასცეს ამ გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, ვალდებულნი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი იმ საფუძვლით, რომ „ვალდებულება არ არსებობს“: გარიგების ბათილობა ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებაც.

შეცილება შეიძლება არა მხოლოდ მთლიანად გარიგების, არამედ მისი რომელიმე ნაწილისაც ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.

გარიგების ბათილობით გამოწვეული შედეგების მიმართ მთლიანად გამოიყენება წესები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ.

#### 4. ფარდობითად ბათილი გარიგება

სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე გარიგებათა ერთ კატეგორიას, რომელიც მთლიანობაში კი არის ნამდვილი, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ მათ იურიდიული ძალა არა აქვთ. ასეთ გარიგებებს "შეიძლება ვუწოდოთ **ფარდობითად ბათილი გარიგებები**. მაგალითად, სპს-ის პარტნიორების ურთიერთ-შეთანხმება, რომ ისინი გამორიცხავენ ერთ-ერთი თანაპარტნიორის პასუხისმგებლობას, შეიძლება მათთვის იურიდიული ძალის მქონე იყოს, მაგრამ მესამე პირების, ე.ი. საზოგადოების კრედიტორების მიმართ მას იურიდიული ძალა არა აქვს.

### III. ბათილი გარიგების კონვერსია

მე-60 მუხლის შესაბამისად, თუ ბათილი გარიგება შეესაბამება სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის გაგებისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. სამოქალაქო სამართლის მიერ გარიგების მონაწილეებისთვის მინიჭებულ ამ შესაძლებლობას **ბათილი გარიგების კონვერსია** ეწოდება. კონვერსიის მიზანია დაიცვას მხარეები იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება გარიგების მთლიანად ბათილობას მოჰყვეს. მაგრამ იმისთვის, რომ კონვერსია განხორციელდეს, უნდა არსებობდეს განსაზღვრული წინაპირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგების მონაწილეები მოითხოვდნენ ყველა ბათილი გარიგების კონვერსიას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ამავე დროს, კონვერსია არ უნდა აკუროთ უცილოდ

ბათილი (არარა) გარიგების დადასტურების შედეგად დადებული ახალი გარიგებისაგან, რომელსაც 61-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს. ამიტომაც აუცილებელია გარიგების მნიშვნელობის შეცვლის ამ შესაძლებლობის უფრო კონკრეტული დახასიათება.

კონვერსიის მიზანი ბათილი გარიგების შენარჩუნებაა. „არსებითად ესაა ბათილი გარიგების ნამდვილ გარიგებად განმარტება“.<sup>572</sup> უფრო ზუსტად კი, მისი იმ ნაწილის შენარჩუნება, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმებს და ასევე გარიგების მონაწილეების ინტერესებს. ამიტომ ჯერ უნდა დაზუსტდეს, არსებობს თუ არა ბათილი გარიგება სინამდვილეში, შეიცავს თუ არა იგი სხვა ნამდვილ გარიგებას და სურთ თუ არა მხარეებს ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, როცა მათ გაიგეს, რომ გარიგება ბათილია.

ამასადაამე, კონვერსიისათვის უნდა არსებობდეს ბათილი გარიგება. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა არის გარიგების ბათილობის მიზეზი. იმავე დროს, არის თუ არა ამ გარიგებაში სხვა მართლზომიერი გარიგების ნიშნები. მაგალითად, 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტი დაიშვება მხოლოდ უძრავ ნივთებზე. მხარეებმა დადეს გარიგება მოძრავი ნივთების უზუფრუქტის შესახებ. მაგრამ უზუფრუქტისა და იჯარის ხელშეკრულების შინაარსი პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს. მოძრავი ნივთების უზუფრუქტი ბათილია, ვინაიდან კანონი მას კრძალავს. მოძრავ ნივთებზე შესაძლოა დაიდოს იჯარის ხელშეკრულება, რომლის ელემენტებსაც ბათილად აღიარებული გარიგება შეიცავს. სამართლებრივი შედეგიც პრაქტიკულად ანალოგიურია და მხარეებიც არ არიან წინააღმდეგნი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ბათილი გარიგების კონვერსიაზე საუბარი და იგი შეესაბამება მე-60 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პირობებს.

<sup>572</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 60, გვ. 197.



## § 34. თანხმობა გარიგებებში

### I. ცნება და გამოყენების წინაპირობები

სამოქალაქო სამართალში არსებულ გარიგებათა ერთი ჯგუფის ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მონაწილეთა მიერ ნების გამოვლენა. იმისთვის, რომ ამ გარიგებებს იურიდიული ძალა მიეცეთ, აუცილებელია მესამე პირების თანხმობაც. ამ ტიპის გარიგებები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. კლასიკური გარიგებების გვერდით (როგორცაა არასრულწლოვანის ან სხვა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული გარიგებები) თანამედროვე სამართალში გაიზარდა იმ გარიგებათა რაოდენობა, რომელთა ნამდვილობისთვის აუცილებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს თანხმობა.

გარიგებებში თანხმობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია 99-102-ე მუხლებში. თუმცა ცალკეული გარიგებების განხილვისას ასევე მრავლად გვხვდება ნორმები, რომლებიც თანხმობაზე დამოკიდებული გარიგებების სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებენ.

სამართლიანად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.<sup>573</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგებით, მით უფრო ხელშეკრულებით, არ შეიძლება იმის დადგენა, რომ გარიგების ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული იყოს „ვილაცის“ თანხმობაზე. ასეთი რამ დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, მესაკუთრე ყიდის თავის ავტომანქანას სრულწლოვან პირზე და ეუბნება, რომ მიჰყიდის მხოლოდ იმ პირობით, თუ მყიდველის (სრულწლოვანი პირის) მშობლები თანახმა იქნებიან. ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს. ამიტომ მანქანის გამყიდველის მოთხოვნას რაიმე იურიდიული ძალა არ ექნება. თუმცა ამ წესიდან შეიძლება

<sup>573</sup> Flume, Rechtsgeschäft, S. 886.

არსებობდეს გამონაკლისები, როცა საქმე ეხება უფლების გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია საკორპორაციო სამართალში, როცა, მაგალითად, შპს-ის პარტნიორები წესდებით თანხმდებიან, რომ წილის გასხვისება დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით. ერთი შეხედვით, შეიძლება დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს აკრძალვა მხოლოდ გარიგებით (ე.ი. საზოგადოების წესდებით) არის გათვალისწინებული. ამიტომ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მისი ნამდვილობა. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წილის გასხვისების შეზღუდვის შესახებ ამ შეთანხმებასაც საფუძვლად კანონის ნორმა უდევს: მეწარმეთა შესახებ კანონის 46.3-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გასხვისების შეზღუდვა.

მიუხედავად იმისა, რომ თანხმობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეს არ გამორიცხავს მხარეთა შესაძლებლობას ამა თუ იმ პირის თანხმობა გარიგების ნამდვილობის, უფრო ზუსტად, გარიგების დადების წინაპირობად აღიარონ. ისევ ჩვენს მაგალითს მივუბრუნდეთ: უკრძალავს თუ არა კანონი ავტომანქანის გამყიდველს სრულწლოვანი მყიდველისაგან მშობლების თანხმობის მოთხოვნას. რა თქმა უნდა, არა. თუ ნასყიდობის მხარეები შეთანხმდნენ, რომ მშობლების თანხმობა აუცილებელია, მაშინ ჩვენ გვექნება არა თანხმობა გარიგებებში 99-102-ე მუხლების გაგებით, არამედ პირობითი გარიგება (90-98-ე მუხლები).

მაშასადამე, თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, უნდა განვასხვავოთ იმ თანხმობისაგან, რომლის არსებობასაც გარიგების მონაწილეები გარიგების სამართლებრივ შედეგებს უკავშირებენ (პირობითი გარიგებებისაგან). ამ უკანასკნელ შემთხვევაში თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობა კი არ არის, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ნაწილი. ისევ მაგალითი: მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სს-ის ან შპს-ის დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვა პრინციპში დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

ეს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია (მაგალითად, უძრავი ქონების გაყიდვისას აუცილებელია პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა). მაგრამ თუ წესდებაში გაითვალისწინა ასეთი შეზღუდვა და ღირექტორების მიერ ამა თუ იმ გარიგების დადება დამოკიდებული გახდა პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაზე, ეს იქნება არა გარიგებებში თანხმობის ინსტიტუტი, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ელემენტი, რომელმაც შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების ნამდვილობაზე.

## II. თანხმობა როგორც გარიგება

მართალია, თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობაა, მაგრამ იგი იმავდროულად თვით წარმოადგენს გარიგებას, რომელიც მომსახურების ფუნქციას ასრულებს ძირითადი გარიგების მიმართ. ე.ი. თანხმობა ერთდროულად დამოუკიდებელი გარიგებაცაა და დამხმარე საშუალებაც.<sup>574</sup>

თანხმობას, როგორც დამოუკიდებელ გარიგებას, საფუძვლად უდევს ნების გამოვლენა, რომელიც 99-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს ძირითადი გარიგების როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის მიმართ. ეს ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს გარიგებათა ნამდვილობისთვის. ეს ნიშნავს, რომ თანხმობა შეიძლება იყოს საცილოც, უცილოდ ბათილიც (არარა) და ა.შ. თანხმობის ბათილობისა და ნამდვილობის საკითხი შეიძლება ისევე დაისვას, როგორც ნებისმიერი გარიგების.

თანხმობა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, ოღონდ მისი ნამდვილობისთვის აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ, ე.ი. თანხმობა განეკუთვნება 51-ე მუხლით გათვალისწინებულ ცალმხრივ გარიგებათა კატეგორიას.

<sup>574</sup> v. Tuhr, Bd. 2/2, S. 214; Flume, Rechtsgeschäft, S. 890.

“თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა“ – 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს ნორმა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანხმობა დამოუკიდებელი გარიგებაა და არა იმ გარიგების ნაწილი, რომლის ნამდვილობის წინაპირობასაც ის წარმოადგენს. ამიტომ თანხმობა შეიძლება ნებისმიერი ფორმით განხორციელდეს: ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ა.შ. როცა თანხმობა ხორციელდება კონკლიუდენტური მოქმედებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თანხმობა ისეთი გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია მეორე მხარის მიერ მისი მიღება. ამიტომ იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ მეორე მხარეს შეემლოს ნების გამოვლენის ზუსტად აღქმა. მართალია, თანხმობის ფორმა არ არის დამოკიდებული თანხმობასავალდებულო გარიგების ფორმაზე, მაგრამ კანონი შეიძლება განსაზღვრავდეს თანხმობისათვის სავალდებულო ფორმას. მაგალითად, სს-ის დირექტორებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ქონების შესაძენად ან გასასხვისებლად სჭირდებათ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. ცხადია, რომ ამ თანხმობას მხოლოდ მაშინ ექნება იურიდიული ძალა, თუკი იგი განხორციელებულია წერილობითი ფორმით.

როცა თანხმობაზე, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობაზე, ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია ისეთ გარიგებებზე, რომელთა მიმართ შესაძლებელია თანხმობის გამოყენება, ვინაიდან არსებობს ისეთი გარიგებებიც, რომლებშიც არც შეიძლება თანხმობის გამოყენება.

ერთი შეხედვით თანხმობა ჰგავს მინდობილობას. მსგავსება იმაშია, რომ მინდობილობა ამა თუ იმ გარიგების დადებაზე, ხშირად იმავდროულად თანხმობაც არის.

თანხმობაზე დამოკიდებული გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი, ისე მრავალმხრივი.<sup>575</sup>

<sup>575</sup> ადრე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით თანხმობაზე დამოკიდებული ცალმხრივი გარიგების თვალსაჩინო მაგალითი იყო შრომის ხელშეკრულების

თანამედროვე რთული სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, როცა სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხში ძალიან გაზრდილია, საგრძნობლად მატულობს იმ გარიგებათა რიცხვიც, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანხმობაზე. თავისი ბუნებით სახელმწიფო ორგანოების ეს თანხმობა წარმოადგენს არა კერძოსამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. ამიტომ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მათ მიმართ გამოვიყენოთ 99-102-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები, რომლებიც თავისი ბუნებით კერძოსამართლებრივი თანხმობის საკითხებს აწესრიგებენ. უფრო კონკრეტულად, შეიძლება თუ არა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი (თანხმობა) მივიჩნიოთ გარიგების (ე.ი. კერძოსამართლებრივი აქტის) ნამდვილობის პირობად?

319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება განსაზღვრავს, რომ, თუ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. თუ კანონი ამა თუ იმ გარიგებისთვის სახელმწიფოებრივი თანხმობის აუცილებლობას ითვალისწინებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, ამ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია აღნიშნულ თანხმობაზე. მართალია, ამგვარი თანხმობის გაცემის წესი სპეციალური კანონით განისაზღვრება და სცილდება კერძო სამართლის ფარგლებს, მაგრამ იგი გავლენას ახდენს კერძო სამართლებრივი აქტის (გარიგების) სამართლებრივ ბელზე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ 99-102-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის ინსტიტუტი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემულ თანხმობებზეც, თუკი ისინი დაკავშირებული არიან გარიგების ნამდვილობის საკითხთან.

მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით. ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივი გარიგებაა. შრომის კანონმდებლობის თანახმად კი ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისათვის (ე.ი. შრომის ხელშეკრულების მოშლისთვის) აუცილებელი იყო პროფკავშირების თანხმობა.

### III. თანხმობის ფორმები

სამოქალაქო კოდექსი „თანხმობას“ ზოგადი ინსტიტუტის სახით იყენებს და მის ორ ფორმას განასხვავებს ერთმანეთისაგან: წინასწარ გაცემულ თანხმობას (ნებართვას — მუხლი მე-100) და შემდგომ თანხმობას (მოწონებას — მუხლი 101-ე). ამით კანონი პრინციპულად ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ თანხმობა განხორციელდეს როგორც გარიგების დადებამდე, ასევე მისი დადების შემდეგ. მართალია, კანონი სხვადასხვა ტერმინებს იყენებს, მაგრამ სამართლებრივი შედეგი, რომელიც თანხმობას უკავშირდება, ორივე შემთხვევაში თითქმის იდენტურია — გარიგების ნამდვილობა ან მისი ბათილობა.

#### 1. ნებართვა

როგორც აღინიშნა, გარიგების დადებამდე წინასწარ გაცემულ თანხმობას სამოქალაქო კოდექსი უწოდებს ნებართვას (მუხლი 100). სამართლებრივი ბუნებით ნებართვა ძალიან ჰგავს მინდობილობას. უფრო მეტიც, ნებართვა ხშირად მინდობილობის ფორმით არსებობს. მინდობილობის გამცემი პირი წარმომადგენელს აძლევს ნებართვას, რომ განხორციელდეს ესა თუ ის მოქმედება.

თუ ნებართვა გაცემულია განსაზღვრული ვადით, მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ. თუ ნებართვას საფუძვლად უდევს ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ ამ ურთიერთობის შეწყვეტა ავტომატურად იწვევს ნებართვის გაუქმებას. მაგალითად, შპს-ის დირექტორის ნებართვებს საფუძვლად უდევს მისი ყოფნა დირექტორის თანამდებობაზე. თუ იგი განთავისუფლებული იქნება ამ თანამდებობიდან, ავტომატურად უქმდება ის ნებართვები, რომლებიც მას, როგორც დირექტორს, ჰქონდა.

მე-100 მუხლი ნებართვის გამცემს გაცემული ნებართვის გაუქმების უფლებასაც აძლევს, ოღონდ იმ გარიგების დადებამდე, რომლისთვისაც გაიცა ეს ნებართვა. მაგალითად, თუ სამეთვალყ-

ურეო საბჭომ სს-ის ღირექტორს მისცა ნებართვა მიწის ნაკვეთის გაყიდვის თაობაზე, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააუქმოს ეს ნებართვა, ვიდრე ღირექტორს გარიგება არ გაუფორმებია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა, მართალია, მხარეებს გარიგება არ დაუდვიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებართვა უკვე არსებობდა, გარიგების მეორე მხარემ განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ხარჯებთან იყო დაკავშირებული და გაკეთდა იმის გამო, რომ ნებართვა არსებობდა. შემდეგ ნებართვა გაუქმდა ისე, რომ გარიგება არ დადებულა. ცხადია, ამ დროს დადგება ზიანის ანაზღაურების საკითხი. უნდა დაეკისროს თუ არა ამ შემთხვევაში გარიგების მხარეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, კონკრეტული ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განმარტების საფუძველზე.

როგორც ნებართვის გაცემაა ცალმხრივი გარიგება, ისე ცალმხრივი გარიგებაა მისი გაუქმებაც. ამისთვის სავალდებულოა ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. მე-100 მუხლი ავალდებულებს ნებართვის გამაუქმებელ პირს, რომ ნებართვის გაუქმების შესახებ მან აცნობოს გარიგების ორივე მხარეს, ე.ი. არა მხოლოდ იმას, ვისაც ნებართვა მიეცა, არამედ იმასაც, ვისთანაც უნდა დადებულყო გარიგება. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, სს-ის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ნებართვის გაუქმების შესახებ აცნობოს როგორც ღირექტორს, ასევე მიწის ნაკვეთის მომავალ მყიდველს.

## 2. მოწონება

გარიგების დადების შემდეგ განხორციელებულ თანხმობას კანონი **მოწონებას** უწოდებს (მუხლი 101-ე) და მას უკუქცევით ძალას ანიჭებს, ე.ი. გარიგება ნამდვილი ხდება არა მოწონების გაცემის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა გარიგება დაიდო. ამიტომ ამ კატეგორიის გარიგებებს მერყევად ბათილი გარიგებებიც შეიძლება ვუწოდოთ.

უკუქცევითი ძალა მოწონების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. ის ნაკლი, რომელიც გარიგებას ჰქონდა, მოწონების შედეგად სწორდება და სამართალი ამ ნაკლს თავიდანვე არარსებულად მიიჩნევს. ამიტომ კანონი სამართლებრივ ნამდვილობას ანიჭებს იმ შედეგებს, რომლებიც ფაქტობრივად ბათილი გარიგების არსებობის დროს დადგა. მაგალითად, ნ3-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია, ვიდრე მისი წარმომადგენელი არ მოიწონებს ამ ხელშეკრულებას. 16 წლის ბიჭმა ისარგებლა იმით, რომ მამა ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა და მამამისის მანქანა მიაქირავა ბ-ს. ბ სამი თვის განმავლობაში იხდიდა ქირას. ასეთი გარიგება ბათილია, ვინაიდან არასრულწლოვანს მისი დადებისთვის სჭირდებოდა წარმომადგენლის თანხმობა. თუ მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ მამა მოიწონებს შვილის მიერ დადებულ გარიგებას, მაშინ ბათილი გარიგების განმავლობაში განხორციელებულიც ჩაითვლება ნამდვილად.

ზოგადი ნორმის თანახმად მოწონებას აქვს უკუქცევითი ძალა, მაგრამ 101-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მოწონებას არ მიეცეს უკუქცევითი ძალა. ეს ხდება მაშინ, როცა კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დადებული გარიგების შემდეგ განხორციელებულ მოწონებას არა აქვს იურიდიული ძალა.

მოწონება შეიძლება განხორციელდეს მანამ, ვიდრე არსებობს ის გარიგება, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო ეს მოწონება. ცხადია, რომ გარიგების დამთავრების შემდეგ მოწონებას არავითარი აზრი არა აქვს.

#### IV. განკარგვები, რომლებიც საჭიროებენ თანხმობას

102-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა განკარგვები ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ და იმისთვის, რომ ეს განკარგვა იურიდიული ძალის მქონედ იქცეს, საჭიროა უფლებამოსილი პირის ნებართვა.



არაუფლებამოსილი პირის ცნებას კანონი ამ შემთხვევაში ფართო გაგებით იყენებს. მასში იგულისხმება არა მხოლოდ ის პირი, რომელსაც მოცემულ ნივთზე ან უფლებაზე საერთოდ არა აქვს უფლება, არამედ ისეთიც, რომელსაც, მართალია, აქვს მოცემულ საგანზე უფლება, მაგრამ მისი განკარგვა მოითხოვს მესამე პირის თანხმობას. მაგალითად, თუ მესაკუთრემ სახლი დააგირავა ბანკში (ე.ი. იპოთეკით დატვირთა იგი), მართალია, იგი რჩება ამ სახლის მესაკუთრედ, მაგრამ მისი გასხვისება შეუძლია მხოლოდ ბანკის თანხმობით. თუ გასხვისება მოხდა ბანკის თანხმობის გარეშე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესაკუთრე იყო არაუფლებამოსილი პირი და არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვები უნდა ჩაითვალოს ბათილად.

თუ ბინის მესაკუთრის ხანგრძლივადიანი მივლინებით ისარგებლებს მეზობელი და ამ ბინას გააქირავებს, ესეც იქნება არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა.

თანხმობის ინსტიტუტი არაუფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული განკარგვებისას ძალიან ემსგავსება წარმომადგენლობის ინსტიტუტს. ორივე შემთხვევაში ხდება სხვისი სიკეთის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც უფლებამოსილი პირი ასეთი განკარგვის უფლებას ანიჭებს. ამასთან, წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ფართოა, ვიდრე განკარგვები.

102-ე მუხლის პირველი ნაწილი ისეთ შემთხვევებს განამტკიცებს, როცა არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის საფუძველი არის უფლებამოსილი პირის მიერ წინასწარ გაცემული თანხმობა — ნებართვა.

მეორე ნაწილი განამტკიცებს განკარგვათა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც, მართალია, ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერაა განხორციელებული, ამიტომაც ბათილია, მაგრამ შესაძლოა მისი გადაქცევა ნამდვილ განკარგვად, თუკი უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს. მაგალითად, თუ მეზობლის მიერ გაქირავებული ბინის მესაკუთრე მოიწონებს მეზობლის მიერ ბინის გაქირავებას. მაგრამ კანონი ასეთი განკარგვების სამართლებრივი მოწესრიგებისას მხოლოდ მოწონებით არ შემოიფარგლება.

## § 35. პირობითი გარიგებანი

### I. ცნება და ზოგადი დახასიათება

#### 1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც წესი, გარიგების მონაწილეები გარიგების დადების-თანავე იწყებენ მის შესრულებას. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ისინი გარიგებით გათვალისწინებული შედეგების დადგომას უკავშირებენ განსაზღვრული გარემოებების არსებობას. ვინაიდან გარიგების შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო სამართალი ასეთ გარიგებებს **პირობითი გარიგებებს** უწოდებს.<sup>576</sup>

90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია **სამომავლო და უცნობ მოვლენაზე** იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა — ამ მოვლენის დადგომისთანავე. პირობითი გარიგებების განხილვისა და მათთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისთვის პატარა მაგალითი კარგ სამსახურს გაგვიწევს: საფეხბურთო კლუბის გამგეობა პირდება ფეხბურთელებს, რომ თუ ისინი ჩემპიონთა ლიგას მოიგებენ, ყოველი ფეხბურთელი საჩუქრად მიიღებს ახალ ავტომანქანას, ე.ი. ჩუქების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების დადგომა დამოკიდებულია განსაზღვრული პირობის არსებობასთან (საფეხბურთო კლუბმა უნდა მოიგოს ჩემპიონთა ლიგა).

გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც **კუმულატიური**, ასევე **ალტერნატიული**.<sup>577</sup> **კუმულა-**

<sup>576</sup> პირობითი გარიგებები განსხვავდება გარიგების ნამდვილობის პირობებისგან. ამ განსხვავებების შესახებ ნახეთ: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 90, გვ. 253.

<sup>577</sup> *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 90, გვ. 254.

ტიური პირობის დროს აუცილებელია ყველა იმ პირობის არსებობა, რომელიც გარიგების ნამდვილობის პირობად არის დასახელებული. როცა საფეხბურთო კლუბი ყოველ ფეხბურთელს ავტომანქანას ჰპირდება, თუკი გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდება და ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს, ასეთი პირობა არის კუმულატიური, ვინაიდან გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელია ორივე პირობის დადგომა: გუნდი ჩემპიონიც უნდა გახდეს და ჩემპიონთა ლიგაც უნდა მოიგოს. როგორც წესი, კუმულატიური პირობების არსებობა „და“ კავშირით გამოიხატება. ალტერნატიული პირობის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია ერთ-ერთი რომელიმე პირობის დადგომა. როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ავტომანქანის ჩუქებას ჰპირდება, თუკი ისინი ან ჩემპიონები გახდებიან ან ჩემპიონთა ლიგას მოიგებენ, პირობა იქნება ალტერნატიული: ერთ-ერთის დადგომა (ან ჩემპიონობა ან ჩემპიონთა ლიგის მოგება) საკმარისია გარიგებით განსაზღვრული შედეგის (საჩუქრის) მიღებისათვის.

გარიგება პირობითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ე.ი. ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში. თუ გარიგების პირობად ისეთი მოვლენაა დასახელებული, რომელიც უეჭველად დადგება, ასეთი მოვლენა შეიძლება არ ჩაითვალოს პირობითი გარიგების საფუძვლად. მაგალითად, სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს კისრულობს, რომ თუ დადგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი (მაგალითად, დაიწვება სახლი), მაშინ ის აანაზღაურებს ამ ზიანს. ხანძრის გაჩენა ისეთი პირობაა, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ შესაძლოა არც დადგეს (ე.ი. უცნობი მოვლენა). ამ თვალსაზრისით პირობას გარიგებისთვის დამატებითი ფაქტის მნიშვნელობა აქვს.<sup>578</sup>

როგორც სამართლიანად არის ლიტერატურაში აღნიშნული, პირობის სამართლებრივი ინსტიტუტი კერძო ავტონომიის ღირს-

<sup>578</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 90, გვ. 253.

შესანიშნავი საშუალებაა.<sup>579</sup> იგი გარიგების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაღონ იმით, რომ იგი დაუკავშირონ რაღაც მოვლენას, რომლის დადგომაში მეორე მხარეც იქნება დაინტერესებული. პირობა შესაძლებლობას იძლევა ზემოქმედება მოახდინოს (ნშირად სტიმულიც კი მისცეს) მეორე მხარეზე რაიმე კონკრეტული ვალდებულების დაკისრების გარეშე და ამით გაააქტიუროს გარიგების მეორე მონაწილეც. მაგალითად, როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ღიდ საჩუქარს ჰპირდება, ამით ის კი არ ავალდებულებს (იურიდიული გაგებით) მათ, რომ აუცილებლად ჩემპიონები გახდნენ ან მოიგონ ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ სტიმულს აძლევს მათ, ე.ი. უღვივებს მოპირდაპირე მხარეს ინტერესებს.

გარიგებაში პირობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა „თუ“ კავშირის გამოყენება: „თუ ჩემპიონი გახდები...“, „თუ უნივერსიტეტში ჩაირიცხები...“ და ა.შ. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ პირობა „თუ“ კავშირის გარეშეც იქნეს ჩამოყალიბებული. ოღონდ გარიგების შინაარსის გაცნობისას პირობის არსებობა თვალსაჩინო უნდა იყოს.

## 2. პირობათა სახეები

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს გადაღების ანუ სუსპენსიურ და გაუქმების ანუ რეზოლუტიურ პირობებს. გარიგება გადაღების პირობითაა დადებული, თუკი გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე (96-ე მუხლი). ამ დროს გარიგებით გათვალისწინებული შედეგი დადგება მხოლოდ პირობის შესრულებით, ე.ი. გარიგების შესრულება გადაიდება პირობის დადგომამდე. ამიტომ ეწოდება მას გადაღების პირობა. მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულებით ზიანის ანაზღაურების ვალდებუ-

<sup>579</sup> ასეთ შეფასებას აძლევს პირობით გარიგებებს გერმანელი იურისტი ფონ ტურ: v. Tuhr, Bd. 2/2, S. 271.

ლება სადაზღვევო ორგანიზაციას დაეკისრება, თუკი დაზღვეული ნივთი დაზიანდება (*მაგალითად*, ხანძარი გაუჩნდება).

გადადების პირობით დადებულ გარიგებად ჩაითვლება ასევე გარიგება, რომლის ნამდვილობა მხარეებმა ისეთ მოვლენას დაუკავშირეს, რომელიც უკვე დადგა, მაგრამ მხარეებმა არ იციან ამის შესახებ (96-ე მუხლი). გერმანულ სამართლის მეცნიერებაში ასეთ პირობას არ მიიჩნევენ პირობად და მის საფუძველზე დადებულ გარიგებას არ თვლიან პირობით გარიგებად.<sup>580</sup> ვფიქრობ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გადაწყვეტა სწორია, ვინაიდან მხარეები ყოველ პირობას მათი ობიექტური ცოდნის ფარგლებში განსაზღვრავენ და შედეგებსაც მას უკავშირებენ.<sup>581</sup>

გარიგება **გაუქმების პირობით** დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას (97-ე მუხლი). ასეთი პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში გარიგებით გათვალისწინებული შედეგი მაშინვე დგება, მაგრამ პირობის დადგომისთანავე იგი უქმდება. ა-მ ასესხა ბ-ს ფული იმ პირობით, რომ ბ ხელფასის აღებისთანავე დაუბრუნებს ა-ს ფულს. აიღებს თუ არა ბ ხელფასს (ე.ი. პირობა დადგება), მან უნდა დაუბრუნოს სესხი (ე.ი. უქმდება სესხის ხელშეკრულება).

ის, რაც ერთი მხარისთვის გაუქმების პირობას წარმოადგენს, მეორე მხარისთვის შეიძლება იყოს გადადების პირობა. *მაგალითად*, ხელფასის აღება ბ-სთვის არის გაუქმების პირობა (სესხის ხელშეკრულება უქმდება), ხოლო ა-სთვის — გადადების პირობა (ხელფასის აღებისთანავე მას წარმოეშობა ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება).

ხშირად არ არის იოლი იმის დადგენა, გარიგება გადადების პირობით დაიღო თუ გაუქმების. ასეთ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს გარიგების განმარტების საფუძველზე.

<sup>580</sup> v.Tuhr, Bd. 2/2, S. 281.

<sup>581</sup> განსხვავებული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 393-394.

28. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

გარიგების შედეგის დადგომის განმსაზღვრელი პირობა შეიძლება მხარეების მიერ ფორმულირებული იყოს როგორც **პოზიტიურად** (ე.ი. დადებითი შინაარსი), ისე **ნეგატიურად** (ე.ი. უარყოფითი შინაარსი). პირობის შინაარსი პოზიტიურია, თუკი გარიგების შედეგი დამოკიდებულია პირობის დადგომაზე (*მაგალითად*, საფეხბურთო კლუბის ჩემპიონობა, სახლის ხანძარი და ა.შ.). პირობის შინაარსი იქნება ნეგატიური, თუკი გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ პირობა არ დადგეს (*მაგალითად*, თუ საფეხბურთო კლუბმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თამაში არ წააგო, ფეხბურთელები მიიღებენ პრემიას).

შინაარსის მიხედვით გარიგების პირობა შეიძლება იყოს **კაზუალური** და **პოტესტატური**.<sup>582</sup> **კაზუალურია პირობა**, როცა მისი არსებობა დამოკიდებულია შემთხვევით მოვლენაზე, *მაგალითად*, ზიანის დადგომაზე ან ავარიის დროს მძიმედ დაშავებულის გადარჩენაზე. **კაზუალური** პირობა შეიძლება მოქმედებაშიც გამოიხატოს, კერძოდ, მესამე პირის ნების გამოვლენაში. *მაგალითად*, გარიგება შეიძლება დაიდოს იმ პირობით, რომ გარიგების მონაწილეები მესამე პირისაგან მიიღებენ თანხმობას.<sup>583</sup> **კაზუალურისაგან განსხვავებით პოტესტატურია პირობის** დადგომა, თუკი იგი გამოიხატება ერთ-ერთი მხარის მოქმედებაში. ასეთი პირობის მიზანი ხშირად არის გარიგების მეორე მონაწილეზე ზემოქმედება. *მაგალითად*, როცა საფეხბურთო კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს საჩუქარს ჰპირდება, თუკი ისინი ჩემპიონები გახდებიან, პირობა პოტესტატურია, ვინაიდან მეორე მხარის მოქმედებაზეა ნაწილობრივ დამოკიდებული. არ არის სავალდებულო, რომ პოტესტატური პირობის შემსრულებელმა იცოდეს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის შესახებ და, უფრო ზუსტად, იმის შესახებ, რომ რომელიმე პირობის შესრულება იწვევს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას. *მაგალითად*, როცა ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარე დალაშქრეს, არც იცოდნენ, რომ ისინი უდიდესი ჯილდოს

<sup>582</sup> v. Tuhr, Bd. 2/2, S. 275.

<sup>583</sup> v. Tuhr, Bd. 2/2, S. 276.

მფლობელები გახდნენ იმით, რომ ერთ-ერთმა მილიონერმა პირობა დათქვა: ვინც პირველად მთვარეზე გაფრინდებოდა, ის მიიღებდა დიდ ჯილდოს. მიუხედავად იმისა, რომ პირობის შემსრულებელმა მხარემ არც იცოდა ამ გარიგების არსებობის შესახებ, ასეთი პირობა პოტესტატურად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მისი დადგომა ერთ-ერთი მხარის მოქმედებაზე დამოკიდებული.

პოტესტატური პირობის შემთხვევები უფრო ხშირია ისეთ ხელშეკრულებებში, რომლებშიც მხარეთა ნება უფრო გამოკვეთილია. მაგალითად, სინჯის საფუძველზე დადებული ნასყიდობა ნამდვილია იმ პირობით, რომ ნასყიდობის საგანი გარიგების მეორე მხარეს მოეწონება და ის გამოხატავს ამას.

### 3. პირობა და წინაპირობა

90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობისაგან განსხვავდება, როცა გარიგების შედეგი დამოკიდებულია წარსულში ან აწმყო დროში არსებულ მოვლენაზე. ასეთი მოვლენა იქნება არა გარიგების პირობა, არამედ მისი დადების **წინაპირობა**. პირობასა და წინაპირობას შორის განსხვავება არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიური. მასთან დაკავშირებულია განსხვავებული სამართლებრივი შედეგებიც. მაგალითად, ნახმარი ავტომანქანის ყიდვა იმ პირობით, რომ მანქანას უნდა ჰქონდეს ახალი საბურავები ან ბინის ქირავნობის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ ბინა გარემონტებული იქნება, არის არა გარიგების პირობა, არამედ გარიგების დადების წინაპირობა. პირობით გარიგებად კვალიფიკაციისთვის მათ სწორედ ის აკლიათ, რომ ისინი არ წარმოადგენენ „ობიექტურად უცნობ მოვლენას“, არამედ არიან მხარეთა ნებაზე დამოკიდებულნი. ამიტომ, 92-ე მუხლის თანახმად, პირობა, რომლის დადგომა ან დაუდგომლობა დამოკიდებულია გარიგების მხარეებზე, არ ითვლება პირობითი გარიგების საფუძველად.

ბუნებრივად დაიბადება კითხვა: რა განსხვავებაა პოტესტატურ პირობას (ე.ი. რომლის დადგომა გარიგების მონაწილის აქტიურ-

ბაზუა დამოკიდებული) და წინაპირობას შორის (რომლის დადგომაც ხშირად ასევე გარიგების მონაწილის აქტიურობაზეა დამოკიდებული) შორის? თუ გავითვალისწინებთ იმის შესაძლებლობას, რომ პირობაცა და წინაპირობაც ორივე შეიძლება იყოს სამომავლო, ამ განსხვავების პოვნა უფრო გართულდება. უმთავრესი ნიშანი და საფუძველი, რომელიც ამ ორ ცნებას (პირობას და წინაპირობას) სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს უკავშირებს, მდგომარეობს იმაში, თუ ობიექტურად რამდენად უცნობი ან ცნობილია ამ მოვლენის დადგომა. როცა გარიგების ნამდვილობის წინაპირობა საფეხბურთო კლუბის მიერ ჩემპიონად გახდომაა, მართალია, ამ მოვლენის დადგომა ფეხბურთელების აქტიურობაზეცაა დამოკიდებული, მაგრამ არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ გუნდი უეჭველად გახდება ჩემპიონი. რაც შეეხება ნახმარი ავტომანქანის საბურავების გამოცვლას, გამყიდველს ამის გაკეთება შეუძლია, წინაპირობის დადგომის ალბათობა პრაქტიკულად უდავოა, თუ გამყიდველს ეს სურს.

გარიგება პირობითია თუ დადებულია იგი განსაზღვრულ წინაპირობებთან კავშირში, უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე.

#### 4. პირობის ნამდვილობა

91-ე მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს, თუ მის საფუძველად არსებული პირობაა ბათილი. პირობის ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს მისი კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა ანდა შესრულების შეუძლებლობა.<sup>584</sup> ამ უკანასკნელს ნამდვილობისთვის სწორედ „ობიექტურობა“ აკლია. თავიდანვე ცხადია, რომ პირობა არ დადგება. ამიტომ გარიგება დადებისთანავე ნამდვილია ან ბათილი. მაგალითად, თუ საფეხბურთო კლუბი

<sup>584</sup> სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ზოიძე, რომ პირობის ბათილობის შემოწმებისას გამოყენებულ უნდა იქნას 54-ე მუხლის წესები: *ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 91, გვ. 255.



ფეხბურთელებისაგან ჩემპიონთა ლიგის მოგებას მოითხოვს პირობად, სინამდვილეში ეს გუნდი არ მონაწილეობს ამ გათამაშებაში, ცხადია, რომ პირობის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ ასეთი პირობით დადებული გარიგება იქნება ბათილი.

სამოქალაქო კოდექსი მრავალ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა გარიგებათა ნამდვილობა სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ მას მოიწონებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. აშკარაა, რომ გარიგებათა ნამდვილობა დამოკიდებულია ამ პირობების არსებობაზე. გარეგნულად ეს პირობებიც სამომავლო და უცნობ მოვლენაზეა დამოკიდებული. ამიტომ იბადება კითხვა: არის თუ არა ასეთი გარიგება პირობითი და ვრცელდება თუ არა მათზე 90-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები? პირობითი გარიგებების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების საფუძველად არსებული პირობის სახესა და შინაარსს გარიგების მონაწილეები თვითონ განსაზღვრავენ. კერძო ავტონომიის პრინციპი ვრცელდება პირობის არჩევაზეც. ხოლო კანონით განსაზღვრული პირობების შემთხვევაში მათ ეს უფლება არა აქვთ. ამიტომ ამ პირობებს **სამართლებრივი პირობები (condicione juris)** ეწოდება და მათ მიმართ არ გამოიყენება 90-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები. სადავო შეიძლება იყოს საკითხი მაშინ, როცა მხარეების მიერ განსაზღვრული და კანონით გათვალისწინებული პირობები ემთხვევა ერთმანეთს. რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თუ სამართლებრივი შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტურია, მაშინ პრობლემა არ წამოიჭრება. მაგრამ თუ შედეგი განსხვავებულია, მაშინ ჯერ უნდა დადგინდეს, კანონის ნორმა იმპერატიულია თუ დისპოზიციური. თუ ნორმა დისპოზიციურია, მაშინ შეიძლება მხარეთა მიერ განსაზღვრულ პირობას მიენიჭოს უპირატესობა და გამოყენებულ იქნეს ნორმები პირობითი გარიგებების შესახებ. თუ ნორმა იმპერატიულია, მაშინ, ბუნებრივია, ის წინ უსწრებს გარიგების მონაწილეთა ნებას. ყველა ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს განმარტების შედეგად.

პირობით შეიძლება დაიდოს თითქმის ყველა გარიგება. პირობითი

გარიგების მიმართ გამოიყენება ყველა ის წესი, რაც ჩვეულებრივი გარიგებების მიმართ. იგი იმავე ფორმით უნდა განხორციელდეს, როგორც ჩვეულებრივი გარიგება. კანონი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ მხარეებმა უკვე არსებულ გარიგებაში დამატებით განსაზღვრონ პირობა, ოღონდ ამის გაკეთება რეალურად უნდა იყოს შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ გარიგებით გათვალისწინებული შესრულება ჯერ არ უნდა იყოს განხორციელებული და პირობის დათქმა უნდა შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იმავედროულად, არსებობს **გარიგებები, რომლებიც არ შეიძლება დაიდოს პირობით**. ერთ შემთხვევაში ასეთი აკრძალვა შეიძლება პირდაპირ გამომდინარეობდეს კანონიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში — გარიგების ბუნებიდან. პირობითი გარიგებების გამოყენების შეუძლებლობა აშკარაა საოჯახო სამართალში. მაგალითად, დაქორწინება არ შეიძლება იყოს პირობით. თუ დაქორწინებას რაიმე პირობა უდევს საფუძვლად (მაგალითად, რომ მომავალში ქმარი ცოლს უყვიდს მანქანას), ასეთი ქორწინება უნდა ჩაითვალოს ბათილად. არც შეილება ან ბავშვისთვის სახელის დარქმევა არ შეიძლება განხორციელდეს პირობით. არა მხოლოდ საოჯახო სამართალშია აკრძალული პირობითი გარიგებები. მაგალითად, საკორპორაციო სამართალში აკრძალულია იურიდიული პირის რეგისტრაცია ამა თუ იმ პირობით.

გარიგების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს მის საფუძვლად ბათილი პირობის არსებობამ ან ნამდვილ გარიგებაში დამატებით ბათილი პირობის შეტანამ. მაგალითად, შრომის ხელშეკრულების დადება (სამუშაოზე მიღება) იმ პირობით, რომ მუშა არ მოითხოვს შვებულებას. ასეთი პირობა ეწინააღმდეგება კანონს და ამიტომ იგი ბათილია. ბათილი პირობის არსებობა კი იწვევს გარიგების ბათილობას (91-ე მუხლი).<sup>585</sup>

<sup>585</sup> 91-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, უკანონო, უზნეო და შეუძლებელი პირობით დადებული გარიგება მთლიანად ბათილია. ამ ფორმულირების, განსაკუთრებით „მთლიანად ბათილობის“ კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 395.

## II. ვადები პირობით გარიგებებში

როგორც გადადების პირობით, ასევე გაუქმების პირობით დადებული გარიგებები შეიძლება დაკავშირებული იყოს განსაზღვრულ ვადასთან. უფრო ზუსტად, პირობით გარიგებებში პირობის დადგომა ან არ დადგომა შეიძლება განსაზღვრული დროით შემოიფარგლოს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში პირობის დადგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს დრო.

თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ითვლება ძალადაკარგულად, თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა (93-ე მუხლის პირველი ნაწილი). საფეხბურთო კლუბი ფეხბურთელებს შეჰპირდა ავტომანქანების ჩუქებას, თუკი ისინი მიმდინარე საფეხბურთო სეზონში გახდებოდნენ ჩემპიონები. თუ კლუბი ჩემპიონი გახდა მომავალ საფეხბურთო სეზონში, ეს არ ჩაითვლება პირობის შესრულებად და ფეხბურთელები საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობისგან ვერ მოითხოვენ საჩუქარს. მათ შეეძლოთ გამგეობისაგან მოეთხოვათ საჩუქარი, თუკი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაში არ იქნებოდა აღნიშვნა „მიმდინარე საფეხბურთო სეზონი“. ეს იქნებოდა ვადის გარეშე განსაზღვრული პირობა და 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ასეთი პირობის შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროს.

დადგენილი ვადის გასვლის გამო ძალადაკარგულად აღიარებულ პირობას უთანაბრდება პირობა, თუკი აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია. მაგალითად, თუ საფეხბურთო კლუბმა იმდენი ქულა დაკარგა, რომ ყველა თამაშის მოგების შემთხვევაშიც კი ვერ გახდება ჩემპიონი, მაშინ ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებული წინადადება იურიდიული ძალის არმქონე იქნება.

ზემოთ განხილული შემთხვევები ვადიანი პოზიტიური პირობების მაგალითებია. შეიძლება ასევე არსებობდეს ვადიანი, მაგრამ ნეგატიური პირობები. ეს ხდება მაშინ, როცა გარიგებით გათ-

ვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ გარიგებით პირობადღებული მოვლენა არ დადგეს განსაზღვრულ ვადაში. მაგალითად, თუკი საფეხბურთო კლუბი სეზონის ბოლომდე არ წააგებს არც ერთ თამაშს, კლუბის გამგეობა ფეხბურთელებს ჰპირდება პრემიას. თუ სეზონის ბოლომდე გუნდმა ერთი თამაში მაინც წააგო, პირობა ძალადაკარგულად ითვლება.

მართალია, სამოქალაქო სამართალი პირობითი გარიგების მონაწილეებს დიდ თავისუფლებას ანიჭებს (მათ თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ პირობის სახე და მისი შინაარსი), მაგრამ იმავდროულად უზრუნველყოფს მხარეთა მიერ არჩეული პირობების შესრულებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს. 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას. მაგალითად, საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ შექმნა საპრემიო ფონდი დათქმული პირობის შესასრულებლად: თუ ფეხბურთელები ჩემპიონობას მოიპოვებდნენ, დაეჯილდოვებინა ისინი. პირობის დადგომამდე კლუბმა ეს ფული სხვა მიზნებისთვის გახარჯა ისე, რომ დადებული გარიგების შესასრულებლად მას თანხა არ დარჩა. 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ფეხბურთელებს, თუკი ისინი ჩემპიონები გახდნენ, შეუძლიათ მოითხოვონ კლუბის ხელმძღვანელობისგან დაპირებული პრემია.

მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება სამოქალაქო სამართალი და სხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს, რომელთა მიზანია პირობითი გარიგების მონაწილეთა ინტერესების დაცვა. კერძოდ, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არ არის ხელსაყრელი, პირობა დამდგარად ჩაითვლება (98-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც ხელსაყრელია პირობის დადგომა, პირობა არ ჩაითვლება დამდგარად (მე-2 ნაწილი).

## თავი მეცხრე წარმომადგენლობა

### § 36. წარმომადგენლობა გარიგებებში

#### I. ცნება და დახასიათება

აღამიანები ხშირად სხვისი სახელით გამოდიან ურთიერთობებში, იძენენ უფლებებს, კისრულობენ ვალდებულებებს და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილე არის თოთო ბავშვი, რომელსაც თავისი მოქმედებით ჯერ კიდევ არ შეუძლია არაფრის გაკეთება. ამიტომ მისი სახელით ურთიერთობა უნდა დაამყაროს ბავშვის მშობელმა. სხვა შემთხვევაში სულით ავადმყოფობა ან ჭკუასუსტობა ხდება ქმედუუნარობის საფუძველი და ამ ურთიერთობებშიც ვხვდებით პირებს, რომლებიც ქმედუუნაროთა სახელით დებენ გარიგებებს. როდესაც ჩვენ დიდ სავაჭრო სახლში შევდივართ, რომელსაც რამდენიმე ათეული განყოფილება აქვს, ცხადია, მაღაზიის მესაკუთრე ყველა განყოფილებაში თვითონ ვერ დადგება. ამიტომ მყიდველების მომსახურების ფუნქცია დაკისრებული აქვთ გამყიდველებს, რომლებიც მაღაზიის სახელით დებენ გარიგებებს. ცხოვრებაში ანალოგიური ურთიერთობა უამრავია და ხშირად არც ვაცნობიერებთ, რომ მათში ჩვენ კონტინენტური ევროპის სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებელურ ინსტიტუტს — წარმომადგენლობას ვიყენებთ.<sup>586</sup> იგი ასახავს ისეთ ვითარებას, „როცა პირი საკუთარი სახელით კი არა, არამედ სხვისი სახელითა და სხვისივე ინტერესებისათვის დებს გარიგებას“, „სხვისი სახელით მოქმედ პირს ეწოდება წარმომადგენელი, ხოლო მის უფლებამოსილებას, წარმოადგინოს სხვა პირი — წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეწოდება“ — სამოქალაქო სამართლის ამ ფუძემდებელური ინსტიტუტის ასეთ ლაკონურ გან-

<sup>586</sup> წარმომადგენლობის ინსტიტუტის მოკლე ისტორიის მიმოხილვა და შედარებით სამართლებრივი ანალიზი ნახეთ: ჭანტურია, შესავალი, გვ. 410-413.

საზღვრებას იძლევა პროფესორი ბესარიონ ზოიძე.<sup>587</sup>

სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, განამტკიცებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობითაც დაიდოს (103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შედეგები კი — წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. ის, რომ წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, ემყარება მოქმედი პირების ნებას და კანონს, რომელიც აღიარებს ამ პირთა ნებას.<sup>588</sup>

სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული წარმომადგენლობის ინსტიტუტი კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციებს ემყარება.<sup>589</sup> მისი პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია. ამიტომ ვიდრე უშუალოდ გადავიდოდე სამოქალაქო კოდექსის ნორმათა დახასიათებაზე, აუცილებელია ზოგადად წარმომადგენლობის სოციალური ფუნქციის განხილვა.

## II. წარმომადგენლობის სოციალური ფუნქცია

თანამედროვე სამართალში არსებული მრავალი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ წარმომადგენლობის ინსტიტუტის მეშვეობით. უწინარეს ყოვლისა, აქ ლაპარაკია გარიგების საფუძველზე

<sup>587</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 103, გვ. 276.

<sup>588</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სწორედ ამ შეხედულებას ეყრდნობა, თუმცა მინდობილობის შესახებ ცალკე წესებს, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსშია, იგი არ შეიცავს. ეს შეხედულება ეკუთვნის ფონ ტურს: v. *Tuhr*, დ. 2/2, შ.337.

<sup>589</sup> სამოქალაქო კოდექსის მიერ წარმომადგენლობის მოწესრიგებისას დაშვებული ტერმინოლოგიური უზუსტობების კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 400 და შემდგომი გვერდები. ზოგ შემთხვევაში ეს კრიტიკა არ არის უდავო, თუმცა ბევრ საკითხში საგულისხმო წინადადებებს შეიცავს.

წარმომობილ ურთიერთობებში წარმომადგენლობაზე.

იურიდიული პირები, როგორც ადამიანების ან ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილ ორგანიზებული წარმონაქმნები, სამართლებრივ ურთიერთობებში, მართალია, საკუთარი სახელით მონაწილეობენ, მაგრამ ეს მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანების მეშვეობით, რომელთაც იურიდიული პირების წარმოდგენის უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული. ამ ადამიანებს იურიდიული პირის ორგანოები ეწოდებათ და კანონითა აქვთ მინიჭებული იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.<sup>590</sup> ასეთი წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის, არამედ საჯარო სამართლისთვისაც. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელია. ამისთვის მას რაიმე საგანგებო მინდობილობა არ სჭირდება – საქართველოს კონსტიტუცია მას ამ უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>591</sup>

იურიდიული პირის ორგანო წარმომადგენლობის ნაირსახეობაა, მაგრამ გარიგებითი წარმომადგენლობისაგან ის განსხვავდება, კერძოდ, იურიდიულ პირს მის გარეშე არ შეუძლიათ არსებობა და საქმიანობა მაშინ, როცა წარმოდგენილი პირი ვალდებული არ არის ურთიერთობა წარმომადგენლის მეშვეობით დაამყაროს, ე.ი. მას აქვს არჩევანის შესაძლებლობა, რასაც ორგანოებთან დაკავშირებით იურიდიული პირი მოკლებულია. იგი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს არა მხოლოდ რაიმე კონკრეტულ მოქმედებას, როგორც ეს წარმომადგენლობის დროსაა, არამედ ყოველგვარ საქმიანობას.<sup>592</sup> ამ სპეციფიკით აიხსნება ის გარემოება, რომ იურიდიული პირების წარმომადგენლობის საკითხს კანონმდებლობა სპეციალურად აწესრიგებს, მაგალითად, კანონში მეწარმეთა შესახებ ან სამოქალაქო კოდექსში იურიდიულ პირებთან დაკავშირე-

<sup>590</sup> *Rüthers/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, § 29 I, Rn 1.*

<sup>591</sup> საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში“.

<sup>592</sup> ეს არის ამგვარი წარმომადგენლობის ფუნქციური დანიშნულება, ე.ი. იურიდიული პირის წარმოდგენა სამოქალაქო ბრუნვაში: *Köhler, BGB Allgemeiner Teil (2009), § 11 Rn. 2.*

ბულ ნორმებში.<sup>593</sup> რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათი წარმომადგენლობის საკითხიც ასევე ცალკე კანონმდებლობით რეგულირდება.<sup>594</sup>

არა მხოლოდ იურიდიული პირებისთვისაა აუცილებელი წარმომადგენლობის ინსტიტუტი, არამედ ადამიანთა სხვა გაერთიანებებისთვის, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ და ამიტომაც საჭიროებენ უფლებამოსილ პირებს. მაგალითად, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ან მარტივი ამხანაგობის დროსაც ვხვდებით ორგანოებს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან იურიდიული პირის ორგანიზაციისაგან და არც წარმომადგენლობასთან შეიძლება მათი გაიგივება.<sup>595</sup>

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კანონით წარმომადგენლობას. მისი მეშვეობით ხდება სამართლებრივ ურთიერთობებში იმ ადამიანების ჩაბმა, რომლებიც ასაკის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თვითონ განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. მართალია, მის არსებობასაც კანონის იმპერატიული ნორმა უდევს საფუძვლად, მაგრამ ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად წარმოშობილ წარმომადგენლობასთან მას მრავალი საერთო აკავშირებს. კანონიერ წარმომადგენლებს წარმოადგენენ მშობლები, მეურვეები და მზრუნველები. განსხვავებით მინდობილობის საფუძველზე წარმოშობილი წარმომადგენლობისაგან, მათი უფლებამოსილების ფარგლები და მოცულობა განისაზღვრება კანონით.<sup>596</sup>

<sup>593</sup> მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლი.

<sup>594</sup> მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონის მე-10 მუხლი.

<sup>595</sup> ამიტომ სწორად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ მათი სტატუსი შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება წარმომადგენლობასა და იურიდიული პირის ორგანოებს შორის: *Guhl Theo, Koller Alfred, Das schweizerische Obligationenrecht*, 8. Aufl., Zürich, Schulthess. 1991; (9. Aufl. 2000), § 18.

<sup>596</sup> სამართლიანად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილი კანონზე, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის



ერთმანეთისაგან განსხვავდება პირდაპირი და არაპირდაპირი წარმომადგენლობა. პირდაპირი წარმომადგენლობის დროს, მართალია, ურთიერთობაში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობების შედეგები უშუალოდ მიმართულია წარმოდგენილი პირის მიმართ. იგი გულისხმობს წარმომადგენლის არამხოლოდ მოქმედებას წარმოდგენილი პირისთვის, არამედ მოქმედებას მისი სახელითაც (მაგალითად, პროკურისტი). არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით. სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი ჯერ მის მიმართ დგება, ხოლო შემდეგ – წარმოდგენილი პირის მიმართაც (ამის მაგალითია კომისიის ხელშეკრულება).<sup>597</sup>

არაპირდაპირი წარმომადგენლობა უფრო ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს და ის არ ითვლება წარმომადგენლობად 103-114-ე მუხლების გაგებით. მაშასადამე, წარმომადგენლობად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა, ე.ი. როცა წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირის სახელით და ამ პირისთვის.

წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგინოს სხვა პირი (ან პირები) – წარმომადგენლობის უფლებამოსილება.<sup>598</sup>

საფუძველზე. ეს შეესაბამება ამ საკითხისადმი ლიტერატურაში აღიარებულ მიდგომასაც: *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, § 46 II 2 Rn. 9; *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 29 II Rn. 2; *Köhler*, BGB Allgemeiner Teil (2009), § 11 Rn. 5. ამიტომ გაუგებარია ქართულ ლიტერატურაში არსებული კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ კანონით წარმოადგენლობას არაფერი ესაქმება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ამ თავში: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 401 და შემდეგი მუხლები.

<sup>597</sup> ამიტომაც არ მიიჩნევენ მას ლიტერატურაში წარმომადგენლობად: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 29 III Rn. 4.

<sup>598</sup> წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სინონიმად სამოქალაქო კოდექსი ერთ ადგილას – 107-ე მუხლში იყენებს „რწმუნებულებას“. ანდა დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ალბათ ამ ტერმინის არჩევა აჯობებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აღსანიშნავად: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 404.

103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე.<sup>599</sup>

წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რომელიც კანონის საფუძველზე წარმოიშობა, უკვე იყო განხილვის საგანი. იმის გამო, რომ წარმომადგენლობის ეს სახე (კანონით წარმომადგენლობა) უფრო მნიშვნელოვანია მათ საფუძველად არსებული ინსტიტუტების ანალიზისას (როგორცაა ქმედუნარიანობა, საოჯახო სამართალი და ა.შ.), ისინი აქ არ იქნება განხილული და ყურადღება გამახვილდება წარმომადგენლობის კლასიკურ სახეზე – გარიგებით წარმომადგენლობაზე.<sup>600</sup>

წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება – მინდობილობის გაცემა. მინდობილობა არის გარეგნული ფორმა, რომელშიც გამოიხატება კონკრეტული პირისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების – რწმუნებულების მინიჭება. ვინაიდან კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას მინდობილობისთვის არ ითვალისწინებს, იგი შეიძლება გაიცეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით.<sup>601</sup> თუმცა პრაქტიკაში რეალურად უფრო გამოსაყენებელია წერილობითი ფორმა. ზოგჯერ ასეთ გამონაკლისს კანონიც ითვალისწინებს. მინდობილობის შინაარსი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობა უდევს ამ უფლებამოსილებას საფუძველად: დავალება, შრომის ხელშეკრულება, სამეწარმეო საზოგადოების წესდება, სამანდატო ხელშეკრულება თუ სხვა. მაშასადამე, მინდობილობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარიგების საფუძველზე მინიჭებული

<sup>599</sup> 103-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია „დავალების (მინდობილობის) საფუძველზე“, რაც გვაფიქრებინებს, რომ დავალება და მინდობილობა ერთი და იგივეა. ეს აშკარა შეცდომაა, რომელიც უნდა გასწორდეს: „დავალების (მინდობილობის)“ ნაცვლად უნდა იყოს „გარიგების“.

<sup>600</sup> ქართულ ლიტერატურაში მას „გარიგებისმიერ წარმომადგენლობასაც“ უწოდებენ: *კერესელიძე*, *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, გვ. 400.

<sup>601</sup> ამიტომ უარი უნდა ვთქვათ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ წესზე, რომელიც მინდობილობას მხოლოდ წერილობით ლოკუმენტად მიიჩნევდა.

წარმომადგენლობის უფლებამოსილება - რწმუნებულება. სწორედ ამით განსხვავდება იგი კანონით წარმომადგენლობისაგან.<sup>602</sup>

### III. წარმომადგენლობის განსხვავება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან

ურთიერთობებში ხშირად მონაწილეობენ პირები, რომლებიც გარეგნულად წარმომადგენლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ პროფესიულ სახელწოდებაშიც ფიგურირებს ტერმინი „წარმომადგენელი“ (მაგალითად, სავაჭრო წარმომადგენელი). მიუხედავად ამისა, ისინი არ განეკუთვნებიან წარმომადგენლებს 103-114-ე მუხლების გაგებით. ამიტომ აუცილებელია ამ პირთა გამოიჯვნა წარმომადგენლებისაგან. ამის გაკეთება საჭიროა იმიტომაც, რომ ზუსტად განისაზღვროს მათი სამართლებრივი სტატუსი და შეცდომით არ იქნას გამოყენებული მათ მიმართ ნორმები წარმომადგენლობის შესახებ. ამ მიზნით კიდევ ერთხელ უნდა გამოიყოს წარმომადგენლის სპეციფიკური მახასიათებლები: ა. წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას, ბ. ამას იგი აკეთებს სხვისი სახელით (წარმოდგენილი პირის სახელით), გ. უფლებები და მოვალეობები კი წარმოეშობა წარმოდგენილ პირს (104-ე მუხლის პირველი ნაწილი).

წარმომადგენლისაგან განსხვავდებიან გაკოტრების მმართველი (კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, მუხლი 15), ანდერძის აღმსრულებელი ან სამკვიდროს მმართველი (1441-ე და 1498-ე მუხლები), რომლებიც, მართალია, სხვის ქონებას მართავენ და განკარგავენ, მაგრამ ამ დროს მოქმედებენ საკუთარი სახელით და კანონის ძალით.

არც კურიერი (შიკრიკი) ჩაითვლება წარმომადგენლად, რადგან იგი კონტრაქტს მხოლოდ გადასცემს სხვა პირის ნებას ისე, რომ საკუთარ ნებას არ გამოხატავს. პირი კურიერად მივიჩნიოთ თუ წარმომადგენლად, უნდა შემოწმდეს ყოველ კონკრეტულ შემ-

<sup>602</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 103, გვ. 277.

თხვევაში და იმის მიხედვით, თუ რა უფლებამოსილებით გამოდის ის ურთიერთობებში. თუმცა ეს გამიჯვნა ყოველთვის შეიძლება არ იყოს იოლი. თუკი კურიერი წარმოდგენილი პირის აზრის გადაცემისას თავის მოსაზრებასაც დაურთავს, მაშინ უკვე სცილდება იგი კურიერის ფარგლებს და ხდება წარმომადგენელი. კურიერი უფრო ტექნიკური ფიგურაა, მაშინ როცა წარმომადგენელი იურიდიული სტატუსის მქონე პირია. სამოქალაქო კოდექსი კურიერთან დაკავშირებით რაიმე წესებს არ შეიცავს.

წარმომადგენლად არ მიიჩნევიან **კომისიონერი** ან **ექსპედიტორი**, რომლებიც თუმცა შემკვეთის ხარჯზე და მის სასარგებლოდ ასრულებენ განსაზღვრულ სამუშაოს, მაგრამ ამას აკეთებენ საკუთარი სახელით. ამიტომ მათ ლიტერატურაში „არაპირდაპირ წარმომადგენლებს“ უწოდებენ.<sup>603</sup>

სამოქალაქო კოდექსი იცნობს ე.წ. **საკუთრების მინდობის ინსტიტუტს**. იგი, მართალია, არ არის წარმომადგენლობა კლასიკური ფორმით, მაგრამ ვინაიდან მინდობილი მესაკუთრე, საბოლოო ჯამში, მაინც საკუთრების მიმნდობის (ე.ი. სხვა პირის) ინტერესებისთვის მოქმედებს, შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვაქვს **არაპირდაპირი წარმომადგენლობა**, რომელიც გარიგების საფუძველზე წარმოიშობა. წარმომადგენლისაგან მინდობილ მესაკუთრეს განასხვავებს ის, რომ იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში საკუთარი სახელით გამოდის და არა წარმოდგენილი პირის (მარწმუნებლის) სახელით.<sup>604</sup>

წარმომადგენლებს არ განეკუთვნებიან ასევე **მრჩეველები**, **თარჯიმნები** და **სამდივნოს თანამშრომლები**, რომელთა საქმიანობის მიზანს შეადგენს გამოხატული ნების გადაცემა, შეტყობინება ადრესატისთვის.

<sup>603</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში: *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsg Grundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 7. Aufl. RN. 2166.

<sup>604</sup> თუ ვისი ინტერესებისთვის მოქმედებს მინდობილი მესაკუთრე, საკუთარი თუ საკუთრების მიმნდობის, სამართლებრივი ურთიერთობისთვის მნიშვნელობა არა აქვს: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 29 III Rn 5.

#### IV. ინტერესთა თანაფარდობა წარმომადგენლობისას

წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ინტერესთა სიმრავლეა. მასში, სულ ცოტა, სამი პირი მაინც მონაწილეობს: წარმომადგენელი, წარმოდგენილი პირი და მესამე პირი, რომელთანაც უნდა დადოს წარმომადგენელმა გარიგება. აქედან გამომდინარე, ამ გარიგებებში ბუნებრივად წარმოიშობა ინტერესთა თანაფარდობის საკითხი. მისი გარკვევა აუცილებელია იმისთვის, რომ გარიგების მხარეებმა დასახულ შედეგებს მიღწიონ და მათ შორის არ წარმოიშვას კონფლიქტი. ეს კი მოითხოვს ამ ურთიერთობაში რამდენიმე ასპექტის დაზუსტებას.

**პირველი**, მესამე პირმა, რომელთანაც უშუალო ურთიერთობაში შედის წარმომადგენელი, უნდა იცოდეს, თუ ვინ არის გარიგების მხარე, ე.ი. ვისთან დებს იგი გარიგებას. თუ მესამე პირისთვის უცნობია, რომ წარმომადგენელი სხვისთვის დებს გარიგებას, მაშინ მან უნდა ივარაუდოს, რომ მისი გარიგების პარტნიორი არის წარმომადგენელი და არა წარმოდგენილი პირი. მესამე პირის ინტერესები მოითხოვს იმას, რომ მან ზუსტად იცოდეს, თუ ვისთან დებს გარიგებას. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი მრავალ ადგილას ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომლებიც წარმომადგენლობის უფლების ბუნდოვნობისას იცავენ გარიგების მონაწილეთა ინტერესებს.<sup>605</sup>

**მეორე**, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მესამე პირის, არამედ წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვაც. თუკი წარმომადგენელი გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებებს, ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს წარმოდგენილი პირისთვის. ცხოვრებაში არაა

<sup>605</sup> ხშირია შემთხვევები, როცა მესამე პირისთვის, ე.ი. გარიგების პარტნიორისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ იქნება მისი სახელშეკრულებო პარტნიორი – წარმომადგენელი თუ წარმოდგენილი პირი. ამის მიზეზი შეიძლება მრავალი გარემოება იყოს. მაგალითად, გარიგება სრულდება დადებისთანავე და კონტრაგენტისთვის მნიშვნელოვანია საპასუხო შესრულების (მაგალითად, ფასის მიღება) და არა იმის გარკვევა, თუ ვისი სახელით მოქმედებს მეორე მხარე.

29. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

იშვიათობა, როცა ადამიანები სხვისი სახელით დებენ გარიგებებს და ამით ზიანს აყენებენ ამ პირებს. ამიტომაც მოითხოვს კანონი კატეგორიულად, რომ მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებები წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისთვის (104-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ კვაზიწარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით დებს გარიგებებს, მაშინ დაცვას მოითხოვს არა მხოლოდ წარმოდგენილი პირის, არამედ მესამე პირის ინტერესებიც. როცა წარმომადგენელი ამბობს, რომ ის სხვისი სახელით დებს გარიგებებს, მაშინ მესამე პირს აქვს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მისი გარიგების მხარე არა წარმომადგენელია, არამედ წარმოდგენილი პირი. აქაც განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსი ნორმებს, რომელთა მიზანია მონაწილეთა ინტერესების დაცვა.<sup>606</sup>

## V. წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობები

სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლობის ნამდვილობის შემდეგ წინაპირობებს განამტკიცებს: პირველი, წარმომადგენლობა დაშვებული უნდა იყოს მოცემული გარიგებისთვის, მეორე, წარმომადგენელი გამოხატავს თავის ნებას, მაგრამ სხვისი (წარმოდგენილი პირის) სახელით და, მესამე, მას უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ან ისეთ პირობებში უნდა იმყოფებოდეს, რომ სავარაუდო იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა.

### 1. წარმომადგენლობის დასაშვებობა

წარმომადგენლობა შეიძლება ყველა სახის ურთიერთობისა და ყველა გარიგების მიმართ იყოს გამოყენებული. მაგრამ ამ ზოგადი წესიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები. 103-ე მუხლის

<sup>606</sup> ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 113-ე მუხლი, რომელიც მოთხოვნის ცენტრალურ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. დანარჩენი მუხლები წარმომადგენლობის თავში დამხმარე ნორმების ფუნქციას ასრულებენ.

მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლობა არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით. ამიტომ წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას უნდა გაირკვეს საკითხი, თუ როგორი ხასიათისაა ეს გარიგება, შეიძლება თუ არა მასში წარმომადგენლის მონაწილეობა. მაგალითად, დაქორწინება ისეთი გარიგებაა, რომელიც დასაქორწინებელმა პირებმა უშუალოდ უნდა დადონ. ამიტომ ამ შემთხვევაში წარმომადგენლის მონაწილეობა დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით.<sup>607</sup>

იმის გამო, რომ წარმომადგენელი თვითონ დებს გარიგებას, მისი პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების მონაწილეთათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამისთვის აუცილებელია, რომ წარმომადგენელი იყოს ქმედუნარიანი. მაგრამ კანონი არ მოითხოვს წარმომადგენლის სრულ ქმედუნარიანობას. 105-ე მუხლის თანახმად წარმომადგენელი შეიძლება იყოს შეზღუდულად ქმედუნარიანი პირიც. ეს ალბათ აიხსნება იმით, რომ, მართალია, წარმომადგენელი თვითონ დებს გარიგებებს, მაგრამ ამ გარიგების შედეგები დგება არა მისთვის პირადად, არამედ წარმოდგენილი პირისთვის. ამიტომ შეზღუდული ქმედუნარიანობა არ უნდა ჩაითვალოს წარმომადგენლობის ხელშემშლელ გარემოებად. მაგრამ სავალდებულოა, რომ შეზღუდულად ქმედუნარიანი პირი გარიგებას დადეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

## 2. ნების გამოხატვა წარმოდგენილი პირის სახელით

გარიგების დადებისას წარმომადგენელი თავის ნებას გამოხატავს, მაგრამ სხვისი სახელით და ეს გარემოება გარიგების დადებისას ცხადი (უეჭველი) უნდა იყოს კონტრაქტისთვის.<sup>608</sup> ამ

<sup>607</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარში ჩამოთვლილია ის გარიგებები, რომლებშიც დაუშვებელია წარმომადგენლობის გამოყენება: ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, მუხლი 103, გვ. 278-279.

<sup>608</sup> მაგალითად გერმანულ სამართალში ამას წარმომადგენლობის უეჭველობა, სიცხა-

წინაპირობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია განსხვავება წარმომადგენელსა და კურიერს შორის. წარმომადგენელი ამბობს, რომ „ის ყიდულობს ტელევიზორს თავისი მეგობრისთვის“. კურიერის ფრაზეოლოგია კი ასე გამოიყურება „მეგობარმა შემოგიტვალათ, რომ მას ამ ტელევიზორის ყიდვა სურს“.<sup>609</sup>

წარმომადგენლობის სიცხადის (უეჭველობის) თვალსაჩინოებისთვის ხშირად მოჰყავთ მაღაზიის მაგალითი: თითქმის ყველამ, ვინც მაღაზიაში მოლარესთან ფულს იხდის, იცის, რომ მოლარე არ არის მაღაზიის მესაკუთრე და მისი ხელშეკრულების მხარე, არამედ მოქმედებს როგორც წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს წარმომადგენლობის კიდევ ერთხელ ხაზგასმის აუცილებლობა.<sup>610</sup>

წარმომადგენლობის სიცხადის (უეჭველობის) პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები. ეს ხდება მაშინ, როცა წარმომადგენელი, თუმცა მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის, მაგრამ ამას ხელშეკრულების მხარეს არ ატყობინებს და ამ უკანასკნელისთვისაც სულ ერთია, თუ ვისთან დადებს ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შედეგს იღებს წარმოდგენილი პირი, მაგრამ კონტრაგენტმა ამის შესახებ არაფერი იცის და არც აინტერესებს.<sup>611</sup>

### 3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა წარმომადგენლობის ნამდვილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დე ეწოდება (Offenkundigkeit): *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 30 III Rn. 5 ff.

<sup>609</sup> ეს გამოიყენა პრაქტიკაში შეიძლება უფრო რთული იყოს, ვიდრე ეს თეორიაში გამოიყურება. განსაკუთრებით რთულია იმის გარკვევა, თუ როდის გამოთქვამს პირი საკუთარ აზრს და როდის წარმოდგენილი პირისას.

<sup>610</sup> *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 30 III Rn. 5.

<sup>611</sup> გერმანულ სამართალში ამას ეწოდება „დამალული გარიგება მისთვის, ვისაც ის ეხება“ - „Verdecktes Geschäft für den, den es angeht“: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, § 30 III Rn. 7.



წარმომადგენლობის უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება იყოს გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველი, თუკი გარიგება ისეთ პირობებში დაიდო, რომ მესამე პირს კეთილსინდისიერად ეგონა წარმომადგენლობის უფლების არსებობა (104-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, როცა მალაზიის დახლში დგას ახალგაზრდა და ყიდის საქონელს ისე, რომ მალაზიის მესაკუთრემ არ იცის ამის შესახებ.

## VI. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა წარმომადგენლობის ნამდვილობის აუცილებელი წინაპირობაა. ეს უფლებამოსილება ან კანონის საფუძველზე წარმოიშობა, როგორც, მაგალითად, მშობლების წარმომადგენლობა არასრულწლოვანი შვილების მიმართ, ან გარიგებიდან (103-ე მუხლის პირველი ნაწილი). სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველ ნაწილში დავალების ხელშეკრულება და მინდობილობა გაიგივებულია ერთმანეთთან და გამოყენებულია გარიგების სინონიმად, რაც არ არის მართებული. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ „დავლება (მინდობილობა)“ განმარტებულ იქნას „გარიგებად“.<sup>612</sup> მართალია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობას საფუძველად ხშირ შემთხვევაში დავალების ხელშეკრულება უდევს, მაგრამ ის არ არის ერთადერთი გარიგება, რომელიც იწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობას. მინდობილობის გაცემა არ ხდება იზოლირებულად. ის ყოველთვის რაღაც გარიგებასთან კავშირში გამოიყენება, თუმცა ის თვითონ არ წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის ნაწილს. მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელი თავის თანამშრომელს აძლევს მინდობილობას (წარმომადგენლობით უფლებამოსილებას), რომ მან საწარმოს სახელით შეიძინოს პროდუქცია და ამ მიზნით დადოს ნასყიდობის ხელშე-

<sup>612</sup> ამ საკითხში გასახიარებელია ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკა: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 401-402.

კრულება. გარდა ამისა, მინდობილობა წარმომადგენს ცალმხრივ გარიგებას, მაშინ როცა დავალება ორმხრივი ნების გამოვლენაა და ამდენად ხელშეკრულება.

რწმუნებულება და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პრაქტიკულად სინონიმებია, ხოლო მინდობილობა — მათი გარეგნულად გამოხატვის ფორმა. კოდექსზე მუშაობის პროცესში მინდობილობა საგანგებო მსჯელობის საგანი იყო. კომისიის წევრებმა სამართლიანად თქვეს უარი მინდობილობის სავალდებულო წერილობით ფორმაზე, როგორც ეს საბჭოთა სამოქალაქო სამართალში იყო განმტკიცებული. მინდობილობა, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოხატვის ფორმა, განმტკიცებულია კოდექსის 107-ე მუხლში. პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, მინდობილობა გამოიყენება და იგი სწორედ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეგნული გამოხატვის ფორმას წარმოადგენს.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დახასიათებისას აუცილებელია შიდა და გარე ურთიერთობების გამიჯვნა. გარე ურთიერთობა წარმოიშობა წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც იდება წარმოდგენილი პირის სახელით ხელშეკრულება. შიდა ურთიერთობა არსებობს წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის. ეს ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვა გარიგების ფორმით არსებობდეს. მართალია, ეს ორი ურთიერთობა დამოუკიდებლად ერთმანეთისაგან წარმოიშობა და არსებობს, მაგრამ მას საფუძვლად უდევს წარმოდგენილი პირის მიერ ნების გამოვლენა უფლებამოსილების გაცემის თაობაზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მინდობილობის გაცემას უკავშირდება, მდგომარეობს შემდეგში: რამდენად არის მინდობილობა დამოკიდებული ძირითად გარიგაზე, რომლის შესასრულებლადაც გაიცემა იგი, და იწვევს თუ არა ძირითადი გარიგების ბათილობა მინდობილობის ბათილობას?<sup>613</sup> მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთი

<sup>613</sup> ეს კითხვები დამახასიათებელია თითქმის ყველა მართლწესრიგისთვის, რომელიც წარმომადგენლობის ინსტიტუტს განამტკიცებს: *Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien*, S. 460.

ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, გამოიწვევს თუ არა ეს იმ მინდობილობის ბათილობას, რომელიც მყიდველმა მისცა წარმომადგენელს? სამოქალაქო კოდექსი ამ კითხვაზე პირდაპირ არ შეიცავს პასუხს, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ 109-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მინდობილობა (რწმუნებულება) დამოუკიდებელია ძირითადი გარიგების ნამდვილობისაგან: ამ საფუძვლებში ძირითადი გარიგების ბათილობა არ მიიჩნევა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად.

## VII. ინტერესთა კონფლიქტი, ე.წ. თვითკონტრაქტების აკრძალვა

წარმომადგენელი, როგორც წარმოდგენილი პირის ინტერესების გამომხატველი და დამცველი, ვალდებულია თავიდან აიცილოს ინტერესთა ის კონფლიქტები, რომლებიც გარიგების დადებისას შეიძლება წარმოიშვას. ერთ-ერთი ასეთი ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება მაშინ წარმოიშვას, როცა წარმომადგენელი თვითონ არის დაინტერესებული წარმოდგენილი პირისგან მიიღოს ის სარგებელი, რომელიც მესამე პირს უნდა მიეღო. ასეთმა ვითარებამ კი შეიძლება იმის საფრთხე შექმნას, რომ წარმომადგენელმა უპირატესობა საკუთარ ინტერესებს მიანიჭოს, ხოლო წარმოდგენილი პირისა კი უკანა პლანზე გადაწიოს. ეს რომ არ მოხდეს, სამოქალაქო კოდექსი კრძალავს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან როგორც მესამე პირის წარმომადგენელთან გარიგების დადებას (114-ე მუხლი).

თვალსაჩინო რომ გახდეს, თუ რომელ შემთხვევებზეა საუბარი, სასურველია მაგალითის მოხმობა: პირმა მიიღო ბინათმშენებლობის ამხანაგობისაგან უფლებამოსილება, რომ მოძებნოს სერიოზული სამშენებლო (დეველოპური) ორგანიზაცია, რომელიც ააშენებს ამხანაგობისთვის მრავალბინიან სახლს. ეს პირი იმავდროულად თვითონ არის ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის დირექტორი. შეუძლია თუ არა მას ერთდროულად იყოს ამხანაგობის წარმომადგენელიც

და სამშენებლო ფირმის დირექტორიც? 114-ე მუხლის ამას კრძალავს.

კანონით დადგენილი ამ აკრძალვიდან არსებობს ორი გამონაკლისი: პირველი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმომადგენელს მინიჭებული აქვს ასეთი უფლებამოსილება, ან მეორე, თუკი გარიგება უკვე არსებობს და წარმომადგენელმა ეს გარიგება მხოლოდ ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

თვითკონტრაქტების აკრძალვის დახასიათებისას ყურადღებას იმსახურებს ის, თუ რა სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს ამ აკრძალვის დარღვევას. რადგან 114-ე მუხლის თანახმად, თვითკონტრაქტება დაიშვება წარმოდგენილი პირის თანხმობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თანხმობის გაცემამდე გარიგება მერყევად ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 99-102-ე მუხლები). თუ წარმოდგენილი პირისთვის ცნობილი გახდა, რომ წარმომადგენელმა საკუთარ თავთან დადო მისი სახელით გარიგება და იგი ამას მოიწონებს, გარიგება გახდება ნამდვილი. თუკი წარმოდგენილი პირი არ მოიწონებს ამ გარიგებას, მაშინ გარიგება უნდა ჩაითვალოს ბათილად, რადგან იგი სცილდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს და იმავდროულად არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას.

გარიგების ბათილად გამოცხადება წარმოშობს შემდეგ კითხვას: ვინ უნდა იტვირთოს გარიგების ბათილობით გამოწვეული შედეგები? ამ კითხვაზე პასუხს შეიცავს 113-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც წარმომადგენლობიდან წარმოშობილი მოთხოვნების ცენტრალური სამართლებრივი საფუძველია.

### VIII. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

წარმომადგენლობის ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენილ პირს უფლებები და მოვალეობები მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუკი წარმომადგენელი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. თუ ის აჭარბებს ამ უფლებამოსილების ფარგლებს, მაშინ მის მიერ

დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე (111-ე მუხლი), ე.ი. მან უნდა მოიწონოს ეს ხელშეკრულება. ეს ეხება საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებსაც. მთავარი კითხვა, რომელიც ამ დროს წარმოიშობა, მღვთმარეობს შემდეგში: რა ბედი ეწევა ნაკისრ ვალდებულებას, თუკი წარმოდგენილი პირი უარს იტყვის ამ მოწონებაზე? პრობლემა ჩნდება იმასთან დაკავშირებითაც, რომ წარმომადგენელი ფაქტობრივად ორ ცეცხლშუა იმყოფება: მას აკავშირებს ვალდებულება როგორც მარწმუნებელთან (წარმოდგენილ პირთან), ისე ხელშეკრულების კონტრაგენტთან. ვის უნდა დაეკისროს მისი ამ ვალდებულებების შესრულება?

წარმომადგენლობის ინსტიტუტის ამ ცენტრალურ კითხვებზე პასუხს შეიცავს 113-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მოთხოვნის მთავარი საფუძველია. დანარჩენი ნორმები წარმომადგენლობის თავში დამხმარე ნორმებს წარმოადგენს.

**წარმომადგენელი**, რომელიც ვერ დაადასტურებს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობას (ამაში იგულისხმება ასევე საკუთარ თავთან გარიგების დადების თანხმობა), ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან ანაზღაუროს ზიანი.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს: ვადის გასვლა, უფლებამოსილების გაუქმება და ა.შ. თუკი წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი (მაგალითად, მარწმუნებელმა ისე გააუქმა მინდობილობა, რომ არ შეატყობინა წარმომადგენელს), მაშინ მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

ამრიგად, ნორმები წარმომადგენლობის შესახებ ცდილობენ უზრუნველყონ სამართლიანი ბალანსი ამ ურთიერთობის მონაწილე პირებს შორის. განსაკუთრებით ეხება ეს კეთილსინდისიერად მოქმედი პირის ინტერესების დაცვას, რომელსაც ეგონა, რომ წარმომადგენელს ჰქონდა ეს უფლებამოსილება და ამ ვარაუდისთვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები, მაგალითად, გამყიდველი მალაზიაში და ა.შ.

## ლიტერატურა

ახვლედიანი ზურაბ, სამემკვიდრეო სამართლის საკითხები, წიგნში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994 წ.

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 წ., 286 გვ.

ახვლედიანი ზურაბ, ამოცანები სამოქალაქო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001 წ., 75 გვ.

ბოელინგი ჰაინ, ჭანტურია ლადო, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003 წ.

ბოელინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009 წ.

ბრეგვაძე ლაშა, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 9-65.

ბურდული ირაკლი, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010 წ., 502 გვ.

ბურდული ირაკლი, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 208-261.

გაბისონია ზვიად, საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, თბილისი, „მერიდიანი“, 2002 წ., 263 გვ.

გაბისონია ზვიად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006 წ., 467 გვ.

გამყრელიძე სულხან, საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, პირველი წიგნი, თბილისი, 2000 წ., 225 გვ.

გაული ვოლფგანგ, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002 წ., 455 გვ.

დავიდი რენე, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თარგმანი თედო ნინიძის, თბილისი, „განათლება“, 1993 წ., 431 გვ.

ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით, შემდგენელი სანდრო ჯორბენაძე, თბილისი, 2005 წ., 48 გვ.

ვაშაკიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვ. 81-93.

ვაშაკიძე გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14-58.

ზამბახიძე თამარ, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 8/2005-1/2, გვ. 108-138.

ზარანდია თამარ, ჯუღელი თეა, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 4/2006, გვ. 74-84.

ზარანდია თამარ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005 წ., 138 გვ.

ზოიძე ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007 წ.

ზოიძე ბესარიონ, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის

ისტორიიდან, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1, გვ. 86-114.

*ზოიძე ბესარიონ*, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003 წ., 539 გვ.

*ზოიძე ბესარიონ*, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათუმი, 1992 წ., 191 გვ.

*ზოიძე ბესარიონ*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005 წ.

*ზოიძე ბესარიონ*, სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში“, ჟურნალი „სამართალი“, 1996, №5-6, გვ. 54-61.

*ზოიძე ბესარიონ*, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994.

*იაშვილი თამაზ*, როგორ გავაფორმოთ ხელშეკრულება, „ბიზნეს-კურიერი“, თბილისი, 2000 წ., 185 გვ.

*ივრინგი ფონ რუდოლფ*, ბრძოლა უფლებისათვის, თარგმანი იაზონ ბაქრაძისა და ზაზა ნანობაშვილის, თბილისი, 2000 წ., 116 გვ.

*იზორია ლევან*, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის კომენტარი, *იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 143-147.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი, შემდგენელი *დავით ძაძუკაშვილი*, თბილისი, 2001 წ., 243.

*კახაძე მავვალა*, შრომის სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001 წ. გვ. 264-310.

*კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ემსი გამომცემლობა, თბილისი, 2009 წ., 428 გვ.



*კერესელიძე დავით*, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002, გვ. 160-161.

*კნიპერი როლფ*, მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის თაობაზე. პროფესორ სერგო ჯორბენაძის პატივსაცემად, „სერგო ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული“, თბ., 1996.

*კობახიძე ავთანდილ*, სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წ., 383 გვ.

*კოპალეიშვილი მათა*, ადმინისტრაციული გარიგება, თბილისი, 2003 წ., 70 გვ.

*ლაზარაშვილი ლალი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2003 წ., 189 გვ.

*ლილუაშვილი თენგიზ*, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2002 წ., 176 გვ.

*ლილუაშვილი თენგიზ*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2001 წ., 354 გვ.

*ლილუაშვილი თენგიზ*, საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2001 წ., 231 გვ.

*ლილუაშვილი თენგიზ*, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2000 წ., 231 გვ.

*ლილუაშვილი თენგიზ*, *ხრუსტალი ვალერ*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წ. 770 გვ.

*ლოლაძე ბესიკ*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოკლე კომენტარები, ბათუმი, 2010 წ.

*მიგრიაული როინ*, შესავალი გაკოტრების სამართალში. დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006 წ.

*ნადარეიშვილი გიორგი*, რომის სამოქალაქო სამართალი, გა-

მომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2001 წ., 195 გვ.

ოუენი ლინეტ, საავტორო უფლებათა ყიდვა-გაყიდვა, ინგლისურიდან თარგმანი ზაზა ცინცაძის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2001 წ., 168 გვ.

სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981 წ.

საავტორო სამართალი. ქართული სასამართლო პრაქტიკა, შემდგენელი სანდრო ჯორბენაძე, თბილისი, „მერიდიანი“, 2005 წ., 531 გვ.

სვანელი ბიძინა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1993 წ., 208 გვ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. სანივთო (ქონებრივი) სამართალი. ამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართალი. ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი.

სუხიტაშვილი დავით, სამართალი და დრო, თბილისი, 2004 წ.

სუხიტაშვილი დავით, საქართველოს სანოტარო სამართალი, თბილისი, 2002 წ., 257 გვ.

ტივიშვილი მამუკა, ბიჭიკაშვილი დავით, სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება, თბილისი, 2002 წ., 220 გვ.

ქოქრაშვილი ქეთევან, სამეწარმეო სამართლის შესავალი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2001 წ., 150 გვ.

ქონაშვილი ქეთევან, კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი იურიდიული გეოგრაფიის არეალში, სამართლის ჟურნალი, 2/2009, გვ. 127-137.

შენგელია ეკატერინე, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002 წ., 159 გვ.

შენგელია რომან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები, „თენგიზ ლილუაშვილი. 75. საიუბილეო კრებული“, თბილისი, 2003 წ., გვ. 127-134

შენგელია რომან, სამოქალაქო სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წ., გვ. 128-186.

შენგელია რომან, საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 359 გვ.

შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე, მემკვიდრეობის სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 2007 წ., 442 გვ.

ჩაჩანიძე თინათინ, ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010 წ., 178 გვ.

ჩიკვაშვილი შალვა, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, „მერიდიანი“, თბილისი, 2003 წ., 255 გვ.

ჩიკვაშვილი შალვა, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მეორე გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი, 1998 წ., 200 გვ.

ჩიკვაშვილი შალვა, მემკვიდრეობის სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წ., 279 გვ.

*ჩიკვაშვილი შალვა*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი, 1999 წ., 399 გვ.

*ჩიკვაშვილი შალვა*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 1999 წ., 512 გვ.

*ჩიტოშვილი თამარ*, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, „მერიდიანი“, თბილისი, 2006 წ., 143 გვ.

*ჩიტოშვილი თამარ*, საიჯარო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება, „მერიდიანი“, თბილისი, 1999 წ., 62 გვ.

*ჩიტოშვილი თამარ*, კომლი ქართულ სამართალში, „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წ., 114 გვ.

*ცაცანაშვილი მარიამ*, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, „ტექნიფორმი“, თბილისი, 1999, 236 გვ.

*ცნობილადე ჰაატა*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. 1996, გვ. 103-104.

*დამუკაშვილი დავით*, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, „სანი“, თბილისი, 2003 წ., 325 გვ.

*დამუკაშვილი დავით*, *შენგელია რომან*, *გაბუნია დავით*, *ზრუსტალი ვალერი*, *ჯორბენაძე სანდრო*, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 314 გვ.

*დამუკაშვილი დავით*, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, გამომც. „სანი“, თბილისი, 2003 წ., 315 გვ.

*დამუკაშვილი დავით*, სამრეწველო საკუთრება, კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, II, თბილისი, „უფლება“, 1998 წ., 294 გვ.

*ძლიერიშვილი ზურაბ*, ვალდებულებითი სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 2002 წ., 262 გვ.

*ძლიერიშვილი ზურაბ*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 2003 წ., 138 გვ.

*ძლიერიშვილი ზურაბ*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, 2000 წ. გვ. 187-224.

*წულაია დავით*, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2005 წ. 983 გვ.

*ჭანტურია ლადო*, ევროპის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივებისა და დადგენილებების მნიშვნელობა ქართული საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისთვის, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემელი: თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009, გვ. 447-539.

*ჭანტურია ლადო*, ევროპის კერძო საზოგადოება – სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, 1/2009, გვ. 36-42.

*ჭანტურია ლადო*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, სამართალი, 2006 წ.

*ჭანტურია ლადო*, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი, 75, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2003 წ. გვ. 11-30.

*ჭანტურია ლადო*, *ნინიძე თედო*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2003 წ.

*ჭანტურია ლადო*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ., 1997 წ.

ჭანტურია ლადო, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 32-55.

ჭანტურია ლადო, უძრავი ნივთების საკუთრება. თსუ, 1994 წ.,

ჯანსოთელი შორენა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი კითხვა-პასუხებში, თბილისი, 2001 წ., 100 გვ.

ჯორბენაძე სანდრო, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მეორე გამოცემა, თბილისი, 2008 წ., 238 გვ.

ჯორბენაძე სანდრო (შემდგ.), ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით, თბილისი, 2005 წ.

ჯორბენაძე სანდრო, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თბილისი, 1999 წ., 50 გვ.

ჯორბენაძე სანდრო, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, „სამართალი“, 1998 წ., 456 გვ.

ჯორბენაძე სერგო, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, წიგნში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994

ჯუღელი თეა, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, 4/2005, გვ. 65-66.

ხეცურიანი ჯონი, ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, წიგნში „თენგიზ ლილუაშვილი. 75. საიუბილეო კრებული“, 2003 წ., გვ. 60-69.

ხეცურიანი ჯონი, იურიდიული პირის ძირითადი საკითხები კრებულში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1984 წ.,

ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია. თბ. 2004.

ჰენშელი სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდика, თბილისი, 2009

*Baumbach Adolf, Hopt Klaus J.*, Kurzkomentar zum Handelsgesetzbuch, 33. Aufl. Beck: München, 2008

*Bölling Hein*, Recognition as an Unworthy Heir and the Deprivation of the Right to a Compulsory Portion according to the Civil Code of Georgia (and Some Comments on the Method of Interpretation of Law), in: *Georgian Law Review* 6/2003. p. 517-525.

*Brinz Alois*, Lehrbuch der Pandekten, 2. Aufl. (Bd. 1-4), Erlangen, Deichert. 1873-1893

*Bungert Hartwin*, Gesellschaftsrecht in den USA. 3. Aufl. München, Rehm. 2003.

*Bydlinski Franz*, Renaissance der Idee der Kodifikation. Das neue niederländische Bürgerliche Gesetzbuch. Wien. Böhlau. 1991.

*Chanturia Lado*, Die Europäisierung des georgischen Rechts – bloßer Wunsch oder große Herausforderung? In *Rabels Zeitschrift*, Band 74, Heft 1, 2010, S. 154-181.

*Chanturia Lado*, The Development of Civil Law in Georgia, in *Georgia in Transition King/Khubua* (eds.), Frankfurt am Main, 2009, p. 1-17.

*Chanturia Lado*, Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch. In *Aufbruch nach Europa. 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht*. Herausgegeben von Jürgen Basedow, Ulrich Drobnig, Reinhard Ellger, Klaus J. Hopt, Hein Kötz, Rainer Kulms, Ernst-Joachim Mestmäcker. Mohr Siebeck. 2001. S.893-904.

*Chaussade-Klein Bernadette*, Gesellschaftsrecht in Frankreich, München, Rehm, 1993.

*Cohen George M.*, Implied Terms and Interpretation in Contract

Law, University of Virginia School of Law, September 2009.

*Coing Helmut*, Europäisches Privatrecht. Bd. I. München, Beck. 1985.

*Coing Helmut*, Europäisches Privatrecht. Bd. II. München, Beck. 1989.

*Coing Helmut*, Grundzüge der Rechtsphilosophie. 4. Aufl. Berlin, de Gruyter, 1985.

*Corpus Iuris Civilis*. Text und Übersetzung. I. Institutionen. Von Okko Behrends. Heidelberg, CFM. 1990.

*Cremades Javier*, Gesellschaftsrecht in Spanien. München, Rehm, 1996.

*Dernburg Heinrich*, Pandekten, 3. Aufl. Bd. I. Berlin. H.W. Müller, 1892.

*Deutsches Rechtslexikon*, Horst Tilch (Hrsg.), Band 2, 2. Aufl. Beck, München, 1992

*Diëderichsen Uwe*, Zur Begriffstechnik richterlicher Rechtsfortbildung im Zivilrecht, in Festschrift für Wieacker zum 70 Geburtstag. Göttingen, Vandenhoeck & Ruprecht, 1978.

*Directive 2004/25/EC* of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142 , 30/04/2004 P. 0012 – 0023; Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlaments und des rates vom 21. april 2004 betreffend Übernahmeangebote, Amtsblatt Nr. L 142 vom 30/04/2004 S. 0012 – 0023.

*Ditrich Robert, Tades Helmut*, Das Allgemeine bürgerliche Gesetzbuch, 36. Aufl. Wien, Manz, 2003

*Ek Ralf, Hoyenberg Philipp von* , Unternehmenskauf und -verkauf, Verlag C.H. Beck, 1. Aufl. 2007.



*Erman Walter*, Handkommentar zum BGB, 11. Aufl. Münster, Aschendorff Rechtsverlag, 2004

*Ewoud Hondius*, Das neue Niederländische Zivilgesetzbuch. Allgemeiner Teil. in: Renaissance der Idee der Kodifikation. Bd. 5. Wien, Böhlau. 1991.

*Ferid Murad*, Sonnenberger Hans Jürgen, Das französische Zivilrecht. 2. Aufl. Heidelberg, Verl. Recht und Wirtschaft. 1994

*Flume Werner*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl. Bd. II, Rechtsgeschäft. Berlin, Springer. 1979.

*Flume Werner*, Savigny und die Lehre von der juristischen Person, in: Festschrift für Franz Wicke zum 70. Geburtstag. Göttingen. Vandenhoeck & Ruprecht. 1978.

*Gierke Otto von*, Das Wesen der menschlichen Verbände. Rektoratsrede von der Universität Berlin am 15. Oktober 1902

*Goldschmidt Levin*, Handbuch des Handelsrechts. Universalgeschichte des Handelsrechts. Bd. I. Stuttgart. Enke. 1891.

*Grunewald Barbara*, Gesellschaftsrecht, 6. Aufl. Mohr Siebeck, Tübingen, 2005.

*Gschnitzer Franz*, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts. Wien, New-York. Springer Verlag, 1966.

*Guhl Theo, Koller Alfred*, Das schweizerische Obligationenrecht. 8. Aufl. Zürich. Schulthess. 1991; (9. Aufl. 2000).

*Haarhuis Koen J.*, Gesellschaftsrecht in den Niederlanden. München, Rehm, 1995.

*Hedemann Justus Wilhelm*, Die Flucht in die Generalklauseln. Eine Gefahr für Recht und Staat. Tübingen, Mohr. 1933.

*Heise Arnold*, Grundriß eines Systems des gemeinen Zivilrechts. Nachdr. der 3. Aufl. Heidelberg, 1819. Goldbach. Keip. 1997.

*Henrich Dieter, Huber Peter*, Einführung in das englische Privatrecht. 3. Aufl. Heidelberg. Verl. Recht und Wirtschaft. 2003.

*Hopt Klaus J., Reuter Dieter*, Stiftungsrecht in Europa: Eine Einführung. Nonprofit-Organisation, Heymanns, 2001.

*Hübner Heinz*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches. Berlin. De Gruyter Lehrbuch. 1985 (2. Aufl. 1996)

*Hugo Gustav*, Lehrbuch des Naturrechts als einer Philosophie des positiven Rechts.- Nachdr. der 4. Aufl. 1819. Berlin, Mylius. 1997.

*Ibán Iván C.*, Einführung in das spanische Recht. 1. Aufl. Baden-Baden, Nomos, 1995.

*Jauernig Othmar*, BGB-Kommentar, 13. Aufl. Beck, München, 2009

*J. von Staudingers* Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. Einleitung zum Bürgerlichen Gesetzbuch. Buch 1. Allgemeiner Teil. Neubearbeitung. Berlin, Sellier - de Gruyter. 2004.

*Jhering Rudolf von*, Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung. T. I. 7./8. Aufl. Leipzig. Breitkopf & Härtel. 1924. (T. 2,1 - 1926); (T. 2,2. 3.1 - 1923-24).

*Kaser Max*, Das römische Privatrecht. 2. Aufl. Bd. I und II. München, Beck. 1971-1975.

*Kegel Gerhardt, Schurig Klaus*, Internationales Privatrecht. 9. Aufl. München, Beck. 2004.

*Kelsen Hans*, Allgemeine Staatslehre, Berlin, Springer. 1925

*Kindler Peter*, Einführung in das italienische Recht. München, Beck. 1993.

*Knieper Rolf*, *Ökonomische Analyse des Notariats*, Beck, München, 2010,

*Knieper Rolf*, *An Economic Analysis of the Notarial Law and Practice*, Beck, München, 2010.

*Knieper Rolf, Chanturia Lado, Schramm Hans-Joachim*, *Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien*, BWV, Berlin, 2010.

*Knieper Rolf*, *Rechtsreformen entlang der Seidenstraße*, BWV, Berlin, 2006.

*Knieper Rolf*, *Juristische Zusammenarbeit: Universalität und Kontext*. Wiesbaden. 2004.

*Knieper Rolf*, *Gesetz und Geschichte*. Baden-Baden, Nomos, 1996.

*Kötz Hein*, *Europäisches Vertragsrecht*. Bd. I. Tübingen, Mohr-Siebeck, 1996.

*Köhler Helmut*, *BGB Allgemeiner Teil*, 33. Aufl. Beck, München, 2009

*Koziol Helmut, Welser Rudolf*, *Grundriß des bürgerlichen Rechts*. 13. Aufl. Wien, 2006

*Kriele Martin*, *Theorie der Rechtsgewinnung*, Berlin, Duncker & Humblot, 1967.

*Kupraschwili Teimuras*, *Schweigen beim Vertragsabschluss. Eine rechtsvergleichende Untersuchung unter Berücksichtigung von Deutschland und Georgien*. WVB. Berlin. 2006;

*Kereselidze David*, *Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997. Eine rechtsvergleichende Untersuchung*, Peter Lang Verlag. 2004

*Kübler Friedrich*, *Assmann Heinz-Dieter*, *Gesellschaftsrecht*, 6. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2005

*Lange Hermann*, Römisches Recht im Mittelalter. Bd. I. Die Glossatoren. München. Beck. 1997.

*Larenz Karl, Wolf Manfred*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl. Beck, München, 2004

*Larenz Karl*, Methodenlehre der Rechtswissenschaft. 6. Aufl. Berlin. Springer. 1991

*Lehmann Heinrich, Hübner Heinz*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, 15. Aufl. Berlin, de Gruyter, 1966

*Lüke Wolfgang*, Zivilprozessrecht, 9. Aufl. Beck, München, 2006

*Model Nonprofit Corporation Act*: Thomas von Hippel, Begriffsbildung und Problemkreise der Nonprofit-Organisationen. In: Nonprofit-Organisationen im Recht, Wirtschaft und Gesellschaft (Hrsg. Hopt/von Hippel/Walz). Mohr Siebeck. Tübingen. 2005.

*Motive zu dem Entwurfe eines Bürgerlichen Gesetzbüches für das Deutsche Reich*, Berlin/Leipzig, 1888, Bd. I.

Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Herausgegeben von *Kurt Rebmann, Franz Jürgen Säcker, Roland Rixecker*. München. Beck. 2001

*Muth Iris*, Neues Recht zwischen Tradition und Systemwechsel: Beratung des georgischen Arbeitsrechts in der Praxis. Baden-Baden: Nomos, 2004;

Nonprofit-Organisation: *Klaus J. Hopt, Dieter Reuter*, Stiftungsrecht in Europa: Eine Einführung. Heymanns. 2001.

*Palandt, Bürgerliches Gesetzbuch*. 64. Aufl. München, Beck, 2005 (Palandt/Heinrichs (2005)).

*Pawlowski Hans-Martin*, Allgemeiner Teil des BGB. 7. Aufl. Heidelberg, C.F. Müller, 2003

*Peeters Tom L.*, Gesellschaftsrecht in Belgien, Eine Einführung mit vergleichenden Tabellen, Franz Rehm Verlag, 1993.

*Pellegrino Mario*, Postkommunismus und Zivilrecht. Das Obligationenrecht Georgiens. 1996.

*Puchta Georg Friedrich*. Pandekten. 9. Aufl. Leipzig, Barth, 1863.

*Radbruch Gustav*, Einführung in die Rechtswissenschaft. 11. Aufl. Stuttgart, Koehler, 1964.

*Ramm Thilo*, Einführung in das Privatrecht/ Allgemeiner Teil des BGB. Band I, G 9. München, Deutscher Taschenbuch Verl. 1974.

*Rüthers Bernd*, Rechtstheorie, 4. Aufl. Beck, München, 2008

*Rüthers Bernd, Stadler Astrid*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., Beck, München, 2009

*Savigny Friedrich Carl von*, System des heutigen römischen Rechts, Bd. II. Berlin. Veit. 1840-1849.

*Schack Haimo*, BGB-Allgemeiner Teil, 12. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2008.

*Schmidt Detlef*, Die Unterscheidung von privatem und öffentlichem Recht. Baden-Baden. Nomos. 1985.

*Schelhammer Kurt*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 7. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2008

*Schmidt Karsten*, Gesellschaftsrecht, 4. Aufl. Köln, Heymann, 2002.

*Schmidt Karsten*, Handelsrecht. 5. Auflage. Heymanns, 1999.

*Schnitzer Adolf F.*, Vergleichende Rechtslehre. Bd. II. 2. Aufl. Basel. Verl. für Recht u. Ges. 1961.

*Schwab, Dieter, Löhnig, Martin*, Einführung in das Zivilrecht. 18. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2010.

*Selb Walter*, Schädigung des Menschen vor Geburt – ein Problem der Rechtsfähigkeit? AcP 1966. 166, S. 76-128

*Simitis Konstantin*, Gute Sitten und ordre public. Marburg, Elwert. 1960

*Soergel Hans Th.* (Begr), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 13. Aufl. Stuttgart. Verl. W. Kohlhammer. 2000

*Titze Heinrich*, Rechtsgeschäft. in: Rechtsvergleichendes Handwörterbuch für das Zivil- und Handelsrecht des In- und Auslandes. Berlin, 1936

*Triebel Volker, Hodgson Stephen, Kellenter Wolfgang, Müller Georg*, Englischs Handels- und Wirtschaftsrecht. 2. Aufl., Heidelberg, 1995

*Tuhr Andreas von*, Der Allgemeine Teil des deutschen bürgerlichen Rechts, Berlin, Duncker & Humblot. 1957. Bd. I

*UNCITRAL* Model Law on Electronic Commerce (1996).

*Walter Robert, Meyer Heinz*, Grundriß des österreichischen Bundesverfassungsrechts, 9. Aufl. Wien: Manz, 2000

*Wieacker Franz*, Privatrechtsgeschichte der Neuzeit unter besonderer Berücksichtigung der deutschen Entwicklung. 2. Aufl. Göttingen, Vandenhoeck & Ruprecht. 1967

*Windscheid Bernhard*, Lehrbuch des Pandektenrechts. 7. Aufl. Bd. I. Frankfurt/M, Rütten & Loening. 1891.

*Wolf Manfred, Wellenhofer Marina*, Sachenrecht, 25. Aufl., Beck, München, 2010.

*Zitelmann Ernst*, Lücken im Recht, Leipzig: Duncker & Humblot, 1903.

*Zivil- und Wirtschaftsrechtsreform in postkommunistischen Gesellschaften*“, WiRO – Wirtschaft und Recht im Osteuropa, Heft 9/1994, S. 364

Zweigert Konrad, Kötz Hein, Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts. 3. Aufl. Tübingen. Mohr. 1996

*И.Д. Баренбойм, В.И. Лафитский, Л.К. Терещенко*, Юридические лица публичного права в доктрине и практике России и зарубежных стран, под. Ред. В.П. Мозолина и А.В. Турбапова, Москва, Юстицинформ, 2011.

*Гражданский кодекс Республики Казахстан (Общая часть). Комментарий (постатейный)*. В 2 кн. – 3-е изд. Отв. Ред. М.К. Сулейменов. – Алматы, 2007. Кн. 2

*Гражданский кодекс. Часть первая. Модель. Рекомендательный законодательный акт Содружества Независимых государств. Приложение к «Информационному бюллетеню»*, 1995, № 6.

*Дигесты Юстиниана*. М., Наука. 1984.

*Июффе О.С.* Советское гражданское право. Л., Т. 1. 1958.

Комментарий части первой Гражданского Кодекса Российской Федерации для предпринимателей. М., 1995

Концепция развития гражданского законодательства Российской Федерации / Вступ. ст. А.Л. Маковского. М.: Статут, 2009. — 160 с

*Мейер Д.И.*, Русское гражданское право. С. -Петербург. 1902

*Новицкий И.Б.*, Сделки. Исковая давность. М., 1954.

*Осакве Кристофер*, Сравнительный анализ гражданских

кодексов России и Казахстана 1994 г.: Биопсия экономических конституций двух постсоветских республик. Алматы. 1998.

*Русское гражданское право.* Чтения Д.И. Мейера. 4-е изд. С. Петербург, 1868

*Советское гражданское право.* Ч. 1 / Под ред. В.А. Рясенцева, М., 1986

*Советское гражданское право.* Ч. 1. Ленинград, 1982.

*Суханов Е.А.,* Проблемы правового регулирования отношений публичной собственности и новый гражданский кодекс. В кн.: Гражданский кодекс России. Проблемы. Теория. Практика. М., 1998. С. 205-227.

*Чантурия Ладо,* Государство как предприниматель. О формах предпринимательской деятельности государства, в книге «Концепция правовой политики на период с 2010 до 2010 года: устойчивое развитие в сфере правовой и судебной реформы». Материалы международного коллоквиума г. Берлин, 7-8 декабря 2009 г. Алматы, 2010, S. 99-118 – Казахстан

*Чантурия Ладо,* Юридические лица публичного права: их место в гражданском праве и особенности правового регулирования // Государство и право, 2008, № 3. С. 38-45.

*Чантурия Ладо,* Организационно-правовые формы корпораций (сравнительно-правовой анализ) в кн.: Ягмыр Нурыев, Ладо Чантурия (изд.) Право. Экономика. Благополучие. Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, Ашхабад, 2010; С. 180-194

*Чантурия Ладо,* О правовой природе судебных актов и пределах судебного правотворчества, в журнале Юрист, №8, 2009, с. 14-18. – Казахстан.



*Чантурия Ладо*, Гражданское право и юридические лица публичного права: особенности правового регулирования. В кн.: Гражданское право в системе права. Материалы международной научно-практической конференции в рамках ежегодных цивилистических чтений в Алматы 17-18 мая 2007 г. Алматы. 2007. С. 240-251

*Чантурия Ладо*, Введение в Общую часть гражданского права. Сравнительно-правовое исследование. Статут, Москва, 2006 г.

*Чантурия Ладо*, Развитие права путем судейского права. В кн: Развитие права посредством судейского права и доступ к правосудию. Сборник 2-ой международной конференции судей 2003. Тбилиси. 2004. С. 13-24.

*Чантурия Ладо*, Свобода и ответственность. Право и правосудие постсоветской эпохи. Тб. Сапи. 2004.

*Чантурия Ладо*, Собственность на недвижимость. На примере немецкого права. Диссертационный вестник. Тбилиси, 1994

*Чантурия Ладо*, Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. В кн: Пути к новому праву. материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. GTZ. Berlin, 1998.

*Чантурия Ладо*, Предотвращение законотворческого хаоса - важная задача правовой реформы. Материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. Берлин, 1998. С. 157-158.

*Чиркин В.Е.* Юридическое лицо публичного права. Норма. М. 2007.

*Энциклопедия права.* Проф. Университета св. Владимира Е.Н. Трубецкого. 1901. репринтное издание. Нью-Йорк, 1982